

79



ბუნების

114

3

76

1972

ენათობი



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 48-ე

№ 3

მარტი, 1972 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი კავშირის ორგანო

უიწეწეწე

საკვო კლდიაუვილი — მოთხრობები	3
მურმან ლეხანიძე — ლექსები	12
ალეო ალანია — ღიღი და პატარა პატარინი. ნაწილი მეოთხე. რომანი. გაგრძელება	20
გიორგი ვიგაური — ლექსები	57
კვიციანი მინუსკაძე — კაცობილ თუთგარინის სახლუღი. ნაწევრები რომანიდან	59

ფაქტები, მოგონებანი

მიხეილ კვეციანი — ას ირგასის ღღი. გაგრძელება	104
--	-----

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

ელ. რუსთომიანი — თანამედროვე გერმანულ ემიგრაციის რეაქციული არსი	117
მ. ჯაფარიძე — კავკასიის უძველესი მოსახლეობის კულტურული და ეთნიკური ერთობის საკითხისათვის	124
რამაზ პატარიაძე — მართული ასომთავრული. გაგრძელება	139
ჯიგო ლომიანი — ზღაპრისა და ჩაღბრის უმსახეობა	167
მანანა აბაშაძე — მართული იურიდიული ტერმინოლოგიის საკითხები	172
ინგო კაკაბაძე — გიორგი ერისთავი და კოლონური მწერლობა	179



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

საკრებამდირო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბანაშვილი, დ. გავიზარდაშვილი, მ. ლუბანიძე, ზ. ქლინტი, პ. სულააკა-
რი, პ. კუთათელი, ე. ყიფიანი, (პ/მგ. მდივანი), ს. ზანდიაშვილი, დ. შანგელაია, ვ. წულუ-
კიძე, თ. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, ზ. ჯიბლაძე.

ბეჭდურედაქტორი რ. ჩაქვტაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბალეფონები: რედაქტორის — 98-55-11.
პ/მგ. მდივნის — 98-55-18, განყოფილებე-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 4/11-72 წ., ხელმოწერი-
ლი დასაბეჭდად 27/11-72 წ. ანაწყობის ზომა
7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო
თაბახი 12.

№ 03392. ტირაჟი 13.350. შეკვ. № 432
საჭ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ორი მოთხრობა

კაიშაშურის სონატა

ქალაქიდან სტეფანწმინდაში მივდიოდით. ჩვენი ფორდი საკმაოდ შეხნიერებული და მრავლის მნახველი გახლდათ. ასეთი მანქანით მგზავრობას ახლა არავენ ისურვებს. არც იკადრებს. ის რომ ქუჩაზე გაატარო, ყველა დამცინავი ღიმილით გაგაყოლებს თვალს.

ხუთნი ვიყავით. მანქანის პატრონი ვახტანგი, მისი მეუღლე ნინო, მე და ჩემი სიყრმის მგვობარი ელენე, ხოლო ქალიშვილს, რომელსაც პირველად ეხედავდი, თამარს ეძახდნენ.

ქალის სილამაზე რომ უჩვენონ, მომთხრობნი ხშირად სხვადასხვა შედარებას იშველიებენ: გაიხსენებენ ბუდეშურ თვალებს, ბროლის კბილებს, მერცხლის ფრთის მაგვარ წარბებს, სახის ვარდისფერობას და, ვინ იცის, კიდევ რას. ყველა ეს მეტაფორა, რა თქმა უნდა, არაფრის მთქმელი ბუტაფორიაა მხოლოდ. ჩემი თანამგზავრი მანდილოსნები არ ყოფილან მოკლებული აღმოსავლეთში დიდად საქებურ ამ სამკაულებს. მაგრამ მთავარი მათი მომზიბვლელობა უფრო ის იყო, რომ ახალგაზრდები, ჰკვიანები და ხალისით საესენი იყვნენ.

ჩვენი ვარაუდი, რომ სტეფანწმინდას შხის ჩასვლამდე მივალწვედით, ვარაუდად დარჩა. ჯერ იმ ბენზინიანი კალიას სისწრაფე თქვი, მერე ოღრო-

ჩოლორები გზატკეცილზე და, ბოლოს, მანქანების უკურნებელი სენი, — საბურავები, რიგრიგობით რომ იჩუტებოდნენ.

ფორდი ღია იყო და შზე გვატყუნებდა. ანანურს რომ გავცილდით, ჩრდილიანს თავი შევავარეთ და შევისვენეთ... ჩვენი ქალები წინდახედული დიასახლისებიც აღმოჩნდნენ, — სამივეს საუზმე წამოეღო, მოლზე გაზეთები დაფინეს, სანოვაგე გადმოჰალაგეს და სერობას შევუდექით. დედაკაცი, თუ მას მირონი სცხია, არავის პირზე, ხელუხლებელი ბუნების ამ შუაგულში კი არა, უდაბნოსაც ედემად მოგაჩვენებს და უცბადვე ინტიმსა და გულითადობას დაამყარებს. ახლაც ასე იყო. რამდენიმე წუთი და, სხვა რაიმე არა მინატრია რა, ოღონდ კი მათთან აქ ყოფნა დაუსრულებელი ყოფილიყო.

სხვაზე უფრო მაინც თამარი გამოემერჩეოდა. იქნებ ეს ჩემი მოკრძალებული ხასიათის მიზეზია, თავს შებორკილად ვგრძნობდი მის წინაშე. ერთი-ორჯერ სულ უბრალო რაღაც მკითხა, ერთი-ორჯერ თითქოს შეფარვით შემომხედა და, ესეც საკმარისი იყო, მოვეხიბლე. რატომ ასე უეცრად? აბა რა ვიცი, რატომ! იმ დალოცვილს, გამოხედვაც რომ უჩვეულო ჰქონდა! ის რომ გარემოს თვალს მიმოავლებდა,

ასე მეგონა, უალერსებდა ცას, ტყიან გორაკებს და დაუღეგარ არავგსაც ამშვიდებდა. ისიც მეჩვენებოდა, თითქოს კიდევაც ფრთხილობდა, არ გაემელავნებინა თავისი მომზიბველობის ფარული ძალა. ამით კი უფრო მეტად მიზიდავდა და მინდოდა მეყვირა მისთვის: „რა გააჭირვე საქმე, დალაზეროს ეშმაკმა, რას დამალულხარ მაგ უჩინმანინში, გამოაჩინე მთელი შენი ჯადო ძალა და სილამაზე“.

— ვაგვიანებთ, დავიძრაო! — წამოგეშალა ვახტანგმა.

მღეთიდან აღმართი დაიწყო და ჩვენმა ოჩანმა ფორღმა ოხერა-ბენეშას უმატა. სხვა მისმა სენმაც იჩინა თავი, წამდაუწუმ დღღდა წყალი მოტორში. მაგრამ ამ გასაჭირსაც ადვილად ვძლევდით, — ხშირად გვხვდებოდა ნაკადულები.

ასე ზოზინით მივიწვედით წინ და, უდარდელნი, არც ვაშჩნევდით, დაბლობს მწუხრი როგორ ეფინებოდა. მალე მადლობებზედაც ჩაქრა მზის შუქი, დაბინდა და მთებიც მიიმაღნენ. ჭერის უღელტეხილს რომ ვუახლოვდებოდით, საქირო გახდა ფარების ჩართვა. ბნელში ველარაფერს ვაშჩნევდი, მხოლოდ ღამის სიღრმეში აყუდებული შავი სილუეტები მომაგონებდნენ ზოდმე, რომ ირგვლივ კლდეები იყო.

ჩემმა თანამგზავრებმა, აქამდე ხალისიანებმა, მოიწყინეს და დადუმდნენ. იქნებ გზა მობეზრდათ ან იქნებ იმავე მიზეზის გამო, რამაც მეც დამადუმა. გონებით აუხსნელმა, ახირებულმა რალაც მოლოდინმა გამაყუჩა და შემიპყრო, — თითქოს ვილაც უნდა მოვიდესო, ვილაც უცნაური უნდა ქნახოო...

თვალი შეეჩეია წყვილადს, თუ სხვა რამ იყო, მენიშნა, რომ გატყდა ღამე და მოვლანდე შვიდ ძმად შერქმეული შვიდი მთა. მათი ძირი ჭერ ისევ ბნელში იყო დაფარული, ოდნავ ვარჩევდი მხოლოდ ზედა ტანს და ისე მეჩვენებოდა,

თითქოს შვიდივე მალა ეთერში ბრინობდა.

ამ საოცარი სანახაობით ვერცხულვით ვიყავი, როცა უეცრად ცაში აიჭრა თეთრი სხივების მთელი კონა, წაშალა ვარსკვლავები და, მალე ერთი მწვერვალის ზურგიდან მთვარემაც ამოიხედა. გაბრწყინებული, ზვიადი, ნელინელ ამალდა და შეჩერდა სადღაც იქ, დიდ სიმაღლეში. ამ წუთიდან აღარაფერი გაედა მზის სინათლეზე ნანახს. გალვითებულიყო სხვა სიცოცხლე, ის იდუმალი და იქნებ ნამდვილი, როგორიც მხოლოდ მთვარიანში იწყება.

მანქანის მოძრაობას აღარ ვგრძნობდი. ისიც შევიწყდებოდა, რომ ჩემ გვერდით სხვებიც ისხდნენ. მოურიდებლად ვტრიალებდი და თვალებს ვაცეცებდი, დაუნახავი არაფერი დამჩვენოდა.

აღმართში მინდორი დაგვხვდა და იმასაც მთვარის შუქი ეფინა. იქვე გზა გადაგვისერა ნაკადულმა. მისი ვიწრო კალაპოტი მოვერცხლილ ბილიკად მიიკლაკნებოდა და წყალი თეთრად თრთოდა პატარა ქორომებზე. საით ეჭირა გზა? საით მიიჩქაროდა?

— რა ღამეა! — მომესმა თამარის ჩუმი ამოძახილი.

მანქანაში ყოფნის თავი აღარ მქონდა, გადავხტი და მინდორზე გავიჭერ. მივრბოდი, ნაკადულის დინებას მივყვებოდი და ვილაცას ხმამალა ვეძახდი. იქნებ იმ შორეულმა წინაპარმა გაიღვიძა ჩემში, ვისაც მთვარე ღვთაებად მიაჩნდა და მისი ხმით იყო რომ შევძახოდი ახლა...

მინდვრის ბოლოში ფრიალოს წავადექი. აქ თავდებოდა კალაპოტიც და ნაკადული, ზევიდან გადაღვრილი, ვერცხლის სვეტად დაკიდებულიყო უფსკრულის სიცილიერეში. იქ, ქვევით, კაიშაურის ველი იყო გაშლილი. განათებული სივრცე ბზინავდა, ღაღანებდა და თითქოს მისი გუგუნიც, მისი ცოცხალი ხმაც გავიგონე. ..იქნებ ეს ცხენოსანი მოხევეები იყვნენ, თემის დღეობაში სალხინოდ მიეშურებოდნენ,

ან, იქნებ პატარძალს მიაცილებდნენ და მიიმღეროდნენ. მაგრამ განა მარტო მაყრიონი, მთელი ვარემო გალობდა იმ ხმაზე, უთვალავ საუკუნეების მანძილზე რომ ესმოდა აქაურობას.

ჩემსკენ თამარი შორბოდა.

— რა ამბავია თქვენს თავზე?! — შეშფოთებული მომვარდა. — აქ უფსკრულია, გაეცალეთ!

ფრთხილად გადადგა ნაბიჯი, გადაიხედა, თითქოს სიღრმეს ამოწმებდნენ, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. აღარც გარყეულა. იდგა და გადაჰყურებდა მთვარით დაფერილ კაიშაურს.

— ღმერთო ჩემო, ეს ალბათ სიზმარია! — აგერ როდის წასჩურჩულა.

ამ წუთიდან ჩვენ ერთი ჯადოთი ვიყავით შეკრული, ერთი გული გვიცემდა. მინდოდა მადლობა მეთქვა, რომ მოვიდა და ჩემი ბედნიერება გაიზიარა. ამ წუთში მე ისიც მჯეროდა, რომ ოცნებით მუდამ ველოდებოდი მას. მინდოდა ესეც მეთქვა და, ამის ნაცვლად, ავტირდი უეცრად. იტყვი, რომ ვამეტებ? უბრალო სანტიმენტალობაა და სხვა არაფერი? ვისაც დიდი ბედნიერება არ განუცდია, ცხადია, ასე იტყვის. ვისაც დიდი ბედნიერება არ ღირსებია, მე ის მსაჯულად ნუ დამიდგება.

მანქანიდან გვეძახდნენ და ხელს გვიქნევდნენ.

— შეეხვდეთ ხვალ ერთმანეთს... დილით... ჰო, ხილთან... — ესლა შევეძელი მეთქვა.

ნინო და ვახტანგი ცბიერი ღიმილით შეგვეგებნენ. ელენემ ჰკუის დამრიგებლური რაღაც მითხრა. აქედან მხოლოდ ბოლო მახსოვს:

— შენ რომ გიყი ხარ, ეს ჩემთვის ძველი ამბავია, ოღონდ თამარი რამ გადარია, ვერ გამიგია... რაც იყო, იყო, ახლა ამის დრო არაა, ხვალ ვაგჯორავთ ორივეს!

ისევ აძუნძულდა ჩვენი მანქანა. სადღაც ბუ ვაკიოდა. ჩვენ წინ ლაპლაკებდა ცაში აფრენილი მყინვარწვერი. შორიდან ყრუდ ისმოდა თერგის ბუხუნი.

მაინც სიჩუმე იყო. სიჩუმე, მთვარით დაფერილი ვარემო და თამარი.

* * *

რა მოხდა მეორე დღეს? იქნებ არ ღირდეს გასახსენებლად... ღამე ცუდად მეძინა. სულ თვალწინ მედგა მთვარიანში გავლილი გზა და ეს მოგონებები მაფორიაქებდა. მაინც დროზე ავდექი დილით და მივედი იქ, სადაც თამარიც უნდა მოსულიყო. თერგის ნაპირზე მოვიკალათე და, მოლოდინში დროის გასათრევად, ბრტყელ კენჭებს ვაგროვებდი.

ულონო მზიანი იყო. მყინვარის კალთებზე ახლად აშლილი ნისლი დაღოლავდა. ხიდიდან ბაკუნი მომესმა. დაუნაგრებული ლაფშა ახალგაზრდა მოხევე ქალს მიჰყავდა, მეორე ცხენზე კი მამაკაცი იჯდა, რომელსაც ცალ მხარზე ყისინი მოეგდო. ეტყობოდა, რომ კოხტაობდა. გამარჯვებო, გადმოშახა და რაღაც გაიხუმრა. ქალმა ხშირად გაიციონა, ხელი დამიქნია და ცხენი სიონისკენ მიმავალ შარაზე დააყენა.

თამარი იგვიანებდა. იქნებ არც აპირებდა მოსვლას. ნეტავი მართლაც ასე ყოფილიყო. მერე მადლობასაც ვეტყოდით. მოთენთილი ვიყავი, უგუნებოდაც. საზაფხულო თეთრი ხალათი მეცვა და, უცაბედად რომ დავხედე, დამტვერიანებული მეჩვენა. ამან კიდევ უფრო ჩამიშხამა გუნება.

ის იყო წასვლას ვაპირებდი, თამარი გამოჩნდა. ჩუმად ჩამოვდა. ჩემ გვერდით. გაუბედავად, თითქოს დარცხვენილადაც, შემომხედა ერთხელ. მეტი აღარ. ჩემი დაგროვილი კენჭები კალთაში ჩაიყარა და ხელი დარია.

არა, ეს ის თამარი აღარ იყო, ვინც წუხელ მთვარიანში. ისევ უცნობი და შორეული.

ვისხედით მდინარის პირას და ვლუმდით. სხვა ადგილზე რატომ გივდებდა თერგი, ეს მისი საქმეა, აქ კი არც რბოდა, არც ღრიალებდა და არც რომელიმე კლდეს ბანი უთქვამს მისთვის. ტალახით დამძიმებული, დუნედ მიედინებო-

და და გული მწყდებოდა, ასე მოთვი-
ნიერებულს რომ ვუყურებდი.

არ ვიცოდი, თურმე ზოგჯერ დაზან-
ტება სცოდნია დროს. ახლა ისე გუ-
ლისგამწყალებლად მიჩანალებდა, ისე
გრძელი და დაუსრულებელი იყო ყო-
ველი წუთი, რომ ველარ გავუძელ და
ჩავიდუღუნე:

— ჩვენი მეგობრები, ალბათ, გვე-
ლოდებიან...

— ჰო, გელოდებიან... — მაშინვე
აღგა თამარი და გზას დავადექით.

შენიშნა, რომ იმასაც გულზე მოეშვა.

ყველაფერი ეს დიდი ხნის წინანდელი
ამბავია და მაინც აქამდე შემჩნა ოცნე-
ბა და სევდაც კაიშაურის ღამეზე და
მთვარით განათებულ იმ თამარზე...

არა, ბევრიც რომ ეძებნო, ველარსად
ენახო კაიშაურის თამარიო.

* * *

ამ პატარა ამბავის პირველ ვარიანტს
სხვანაირი დასაწყისი ჰქონდა. მოკლედ
გავიხსენებ შინაარსს:

„ჩემი ძველი ნაცნობი ნოდარ მ...აძე
იმ საღამოს შესტუმრა, როცა რადიომ
მთვარეზე დაფრენის ცნობა გადმოსცა.
შემოვიდა თუ არა, კარებიდანვე მომა-
ხალა ეკლესიასტეში თქმული: „რო-
მელმან შეიძინა მეცნიერება, შეიძინა
ღმობა“. ვიცოდი, პარადოქსების მო-
ყვარული ობროდი კაცი იყო და რომ
კიდევ ბევრ რაიმე უცნაურს მეტყვოდა.
ასეც მოხდა. ის გულწრფელად ნაღვე-
ლობდა, რომ ადამიანმა ფეხი დადგა
მთვარეზე. სხვა პლანეტაზე რომ ასუ-
ლიყო, თუნდაც ვენერაზე ან მარსზე,
კიდევაც გავიხარებდიო, მთვარე კი მა-

ლიან დამენანაო. უთვალავ საუკუნეთა
მანძილზე ის ჩვენი კეთილი მეგობარი
იყო და ფარულ ოცნებებს ვანდობდით,
ხოლო შორეულ წარსულში ღვთაება-
დაც მიგვაჩნდა. ჰო, თავს ვიტყუებდით,
მაგრამ ეს ტყუილი, ხომ, ჩვენივე სასი-
კეთოდ იყო გამოგონილი... დღეს ადა-
მიანმა დაიმორჩილა მთვარე და რას
მიაღწია ამით? მხოლოდ იმას, რომ
საბოლოოდ გაანიავა ერთი ნათელი
რომანტიკა, რომელიც უხსოვარ დროი-
დან თან დაჰყვებოდა და აკეთილშობი-
ლებდა ჩვენს ცხოვრებას.

დიღა ადამიანის გონების ძალა, მაგ-
რამ, საკითხავია, ოდესმე შეძლებს
ფარდა ახადოს სამყაროს ყველა საი-
ღუმლოს? განა მე მხოლოდ მატერია-
ლურის ნაწილაკი ვარ და არაფერი
მაერთებს მარადიულ სიციცხლესთან?
ბოლოსდაბოლოს, განა საჭიროა ყვე-
ლაფერი ვიცოდეთ? მოდი და ამის შემ-
დეგ ნუ დაინანებ, რომ სამუდამოდ ჩა-
მოვიშორეთ ჩვენი კეთილი მეზობელი.
ჩამოვიშორეთ და დაკვარავთაჲი არა,
ამიერიდან მისი შიშიც მაქვს...

სხვა ბევრი ამაზე ახირებულიც თქვა
კიდევ და მერე ისიც მიაშბო, თუ რო-
გორ განიცადა ერთხელ თავის ახალგა-
ზრდობაში მთვარის ძალა“.

აი აქ თავდებოდა პირველი ვარიან-
ტის შესავალი ნაწილი. მაგრამ როცა
ხელნაწერი გადავიკითხე, ამგვარი და-
საწყისი სრულიად ზედმეტად ჩავთვა-
ლე, მაშინვე წავშალე და დაფტოვე
მხოლოდ იმ ობროდი კაცის ჭაბუკო-
ბისდროინდელი ერთი დღე-ღამის მო-
გონება.

მე მგონია, მართებულად მოვიქეცი,
რა თქმა უნდა, ასე სჯობდა.

O S O K U M B A



აფრიკის ბუნების თავისებურება მრავალ მოგზაურსა და მეცნიერს აქვს აღწერილი. ამასწინათ ერთი მათგანის წიგნი რომ გადავფურცლუ, ჩემი ყურადღება იმ სტრიქონებმა მიიპყრო, სადაც უდაბნოს უცნაურობანია ნაამბობი:

„... როცა გატანჯულ ადამიანთა წინაშე უეცრად გამოჩნდება ოაზისის გამოსახულება, მეგზური თავს აქნევს: არ დაუჯეროთო. მან იცის, რომ უახლოეს ოაზისამდე კიდევ რამდენიმე ათეული კილომეტრის გზა დარჩა გავარჯერებულ მზის ქვეშ გასავლელი, ხოლო რასაც ახლა „საკუთარი თვალით“ ხედავენ, მირაჟია და სხვა არაფერი... და მაინც ზოგჯერ ისე მომხდარა, რომ გამოცდილი მეგზურიც შემცდარა. უდაბნოში მიმავალნი რომ საფრთხეს ააშორონ, სწავლულებმა შეაგროვეს ცნობა იმ ადგილების შესახებ, სადაც უფრო ხშირად წარმოიშებიან მირაჟები. გამოიჩვენა, რომ საპარაში ყოველწლიურად ას სამოცი ათასი მირაჟი მოჩანს. ტიმბუქტუში და გარდაში იშველიებენ საქარავნო რუკებს, რომელზედაც აღნიშნულია, თუ სახელდობრ სად „ჩანან“ ოაზისები, კები, პალმის წარაფები და მთების გრებილი. სახეელის და ელ-ჯუფის ოლქებში მოხეტიალე მატყუარა მირაჟის გამოცნობა შედარებით ადვილია, — აქ ის თრთის, ფერს იცვლის და მალე ქრება. ერგ-ერ-რავის უდაბნოში კი მირაჟი მაცდუნებელი და საშიშია. ადამიანის თვალწინ აქ ისე გამოჩნდება ოაზისი, თითქოს იმ ადგილამდე რაღაც ერთი ან ორი კილომეტრი დარჩაო, სინამდვილეში კი შვიდასზე მეტია. ათას

ცხრაას ოთხ წელს ბორ-ულადან ოთხასი კილომეტრის დაშორებით მირაჟმა შეიწირა ქარავენი, რომელსაც უძლოდა გამოცდილი მეგზური ტუარევი იუზუფი. სამოცი კაცი და ოთხმოცდაათი აქლემი სხვა მიმართულებით გაიტყუა და ყველა დაიღუპა“...

ეს რომ წავიკითხე, აფრიკაში უკვალოდ დაკარგული ანდრო არღიშვილი მომავგონდა.

უნებურად გაიფიქრებ: მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ ადამიანი თავიდანვე განისაზღვრავს ხოლმე საკუთარ ბედს და რომ მისი უქანასკნელი დღე სწორედ იმგვარად დასრულდება, როგორც თვითონვე განიშზადა.

ჯერ კიდევ აღრიან ახალგაზრდობაში წაკითხული მოთხრობების ზეგავლენით, ანდრო არღიშვილს რომანტიული წარმოდგენა შეექმნა აფრიკაზე. ეგზოტიკით გატაცებული, ხარბად ეწაფებოდა წიგნებს, სადაც ნაამბობი იყო სავანეში გარეული ცხოველების ნაეარდი, მომთაბარე არაბთა ტომების და შავკანიანთა ყოფაცხოვრება და, ამ ამბებით მოჯადოებულს ბევრჯერ უოცნებია საკუთარი თვალით ენახა ის საკვირველი ქვეყანა. ყველაზე უფრო კი მის ჭაბუკურ ფიქრებს ხიბლავდა თავგადასავალი ისიკუმბასი, ზღაპრული ზანგი გოგონასი, ოცნებით მასთან ერთად ხეტიალობდა უდაბნოში, თუთიყუშების ყვილით ახმაურებულ ტყეებში და მოშინაურებული ჯიქის თანხლებით სოფლიდან სოფელში დადიოდა.

წლები გავიდა, ყმაწვილობისდროინდელი გატაცება დაუცხრა, ბოლოს კიდევაც მიივიწყა, მაგრამ როცა ინსტი-

ტუტი დაამთავრა და სამხრეთ ალყირ-ში გეოლოგიურ გამოკვლევების ჩასატარებლად წასვლა შესთავაზეს, ძველმა უინმა ისევ იჩინა თავი და უყოყმანოდ დათანხმდა გამგზავრებულიყო უცხოეთში.

— იქნებ იქ შენი ისიკუმბაც ნახო სადმე! — ხუმრობით ეუბნებოდნენ ანდროს მისი სიყრმის მეგობრები, რომლებსაც კარგად ახსოვდათ, ბავშვობის ასაკში როგორ ეტრფოდა ვიღაც მხატვრის ფანტაზიით შექმნილ იმ გულადი ზანგი გოგონას სურათს.

• • •

პირველი წერილით არდიშვილი იტყობინებოდა, რომ თანამემამულეთა რამდენიმე ოჯახმა, რომლებიც იქ დახვდა, ყოველგვარად შეუწყვეს ხელი, არ ეგრძნო მარტოობა და სამშობლოს სიშორე და რომ კარგად შეეგუა ახალ გარემოს.

მანამდე უცნობთ რომ მალე დაუმეგობრდა, სულაც არ გამკვირვებია. გულთხასა და ხალისიანს მას ზომ ურჯუი ვინმე და ავგულაც კეთილი თვალთ უყურებდა. ვიცოდი, ამ მხრივ არაფერი გაუჭირდებოდა. მაგრამ ის კი ვერ გავიგე, რატომ შეტრფოდა ფერადკანიანთა მარტივ ცხოვრებას? რა იყო ეს, მისთვის ჩვეული უეცარი აფეთქება, თუ სხვა რაღაც, აქამდე გულში ჩამარხული და გაუმხელელი ვნებების გამჟღავნება?

... ჩემი გული, — იწერებოდა ის, — სამუდამოდ მოინადირეს ამ საოცარი ქვეყნის მკვიდრებმა, რომლებიც წინათ, თქვენი არ იყოს, მეც ველურებად მიმაჩნდნენ. თურმე როგორ ვცდებოდი! ვახუთ თვეში მე შემთხვევით ვიმოგზაურე ერთ მოსაზღვრე რესპუბლიკაში და რამდენიმე დღე დავყავი შუაგულ ტყეში ჩაბუდებულ ზანგების სოფელში. აქაური ქაბუკები ვაქაკური გარეგნობით გამოირჩევიან, ხოლო ქალწულები კიდევ უფრო მომხიბლავი არიან. ისინი ჩემი ახალგაზრდობის ოცნებას ისიკუმბას მაგონებენ... ჰო, უბრა-

ლო ცხოვრება აქეთ, შენ ალბათ კიდევაც შეიცოდებდი მათ, მე კი ვიტყვოდი, რომ ნამდვილად ბედნიერები არიან და რომ ამ ბედნიერებას ანიჭებთ სწორედ ის მარტივი, ყოველგვარი პირობითობისაგან თავისუფალი გარემო. ისინი დამომბლუბული არიან ბუნებასთან და შენარჩუნებული აქეთ მრავალი საკვირველი თვისება, რომლებიც ჩვენ დიდი ხანია დავკარგეთ და ახლა რაღაც ზღაპრად მიგვაჩნია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისინი შეხარბიან სიცოცხლეს და მათი ღმერთები აქვე, დედამიწაზე ბინადრობენ და ადამიანთა შორის ტრიალებენ...“

აქ გამოვტოვებ სტრიქონებს, სადაც ცდილობდა დამტკიცებინა მარტივი ცხოვრების უპირატესობა და კეთილი გავლენა. გავისხენებ მხოლოდ ბოლო აბზაცს:

„... რამდენიმე თანამშრომელთან ერთად ხვალ საღამოს პირველად მივდივარ სამუშაოს იმ უბანში, რომელიც შორს მდებარეობს უდაბნოში. წარმოიდგინე, რომ მაცვია ვრძელი თეთრი ბურნური, თავი წაქრული მაქვს ჩაღმით და, არ შეგეხარბოს, ორკუთხიან აქლემზე ვზივარ ყენივით წამოქიმული. ისეთი წინათგრძნობა მაქვს, აქ არაერთი საიდუმლო გაიშლება ჩემ წინაშე. ცოტა არ იყოს, აფორიაქებული ვარ ამის მოლოდინში. ღმერთმა ქნას, არ მიმტყუნოს ბედმა!“

შემდეგი წერილიც თითქოს მხნე იყო. ოღონდ თუ ჩაუკვირდებოდი, ველარ იგრძნობდი უწინდელ ხალისიანობას და როგორღაც გაიფიქრებდი, რომ ეს კაცი მოურიდებლად, მშაბიქურად ექცევა ბედისწერას და გარდუვლის მოსვლას აჩქარებსო:

„... მაფრთხილებ, უდაბნოს ნუ გაუთამამდებო. ნუ შიშობ, ჩემი მეგზური ტუპრეგ მუჰამედი გამოცდილი და დინჯი კაცია. კუშტი გამომეტყველება აქვს და სიტყვაძვირია, მაგრამ ერთგული და ყოველმხრივად საიმედო. არ გაიკვირეო, მალე იქნებ მეც დემილის მოყვარული გავხდე. უდაბნო და

გრძლად ლაპარაკი ვერ ეგუებოდა ერთ-მანეთს. იქნებ ისიც გაუგებარი იქნეს, თუ ვიტყვი, რომ აქ სულიერად მდიდრდები და სავსებით შენს თავს ეკუთვნი. საკვირველია ისიც, რომ ზოგჯერ, როცა მარტო დარჩები ხოლმე, მარტოობას სულაც არ გრძნობ. მარტოობას უფრო ხშირად განიცდი დიდ ქალაქში, სადაც უამრავ ათასთან გვერდით ცხოვრობ... შენ, ალბათ, გგონია, რომ უდაბნო სიცალიერეს წარმოადგენს. არა, მას თავისი სასიცოცხლო ძალა და სიბრძნე გააჩნია. ყველაზე უფრო კი საპარას. ის სრულიადაც არ არის ქაოსი, რომელიც თავისი დაღლილობისა და მოწყენილობის წუთებში უყურადღებოდ დასტოვა ღმერთმა. შორეულ დროში, ოდესღაც, მწვანეში ჩაფლულ ამ უკიდევანო სივრცეზე ჰყვოდნენ, ნეტარებდნენ და თავმომწონებდნენ ძლევაშოსილი სახელმწიფოები. მათ საიდუმლოს ახლა სილა ფარავს და თუ მახვილი სმენა გაქვს და ყურს დაუგდებ, გაიგონებ, რომ ყრუდ ოხრავს და ბორგავს იქ წარსული... საპარას უცნაურ თვისებებზე და განსაკუთრებით მირაჟებზე, ამ დღეებში მოგწერ ვრცლად. ეს შეუდარებელი სანახაობაა, ადამიანის მომენტსხველი, მსგავსი სასწაულისა. მირაჟს სულ სხვა სამყაროში გადაჰყავხარ. იმ სამყაროში, რომელიც გინდა სინამდვილედ იქცეს და შენც სამუდამოდ მას შეუერთდე. ის, რაც აქამდე ვნახე, მხოლოდ შემზადებაა იმისათვის, რასაც მომავალში მოველი. სულ იმის მონატრული ვარ, რომ ეს ბედნიერი წუთი მალე დადგეს. ჩემი ოცნებაა უფრო ღრმად შევიჭრა საპარაში, იქ, სადაც ვერ ფეხი არავის დაუდგამს და სადაც მირაჟიც ბევრად უფრო ფანტასტიკურია. დე, ის ტყუილი და ცდუნება იყოს, მაგრამ მაინც ხომ შეუდარებლად უკეთესია სინამდვილეზე!..“

• • •

კიდევ რამდენიმე ძალიან მოკლე ბარათი მივიღე მისგან და ყველგან, თითქოს ბოდნიშნო, მპირდებოდა,

შემდეგი წერილი ვრცელი იქნებო. მაგრამ მრავალი დღე გავიდა სამოლო-დინში. ეგ კი არა, ჩემი წერილებიც არ მიპასუხა... მინდოდა როგორმე ამეხსნა და გამემართლებინა მისი უყურადღებობა და ხან ფოსტის ცუდ მუშაობას ვაღანაშაულებდი, ხან კიდევ რას. მაგრამ იქნებ მართლა მოუცვლელი იყო ან მოგზაურობდა სადმე და, აბა, სად იპოვიდა დროს მაგიდას მისჯლო-მოდა! თუ აგრეა მაშინ ისეთი განცდებით არის დარეტიანებული, აღარც ახსოვს შორს დატოვებული მახლობლებისა და მეგობრების არსებობა. ოღონდ თუ მაინც თავი გადადო და ჩვენთვის მოიკალა, მაშინ ნახეთ, რა გვარის აღტაცებას არ მოიწერება ათასგვარი შთაბეჭდილებით დატვირთული ეს ახირებული კაცი! თუმცა უნდა გავტყდე, — ეს ხობტა უდაბნოსი და დიდების შარავანდელით შემოსვა მარტო ყოფისა, არ მაჯერებდნენ, რომ მათ გახარებული კაცის ხელი წერდა. პირიქით, მუდამ ეკვი მქონდა, რომ ეს იყო სევდიანი ოცნება კაცისა, რომელსაც სხვა ცხოვრება ენატრება...

ასე გაგრძელდა მრავალი კვირა. იმედინად ვიყავი, ანდროს არაფერი უკირდა. ვინ არ იცის, — გასახარელი ამბავია, რომ ზოზინით მიდის და ძალზე იგვიანებს ხოლმე, თორემ სამწუხარო და საუბედურო ელვის სისწრაფით მიეხლება ადამიანს.

• • •

ავგისტოს დამდეგს, როგორც იქნა, შევისრულე ერთი ძველი ნატვრა, — დილა აღრიანად ქალაქგარეთ გაველი სახეტილოდ. ბილიკით ავიარე თაბორის კალთა, იქიდან უკაცრიელ შარას გავყევი და ბევრგან მინდვრებზედაც ვიარე. გასულ კვირაში ორი დღის ნაწვიმარს ყველგან კეთილი კვალი დამჩნინა. გვალვისაგან შემქნარ ბალახს ღონე მისცემოდა, გამართულიყო და ძველი სურნელებაც თითქოს გაცოცხლებულიყო ყვითლად შეტრუსულ მის პა-

ტარა ფოთლებზე. ბუჩქებთან ჩრდილი-
ანში ახლად ამოსული სამყურა ხარობ-
და, ჯერ ძალიან მწვანე და თოთო ბავშვი-
ვით უმანკო. მაღლობიდან შორს ჩანს
ხევის სიგრძეზე წითლად ჩაბუდული
დედაქალაქი. თაბორზე და იქ, ქვემოთ,
ახლა სიჩუმეა, ჩემს გულში კი სიმშვი-
დე და სიყვარული ყველაფრისადმი,
რასაც თვალი გაწვდება. ყოველთვის,
როცა აქ ვიმყოფები, თავის თავს სიტყ-
ვას ვაძლევ, რომ სულ მალე ისევ მი-
მოვივლი იქაურობას. დაპირებას კი
ვიძლევ, მაგრამ, ცოდვა გატეხილი
სჯობს, ეს უბრალო სურვილიც ოცნე-
ბად მრჩება.

დაბინდებისას ძალიან დაღლილი,
მაგრამ ნამდვილად კარგ გუნებაზე დაე-
ბრუნდი შინ. არა, ამგვარი რამ პირვე-
ლი შემთხვევა არ ყოფილა. წინათაც,
როცა ბუნებაში თუნდაც რამდენიმე
საათით განემარტოვებულვარ, უმაღვე
დაამებულა ხოლმე ყველაფერი გულ-
დასაწყვეტი და ისე მომჩვენებია, რომ
არა არის რა სიცოცხლეზე უტკბესი
და მადლიანი.

ჩემ ოთახში მაგიდაზე კონვერტი
დამხვდა. როგორც კი დავინახე, მე-
ნიშნა, რომ ალყიდიან იყო გამოგზავ-
ნილი. ოღონდ მისამართი ანდროს ხე-
ლით ნაწერს არ გავდა.

გამიკვირდა და რაღაც უსიამო ეჭვიც
დამიბადა, როგორღაც უნდობლად გავ-
ხსენი კონვერტი. წერილი ანდროს თა-
ნამშრომელს გამოგზავნა. პირველივე
სტრიქონიდან გავიგე ის, რისი შიში
დიდხანია მქონდა.

„სამწუხარო ამბავი უნდა გაცნო-
ბოთ. თქვენი და ჩემი მეგობარი ანდ-
რო არღიშვილი უდაბნოს მსხვერპლი
გახდა. უფრო სწორად რომ ვთქვა, თა-
ვისი ჟინისა. ალბათ გინდათ იცოდეთ,
როგორი იყო მისი უკანასკნელი დღე.
ამის ერთადერთი მოწმეა მეგზური,
ვინც უდაბნოს გზებზე მუდამ ახლდა.
შევეცდები ზუსტად გადმოგცეთ მის
მიერ ნამბობი. ტუპრევისათვის ჩვეუ-
ლი ენის ფერადოვნებასაც ალაგ
უცვლელად დავტოვებ. აი რა მომი-

თხრო მან: — „შუალამისას ვამალვიდა
და მიბრძანა ორი აქლემი, შეგაშემო-
ჩემთვის და შენთვისო. სამსწრაფთა საქ-
მეაო. მეც არ დაეყოვნე. კარგ გუნე-
ბაზე იყო და გზაში ხან რას გადმოშა-
ხებდა, ხან რას. ისიც მითხრა ერთხელ:
დღეს იქნებ ისეთი რამ ვნახოთ, შენც
დიდად გაიხარებო. ვიფიქრე, თავის სა-
მუშაოზე მუშუბნება-მეთქი. ცა მოწმენ-
დილი იყო, გრილოდა. ვარსკვლავებს
ვაკვირდებოდი და იმედინად ვიყავი,
რომ სწორად გვეპირა გეზი ბანაკისა-
კენ, რომლის ახლო ნავთობის ქას ბურ-
ღავდნენ.

ბევრი გავიარეთ. ინათლა, როცა ქვი-
შიან ბორცვთან მივალწვიეთ. აქედან
მარცხნივ უნდა წავსულიყავით. ეს
კარგად იცოდა მან და მანც მარჯვნივ
შოხარა. მეგონა, შეცდა. მაშინვე ხმა
დავაწვი, მაგრამ ყურადღება არ მომაქ-
ცია. ეგ კი არა, აქლემს ფეხი ააჩქარე-
ბინა და გადმოშახა, — მომყევით!

მალე მზეც ამოვიდა და უმაღვე
სიცხე ჩამოწვა. ყოველი წუთით უფრო
და უფრო გაუძლისი ხდებოდა ხეატი.
შენ იცი, რა დაუნდობელია საპარას
მზე. ზევით ცა იყო მხურვალე, ფეხ-
ქვეშ კი სილა. სუნთქვა ქირდა, ის კი
ისევ შოლტავდა პირუტყვის და უდაბ-
ნოს სიღრმეში შეჰყავდა... მე მუჰამე-
დი ვარ, აქ გაზრდილი კაცი, არც მხდა-
ლი, არც ჯაბანი ვინმე და, დამეჭვრება
თუ გეტყვი, რომ უდაბნო არავის აპა-
ტიებს, როცა მას გაუთამამდებინან. ჩემ
თავსაც საფრთხეში ვავდებდი, მაგრამ
ხომ ვერ მივატოვებდი.

„და, აი, უეცრად ჩვენს წინ ოაზისი
გვიშალა. ისე ახლო მოჩანდა, თითქოს
იქამდე სულ მცირე მანძილი დარჩენი-
ლიყო. მრავალი ქარავანი მიტარებია
უდაბნოში, რას არ შეგესწრებიათ უდა-
ბნოში, რა არ მომჩვენებია, მაგრამ ასე-
თი მაცდუნებელი არასდროს... მთელი
დასალიერი ბალახიანი მწვანე ველით
იყო მოხატული. ტყიანი გორაკის ძირ-
ში კი, დიდ მინდორზე, სადაც მრგვლად
მოწნული ქოხმახები იდგა, გამოსუ-
ლიყვნენ მამაკაცები, ქალები, ბავშვები,

ხორუმში ჩაბმულიყვენ, დაფდაფებს აგრილებდნენ და საგალობელს ამბობდნენ. ნადირობიდან დაბრუნებული ახლგაზრდები დახოცილ ნადირს ჩრდილში ახვავებდნენ და ამას იყო რომ შეხაროდა ხალხი.

ქაბუკ მონადირეებისათვის გამარჯვების მისალოცად გამოემართა მინდვრის ყვავილებით მორთული რამდენიმე ზანგი გოგო. მათ მიუძღოდათ ყველასაგან უცბადვე გამოსარჩევი ქალიშვილი, რომელსაც გვერდით მორჩილად მიჰყვებოდა ჭიქის მსგავსი რალაც ნადირი. ქალიშვილის ტანს ვადაპკრავდა ფერი მზისა, რომელიც საცაა უნდა ჩაიძიროს ზღვაში. ის იყო როგორც სიმღერა ჩანჩქერისა, ერთხელ რომ შორეულ მთებში გავიგონე.

— ისიკუმბა! — მთელი ხმით შეჰყვირა ჩემმა უფროსმა, — ისიკუმბა!

არ ვიცი, რატომ ეძახდა ასე. ალბათ მის ნაცნობს გავდა.

— არ დაიჭერო, ეგ ყველაფერი მხოლოდ ზმანებაა უდაბნოსი! — გადავძახე და მოუხმე გამომყოლოდა.

არა, მას აღარ ესმოდა ჩემი. ანთებული თვლებით გაპყურებდა სივრცეს და ვგრძნობდი, აგერაც გასწევდა წინ. მაშინ მე გადავწყვიტე ძალა შეხმარა და იძულებული გამეხადა დამმორჩილებოდა: დავაჩოქე ჩემი აქლემი, გადავხტი მიწაზე, გავიქეცი მისკენ, მაგრამ ვეღარსად დავინახე. აღარც მისი აქლემი ჩანდა. ისიც ვერ გავიგე, საით წასულიყო. ბარხანები ფარავდა მის გზას. ის თითქოს გადნაო უდაბნოში. ვხედავდი მხოლოდ მირაჟს, რომელიც

თანდათან შორდებოდა დასალოცებს. მინდორი, ქოხები, გორაკები, ველაყენები და მათთან ერთად ზანგის გოგო თავისი ერთგული ჭიქით თანდათან ზევით მიიწევდნენ ეთერში. რამდენიმე ხანს კიდევ მიცურავდნენ ცის სიმაღლეში და, ბოლოს, ისინიც გაქრნენ.


გულდასმით დავზვერე იქაურობა. არ მინდოდა იმედი დამკარგოდა, მაგრამ ყოველივე ამას იყო. მაშინ მე, მუჰამედმა, ვინც გაზარდა და გააქალარავე უდაბნომ, მწარედ დავწყველე მთელი გარემო და გამოვბრუნდი. არა, მას ნულარ ელოდებით, ის ვეღარ მოვა“.

„აი თითქმის ყველაფერი, რაც მეგზურმა მიაგმო. რა თქმა უნდა, მაინც ვცადეთ მივშველებოდით ჩვენს კოლეგას, გამოცდილი კაცები გავგზავნეთ მის მოსაძებნად. ყოველივე ამას იყო, ნაკვალევსაც ვერსად მიაგნეს“...

• • •

— საბრალო! — ამოვიონრე ანდროზე დამწუხრებულმა, როცა წყრილი ჩავიკითხე.

მაგრამ ეს იქნებ ის სიტყვა არაა, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა თქმულიყო. იქნებ უფრო სწორი იქნებოდა უმაღლვე შევრიგებოდი იმ ამბავს, რომ ამგვარად დაასრულა მან თავისი დღე და წუთისოფელი... დარწმუნებული ვარ. ის ბედნიერი იყო იმ წუთებში და ისე მოკვდა, რომ თვალემა გაბრწყინებული ჰქონდა. იქნებ ეს იყო ის მწვერვალი ბედნიერებისა, რომელსაც კი ოდესმე შეიძლება მიაღწიოს ადამიანმა.



მარამ ღვინძე

• • •

უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის, — დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა.
არავითარი სხვა საშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მე დავინახე სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თოთხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაქვარდს გასჩრია.
არავითარი სხვა საშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მშვენიერია ორ-ზღვას-შუა კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ — ვის?“ ბებერ გულში ლახვრად მაჩნია.
არავითარი სხვა საშობლო ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

ყველას! ყველას! ყველას!

(ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო დ)

ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად,
ვისაც ჩვენი გაყოფა... და გათიშვა სწყურია,

ან ჭკვიანი მტერი არის, ან უგნური მოყვარე,
ამიტომაც, სადაც წავწედი, ერთიანად მოვთხარე.

მიყვარს — მტკვარი,

მიყვარს — ქსანი,

ტეზური და ენგური!

მიყვარს — „ლილე“,

მიყვარს — „ლალე“,

მიყვარს — „ჩელა“

მეგრული...

მაგრამ ყველას მირჩევნია ერთ დიდ მუშტად მეგრული,
რა თქმა უნდა, საქართველო — ვიყოთ მისი ერთგული!

დღევრბელ იყოს, საქართველოვ, შენი მზე და შენი ცა,
მრავალ ახალ, მრავალ ახალ, მრავალ ახალ წელიწადს!



მოგონებები მახრჩობს,
გულით ხანჯლები დამაჭვს.
ყველას თავისი ახსოვს,
ყველას თავისი შხამავს.

მახსოვს მუშაობა ჭრელი,
მახსოვს მაგიდა დახლთან,
მახსოვს დუქანი ძველი
ჯორჯიაშვილის ბაღთან.

ტიქას შეახო ტორი,
თვალი გადმომყრა იჭვით
კაცმა — რუსთველის ტოლი
თავზარდამცემი ნიჭით.

ომი, შიშხილი, ლპობა,
ირგვლივ სარდაფის ჯანლი,
უმარტივესი ყოფა,
უმარტივესი ხალხი.

გულით ვეტყვოდი „მამას“,
მეტყვოდა: „ძმას“ და „შვილოს“,
ეჭამდით პლებეურ ქაბაბს,
ესვამდით საერო ლეინოს.

ოპ, ის დუქანი გაჭრა,
სხვეები მოშენდა ჭარბად,
ვერ მიმიგნია ახლა —
სიზმარი იყო, ალბათ.

მოვიშხამები ოდეს,
თვითონ მოვიჩხრეკ ჯიბეს,
ჩემსას მოვძებნი ლოთებს —
სადმე ჩავყვები კიბეს.

გატანილია ლელო —
ლურჯ სივრცეებში დახვალ.
მოგონებაო, მკვლელო,
ჩემი პირველი ძმა ხარ!

თბილისს, პარიზს და ბერლინს
ერთი ტკივილი შხამავს...

„ხშირად ვიგონებ ვერლენს,
როგორც დაღუპულ მამას“.

მ ე შ ი ნ ი ა

ეს სოფლები:

ეს ლიქოკი, ეს არხოტი,
ცარიელა
ეს პარტაბი საიგაგო,
მეშინია,
ეს სამოთხე, ეს წალკოტი
სხვა არავინ
მოვიდეს და დაიკავოს!

ეს სხიერი,
ეს ლიქოკი, ეს არხოტი

არ ჩააქრო,
არ ჩააქრო! — გაფიცებდი.

არ წააგო,
არ წააგო ეს წალკოტი! —

დამიხსომე,
ახი წლის წინ გეძახოდი,

დამიხსომე,
განჯღრევდი და გაღვიძებდი!

შქმერს სათიბზე

არ დავობენ მეზობლები,
ძალი არ ჰყვფს,
ძალი არ ჰყვფს ბარისახოს;
ვაი თუ ვინმეს
მოეწონოს ეს სოფლები,
ვაი თუ ვინმე
მოვიდეს და დაესახლოს!

ე გ — ა რ ა შ ე რ ი



ეგ — არაფერი,
 ჩემო ქრისტო, ჩემო ლალაკო,
 ჩემო ფირანა,
 წინაპარო და ამხანაგო,
 ჩემო სილოვან,
 უწინ გლებო, მერმე დალაქო,
 ეგ — არაფერი,
 რომ გლეხკაცმა გაიქალაქოს,
 ჭიბრევის გზაზე
 რომ ტალახი ისევე ტალახობს,
 რომ ძველ ვენახში,
 ჩვენს ვენახში ხარი ბალახობს!..

ეგ — არაფერი,
 ჩემო სეფე და ჩემო რადენ,
 ჩემო ლინტორა,
 რომ ფარახეთს მიწები გაცდენ
 ჩემო ოქრუა,
 რომ კვაშხიეთს ბუხრები დამტენ,
 რომ ეანგიანი
 ბოქლომები ჭიშკრებზე გაჩდენ,
 ეგ — არაფერი,
 რომ ჩვენები, ძველები გაწყდენ,
 ხოლო ახლები
 მახრჩობელა დახლებში დასხდენ!...

თქვენ ეს მითხარით,
 ეს მითხარით, რა ვართ, რა რჯული?!
 გარდა იმისა,
 რომ დაგკარგეთ თავად წარსული,
 რომ ახმა ვაზი,
 ჩაქრა კერა მრავალტანჯული,
 რომ მუცლის ქონით
 დღეს სამოსი გვაქვს აჩაჩული,
 რომ უბე-ჯიბე
 ხელის ჭუჭყით გვაქვს დაჯარჯული,
 პატიოსნებაც
 ხომ არ წახდა ჩვენი, რაჭული?!

მოწყენილ სოფლებს —
 ალარც სტვირი, ალარც ფანდური!
 გაპარტახება,
 მყუდროება მზარავს საყდრული!



არც ვაზის მყნობა,
 არც შენება მაღალმზატვრული!
 არც ქალის წვერელა,
 არც ყიფინა ახალგაზრდული!
 აღარც „ქვედრულა“
 და ფერხული მრავალსართული!
 აღარც მომსვლელი
 და, პასუხად, აღარც დამხედური!

ქალამნის ჭვინტში
 აბრეშუმის ბალახით — თომით,
 საქართველოსთვის
 საიმედო (ფუძეზე დგომით!!!)
 მტერზე მიმსვლელი
 გულუბრყვილო დეგაკაცის წყრომით,
 სხვა დროს გართული
 თავის ვაზით, ხორბლით და ღომით,
 აქ ნაშენობდა,
 აქ მრავლობდა, განთქმული შრომით,
 ჩენი ბრძენი და თავმდაბალი ქართული ტომი!..

კი, კი, ბატონო,
 რომ არ ადგა მთის კაცს საშველი,
 კი გადიოდა
 საშოვარზე ძველი რაჭველი
 მაგრამ ნაშოვრის
 კურთხეული მისი მარჯვენით
 კვლავ რაჭაში და
 კვლავ რაჭისთვის იყო მზარჯველი
 და, სადაც იყო,
 თან დასდევდა ფიქრი მტანჯველი
 და თვალწინ ედგა
 უტკბილესი მიწის ნაჭერი:

„პორტ-არტურში ვართაო,
 ცხენის ხორცსა ვჭამთაო,
 ქვე, გზის ფული თუ ვიშოვნეთ,
 მალე ჩამოვალთაო“...

ან:

„დამისხი, დამალევიე,
 ჭკუას მოვალ, გონებასაო —
 რაჭას წასვლა მირჩევნია
 მილიონის ქონებასაო!...“



არც რაინდობა,
 არც უბრალოდ ეთიკა ომის —
 გახრწნა, დაცემა,
 დამცირება ადამის ტომის!..

დამესიზმრება:
 სისხლის წებო ჩექმაში ჩამდის
 და, როგორც კურდღელს,
 მესერშიტი მინდორში დამდევს.

ვღებები, ვეცემი —
 ვერ წავეუვლ მოტორის ხროტინს,
 სისინებს ტყვია,
 ჩემს გარშემო ბალახებს კორტინს.

მინის ლუკიდან
 შემამოწმებს პილოტის თვალი,
 ძირს, ცხენის ლეშთან,
 ხომ ნამდვილად ვაგდვივარ მკვდარი.

რა დარწმუნდება,
 შებრუნდება, ყიჟინას დასცემს
 და სხვა მინდვრებში
 სანადიროდ ხარხარით გასწევს.

გამელვიძება...
 შუქს არ ვანთებ... დე, ღამე იყოს —
 ღამის უკუნი
 მზამზარეულს მკარნახობს სტრიქონს:

არც რაინდობა,
 არც უბრალოდ ეთიკა ომის —
 გახრწნა, დაცემა,
 დამცირება ადამის ტომის!

„ზაკვა — პირით სიყვარულსა იჩემებდეს,
 ვულითა ბოროტი დაიშარხოს“

ს ა ბ ა

რა საჭიროა, რა საჭიროა
 მცხეთა, სამადლო, წყნეთი და ჭომა!
 სასაცილოზე სასაცილოა
 ჩვენი საერთო ტაბლასთან სხდომა!

მე მივაშურე საბას ტალავარს,
 სად მძრომთან ზაკვაც განიშარტების.
 „არცა კირჩხიბი მართლად არა ვალს,
 არც ძაღლის კუდი განიშარტების!“



აჩალური სიმინდებით,
გაკრეფილი ვაზებით,
უკეთესის იმედებით,
უარესის გაძლებით
დიან
ჩემი დღეები.

დავაგროვე ასითდე
ლექსი სისხლის გაშრობით.
მაინც ვაინაჩრობით,
ყოყმანით და ლაჩრობით
დიან
ჩემი დღეები.

გაძარცვული სიმინდებით,
გაკრეფილი ვაზებით,
უკეთესის იმედებით,
უარესის გაძლებით
დიან
ჩემი დღეები.

* * *

ახლა რომ დღეებია, —
ჩვენთვის გაკუნებული,
ახლა რომ ტყეებია, —
ჩვენგნით გაშენებული,

ეს დღეები — წავლენ და
წარსულს ჩაბარდებიან,
ეს ტყეები — არ გასურს და,
მაინც დაბერდებიან.

პრიალა ნაჯახებით,
კაი მჭრელი წალღებით,
მყვირალა ყაჩაღებად
მოვლენ წელიწადები.

მოვლენ, მოვლენ სხვა დრონი
კითხვით: ვისთან ამქრობდი,
რა ტყეების პატრონი
რა ეტლებით დაჰქროდი?!

დრო ყველაფერს აბერებს,
ცხელ პლანეტებს აცივებს,
ძირს დაამხოვს ნაფერებ
ტყეებს — დეკორაციებს.

ცოდვის კითხვა იქნება —
ცივი რკინის პრიალით
ჯაგ-რცხილების მიგნება,
წყალ-თხმელეების წრიალი...

მჯერა ანას ჭადრების,
არც შენს ძელქვებს ვწუხვარო,
ჩემს ტყეებზე რას მეტყვი,
ნათლიმაზავ მუხრანო?!

11846





მას უნიჭობა
 ლექსის მწერლის არ აკვირვებდა —
 უსინდისობა
 აცოფებდა და აყვირებდა.
 არ გადაჰკერია
 შურისაგან თვალეზე ლიბრი,
 მას ჭეშმარიტი
 პოეტების არ ჰქონდა ჯიბრი.
 ცხოვრობდა მათთან
 სიყვარულით, თანხმობით, ძმობით,
 და მეტიც — მათთვის
 თავგანწირვის მადლობის გრძნობით.
 თავს მიიჩნევდა,
 გულით უხვი, დიდხანს ლატაკად,
 სხვისი შექმნილის,
 სხვისი ნიჭის იდგა ქადაგად.
 მან არ იცოდა,
 არ იცოდა, რა იყო შური
 და, ამიტომაც,
 მაღლდებოდა დღითიდღე სულით.
 განიხვნენ მის წინ
 მშვენიერის დიადი ბჭენი
 და ვერც შენიშნა,
 რომ მფარველი ქალღმერთი ჩვენი —
 ოქროს ქალღმერთი
 მას დღითიდღე მეტად სწყალობდა,
 ჰყვარობდა, რაკი
 ფრინველივით გულით გალობდა.
 და დაუგროვდა
 მას სახალხო ქონება მყარი
 და, ნახევარი
 საუკუნის მიჯნასთან მდგარი,
 როდესაც ჩანვით
 უღვიძებდა თავის ხალხს იმედს,
 თავჩაჭინდრული
 ეხებოდა მთრთოლვარე სიმებს.
 მას ერთხელ ჰკითხეს:
 „რად წითლდებით ყრმისებრ შექებით?
 ან თავდახრილი
 ჩანგის სიმებს რისთვის ეხებით?
 აიღეთ თავი,
 ხომ ნაკლები სხვაზე არა ხართ,
 წინ წადგით ფეხი,
 სამშობლოში გასწით ამაყად!“
 და მან მიუგო:
 „სიტყვა ეგე არ გახლავთ ჩვენი —
 „ამაყი“ „ბრიყვისა“
 არაბულის გვიჭვიან ენით!“



ოციან წლების მძაფრი სურნელი
 სდის გაყვითლებულს ბიისფრად ფოტოს.
 იყო და არის ყოვლის მკურნალი —
 დრო ჩამოსაყრელს
 ჩამოჰყრის ფოთოლს.

მე, რა თქმა უნდა, ვიყავი ბავშვი,
 მამებს გარდახდათ ბრძოლები ძნელი:
 გამოფენილა სასახლის ბაღში
 ქართულ მწერლობის ოჯახი ჭრელი.

თვითონ პოეტი — ალყით ძლეულა,
 გარშემორტყმულა... ძმებით და მტრებით —
 ვაი სირცხვილო, სად მიმწყვდეულა,
 ვინც საუკუნე ასწია მხრებით!..

ოციან წლების მძაფრი სურნელი
 სდის გახუნებულს ბიისფრად ფოტოს.
 დრო ჰქრის და, დროა ყოვლის მკურნალი,
 დრო ჩამოსაყრელს
 ჩამოჰყრის ფოთოლს.

ს ი ბ ე რ ე

ძღვნაღ ს. გ.-ს

დაცხრი, გულო! — ხმალჩაგებით
 გასწი, იარ, უკელ ძგერას!

დაცხრი, გულო! — წასაღები
 წაულია უკვე ძერას!


ყოველ ხისძირს — ყაჩაღები!
 ყოველ შტოდან — გველი გვზვერავს.

დაცხრი, გულო! — წასაღები
 წაულია უკვე ძერას!

არც მეტი და არც ნაკლები —
 მზე ჩასვლის წინ ღრუბლებს ფერავს.

დაცხრი, გულო! — წასაღები
 წაულია უკვე ძერას!

1971



ალიო ანანიო

დიდი და კატარა კვატერიონი

ნაწილი მეოთხე

თავი პირველი

კონსტანტინე კაკუბერი ათ საათზე მოვიდა რაიკომში და როცა რევაზ ჩაფიჩაძე მისაღებ ოთახში დახვდა, რატომღაც ეწყინა, ძველ მეგობარს მაინც ღიმილით მიესალმა და კაბინეტში შეიწვია.

— რატომ შინ არ მეწვიეთ? საყვედურით თქვა კონსტანტინემ და რევაზს ვითომ მწყურალად გამოხედა.

— უთენია ჩამოვიდა მატარებელი.

— სასტუმრო ჯერ მოუწყობელი გვაქვს;

— ახალი შენობაა;

— საშველი არ დაადგა თბილისიდან ავეჯის გამოგზავნას: საახალწლოდ შევიპირეთ, აგერ ზაფხული მიიწურა და პირი არ უჩანს, რამდენჯერმე სავანგებოდ მივაველინე რაიკომის პასუხიმგებელი თანამშრომელი, მაგრამ უშედეგოდ.

— დიდი მოთხოვნილებაა ავეჯზე. თქვა ჩაფიჩაძემ.

— ვიცი, მაგრამ სასტუმრო სხვაა, — კატეგორიული ტონით თქვა კაკუბერმა. რაიონის ცენტრში ყოველდღე

მითავარია ხალხი ჩამოდის. რკინიგზის სადგური, სასტუმრო, მაღაზიები, რესტორანი, ბაზარი — უპირველესად ამით უნდა მივხედოთ, ამ ადგილებს ეტანება ხალხი... ჩვენი ახალი ბაზარი ნახეთ?

— ენახე.

— ჩვენი ბაზარი კისლოვოდსკის ბაზარივითაა, კისლოვოდსკში ხართ ნამყოფი?

— არა.

— მე სწორედ შარშანწინ კიყავი. დასასვენებლად. წავედი და წარმოიდგინეთ, ოცდაოთხი დღის ნაცვლად მხოლოდ ათი დღე დავრჩი. გავიარე კისლოვოდსკის ბაზარში და მომეწონა, ძალიან მომეწონა და ვერ მოვისვენე. მოველაპარაკე არქიტექტორს, თავდაპირველად ჭიჭე შევდა, მაგრამ ორმაგი გასამრჯელო შევთავაზე, დავითანხმე და პროექტის ასლი გადამიღო, ცოტაოდენი ცვლილებებით შევიტანე და ზერვას მოვაშურე. გაუყვირდათ ჩემი ნაადრევად ჩამოსვლა. მეორე დღესვე რაიონის აქტივი მოვიწვიე, გამოვძებნეთ სახსრები და შევეუდეთ ახა-

ლი ბაზრის მშენებლობას. როგორ ფიქრობთ, დიდხანს გაგრძელდა მშენებლობა? სრული სამი თვე! დიახ, სამ თვეში ავაშენეთ კისლოვოდსკის ბაზარზე უკეთესი ბაზარი, ჩვენმა ბაზარმა მეზობელ რაიონებშიც გაითქვა სახელი და მეზობელი რაიონების კოლომეურნეებს ჩვენს ბაზარში მოაქვთ სურსათ-სანოვაგე გასაყიდად... სასტუმრო კი ვერ მოვაწყვეთ და ვერა!

— ჩავალ და რამეს ვილონებ.

— თუ რაიონს დაეხმარებით, დიდად დამავალბეთ.

კონსტანტინემ მდივანს უხმო და დაავალა აღმასკომის თავმჯდომარესთან შემაერთო.

— მამის სანახავად, ხომ?

— თუ დრო დამრჩა, — უხალისოდ თქვა რევან ჩაფიჩაძემ და კონსტანტინეს სიგარეტი გაუწოდა.

— ალექსანდრე თბილისში მეგულეობდა. არ მასოვს ვია, ვილაცამ მითხრა, ხემაღალში გამოიზამთრაო. მერე და როგორი ზამთარი იყო!

— მესამე წელია თბილისში. არ ჩამოსულა.

— ვერ გაბატებ! მოკიდე ხელი და წაიყვანე თბილისში.

— ვნახოთ. — უხალისოდ თქვა ჩაფიჩაძემ და მოუწვეველი სიგარეტი საფერფლეში ჩაასრისა.

და ეს „ვნახოთ“ უსიამოდ ჩაესმა ყურში კონსტანტინე კაკუბერს, თითქოს საყვედურით იყო ეს „ვნახოთ“ და უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სწორედ ამ დროს შემოალო კარი მდივანმა — აღმასკომის თავმჯდომარე ტელეფონთანააო.

— ხარიტონ, გამარჯობა შენი, ჩვენი რეზო ჩამოვიდა თბილისიდან... რომელი და ჩაფიჩაძე! სხვა ვინაა ჩვენი რეზო? — საყვედურით თქვა კონსტანტინემ. — არა, აქ ნუ მოხვალ, პირდაპირ რესტორანში მოდი.

კონსტანტინემ მდივანს დაუბარა, თუ თბილისიდან დარეკონ, უთხარი სოფლებში ვარ წასული. — მერე კაბინეტის მარჯაფი კარი გააღო, რევანს

მზრუნველად გაუყარა მკლავი, კბილებზე ნელნელა ჩამოატარა და რაიკომის ეზოდან წერეთლის ქუჩაზე გავიდნენ. მშენებლები მოკრძალებით ესალმებოდნენ კაკუბერს და განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ ჩაფიჩაძეს, სურდათ გამოეცნოთ, ვინაა ეს კაცი, რაიკომის მდივანი ფეხით რომ დაჰყვება ქუჩაშიო.

როცა ბაზარს მიუხალოვდნენ, კონსტანტინემ ნაბიჯი შეანელა, რევანი მიუხვდა, ბაზარში ეპატიებოდა კონსტანტინე.

— დილითვე დავათვალიერე. მდინარისკენ გაიწვევიათ ბაზარი. კარგია.

— ვიწროებშია მოქცეული ხერგა, — თქვა კონსტანტინემ და ხელი დასაველეთისკენ გაიშვირა. იქ, სადაც სატეველა უხვევს, ვრცელი ზეგანია, ხერგასთანა ქალაქი ხუთი დაეტევა. ეტყობა, ჩვენში წინაპრები შეცდნენ...

— არა. ზეგანი ვრცელია, მაგრამ ქარიანი. საცობებულად უვარგისია, დარწმუნებით თქვა ჩაფიჩაძემ.

...ხარიტონი რესტორანში დაუხვდათ, „რაიკომის კაბინეტში“ (ასე შეარქვა რესტორნის დირექტორმა — შადიმან შარანგიამ — რაიკომის და რაიალმასკომის პასუხისმგებელი თანამშრომლებისათვის მიჩენილ ოთახს) დასხდნენ და კართან ზორბა ვაეკაცი გაიჯგამა.

— რესტორან „უღელტეხილის“ მოსამსახურე პერსონალის უმდაბლესი სალაში ჩვენს ძვირფას სტუმრებს! — „ესტრადული სიყალბით თქვა ზორბა ვაეკაცმა. მერე კაბინეტში შემოვიდა, კონსტანტინეს და ხარიტონს გაუღიმა, რევანს სამხედრო სალაში მისცა, თვალი გაუყარა და დაიბუხუნა: — ვიცნობდეთ. თქვენ მოგემსახურებთ რესტორან „უღელტეხილის“ ბუფეტის გამგე შეთავსებით, უფროსი ოფიციალტიც. სახელი — აბელი. გვარი — კიკნაველიძე. მამის სახელი — როსტომი. დაბადების წელი 1928. დაბადების ადგილი — სოფელი ხემაღალი, ხერგას რაიონი, საქართველოს სსრ. პარტიუ-

ლობა — ყოფილი კომკავშირელი, ამჟამად უპარტიო, მაგრამ პოლიტიკურად განსწავლული და სანდო. რესტორანში მუშაობის სტაჟი — თოთხმეტი წელი. ჭერჭერობით პასუხისმგებლობა არაა ნამყოფი. ჰყავს ერთი ცოლი, სამი შვილი და ორი სიდედრი... სტუმრებს ეთხოვთ, პატივი დაგვდონ და გულით მოიღებინონ.

აბელ კიკნაველიძემ სტუმრებს მორჩილად დაუკრა თავი და გაუჩინარდა.

— ახირებული კაცია, — ცოტა წყენით თქვა კონსტანტინე კაკუბერმა.

— ერთხელ თბილისელ პასუხისმგებელ ამხანაგებს ვაგუშართვით ვახშამი, მაშინ წარმოადგინა ეს ნომერი, ძალიან მოეწონათ და ბევრიც იხარხარეს იმ დღიდან მოყოლებული. სტუმარს თუ შემოგყვები რესტორანში, ასე ჩააანკეტებს.

აბელ კიკნაველიძე ვეებერთელა ხონჩით შემოვიდა კაბინეტში, საუბრე კობხტად დააღაფა სუფრაზე. პატარა ჭიქებს მალალი ყელიანი, ჭიქები შემოუწყყო, მერე შამპანურის ბოთლი დამბახასავით გაისროლა, ჭერ რევაზს შეუვსო ჭიქა, მერე კონსტანტინეს, „მთავრობასთან ცოტა უკაცრავადო“, მოუბოდიშა ხარიტონს, ბოლოს ხარიტონის ჭიქაც შეავსო და კაბინეტიდან გავარდა.

...საუბრის შემდეგ კაკუბერმა ითხვისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დასათვალისწინებლად წაიყვანა ჩაფიჩაძე. ხერგადან ითხვისამდე ოციოდე კილომეტრია, გზა სატყველას მარცხენა ნაპირს მიჰყვება, მოსაფალტებულა და მანქანა მსუბუქად მიჰქრის.

კაკუბერის ფიქრი: „დილითვე, მითხრა, მამის სანახავად კი არა, შენთან ჩამოვედი აუცილებელი საქმის გამო, აგერ შეადღემ მოატანა და არაფერს მანიშნებს. თუ საიდუმლოა, ჩემს კაბინეტში მარტონი ვიყავით, არც ქუჩაში გვიმოიდა ვინმე ხელს, ახლაც მარტონი ვსხედვართ მანქანაში და არაფერს მეუბნება“.

— როგორ მიდის თქვენი მეცნიერული მუშაობა! — უფრო სიტყვის დასარღვევად ჰკითხა კონსტანტინემ და რევაზი მიუხედა, კაკუბერს არც ისე აინტერესებდა ჩაფიჩაძის „მეცნიერული მუშაობა“. უნდოდა სიტყვა ბანზე აეგდო, მაგრამ ეუხერხულა.

— თავს ეანებებ. — უხალისოდ თქვა ჩაფიჩაძემ.

— რას ანებებთ თავს? გაცოცხლებით ჩაჰკითხა კონსტანტინემ.

— მეცნიერულ მუშაობას.

— ინსტიტუტს ანებებთ თავს?

— დიახ, ინსტიტუტს, — ისევ უხალისოდ თქვა რევაზმა და სიგარეტი მიიწოდა კონსტანტინეს.

კაკუბერის ფიქრი: „ფარსავი რაღაც მომხდარა. შარშანწინ დოქტორობის ხარისხი დაიცვა, პროფესორის წოდება მიანიჭეს, კათედრის გამგე იყო და მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს და ახლა ანუშებს თავს მეცნიერულ მუშაობას? რაღაც აუწყობელი საქმეა, ამხანაგო რევაზ, და თუ შეიძლება, უფრო გასავეზად მოახსენეთ თქვენს ძველ მეგობარს — რატომ შემოუწყრა მეცნიერებას რევაზ ჩაფიჩაძე?“

— მიზეზი?

— პრაქტიკული მუშაობა მომწყურდა. — მშვიდად თქვა რევაზმა და ასანთს გაჰკრა, ჭერ კაკუბერის სიგარეტს მოუკიდა, მერე თავისას.

მანქანა მსუბუქად მიჰქრის მოსაფალტებულ გზაზე, ითხვისამდე ათიოდე კილომეტრი დარჩა. კონსტანტინე და რევაზი ჩუმად სხედან, სიგარეტს აბოლებენ, მანქანა არწევთ და სადაცაა ჩასთვლემენ, მაგრამ მანქანამ უცბად დააგდო მოსაფალტებული გზა, სატყველა გადაჰკრა და აღმართს შეუყვია, ახმურდა და კონსტანტინე და რევაზიც გამოაფხიზლა.

კაკუბერის ფიქრი: „ჩვენ შორის უმნიშვნელო უკმაყოფილება არ მახსოვს. მე ყოველთვის ვამაყოფდი რევაზ ჩაფიჩაძით. მესახელებოდა, ჩემმა თანამემამულემ გაბედულად რომ გაიკრიფა გზა

მეცნიერებაში. დისერტაციის დაცვის შემდეგ, მოზეიმეებს ვეტრახებოდი — მათ, ასეთ ნიჭიერ ადამიანებს ზრდის-მეთქი ჩვენი რაიონი“.

და კონსტანტინე მაინც გრძნობს, რევან ჩაფიჩაძე უკმაყოფილოა კონსტანტინე კაკუბერით, წყენა გულში ჩაუხვევია და არ ამხელს. ჰო, გულჩათხრობილი კაცია რევან ჩაფიჩაძე... ადრე თბილისიდან დაურკვედა — ჩამოსვლას ვაპირებ და რაიონში თუ იქნებიო, სადგურზე დახვდებოდა კონსტანტინე, პირდაპირ შინ მიჰყავდა და კაკუბერის მეუღლე საუზმეს გააწყობდა, — ილხენდნენ და ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს.

შედმართებზე მანქანამ სვლას უკლო. „თავის სახლში მივეყვარ“. — გაიფიქრა ჩაფიჩაძემ.

„ჰო, თავის სახლში მიდის კაკუბერი, მეგობარსაც მოაღზენს და მოხუც მშობლებსაც გაახარებს. შეილსა და სტუმარს ახალ ქვევრს მოუხდის ლონგი კაკუბერი. სუფრას აივანზე გაშლიან, ლონგი კაკუბერის ოდასახლის აივანზე გრილა და აივნიდან კარგი სამზერია — მთელი ითხვისი და მეზობელი სოფლები მოჩანს, შერე თანდათან ვაკდება, შორს, დასავლეთით მზეში ცურავს კოლხეთი, ხოლო ჩრდილოეთით კავკასიონი აღმართულა.“

„უკვე მეურნეობის ტერიტორიაზე ვართ, ეს მეურნეობის შიდა გზებია?“ — გამოსახიზლებლად ეუბნება კონსტანტინე ჩათვლემილ რევანს.

ჩაფიჩაძის ფიქრი: „ასეთივე მიხვეულ-მოხვეული და შედმართიანი გზები ექნებოდა მეურნეობას, ხემაღალში რომ გაეშენებიათ. — სავენახე მიწა კი, — გაცილებით მეტი. აქ მხოლოდ ცოლიკოურია ჩაყრილი, რადგან ითხვისში სხვა ჯიშის ვაზი ვერ იხარებს. ზემოთ, კაკუბერთა უბანში, ცდილობენ ციცკა გაახარონ... ხემაღალში ციცკაც ჩინებულად ხარობს, კაბერნეც, მგალობლიშვილის შავიც, ცოლიკოური ხომ ხარობს და ხარობს. მეურნეობა

კი, მაინც ითხვისში გააშენეს. თბილისიდან გამოწვეული სპეციალისტების დასვენა — კი, სხვაგვარი იქნება მაგრამ ის დასვენა როგორღაც პაერში გამოჰკიდეს. უბრალოდ და იოლოდ არ მომხდარა ეს. უხილავი ძალა არ გამოჰკიდებია ამ საქმეს, რაიკომმა მოიმოქმედა ყოველივე, მოთავედ — კი რაილმასკომი გამოაჩინა: ხემაღალში გზა არ არის, ხემაღალში მოსახლეობა მცირეაო. თბილისში ჩამოვიდა რაილმასკომის თავმჯდომარე. ერთი კვირა იწრიალა საბჭოთა მეურნეობების ტრესტში და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიიღწია და მაშინ კონსტანტინე კაკუბერი ჩამოვიდა თბილისში, „დამატებითი მასალები“ მიაშვილა რაილმასკომის დადგენილებას და საქმე შეტრიალდა — პროექტი ნაწილობრივ შეცვალეს და ხემაღალის ადგილი ითხვისმა დაიკაურთა“.

ჰოდა, იმ დღიდან მათ შორის შავმა კატამ გაიარა.

ოთხი წელია ერთმანეთი არ უნახავთ დღეს კი, შეხვედრისას, სიყვარულით როდი მოიკითხა მეგობარი ჩაფიჩაძემ — რასა იქმ, შინ როგორ ხართო, პირდაპირ განუცხადა — შენთან საქმეზე ვარ ჩამოსულიო. აგერ შუადღემ მოატანა და იმ საქმისას არაფერს ამხელს მონუსხულივით ზის მანქანაში, თვალეები ოდნავ მოუჭუტავს და თვლემს.

კაკუბერის ფიქრი: „გულჩათხრობილი კაცია რევან ჩაფიჩაძე, ის წყენა გულში ჩაიხვია და საქმემ თუ მოითხოვა, ამოახვევს გულის სიდრმიდან და მაშინ... მაგრამ კონსტანტინე კაკუბერი წინდახედული კაცია, პატივცემულო რევან, აღმასკომმა დაასაბუთა მეურნეობის ითხვისში გაშენების სარფიანობა“ ...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. კონსტანტინემ თითქოს დაივიწყა ეს საქმე, მხოლოდ ჩაფიჩაძის მოულოდნელმა სტუმრობამ გაახსენა და ამოატივტივა, თანდათან ამოატივტივა და გრძნობს კაკუბერი, რომ მისი ძველი

მეგობარიც ამ ძველ სატყვიარს უტრიალებს... პო, მოჭუტული თვალთ კაკუბერის თვალში იმზირება რევან ჩაფიჩაძე, იმზირება და ყოველივეს წვრილად, მარცვალმარცვალ ადადგენს და კითხულობს, — აბა, როგორ ეგონა კონსტანტინე კაკუბერს? ხედავს, ყველაფერს კარგად ხედავს ჩაფიჩაძე და კონსტანტინე კაკუბერი იძაგრება, გულში ძაფი ჩაუწყდება, მაინც იმხნევებს თავს, — ეს ამბავი შორეულია და უთუოდ დაივიწყა რევან ჩაფიჩაძემო.

ჯერ შინ მიიყვანს ძველ მეგობარს და მოაღხენს, მეურნეობის დათვალერებას მერეც მოასწრებენ. აივანს უკვე ჩრდილი ექნება მომდგარი, აივანზე დასხდებიან, გაიშლიფებენ და გახალისდებიან.

— რაფიელ, ხმადაბლა ეუბნებოდა კონსტანტინე შოფერს, — მამაჩემის სახლისაკენ მიუხვიე.

შელმართები მოთავედა, ითხვისის ზეგანზე სწორი გზა გაჭრილი და მანქანა მსუბუქად მიდის.

კაკუბერთა უბანი. მოლიანი ეზოები, კრამიტით გადახურული ოდა სახლები. ეზოებიდან ბაიბურიც არ ისმის. სიცხისაგან გათანგული ბავშვები ჩრდილს შეფარვიან, მანქანის ხმაურზე მაინც წამოიშალნენ და მესრების ღრიკოებში გამოჰყვეს გადახორცილი თავები. კაკუბერთა უბნის ბავშვები ცნობენ ამ ვოლგას, ეს რაიკომის ვოლგაა. იციან, შიგ ძია კონსტანტინე ზის, ამიტომაც არ შეუტკვენენ მანქანას. ზოგი თამამი ბიჭი ხელს კი დაუქნევს, მაგრამ შეძახილით არ შეეხმიანება.

...კაკუბერთა ოდასახლის აივანზე სუფრას უსხდნენ ძველი მეგობრები: რევან ჩაფიჩაძე, კონსტანტინე კაკუბერი და მეურნეობის დირექტორი ლევან ჯინორიძე.

ლევანი ჩაფიჩაძესთან ერთად სწავლობდა ინსტიტუტში და ინსტიტუტის დამთავრებისთანავე პრაქტიკულ მუშაობას მოეკიდა. მცირე ხანს ხერგას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს დი-

რექტორობდა, მერე თავის სოფელს მოაშურა და ბარე ათი წელიწადის კოლმეურნეობის მთავარი მკვლევარი იყო.

— სადილად აქ, ვახშმად კი, ჩემთან! — ღიმილით თქვა ლევანმა.

— ამაღამ შინ ავა! — თქვა ჩაფიჩაძემ და მაჯის საათს დახედა.

— ხემალაღში ამაღამ როგორ ააღწევ? — გაიკვირვა კონსტანტინე კაკუბერმა.

— ლევანი მათხოვებს ცხენს. ცხენი ხომ გყავს ლევან?

— მყავს, ოღონდ გაშვებით კი ვერსად გაგიშვებ.

რევან ჩაფიჩაძემ ისევ დახედა მაჯის საათს და გადაჭრით თქვა:

— ოთხ საათზე წავალ.

„თავნებაა. რაკილა თქვა, ქირიც რომ მოქამო, წავა“, — გულში თქვა კონსტანტინე კაკუბერმა და კიქებში ღვიწრო დაასხა.

— აგერ, ახალმოსახლეთა უბანს ხომ ხედავ? შენი მეზობლები არიან ხემალელი ჯინორიძეები, თავმოწონებით თქვა ლევანმა და ხელი ახალმოსახლეთა უბნისაკენ გაიშვირა.

— კარგი სახლები კი აიგეს, — ჩაუერთო კაკუბერის მამამ.

— ჯინორიძეებს არც ხემალაღში ედგათ ურიგო სახლები, ეზოებიც უფრო დიდი ჰქონდათ.

— ბეჯითი ხალხია. მეურნეობას ჯინორიძეებით უდგია სული. — მიამიტად თქვა ლონგი კაკუბერმა.

— ხემალაღში ჩინებული ვენახი ჰქონდათ ჯინორიძეებს, — ითხვისის ვაზი კი ვერ შეედრება ხემალაღის ვაზს.

— შესაძლოა, — რაღაცნაირი მორჩილებით თქვა ლევანმა.

— ნამდვილია, — ხმას აუწია ჩაფიჩაძემ, — ითხვისში მარტო ცოლიკოური ხარობს, ხემალაღში კი ოთხი ჯიშის ვაზი: ცოლიკოური, ალიგოტე, მგალობლიშვილი, ციკვა.

— რატომ მარტო ცოლიკოური?

ციცკაც ხარობს! ჰო, ციცკაც ხარობს — დაბეჯითებით თქვა კონსტანტინემ.

— ციცკას გახარებაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი, — დამარცვლა რევაზ ჩაფიჩაძემ, — შესაძლოა, წელს ნიმუში გამოისხას ციცკამ, გაისად კი, თავი დაგვიკრას. პატარა ფერდობი დაგიომიათ ციცკასათვის და თუ ფერდობზე ფეხი მოიკიდა, მერე ბარში უბირებთ გადმოსახლებას? საფრთხილოა. ვერც ცოლიკოურს დაასახელებთ ითხვისის ბარში: — შენ ხომ იცი, ლევან, — მეგობრულ კილოზე გადავიდა ჩაფიჩაძე. — ითხვისის ბარს ახლო უდგას წყალი, ცოლიკოურის ფესვი კი ექვსი მეტრის სიღრმეში მიდის...

ახლა კი მიხვდა კონსტანტინე კაკუბერი, მუნჯივით რატომ იჭდა მანქანაში რევაზ ჩაფიჩაძე.

კაკუბერის ფიქრი: „ჰო მუნჯივით იჭდა და ვითომ თვლემდა, ნამდვილად კი ყველაფერი აღუნუსხავს და ხელისგულზე დაუწერია. ახლა სადინარი გაუხსნა შეკავებულ ბოლმას. გვიმტკიცებს: დანაშაული ჩაიდინეთ! დიახ, ბოროტება გაქვთ ჩადენილი და ახლა ცდილობთ ბოროტების კვალის დაფარვასო. განა ლონგი კაკუბერმა არ იცოდა, რომ ითხვისის ბარს ახლო უდგას წყალი? განა ლევან კაკუბერმა არ იცოდა ეს? მაინც ურჩიეს კონსტანტინე კაკუბერს საბჭოთა მეურნეობა ითხვისში გააშენეო და კონსტანტინეც დაეთანხმა, აღმასკომი მოიშველია და კომისიის დასკვნას წყალი შეუყენა. ხედავთ, როგორ მაგარ-მაგარ სიტყვებს ისვრის?“

მზეში თვალისმომკრელად ბზინავს შეწამლული ვაზი. დაბლა, გზის პირად, ახალი შენობის კორპუსი აღმართულა. ეს მეურნეობის ღვინის ქარხანაა. აგერ მესამე წელია ამ ქარხანას აშენებენ და სადაცაა გადახურავენ. ვეებერთელა ჩანები, ყურძნის საწური და არყის სახდელი მანქანები ფარულშია დაბინავებული.

ასეთი სიმძლავრის ღვინის ქარხანა

არ სჭირდება ითხვისის საბჭოთა მეურნეობას. ეს იცის რევაზ ჩაფიჩაძემ. ამიტომაც უბოდიშოდ ეუბნებოდა ლევან კაკუბერს.

— ითხვისის პირნახული ხემსადაც არ ეყოფა ამ ქარხანას.

— კოლმეურნეობა და კოლმეურნეებიც მეურნეობას ჩააბარებენ ყურძენს, — თქვა კონსტანტინე კაკუბერმა და მწყარალად გამოხედა ჩაფიჩაძეს.

სულ ოცდახუთი პექტარი ვენახი აქვთ ითხვისელ კოლმეურნეებს, — აქედან ხუთმეტრი საკარმიდამო ნაკვეთზე. მესამედს ხომ დაიტოვებს გლეხთაღვისთვის? ზოგიერთი ნახევარსაც დაიტოვებს! აუცილებლად დაიტოვებს და თქვენი ქარხნისათვის რაღაღარჩება?

...მაგრამ ეს მსჯელობა და მტკიცება ზედმეტია ახლა, ყველაფერი წასულია და მორჩომილი. არაეინ ასკრის ითხვისის მეურნეობის ვაზს, უკვე აშენებულ ღვინის ქარხანას არაეინ მოიკიდებს ზურგზე და ხემალში არ გადაიტანს...

მზეში ბზინავს ფერდობზე შეფენილი ვაზი, ჭინორიძეთა უბანსაც მზე აცხუნებს და ჭინორიძეთა ოდები კოხტაობენ და თავს იწონებენ.

კონსტანტინემ მაჯის საათს დახედა, ღვინის ქიქები შეავსო და ჩაფიჩაძეს გაუყარა თვალი.

— რაკი ხემალში მიდიხარ, ერთი სათხოვარი შემისრულე, — ათიოდე კომლი დარჩა ხემალში.

— ჩვიდმეტი, — გაუსწორა ჩაფიჩაძემ.

— ყველა სახლი განა კომლია? — ნიშნისმოგებით თქვა კონსტანტინემ, — ოღონდ მამაშენი დაითანხმე და სხვა არაეინ გაჩიქდება. აი აგერ, ჭინორიძეთა უბნის გაყოლებით ღონიერი მიწაა, თუ მოისურვებენ, აქ დავასახლებთ, თუ რომელიმე სხვა სოფელს ირჩევენ, მათი ნებაა, იმ ამორჩეულში დავასახლებ, — ცივი, გამყივარი ხმით თქვა

კონსტანტინემ და რევან ჩაფიჩაძე ისე შეტოკდა, თითქოს მახვილი ეძგერებინოთ გულში.

— კარგად იცი, — განაგრძო კონსტანტინემ, — ისე შორსაა ჩვენგან ეს დალოცვილი ხემალალი და უგზოობით ისე ვართ მოწყვეტილი, ერთმანეთისათვის ხელი ვერ გავგიწვდენია...

რევან ჩაფიჩაძე აღმა, შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო ხელები, აივანზე გაიარა-გამოიარა, ჯინორიძეთა უბანს გაბედა — მზეში თავს იწონებს ჯინორიძეთა უბანი, კოხტაობენ კრამიტით გადახურული ოდა სახლები, ჭიშკრებიდან ოდასახლების აივნებამდე თალარები გაუმართავეთ ჯინორიძეებს, ჭიშკრები თეთრად შეუღლებიათ და თეთრი ჭიშკრები გამვლელებს შინ ეპატიებებიან... ჰო, რევან ჩაფიჩაძეს უღიმიან და ეპატიებებიან ჯინორიძეთა თეთრი ჭიშკრები და ოდასახლები: ყოველი სახლი სიხარულით შეხვდება, ახალ ჭურს მოუხდის. სუფრას გაუშლის, მხარზე მგვობრულად დაჰკრავს ხელს, დალოცავს, გულში ჩაიკრავს, ჩაჰკოცნის და ალაღის გულით შესძახებს — ღმერთმა გაგახაროს ჩემი გახარებისთვისო.

მერე რევანის მამას მოიკითხავენ და დალოცავენ ჯინორიძეები, გულსპირ ჩაფიჩაძეს და აბესალომ კიწანველიძეს მოიკითხავენ, დიდი ეკატერინესა და პატარა ეკას ამბავს წვრილად გამოჰკითხავენ — მოწაფეები თუ დაუდით სკოლაში დიდ ეკატერინეს და პატარა ეკას. კიდევ ვინ დარჩა ხემალალშიო...

ფიჭრი კონსტანტინეს ხმამ გაუწყვიტა.

— დაუჩემებიათ, ხემალალში დაეიმარხებითო და ჰყავთ ვინმე დამმარხავი? მამაშენი — შენი იმედითაა, დიდი ეკატერინე — პატარა ეკას იმედით. სხვები ვისი იმედით არიან? თვითონ ხომ არ წაიღებს მიცვალებული თავისთავს სასაფლაოზე?

და კონსტანტინე კაკუბერმა გაიღიმა. ცივად გაიღიმა.

მერე რევან ჩაფიჩაძის გულში შეიჭ-

რა ის სიცივე, მონუსხა და დააპატარავა.

ლონგი და ლევან კაკუბერსა და გაჰკრა კონსტანტინე კაკუბერის ცივმა ღიმილმა.

— განა შეიძლება მიცვალებული თავისთავის სასაფლაოზე წაღებას? ისევე ღმილიანად თქვა კონსტანტინემ და რევანს თვალი გაუყარა.

— მესაფლავედ ვერ გამოვდგები — გაჰკარებთ თქვა ჩაფიჩაძემ.

— ყველამ თავის მკვდარს უნდა უპატრონოს! — ისევე ცივი, გამყვიარი ხმით თქვა კონსტანტინემ. მერე, აქაოდა, ჩინებული რამ ვთქვიო.

ყელი მოიღერა. გამარჯვებულივით აღმა ზეზე, ხელი გაიშვირა ჯინორიძეთა უბნისკენ.

— რით არ სჯობია ხემალალს. ჰა, რით არ სჯობია? ამას ხომ ფიცი-მტკიცი არ სჭირდება?

— მჯობნის მჯობნი არ დაილევა ბატონო კონსტანტინე, თითქოს ჩაფიჩაძის ნაცვლად თქვა ლევან კაკუბერმა.

კონსტანტინემ დამკინავად გამოხედა ლევანს და ლევანი მიხვდა, კონსტანტინეს არაფრად ექაშნიკა მისი საუბარში ჩარევა.

— მე პრაქტიკულად ვამბობ — ამჟამად ითხვისი სჯობია საცხოვრებლად ხემალალს და ვეუბნები ხემალალელებს: გადმოსახლდით, ბატონებო, ითხვისში, შეირჩიეთ ეზოები, იმ შერჩეულ ეზოებში სახლებს დაგიდგამთ, შეგეშველებით. ხელს შეგიწყობთ და ჰა ბურთი და ჰა მოედანი! მეურნეობაში მუშაობას მოისურვებთ? იყოს ნება თქვენი. კოლმეურნეობას შეუერთდებით? შეუერთდით, ბატონო! რა შუაშია მჯობნის მჯობნი? მე პრაქტიკულად ვსვამ საკითხს და საკითხიც პრაქტიკულად გადაწყვეტით... პირდაპირ გეტყვი რევან, — ხმას დაუდაბლა კონსტანტინემ და ირგვლივ მიმოიხედა. — პროვოკაციას მიწყობენ შენი ხემალალელები. აქაოდა, სკოლის დირექტორი ვარო, ფიჭრობს ეკატერინე და სკოლას არ ეშვება... რომელი სკოლის დირექტო-

რია, არ იკითხავ! ძალით დაჰყავს სკოლაში თორმეტოდე ბავშვი. შარშან სახურავი ჩაელეწა სკოლის შენობას და ხერგავში ჩამოგვექრა ეკატერინე, აბა მიშველეთ, სკოლა გადამიხურეთ და გამირემონტეთო. ერთი შენობის გარემონტება და გადახურვა რა ბედენაა რაიონისათვის, მაგრამ უმიზნოდ რატომ? თბილისში გაქანდა ეკატერინე და განათლების მინისტრმა საყვედუროანი წერილი მომწერა. ცხენებით ავიტანეთ კრამიტი ხემაღალში. სასაცილო კი იყო. სოფელი ვართ. სოფელი ვართო — იძახიან და აბა, რა სოფელია? სამყოფი სიმინდი და ლობიო ვერ მოუყვანიათ. ჰო, სიმინდი და ლობიო ვერ მოუყვანიათ სამყოფი! ჰაჲა და წყალი გვაქვს ჩინებულიო, მშიერ კუჭზე სვან წყალი და ისუნთქონ სუფთა ჰაერი... პროვოკაციას მიწყობენ! ჰო, პროვოკაციას მიწყობენ და სხვა არაფერი! ისე მაგრად დგანან. ეტყობა, ვიღაც ეხმარება და ვიღაცის იმედით არიან... ხვალ ჩამობრუნდები და ხემაღლეღათა პასუხი ჩამომიტანე.

— მე ხემაღალში დავრჩები. — თქვა ჩაფიჩაძემ.

— დარჩით, ბატონო. ერთი კვირა ათი დღე.

— მე დრო არ დამითქვამს, — ხმა დაიბოხა რევაზ ჩაფიჩაძემ, — ხემაღალში ვრჩები-მეთქი, მოგახსენეთ.

— მერე-და, რა უნდა გააკეთო ხემაღალში?

— საბჭოთა მეურნეობას დაეხმარებთ! — დარწმუნებით თქვა ჩაფიჩაძემ და კონსტანტინეს თვალი გაუყვარა.

— აჰა, ძველი დასკვნები ამოქექეთ? ვენახს ჩაეკიდეთ ისევ?

ჩაფიჩაძის ფიქრი: „ყველაფერი წვრილად იცის, ამიტომაც შორიდან არ მოვუარე, მაგრამ მეურნეობა რომ ვუხსენე, მაინც აიძვარა — „აჰა, ძველი დასკვნები ამოქექეთო? ისევ ვაზს მოეკიდეთო? ახელა საქმეს ეკიდებით და მე არაფერს შევითხებით? ჰო, გაჯავრებულია“.

— ვაზი ითხვისელებმა დაისაყუტო-რეთ, ჩვენ თუთის ხეს გავახარებთ!

— თუთის ხეს? — გაოცდა კონსტანტინემ, — ჰაა, აბრეშუმის ქია... ლაბორატორიას აწყობთ ხემაღალში?

— მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობას.

— არსებობს ასეთი მეურნეობა სადმე?

— ჩვენი მეურნეობა იქნება პირველი.

— რატომ მაინცდამაინც ხემაღალში?

რევაზ ჩაფიჩაძემ ღვინო მოსვა, სუფრასთან დაჯდა და ხალათის გულჯიბიდან პატარა წიგნაკი ამოიღო.

— მინდოდა ბარათი მომეწერა თქვენთვის, მაგრამ ჩამოსვლა ვამჯობინე... დიახ, ხანგრძლივი კვლევის შედეგად ხემაღალის თუთის ხის ფოთოლი მსუყუა და ლბილი... აი მე თქვენ, — მღელვარება შეეტყო ჩაფიჩაძეს — რვეულს დაგიტოვებთ, დიახ რვეულს, ამ რვეულში ყველაფერი გაანგარიშებული და დაზუსტებულია... ლევანს მიუბრუნდა, — ერთად წაიკითხეთ, ეს დიდი საქმეა. რატომ მაინცდამაინც ხემაღალში? ამაზე ახლავე გიბასუხებთ: ხემაღალის ჰაჲა და ნიადაგი საოცრად ახარებს თუთის ხეს, ამას დიდი ხანია ჩვენი ინსტიტუტი იკვლევს. მთელი კოლხეთის, სამეგრელოს მთიანეთის, ვაკე იმერეთისა და ზემოიმერეთის სოფლებში მოყვანილი აბრეშუმის პარკის ნიმუშები და მათგან ამოხვეული ძაფი ცალცალკე შევისწავლეთ ჩვენი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, შევისწავლეთ და უპირატესობა ხემაღალს მივანიჭეთ... ამ წიგნაკში ყველაფერი წერია, დაგიტოვებთ და გაეცანით...

— მაგარი საქმეა! საქვეყნოდ მოვიჯავფეთ თავს! — ისე გადაჰრით თქვა კონსტანტინემ, თითქოს დადგენილებას მოაწერა ხელი და ზედ ბეჭედიც დაასვაო.

კაკუბერის ფიქრი: „ამიტომაც დადიოდა გარეგარე აქაოდა, კონსტანტინე ამიხირდება, ეს რა უცნაური საქმე მოე“.

გიგონიაო, დიხაც ავეუხირდები — გეგმის შედგენა იოლი საქმეა, ამხანაგო რევაზ, ხემაღალში მეურნეობის გაშენება-ჯოჯოხეთი. ვიცი, დიდი ეკატერინე უჩინინებს — კაკუბერმა აგვიოხრა სოფელი, ჭინორიძეები წარგეტაცა, ახლა ჩვენ გვიპირებს აყრას და რამე გვისაშველო. ამიტომაც მიბღვერს“.

— მე ყველაფერი ავწონ-დავწონე, ამხანაგო კონსტანტინე, — სოფელი, გზა, სატეველას ხეობა...

— ვერ დაგეთანხმები! — შეაწყვეტინა სიტყვა კონსტანტინემ, — დიხაც ვერ დაგეთანხმები! გზაო, ახსენე და, სადაა გზა?

— როცა სოფელი სოფლობდა...

— ისტორიას მოვეშვათ! საურმე გზა იყო, საბარგო მანქანებიც კი დადიოდნენ ხემაღლიდან ხერგამდეო, — ისტორიაა. ახლანდელს შეხედე — დაცარიელებული სოფელი, ჩამორეცხილი ფერდობები, სატეველას ვუღდაბურებული ხეობა, თორმეტი ბავშვი, ორი უხელფასო მასწავლებელი. ხუთიოდე ბერძეცი, აი ესაა დღევანდელი ხემაღალი და ამ ხემაღალში გინდათ საბჭოთა მეურნეობა დააარსოთ? ვისი ხელუბით? პა, ვისი ხელუბით? მამაშენი და გულსპირი შეგეშველება? დიდი ეკატერინე და პატარა ეკა? აბესალომ კეკნაველიძე და მისი მეძუძური შვილიშვილები? ეგებ ფიქრობ — სხვა სოფლებიდან გადმოსახლდებიან ხემაღალში! რატომ? რისთვის? ყველა საბჭოთა მეურნეობაში უმთავრესად ადგილობრივი ხალხი მუშაობს, მარტო მანქანა ვერ უშველის საქმეს! ეგებ ჭინორიძეების აყრას ფიქრობ?

— ჭინორიძეების აყრა საჭირო არაა, — თქვა რევაზ ჩაფიჩაძემ, — სხვაგანაც ბლომად არიან ხემაღლელები, თითონ ხერგაში! და რას აკეთებენ ისინი ხერგაში? ლაქიებად მუშაობენ სასაღილოებში, დამტარებლად ფოსტაში, კოოპერატივებში ნოჭრებად, პურის მალაზიებში გამყიდველებად, რკინიგზის სადგურზე მტვირთავებად, დაწესებულებებში დარაჯებად და შიკრიკებად...

მეურნეობა მათ ხელახლა დაასახლებს ხემაღალში და ისინი დედულ-მამულს დაუბრუნდებიან.

— კარგი ოცნებაა — თქვა კონსტანტინემ და ჭინორიძეთა უბანს გახედა.

— ნამდვილს მოგახსენებთ! ზოგიერთ მათგანს უკვე ვესაუბრე. მეურნეობას დიდი პერსპექტივა აქვს, ამხანაგო კონსტანტინე, თავდაპირველად გზას გაიყვანს მეურნეობა. მერე... მერე თუთის ხე ვაზს შემოირგავს და აგერ, ეს ითხვისის ღვინის ქარხანა უქმად რომ არ იდგეს, ყურძენს მოგაწვდით ხემაღლელებში...

— ყველაფერი გაანგარიშებული და გადაწყვეტილი გქონიათ და რისთვის გპირდებით რაიონის თანხმობა?

— საქმეც ეგ არის, რომ ჭერჯერობით მხოლოდ გაანგარიშებულია, — დამარცხლა სიტყვა ჩაფიჩაძემ, — გადაწყვეტით კი მაშინ გადაწყდება, როცა რაიონი თანხმობას განაცხადებს და სამინისტროს და საბჭოთა მეურნეობების ტრესტს სათანადო ხელშეწყობას აღუთქვამს.

— ჰოდა, მეც მანდა ვარ! — იფეთქა კონსტანტინე კაკუბერმა, თანხმობა? ორივე ხელით! თანხმობა და სურვილი მოგვიერთმეცია სამინისტროსა და ტრესტისათვის! მივესალმებით, წარმატებას ვუსურვებთ! დაკმაყოფილდებიან! მე კარგად ვიცი სამინისტროსა და ტრესტის ქამანდები: ადგილს შეარჩევენ, პროექტს შეადგენენ, ვითომ მისხალ-მისხალ გაანგარიშებენ ყველაფერს, გზას გაიყვანენ, საცხოვრებელ სახლებს ააშენებენ... დიხა, ამ ადგილზე კულტურის სახლი, აქ სკოლა, გვერდით სპორტული მოედანი, პურსაცხობი — კი, მოსახლეობა რომ არ შეწყუბდეს, ცოტა მოშორებით, პურის ფარდული კი აი აქ, მეურნეობის ცენტრში. ხეივანიანი შიდა გზები, ხეხილიანი ეზოები, გაყვანილია წყალსადენი, დასახლების ცენტრში აუზი და შადრევანი, სახემოლიმარი დედები შვილებს დაასეირნებენ აუზის გარშემო... ამ პროექტს დაამაკეტებენ და მინისტრი

და ტრესტის მმართველი სამკაულებით დაკიდებენ თავიანთ კაბინეტებში და მორჩა და გათავდა! დიას, მათთვის მორჩომილია საქმე, უმძიმეს ტვირთს რაიონის ზურგზე შეაგდებენ და ზიდე ეს მძიმე ტვირთი: ფულს არ მოგაწვდიან დროზე და საკმარისად, ვერც მანქანებს გამოგიგზავნიან და რაიონმა უნდა იმტვიროს თავი! ვიცი, ძალიან კარგადაც ვიცი მე სამინისტროს და ტრესტის ფანდები, — დაპირებებით აგავსებენ და მერე მშრალზე დაგტოვებენ... მძიმე საქმეა, რევაზ.

— მშენებლობას მე ვუხელმძღვანელებ.— დინჯად თქვა ჩაფიჩაძემ და კონსტანტინე კაქუბერმა ცერად გახედა ძველ მეგობარს.

ხემალას შედამებულზე ამოაღწია რევაზ ჩაფიჩაძემ. აღმართებზე სიარულით დაღლილიყო ცხენი და ოფლში ცურავდა. რევაზი დაქვეითდა, მოსართავეები მოუშვა და უნაგირი აუმსუბუქა ცხენს, შუბლი და თვალის არეები ცხვირსახოცით შეუმშრალა, შეება იგრძნო ცხენმა, დაიფრუტუნა, აღვირი დაიგრძელა და ბალახს მიეტანა.

კონსტანტინე კიკნაველიძის ჰიშკართან დაქვეითებულა რევაზი, სიბნელეში პირველად ოდასახლის თეთრი ბუხარისთავი გამოისახა, მერე ყავრის სახურავიც ხილული გახდა. აივნის სვეტებიც, კარ-ფანჯარაც, თეთრი ქვის თლილი კიბეც.

ჰიშკართან ცაცხვი დგას. ცაცხვის ხემკარგი ჩრდილი იცის და კონდრატე კიკნაველიძეს ცაცხვის ძირში გრძელი ძელსკამი და ქვის მაგიდა ედგა. შუადღის თაყარაში და საღამოს სიგრილეში ამ ძელსკამზე იჯდა კონდრატე კიკნაველიძე, იჯდა და გარშემო შეილები ეხვია. ათი შეილი ჰყავდა, გამოწერილივით — ხუთი ვაჟიშვილი და ხუთი ქალიშვილი. ქალიშვილებს და ვაჟიშვილებს ანბანის რიგითობით შეარქვა სახელები: ანა, ბარბალე, გაიანე, დარეჯანი, ელისაბედი, აბესალომი, ბაგრატი, გიორგი, დავითი, ელიზბარი.

შუადღის თაყარაში და საღამოს სიგრილეში ძელსკამზე იჯდა კონდრატე კიკნაველიძე და შეილებს ებუბუბუბუდა, ხმაურობდა ეზო, ილიმებოდა კონდრატე კიკნაველიძის ოდა. მერე სწრაფად, ძალიან სწრაფად დაიზარდნენ კიკნაველიძის ქალიშვილები, დაიზარდნენ და დათხოვდნენ, მაგრამ შორს არ წასულან, ანა, ბარბალე და გაიანე ჯინორიძეებმა გამოსტყუეს, დარეჯანი და ელისაბედი ითხვისელებმა. მერე ხანმა გაიარა და შეილიშვილებით აივსო კიკნაველიძის ეზო, ახლა ამათ ებუბუბუბოდა კონდრატე, ძელსკამზე მოაქუნებდა შეილიშვილებს, თითონ შუაში ჩაუჯდებოდა და წიქარასა და ნაცარქექიას ზღაპრებს უყვებოდა. გატრუნული, შოშიებივით პირლია ისხდნენ კიკნაველიძის შეილიშვილები და გაოცებულნი შესცქეროდნენ უცნაური ზღაპრების მთხრობელს.

დაამთავრებდა ზღაპრის მოყოლას ბაბუა კონდრატე და ძელსკამიდან აიშლებოდნენ შეილიშვილები, ახმაურდებოდა ეზო და იცინოდა კონდრატე კიკნაველიძის ოდა.

მერე ბიჭები დაიზარდნენ. აბესალომმა ითხვისელი კაქუბერის ქალიშვილი მოუყვანა რძლად კონდრატეს და დიდი ქორწილი გადაიხადეს, მთელი კვირა გაგრძელდა ღებინი.

მერე ხანი გავიდა, იმ ქორწილიდან ძალიან პატარა ხანი გავიდა და კონდრატე კიკნაველიძის ხუთივე ვაჟიშვილი პირწმინდად წავიდა ომში. სიზმარივით იყო. პო, ხუთივე წავიდა და ხუთნივე ჯერ კაკავთან იბრძოდნენ, მერე — კი ქერჩში... ქერჩის ჯოჯოხეთს მხოლოდ უმცროსი ელიზბარი გადაურჩა სასწაულივით და ხემალაში დაბრუნდა... ცალხელა დაბრუნდა და ძმების დაღუპვის ამბავი ვერ დაუმალა მშობლებს. დედა აგრათინას ელდა დაეცა და ელიზბარის ჩამოსვლის დღესვე გარდაიცვალა.

ცხელი ცრემლით არავის უტირია აგრათინა, — ვარსკვლავებივით ვაჟიშვი-

ლები დაეხოცა, როგორ იცოცხლებდა უბედურიო.

და მოიშალა კონდრატე კიკნაველიძის ოჯახი. ელიზბარმა ცალ ხელზე ბარი და ნაჯახი ვერ მოიხრგო, უსაქმოდ ვერ იხეტიალა სოფელში და ხერგას მიაშურა. სამხედრო კომისარი დაეხმარა და გამყიდველად მოაწყო მონადირეთა დუქანში. პატარა ბინა მისცეს, ცოლი შეირთო და მამაც ქალაქში წაიყვანა.

ბევრი უჩიჩინეს ნათესავეებმა და მეზობლებმა კონდრატე კიკნაველიძეს სახლი ვაეყიდა, მაგრამ ჯორზე შეჯდა. ელიზბარსაც არ დართო ნება სახლი ხერგაში გადმოეტანა, — ჩემი დაღუპული ვაჟიშვილების ხსოვნისათვის იდგეს ეს ოდა ხემაღალშიო, ან ხომ შეიძლება სასწაული მოხდეს, რომელიმე დაბრუნდეს შინ და სახლი რომ არ დახედება, ეწყინებაო.

და დგას კონდრატე კიკნაველიძის ოდა ხემაღალში, დგას და ომიდან მოუბრუნებულ ვაჟებს ელის, კონდრატესა და ელიზბარსაც ელის. ჭიშკარი ღიად დაუტოვებია და ელის. არც ერთნი ჩანან და არც მეორენი, არავინ მოდის და

კონდრატე კიკნაველიძის ოდას მოუწყენია, კარი ჩაუკეტია და ფანჯრის დარაბები მიუხურავს.

ამ სიბნელესა და სიჩუმეში დაბალი, ოდნავ გასაგონი ხმით რალაცას თავისთვის ჩურჩულებს კონდრატე კიკნაველიძის ოდა. ცაცხვი კი შრიანებს, ებუბუნება სახლს და ცდილობს შრიანით გაამხნევოს სახლი.

... რევაზ ჩაფიჩაძე ადგა. მოესურვილა — შეაჭრილოს ეს დაუქმებული ჭიშკარი, ოდაში ავიდეს, გამოაღოს ფანჯრის დარაბები, აივანზე გაიარ-გამოიაროს, ჩაახველოს და დაილიდინოს, შეახშიანოს კონდრატე კიკნაველიძის ნაღვლიანი და დაღუპებული სახლი.

ცხენმა დაიჭიბინა, კისერი მაგრად გაიჭნია და აღვირი გამოგლიჯა ხელიდან.

რევაზი ცხენს შეახტა და ჩორთით წაიყვანა ორშარაში, უხმაუროდ ჩაუარა კონდრატე კიკნაველიძის ოდას.

ზეგანზე ამოვიდა და ჩაფიჩაძეთა უბანი გამოჩნდა.

ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში სინათლე ენთო.

თავი მეორე

დილით მდინარის ხმაურმა გამოაღვიძა.

სატეველას უცნაური ზნე სკირს — მთის მდინარეები ღამის სიმყუდროვეში მომეტებულად ხმაურობენ, სატეველა კი, პირიქით — შებინდებისას უჩრდება, თავშალად მსუბუქ ნისლს დაიბურავს და იძინებს, ხოლო ალიონზე, როცა ხემაღალის ქედებს ცისკარი მოადგება, ტალღებს აადგაფუნებს, ნისლს დაიფრენს და ლოდებზე კისრისტებით მიედინება.

დილის ბინდბუნდში ნელი, მორიდებული ნაბიჯით გაიარ-გამოიარა ეზოში, მერე თანდათან აუშჩატდა სხეული, მუხლებში უცნაური ძალა იგრძნო და აივნიდან ჭიშკარამდე ისე გაირ-

ბინა, როგორადაც ოცი წლის წინათ გაურბენია.

ჭიშკართან შედგა. მიმოიხედა, არავინ მიყურებდესო.

სათოფეზე არავინ ჩანდა.

ალაგეზე მსუბუქად გადახტა, სიგარეტს მოუკიდა და მდინარისაკენ ჩაკიდულ ბილიკს დაადგა.

რევაზის ყმაწვილობისას უფრო ფართო იყო ეს ბილიკი. ახლა მარტო ალექსანდრე ჩაფიჩაძე, აბესალომ კიკნაველიძე და გულასპირ ჩაფიჩაძე დაბაჩუნობდნენ ამ ბილიკით სატეველაზე. უფრო ადრე, ჰო, როცა რევაზი სულ პატარა იყო და ფეხშიშველა დატანტალედა, მაშინ შვიდი უბანი იყო ხემაღალში და სატეველაზე შვიდი სა-



ურმე გზა ჩადიოდა, ურმებით დაქონდათ საფეკვეი ხემალღელებს სატეველას წისქვილებზე. მერე უზნები შეთხელდა, ის საურმე გზები ბილიკებად იქცნენ, მაგრამ მაინც ხმაურობდნენ, მღეროდნენ და ჭორჭორაობდნენ ის ბილიკები. მერე? ჰო, მერე და მერე რიგრიგად გაიპარენ ის ბილიკები. შეიღი ბილიკიდან ექვსი ამღგარა და გაფრენილა, ერთი ბილიკილა დარჩენილა და ამ ბილიკზედაც ბალახს ამოუყვია თავი, აქა-იქ ლორთქო ბალახს სულ დაუფარავს და სადაცაა გულასპირის, აბესალომის და ალექსანდრეს ბილიკიც ადგება და გაფრინდება.

ზაფხულობით ყინულივით ცივია სატეველა და მდინარისპირად გრილოდა. შარვლის ტოტები მაინც მუხლებამდე აიკაიწა, მდინარეში შევიდა. მკერდი გაიღელა, ჩაიმუხლა და სახეზე ზედიზედ შეისხა წყალი. ბალობისას ასე იბანდა ხელ-პირს სატეველაში, ოცი წლის წინათაც, დილაადრიან ასე შარვალაკაბიწებული აღმა-აღმა, აბესალომ კიკნაველიძის წისქვილამდე აყვებოდა სატეველას, ჯიღებს საგულდაგულოდ ამოხელავდა და შინ ერთ აცმა თევზს მაინც მოიტანდა.

ახლა ორიოდ წუთი ძლივს გაუძლო სატეველას. შეცოვდა და გააფრთოლა, სწრაფად გამოვიდა ნაპირზე, ლოდზე შედგა და მზეს მიეფიცხა.

სატეველას გაღმა, ნიგვზიანის ფერდობებზეც გამქრალან ბილიკები. უფრო დაბურულა ტყე. ხეებს ბარდი და დურღენი მორეცია, ისე დაბურულა ნიგვზიანის ფერდობები, კურკანტელასაც ვერ გაიტანს ჩიტი ნიგვზიანის ზემოდ. ჩაფიჩაძეთა ნაყანევი მუხლამდე ბალახი ბიბინებს და ეს ბალახი დღემდე ვერ მოუძოვია ხემალღელთა ძროხებს, ხარებსა და თხებს.

მზე აფიცხებს და მაინც სცივა. ისევ ფეხშიშველი შევიდა მდინარეში, გაღმა გავიდა და სასაფლაოსკენ მიმავალ ბილიკს აყვია.

...ძლივს მიაგნო დედის სამარეს.

ხის პატარა ჯვარმა აპოვნინა,

„აქ განისვენებს მელიკი შარანგია-ჩაფიჩაძისა“
 ნეშო და ბალახბულახი შარანგია-ნარეს, მიწა ხელისგულივით მოაფხვიერა და გარშემო პატარ-პატარა ქვები შემოუწყო, ეკლესიის დარღვეული გალავნიდან დიდი ქვა მოათრია და დედის საფლავს სასთუმალივით დაუღო თავთან.

ხავს დაუფარავს უპატრონო საფლავები. სასაფლაოს შუაგულში მათხოვარივით დგას სახურავჩაღეწილი და უკარო ეკლესია. ჰო, ხემალას დამგვანებია სასაფლაო. გავერანებულა ჩაფიჩაძეთა, კიკნაველიძეთა, ჯინორიძეთა საფლავები. თოვლსა და წვიმას დაუქანავს საფლავთა რკინის ლობეები, ქარს წაუქცევია და დაუშხვრევია, მერე ნეშოსა და ხავსს დაუფარავს, ყველა სამარე ცარიელ-ტარიელია და ხავსიანი.

შუადღემ მოატანა. ახლა სატეველას ნაპირებზედაც კი თავარა დგას, ხემალას სასაფლაოზე კი გრილა, ვეებერთელა ცაცხვების ჩრდილი ფარავს სასაფლაოს, ხანდახან სიჩუმის გასაფანტავად ცაცხვები ტოტებს შეიშრალბენ და დამფრთხალი ბელურები ეკლესიას შეესევნიან ქვილე-ქვილით.

გაუხარელი ჩავიდა სამარეში დედა მელიკი. არა, ერთი სიხარული კი ნახა;

ერთ ზაფხულს ხემალაში ამხანაგები ჩამოიყვანა რეზომ. ბევრი იყვნენ, მათ შორის ოთხი ქალიშვილი. იმ ოთხიდან ერთი მოუვიდა თვალში მელიკს. რუსუდანი ერქვა. შოლტივით ტანი ჰქონდა რუსუდანს. სახე თეთრი. თვლები მაყვლისფერი, ხემალაში რომ მწიფს, ისეთი მაყვლისა. თმა, სხვა ქალიშვილივით, ვაჟურად არ ჰქონდა შეკრებილი. ცოტას ლაპარაკობდა და მორიდებულად, დარცხენით ილიმობდა. გოგოები პატეფონს რომ აწყვილებდნენ ეზოში და ჯიქობანას ცეკვავდნენ, რუსუდანი სამხადში იყო და მელიკს შველოდა. ბიჭები სათევზაოდ რომ წავიდნენ სატეველაზე და ქალი-

შვილები ყვავილების საკრეფად მინდვრებში გაიკრიფნენ, რუსუდანი სახლში დარჩა, ქალაქის ამბები მოუყვა მელიქს და თამბაქოს პატარა ქისა მოუქსოვა ალექსანდრეს.

— დედი, ძალიან მოგწონს რუსუდანი?

— ძალიან, ძალიან მომწონს, შვილო, ღმერთმა გაახაროს მისი გამზრდელი.

— ჰოდა, ჩემი საცოლუა. გადაწყვეტილია, მაგრამ მამას მაინც ნუ ეტყვი.

...ერთი წელიც და იქორწინებენ. გაისად სამხატვრო აკადემიას დაამთავრებს რუსუდანი და მორჩა.

ამ ერთ წელს სიხარულში გაატარებს მელიქი. მერე? მერე რევაზი ჯედ-მამას თბილისში წაიყვანს, ჰო, ზამთრობით თბილისში იცხოვრებენ, ზაფხულობით კი — ხემალაღში. ასე იყო დათქმული, მაგრამ ის ერთი წელი უჩვეულოდ გაიწეა, საბედისწეროდ გაიწეა ის ერთი წელიწადი. საგაისოდ დანიშნული ქორწილი ბარე ექვსი წლით გადაიდო და რევაზი ისე წავიდა ფრონტზე, ხემალაღში ვერ ჩამოვიდა და მშობლებს ვერ გამოეთხოვა. ის იყო და ის. მერე არა თუ შვილი, შვილის წერილიც არ უნახავს მელიქს.

მთელი ღამეები სანთელი ენთო ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში, ძილგამკრთალი იყო დედა მელიქი., ტახტზე პირალმა იწვა გაბეგვებული ალექსანდრე — „რა შორს წასულხარ, ბიჭო, დაღმართზე დაგორდა ჩვენი ბედის ქვა, უკუღმა დატრიალდა ჩვენი წისკვილი“...

ზამთრის გრძელ ღამეებში ძაფს ართავდა და წინდებს ქსოვდა მელიქი, დღისით მეზობლებში დადიოდა — ეგების ვინმესგან რამე გავიგოო და ფიქრსა და დარდს არ უჩანდა ბოლო.

თოვასა და სუსხში ცის ქვეშ სძინავთ ჯარისკაცებსო და მეუღლის ნამალევად აივანზე წვებოდა მელიქი.

უჩაერდებოდა ალექსანდრე: რა მოხდა, ქალო, ვაეკაცები ყოველთვის წასულან ომში! ვაეკაცებს დღემუდამ

უომნიათ და შინ გამარჯვებულნი დაბრუნებულან. აბა ეცადე ^{მეტი} მეტი შალე და ახალი სადარცმელო დაახვედრე ბიჭს, — არ ვარგა, ღმერთიც და შვილიც გიწყენს ასეთ საქციელს“.

და დიდის ვაივავლაბით შეჰყავდა ოთახში გაყინული მელიქი.

ქარს მიჰქონდა ალექსანდრეს ჩინი, მელიქი ისევ თეთრად ტეხდა ღამეებს, ლოცულობდა შვილისთვის, მარხულობდა, შიშულობდა და თანდათან დადნა და დაილია ქალი.

უცნაური სიკვდილით მოკვდა მელიქი.

მაისის თვე იყო. ოცი მაისი, რევაზის დაბადების დღე. ოცდახუთი წლისა შესრულდა რევაზ ჩაფიჩაძე. ალექსანდრეს არ გახსენებია შვილის დაბადების დღე და მელიქი გულმოსული იყო.

ხაქაპურები დააცხო, კაი შესუქებულნი მამალიც დაკლა, რევაზისეული პატარა ჭური მოხადა და სადილზე გულასპირ ჩაფიჩაძე და აბესალომ კიკნაველიძე მოიწვია.

— რა ჩემად ზიხართ, ვაეკაცებო, — შეუტია მეუღლესა და სტუმრებს, — ბიჭი დამილოცეთ, დღეს მისი დაბადების დღეა, ოცდახუთისა შესრულდა ჩემი რეზო.

...იმ ღამეს ადრე დაწვა მელიქი და ბევრი, ბევრი რამ გაიხსენა. ილოცა და ილოცა, მოეაღერსა და თანაც გაუჩაერდა შვილს — „რა დაგემართა, რა მოუტლელი გახდი, შენი ტოლები დღედღეზე აგზავნიან ბარათებს, შენ კი ერთიც არ მალირსე... არც ომში წასვლისას მომინახულე და არც არაფერსა მწერ, რა მოუტლელი გახდი, ბიჭო!“

გვიან ჩაეძინა. ჩაეძინა და შვილის ხმა შემოესმა. ჰო, რევაზის დაბადების დღეა დღეს და შვილი გამოეძახნა დედას. შორიდან, ძალიან შორიდან ეძახის შვილი დედას და ხმა-კი, ახლოდან ისმის; ხემალაღთან სულ ახლოს მონულა ოცდახუთი წლის რევაზ ჩაფიჩაძე. ჰო, დედის საყვედური მიუვიდა შვილს და შვილი დედისაკენ გამოეშურა. ნა-

ომარი, დაღლილი რევაზი ტაატით ჩამოდის ფერდობზე, სატეველას მოადგა და შედგა, სახლისკენ იხედება და დედას უხმობს.

„მდინარეზე ვერ გამოვდივარ დედი, მომეშველე!“

და დედა ლოგინიდან წამოიჭრა და ვიევიით გამოვარდა გარეთ.

მაისის ჩუმი ღამე იდგა, სატეველას შხელი შემოესმა მელიკის, რევაზის ხმა — კი არა. დიდხანს იდგა დედა მელიკი აივანზე, შვილის ხმას იყო დაყურადებული და შვილმა ხმა არ მოაწვდინა.

ფრთხილად შევიდა სახლში, შიშობდა — ალექსანდრე არ გამოვალეძოო, ჩაიცვა და უკანა კარიდან გავიდა ეზოში, ერთი შეათვალიერა ეზო და მდინარისკენ ქარივით გაქანდა.

მშვიდად ფშვინავდა სატეველა, მდინარის გაღმა-გამოღმა არავინ იყო.

ლოცვა-ლოცვით წამოფრატუნდა შინ. ძლივს ამოიარა აღმართი.

და მერე ყოველღამე ესიზმრებოდა ეს სიზმარი:

ჩაეძინებოდა თუ არა მელიკს, ფერდობზე მომავალი რეზო გამოჩნდებოდა, ტაატით მოდიოდა დაღლილი და გასაყავთებული, მოადგებოდა სატეველას და შეჩერდებოდა, ველარ გამოდიოდა სატეველაზე და დედას უხმობდა.

„მდინარეზე ველარ გამოვდივარ დედი, მომეშველე!“

...იენისის იმ ღამით წვიმდა.

შუალამემდე აივანზე მუნჯივით იჯდა მელიკი და ხემალაის მთებს გასცქეროდა ბნელში. წუთით მიეღულა თვალი და შვილი გამოეცხადა. დღეს უფრო დაქანცული ეჩვენა რევაზი, ზურგზე ტვირთი მოუკიდია და ღივლავით მოდის. ჰა, როგორც იქნა ჩამოიარა ფერდობი, მდინარემდის მოაღწია და შედგა. შედგა კი არა, მოცელილივით დაეცა და სუსტი, მიკნაეებული ხმით გამოეძახა დედას.

„მომეშველე, დედი!“

და დედა მელიკი წამოიჭრა, ხმაუ-

რით ჩამოიბრინა აიენისკებ და წვიმაში სირბილით გაქანდა მდინარისაკენ. სატეველასთან შეღრმელოდება. ჰო, დაქანცულია რევაზი, მუხლებში ძალა გამოლევია, პატარა, სულ პატარა მდინარეზეც ვერ გამოსულა, შველას ითხოვს და შვილის საშველად ქარივით მიჭრის თავდაღმართზე დედა მელიკი.

ფერდობი ჩაირბინა, სატეველას შხელი შემოესმა, შვილიც დაინახა, აგერ მდინარის გაღმა ლოდზე წევს, დედას ელოდება და ჰა, დედაც მოვიდა.

ფეხი დაუსხლტა, ლოდზე დაარტყა ყეფა და სული განუტევა.

დილით წისქვილში მიმავალმა ალექსანდრე კიკნაველიძემ იპოვა მელიკი.

სველი ლოდი სასთუმალივით ედო თავთან, სახე უღიმოდა და ღიად დარჩენილი თვალები მდინარის გაღმა იმზირებოდნენ.

...დედის სამარესთან ზის რევაზი და ხემალას დაჰყურებს.

შვიდი უბანი იყო ხემალალში და სოფლიდან მდინარემდის შვიდი ბილიკი იყო ჩაყიდული. ახლა ერთი ბილიკი-ლა დარჩენილა ხემალალში, ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიჩაძეების და აბესალომ კიკნაველიძის ბილიკი. ეს ბილიკიც გაწვრილებულა, ბალახი ამოზრდილა ამ ნაბოლარა ბილიკზეც და სადაცაა ეს ბილიკიც წაიშლება...

შუადღის თაყარა გადგა. ნიაგი ჩაჩუმდა და ბედურებიც აღარ ვიევიებენ. სამარისებური სიჩუმე დაუფლებია ხემალაის სასაფლაოს და ამ სიჩუმეში დროც გაჩერებულა, არაფერი არ სუნთქავს და არაფერი არ მოძრაობს, შზეც ერთ ადგილზე გაუქვავებია ამ უძრაობას და სასაფლაოს დუმილს და სევდას შორს, ძალიან შორს გაურეკია სიცოცხლე.

ჩრდილში, ხასხასა მოლზე დედის სამარესთან პირაღმა წამოწვა რევაზი.

თვალები მიღულა რევაზ ჩაფიჩაძემ და თითონაც თითქოს არარაობად იქცა. თავზე გასარკული ცა დაჰყურებს

და ეს ფირუზისფერი ცა შავად ეჩვენება. მზე ჩახჩახებს, მთელი დედამიწა მზის სხივებში ცურავს, გახურებულია მიწა და მიწას ოხშივარი ასდის და ყოველივე ეს წყველიადივითაა რევავ ჩაფიჩადისათვის, ამ სიმბურვალეში მას სიცვა, მგარამ ამ სიცივეს ვერა გრძნობს. თვალები დახუჭა და სასაფლაოს ვეებერთელა არარაობას ერთი პატარა არარაობაც მიემატა. ახლოს შაშვები ჭახჭახებდნენ, ცამალალში არწივი ბოინობს და ყვიის და რევავ ჩაფიჩადეს არც შაშვების ჭახჭახი ესმის და არც არწივის ყვიილი. არაფერს არ იკარებს სასაფლაოს სიჩუმე... ამ მზეს, ამ არწივს, ამ შაშვებს ეშინიათ სასაფლაოს სიჩუმისა და შორიშორ უვლიან მას. დროც გაუქვავებია სასაფლაოს სიჩუმეს! ჰო, ვინც ამ მიტოვებულ საფლავებში წვანან, დროს არ ითვლიან, აინუნშიაც არ აგდებენ დროს და მიუყურადებელი და უანგარიშო დროც გაქვავებულა, ერთი ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს წინ: ეს ცაცხეები ასეთი ბებრები იყვნენ, როცა ხემალღელებს ეს ადგილი სასაფლაოდ დაიგულეს და აქ დაკრძალულ ჩაფიჩადეს, ჭინორიძეს, შარანგიას და კიკნაველიძეს ხანი აქ გაუქვავდათ, მერე მათ ხანს ერთი დღეც არ შეჰმატებია და უდროობაში გადავიდა. მერე? მერე სოფლის გზები ნაგზაურებად იქცნენ, სიმღერა მიწელდა სოფელში, ცხენებს არ დააჯირითებენ აღმა-დაღმა, ვაზს არ სხლავენ, დაიბზარა ცარიელი საწნახლები და ქვევრებს ობი მოეკიდა, თითქოს მთელი სოფელი ამ ზეგანზე ამოსულა და დამარხულა. დიდი, ცხრაუბნიანი სოფელი ამ პატარა სასაფლაოს ეზოში დატეულა და კიდევ დარჩენილა ადგილი სხვათა საფლავებისათვის.

ჰო, აღმნიანი დიდნი არიან, როცა მოძრაობენ და მათ ვრცელი მინდვრებიც ემცივრებათ, სიკვდილის შემდეგ თითონ პატარაუდებიან და ჩივდებიან და ბევრნი, ძალიან ბევრნი ერთს პატარა სასაფლაოზე ხალვათად ეტევიან და ადგილიც რჩება მომდევნოთათვის.

...გულისგვრამ შეაკრთო, თვალი გაახილა და წამოდგა.

მოლი ხახხახებს, შრიალეებენ, ტებერი ცაცხეები, ბელურები ჟივივიებენ, ცამალალში არწივი ბოინობს, სუროებში შემალული შაშვები ჭახჭახებენ და რევავ ჩაფიჩადეს არწივის ყვიილიც ესმის და შაშვების ჭახჭახიც. სასაფლაოს ხავსიანი ქვების ჩურჩულიც ესმის, თითქოს მიცვალებულთა სულეები ლოცვას აღავლენენ ცაში...

ფუტკარი შესევია ბებერ ცაცხვს და ფუტკარი კი არა, ცაცხვი ბუბუნებს.

ამ ცაცხვს ზედატანში, სადაც ორი დიდი ტოტი ტოტდება, ფულურო აქვს. შემოდგომის მიწურულში გულასპირ ჩაფიჩაძე დათქმულივით ამოდიოდა აქ, როგორღაც დერგინად ამობლდებოდა ცაცხვზე და ფულუროდან თაფლი გამოჰქონდა.

მე მივაკვლიე და თაფლიც ჩემიაო — უმტკიცებდა სოფელს გულასპირ ჩაფიჩაძე.

ხანდახან სოფლის ბიჭები მალულად აედევნებოდნენ სასაფლაოზე მიმავალ გულასპირს, გალავანთან ახლოს ეკალებარდებში ჩაიმალებოდნენ და ელოდნენ გულასპირის ხიდან ჩამოსვლას. ჩამობობლდებოდა დერგინად ცაცხვიდან გულასპირი და ბიჭები გარს შემოვრტყმოდნენ, გამოსტაცებდნენ დერგს და პირწმინდად ამოხაპავდნენ.

იწყევლებოდა და იმუქრებოდა გულასპირი — ყოფას გიტირებთ მაძაძაღლებო და ბანდიტებო, სათითაოდ დავაჭერინებ თქვენს თავსო, მაგრამ გულასპირს მუქარა მუქარად რჩებოდა, ჰინკა ბიჭები კი ხარხარებდნენ და ხარხარებდნენ.

და ერთხელ „დიდი ეშმაკობა“ მოიხზრა გულასპირმა, ამ გაუზრდელებს ოინს ვუზამ და თაფლს ღამით ამოვიღებო.

უმთვარო ღამე იყო, მაგრამ ვარსკვლავიანი, ისეთი ვარსკვლავიანი, ყველაფერი ხილულად ჩანდა. იმ საღამოს საჯარისოზე გვიანობამდე დარჩა გულასპირი, მაგრამ ბიჭებიც რატომღაც გვი-

ანობამდე არ დაიშალნენ. ჯერ იყო და გაუთავებლად იბურთავეს, თითქმის მზის ჩასვლამდე, პო, ვიდრე სულ არ დაბინდდა, იბურთავეს და იბურთავეს; ერთნი ზემოურები იყვნენ, მეორენი ქვემოურები, ურტყეს და ურტყეს შიშველი ფეხები ხავსით გაძენილ ჭინკის ბურთს, მერე გასავათნენ და მოლზე დაეყარნენ, კარგახანი შეისვენეს და გრძელი, გაუთავებელი სიმღერები წამოიწყეს. ჩამობნელდა. ჩამობნელდა კი არა, პირწმინდათ დაბნელდა და ბნელში საჯაროს ყურეში ვითომ შეუძინველად ზის გულასპირ ჩაფიჩაძე და უღვაშებში ილიმება. მაგრამ ეს ძალიშვილები წასვლას რომ არ აპირებენ! გაოფლილები ყრიან მოლზე და გრძელ, გაუთავებელ სიმღერებს მღერიან. მღერიან და იმღერონ! მოყირკუდებთ და მერე წაეხეტებიან, აბა მინდორში ხომ არ გაითევნენ ლამეს? გასაკვირი კია, ეს ძველისძველი სიმღერები ბალღობაში თუ მოუსმენია გულასპირს და ამ ჩიტრეკებმა საიდან გამოაჩინდრიკეს ახლა?

როდის-როდისღა აბესალომ კიკნაველიძემ დაუძახა თავის ბიჭებს, მალე დანარჩენებიც დაიშალნენ და საჯაროსო დაცალიერდა.

დიღხანს, ძალიან დიღხანს იჯდა გულასპირ ჩაფიჩაძე ბნელში და როცა ჩაფიჩაძეთა და კიკნაველიძეთა უბანში უკანასკნელი სინათლეც ჩაპქრა, ფეხდაფეხ დაიარა საჯაროსო და მერე ქურდული ნაბიჯით შინისაკენ გაემართა.

კიბეზე უხმაუროდ ამოვიდა. ბუზრისთავზე ჩაწეული ლამპა იღგა და ოდნავ ანათებდა.

გულასპირის მეუღლე კესარია ლოგინში იწვა, ძილით კი არ ეძინა.

გულასპირმა ფრთხილად გამოაღო კედელში დატანებული ვანჯინის კარი, ხელის ფათურით მოიხელა დერგი, მიხურვისას უცაბედად ვანჯინის კარმა გაიჭრიალა და გულასპირი შეკრთა, საკუთარ სახლში ქურდივით ვიქცევით, გაიფიქრა და შერცხვა.

— მოხვედი? მთქნარებით ჰკითხა კესარია.

— აბა რას ეზამდე, მთქნარებით ჩურჩულით მიუფო გულასპირმა და გაიტრუნა.

ვახშამი მაგიდაზე! — ისევ მთქნარებით თქვა კესარიამ და კელისაკენ გადაბრუნდა.

— უკვე ვივახშმე.

— ვისთან?

— აბესალომი არ მომეშვა და...

— ლამპა არ დაგრჩეს ჩაუქრობელი. გულასპირმა ლამპას სული შეუბერა და ჩაქრო, დერგი ამოიღია, ფეხისწვერებზე შედგა, კიბე ცერულით ჩაიარა, საჯაროსოც გამოზომილი ნაბიჯებით გადაჭრა და სასაფლაოსკენ გაუღგა გზას.

მდინარეს მიუახლოვდა და შედგა. ესამოვნა მდინარის შხუილი. ადამიანვითაა ეს დალოცვილი მდინარე, ტალღებს მოათამაშებს და რაღაცას გედუნება, მაგრამ არა, სატეველასაც არ გაუმხელს საიდუმლოს გულასპირი. არა, არავისაც არ გაუმხელს! ავი კესარიასაც არ გაანდო. თაფლით საესე დერგს რომ მიუტანს კესარიას, მაშინ ეტყვის, თუმცა თქმა არ დაჭირდება, თაფლით საესე დერგს დაუდგამს წინ და კესარია გაიხარებს, შეიქებს გულასპირს და ოინს მოუწონებს.

სატეველას ნაპირს აპყვა და აღმართი შეუსვენებლივ ითარა. აბესალომ კიკნაველიძის წისქვილს ეძინა. წისქვილს — კი არა, მთელ ხემალალს სძინავს, ყველა სახლის კარი დახურულია, სინათლე ჩამქრალია და სოფლის მამაძაღლებსაც ძინავთ და აბესალომ კიკნაველიძის წისქვილი ვინ მივლიო. პო, ხემალალს სძინავს და გულასპირ ჩაფიჩაძე ამ შუალამისას სასაფლაოზე მდინის.

სასაფლაოს ჰიშკართან შეუოვნდა. ახალგაზრდობისას სასაფლაოსთან დღისით გავლაც კი შიშს გვრიადა, მაგრამ ახალგაზრდობასთან ერთად ის შიშიც გამქრალა. შეხედეთ: შუალამეა, ხემალალს ძინავს, გულასპირ ჩაფიჩა-

მეს — კი დერგი ამოუღლიავებია და სასაფლაოზე ამოსულა, ცაცხვზე აბობლებულა დერგინად; ფუტკრის ენა იცის გულასპირმა და თქვენ არხეინად იყავით, ფუტკრისა არ ეშინია, ამ დერგს პირთამდე აავსებს თაფლით და კესარიას მიართმევს.

არც ამ მდუმარე საფლავებისა ეშინია გულასპირ ჩაფიჩაძეს, ამ მიცვალებულებს ორი არშინი მიწა აყრიათ, ზოგის საფლავს კი ვეებერთელა ლოდი ადევს.

სასაფლაოს ჭიშკარი მაინც შიშით გააღო, პირვეარი გარდაისახა, ცერებზე შედგა და დააყურადა. ხემაღლის სასაფლაოს ეძინა.

წელში გაიმართა, ფრთხილად, მაგრამ გაბედულად წარსდგა ნაბიჯი, ცაცხვთან მივიდა და ფესვზე ჩამოჯდა, ზუმრობაა — ამხელა აღმართი შეუსვენებლივ ამოიარა. ორიოდ წუთი იჯდა და ეს ორი წუთი დიდ დროდ ეჩვენა. კი, უკვე დაისვენა გულასპირმა და ცაცხვს აებობლა, ნელნელა აპყვა ზევით და აგერ ფულუროც! ტოტზე ჩამოჯდა და ცაცხვიდან დახედა სასაფლაოს — მიცვალებულებს და ბელურებს ძინავთ, სკასაც ძილი შეპარვია და მძიმე სიჩუმეა სასაფლაოზე.

სვენებ-სვენებით ამოიღო ფიჭები. დერგი ამოგლისა და შვებით ამოისუნთქა — „მადლობა ღმერთს, ყოველივე მშვიდად დამთავრდა — არც ცოცხლებს და არც მიცვალებულებს არაფერი არ გაუყვიათ...“

დერგი მოხერხებულად მოიკიდა ზურგზე და მაინც ემძიმა, მაგრამ რაღა ღრთისია, ზომ არ ამოაკლებს? („არა ისე არ დაჩაჩანაკებულა გულასპირ ჩაფიჩაძე, თაფლით სავსე დერგი სახლამდე ვერ მივართიო, ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ვივლი. მე შენ გეტყვი და უკან მომდევს ვინმე. დავადგები ამ დაღმართთან გზას და ლილინ-ლილინით ვივლი“)

ხიდან ჩამრვიდა, ერთი ღრმად ამოესუნთქა და გაშემდა:

თითქოს მიწიდან ამოიჭრნენო, მის

წინ ორი ლანდი გაჩნდა. ლანდებს სახეები თეთრი ზეწრებიფიჭემთებურათ, მაგრამ თვალეები მაინც მომუნანდათ და ზეწარქვეშიდან დამცინავად იტყირებოდნენ.

ლანდების წერილი, მომნუსხველი თვალეები გამგმირავად ჩააცქერდნენ გულასპირს და მერე ორივე ლანდმა ერთხმად შესძახა.

— ურჯულოვ, სად მიგაქვს მკვდრების თაფლი?

დერგი თავისთავად მოეხსნა გულასპირის ზურგს და მიწაზე დაენარცხა. შეკვივლება მოინდომა გულასპირმა, პირი კი დააღო, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. ერთი შეხტა, ქაჩვიით გადაეწლო სასაფლაოს ჭიშკარს და გულგახეთქილი შლიგინ-შლიგინით დაეშვა დაღმართზე.

„მაბატიე, ყოვლადძლიერო, მომიტევე ღმერთო დიდებულო, აწი არასოდეს შესცოდავს გულასპირი!“

იმ ჭინკა ბიჭებს რევაზიც ახლდა და მიტომაც გაახსენდა ასე წერილად გულასპირის იმლაშინდელი ფათურაქები...

შუა დღემ გადაიკარა, ცაცხვების ჩრდილმა გადაიწია და დანგრეულ ეკლესიას მზემ შეანათა — სუროსა და ხავსს დაუფარავს ეკლესიის შემორჩენილი კედლები, გარშემო გროვად ჰყრია ნეხვი და ფიჩხი.

გული დაუმძიმდა. ერთხელ კიდევ შეავლო თვალი სასაფლაოს, კენჭები მიმოასწორა დედის საფლავზე, რაღაც გაურკვეველის ბუტბუტით გამოეთხოვა და მძიმე ნაბიჯებით დაუყვა დაღმართს, თითქოს ოცი წლის წინათ კი არა, დღეს დაეკრძალოთ ხემაღლის სასაფლაოზე დედა მელიკი.

„სადაცაა მამა ჩამოვა ქალაქიდან.“ და ნაბიჯს აუჩქარა.

„არა, არ უნდა გამეშვა ქალაქში მამაჩემი.“

მაგრამ ალექსანდრე ჩაფიჩაძე სიტყვის კაცია. ცაცხვის გობები შეჰპირდა ქალაქელებს და სწორედ გუშინ უნდა ჩაეტანა. ჰო-და გუშინ ცაცხვის

სამი მსუბუქი გობი მოიკიდა ზურგზე და დილადრიან გაუდგა გზას...

აბესალომ კიკნაველიძის წისკვილთან შეისვენა რევაზმა. წისკვილის კარი ღია იყო და ნიავის შემოჭროლებაზე ჭრიალებდა. წისკვილში შევიდა. როგორღაც ხემალაღის დანგრეულ ეკლესიას დამგვანებია აბესალომ კიკნაველიძის წისკვილი! ისლის სახურავი ქარს შეუთხელებია, ჩრდილოეთის კედელს ფიცრები გამოსცვენია, იატაკზე და კოდში ნეშო აფენია და ნეშოს ნაცარი და სკორე აქვს წაყრილი...

„არა-ვარა, არა-ვარა,

ვინც სიცოცხლე წა-მა-მწა-რა“...

სიმღერა შემოესმა და წისკვილიდან გამოვიდა. შორიდან შეიცნო, გულასპირი იყო, ზურგზე გოდორი მოეგდო და დიღინით მოდიოდა დაღმართზე. ქალაქიდან ბრუნდებოდა გულასპირი და ეტყობოდა, ცოტა ზარხოშად იყო.

...ოცი წლის წინათაც ასეთი გოდორით დადიოდა ქალაქში გულასპირი, მაგრამ ქალაქში მიმავალ გულასპირს ვერავენ იხილავდა, მას ხემალაღიდან ქალაქამდე საკუთარი გზა ჰქონდა გაყვანილი, ეს გზა ადამიანის თვალისაგან მოფარებულ ადგილებში იყო გაკიდული. სავსე გოდორს აეკიდებდა გულასპირი და დილადრიან უხილავად გაიქურწებოდა ქალაქში, შინ-კი ნაბაზრალი და შეზარხოშებული, მთავარი გზით ბრუნდებოდა.

ხან ფეხს აიტკივებდა გულასპირი, ხან გულს, ხან სახსრების ტკივილს უჩიოდა, მაგრამ პარასკევსა და კვირას ეს ავადმყოფი კაცი ლაზათიანად აღკაზმული მსუბუქად მიდიოდა ქალაქში. ადრე გაზაფხულზე თხილის, მსხლისა და ვაშლის ნერგებს ეზიდებოდა, ზაფხულში ვაშლსა და მსხალს, შემოდგომაზე ლეღვსა და თხილს, ხან რამდენიმე წველა ყველს გამოსტყუებდა კესარიას და ვაჭრობდა გულასპირ ჩაფიჩაძე. ამტკიცებდა, მამაჩემის ბრალით, პატარაობიდან შემაჩვიე ვაჭრობას და მერე ვერ გადავეჩვიეო.

გულასპირმაც შორიდანვე იცნო რე-

ვაზი. ცარიელი გოდორი მიწაზე დააგდო, მარცხენა მკლავისკენ სახელოვანი ტუჩები მოიწმინდა და დამდინხრსსუნა ხავი კარისმეზობელი საფუძელიანად ჩაპკოცა, მერე მხრებზე შემოჰკრა ხელლები, შეაჩანჯღარა და საგულდაგულოდ აათვალიერა-ჩაათვალიერა.

— ცოტა კი გამოცვილხარ, ალექსანდროვიჩ!

ეს „ალექსანდროვიჩი“ ეკალივით შეერჭო გულში რევაზს და შშრალად მიუგო.

დავებრდი, ბატონო გულასპირ!

— პატ, მასე არ მითქვამს მე! რადროს შენი სიბერეა? შენ კი არა, მე არ დავებრებულვარ ჯერ... შენ ის მითხარი, დიდი ხნით გვეწვიე?

— ერთი კვირა დავრჩები.

— კაი დაგემართოს, ერთი კვირა სოფელში გაძლება შენისთანა კაცისათვის მაგარი საქმეა, ალექსანდროვიჩ!

ახლა კი გააბრაზა ამ „ალექსანდროვიჩმა“ რევაზი და გულასპირს მწყრალად გახედა.

გულასპირმა გოდორი განზე გასწია, ახალუხი გაიხადა და მოლზე დააფინა.

— დაჩქეკი, გენაცვალე, ამ ახალუხზე დაისვენე, ზომ იცი ხემალაღის ბალახმა დაცდა იცის, ალექსანდროვიჩ!

რევაზმა გულასპირის ახალუხი გოდორზე დადო და მოლზე მუხლმორთხმით დაქდა.

— ვითომ არ გეშინია დაცდისა, ალექსანდროვიჩ?

— მე რეზო მქვია, ჩემი სახელი დაგავიწყდა ძია გულასპირ?

გულასპირი რეზოს გვერდით დაქდა, შარელის ჯიბეში ჩაიყო ხელი და თუთუნის ქისა ამოიღო.

— პო, შენ რეზო მქვია და მე რეზოკოს გეძახდი, მაგრამ ახლა სხვა დროა, უუ, რამხელა დრო გავიდა იმის შემდეგ! მის მერე დროება შეიცვალა, ბევრი რამე შეიცვალა იმის მერე და შენც, ა, ზომ გხედავ ავერ, შეცვილი ხარ.

რევაზმა სიგარეტი მიაწოდა.

— ჰო, შენ რეზო გქვია. — სიგარეტს მოუყიდა და რევანს მიუჩოჩდა გულასპირი. — როცა მეტყუერი იყავი და დედის კალთაში გორაობდი, მახსოვს, მამაშენივით მეც რეზიკოს გეძახდი. მერე ეზოს ვადააბიჯე ფეხი და ეკატერინეს სკოლაში დაიწყე სიარული და ბავშვმა არ მიწყინოს-მეთქი და რეზოს გეძახდი. მერე ეკატერინეს სკოლა დაამთავრე, თბილისში წადი და უმაღლესში შედი და ზაფხულობით ზოფელში რომ ჩამოდიოდი, რეზო არ მიწყინოს-მეთქი და ჩემთვის უკვე რევანი იყავი. მერე შენ უმაღლესი დაამთავრე და როგორც ეკატერინე ამჟამბს, კიი მავარ სამსახურში დამდგარხარ და ვახდი რევან ალექსანდროვიჩი. დიახ, რევან ალექსანდროვიჩ ჩაფიჩაძე... ა, ასეთი ეს და ნუ გეწყინება! მე მართალს ვამბობ. გაგიზარდება ახლა შენ, აგერ სოფლელი ბლარტი რომ გამოხტეს და რეზიკო დაგიძახოს პროფესორ კაცს? არა, არ გაგიზარდება! კაი კი ყოფილა ეს თბილისური თამბაქო. შენ ვინდა მაინც რეზო დაგიძახო, არა? იყოს ბატონო ასე! ჰო-და მაგ ბალახს მოერიდე ჩემო რეზო, დაგავიწყდა როგორ დაცდა იცის?

რევანმა მუხლები გაშალა და უფრო ხალვათად დაჭდა მოლზე.

— მამაჩემი არ შეგხვედრია ქალაქში?

— კი. ალექსანდრეს ცოტა საქმე აქვს და შეაგვიანდება. თქვენსას უნდა გამომეელო, მარა აგერ შემხვდი და... ნამეტანი მაგარი ყოფილა თბილისური თამბაქო, — ხელებით თქვა გულასპირმა და ნახევრად მოუწეველი სიგარეტი შორს ისროლა.

— ბულგარულია.

— ეტყობა ჩვენზე მაგარი ხალხი ყოფილა ბულგარელები. რაღაც მახორკასავით კია.

მაგრად ამოახველა, თითქოს მკერდი ამოიწმინდაო, ქისა მოიხელა, ყალიონი გააწყო და ქისა რევანს გაუწოდა.

— ერთი ჩენი სოფლის თამბაქო გასინჯე, ქალაღი შიგაა. ჰოო, როგორაა

გახარებული მამაშენი, სულ იაფად მიაყიდა გობები.

— გობები გაყიდა? გაფიცვბით ქართხა რევანმა.

— აბა რავა, ქალაქელებისათვის ეფეშქაშებია? ათი დღე მაინც სჭირდება კაი გობის გამოთლას. მერე და მამაშენის გობები, ხომ იცი, სარკესავითაა. იმ სამ გობს მთელი თვე უყირკიტა და სულ იაფად გაყიდა.

რევანი მოიღუშა, თამბაქო ზედიზედ მოქაჩა, ნაწწვი მოლზე დააგდო და ფეხით მოსრისა. და გულასპირი მიხვდა, რომ ალექსანდრე შვილის ნამალეველ იყო სავაჭროდ წასული და ენაზე იკებინა.

— დეიდა ეკატერინე სოფელშია?

ცხადი იყო, რევანმა სიტყვა ბანზე აუგდო გულასპირს, გულასპირს გაუხარდა და ხალისით ჩაჰკითხა.

— დიდი ეკატერინე? შენი მასწავლებელი?

— ჰო, სხვა ეკატერინე ვინდა?

გულასპირმა ჰროლა თვალეები ეშმაკურად შეაშტერა რევანს და ჩაიღიმოლა.

— თვითონ დიდ ეკატერინეს ჰყავს ეკატერინე. შენ არ გინახავს ეკატერინეს ეკა?

— არა!

— არც გაგიგია, რომ დიდ ეკატერინეს ამხელა ქალიშვილი ჰყავს?

— არა, არ გამოვიცა!

— კაი დაგემართოს, კაი საქმეა! შენი გოგონა მეშვიდე კლასშია ხომ?

— ჰო, თათია მეშვიდე კლასშია.

— სანდრო მეხუთეში, ხომ?

— სანდრო მეექვსე კლასში გადავიდა.

— ჰო-და, მე ეს დეიდა ეკატერინესგან ვიცი, ნალელიანად და სიბრაღულით თქვა გულასპირმა. შენი შვილები ერთხელ მყავს ნანახი, მაშინ ორი წლისა იყო შენი ბიჭი. ახლა მეექვსე კლასშია, არა? თათია — კი მეშვიდეში ყოფილა... მგონი შარშან თქვენთან იყო ეკატერინე.

— კი, ზაფხულში. სადგურიდან პი-

რდაპირ ჩვენთან მოვიდა, ერთი დღით ჩამოვედიო, თქვა და იმავე საღამოს წამოვიდა.

— ერთი დღითო? ასე გითხრა — ერთი დღით ჩამოვედიო? — გაკვირვებით ჩაჰკითხა გულასპირმა. ეკატერინე ერთი თვე იყო თბილისში. კი, სრული ერთი თვე. შარშან, გაზაფხულზე, საიდანღაც ჭიჭური ქარი მოვარდა და სკოლას სახურავი ააგლიჯა, სულ ფურცელ-ფურცელ წააფრინა ყავარი, მერე გადაუღებელი წვიმები დადგა, სკოლაში მინდორივით წვიმდა და ბავშვები ერთი თვით ადრე დაითხოვა ეკატერინემ. რაიონში ვერაფერი გააწყუო — წელს ლიმიტში არ გვიზის ხემალაის სკოლის რემონტიო და რა უნდა ექნა? ადგა და თბილისში წამოვიდა. თბილისშიც ბევრი აწვალეს, მარა მაინც გაიტანა თავისი. ე, ვახედო, ჩანს ჩვენი სკოლის ახალი სახურავი. ხედავ, ხომ?

— ვხედავ.

— ჰოდა, — დამარცვლა გულასპირმა, — შარშან სკოლის სახურავი გადაუხურეს და წელს სკოლა დაუხურეს ეკატერინე ხიდაშელს.

— როგორ თუ დაუხურეს? — გაიოცა რევაზ ჩაფიჩაძემ.

— როგორ და უბრალოდ! მიუკეტეს. უთხრეს — სამასხროდ არ გვცალიოო და მიუკეტეს! — თვითონ კი არ ამხელს.

ჩამავალი მზის შუქზე ბზინავს კრამიტი და რევაზ ჩაფიჩაძე კარგად ხედავს ხემალაის სკოლის ახალ სახურავს... ეკატერინე ერთი თვე იყო თბილისში და ერთი ღამეც არ გაათია რევაზის სახლში?

ერთი ძაფი ჩაუწყდა გულში და სახეზე სიწითლე შემოენთო.

— მამამენს კი უთხრა — ძალიან დამეხმარა ალექსანდროვიჩიო, — შეუკიდა ცეცხლი გულასპირმა.

„განა არ დავეხმარებოდი? მაგრამ ეკატერინეს სიტყვა არ დაუძრავს სკოლაზე. ბავშვებს მოეალურსა, სახლი და ეზო მომიწონა, რუსუდანთან ერთად

ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარა ჩემი პატარა ბალ-ბოსტანი, ხეხილის ნერგებისა... და ბოსტნეულის თესლის გამრავანებას შემპირდა. ვისადილეთ და წავიდა. თქვა — ერთი დღით ჩამოვედიო, ალერსით დაგვეშვიდობა და წავიდა. ერთი თვე დარჩა თბილისში? იცრუა ეკატერინემ?

„ვერა, კი საუბარი ვერ გავუბი დიდხნის უნახავ კარისმეზობელს“, — გაიფიქრა გულასპირმა და ვითომ მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვა.

— წელს ნამეტანი ცხელა, ცოლ-შვილი თბილისში გყავს?

რევაზმა უხალისოდ უპასუხა და ისეთი დაბალი ხმით, რომ გულასპირმა ვერაფერი გაიგო.

— კი, ნამეტანი ცხელი ზაფხული დაიჭირა წელს, ეს ოხერი! აქ ასე მოიხრუჯა ყველაფერი და თბილისში რა იქნება! — ნაღვლიანად თქვა გულასპირმა და თითქოს სიტყვებ შეაწყუნაო, ზალათზე ღილები შეიხსნა.

რევაზი მუნჯივით ზის და გულასპირის შეკითხვებს უპასუხოდ ტოვებს.

— კი, ნამეტანი დახუთულია ზაფხულობით თბილისი! — დასტურით თქვა გულასპირმა, — დაიხუთება, აბა რა მოუვა, მიწა ვერ სუნთქავს! ამდენი ასფალტი გაგონილა? ქუჩებში — ასფალტი. ეზოებში — ასფალტი. მოედნებზე — ასფალტი. სახლის სახურავებზე — ასფალტი!

ფეხი მოაფათურა მოლზე.

— ა, ამან თუ სივრილე არ შეაშველა, მარტო ხე ვერაფერს გახდება... ზღვაზე წაიყვანე ცოლ-შვილიო?

— ციხიჯარში. — ამოიღო ხმა რევაზმა და გულასპირმა კმაყოფილება იგრძნო, კრიჭაშეკრულ კარისმეზობელს ენა რომ ამოადგმევინა და საუბარს პირი გაუხსნა.

— ციხიჯარშიო? შორსაა აქედან?

— ათიოდე კილომეტრია ბაკურიანიდან.

— არ გამიგონია! ახალი აგარაკია?

— სოფელი. ზაფხულობით ძალიან

გრილა. ხუთი წელიწადია ზედიზედ იქ ავდივართ.

— კაი დაგემართოს, კაი საქმეა, — ცოტა იქედნურად თქვა გულასპირმა და ტუჩებში ღიმილი შეეპარა. ჩამქრალი ყალიონი მუხლზე დაბერტყა და ისევ გააწყო.

დაცინვას მიუხვდა რევაზი, თან ეწყინა — რა სასამართლო გამიმართა გულასპირმამ და პასუხისათვის შეემზადა, მაგრამ დამცინავად მოღიმარ გულასპირს რომ შეხედა, გაშრა და ხმა ზერ ამოიღო.

— ტყეც იქნება ციხიჯვარში, — ვითომ გულუბრყვილოდ თქვა გულასპირმა.

— კი, ხშირი ტყეა.

— კაი სოფელი ყოფილა! ხშირი ტყე თუა, კაი დაგემართოს, კაი სოფელი ყოფილა ციხიჯვარი. მინდვრებიც არის ხომ?

ეს უკვე მეტისმეტი იყო, რევაზმა არაფერი უპასუხა და გულასპირმა თავისთავს დაუდასტურა.

— ჰო, მინდვრებიც იქნება ციხიჯვარში, აბა, რაეა, უმინდვრებო სოფელი სად გაგონილა!

...ციხიჯვარში ხასხასა მოლია, ვრცელი მინდვრები და ხშირი ტყე, ცივი წყაროები და რევაზ ჩაფიჩაძის ოჯახი ზაფხულობით ციხიჯვარში ცხოვრობს. გულასპირ ჩაფიჩაძე-კი დასცინის. ჰო, კარგი სოფელია ციხიჯვარი, თბილისიდან ციხიჯვარამდე გზა კარგია და თბილისიდან დილით წამოსული ჩაფიჩაძეთა ოჯახი სადილად ციხიჯვარშია. ერთი გლეხკაცის სახლში აქვს დადებული ბინა. ორსართულიანი ოდასახლია, დაბლა სართულზე სახლის მეპატრონე ცხოვრობს, ზედა სართულზე რევაზის ოჯახი. გლეხკაცს ორი მეწველი ძროხა ჰყავს და თათია და სანდრო უმ რძეს სვამენ, ისეთს კი არა, თბილისის ბაზრებში რომ იყიდება. ჩავლენ ციხიჯვარში და ჩაფიჩაძეები ერთ კვირაში გადასხვაფერდებიან. დიახ, ერთი კვირის შემდეგ ვერც თათიას იცნობ და ვერც სანდროს, ქალბატონ რუსუდან-

საც ვერ იცნობთ. ბავშვები მუხლამდე ბალახში დარბიან და კუჭრუფილობენ და მარტო სახე კი არაა მთელი სხეული ხორბლისფერი გაუხდებათ. ქალბატონი რუსუდანი მზეს ემალება და ქოლგას იჩრდილებს, მაგრამ მზე მაინც მოეკიდება, — ციხიჯვარში თითონ ჰაერია მზით გაქვნილი, — გელერსება, გაჯანსაღებს და გასხვაფერებს ციხიჯვარის ჰაერი... სახლის უკან ზეგანია, მერე — ირმის ქედი, უფრო ზემოთ — კოდიანის მთა. რევაზი ირმის ქედზე დასეირნობს. ხანდახან კოდიანზეც ადის. ჩინებული სამზერია კოდიანის მთისწვერიდან — ჩანს მესხეთის სოფლები, მთელი ბორჯომის ხეობა-კი ხელისგულზეა დაფენილი: ტყეები, ფიჭვნარი და ნაძვნარი; აღმოსავლეთით სანისლეს და ცხრაწყაროს მთებია აღმართული, დიდი და მალალი მთები და რევაზ ჩაფიჩაძე ცხრაწყაროს იმ მალალ მთებზეც ასულა და გამთენიისას უმზერია მზის ამოსვლისათვის ცხრაწყაროს მწვერვალიდან — ნამდვილი საოცრებაა: მშუილით და ხმაურით ამოდის მზე და პირველ სხივებს ცხრაწყაროს მთებს შეაფრქვევს. ახლოსაა მზე ცხრაწყაროსთან, ისე ახლოს, მზის ხმაური გესმის, ხედავ — თანდათან როგორ მალღდება მზე, როგორ თანდათან მიიწვეს ზევით და როგორ გამოზომილად და თანაბრად აფენს სხივებს დედამიწაზე. ზღაპარია, ნამდვილი ზღაპარი და რევაზ ჩაფიჩაძეს უყვარს ცხრაწყაროზე ასვლა, მალე სანდროსაც წაიყვანს ცხრაწყაროზე — დაე, თითონ ნახოს, მოიხიბლოს და გაიხაროს... გულასპირი-კი დამცინავად კითხულობს — ტყე თუ არის ციხიჯვარშიო, მინდვრები თუ არის ციხიჯვარშიო? ჰო, არის, ხასხასა მინდვრები, ხშირი ტყე და მალალი მთები.

— წავიდეთ, — თქვა გულასპირმა, — გოდორს წაატანა ხელი, ახალუხი ამოილითა და წამოდგა.

„კესარია შეშინდება, დაღამებამდე თუ არ მივედი“.

ნელის ნაბიჯით დაუყვნენ დაღ-
მართს.

„რალაც ეწყინა გულასპირს, თორემ
ასე უტბათ არ დაამთავრებდა საუ-
ბარს. კესარია ტყუილბურალოდ მოი-
მიზეზა, უფრო გვიანაც დაბრუნებულა
გულასპირი ქალაქიდან, მაგრამ კესა-
რია არ შეშინებულა“.

ბილიკი ეიწროა. წინ გულასპირი
მიდის და რვეაზი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყ-
ვება.

სადაცაა მზე ხემაღლის მთებს ამო-
ფარება და გრილმა ნიავმა დაუბერა.

სატეველაზე ჩავიდნენ.

გულასპირი ქვების ბილიკს გაჰყვა
და ცეცებ-ცეცებით გავიდა გაღმა.

რვეაზმა წაღები გაიხადა, შარვალი
აიკაპიწა და მდინარეში შევიდა.

„შენი ხნისა, მეც ასე ეტოპავდი სა-
ტეველაში“! — გულში თქვა გულას-
პირმა და რვეაზს გაუღიმა, ღიმილი
ნაძალადევი იყო და რვეაზს შეებრალა
ბერიკაცი.

აღმართს უფრო ნელის ნაბიჯით
დაუყვნენ. აღმართზე სიარული უძძიმს
გულასპირს და სვენებ-სვენებით, ტა-
ბატით მიაბიჯებს.

როგორც იქნა აივაცეს და საჯარისო-
ზე გავიდნენ. ამ მინდორზე დაჯდებო-
და გულასპირი, ქარს ამოიღებდა მუხ-
ლებიდან, ყალიონს გააწყობდა — და
გააბოლებდა, მაგრამ ისედაც დაიგვიანა,
შინ კესარია ელოდება, უთუოდ
შეშინებულა, კიშკარზეა მომდგარი და
შუქაში იშხირება და აღმართის ამოვ-
ლით დაღლილი გულასპირი საჯარის-
ოზე არ შეხანდა, პირიქით, როგორ-
ღაც ძალი მოიცა და ნაბიჯს აუჩქარა
და რვეაზიც თავჩაქინდრული მიჰყვე-
ბა გვერდით.

რამდენი ხანია ერთმანეთი არ უნა-
ხავთ კარისმეზობლებს. კარისმეზობე-
ლი? კარისმეზობლობა რა სახსენებე-
ლია, რვეაზი შეილივითაა გულასპი-
რისათვის, პო, აღმასხანივით უყვარდა
გულასპირს რეზო და აღმასხანის და-
ღუპვის შემდეგ რეზო შემორჩა ერთად-
ერთი საფიცარი.

დღეს რეზო ეგულებოდა ხემაღალ-
ში და ქალაქიდან აღრიანდ ამიტომაც
წამოვიდა გულასპირი, ჩქარა იარა და
დაიღალა. შეხვდნენ და სიყვარულით
გადაკოცნეს ერთმანეთი, სულ მცირე
ხანს ისაუბრეს და ერთმანეთისთვის
სათქმელი გაუთავდათ. თბილისის სი-
ცხე, ციხიჯვრის მინდვრები, სკოლის-
სახურავი და სათქმელი ამოიწურა.
უსაუბროდ გამოიარეს კარგა მანძი-
ლი, ცალკე გულასპირს შემოუხვევია-
გულისთვის დარდი, ცალკე რვეაზ ჩა-
ფიჩაძეს და დარდი ერთმანეთისთვის
ვერ გაუმხელიათ. თბილისის სიციხე და
ასფალტი სრულიადაც არ ედარდება
გულასპირს, სხვა სატყვიარი სტკივა,
სხვა ნალველი უღრღნის გულს, მაგრამ
ეს სატყვიარი შეილივით საყვარელ
რეზოსათვის ვერ გაუმხელია.

ერთად სავალი გზა სადაცაა დაი-
ლვეა და გულასპირმა ნაბიჯი შეანე-
ლა. რვეაზ ჩაფიჩაძეს კი ჩქარი სიარუ-
ლი უყვარს, ირმის ქედზე, კოდანის
მთაზე, სანისლესა და ცხრაწყაროს
აღმართებზეც რიტმული, თანაბარის
ნაბიჯებით დაიარება რვეაზი. გულას-
პირმა კი ერთი მტკაველი აღმართი
ამოიარა და დაიქანცა, აბა ციხიჯვრის
აღმართებთან ეს აღმართი რა სახსენე-
ბელია? და შეებრალა გულასპირი, მი-
ხვდა რომ ამ მხატვ, ცარიელი გოდრის
ტარებაც უძძიმს ბერიკაცს და ეს გო-
დორი აბესალომ კიკნაველიძის წის-
კვილიდან მას უნდა წამოეღო.

საჯარისოს შუაგულში შედგნენ.

აქ ორი ბილიკი ტოტდება. ერთი
ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში მივიყ-
ვანთ, მეორე გულასპირ ჩაფიჩაძისას.

საჯარისოს ბოლოში მდგარ სამ ბე-
ბერ მუხას უწოდო გაჩაჩხულ ტოტებ-
ში ბელურები შესევან და ეივყივებენ.
ეგებ ხემაღლის სასაფლაოდან მოფ-
რინდნენ ეს ბელურები? ასე ეივყივე-
ბენ სახურავჩაღეწილ და უკარო ეკლე-
სიას დაპატრონებული ბელურებიც.

ცარიელ-ტარიელია საჯარისო და ბე-
ბერ მუხებს მოუწყენიათ.

კვირა დღეს ბურთაობდნენ საჯარი-

სოზე, მღეროდნენ და ცეკვავდნენ ახალგაზრდები, მუხების ჩრდილში ბერიკაცები ისხდნენ, ყალიონს აბოლებდნენ და დარბაისლურად ბაასობდნენ. ხმაურობდა, ცეკვავდა და მღეროდა საჯარისო და მუხებიც ხალისიანად იღვგნენ, შრიალებდნენ და ბუბუნებდნენ, ბელურები არ ესეოდნენ და არ უიჟივებდნენ.

ჰო, ასე იყო. ყოველ კვირა დღეს ბურთაობდნენ საჯარისოზე. ცოლიანები და უცოლოები, საჯარისოს ზემოურები და საჯარისოს ქვემოურები. კიკნაველიძეები და ჩაფიჩაძეები ებურთავებოდნენ ერთმანეთს, იღვა ძვრიალი და კისრისტეხა, გაჰქონდათ ლელო და აჯავრებდნენ ერთმანეთს, ხოლო სალამოხანზე ერთი დიდი წრე შეიკვრებოდა, ჩაღებოდა სიმღერა და ცეკვა-თამაში.

კარგი მობურთალი და პირველი მოცეკვავე იყო გულასპირ ჩაფიჩაძე. ახლა ერთი მტკაველი აღმართი ამოიარა და დაიქანცა.

— ჩემსას წავიდეთ, — თქვა გულასპირმა და რევანს მკლავში გამოდო ხელი.

— სადაცაა მამა ჩამოვა, ეწყინება, შინ რომ არ დაეხვდე.

— კარგი, ვაბშმად ერთად გადმოხვალთ, ალექსანდრემ უკვე იცის.

გულასპირმა ცარიელი გოდორი უფრო მოირგო ზურგზე და მძიმე ნაბიჯით გაუყვა გზას. უკანმოუხედავად გადაიარა საჯარისო, მერე შინისაკენ შეუხვია და თვალს მიეფარა.

..... ჩემთვის საწყენი არაფერი უთქვამს გულასპირს. არ იცოდა და იკითხა — სადაა ეს ციხიჯვარიო, მინდვრები და ტყე თუა ციხიჯვარშიო, — მაგრამ კილო კი რაღაც სხვანაირი ჰქონდა, გამჭირდავი კილო იყო მის ხმაში და ტუჩებში რომ ჩაიღიმოდა, დამცინავი ღიმილი იყო. მერე ალექსანდროვიჩიო, პროფესორიო... ჰო, დამცინოდა, მე გული მომივიდა და უხალისოდ ვავეპასუხე, — ეს იყო და ეს. არაფერი მიკადრებია გულასპირისათვის. მა-

გრამ მისგან რაღაც რომ მეწყინა, მიმიხვდა, მერე არაფერი მეკითხა და ენა დაიმუნჯა. უცბად თქვა: „შინ კესარია მელოდებო, ადგა, ცარიელი გოდორი ზურგზე მოიგდო, ახალუხი ამოიღო-აქა და დაღმართს დაუყვა. აბესალომ კიკნაველიძის წისქვილიდან საჯარისომდე სიტყვაც არ დასცდენია. სატეველაზე გადმოსვლისას თქვა რაღაც, მაგრამ არ მახსოვს. არ მახსოვს კი არა, არ გამიგონია რა თქვა, რაღაც თავისთვის ჩაიჩიფიჩიფა... ძალიან მოხუცებულა და მოტეხილა გულასპირი. ქვებზე კანკალით ადგამდა ფეხს, საიმედოდ რომ დაიგულეებდა, მხოლოდ მერე გადაადგამდა მეორეს, — ამაყი კია ეშინოდა ფეხი არ დასცდენოდა ქვებზე და წყალში არ ჩაეარდნილიყო, მაგრამ შეშველება არ მოხოვა... თქმა რა საჭირო იყო? ზუმრობით უნდა შევეშველებოდი — მე წყალში, შენ ქვებზე ძია გულასპირ, კარგია არა? აღმართზე ნელა მოდიოდა და შინც ქშენა აუტყდა, საოცარია — ქალაქში როგორ დადის აგრერივად ძალაგამოლეული! უჭირს. უჭირს და დადის. ხილი მიაქვს ვასაყიდად ბაზარში. მამაჩემივით გობების კარგი ოსტატია გულასპირი და ცაცხვისაგან გამოთლილი გობებიც ვასაყიდად მიაქვს ქალაქში. მეწველი ძროხა ჰყავს გულასპირს, კესარია და თვითონ ლობიოსა და ფხალზე იოლად გადავლენ, ყველი კი ქალაქში მიაქვს და ჰყიდის. პატარა ვენახიც აქვს გულასპირ ჩაფიჩაძეს, კარგი, ძალიან კარგი ღვინის დაყენება იცის, მსუბუქი სასმელია, ბევრიც რომ დალიო, თავს არ აგატყენს და მეორე დღეს ჩიტვიით ხარ. თითონ ცოტას სვამს, არა თავისთვის თავღვინოს ვერ იმეტებს, ოჯახისთვის სახმარ ღვინოს აყენებს, თავღვინო-კი ქალაქში მიაქვს და ჰყიდის, გამოჩნდება თუ არა ბაზარში ზურგზე ტიკმოკილებული გულასპირი, მყიდველები მიესევინან, არავინ აჭაშნიკებს გულასპირის ღვინოს და ფასშიაც არავინ ევაჭრება. კესარიას კვერცხისმღებელი დედლები ჰყავს, ორმოციო-

დე კვერცხს მოაგროვებს კესარია, გულასპირი ცაცხვის ხავსით შეფუთვინს კვერცხებს, მსუბუქად ჩააწყობს კალათში და გზას ქალაქამდე ფრთხილად გაივლის. ბაზარში მოითავებს საქმეს და კოოპერატივებს ჩამოუვლის. კესარიას შეკერილ კაბას უყიდის, უწინ მეუღლისათვის ნაირნაირ საკაბეს ყიდულობდა გულასპირი და კესარია თვითონ იკერავდა კოხტა კაბებს. ახლა თვალს დააკლდა კესარიას, ნემსის ყუნწში ვაივაგლახით უყრის ძაფს და კაბას ვერ შეიკერავს, ამიტომაც შეკერილ კაბას ყიდულობს გულასპირი კესარიასათვის. იაფფასიან დაბალქუსლიან ფეხსაცმელსაც უყიდის და მორჩა— შემოსილია გულასპირის მეუღლე. მორჩენილი ფულით სიმინდსა და ხორბალს ყიდულობს გულასპირ ჩაფიჩაძე. ვერა და ვერ იქნა, ერთხელაც ვერ მოიწია სამყოფი სიმინდი. უწინ მაგარი ცხენი ჰყავდა „ხაბარდა“ ერქვა, სოფლის ბიჭები გულასპირის ნამალევად

ხშირად ვიჭერდით ხაბარდას და სატეველას ნაპირებზე მთელი დღე დავაშენებდით, მაგრამ ხაბარდა მაინც არ იღლებოდა, გაოფლიანდებოდა-კი. სიმინდიან ტომრებს ერთმანეთს ვადაბამდა გულასპირი, ხაბარდას ხურჯინით ვადაპქიდებდა და მოგვცათ ლხენა— არხენად ამოდიოდა ქალაქიდან ხემალაში. ტვირთაკიდებულ ცხენზე არასგზით არ შეჯდებოდა გულასპირი. ხაბარდას მარტო სიმინდი მიჰქონდა, გულასპირი-კი ქვეითად მოჰყვებოდა ხაბარდას და კმაყოფილი იყო. მერე ხაბარდა დაბერდა, დაბრმავდა, დაჩაჩანაკდა და მოკვდა. სამაგიერო ცხენი კი იყიდა გულასპირმა და ყიდვისას მოტყუვდა, სუსტი ცხენი შემოაპარეს. უწამლა და თითქოს გამოაკეთა, მაგრამ ჭერჭერობით ტვირთს არ აზიდვინებს და ხერგიდან ხემალაში ნახევარ-ნახევარ ფუთობით უზიდება სიმინდს გულასპირი. მუხლებმა უსუსტეს და ნახევარ ფუთზე მეტის ზიდვა არ შეუძლია ბერიკაცს“...

თაზი მისაზი

ოდღეში ლამა ენთო. ღია იყო სამზადის კარი. სამზადის კართან, დაბალსამფეხა სკამზე გასავათებული ალექსანდრე იჯდა, ეზოში შემოსული შვილი რომ დაინახა, მაინც ადგა.
 — მეზობლებში იყავ?
 — სატეველაზე.
 სატეველაზე იყო? აკი სატეველაზე ამოიარა ალექსანდრემ, კარგა ხანს იჯდა დაღლილი ალექსანდრე მდინარისპირას, მაგრამ შეიღისთვის თვალი არ მოუკრავს. თუმცა ლოდზე ჩამომჯდარი ალექსანდრე თვლემდა. დაჯდა თუ არა ლოდზე, უმალვე ჩასთვლიმა, თავისთავად დაეხუჭა თვალი, დაეძინებოდა კიდევ, ლოდი ცივი იყო და დაძინება ვერ მოახერხა.
 ტაატი ამოიარა აღმართი, შვილი — კი არსად შეხვედრია.
 სატეველაზე იყო? თევზით ამოიტენა

სატეველა, ალექსანდრეს-კი კარგახანია არაეინ ჰყავს თევზის დამჭერი... სატეველაზე ჩასული რევაზი ხელცარიელი არასოდეს მობრუნებულა. დღეს-კი სათევზაოდ არ ეცალა რევაზს და ეზოში დარცხვენილი შემოვიდა. სატეველა ცივი მდინარეა და დაცდა იცის, შეუჩვეველ კაცს აუცილებლად დაცდის სატეველა — ჭერ შეაციებს, ბუსუსებს დააყრის ტანზე, მთელ სხეულს აუქავებს და შეახურებს. ისე მაგრა შეახურებს, რომ თავბედს აწყველინებს. დაწყველილმა ჭინჭრის ციებამ იცის ასე... აგერ ათი წელია, რევაზს ფეხი არ ჩაუდგამს სატეველაში და დღეს რომ ჩასულიყო მდინარეში, აუცილებლად დაცდიდა. ამიტომ მოვიდა ჩხელცარიელი რევაზი შინ, მამა მიუხედა და არ უსაყვედურა.
 ალექსანდრეს ძროხა მოუწველია

და სამზადის სვეტზე მიუბამს. ბაწარი არც ისე მოკლეა, ძროხას აიენიდან გაუნაპირებია და მოლზე წამოწოლილა, იცობნება, ხანდახან ენას გამოყოფს და ცხვირისწინ დამდგარ ხბოს შუბლს ულოკავს და ხბო გატრუნულობა.

კერაზე ნელი ცეცხლი ანთია. ალექსანდრეს რძით სავსე ქოთანი ცეცხლთან შორიახლო დაუდგამს.

ალექსანდრე ჩაფიჩაძის ძროხა კარგი მეწველია. მერე ხემაღლის ბალახი? ძალიან ნოყიერია ხემაღლის ბალახი. რვა ლიტრ რძეში ერთი ოყა ყველი ამოჰყავს ალექსანდრეს და რძე ქათქათა თეთრი როდია, ოღნავ მოყვითალოა, კარაქის ფერს გადაიკრავს, მალე დედდება და ყველი საოცრად გემრიელია. ხემაღლის ყველს ფერით ცნობენ ქალაქელები, დილით თუ იყიდიან, თორემ მერე მოგვამა ჭირი, ბაზარში ვინ გააჩერებს ხემაღლის ყველს?

სამზადში შევიდნენ. კერაზე ნელი ცეცხლი ანთია, სამზადის კარი ღიაა და არ ცხელა, სასიამოვნოც კია ეს ნელი ცეცხლი და მამა-შვილი კერასთან ახლოს დასხდნენ. რევაზი სამფეხა სკამზე დაჯდა, ალექსანდრე დაბალ ჯორჯოზე. ალექსანდრემ რძით სავსე ქოთანი თავისკენ ფრთხილად გამოაჩოჩა, ისე ფრთხილად გამოაჩოჩა, რომ რძე ოღნავადაც არ შეტოკებულა, მერე ალექსანდრემ ნელ-ნელა აიკაბიწა სახელოები, ჯერ მარჯვენა ხელის თითები ჩაჰყო ქოთანში, ნაპირნაპირ შემოატარა და რძე შედგებულად რომ შეიგულა, ხელი თანდათან ჩააცურა ქოთანში, ნელა, სულ ნელა მოიხელა ქოთანი, მერე მარცხენა ხელიც შეაშველა, ყველი ამოიყვანა და ლამბაქზე დადო.

...დედა მელიკს ამოჰყავდა ყველი ასე. ასეთ დაბალ ჯორჯოზე დაჯდებოდა დედა მელიკი, ფრთხილად მიუჩოჩდებოდა ქოთანს, მერე ორივე ხელს (დედას პატარა, ძალიან პატარა ხელები ჰქონდა) ჩააცურებდა ქოთანში, ეალერსებოდა და ეალერსებოდა ქოთანს. დე-

დასთან ახლოს, პატარა ჯორჯოზე იჯდა რევაზი და დედის ხელებს იყო მიჩრებულ. ამოიყვანდა დედა მელიკი ყველს და ვიდრე ოჩეაჩეში ჩააწვენდა, კაი მოზრდილ ნაჭერს რეზოს მოუტეხდა.

სხვა გემო აქვს ახალამოყვანილ ყველს, უმი რძის გემო.

ალექსანდრემ-კი არ მოუტეხა ყველი რევაზს, პირდაპირ ლამბაქზე დადო, მერე აიღო და ლამბაქი განჭინის თავზე შემოდეა. წაქა სამზადის კუთხეში მიდგმულ ძველისძველ ტაშტში ჩააქცია ალექსანდრემ. კატა მიუჩოჩდა ტაშტს. წაქით გამოიბერება კატა და მერე ყველს ხელს არ ახლებს.

ალექსანდრე ისევ ჯორჯოზე დაჯდა, ცეცხლს გაუყარა თვალი, ქისა მოიხელა, ყალიონი გააწყო და რაღაცა თავისთვის ჩაიბუბუნა.

რევაზის ფეხთან აქანდაზი გდია. რევაზმა ხელი დააელო აქანდაზს...

— მე თითონ, — თითქოს ისევ თავისთვის ჩაიბუბუნა ალექსანდრემ, — ხელით აიღო პატარა ნაქვერჩხალი, ხელის გულზე შეათამაშა და მარჯვენა ხელის ცერით ყალიონს მაგრა დააწება. მერე მოჭუტული თვალით გახედა შვილს — ხომ არ ეწყინა ცეცხლის მოწოდება რომ დაეუშალო.

რევაზი თავჩაქინდრული ზის სამფეხა სკამზე.

„უთუოდ ეწყინა და იმიტომაც ჩაუქინდრავს თავი!“

მამამ ყალიონი გააწყო, შვილმა აიღო აქანდაზი და ცეცხლი მიაწოდა, ზო, ყალიონის მოსაკიდებლად ნაქვერჩხალი მიაწოდა შვილმა და მამამ არ გამოართვა. ეს ეწყინა შვილს და შვილი მამის გვერდით თავჩაქინდრული ზის სამფეხა სკამზე.

„უთუოდ ეწყინა და იმიტომაც ჩაუქინდრავს თავი!“

წაქა ბლომად შეუსვამს კატას და მუცელი გაბერვია. კოტა ხარბია ალექსანდრე ჩაფიჩაძის კატა. პირამდე რომ გაავსო ტაშტი, მიადგება და ნელ-ნელა შესანსლავს, პირწმინდად

მოამზარალებს. საოცარი კია, პატარაა და ამდენ წაქას რანაირად ისხამს პატარა მუცელში? მერე გაბუსუნებული და მუცელგაბერილი ალექსანდრეს მიუჩოჩდება, ფეხებშუა შეუძვრება, ეშმაკური თვალით ახედავს, კისერს წაიგრძელებს და მუხლზე თავით გაეხახუნება. ალექსანდრე რბილად დაადებს ხელს კისერზე.

— ვითომ ძალიან გიყვარვარ, არა? ვითომ უჩემოდ ვერ ძლებ, შე ეშმაკო? კატა უფრო წაიგრძელებს კისერს და უფრო თამამად გაეხახუნება მუხლებზე.

...ახლაც გაბუსუნებული და მუცელგაბერილი ფეხებშუა შეუძვრა, კისერი წაიგრძელა, ეშმაკური თვალით ახედა, მუხლებზე ფრთხილად გაეხახუნა და გაიღურსა.

ალექსანდრემ წიხლი ჰკრა კატას და კუთხეში მიაგდო. კატამ ერთი საცოდავად დაიკნავლა, მწყრალად გამოხედა პატრონს და კარში ისკუბა.

— წავიდეთ! ცივად თქვა ალექსანდრემ, სამზადიდან გავიდა, ხბო წამოახტუნა და ოქართეში შეაგდო.

წავიდეთ!

ჯიქურად, ბრაზიანად თქვა ალექსანდრემ. ჰო, გულმოსულია ალექსანდრე ჩაფიჩაძე — შვილთან ერთად, შვილიშვილებს და რძალს ელოდა. ეს კიდევ ადგა და კინკილა ჩამოვიდა. ერთხელ კი იკითხა ალექსანდრემ, ჩემი რძალი სად ბრძანდებო და მორჩა, ის იყო და ის, მერე არც რძალი მოუკითხავს და არც შვილიშვილები. ვანა არ იცის ალექსანდრე ჩაფიჩაძემ, სადაა რძალი და შვილიშვილები? ძალიან კარგად იცის:

ბაკურიანთან ახლოს, ციხიჯვარში. სულ ათიოდე კილომეტრია ბაკურიანიდან ციხიჯვარამდე. მუხლამდე ბალახია ციხიჯვარის მინდვრებში და თათია და სანდრო იმ ბალახებში კოტრიანობენ, და მზეში შავდებიან, ჩაფიჩაძის რძალი რუსუდანი — კი ჭოლგას იფარებს და მზეს ემალებს, მაგრამ მზე მაინც მოეკიდება და ხორბლისფე-

რი გაუხდება სახე... ხვალ დიდფუთენია ადგება რევანი, პირდაპირ გადაჭრის ხემაღლის მთას, მოკლე მზით წავა რკინიგზის ბაქნისაკენ, და ბორჯომში მიმავალ მატარებელს მიუსწრებს.

ბორჯომიდან ბაკურიანამდე ნელა და წვალბეწვალებით მიდის - მატარებელი. ბორჯომში მანქანას დაიჭირავენ ალექსანდრე ჩაფიჩაძის ვაჟი და სადილობისას ციხიჯვარში იქნება.

რუსუდანი, თათია და სანდრო ელოდებიან. ელოდებიან და რევანიც ჩაევა.

რევანი სამზადიდან გამოვიდა და კარი მოიხურა. ალექსანდრე ჭიშკართან იდგა. ბაიბური არ ისმოდა ეზოში. სამზადის სვეტზე მიბმული ძროხა ისევ მოლზე იწვა და იცოხნებოდა.

...მამა-შვილმა მინდორი გადაიარეს და როცა გულასპირ ჩაფიჩაძის სახლისკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ, ერთბაშად სინათლემ შემოანათა.

გულასპირს ოდის აივანზე დაუკიდია დიდი ლამპა და მისი შუქი მთელ ეზოს ეფინებოდა.

გულასპირ ჩაფიჩაძის სახლკარი არასოდეს ყოფილა ასე განათებული და ალექსანდრე მიუხედა.

„უთუოდ რევანის პატრესაცემად... თორემ ალექსანდრეს. — არა, ალექსანდრეს ერთხელაც არ შემოგებებია ანთებული ლამპით გულასპირი. საოცარი კაცია ჩემი კარისმგზობელი. საიდან გამოაჩინდრია ეს ლამპა ახლა?“

ალექსანდრეს და რევანს ჭიშკართან შემოეგება გულასპირი, ალერსიანად მიესალმა, ალექსანდრეს-კი მხარზე დაჰკრა ხელი.

— ხომ მაგრადა ხარ, ძველო? არ ჩამოვარ რომ ამბობდი, ა, ხომ ხედავ, ჩამოგივიდა! რას იტყვი ახლა?

მერე რევანს გაექილიკა გულასპირი.

— ხომ არ მოიწყინე, ჭაბუკო? რაღაც შეფერთხილი მეჩვენები.

ალექსანდრე და რევანი აივანზე დასვა და თითონ სამზადში გაქანდა.

სუფრა აივანზე გაუშლია გულას-

პირს. ეტყობა სხვებიც ყავს მოპატი-
ებული, ბარე ათი კაცისათვისაა სუ-
ფრა ვაწყობილი.

— რა მუნჯებით სხედხართ მამა და
შვილი! — ქაქანით ამოიჭრა გულას-
პირი აივანზე და სუფრაზე ღვინით
სავსე დოჭი დადგა.

— არ მოიწყინოთ, ჩემი ქალბატო-
ნი ახლავე გეახლებათ. დოქს წაატანა
ხელი და ალექსანდრეს ქვეშევეშად
გახედა.

— არ მიწყინო და, შენი ჭური მოვ-
ხადე, ალექსანდრე!

— სახელი კი აქვს ჩემი იმ ჭურს...
ისე, უხალისოდ მიუგდო ალექსანდ-
რემ, თითქოს მოვალეობა მოიხადაო.

— გეწყინა თუ? მართლა გეწყინა? —
ვითომ აბილილა გულასპირი. ჩვენ-
ზე უკეთესს ვის დაალევინებ? როგო-
რი ღვინოა, ახლავე ვნახავთ.

წელში გამოყვანილი ღვინის სამი
ჭიქა შეავსო გულასპირმა, შეავსო,
მაგრამ ჭიქებში ღვინო არ ჩანდა. პირ-
წმინდათ ჭიქისფერი იყო ღვინო.

ალექსანდრემ ერთბაშად გადაჰკრა.
გამოცლილი ჭიქა გულასპირს მიაჩეჩა
— კესარიას შევეშველებიო — თქვა
და სამზადში წავიდა.

გულასპირი სახტად დარჩა. არ ეამა
ასე გულჩათხრობილად რომ იყო ალექ-
სანდრე, მაგრამ ვითომ არაფრად ჩააგ-
დო და ოთახიდან ნარდი გამოიტანა.

— ქალაქში ხომ არ დაგაეიწყდა, ჰა-
ბუკო?

ნარდი გაშალა და შავი ქვები თა-
ვისთვის დააწყო.

— თეთრი ქვები და პირველი გა-
ვორება სტუმრისაა. ერთ ხელს მოვას-
წრებთ.

რევანმა შაში იაქე გააგორა და შა-
შის კარი ჩაქეტა; მაგრამ გულასპირმა
დორჩარით ორივე ქვა გადმოახტუნა და
ჩაახველა.

— დაჭერას მიპირებდი, ჰაბუკო?
ცოტა უკაცრავად! ამბობენ თბილისში
კარტის თამაში უფროა გავრცელებუ-
ლიო, ქალებიც და ბავშვებიც თამაშო-
ბენო... კაი საქმეა!

რევანმა არაფერი მიუგო. კამათე-
ლი გააგორა, ჩარისე დაუჭდა და ერ-
თი ქვა შინ შემოიყვანა.

— გაქცევანა საქმე? მირბიხარ
ჰაბუკო?

გულასპირმა ხელისგულზე შეათა-
მაშა კამათელი, პირთან მიიტანა, რა-
ღაც ჩუჩურჩულა და გააგორა.

მართლა ძაღლის ძელია ეს უპატ-
რონო! საიდან გამომივარდა ახლა
ფანჯი იაქე? ფანჯს კი ვითამაშებ, მა-
რა იაქე? ამ იაქეს რაღა ვუყო?

გულასპირის ფიქრი:

„ალექსანდრე განგებ წავიდა სამზა-
დში. ეს კიდევ ხმას არ იღებს, ვერაა
კარგად საქმე“.

გულასპირმა შაშის კარში ჩააგდო
ქვა.

— ჰო, მოსაკლავად დაგისვი, მოკა-
ლი და გაიხარე!

რევანის ფიქრი:

„ცეცხლი მივაწოდე ყალიონისათვის
და არ გამომართოა. ხელიც-კი ამიკრა
აქანდაზზე“.

— გამოწერილივით მოგივიდა შაში!
ვიცოდი აუცილებლად გაგორდებოდა
შაში, მარა სხვებ გზა არ მქონდა, მო-
კალი, რა გაქვს საფიქრალი?

რევანის ფიქრი:

„თავისი საყვარელი სანდროც რომ
არ მოიკითხა! არც თათია! კატას წიბ-
ლი ჰკრა და კედელზე მიანარცხა. გულ-
მოსულია და არაფერს ამბობს“...

გულასპირმა მოკლული ქვა გააცოც-
ხლა.

გულასპირის ფიქრი:

„თუ მამამ და შვილმა ერთმანეთს
აწყენინეთ, გულასპირ ჩაფიჩაძე რა
შუაშია? ღმერთო-კი მომკალი, — რა
დაამევა გულასპირმა? შენ სტუმრად
ჩამოხველ მამაშენთან, და გულასპირმა
ვახშმად მოგიწყიათ, ამიტომ გამიბრან-
დით მამა და შვილი?“

— ა, შენც შეგიძლია მომიკლა ქვა!

— მოკვლით კი მოკვლავ, მარა რა ჰი-
რად მინდა, ყველა კარი ღია მაქვს.

რევანმა დღეში გააგორა და მოკ-
ლული ქვა ხელში შერჩა.

— აა, ბედიც ამას ჰქვია, — გახალისდა გულასპირი, — ვერაა შენი საქმე კარგად. აბა, მე მიყურე ახლა? სე იაქე გაავორა გულასპირმა და ფანჯის კარი ჩაჰკეტა.

რევაზის ფიქრი:

„ბალახი თუა ციხიჯვარშიო, ვითომ არ იცის გულასპირმა, სადაა ციხიჯვარი? კი, ძალიან კარგადაც იცის გულასპირმა სადაცაა ციხიჯვარი. დამცინავად იკითხა“.

— ჩარი-სე! ახლა შენც გამოწერილივით გაგიგორდა ჰაბუჯო, უკეთესს ვერც ინატრებდი! ჩარზე ვააცოცხლე და სეც აგერ გაქვს, ა. ხომ ხედავ — ჩემს სახლში აიღე კარი და მოხრჩობილია ჩემი საქმე!

გულასპირის ფიქრი:

„ქალაქში ასფალტი ნამეტნავად უკვართ-მეთქი. — ტყუილია თუ? მოედნებზე — ასფალტი, ქუჩებში — ასფალტი, ეზოებში — ასფალტი, სახლის სახურავებზედაც-კი — ასფალტი! ნამეტანია აბა რაა? როგორ ისუნთქოს მიწამ, თავს თუ ასფალტით მოუგლისავე? ვერ ისუნთქებს ხომ? ჰოდა, სადაც მიწა ვერ სუნთქავს, იქ ადამიანისათვის ძნელი გასაძლისია-მეთქი და ამას რატომ მოუვიდა გული, რევაზ ჩაფიჩაძე ხომ არ აგებს ქალაქში ასფალტს?“

— ეს ფანჯი — იაქე რას ჩამაცვიდა? მართლაც არაა ჩემი საშველი! — აპილბილდა გულასპირი და ქვა შაშის კარში ჩაავდო.

რევაზის ფიქრი:

„კი დაგემართოს, კი სოფელი ყოფილა ციხიჯვარი! გეგონა, ვერ მიგიხვდებოდი სად დააკაენე? ზაფხულობით სოფელში თუ დაგყავს ცოლ-შვილი, ხემაღალმა რა დაგიშავა, ხემაღალი რით ჩამოუვარდება ციხიჯვარსო, შენს სოფელს წიხლი ჰკარი, ჰაბუჯო? განზე გადგი ფეხი? კი, იქედნურად მელაპარაკებოდი, ძია გულასპირ, და გეგონა ვერ მიგიხვდებოდი? შეცდი!“

დღეში დასვა რევაზმა გულასპირი ადგა და ხელები ასწია.

— მორჩობილია ჩემი საქმე, გნებდები. ოღონდ თამაშით მოუუგეულებია გულასპირს, არ თქვა. კამათელში გამწვანდა.

ქიშკარმა გაიჭრიალა. ეზოში აბესალომ კიკნაველიძე შემოვიდა. რევაზმა კიბე ჩაირბინა და აბესალომს ეზოშივე შეეგება.

— ხანდახან თურმე გულასპირსაც დაეჭვრება. — ღიმილით თქვა აბესალომ კიკნაველიძემ.

— გულასპირს მოეშვი, ხევისბერო, თორემ ხომ იცი გულასპირის ამბავი, — აივნიდან გადმოსძახა გულასპირმა და აბესალომი მარტო რომ შეიგულა, შეუტია.

— რძალი?

— ბავშვებს დააძინებს და გადმოვა.

— ბავშვები? — გაიოცა გულასპირმა, — ბავშვები-კი არა, კაი დიდი მუტრუკებია. იავნანა თუ არ უმღერა დედოკომ, ისე ვერ დაიძინებენ, კაი მოუვიდათ მაგათ.

— ეკა! დიდი ეკატერინე?

— ჩემი რძალი გამოუვლის.

კიბეზე სვენებ-სვენებით ამოვიდა აბესალომი, ჯოხი აივნის სვეტზე მიაცუდა, მხრებზე მოგდებული თეთრი ყაბალახი მოიხსნა და გულასპირს გაუწოდა. ლამპის შუქზე ხელმოჩრდილულად გახედა რევაზს.

— ცოტა კი გამოცვილიხარ, ბიჭო! მხრებზე დაადო ხელები, მიიზიდა და მკერდზე მიიკრა, მერე სუფრის თავში დაჯდა და რევაზი გვერდით მოიხსვა.

...და აბესალომ კიკნაველიძეს თვალში ცრემლი აუთამაშდა, ერთი კურცხალი გადმოგორდა და თეთრ წვერზე დაეკიდა. ეს ცრემლი დანახა რევაზმა და გული ეტკინა. გული ეტკინა, მაგრამ რაღაცნაირი სითბოც იგრძნო გულში. ბერიკაცისკენ გადაიხარა, მსუბუქად შეახო მკერდზე ხელი და ცრემლიან თვალში ჩახედა.

— ისევ ყოჩაღად ხარ, ძია აბესალომ.

„აბესალომ კიკნაველიძეს სხვანაირი გული აქვს, ჩვილი და მოსიყვარული“

გული. გულასპირივით კი არ მიმართა დიდი ხნის უნახავ კარისმეზობელს — როგორ ბრძანდები ალექსანდროვიჩო, უბრალოდ უთხრა — ცოტა კი გამოცვლილხარ, ბიჭო, — და ისე გაუხარდა რევანის ნახვა, რომ ცრემლი მოადგა თვალში და ცრემლის ერთი კურცხალი წვერზედაც — კი დაუგორდა... თბილი, მოსიყვარულე გული აქვს აბესალომ კიკნაველიძეს. პატარა რევანი სათევზაოდ დაჰყავდა სატეველაზე, ლევანთან ერთად უბელო ცხენზე შემოისვამდა და აღმა-დაღმა დაატარებდა“...

აბესალომის ვაჟი ლევანი იკითხა რევანზე.

— ვითომ შენსავით თბილისში ცხოვრობს, — ნაღვლიანად თქვა აბესალომმა, — რატომღაც აქ ვერაფერს დაუდო გული, ქალაქში კირკიმალბს რაღაცას და ქეა. ცოლსაც ბევრი უტრიალა, მარა ჩემი რძალი არ გაჰყვა ქალაქში. მე შენ გეტყვი — სახლკარი აქვს ჩემს შვილს ქალაქში! ერთი საცოდავი ოთახი აქვს დაქირავებული, არა, ამ ოთახში ვერ გამოვაშწყვედე შვილებსო, — უთხრა ჩემმა რძალმა და ის იყო და ის — არ წავიდა ქალაქში. ხანდახან ლევანი ჩამოდის, ხანდახან დუღუხანა ააკითხავს და ბლაფორთობენ ასე...

...ბაღლობისას ძმებივით იყვნენ რევანი და ლევანი. ერთად სწავლობდნენ სკოლაში. უბელო ცხენზე შემოუჯდებოდა ლევანს და სატეველას ნაპირებზე ჭირითობდნენ. ერთად ხელობდნენ სატეველაში, ლევანი ყოველთვის უფრო მეტს იჭერდა თევზს და აუცილებლად უწილადებდა რევანს... ახლა თბილისში ცხოვრობს ლევანი და ერთხელაც არ მოინახულა რევან ჩაფიჩაძის ოჯახი.

— უი, ვის ხედავს ჩემი თვალები, — შენ შემოგველოს შენი ბიცოლაო, წამოიძახა კესარიამ და შემოგებებული რევანი მკერდში ჩაიკრა, ბეჭებზე შემოაჭდო ვალეული ხელები. შუბლი, თვალები, ლოყები დაუკონა, შეთხელებულ ქოჩორზე გადაუსვა ხელი, მე-

რე ოდნავ მოიშორა და ისევ მიიზიდა, ისევ ჩაიკრა და ჩაჰკოცნა *კუნუქი* — შენ შემოგველოს შენი ბიცოლაო, რავე მომანატრე თავი, ასე უნდა, ბიჭო?

და კესარიასაც აბესალომ კიკნაველიძესავით ცრემლი მოადგა თვალში და ერთი კურცხალი კი არ დასცემია ლოყაზე, ორივე ლოყა დაუსველა ცრემლმა და ცრემლით დასველებული, შეფაკლული და ნაოჭებიანი ლოყები ლამპის შუქზე აბზინდა.

— რავე უცხოსავით დგებარ, შენლო, — უსაყვედურა კესარიამ გვერდით მდგომ ეკას, — აკოცე შეილო, შენინანია. ჩემი რეზოა ეს.

ეკამ ნაბიჯი წადგა და ხელი გაუწოდა რევანს.

— ეკატერინეს ქალიშვილია, ბიჭო! აკოცე, რავე შენც უცხოსავით იქცევი? — ახლა რევანს უსაყვედურა კესარიამ.

რევანმა ლოყაზე აკოცა ეკას. ეკას შერცხვა და ლოყა გაუწითლდა. რევანსაც შერცხვა, მაგრამ რევანს ლოყა არ გასწითლებია.

სამზადიდან გულასპირის ძახილი მოესმათ და კესარია და ეკა სამზადში წავიდნენ.

— ეკატერინეს ქალიშვილი? ეკატერინე არასოდეს გათხოვილა. ეს კარგად იცის რევან ჩაფიჩაძემ და რევანი აბესალომს მიუჩოჩდა, ყურში ჩასჩურჩულა.

— საიდან ჰყავს ეკატერინეს ამხელა ქალიშვილი?

აბესალომმა საგულდაგულოდ მიიხედ-მოიხედა ვარშემო და როცა დარწმუნდა აბესალომისა და რეზოს ვარდა არავინ იყო აივანზე, ჩურჩულითვე მიუგო.

— ეკატერინეს დისშვილია ეკა და არაფერი წამოგცდეს. ეკატერინე ღვიძლი ღედა ჰგონია. სალომე გახსოვს?

ეკატერინეს უმცროსი და სალომე როგორ არ ახსოვს რევანს. მხიარული იყო და ახტაჯანა. ბიჭებთან ბურთაობდა. ჯადოქრულად უკრავდა გიტარაზე

და შაირებს მღეროდა. ბიჭებსაც ეშაირებოდა. ეკატერინე ხშირად ტუქსავდა სალომეს, სალომე-ჯი თავისას არ იშლიდა — ბურთაობდა და შაირობდა, თავიც კი მოსწონდა შაირებითა და ბურთაობით. თექვსმეტი წლისა ვათხოვედა სალომე, ვილაც შინდისელ შარანგიას გაჰყვა და მერე სალომეს არ შეხვედრია რევაზი.

კი ვეკაცი ყოფილა შარანგია და სახლკარიც ჩინებული ჰქონია. სალომე შეურთავს და ომიც დაწყებულა და შარანგია ჯარში გაუწვევიათ. ორსულად დარჩენილა სალომე და ეს გოგო დაებადა.

მალე უქველი ცნობა მიუღია სალომეს, — ქერჩისათვის ბრძოლაში დაიღუპა შენი ქმარიო. ცოტახანს იგლოვა სალომემ დაღუპული ქმარი, სულ ცოტახანს: სამი თვისა ძლივსლა იყო მისი გოგონა და სალომე შეუღლის ამხანაგს, საბარგო მანქანის შოფერს გაჰყვა ცოლად. სოფელში არ ედგომებოდათ და ქალაქში წავიდნენ საცხოვრებლად სალომე და მისი მეორე ქმარი. აენთო და განრისხდა ეკატერინე — ჩემმა დამ საქვეყნოდ მომჭრა თავიო, — ადგა და ქალაქში წავიდა, შერისხა სალომე და შეიღო წაართვა: კარიდანკარზე მოხეტიალე ქალი შეიღს ვერ გაზრდისო და გოგონა ხემაღალში წაშოიყვანა, იშვილა და სახელიც გამოუცვალა. მადონას ეძახდა დედამისი, ეკატერინემ ეკა დაარქვა, მეზობლები-კი პატარა ეკატერინეს ეძახიან.

...პატარა ეკატერინემ და კესარიამ სუფრა გააწყვეს.

გულასპირი და ალექსანდრე ჭურის თავზე ცოტა შეჭიკიკებულან და უკანა კარიდან ქაქან-ქაქანით შემოვიდნენ ოღაში.

ისევ გაიჭრიალა ჭიშკარმა.

რევაზმა შორიდანვე შეიცნო ეკატერინე.

ეკატერინეს აბესალომ კიკნაველიძის რძალი დუღუხანა ახლდა.

რევაზი ეზოში ჩაეგება ქალებს. ეკატერინეს ხელზე ემთხვია, ეკატერი-

ნემ-კი თავზე გადაუსვა ხელი რევაზს, შუბლზე აკოცა და მკერდზე მიიკრა. მერე აბესალომ კიკნაველიძის ოძალი გააცნო ეკატერინემ რევაზს, რევაზმა დუღუხანა ნათესავად მიიჩნია და აკოცა.

სუფრას მიუსხდნენ.

სუფრის თავში აბესალომ კიკნაველიძე დასვა გულასპირმა — ხემაღლის ხევისბერის მუღმივი ადგილი ეს გახლავთო. ხევისბერის გვერდით დიდი ეკატერინე დააბრძანა. მერე რევაზი და დუღუხანა დასვა, გულასპირი და ალექსანდრე სუფრის ბოლოში დასხდნენ.

— კესარია და პატარა ეკატერინე პატარას მოგვემსახურებიან და მერე აგერ, ჩემს გვერდით დაბრძანდებიან.

გულასპირმა სუფრას გახედა, სუფრა შნოიანად იყო გაწყობილი, და გულასპირს თბილი, საოცრად თბილი სიხარული ჩაეწვეთა გულში.

— ყველაფერი პატარა ეკატერინეს ნახელავია, ჩემი კნეინა ხელს უშლიდა მხოლოდ, — ვითომ იოხუნჯა გულასპირმა და პატარა ეკატერინეს ლოყები შეუწითლდა.

— ხაჭაპურები ეკამ დააცხო, ეს კეცის ქადებიც, წიწილებიც ეკამ შებრაწა კეცზე, ნაღულიც მან შეკაზმა, კეჭერა ფხალიც, მწვანილიც მან დაარჩია, გულასპირის მოხუცი კნეინა, მართალს მოგახსენებთ, ცოტას შევლოდა.

...დიდ ეკატერინეს კოხტად მორგებული კოსტუმი რომ აცვია, პატარა ეკამ შეჭკერა. დუღუხანას აბრეშუმის კაბაც პატარა ეკატერინეს ნახელავია. ძალიან ყოჩაღი ქალია პატარა ეკატერინე, ამიტომაც უყვარს გულასპირს და მისთვის ქებას არასოდეს იშურებს.

დღეს-კი უადგილოდ ეჩვენება გულასპირის ხობტა პატარა ეკატერინეს.

დღის გვერდით მორცხვად დგას პატარა ეკატერინე, ლოყები შესწითლებია, დაბლა დაუბრია თავი და მომეტებულად უტოკავს შედერებული მკერდი.

დაილოცეს, თითო ჭიქა შესვეს და წაიხემეს.

კესარია და პატარა ეკატერინეც შემოუსხდნენ სუფრას და სუფრა მაინც მოწყენილია. თავები დაბლა დაუხრიათ და უხალისოდ ილუქმებიან.

გულასპირსაც კი შეჰკვრია კრიჭა და მუნჯივით ზის.

დიდი ეკატერინე ხანდახან გახედავს რევასს. რევავიცი თავდახრილი ზის და ლუკმა არ ჩაუდვია პირში.

სიომ დაჰბერა, ოდნავ შეირბა ჰერზე ჩამოკიდებული ლამპა და სუფრაზე მალაყელიანი დოჭების ჩრდილი ათამაშდა, თითქოს რაღაც ენიშნა გულასპირს და ზეზე წამოიჭრა.

— ჩემი ყანწი მისახსოვრე, კესარია! კესარიას პატარა ეკატერინემ დაასწრო. ბუხრისთავზე აყუდებული ყანწი გამოირეცხა და გულასპირს მიართვა.

— შემივსე! — უბრძანა გულასპირმა პატარა ეკატერინეს და პატარა ეკატერინემ ყანწი შეავსო.

— ჩემს სახლში მე ვარ თამადა, — ხმა დაიბოხა გულასპირმა, — ეს ყანწი სავალდებულო გამიხდია ყველასთვის, დიახ, ჭალბატონებმაც ამ ყანწით უნდა შესვან... ეს სადღეგრძელო ჩვენი სადღეგრძელოა, ვინც ახლა ვცხოვრობთ ხემალაღში, იმათი დღეგრძელობა მისურვებია... ბევრნი, ძალიან ბევრნი ვიყავით და ცოტანილა შევრჩით ხემალაღს! ცოტანი, ძალიან ცოტანი შევრჩით! ჩვენს ხევისბერს ვკითხოთ — ახესალომ კიკნაველიძეს გაუსწორა თვალი გულასპირმა, — ადრე ხემალაღში ექვსასამდე კომლი ცხოვრობდა. ასე იყო ახესალომ, ხომ?

ახესალომმა წვერებზე ჩამოისვა ხელი, მიიხედ-მოიხედა, მერე რევასს მიაკცქერდა და თითქოს მარტო რევავის გასაგონად თქვა.

— ცოტა მეტიც.

— აგაშენა ღმერთმა, ცოტა მეტიც ხომ? — აიტაცა სიტყვა გულასპირმა — ექვსას კომლზე მეტიც, არა? ახლა? კარგადაც ვიცი, რამდენიცა ვართ, პოდა თქვენი თამადა ამ ცოტას ადღეგ-

რძელებს. ამ ცოტამ არ ამოუშრიტა თვალი ხემალაღს. აქა-იქ ხომ დგას ხემალაღში სახლი? დგას კარგად ცეცხლი გვინთია, ახესალომ კიკნაველიძის წისქვილი ფქვავს და ვცხოვრობთ! ასეა, მეზობლებო, ხომ? ასეა და ყველა სახლისათვის, რომელიც ხემალაღში დგას, თქვენს თამადას ბედნიერება უსურვებია...

გულასპირმა ყანწი გამოსცალა, ნაკლულად დაასხა და დიდ ეკატერინეს მიაწოდა.

მერე სამიოდე ღვინის ჭიქაც შეაპარა სტუმრებს გულასპირმა და სუფრა ოდნავ გახალისდა.

ალექსანდრემაც გაუხსნა საუბარს პირი.

— მაგარი ღვინო კი ჩაგისხამს ჩემს ჭურში, გულასპირ!

— აუუ, ეს რა წამოცდა ალექსანდრესო, — აბუბუნდა ხევისბერი, — რასაც ამალამ შეგვასმევს გულასპირი, ხვალ იმას წყლით შეავსებს და მერე თქვენ დალიეთ ის ღვინო.

— ვითომ მამუშავებთ, არა! — ჩაიჭირჭილა გულასპირმა, — წყალნარევ ღვინოს კიკნაველიძეებს უჭებენ, ხევისბერო! ერთი გიდელი ყურძენი თუ მოიგდო კიკნაველიძემ, მოგეცა ლხენა, მთელი წელიწადი ღვინო არ გამოვლევა.

ღუღუნანა რევასს გამოესაუბრა. კესარია ყურში ეჩურჩულება პატარა ეკატერინეს, მარტო დიდი ეკატერინე ზის ჩუმად, ხანდახან გახედავს რევასს, ხან-კი ალექსანდრესკენ გაეჭყევა თვალი და დიდი ეკატერინე გრძნობს — ვითომ ხალისიანობს ბერიკაცი, ვაეიშვილი გვერდით რომ უზის, ნამდვილად-კი მოწყენილია და გულმოსული ალექსანდრე, აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, სიტყვაც არ გადაუგდია და ერთხელაც არ შეუხედავს შვილისათვის.

„ეტყობა შინ მოათავეს საუბარი. მორცხვად, უხერხულად ზის რევავი ალექსანდრეს გვერდით. არა, დიდი ხნის უნახავი შვილი აგრე არ დაჯდება მამასთან. სადღეგრძელოებს უსიტყვოდ

სვამს, ერთხელაც არ გადააწოდა სასმისი მამას... უცხოხავეთ ზის მამის გვერდით რევან ჩაფიჩაძე, ამას ნათლად გრძნობს დიდი ეკატერინე, გრძნობს, ხედავს და გული სტიკვა, ებრალება ალექსანდრე ჩაფიჩაძე! ორი დღით ჩამოუჭროლა შვილმა, დახედავს და წავა“...

— აბა ერთი მაგრად შევეუტიოთ! — წამოიძახა გულასპირმა და სიმღერა წამოიწყო.

ჩემო მწველო, ჩემო მკვლელი
ჩემო ახლო მეზობელი...

გულასპირმა ხელით ანიშნა პატარა ეკატერინეს ჩამომართვიო და პატარა ეკატერინემ ჩამოართვა.

შენ რომ ცეცხლი მომიყიდე,
მითხარ, როგორ გავანელო...

— შევეუტიოთ, მაგრად შევეუტიოთ, ბებრებო, თქვენც ამოიღეთ ხმა! — ბუხუნებს მასპინძელი და ცდილობს ეშხში შეიყვანოს ლხინი.

ქალო შენი თეთრი კაბა
წყალს მიჰქონდა, მდინარესა,
ნეტაეი გამაგებინა,
ვინ გავოცა მდინარესა.

გულასპირმა არაფერი ანიშნა პატარა ეკატერინეს. პატარა ეკატერინემ დაიმორცხვა, არ ჩამოართვა გულასპირს სიმღერა, სიმღერა შეწყდა და სუფრამ მოიწყინა.

— ძალიან მაღალი იყო, — ვითომ უხერხულობის გამოსასწორებლად თქვა ალექსანდრემ.

— კი, ძალიან მაღალი იყო, — დაამოწმა აბესალომმა.

„მაღალი? გულასპირი განგებ მღერის აგრე ხმამაღლა. ჰო, განგებ მღერის! ამდენმა სიჩუმემ და დუმლობმა გაათავა კაცი. ბარე ათი წელიწადია ხმამაღლა არ უმღერია და ხმამაღლა არ გაუცინია გულასპირ ჩაფიჩაძის სახლს... ჰოდა, ახლა მოესურვილა ხმამაღალი სიმღერა გულასპირ ჩაფიჩაძეს, მოესურვილა და ამღერდა, გულმა ამოიღერა ასე ხმამაღლა! თქვენ-კი ეუბნებით, მაღალი იყო. იყოს მაღალი, გაიგონოს მტერ-მოყვარემ და მთა-

ბარმა, რომ ისევე დგას გულასპირ ჩაფიჩაძის სახლი ხემაღალში, გვერდზე ცეცხლი უნთია, თბილია მისი გვერდის ფერი კვამლი მიიჭრება ცისკენ, ეს ახარებს გულასპირს და ხმამაღლა მღერის.

მაღალი იყო, — განა დღემუდამ ჩუმად არ სხედან ამ აივანზე ეს ბერიკაცები? სხედან და ბაიბური არ ისმის, ჭიშკართან არავინ ჩამოივლის და ძაღლი არ დაიყვებებს. ბნელში გაუჩინარდებიან ხემაღლის მთები, სხედან ბერიკაცები და სიბნელეს გასცქერიან, სხედან და ყურს უგდებენ სიჩუმეს... კესარია მოუბოდიშებს ბერიკაცებს და დოქით ღვინოს დაუდგამს, ცოტა ყველს, ჭაღსა და პრასის წნილს შემოაწყობს სუფრაზე, მერე ოთახში შეფარვატდება და ტახტზე წამოწვება დაღლილი დედაკაცი.

ჭრიჭინობს ჭრიჭინობელა, აივანზე ჩუმად სხედან ბერიკაცები და ყურს უგდებენ ჭრიჭინობელას ჭრიჭინს.

— პირველი ჭიქით კესარია ვაღდეგრძელოთო, — იტყვის ალექსანდრე ჩაფიჩაძე და ბერიკაცების სუფრა ჩუმად, ხმადაბლა ადღეგრძელებს ოჯახის დიასახლისს. დაღლილ-დაჭანცული დიასახლისი ტახტზე წევს, ჩათვლემილია და შიშობენ არ გამოაფხიზლონ.

მერე ხანგრძლივი სიჩუმე მოიცავს გულასპირ ჩაფიჩაძის სახლს.

ჩუმად წიწკნიან ბერიკაცები პრასის წნილს, ოდნავ ბუფტავს ჩაწეული ლამპა და ბერიკაცები სიბნელეს უშტერებენ თვალს.

გულასპირი შეავსებს ჭიქებს.

— ახლა ჩვენი ხევისბერი ვაღდეგრძელოთო, — ფუჩუნით წარმოთქვამს გულასპირი და აბესალომ კუნთველიძეს ადღეგრძელებს, ოღონდ ჭიქას არც ალექსანდრეს და არც აბესალომს არ მიუჯახუნებს, — ებრჯლება მძინარე კესარია. ცოდვია დედაკაცი, მთელი დღე დაფუსფუსებს, დაჭანცულია, იწყებს და იძინოს.

— ჩვენი ალექსანდრე ვაღდეგრძელოთო, — ჩაუფუჩუნებს ყურში გუ-

ლასპირი ზევისბერს, ჭიქებს შეავსებს და დოჭი ემჩატება, ღვინო გამოლოუ-ლა დოჭში. უხმაუროდ ადგება გულასპირი, ცერებზე გაივლის აივანს, კიბესაც ცერებზე ჩაათავებს და საშაღ-ში შეიპარება.

ალექსანდრე და აბესალომი მუწე-ბივით სხედან აივანზე და გულასპი-რის მობრუნებას ელოდებიან, ნელა წიწყნიან პრასის წნილს და ყურს უგ-დებენ სიჩუმეს.

ტახტზე დაღლილ-დაქანცული დია-სახლისი წვეს. ოთახის კარი ღიად და-უტოვებია კესარიას, აბესალომი გუ-ლასპირივით ცერებზე გაივლის და ოთახის კარს მიხურავს, დააყურებს— მშვიდად ძინავს ქალბატონ კესარიას. ახლა ნამდვილად ძილის დროა, მაგ-რამ ბერიკაცები ფიზილობენ. ჰოო, არ ეძინებათ ამ ბერიკაცებს და რა ქნან? დაწვებიან, კედლისკენ გადაბრუნდებო-ან, თვლებს დახუჭავენ და მაინც არ ეძინებათ. შორს, ძალიან შორს წასუ-ლა ამთი არჩივი ძილი. შორს წასულა და მობრუნებას აღარ აპირებს, ამიტო-მაც სხედან გულასპირ ჩაფიჩაძის სახ-ლის აივანზე ასე ჩუმად, ელოდებიან შორს წასული ძილის მობრუნებას და სიბნელისათვის გაუშტერებიათ თვალი.

საცხე დოჭს შემოდგამს სუფრაზე გულასპირი, ცოტა წნილსაც წაუშა-ტებს, მერე შეავსებს პატარა ჭიქებს და ახალ სადღეგრძელოს მოიგონებს მასპინძელი.

როგორ გააცოცხლებს ახლა ერთი პატარა სიმღერა სუფრას! დაბალი სულ დაბალი კრინით რომ იმღერონ ერთი პატარა სიმღერა, დაშვენდებოდა, ძალიან დაშვენდებოდა ბერიკაცების სუფრას.

სუფრაზე პრასის წნილი, ცოტ-ცოტა ყველი და ჰადი აწყვია, ღვინით საცხე დოჭი დგას სუფრის შუაში, ოღნავ ანათებს ჩაწეული ლამპა, სამი ბერიკა-ცი შემოსხლომიან სუფრას და ლამპის მკრთალ შუქზე ლანდებივით ჩანს მა-თი გაცრეცილი სახეები... იტბიბარს არ იტბენ, შეხედეთ — ილხენენ ბერიკა-

ცები, ილხენენ და სიმღერა მოესტრ-ვილათ, მიუხვდება გულასპირი და ზე-ვისბერს მხარზე დაადებს ხელს... ბერი კაცი ვარ ნუ მომკლავ.

ჩუმად, სულ ჩუმად დაილილინებს გულასპირი.

ყველა დაგიწყებს გმობასაა.

ჩამოართმევს აბესალომი, მერე ორი-ვეს ალექსანდრე შეენაცვლება. გაბზა-რული ხმა აქვს ალექსანდრეს და ოდ-ნავ აამალღებს სიმღერას, მაგრამ გუ-ლასპირი ანიშნებს და ალექსანდრე ჩა-ჩუმდება.

— კესარია დაგვიწყდა, ბერიკაციო? ცოდვია ქალი! ჩვენ გამოპენტერებუ-ლები ვართ და არ გვეძინება. კესარიას ძინავს, ჩვენ ვლილინებთ და ძილს ვუფ-რთხოებთ...

ლილინებენ კი-არა, რალაცას ჩიფჩი-ფებენ, ისე ჩიფჩიფებენ, რომ ოთახში ტახტზე წამოწოლილ კესარიასაც არ ესმის მათი ჩიფჩიფი, ამათ-კი ჰგონიათ მღერიათ და ქვეყანას აყრუებენ.

ნეტავ მართლა იმღერებდნენ, გული გაუხალისდებოდა კესარიას. ტახტზე პირალმა წვეს კესარია, სიბნელეში მის-ჩერებია ჰერს და ვერაფერს ზედავს. კრიჭინობელას კრიჭინი ესმის, ამთი სიმღერა-კი არა... ჰოდა, რა სიმღერაა ის სიმღერა, რომელიც არავის ესმის? აივანზე მღერიათ და ოთახში ვერ შეუ-ღწევია მათ სიმღერას.

სადღეგრძელო შემოეღვეათ ბერი-კაცებს. ყველა დღეგრძელებულია — კესარია, გულასპირი, ალექსანდრე, აბესალომი, ალექსანდრესა და აბესა-ლომის შვილები და შვილიშვილები, დიდი ეკატერინე და პატარა ეკა — მორჩა და გათავდა, დამთავრებულია ბერიკაცების ღვინო.

ღუღუხანა დაუძახებს მამამთილს, აბესალომი მიხვდება — წასვლის დროა, მაგრამ ცოტა ხანს მაინც შე-ყოვნდება ზრდილობისათვის, მერე ყა-ბალახს მოიგდებს მხრებზე, ადგება, მადლობას მოახსენებს მასპინძელს და ცერებზე ჩაათავებს კიბეს. ალექსანდ-რეს-კი არავინ უხმობს, არავინ ელოდ-

ბა შინ, მაგრამ ვითომ მასაც რძალმა დაუძახაო, — აბესალომთან ერთად ისიც ადგება, მადლობას მოახსენებს მასპინძელს, ოღონდ ცერებზე არ გაივლის, ცერებზე სიარული არ უყვარს ალექსანდრეს, მაგრამ კიბეზე უხმოდ ჩავა და კესარიას არ გამოაღვიძებს. აბესალომი და ალექსანდრე უხმოდ გამოაღებენ ჭიშკარს, ერთმანეთს რაღაცას წაუფუჭუნებენ და ცალცალკე წავლენ.

აბესალომ კიკნაველიძის სახლში ლამა ანთია, ძინავთ აბესალომის შვილიშვილებს, დუდუხანა-კი მამამთილს ელოდება. მიბაჩუნდება აბესალომი შინ, თბილ წყალს დაახვედრებს დუდუხანა, ფეხებს დაიბანს აბესალომი, ლოგინი გაშლილია, ტანთ გაიხდის და დაწვება. ლამპას ჩააქრობს დუდუხანა. სიბნელეში წვეს აბესალომი, თვალი ქერისათვის შეუშტერებია და ხემაღლის მთების გადაღმა გადაკარგულ ძილს უხმობს.

ბნელში მიბიძებს სახლისკენ ალექსანდრე ჩაფიჩაძე, ბილიკი „ზეპირად იცის და ერთსაც არ წაიფორობილებს. მიადგება თავის ჩაბნელებულ სახლს და ჩაახველებს — მოვედიო ამცნობს სახლს. ალაგზე გადაბიძებს, ეზოში ჩადგამს ფეხს და კიდევ ჩაახველებს — უკვე მოვედიო, ეტბნება სახლს. აბა, რა ქნას? ზომუნდა დაელაპარაკოს ვინმეს და ალექსანდრე თავის სახლს ელაპარაკება სიბნელეში. სამზადში მოთავებული აქვს საქმე, პირდაპირ ოდაში ავა, კიდევ ჩაახველებს, — აბა, უკვე მოვედიო ჩემო სახლო, კარს გააღებს, ზალაში შევა, ასანთს გაჰკრავს და ბუხრისთაზე დადგმულ ლამპას აანთებს; განათდება სახლი, ფანჯრებიდან აივანზე გამოიჭრება სანთლის შუქი და აივანიც განათდება. ლოგინს გაიშლის ალექსანდრე, პირჯვარს გადაისახავს და დაწვება. ლამპას ანთებულს ტოვებს, სინათლეში ძილი უყვარს ალექსანდრეს, ან ეგებ ღმერთმა ქნას, ვინმეს ფეხი შემოუც-

დეს და სტუმარს ესიამოვნება განათებული სახლი.

მარტო

როცა სინათლე ანთიანთავისგან გაჩნდა კიდევ ვიღაც ეგულება სახლში ალექსანდრეს, ნამდვილად ასეა, ჰო, ასეა — ალექსანდრე და სინათლე ერთად წვანან ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში, ამ სინათლეს თვალს უშტერებს ბერიკაცი და ხემაღლის მთების გადაღმა დაკარგულ ძილს უხმობს.

...პრასის წილის, ჰადასა და ყველის ნატეხებს ერთ თეფშზე დააქურჩებს გულასპირი, მერე დოქს წაატანს ხელს და დოქი ემძიმება — ტყუილებრივად ამოუტანია მეორე დოქი ღვინო, სულ ერთი დოქი ღვინო დაუღვევიათ სამივეს; დოქი ჰქვია, თორემ ბოთლნახევარი ძლივს ეტევა, — გამოთვრენ კია. აბა, რავა ეგონათ მაგათ, მაგარია გულასპირ ჩაფიჩაძის ღვინო.

თეფშსა და დოქს სამზადში წაიღებს გულასპირი, განჯინაში შედებს, მერე უქანა კარიდან შემოიბარება ოდაში, ფრთხილად გაიხდის ტანსაცმელს და კუთხეში მიდგმულ ტახტზე დაწვება. კესარიას ძინავს, გულასპირს სიბნელისათვის მიუშტერებია თვალი და ხემაღლის მთების გადაღმა გადაკარგულ ძილს უხმობს.

...სუფრა ისევ ჩაჩუმდა.

მარტო კესარია და პატარა ეკატერინე ეჩურჩულებიან ერთმანეთს და არავის ესმის მათი ჩურჩული. რევაზი მორცხვად ზის მამის გვერდით და თავი ჩაუქინდრავს. ალექსანდრე განზე იყურება მოჭუტული თვალებით; ჰო, ჩამქრალი ყალიონი გაუჩრია პირში, თვალები მოჭუტუტავს და ეზოში იყურება, ლამპის შუქს სიბნელე გადაურეკია გულასპირის ეზოდან, ალექსანდრეს უხარია ეს, მაგრამ არ იჩნწევს.

ხევისბერიც დამუწვებულა, ხანდახან გახედავს დუდუხანას და უხარია — მისი რძალიც რომ აქ არის, თანაც შიშობს — ვაი თუ შეილიშვილებმაც გამოიღვიძეს და შეშინდნენო.

ღიღი ეკატერინეს ღუმელმა სულ გაოცა გულასპირი, ერთი სიტყვაც არ

დასცდენია, არასოდეს ყოფილა ასე კრიჭამეკრული დიდი ეკატერინე და ისევ იფეთქა მასპინძელმა.

— არ მოგეწონათ ჩემი სიმღერა, ხომ? მაღალი იყო, არა? აბა, ახლა თქვენ ჰქვამთ!

და ყველასათვის მოულოდნელად დიდმა ეკატერინემ გიტარა მოითხოვა. სიმები გაუსინჯა, ააწყო, მერე სუფრას გახედდა და თითქოს მოწაფეებს მიმართაო — დამრიგებლურად თქვა.

— რეზო მეორეს მეტყვის. ყველა ვიმღერებთ.

...პატარა ეკას უმღეროდა ძილისპირულს დიდი ეკატერინე ოცი წლის წინათ... აკვანს არწევდა და მღეროდა ძილისპირულს, პატარა ეკაც არ დაიძინებდა უსიმღეროდ. სიმღერაში მიეპარებოდა პატარა ეკას ძილი, თვალს დაუხუჭავდა და დააძინებდა. მძინარე ეკას კიდევ დიდხანს ჩაესმოდა თბილი და ალერსიანი ძილისმომგვრელი ძილისპირული. მერე? მერე პატარა ეკა წამოიჩინა, დიდი ეკატერინე პატარა ეკას ამღერებდა, თითონ-კი უსმენდა, არასოდეს არ აპყლია სიმღერაში, ერთხელაც არ უმღერია პატარა ეკასთან ერთად დიდ ეკატერინეს, თითქოს სასიმღერო ხმა ჩაუწყდაო.

და ახლა გიტარა რომ მოითხოვა დედამ, პატარა ეკატერინე შეტოკდა, ჯერ სიწითლე შემოენთო სახეზე, მერე უცებ ფერი დაჰკარგა, აცახცახდა, თვალში ნაპერწკლები აუთამაშდა და დედას დიდი ხნის უნახავივით გახედა.

ჩიტ-გვრიტი მიფრინავდა,

ოე-ნა-ნი-ნა,

მე შროშანი მეგონაო,

ოე-ნა-ნი-ნა.

ძილისპირულსაც არ იწყებდა დიდი ეკატერინე, ასე ხმადაბლა, ასე თბილად და ალერსიანად. ისევ ჩაესმა პატარა ეკატერინეს ეს ხმა და დაპატარავდა: აკვანში წევს ეკა, მსუბუქადაა ჩაქრული აკვანში, აკვანთან დედა, ზის, არწევს აკვანსა და ხმადაბლა, ტკბილად მღერის ძილისპირულს. თანდათან ღამდება, ყველაფერი გალურ-

სულა და სიმღერას უსმენს. რული ფეხბაქრეფით ეპარება ეკას წამწამებზე წაეპოტინა, დაუხუჭა წამწამებში მერე გულში ჩაუძვრა და დააძინა.

დედა ისევ ნელნელა არწევს აკვანს, ხმადაბლა მღერის ძილისპირულს და აკვანში ტკბილად ძინავს პატარა ეკატერინეს.

ჩიტ-გვრიტი, მარგალიტი,
ოე-ნა-ნი-ნა...

მზარი აუბა დიდ ეკატერინეს რევაზმა და სიმღერამ ფრთები მოისხა, აიწია, გაიშალა და დაბოხდა. მერე დუღუხანას ხმა შეერთო სიმღერას და თავდაპირველი სინაზე დაუბრუნა. გულასპირმა ხელი შემართა და ბერიკაცებს რალაც ანიშნა, ბერიკაცებმა ჩახველებით ჩაიწმინდეს ყელი და ბუბუნა ხანით ჰერში ააგდეს სიმღერა, მერე გულასპირ ჩაფრჩაძის ეზოს გადააფინეს, მინდვრებისაკენ გაუკაფეს გზა, სიმღერა ეკვეთა ხემაღალის ღამეს და შორს გადაარქვა.

გამზიარულდასუფრა. ალექსანდრეც და ხევისბერიც მღერის, კესარიამაც შეპარა თავისი წერილი ხმა სიმღერას, მარტო პატარა ეკატერინე ზის თვალდახუჭული, თავისთვის მღერის გულში და სიმღერას უსმენს.

პატარა ეკატერინეს თავდაპირველად არ ესიამოვნა რევაზის გაბზარული ხმა, მერე-კი ბზარი მოიშორა იმ ხმამ, დაიწმინდა, გაშალაშინდა, სიტყბო შეიმატა და დიდი ეკატერინეს ხმას დაეწყვილა და შეეწყო.

ჰო, ყველანი მღერიან, მარტო პატარა ეკატერინეა გალურსული, სხვათა სიმღერას უგდებს ყურს, ამ სიმღერაში კი ორი ხმა გამორჩეულად ჩაესმის პატარა ეკატერინეს — დედისა და რევაზის ხმები. დედის ხმა აკვანში მწოლარეს ძილისპირულს უმღეროდა, ხოლო რევაზის ხმა დღეს პირველად მოისმინა.

სიმღერა ხომ აეწყო და აეწყო და გულასპირ ჩაფრჩაძეს ახლა ცეკვა მოესურვებოდა. სიმღერას ნელნელა შეაპარა საცეკვაო, ბერიკაცებმა ტაში აუწყ-

ვეს, მერე ხმასაც აუმაღლეს, ხან რევავს შეეღიმებოდა, ხან პატარა ეკატერინეს, მაგრამ ორივეს თავები ჩაუქინდრავთ და იატაკს დასჩერებოდნენ. პატარა ეკატერინეს აღერებული მკერდი უტოკავს და სახეზე ფერი წარამარავს ეცვლება.

არა, ესენი არ აპირებენ ცეკვას და ისევ გულასპირმა უნდა აიშუბუქოს ბებერი სხეული, ჩამოუაროს, აიყოლოს პატარა ეკატერინე და რევავი, მერე ესენი აღარ დაიმორცხვებენ და ამ ბებერი სახლის აივანზე ქარბორბალს დაატრიალებენ.

მამ გულასპირმა ჩამოუაროს? კეთილი და პატიოსანი! ალექსანდრე ჩაფიჩაძისა და მელიკის ქორწილშიც გულასპირი იყო ცეკვის მოთავე.

...პატარძალი დიდ ზალაში რომ შემოიყვანეს, გუნდმა საცეკვაო წამოიწყო და გულასპირი აცეკვდა... იისფერი ჩოხა ეცვა. თეთრი, მოსირმული ახალღი, თეთრი უძიროები. გულასპირმა ქორივით შემოხაზა წრე, ხელები გაშალა და მისი თეთრი უძიროები იატაკს არც ეხებოდნენ, პაერში ცეკვავდნენ გულასპირის თეთრი უძიროები. პატარძალი მორცხვობდა და უკან იხევდა, მამინ უფროდაუფრო გაახურეს ტაში, ვილაცამ წასათამამებლად ხელიც კი უბიძგა პატარძალს და მელიკიც გაიშალა წელში. გულასპირმა ცეცხლი მოიკიდა უძიროებზე და პაერში აფრინდა. მელიკიმ მხოლოდ ორხელ შემოუარა წრეს და დაიქანცა, დამორცხვდა და მოიყუტა, ასეთი გაგიყვებულ მოცეკვავე მელიკის პირველად შეხვდა და ვერ გაუძლო — მუხლები მოეკვეთა, გული შეეკუმშა, თვლებში სინათლე წაერთო... გულასპირი-კი უფროდაუფრო ხელდება, უფრო თამამად და უფრო სწრაფად უვლის წრეს, კისერი ამყად აღდერებია, ულვაშებში იღიმება და ქალიშვილებს საცეკვაოდ იწვევს...

მამ გულასპირმა ჩამოუაროს? ბატონი ბრძანდებოდეთ! როგორმე აიშუბუქებს გულასპირი ბებერი სხეულს,

აიშუბუქებს, აცეკვდება და მერე გაუძელოთ! თქვენ იმღერეთ, და ტაში დაუქარიოთ! პოო, გულასპირ! ჩაუხაჩაძე იცეკვებს, ისე მარდად იცეკვებს, ისე აბაჯბაჯდ-დაბაჯბაჯდება, რომ ამ ძველი სახლის აივანმა კრიალიც კი მორთოს...

...მაგიდას დაეყრდნო, წამოიწია, წელში გაიმართა, ის იყო — ხელები უნდა გაეშალა და აცეკვებულყო, მაგრამ გულმა უარი უთხრა.

„რას იქაღნები, ბერიკაცო? ხომ ხედავ, არ შეგიძლია!“

ვერა, ვერ იცეკვებს გულასპირი. ყველაფერმა ერთად შემოუტია — წუხილმა და სიხარულმა, სიბერემ და ღვინომ. დიდიხანია ყანწი არ გამოუცლია გულასპირს, ესოდენი სიხარული არ უგრძენია, ასე არ აღელვებულა და დღეს ყველაფერი ერთად დაეჯახა. დღლავს, ცახცახებს და ვერ იცეკვებს; ცეკვა კი აუცილებელია, აბა რა ლხინია უცეკვო ლხინი? გესმით როგორ უკრავენ ტაშს ბერიკაცები? ცეკვით კი, არაფერ ცეკვავს... მამის გვერდით მორცხვად ზის რევავი, თავი ჩაუქინდრავს და იატაკს დასჩერებია, თითქოს რაღაც დაკარგვია და იმას ეძებსო. პატარა ეკატერინესაც თავი ჩაუქინდრავს, აღერებული მკერდი უტოკავს, ლოყები შესწითლებია, მოყუყუტა და დაპატარავებულა.

მამ გულასპირმა ჩამოუაროს? რომ არ შეუძლია? ან უხერხული და სასაცილო არ იქნება — პატარა ეკატერინე სუფრას უჯდეს და გულასპირმა ჩამოუაროს? ბერიკაცები ტაშს დაუქრავთ, ხელისგულები გვექავება და მაგარ ტაშსაც დაუქრავთ, ოღონდ მუხლები გვიცახცახებს და ვერ ვიცეკვებთ! ახალგაზრდებმა უნდა იცეკვონ, ტაშს ბერიკაცები დაუქრავენ...

გულასპირი ისევ ფეხზე დგას და სუფრას დასცქერის. პატარა ეკატერინეს მხარს ცახცახით შეახო ხელი გულასპირმა, პატარა ეკატერინე შეკრთა, თავი ასწია და გულასპირს თვალში შეაქცერდა. პატარა ეკატერინეს აღერებით გადაუხვა თავზე ხელი გულასპირ-

მა და ოთახისაკენ გაახედა: კედლიდან გულასპირის ვეიშვილი აღმასხანი ცოცხალივით იმზირება, ოდნავ ილიმება ულვაშებში, შუბლზე ერთი პატარა ნაოჭი აქდევია აღმასხანს და ის ნაოჭიც ილიმება. სადაცაა ეს სურათი კედლიდან გადმოვა, აცეკვდება და საცეკვაოდ პატარა ეკატერინეს გაიწვევს.

გულასპირს თვალი აუცრემლდა. გატყდა ბერიკაცი. პატარა ეკატერინე ზეზე წამოიჭრა, ხელები გაშალა და სუფრას ჩამოუარა.

ბერიკაცებმა ტაში გაახურეს. გულასპირმა ხმამალა შეუძახა სიმღერას და ბებერი სახლის აივანზე პატარა ეკატერინე მსუბუქად აცეკვდა.

გულასპირმა ანიშნა — რევანზი გაიწვიე საცეკვაოდო და პატარა ეკატერინე რევანზის წინ შეჩერდა და თავი დახარა, რევანზი წამოდგა, ხელები გაშალა, ის იყო წრეში უნდა შეჰყოლოდა პატარა ეკატერინეს, მაგრამ სად იყო სად არა, იატაკიდან აღმასხანი ამოიჭრა და ცერებზე შემდგარი პატარა ეკატერინესა და რევანზის შუა ჩადგა, შეთანამშდა, ცერები გაუსვ-გამოუსვია, მერე მარცხენა ხელი მკერდზე მიიღო, მარჯვენა ზევით აღმართა და პატარა ეკატერინეს წრეში შეჰყვია.

აღმასხანს იისფერი ჩოხა აცვია. თეთრი, მოსირმული ახალოხი. მეშის თეთრი უძირივები. სუფრას სამჯერ შემოუარეს და პატარა ეკატერინე უკვე დაიქანცა. ნაღვლიანად შეაჩერდა აღმასხანს, თითქოს მოუბოდიშაო, ხელები ძირს დაუშვა და სკამზე მოწყვეტილივით დაესვენა... აღმასხანი კი არ იღლებდა, იატაკს ქუსლებს არ აკარებს და ცერებით თავბრუდამხვევად ცეკვავს და სხვას არა, მარტო პატარა ეკატერინეს ელიმილება, მარცხენა ხელი მკერდზე მიუდვია, მარჯვენა ზევით აღუმართავს და გამოიწვევად ცეკვავს, თითქოს ვიღაცას ეჯიბრება და ახელებს. არა, სხვას არა, მარტო რევანზს ეჯიბრება, რევანზის წინ შედგა და ჩაუცერულა,

ზევიდან გამარჯვებულვით დახედა, ნიშნისმოგებით, დამცინავად ვაუღლიმა, მაგრამ აღმასხანის ღიმილი ნაღვლიანია, ეს კარგად დაინახა გულასპირმა და თვალიდან ისევ გამოეთნა ცრემლმა.

მერე აღმასხანი თანდათან დადაბლდა და დაპატარავდა, ნელნელა გაეცალა სუფრას, ლანდივით შეიჭრა თავის ოთახში, კედელზე აბობლდა და ისევ შავჩარჩოიან სურათად იქცა.

...პატარა ეკატერინემ და რევანზმა ცეკვა დაამთავრეს და ტაშიც შეწყდა.

გულასპირი სკამზე დაეშვა, მალულად გააპარა თვალი ოთახისაკენ და ახლა აღმასხანის შავჩარჩოიანმა სურათმა თითქოს გულმოსულად გამოხედა.

გულასპირმა ხელისგულით შეიმშრალა ცრემლი და ახალი სასმისი შეაესო. რევანზმა აივანზე მოისურვა დაწოლა.

ოთახიდან ხის ტახტი გამოიტანა, ლეიბად ჭილოში დაიფინა, სასთუმლად მუთაქა მოირგო და როცა მამამ მატყლის თხელი საბანი წაახურა, შეილი უკვე მსუბუქად ხვრინავდა. მძინარე შეიღოს ალექსანდრე ცერებზე შემდგარი გაეცალა, უხმაუროდ შევიდა ოთახში, სულის შებერვით ჩააქრო ლამბა, პირჯვარი გადაისახა და დაწვა.

რევანზი აივანზე წევს, ოთახის კარი ღიაა და ალექსანდრეს შეიღოს ძლიერი სუნთქვა ესმის.

„ხემაღლის ზაფხულის ღამეც გრილია და ბიჭს ეგება შეცივდეს“.

ღამბა არ აღნთია, სიბნელეში იპოვა მეორე საბანი და აივანზე გამოვიდა.

თითქოს ღამე მიწურულა და სადაცაა გათენდება, ნამდვილად კი შუაღამეა, გაცრეცილი თეთრი ნისლით შებურვილა ალექსანდრე ჩაფიჩაძის კარმიღამო და ყოველივე ეს ხილულია, როგორც დღისით, ოღონდ ეს ხეები, ღობე, ჭიშკარი, სამზადი სახლი და დიდი ოდაც თითქოს ამსუბუქებულან, ოდნავ მოძრაობენ და ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

ბიოგრაფიული

ს ა ა რ ა გ ვ ო

არაგვის ცაყ და მიწაც ჩემია,
ჩემი არაგვი ბლოდან იწყება,
ცინცხალი სიყურმე აქ დამრჩენია
და სინხარულით თავდავიწყება.

ჩემია წმინდა ჩანჩქერთა წყება,
ვეოცნი ყვავილებს ფერად-ფერადებს,
მზერა ბლოღელით ორწყელამდე სწვდება
და გიგაურთა მწვანე ველამდე.

არაგვის წვეთებს სისხლის ფასი აქვს,
არაგვის ჭალებს სიცოცხლის ფასი,
მთებს შემოვავლეთ სხივთა არშია,
ხალხს უკვდავების წყარონი ვასვით.

მწვერვალის ძირას მიყუყულ სოფელს
ჩამუჭებული ნისლი ავხადეთ,

ფართოდ გაეხსენით გათიშვის ღობე,
გავაფართოვეთ გულის სახატე.

ჩემს საარაგვოს აქვს განთიადი,
რაღაც სხვა ფერი,
რაღაც სხვაგვარი,
კარგად გამოცხვა ობლის ხშიადი,
ისევ გაღვივდა კერის ნაცარი.

ხვესურეთს ისევ ბოლავს ბუხარი
და ელვარებენ ბასრი ცვლები,
ლექსო, მადლობა იმას უთხარი,
ვინც მთა შემოსა უკვდავ ფერებით.

ვინაც ანთო მზე საარაკო,
კლდეს შეაღწეა ღამე მზებნელი
და შეაწია ჩემს საარაგვოს
სიტყვა, როგორც იმას შეჭფერის.

გაბრიელ ჰაბუშანუს

რას ეხვეწები ეჭიმებს, ბიჭო,
ნუთუ სჭირდება შენს გულს წამალი,
როდესაც ნიჭი ისევე ნიჭობს,
როცა ოცნება მოგდევს ფრთამალი,
როცა სიღალე შემორჩა კალამს,
და მისი რხევა კვლავ მუზებს უბმობს...
არ მიგესვლება საფლავის კარად

ხვესურს უხანჯლოდ,
უფაროდ,
უხმლოდ.
მამაპაპათა ვახლე კოშკებს,
გასცილდი სიციხით გათანგულ ქალაქს,
უთხარი ლექსი ხახმატელს, როშკელს,
მეუშრე ცრემლი არხვატელ ქალას.

აისხი ტანზე აბჯარი რვალის,
 არ ჩაუარო ჭიუხებს უხმოდ,
 როგორ გაგიღოს სამარემ კარი
 ხვესურს უხანჯლოს,
 უფაროს,
 უხმლოს...
 მაინც წახვედი,
 აჩქარდი, ბიჭო,
 ისე რომ მთებიც არ ინახულე,
 დიდუბის მიწა თუ არხვაცს გიჯობს,
 დე, იყოს შენი მოჭირნახულე.
 ვერ დაგიტირეს ხმითმატირლებმა,

სულის სამხსნელოც არ დაუკლიათ,
 არაგვს ჩამოკვვენ თმაგაწლილებელნი.
 შენი მზექალი,
 შენი ნუკრია.
 ჩამოგიტანეს სიმწვანე მთათა,
 დეკის სითეთრე,
 პირიმზის ეშხი,
 და მიგიბარა დიდუბის კალთამ
 უსმლოდ,
 უფაროდ,
 უხანჯლოდ...
 ლეგსით.

მეავე წყალთან

მეავე წყალთან სვანებია,
 შორეულხუხებს ვედა ცივი,
 მონადირეს ჰყვარებია
 მეავე წყალი ნადირივით.

დამპატივებს,
 დამაძალეს,
 მასვეს ვედა ნაბდის ქუდით,
 ჩამივარდა ქუდში მთვარე
 და ავმღერდი მთვარის ქურდი.

და ვუთხარი ჭება სვანებს
 გულმართლებს და გულახდილებს,

მათთან სული დავიამე,
 მათთან თვალი გავახილე,

ოცნებანი გავახელე,
 ცად ავზიდე მწვერვალეზად,
 სიყვარულში დავაჯერე
 შუბლნათელი მთების დედა...

სათიბებში სვანებია,
 სვანურ ქუდში ვედა ცივი,
 პა, მეც შემიყვარებია
 მეავე წყალი ირემივით.

გზი მიისარამ

კახრიელ თუთბერიძის სახელუნი

49... წელს ქართლი სპარსელებმა დაიპყრეს. ერთიანად ააოხრეს ქვეყანა ხუნანიდან მოყოლებული ზენა სოფლამდე. მაგრამ დამპყრობლები ქართლში დიდხანს არ დარჩენილან, მათ აღმოსავლეთიდან მტერი გამოუჩნდათ, ამას შინაური შფოთიც დაერთო და სპარსელების ლაშქარმა უკან დაიხია.

ომის კირთებით დაძაბუნებული ერი დამპყრობთა უკუქცევის შემდეგ თითქოსდა შეუდგა მშვიდობიან ცხოვრებას. დაბრუნდნენ პეროვანნი და ყმები დაბებსა და ახალშენებში, მოქალაქეები ქალაქებში. ხელი მოჰკიდეს მოშლილი მეურნეობის აღდგენას, მაგრამ რაც აოხრებას გადაურჩა, გვალვამ გადაწვა და მომავალი შიმშილით იმუქრებოდა.

ცხოვრებამ ქალაქებშიაც აიღვა ფეხი. გამოჩნდნენ ვაჭრები და ხელოსნები, მაგრამ იმ ცუდფაშობისას იშვიათად თუ ვინმეს გააჩნდა სახსარი სახლ-კარის განახლებისა; ან თუ ვინმე ყიდულობდა რაგანდრასა და სასახლეულო ნივთებს.

წერილი ერთიდან ბევრმა მიიღო მარტინობა. ზოგზოგები ძველ ღვთაებათა თაყვანისცემას დაუბრუნდნენ, რომლებიც მათ წინაპართ საუკუნენახევრის წინათ უარყუთ. სახელდახელოდ ნაჩორქნი კერპებით მიეშურებოდნენ წარმართული წმინდა ადგილებისაკენ და რად-

განაც აღარ იცოდნენ ღვთაებების ზორვისა და კმევის წესები, ქრისტიანული წესისგებით სცემდნენ თაყვანს. ერთ სახლელს მიუსწრეს ზორვისას ყორეთნაგებ ქორტთან, დედაწულიანათ ჩაქოლეს. ერთ მცბეთელ დიაცს გამოეცხადა თვალმაჩი ვრბი და საკუთარი თავი მოსხოვა მსხვერპლად. ღვთაების ხილვით მოხიბლული დიაცი გადაეარდა არაგვში. მოქალაქეებმა იგი თავთხელში დაიჭირეს, ჯერ სცემეს და კვლავ მონათლეს წარმართული ღდინის გასაცლელად.

ვინმე ძალისელი კაცი ქადაგად დავარდა. ღალადებდა უჩინო ღვთაებათა ბუნების არსზე. მრავალმა ირწმუნა მისგან ძველ წარმართულ სახიერ ღვთაებათა უხილვად ქცევა. მოძღვარი ამცნობდა ერს, რომ ღვთაებებმა თვითონ დააგდეს კერპები, თავიანთი გვამები. იქცნენ უჩინოდ, რათა შექმნილიყვნენ ქრისტიანეთაგან მიუწუდომელნი, ბოროტებისაგან ხელუყოფელნი. გარემოდან აღკვეთილნი ღვთაებანი იპყრობდნენ ადამიანთა გონების თვალთასახილველს. გამოხდა ხანი, უჩინო ღვთაებათა მოციქულმა თვითონვე უარყო თავისი მოძღვრება. განერიდა ერს და ცოდვების მოსანანიებლად მცბეთის სიონის საყდარში აღიკვეცა, სადაც მიიცვალა სულიერი გვემითა და შიმშილით.

გვგვლავთ ორ ნაწყევტს რომანიდან „კახრიელ თუთბერიძის სახელუნი“.

ქველთობის თვის პაპანაქება დღეს მცბეთიდან აყრილი კაცრიელ თუთბე-

რიძის სახლეულნი საცხოვრებლად ტფილისს გადადიოდა.

ქალები და ბავშვები ურმებზე ისხდნენ. მოხუც თუთბერს ურმის ჰალისთვის ჩაველო ხელი და ქვეითად მიდიოდა. მას უკან ბაღიში ხახუა და მეურნეები მიჰყევბოდნენ.

ხახუას ცოლი გვანა ბავშვებით ბარგსა და რაგინდრაზე იჯდა. დედა ტუქსავდა პატარებს, როცა მოისმოდა მათი ღწევილი. ძუძუს ეცილებოდნენ ერთმანეთს. უფროს ბიჭს გაგის ორჯერ ჰქონდა თავი დანებებული და ორჯერვე ხელახლა დაეწყო ძუძუსწოვა უმცროსი დების გაჩენისას. სულ წინა ურემზე გვანას დედამთილი დედოღო იჯდა. შუალა ურემზე კი თუთბერის შინაბერა ასული ნინო.

მოხუც თუთბერს ძილსა გვრიდა რწევით მიმავალი ურემი. ზოგჯერ ქალზე ხელი შეეშებოდა, მაშინ მყისვე აუჩქარებდა ნაბიჯს, ისევ მოჰკიდებდა ხელს ქალს და ასე ვლიდა ზეზეულად ძილღვიზილში. ზოგჯერ ბორბლის ფერსო მუხლითავზე სცემდა. მაშინ ტკივილი აფხიზლებდა, ცხადიერებას უბრუნდებოდა, სადაც თვალსა სჭრიდა მზის ელვარება. მერე გარემოს წაპიერი ხილღვიდან ისევ თვლემას ეძლეოდა.

— რა გამოკვებავს სოფელს ქართლისას, სადაც ერთი თავთავი არ მოიმიკს ყანაში, მუქა მარცვალი არ აიკრიფება კალოზე, — თქვა ფიქრიანად კორფლიანმა მეურმემ.

— როცა ხვნა-თესვის დრო იყო, ვომობდით ან ვილტვიდით. თუ კი რამ დაითესა, ისიც ბალახმა და ხმელიერებამ შთანთქა, — მიუგო ყბაჩუა მეურმემ.

ხახუამ თქვა:

— საზარელი შიმშილი გველის. ჩვენაც ახლა დავაგდეთ დაბუდებული ადგილი, როცა, ანდე, შიმშილი კარზეა მომდგარი. შინნაცხოვრები, გამთბარი კედლები გვიპატივებდა... სხვაგან, ახალ ადგილზე ყინავა მეტად შეგვაწუხებს. თუ კი ჩემს დედაწულს რაიმე ბოროტი შეემთხვევა... ვის დავაბრალებ? ჩემი ბრა-

ლი იქნება. ჩემმა უფროსმა ძმამ ზურკიმ არ ჰქნა ტფილისს გადმოსახლება. მცხეთას დარჩა თავისი ცოლით. მე კი სიტყვა ვერ გავუტებე უფროსებს, რა ბედუნაა, ათი წლით რომ ვთავისუფლდებით გადასახადიდან ახალმოშენე მოქალაქეები? ნეტამც იყოს ქვეყნად ხვავრიელემა, ორწილ გადავიხდით საღმრთოსაც და სამეფოსაც. მამაჩემი კაცრიელი ყიფი კაცია, ყველაფერში თავისი სურს გაავლინოს... პირობა ვერ შეუცვალა ზებედე ქვაბულიძეს. ეს ის კაცია, ჩვენი სახლის მყიდველი, მცხეთის მოქალაქეობა რომ ვერცხლით მოიხვეჭა.

— იცი, რა გითხრა, შენა, ახალი საცხოვრისის სიძნელეზე, — დაიწყო კორფლიანმა მეურმემ, მაგრამ სიტყვა ხახუამ გააწყვეტინა.

— ჰო, დალხინებულ დრო-ქამსაც გაპირდა ახალ ადგილზე ცხოვრება, შეუჩვეველ ადგილზე ყოფნა, მითუმეტეს, როცა...

— პასუხად ერთს გეტყვი: შესაძლოა, თქვენი სახლეულისათვის უკეთესიც იყოს ამ ცუდეამობისას გამთბარი კედლების მიტოვება, შესაძლოა დაბუდებულ-დანდობილად მყოფთ სახლეულზე ყოველდღიურად ნაკლებად გეზრუნათ.

— სახლეულს თან დაჰყვება ადგილის დედა, მფარველი ანგელოზი, — თქვა ყბაჩუამ.

— თუმცა ეგ მართალია — უპასუხა კორფლიანმა.

— ჰეშმარიტებაა! — თქვა ხახუამ.

დიღვამის მხრიდან მგზავრები გამოჩნდნენ. გრძელ რიგად მოეშურებოდნენ მცხეთა-ტფილისის გზისაკენ. ზოგნი ფეხით და ზოგნი ურმით.

ხახუა ერთხანს კრთომით უცქერდა მათკენ მიმავალ მგზავრებს, მერე არანაკლები კრთომით იკითხა:

— ესენი სადაურები არიან ანუ საით მიდიან?

— ეგინი მთისკალთელები უნდა იყვნენ. ყურმოკრულად ვიცი, ვახტანგ მეფეს მათი ტფილისს დასახლება უბრძანებია. მაგათი აზნაური ქაბუა ვეფხისძე ამ ომში სპარსელებს მიემბრო, ახლა

როცა სპარსელები უკუიქცნენ, იგიც ვაჟყვა მტერს თავისი სახლელღით. მეფემ მაგ ადგილებში სხვა გეარის კაცი დასვა აზნაურად. ეს ერთი დაბა კი აპყარა, როგორც მკლე და წეფხ მიწაზე მდებარე, ყმობიდან გაანთავისუფლა და ტფილისს ასახლებს, რადგან ქალაქის გაზრდაზე ზრუნავს მეფეთმეფე.

— ეგინი მძინვარენი იქნებიან, ვით ხაფანგიდან აწყვეტილი ტყიურნი, — თქვა ხახუამ.

— რაც კი რამ ქალაქში ბოროტება ხდება, მეკობრეობა, კაცის კვლა, მკრეხელობა თუ ძალადობა რამ, ასე ამბობენ: ნაყმეფ და მონათყოფილ მოქალაქეთაგან მოდისო.

— ჩვენ რას შეგვბედავენ, დიდი სახლელღი ვართ. მამა-პაპა და ორი ძმანი ერთად ვცხოვრობთ.

მთისკალთელები გზაზე გამოვიდნენ. მეურმეებმა და ხახუამ ურმები განზე მიიყენეს, რომ საჯალი დაეთმოთ.

აჩქარებით მიდიოდნენ. მიჰქონდათ ყოველი რაც რამ ებადათ, საჭირო და უვარგულიც: სახლაკების უბადრუკი ნამუსრევეები, ყავრი და სასახურავე ჩალა-ბულაც, ღრე სკივრები და ქვაბ-ქოთანი. მოდიოდნენ თავგზააბნეულნი, მათ პირისახეზე იშვიათად თუ გამოკრთებოდა ღიმილი. ეს ღიმილი უფრო უხერხულობისა და სირცხვილის დასამალავ ნიღაბს ჰგავდა. კაცებიცა და ქალებიც ფარატივებით იყვნენ შემოსილნი, ბავშვები კი თითქმის დედაშობილა ჰყავდათ. მოხუცებს ძონძები ეკიდათ კისერზე ან წელზე, ბაწრებითა ან წნელით შეკრული. ჯახჯახით, რწევითა და კრიალით მიდიოდნენ ახალი ცხოვრების გზაზე დაფეთებულნი და შიშნეულნი. დიდი ხნის ყმები იყვნენ და ყველაზე მოხუცებსაც კი არ ახსოვდათ ჰეროვნად ყოფნა. ასე მოულოდნელად მიღებული თავისუფლება მათთვის ეკვისა აღმძვრელი და განმაცვიფრებელი იყო. მთისკალთელებმა ჩაიარეს.

გზა ტყეს აჰყვა მტკვრის ნაპირზე. ალაგ-ალაგ ღორ-ხბო ძოვდა ველობებზე გადარუჯულ ბალახს.

მოხუც თუთბერს ზმანებები აეკვირატა. თვალცხადლივ ხედავს უღელში შებმულ ღიაკებს, გვალვით დამშრალ მდინარის ფსკერს კავით რომ ხნავენ. გაშლილ თმებზე წითელ-ყვითელი ფერადი კოწლები ჰკიდათ. ესმის მათი ნაღვლიანი „ოდური“ სიმღერა. ესმის უფლისადმი სავედრებელი სიტყვები. ქვეყნის დარწყულებას შესთხოვენ. ამ ჩვენებას სხვა ცვლის. ალხენს და აცინებს სახიობა-ბერიკაობა. დღეობაზე ხშირად ყოფილა ბერიკაც და მელიაც.

საიდან იყო, საიდან არა, გამოძვრა მელია. თათებში გაქუბრული აპკით თავმოკრული ჭოთანნი უპყრია. მელია ცუნცულით როკავს. როკავს ბერიკაცი ცულმად პირისახიანი, კობრქიანი ნიღბოსანი.

ბერიკა: რას როკავ, მელია?

მელია: ასე როკავდნენ უწინ ჩემს დღეობაზე საზოვრად მოსული კაცნი, როცა მე ვიყავ ღვთაება.

ბერიკა: ახლა ვინდა ხარ?

მელია: არაივნი.

ბერიკა: როგორ თუ არაივნი?... მელია ხარ.

მელია: უტყუარი სიმატლეა, მე ვარ მელია.

ბერიკა და მელია როკავენ ფერხისას. ირგვლივ უვლიან წრეს სკუპითა და ხტომით. ცდილობენ ერთურთს მიბაძონ და შეეჯიბრონ.

ბერიკა: შენ თუ იცი, ვინ ვიყავი მე?

მელია: ყოყმანობს, კვრეტს ნიღაბს და ნიღაბზე რქოსან მთვარეს.

ბერიკა: ვერ მიცანი?

მელია: ვიცი ვინცა ხარ... შენ იყავი ამ ქვეყნის უზენაესი ღვთაება, ბერმთვარის ღვთაება, ბერძეობის უფალი და ბერმუხა ითვლებოდა შენს წმინდა ხედ, ვით ნიშანი ბუნების ალორძინებისა.

ბერიკა: ასეა სოფელი... ახლა ნიღბოსანი დღეობებზე კაცთ სახიობით ვართობ.

მელია: ასეა სოფელი, მეც უწინ ვიყავი ღვთა ტულეფია. ასე მიწოდებდნენ ტულეფია-მელია.

ორივენი როკავენ.

ბერიკა: რა გაქვს მაგ ქოთანში?

მელია ჩაიჭირკილებს: ხი, ხი, ხი, ფხუ... წითელბიბილოვანი მამალი.

ბერიკა: ვინმე დედაბერს თუ აცალე ყვერბზე.

მელია: არა, არა, ეს ქოთანი ძველი ჰერზონის ნათუძარზე გამოვთხარე, ადგილის დედის, ნაყოფიერების ღვთაება ნანასადმი შენაწირი. კაცთა იგიც ჩვენებრ დაგმეს... ახლა ღვთისმშობელია მესანი ჩვილთა, ბერწი დედანი მას გამოთხოვენ შვილთ. სახლის მფარველად კი ფუძის ანგელოზია დაყენებული.

ბერიკა: ახლა, ვინდა ხარ, შენ?

მელია: პარია... ასეა სოფელი.

ბერიკა: სადა ვართ ახლა?

მელია: ქალაქს ვუახლოვდებით. მე იქ ვერ შემოვალ.

ბერიკა: საით წახვალ?

მელია: დაბა დიღვამისაკენ მივბრუნდები.

ბერიკა: იქაც ყივიან მამლები.

მელია: იქაც ყივიან.

ბერიკა: აგერ, მოდის კაცი ვინმე კეტით აღჭურვილი, თანაც კბილებდაკრქილი დიდი ნაგაზი მოჰყვება.

მელია დიდად შეძრწუნდა. საით იყო, საით არა, მანქვა-გრეხით ფეხაკრეფით წაუტუნტუნდა.

მგზავრებმა აღმართი ავლეს. ამასობაში იძრა ცა და ქვეყანა ქვე-ქუხილით, კოკისპირული თქეში წამოვიდა.

მოხუც თუთბერს ძილ-ღვიძილი გადაეყარა. ფოსოებში ჩავარდნილი თვლები სასიცოცხლო შუქით აუცივდა. ხმელ-ხმელი და მაღალი დაწვები აულაულადა. მის ხედვაში, ბინდბუნდში მყოფი გარემო გასახიერდა. ცხადად ხედავდა უსიერი ტყეებით დაფარულ შორეულ მთებს, თვალსაწიერზე აღმართულებს, ურმის ქალისთვის ხელი წაველო და ისე ვლიდა. დედა და ბავშვები ძოლოს ქვეშ შეყუჟულიყვნენ. ქარი ძოლოს კალთასა ხდიდა, მამინ დიაცს მოუჩანდა დიდი მუცელი. დასველებული სამოსი თქოსა და ბარძაყს აკვროდა. „კიდევ ერთი იქნება“ გაიფიქრა მოხუცმა, ხოლო ვერ გაეხსენებია, რიგითა და

რიცხვით მერამდენე იქნებოდა. ახსოვს მხოლოდ ხახუს ცოლის გაუთავებელი ფეხმძიმობა, ხშირი მშობებარობა.

— იდიდე, წმინდა ელია, — ამბობს სასოებით ნინო და იქაურობას პირვეარსა სწერს.

„დაიგვიანა ელიამ მგრგვიანეი ეტლით“ — ფიქრობს თუთბერი და ქალზე ხელჩავლებული მიჰყვება ურემს. პირისახეში სცემს თქეში. ლაფსა და ტორებში ტოპვით ჰკაპები დააწყდა, ჩონლათანები გაძვრა, მიდიოდა ფეხშიშველი.

წვიმამ გადაიღო.

მგზავრები შევიდნენ ქალაქის გარეუბანში, სადაც დღიურ ქირაზე მოქუშავე ხელოსნები, ტვირთის მზიდაეები, ქალაქის დაბალი ფენის მოსახლენი ცხოვრობდნენ. ძეძვითა და ყორეებით შემოზღუდულ ეზოებში იდგა ფარღალა შენობები, გომურები და ხუხულები. ზოგ კარმიდამოს გარს რავგი არ ევლო და ეზოები გარეუბანს მიმდებარე ეწერს ერთვოდა.

ურმებს ხელბგაწედილი ბალები გამოედევნენ. დედილომ კიღობანი გახსნა და ნახორამხლები დაურვიგა აკრემლებულმა.

— ღმერთო, შეიბრაღე ჩვენი სახლელი, — თქვა დედილომ და თვალებზე ხელის ნებები აიფარა.

— შეიბრაღე ყოველი მშვიერი და მწყურვალნი, ღმერთო! — თქვა ღალადისით ნინომ.

— ამინ! ღმერთო, შეიბრაღე ყოველი — გაიმეორა დედილომ.

ყმაჩუამ და ქორფლიანმა სახრეები გააწულიეს, ქორფლიანმა ბოხი ხმით დაიძახა:

— მაგათ ნებას რომ მივეყვით, პირიდან ხემსს გამოგვაცილიან.

მეურმეები რომ ურმების დაძვრას აპირებდნენ, მგზავრებს გარეუბნელი ქალები გადაუდგნენ. წინ გამოვიდა ერთი ფეხშიშველა დიაცი. ფარატინა, დაძენძილ სამოსს შიგნით მოუჩანდა შემქნარი მკერდი, ძუძუს კერტებიდან ჩირქი სდიოდა. ყელყელას ტიქმატი, წყალ-

წყალა ფერის მძივები ეკიდა, წყალწყა-
ლა ფერისავე თვალები ჰქონდა და პა-
ტარა მიკოსებული პირისახე. იგი მუხ-
ლებზე დაეცა და ქვითინით წარმოს-
თქვა:

— მოყვასნო! შემოწყალენით მხევა-
ლი უფლისა, დედა ხუთი შვილისა. შე-
გვიბრალეთ ქერივ-ოხერი. მარჩენალი
ოჰში გამეგმირა, ქრისტე ღმერთისა და
მეფისათვის თავდადებული. შემობრა-
ლეთ, მოყვასნო! და თქვენი სული ნა-
თელ იქნება სამოთხეს, მოგეცემათ ამ-
ქვეყნიური ნიჭი თქვენ სახლულთა სა-
კეთილდღეოდ.

არ დაცადეს, წინ წაუხტნენ ყელყე-
ლას სხვა ქალები ყაყანითა და ვიშვი-
შით. ყველა თავთავიანთ პირსა და ვა-
რამზე გოდებდა. ერთმანეთს ეცილებო-
დნენ. გაჭირვებასთან ერთად ჩამოთვლი-
დნენ ქმრებისა და შვილების ღვაწლს
ქრისტე ღმერთისა და მეფის წინაშე.
ადიდებდნენ ღმერთს და აქებდნენ მოყ-
ვასურ თნობას.

ღედილო იჭდა გაქვავებული და არ
იძვროდა. გრძნობდა ნელინელ ეძალე-
ბოდა სურვილი თუნდაც ერთი მახვეწა-
რი დიაცისათვის მიეცა რაიმე ძველმა-
ნი. ნინოს მიხედა, მისდამი სავედრებე-
ლი სიტყვა „მიშველო“ პირში უტრია-
ლებდა, მაგრამ ძალა არ შესწევდა, რომ
კრინტი დაეძრა. ნინო ზურგშეშკეული
იჭდა, თითქოს რძალს განგებ ზედაც არ
უყურებდა. როცა მიბრუნდა, არამგამუ-
ლი გამომეტყველება აღბეჭდოდა პირი-
სახეზე. დიდხანს ვერ გაუძლო ღედი-
ლოს მავედრებელ თვალებს და თავის
დაქნევით „ჰობოა“ უთხრა.

ღედილომ სკივრი გახსნა და რუხი
ფერის ძველი სამოსი მიაწოდა ერთ დი-
აცს, წამსუმალ რომ ეცა ხელებში. მეო-
რედ — ლანჩამეტრალი ხამლები ამოი-
ლო და ისიც გადასცა ცხვირაპყენტილ
ღედაკაცს. ოქრომედიოთ ნაქარგი, გა-
ხუნებული კრეტსაბელის ნაკუწები, ფე-
რუმარილის უცხოდ ნაყეთები გაბზარუ-
ლი ქიქის ჭურჭელი. ვარდისფერი სამო-
სი ვერ გაიმეტა — უმცროს ვაჟიშვილ-
ზე ფეხმძიმობის დროინდელი იყო და

ღმრთისმშობლისადმი ჩოქვით ვედრები-
სას დაქნდილი. ქალები ხელეზს უყოც-
ნიდნენ დედილოს. ერთმანეთს ხელდადნ-
ტაცებდნენ ნივთებს, ყაყანებდნენ.

— მაგათ ნებას რომ მიეყვეთ, უნივ-
თოდ და ურაგინდროდ დაგტოვებენ. —
თქვა ჭორფლიანმა მეურმემ და სახრე-
გააწულია.

— კმარა რძალო. დახურე სკივრის
ხუფი! — უთხრა გაანჩხლებულმა ნი-
ნომ.

ყელყელა დიაცს მოწყალეობა არ შეხ-
ვედროდა. ხელების სავსავით გმობდა და
აყვედრიდა მეზობლებს. თითოთ აჩვე-
ნებდა და სიცრუეში ამხილებდა.

— ეს ქაქალა ამბობდა, სახლელის
მარჩენალი ვაჟიშვილი მეკობრეებმა მო-
მიკლეს, როცა მექარავნე მოგზაურთ
მხსენლად მოევილიანო? ყველამ იცის,
მტყნარი ტყუილია. იგი თავად იყო მე-
კობრე და მძარცველი. მეკობრეთმამბე-
რის კაცებმა მოჰკლეს კოყრის სანახებ-
ში. ეს ცაქალა, რომ ამბობს, თითქოს მი-
სი ქმარი პატიოსანმა რულუნებითმა
შრომამ გატეხა, ესიც სიცრუეა. ვინ არ
იცის, მებრუტეობით მიიხრწნა. ამისი
ქმარი კი უღმერთოა, ჭვარისა და ხატის
მგმობელი.

— აგრეა, აგრე! — კვერს უკრავდნენ
მაყვედრებელ ყელყელა დიაცს ვისაც
მოწყალეობა არ ერგო.

ჭორფლიანმა მეურმემ ხარებს შეუ-
ტია.

— ჩამოღქვით! ისემც გიქნიათ, ერთ-
მანეთი თმით გითრევიათ. ქალაქში რომ
ჩავალ, ჩემი ფეხით მივალ საგანგოო სახ-
ლში მამასახლისთან და ვეტყვი თქვენს
მეკობრეობაზე. ღმერთისადმი აღვლენი-
ლი ლოცვა-დიდებით რომ ძარცვათ პა-
ტიოსან მგზავრებს.

ხარები დაიმჩნენ.

ხითხუროები იყვნენ თუთბერიძეები.
მამა-პაპიდან მოდიოდა ხელოსნების მა-
თი სასახლეულო მოდგამი. წინაპრები
ოდიოთგანვე მცხეთა-ქალაქის მკვიდრნი
ყოფილან. ხელობითა და მოქალაქეო-
ბით — გამარჯენი და კეთილნი.

შარშანწინამდე იმუშავა პაპა თუთბერმა ხელობაზე. ერთხელ ასე მიმართა კაცრიელს:

— „დაცმაბუნდი... დროა შენ გაუძღვე ჩვენ სახლელულს... შენ ძალიან გვიან ეღირსე კაცრიელ, წინაპართა მემკვიდრეობას. აჰა, დაბრძანდი! ამ სავარძელში დავვაჯკაცი და აგერ მივიბრწენი კიდეც. დაჯექი ნება-ნებად!“

აღდგომას მოილხინა მოხუცმა. სვა და ილალობა, მერე უეცრად მოეძარცვა გონება. იჯდა ერთთავად გაყურებული, იშვიათად თუ ამეტყველებოდა იგი. საღიაყო საქმე თავიდანვე ნინოს ებარა, იგი ბავშვობაში დაობლდა დედით. იმ თავითვე კაცებზე, მამასა და ძმანზე ზრუნვა კისერზე დააწვა. ამას ამაგი მიუძღოდა ძმისწულების დაზრდაში, დედილო შობდა, მული კი თავს ევლებოდა მათ. იგი დატარებდა ტაბით და უჩლიქდა ენას. მეზობლები ჭილიკობდნენ — შინაბერა სიარულითა და ლაპარაკის კილოთი ძმისწულებს იმგვანებსო. დედილო შეჭხაროდა შვილების მამიდასადმი სიყვარულს, თვითონაც უღარესი ბატისციემითა და მადლიერებით იმსკვალეობდა. კაცრიელის წულთ, წულის წულნი მოჰყვენ. ნინომ კვლავ მიჰყო ხელი მათ აღზრდას, მაგრამ ხახუს ცოლმა მასში მოქიშვე იგრძნო.

კაცრიელსა და დედილოს შინ ორი ვაჟი ჰყავდათ: ცოლშვილიანი ხახუა და უმცროსი თუთბერი. ასული კი ცოლად ჰყავდა ზღუდერელი აზნაურის მოურავ ბახუტი ტორონჯისძეს. უფროსი ხურცი გაეყარა სახლელულს, მცხეთას დარჩა იგი უშვილო იყო. ასაკით მეოთხე გვარამ დაუკითხავად წავიდა სახლიდან. ვაჭარ-მოგზაურს ვაჟყოლოდა მექარავნელ.

და-ძმა, ნინო და კაცრიელი ერთმანეთსა ჰგვანდნენ. ორივეს აყინიული კისერი და დიდი შუბლი ჰქონდათ, ჭროლა თვალები და ფართო ყვრიმალეები, ასეთები იყვნენ თუთბერიძეები, აყინიულები და შუბლიანები.

ტფილისში გადასახლების შემდეგ კიდეც ერთ მსგეფსს მოუნდნენ სახლის შე-

ნებას. დედაწული სახელდახელოდ დადგმულ ხუხულაში მოთავსდა, კაცებს კი ეზოში ედგათ საყარცხულები. იქ სხდებოდნენ იჯრაზე და იქვე იძინებდნენ.

ქალები შეუდგებოდნენ მხარში მოხუც თუთბერს და მიჰყავდათ სახლის კიდესთან, მზვარეში.

დედილო წუწუნებდა:

— როგორ უნდა ვიარსებო ამ ადგილზე სულ მუდამ რეტდასხმულმა? არ ძალმიძს ამ ფრიალო კლდეზე ცხოვრება. წყაროსთვალში ჩახედვაც კი თავბრუსა მხვევს, აგერ უფსკრულში ამოდენა მტკვარი მიეღინება.

— ვიცო, სადმე გადაამჩხვავთ ამ უღალზე... გამიშვით ხელი, თავად წავალ, — გაჯაჯგურდებოდა მოხუცი, — იმისა არ იყოს, გზაში მეჩიჩინებოდით ურემზე დაჯექით. განა არ ვიცოდი ურემს ღერძი გატეხილი რომ ჰქონდა?

— წამოდი, მოხუცო... არადა არ გიშვებ ხელს. ვაი თუ მუხლს მოგყვეთოს ან მორს წამოედო სადმე, — უყვავილებდა ასული.

— ილიებში მისხედით?... ჩემი ფეხით არ ჩამოველ მცხეთიდან აქამდე? მუხლსაც მიჭრის და თვალსაც ცხადათა ვხედავ.

— გული გამინათლდა, მულო, ეს ჩვენი უბანი არ ჰგავს დაბნებს ქალაქის კართან, სადაც ვაგლახი მკოდოვანნი ცხოვრობენ, მაგრამ გაეწვილდი ამ ჩვენ სამოსახლოზე, როცა ჩამოველ უფსკრულის პირას.

როცა მოხუცს თვალეებიდან ბურჭირი გადაეყრებოდა და თავს დააღწევდა თვლემას, იხმობდა თავისი სახელის მოზიარე უმცროს ბაღიშს მზვარეში. დაიყენებდა გვერდით და აკვიატებული ცნობისწადილით ჩაჰკითხავდა ქალაქის ადგილმდებარეობაზე, ნაგებობებზე. მზისგული ტრიალებდა ეზოში და ქალებიც უნაცვლებდნენ ადგილს მოხუცს.

— პაპა, ამ ტინოვანი კლდის თხემიდან ხელისგულივითა ჩანს ქალაქი. ქვევით მტკვრის პირას მეფისა და სპასპეტის სასახლეებია კროკოსფერი ქვით ნა-

გები. ახლოს სიონის საყდარია, ქვაფენილი შეიგანი. მიღმა ბაზარია ხელოსანთა რიგებით.

— მსმენია, ზოგიც თავით მინახავს. აბა, ეს მითხარი, იქით რა არის? იქით, აბანოების მხარეს?

— მაზღეანეთა საგზნებელი ქვიტყირის კოშკი.

— იქ სახლობს მობედან, მღვდელთმთავარი ცეცხლთაყვანისმცემელი მრევლით... კიდევ არაა ჰერეტ აქედან?

— კიდევ, აბანოებიდან ხელმარტხნივ ქვეტირის საპყრობილეა კაცისთაოიანი ზღუდეთი. ყოველი, რაც ჩამოვთვალე და კიდევ საგანგო სახლი ქაშვეთის უბანში ქვეტირითაა ნაგები. კერძო მეკომურნი კი ზის სახლებში ცხოვრობენ.

კაცრიელმა ასე შეაგონა სახლეულნი.

— ჰორნახული ბაზარზე მამასისხლად ფასობს. აწი და აწი, დროთა განმავლობაში, უფრო და უფრო გაძვირდება. იმან დაიქადნოს, ვინც ამ საშინელ შიმშილობას გადაურჩება, ემანდ, კარზე რომ მოგვდგომია. რა ამოავსებს ამოდენა სახლეულის სტომაქს? ამიტომაც აქედანვე გვმართებს თადარიგი. ტყუილ-უბრალოდ არც ერთი მარცვალი ქრთილისა არ უნდა გაიციეს, ფუჭედ არც ერთი ნამცეცი არ უნდა დაიკარგოს. შენი იმედი მაქვს, ნინო! გამოიჩინე მუყაითობა, ჩაიბარე ყველა სკივრი და კიღობანი. იყავი მწე, გვაცოცხლე და გვაარსებე...

— ღმერთი დიდა! — ლაღადჰყო ნინომ სასოებით.

— პარიებიტა და თვალთმაქცებით ივსება ქალაქი. ყველა გარეწარი აქეთ ეშურება. ქალაქი აღრეულია უცხოთაგან. არ ცნობენ ქრისტიანულ მცნებებს, სამოქალაქო წესსა და რიგს. ჯერ რაა, ვნახავთ, კაცნი მხეცებზე უფროსად მძინვარენი შეიქმნებიან... ახლო-მახლო ტყეები შემოვვლე, ვერსად ვერ ეპოვე კენკრი და ხიჩატელი, ძირზენა, ანუ სხვა რაიმე საკვებად საეარგული ნაყოფი. აგერ, სადაცაა მოვრჩებით სახ-

ლის აგებას და სამუშაოდ ვივლით. იქნებ შიმშილით არ დავიხსოვდეთ?

— ძმაო, ნუ ეძლევი წინასწარ სტელიერ გვემას. არ დაგვეყროს ღმერთი უნაბროდ, ვადიღოთ ძალი მისი.

— უნდა ვიშრომით რუდუნებით. ვიზრუნოთ, მეოხვექმნეთ ერთმანეთს. კაცად კაცადი ათეულად უნდა ვიჭყეთ.

— ვიშრომებ ჩემს წილს... წამოიწყო ხახუამ, მაგრამ კაცრიელმა შეაჩერა რისხვით.

— ახლა არაა დრო წილაღობანასი, აკი ვთქვი: სახლეულისათვის ძალღონე არ უნდა დაეიშუროთ, თავი არ უნდა დაეზოგოთ ერთურთისათვის. ასე, ორიოდღე დღეში მოვრჩებით სახლის შენებას და ვივლით სიონის საყდრის შეიგანზე სამუშაოს საშოვრად.

კაცრიელი გულფიცხი კაცი იყო, ზედმიწევნით პირუთენელი. ტფილისში გადასახლების შემდეგ ეკვება შეიპყრო და შიში დაეუფლა. ამ გუნებაზე არც თავისთავს და არც თავისიანებს არ ინდობდა. მცხეთიდან ტფილისში გადასახლებას სახლეული თავიდან ძრწოლვით შეხვდა, მაგრამ ვერაინ ვერ გაუბედა წინ აღსდგომოდა მის განზრახვას. რა იყო მიზეზი კეთილმოწყობილ მცხეთიდან ჯერ კიდევ უშენებ და აღრეულ ტფილისში გადასახლებისა? ის ზომ არა, რომ ახალმოსახლენი გარდა ჯარში განწესებისა, ყოველგვარი სამოქალაქო ხარკიდან ათი წლთ თავსუფლდებოდნენ? კაცრიელი არასოდეს არ ცდილა რაიმე მიზეზით, თავის მართლებას, მხოლოდ ერთხელ ასხენა ტფილისის, „ზის ქალაქის“ უპირატესობა, მათთვის, როგორც ხითხურთა სასახლეულ მოდგმისა. მოსალოდნელმა შიმშილმაც ვერ ააღებინა ხელი კაცრიელს განზრახვაზე. საწინდარი აღებული ჰქონდა სახლის მყიდველისაგან და უპატიურობად თუ მიიჩნია პირობის დარღვევა? იმის შემდეგ, რაც სახლეულის გამგებლობა თუთბერიდან კაცრიელის ხელში გადავიდა, მათ ცხოვრებაში არაფერი ღირსშესანიშნავი რამ არ მომხდარიყო, არც კეთილი და არც ბოროტი. ცაცა აღრე

გაათხოვეს და გვარამ ადრე გადაიხვეწა. ტფილისის დასახლება თითქოს იქნებოდა სრულფლებიანობის გამოვლინება, კაცრიელის პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი სახლეულის მართვაში. ხანდაზმული კაცი ჭაბუკური გატაცებით მიეცა განზრახვის ხორცშესხმას. ისწრაფოდა საცნაურეყო თავისთავი დიდ ამბავში. მთელი არსებით ილტვოდა ტფილისისაკენ, სადაც სამეგვიდრეო ფუძე, საძირკველი უნდა ჩაეყარა ახალ გარემოში. ეწადა სახლეულის განახლება და აღორძინება. მას შემდეგ კი რაც განზრახვი აღისრულა, ეპკი შეეპარა, ყოყმანობდა და ნანობდა. იმსჯელებოდა რისხვით საკუთარი თავის მიმართ. მაცდურის გრძნეულებით მოხიბლულსა ჰგავდა.

• • •

იმ დღეს თუთბერიძეები სახლსა ჰხურავდნენ. სიონის საყდრის შეიგანზე დიდოეთს საომრად გასაგზავნი მხედრონის აღწერა და კურთხევა უნდა გამართულიყო. ბადიში თუთბერი სახურავიდან ხედავდა ორთაქალის გზით ქალაქში შემავალ ცხენოსნებს. დიდი და პატარა გარბოდა მათ შესახვედრად. მოქალაქეებით ივსებოდა შეიგანი და მიმდებარე შუკები. ყრმას ეწადა ენახა „წარმართების გასანათლებლად“ მიმავალი ქრისტიანი მხედრობა.

— ეხედავ, აზრი და გონება იქითა გაქვს, — უთხრა კაცრიელმა უმცროს ვაჟს — წადი. ვინძლო ხიფათს არ გადაეყარო.

— ვისთან რა მაქვს საყინკლაო? — უპასუხა ყრმამ.

— ჰო, წადი, წადი!

თუთბერი მყისვე ჩაეიდა დაბლა. სამოსი გაიბერტყა. ნინოს გასძახა, შეიგანზე მივდივარო და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა იქით. შუკაში გასულმა შეიგანამდე ირბინა. ჭგლითი გაარღვია ვაი-ვაგლახით და წინ გაეიდა.

— მაყა თარხუჯისძე. ჯავშნიანი ცხენი, ჯაჭვი და ჯავშანი. საბარკულები და სამკლაურები, ჩაფხუტი, შუბი, მახვილი, ფარი, სარტყელი, კაპარქი ისრე-

ბით და ორი მშვილდი. არა აქვს ლახვარი და საბელი მარაგად.

მხედრები დასადაეგმურლი! ცხენებით პირქუშად მზირალნი იდგნენ შეიგანის ცალ მხარეზე. ზოგჯერ ტაიკი ატებდა ჭიხინსა და ჭვაფენილზე ფლოქვების ცემას, მაშინ მხედარი უყავებდა „ფშო, ფშო“ და კისერზე ხელს უტყუანუნებდა. მაღალი, აყაყული მნე საითთაოდ იძახებდა თავისთან მხედრებს. ჩამოთვლიდა კაცისა და ცხენის აღჭურვილობას. ჭვაფენილზე ფეხმორთხმით მჯდარი მწერალი იწერდა წიგნში მნეს ნაკარნახევს. მხედარი აღჭურვილობის მიხედვით იღებდა სარგოს მეფის საღაროდან. მხედრონის აღწერას მეფის კარაოსნები, ტფილელი ეპისკოპოსი და ასისთავი ესწრებოდა. „მხნეთა მხედრობა იყო ქირით მომსახურე რჩეული ჯარი, ისინი ქვეითა ჯარისაკაცზე ამოგად მეტ სარგოს იღებდნენ. ამ რჩეულ ჯარში განწესებას ლებულობდნენ შეძლებულნი და წარჩინებულნი „მხნეთა“ მხედრობას ომიანობისას ჰკრებდნენ, ითვლებოდნენ რჩეულ ჯარად, ისევე როგორც უცხოელთაგან შემდგარი ქირით მომსახურე „როქის სპა“.

— სად ეჩრები „ყრმაო“ — ჰკითხა თუთბერს ღრენით ღოჯება კაცმა და მკლავეში სწვდა.

— გამიშვი ხელი!

— დაიხიე უკან... არ გაგიშვებ!

— რას ეჩიხინები, — თქვა დუღღუნით უცხვირპირო კაცმა — წაიგდე წინ და... იქნებ მაგას ჯერაც არ უგემნია მზირის ხელკეტი.

შუკებთან და ჩიხებთან მზირები მიდი-მოდიოდნენ, ქაქანითა და ხელკეტების ცემით უკან ახვეინებდნენ ჯგროჯგროდ შეყრილ მოქალაქეებს.

თუთბერმა, რაც ძალა შესწევდა, ხელი დაიქნია და იდაყვი მაქვზებელ უცხვირპირო კაცს ფერდში მოახვედრა.

— მომკლა, — სული ძლივს მოითქვა მან.

— რას ერჩი მოყვას? — ავისმომასწავებლად მოქუტა თვალი ღოჯებამ.

— რას მებლდაძუნები?

— რას გვეჩრები?

— დადექით, გაგვაგონეთ მხედრების სახელები! — დაიძახეს აქეთ-იქიდან.

— ორი ნეკნი ჩამამტვრია ამ უდიერ-მა!

— რა, სისხლის საფასურს ხომ არ ითხოვ? — არობრობდა ვეება კაცი.

— გამატარე, თუ კაცი ხარ, — მიმართა მას თუთხერმა, — ვიცო, ესინი ყურთაგლუქას ამატეხინებენ, — მან თვალი მოჭრა, უცხვირპიროს ცალი ყურიც მოჭრილი ჰქონდა. ყრმა მიხვდა მონათყოფილი იქნებაო და დასძინა, — თუმცა მის კეთილისმყოფელს ყური აღრე მოუჭრია.

მხედრონი ცხენოსნობაში ქალაქგარეთ გამოეცხადათ. საომრად გამგზავრების წინ ჯარი ეპისკოპოსს უნდა ეჭურთებია და დაელოცა. მან ისურვა, რომ კურთხევა და აღწერაც სიონის საყდრის შეიგანზე, მოქალაქეთა შესახედად ჩაეტარებიათ, რათა ერში შეექმნათ იმედნეული, საზეიმო განწყობილება ცუდკამობის შემოდევს. ეპისკოპოსი ზრუნავდა მრევლში სიმხნევე შთაენერგა. იღვწოდა, სამწყოსის კეთილდღეობისათვის. ყოველ ღონეს ხმარობდა განმეტკიცებინა ერის სულიერი მდგომარეობა. რაც უფრო და უფრო მძვინვარდებოდა შიმშილობა, მით უფრო ხშირად ქადაგებდა ერის შესაგონებლად, უხშირებდა წირვა-ლოცვას. სამღვდელობა დიდ ყურადღებას აქცევდა „უცხო ნათესაეთაგან“ აღრეულ სატახტო ქალაქის სამრევლოს. ერთობის სულისკვეთების დანერგვა და სარწმუნოებრივი მცნებებით შედუღაბება მყარ ნიადაგზე დააყენებდა ქალაქს.

მხედრონის საომრად გამგზავრების ხილვა, მართლაც იწვევდა მოქალაქეებში აღტყინებასა და აღმაფრენას, აღვივებდა საომარ სულისკვეთებას. ასახელებდნენ მხედრებს, უქებდნენ საჭურველსა და მეომრულ იერს.

— რჩეული ვაჟკაცები არიან. ამით, როგორ დაუდგებიან წინ ბიწიერი წარმართნი, — ყურში ჩასძახა ყრმას ჩიაკმა.

— ქრისტე ღმერთის ცხოველყოფელი ნათელი გაჰფანტავს დიდოფლებს უმეტრების უკუნს. კეთილია ძღწეც ჩაბროტს! — წამლერებით ამბობდა ვილაც.

— კეთილი ძღწევს ბოროტს, ნათელი უკუნს. გაიმარჯვებს ძღწევამოსილებით სათნოება მოყვასური, — რომაედა ჩიაკაცი.

ყრმამ ხელის ნები პირისახეში ჰკრა.

— რას მერჩი! —

— გაიწი იქით. პირი გიყარს!

— არ გეტნობა ღმერთის დიდება?

— არა ვარ ლაყობის გუნებაზე... ხმა ჩაიკმინდე.

— მაშ რად მიკრძალავ ვადიდო ღმერთი?

— ხმა ჩაიკმინდე-მეთქი!... თორემ გაგიყვან შეიგანს მიღმა და გაგასილაქებ.

— ყვარყვარე ქუმსიძე! — დაიძახა მნემ.

— მეტსახლად კუბრი, ყვარყვარე — კუბრი, — გაისმა აქეთ-იქიდან, — შეხეთ, შეხეთ რა ვაჟკაცია.

თუთხერმა აღარ დაუცადა მხედრონის კურთხევას. დატოვა შეიგანი გაწილებულმა და ხელოსანთა რიგების შემოვლით შინისაკენ გასწია.

• • •

ყრმა არ იზიარებდა მოქალაქეთა ზრახვებს, არ ყოფილა აღტაცებული მხედრონის ხილვით, ქრისტე ღმერთის სადიდებლად მახვილადმართულნი რომ მიდიოდა დიდოფლ მთიულთა დასაყრობად. ასე სწამდა თუთხერს: ქართლი დიდოფთში ქრისტიანული სარწმუნოების დანერგვით მუსრავდა ლალ, წარმართულ სარწმუნოებას, თრგუნავდა ჰეროკენულ წეს-წყობილებას. ჩიაკაცთან წაიკნკლავება ყრმის უზნეობას და სითავებედეს კი არ მიეთვლებოდა, არამედ ეს ჩხუბი, მისი მრწამსის გამოვლინება იყო მან თავი ვერ შეიკავა, რომ არ გამოელანძლა ატაცებული ქადაგი, რომელიც ყურში უდიერად ჩასჩიჩინებდა ღმერთის სადიდებელ სიტყვებს. ყრმა

გრძნობდა სინანულს და აკვირებდა, ასეთი რა ძალა შესწევდა „მეზღაპრეთა ღმერთს“. (იგი ასე კინებთ უწოდებდა ქრისტეს, მცხეთის ბაზარში ყურმოკრულ მეტსახელს) მას მიაჩნდა, დიდოვლთა გაქრისტინება, ძალდატანებით აღიარება „ვეშპარიტი ღმერთისა“ ხსნაკი არ იქნებოდა საუკუნოებრივი სიბნელისა და უმეცრებისაგან, პირუკუ, საზოგადოებრივი და სარწმუნოებრივი დამონება. თვითმპყრობი ქრისტე ღმერთი სპობდა კერპებს, რომელთა მეუფების დროსაც კაცნი უფრო თავისუფალნი და ლალნი იყვნენ. მათ ჰქონდათ ღვთაებათადმი თავყანისცემის არჩევანის უფლება. ქრისტე კი ერთადერთი მპყრობელი იყო კაცთა, ეს მეუფე უცხო ღვთაებებსა და ღმერთებს „ცრუ ღმერთებად“ მიიჩნევდა, არ ცნობდა და უარჰყოფდა მათ, მაშინ, როდესაც კერპთაყვანისმცემლები უცხო ღმერთებსაც რიდიტა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. ყრმას ეს ღმერთი მზავყარადა და პატივმოყვარედ ესახებოდა, რომელსაც მისი, წესის აღმსრულებელი პირმოთნე და თვალთმაქცი კაცნი ეხვივნენ გარს. მრევლს სულის საცხონებლად „მოყვასური ატაცება“ რჩებოდა. სამღვდლოება მოყვასური მცნებებით ბლალავდა ადამიანის პირადულობას. ქრისტე ღმერთი იჭრებოდა, როგორც კანონმდებელი ადამიანის ყოფიერებაში, ცხოვრების ყველა კუნჭულში, არსებობის ყველა მხარეში. თუთბერი ამიტომაც ქრისტიანელთა შორის თუნდაც პატარა უწესიერებასაც ნიშნის მოგებით მათსავე ღმერთს აბრალებდა. ქრისტიანი მორწმუნე წინასწარი დადგენილი წესების დაცვით აღწევდა ღმერთის ცნობას, მაშინ, როდესაც წარმართი ღვთაებების ძალა, ბუნება თუ ღვინი, ლალად ენიჭებოდა კაცთ, უშუალოდ ვლინდებოდა მათ მოქმედებასა და ქცევაში. ყრმას ეჩვენებოდა, რომ ქრისტიანები თხზავდნენ იმას, რაც ძალიან შორს იყო სინამდვილიდან, ვით ცა დედამიწიდან. ქრისტიანობა ჰქმნიდა ახალ ცხოვრებას. თითქოს მოწოდებული იყო

ამ ქვეყნად თანასწორობისა და ერთობის დასადგენად, მაგრამ ქრისტიანულად ქართლში ქრისტიანობის დასრულებას არსებობის მანძილზე უფრო დაჩქარდა ჰეროვანთა ყმებად ქცევა. მოქალაქეთა გამოთქმებში „ჰეროვანი“ წარმართის შესატყვისად იქცა, რაოდენაც „ყმობას“ ქრისტიანული სახელმწიფო წესწყობილების წარმონაქმნად მიიჩნევდნენ. ჰეროვანნი, თავისუფალი მიწათმოქმედი ერი, თითქოს და წარმართული გადმონაშთი ყოფილიყოს ქრისტიანულ ხანაში. ყრმას სწამდა, რომ ქვეყანამ, ერმა უღალატა მამა-პაპათა სარწმუნოებას და თავყანსა სცემდა უცხო ღმერთს. ქართლში მცირე რაოდენობით მოიპოვებოდნენ მონები. ისინი მეფესა ჰყავდა მალარობებში და სარეწებში სამუშაოდ. ერისთავებსაც ჰყავდათ მცირეოდენი. მონა ქალებს ხელოსნებიც იჩენდნენ მხეველებად. სარეწებში მძიმე შრომით დაუძღურებულ მონათაგან, ვინც ქრისტიანობას მიიღებდა, ყმებად აქცევდნენ. თუ მონისათვის ყმად ქცევა მათი ცხოვრების გაუმჯობესებას მოასწავებდა, თავისუფალ, მიწათმოქმედ და მეომარ ჰეროვანთათვის დაყმევება იგივე დამონებას უდრიდა. ამრიგად, თუთბერი ხედებოდა, რომ თუ უცხოელ ტყვეთათვის ამ საზოგადოებრივ გარდაქმნას სიყეთე მოჰქონდა, პირიქით, ქვეყნის მკვიდრ ჰეროვანთათვის ბოროტება იყო.

ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ქვეყნის, ერის ცხოვრების წინააღმდეგობებში ყრმას მათმა მცხეთელმა მეზობელმა ლარგველიმ ჩაახედა. მან ასწავლა წერა-კითხვა. ლარგველიმ ჯალა მეცნიერის მცხეთაში დაარსებული სასწავლებელი დაამთავრა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთხანს იქვე მოღვაწეობდა, სანამ ნიჭოზის სამღვდლო სასწავლებელში მიიწვევდნენ მჭერმეტყველების მასწავლებლად. წარმართობის თნობა და სიყვარული ბავშვობაში პაპასაგან ჩაენერგა. პაპა სიქაბუკეში ხშირად დადიოდა მთიულეთში სამუშაოდ. ყრმას მოუთხრობდა ერწოელ და ფხოველ გვარნათესავთა ცხოვრების ამბებს, მათ ზნე-

ჩვეულებებს. მთიულეებს ჰქონდათ სამლოცველო კორტები და კერპები, ქრისტიანულ საყდრებში კი თითქოსდა ხარკის მოსახდელად დადიოდნენ. პაპა თუთხერი მწრამსით ქრისტიანი იყო, მხოლოდ ნაკლებად ღმრთისმოშიში. პატივსაცემად სხვების რწმენასაც, არ ავლენდა ქრისტიანულ ზიზღს კერპებისადმი. თავისდა შეუმჩნეველად შეეთვისებია და გაეზიარებია მთიულთა ჩვეულებები. მას ეთნობოდა მათი დაუთრგუნავი, ლალი ბუნება. ყმაწვილაცობაში განაცადი წარმართთა ცხოვრების გავლენით ქვეულიყო მოწარმართე ქრისტიანად თვითონ თავისთავს ექვემიუტანლად ქრისტიანად თვლიდა, ხოლო ქრისტიანული მრწამსით დიდად არ განსხვავდებოდა რომელიმე ფხოველისა ან ერწოელისაგან.

თუთხერიძეებს შემონახული ჰქონდათ თქმულება წინაპარ მოქანდაკეზე, რომელიც მცხეთიდან გაქცეოდა ნათლისღებას და კამბეჩოვანს მოეკლათ საეკვო, გაურკვეველ ვითარებაში. პაპას ამის შესახებ უთქვამს: „პპოვა სიკვდილი ზვარაკისა კერპების საფერხნოზე“.

ბაღში თუთხერი ბავშვობაში თანატოლებთან მართავდა სახიობას, მოქანდაკის ტყვევისა და განგმირვის ამბავს. ყოველთვის თავის წარმართ წინაპარს ასახიერებდა. უთანასწორო ბრძოლაში ძლეულს ქერბოებს შორის ხანებში ატყვევებდნენ „მირიან მეფის“ ჯარისკაცები და მკლავების ცემით, მახვილის ჯგვერებით მიჰყავდათ გეთსიმანიის სასაყდრისაკენ. პა, იგი დაავდეს პატარა ჯარისკაცებმა საყდრის ხარისხელზე და უჩიინებდნენ: „—იწამე ქრისტე ღმერთი ზინზლიანო წარმართო!“ უმოწყალოდ გვემნენ „— იცან ქეშმარიტი ღმერთი ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი!“ ეუცრად პატარა ჯარისკაცები ტლინკისჯრით გარბიან. ბავშვი თავს წამოსწევს. მღვდელი განცვიფრებული დასცქერის. „— არა, არასოდეს არ ვიწამებ შენს ღმერთს!“ — მიახლის ამ სიტყვებს და თვითონაც გარბის.

თუთხერიძეებმა მოზვერი შეწირეს

გეთსიმანიის საყდარს. მღვდელმა წირვაზე იქადაგა ცთომილებაზე წარმართული ღმრთის აღმოფხვრასზე. „ბავშვების უდიერ სახიობა-გართობაზე და ბოლოს დასძინა, რომ მოქანდაკე ჰქმნიდა კერპებს, მაგრამ ერთ დღეს იხილა ნათელი და წარმართებმა აწამეს ვით ქეშმარიტი ქრისტიანი. ამ ამბავზე პაპა თუთხერიმა თქვა:

„—ჩვენი წინაპარი მოქანდაკე სიკვდილამდე დარჩა მძვინვარე წარმართად. იგი კამბეჩოვანს ებრძოდა ქრისტიანებს, მასუკან რაც მცხეთიდან გაქცეა ნათლისღებას. მის შთამომავალთ ცოდვად გვაწვა წინაპრის ცთომილება. თუ გეთსიმანიის მღვდელს სურს ქრისტიანად შერაცხოს მოქანდაკე ბერი... დაე, ასე იყოს. ჩვენ ჩვენი მხრით შევწირეთ მსხვერპლი საყდარს და ერთობლივ მოვინანიეთ წინაპრის ცოდვა მომაკვდინებელი“.

მაგრამ ბავშვს არ ეთმობოდა გეთსიმანიის საყდრის მღვდლისათვის მოქანდაკე წინაპარი. თვითონ იმ მღვდლის მონათლული იყო და რაჟღერ მოწამის სახელი დაერქმია. ბავშვს არ მოსწონდა ქრისტიანი მოწამის სახელი და თავისთავს იღუმალად არმაზელს ეძახდა, წარმართული უზენაესი ღვთაებიდან წარმომდგარ ქართლის ერთერთი მეფის სახელს.

რაჟღერ სპარსელი იყო, ვახტანგ გორგასალის ცოლის აღმზრდელი, იგი სამშობლოდან თან მოჰყვა დედოფალს ქართლში და გაქრისტიანდა — ცხოვრობდა მეფის კარზე. სპარსელებმა მახდენობაზე დაბრუნება უბრძანეს. მან უარჰყო მათი მოთხოვნა და ამისთვის აწამეს. ქართლის ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. ერთხელ ბავშვმა ტირილით თქვა, რომ მას არ სურდა სახელი რაჟღერ წმიდა მოწამისა, გეთსიმანიის მღვდლის დარქმეული ნათლობის სახელი.

„—დაე, ამ თავნება ბიქს ერქვას ჩემი სახელი. მართლაცდა პატივისცემე წამებულის ხსოვნას, მაგრამ... რაჟღერ ნეტარს ამით არაფერი არ დააკლდება“, — თქვა პაპა თუთხერიმა.

„ხომ არ გამოვენათლავ?“ — ჰკითხა კაცრიელმა.

„— იყოს ეს ყრმა ჩემი სახელის მოზიარე, კაცრიელ, შენს შვილთა შვილთაგან ერთ-ერთს ხომ უნდა რქმეოდა ჩემი სახელი? არც ერთს, არც შენა და არც მე, არ ვერქვიან ქრისტიანული, წმიდა წიგნებიდან ამოღებული სახელები, მაგრამ ვანა არა ვართ ქრისტიანები?“

„— საეკლესიო წიგნში ხომ დარჩება ნათლობის სახელი?“

„— დარჩება, არცინ აღმოფხვრის, ჩვენ თუთბერ დაეუძახხოთ, დაე ასე იყოს.“

• • •

ყრმა მიჰყვებოდა კლდისუბნის აღმართს. უკან მისდევდა მოქალაქეთა ღრიანცელი და დროდადრო მხედრების ომანიანი „ვაშა!“ — იგრძნო, რომ იგი მარტოღმარტო იყო შთენილი. თუმცა, არც ადრე მიიჩნევდა არავის მოქალაქეთაგანს თავისი რწმენისა და ზრახვების შესაიღუმლედ, მაგრამ ახლა უფრო გარიყულად გრძნობდა თავისთავს. თითქოს მას სდევნიდნენ, ელაგებოდნენ, ქალაქი მტრად გადაჰქიდებოდა. ახლა ატაცებული ყიყინით რომ მისდევდა დილოეთს საომრად მიმავალ მხედრიონს. იცოდა, ამ დოღრიალა მოქალაქეთაგან ნამალევი საიღუმლო, რომ მისი ღმერთი არ იყო ქრისტე და ეს იღუმალემა სიამაყით ავსებდა.

ეჩვენებოდა, ბრუნდებოდა შეიგანზე, გზიდან აბრუნებდა მხედრობას, აგროვებდა მიმოფანტულ მოქალაქეებს, უქადაგებდა მათ ძველ ღეთაებათა სიკეთეზე და გმობდა ქრისტეს. ელაპარაკებოდა „სახარების“ ზღაპრებზე, რომლებიც მხოლოდ ბავშვებისა და დიაცების მონატყუებლად თუ ივარგებდა; მაშინ მოქალაქენი წამსუმალ მძეინვარებით შეიცვლიდნენ სახეიშო ალტაცებას, წინ წაოგდებდნენ მტკვრის პირას რიყეზე ჩაღაქოლად, ან წათრეყდნენ ცხენის ტეზე გამობმულს.

თავგანწირვის წუთიერმა ტყვრომამ ვანელო. სიონის საყდრის შეიგანზე ქადაგების ოცნება გაქრა თვალთახედვი-

დან. ყრმას არ ეწადა შინ წასვლა, გარეგარე უნდოდა ევლრანდამოტყებლა კლდისუბნის შუკებში წაღმსკეკლმა. მის არსებას ეუფლებოდა დაუცხრომელი სურვილი წასულიყო ფხოვს ან ერწოეთში. ეცხოვრა მითიულთა ზნე-ჩვეულებით, შებღალულ კერპთა ქვეყანაში, მიმზრობოდა აჯანყებულებს, ეღაწა კერპთაყვანისმცემლობის ასაღორძინებლად.

მას შეეძლო ჩარიცხულიყო დილოეთს მიმავალ ქვეითა ჯარში. მხედრობაში ჩაწერა ტყუილი ოცნება იქნებოდა, რადგან არ გააჩნდა სახსარი ჯავშნისა, ცხენისა და ცხენის აღჭურვილობის სასყიდლად.

როდესაც ფიქრებიდან გამოერკვა, სახლის ზღურბლთან იღვა. საღიაიკოს თავზე სახლი ყავრით იყო დახურული. საყაცებოზე თავზეები შიშვლად აღმართულიყვენ. ყრმამ შეაღო კარები.

კაცრიელი ყვერბთან იჭდა და ცეცხლის ალს მიშტერებოდა. დღეს პირველად დაენთო ცეცხლი სახლში. თუთბერი კარების ამყოლებს მიეყრდნო. მას კვლავაც გაახსენდა ბავშვობა, კერპებით აბირება, სახიობა, წარმართი წინაპრის ტყვევნა და მოყვდინება გეთსიშანიის საყდრის ხარისხეღზე. კაცრიელი ყოველივე ამას ბავშვურ თავშექცევად მიუთვლიდა უმრწემეს ძეს. დღევანდელი მისი გაზრახვა უკვე აღარ იყო არც სახიობა და არც ბავშვობა. იგი იმსკვალუბოდა სულისკვეთებით ქცეულიყო წარმართ მითიულთა ქომაგად. კაცრიელთან პირისპირ შეყრამ იგი შეაკრთო, აგრძნობინა საშინელი ბოროტება. თითქოს მან უღმობელად ძირს დაანარცხა დასამსხვრევად სასახლეულო სარწმუნოების საგანძური ქურჭელი, რაიც კი პირველ ქრისტიანი წინაპრიდან თაობებს რუღუნებით, სისწლითა და ცრემლით ეღვაწო. ყრმა მშობლებისაგან ელოდა უღმობელ პასუხს, პასუხს სასახლეულო რწმენის იავარყოფისათვის, ქრისტიანობის დაგმობისათვის.

კაცრიელმა თავი ზეასწია და თითქოს უთხრა:

„ვის დაემგავენ ხელმარცხიანი?!“

• • •

თუთბერმა ძმას გაანდო განზრახვა, რომ აპირობდა დიდოეთს საომრად წასვლას, მაგრამ ნამდვილად რა მიზანს ისახავდა, არ უთქვამს, ხახუა ღმერთის მოშიში, ატაცებული ქრისტიანი იყო და არ ენდობოდა. შესაძლო იქნებოდა ეპისკოპოსთან შეესმინა კიდევაც და ამ საქციელს კეთილისმყოფელ, მოყვასურ მოქმედებად მიიჩნევდა იმ საბაბით, რომ იხსნიდა ძმას მომაკვდინებელი ცთომილებიდან.

ხახუა განაცვიფრა უმცროსმა ძმამ. მან თვინიერი, მკმუნეარე თვალები ფართოდ გაახილა და უპეებზე კურცხალი დაეკიდა.

— ამ ცუდქამობისას შინ უქმად ჯდომას ომში ყოფნა აჯობებს. ესაა საჭურველის უიდეას ვერ შევიძლებ.

— ხომ გაქვს შინ... ნუთუ იქიდან ერთი გვაში საჭურველი არ ამოირჩევა? როგორ გგონია?

— მინდოდა კაცრიელს გავპაროდი.

— რა გრჯის გაპარვას? ნუ იზამ მავას.

— რომ არ გამოიშვას?

— რა ვიცი, რა გითხრა? რატომ არ უნდა დაგთანხმდეს? აქ რომ დარჩე, შენგნით ნაკლები სარგებელი ექნებოდა სახლულს, იქ კი შენს თავს მაინც დაიჩინე. სწორი არ არის?

— რასაც სარგოს მომცემენ თქვენ დავიტოვებთ.

— იმიტომ განიზრახე საომრად წასვლა, რომ ამით ხელი გაგვიმართო? — კითხვა ხახუამ და თვალებში იქნეულად ჩახედა.

— რას მიცქერი უტიფრად?

— მაკვირვებ, დიდად მაკვირვებ... განგეძარცვა კერპების თნობა, წარმართული ღვინო? არ ვიცი, როგორ შევიცნო შენი ამგვარი საქციელი? ვერა და ვერ წარმოგიდგენ წარმართთა წინააღმდეგ შეომარს.

— როგორც ვინდოდეს ისე გაიგე, — უთხრა მწყურალად და გაშორდა.

ერთხელ უმრწემესი ხახუას წააწყდა სხენზე. ხახუას მუხლებზე პატარა ზომის ფიცარი დაედო და შედარებით ფუნჯით ხატავდა. ისე იყო გატაცებული, ვერც კი იგრძნო ძმა თავს რომ წამოადგა. მას ბალღივით დაედო პირი, თითქოს საოცარ რამეს ხედავსო. წამით ძლევდა განცვიფრებას, წარბშეკმუხვნილი დაფრინდებოდა ნახატს ფუნჯით, თითქოს კორტნისო და საღებავს წასცხებდა.

ფიცარზე კაცის სახე იყო ამოჭრილი და ახლა საღებავით ფარავდა. ჯერ მხოლოდ თვალები და თმა დაეხატა შავი ფერით ფუნჯს აწებდა თიხის კოჭობებში გახსნილ საღებავში. ზოგჯერ შედგებოდა ყოყმანით და ფრთხილად შეეხებოდა ფუნჯით იმ ადგილს, სადაც ფერი უნდა დაედო. მან სწრაფად დაფარა სხეულის ორგვლივ სივრცე რუხი ფერით, უფრო მუქი ფერის სამოსი ჩააცვა. პირისახე ფერმკრთალი საღებავით დაუთხუპნა, ფუნჯი გარეცხა და მაშინდა ახედა ძმას.

— ეს ვისი სახეა, ხახუა?

— ეს არის ხატი... ჰრომნი ჰქმნიან სახეს ქრისტესი, წმიდა მარიაშის, მოციქულთა და წამებულთა.

— წამებულნი და მოციქულნი იყვნენ აღამიანები, მაგრამ ქართლის ეკლესია ქრისტეს უჩინო და უხილავ ღმერთად აღიარებს. მისი შექმნა კაცური სახით ცდომილებაა.

— პირველმორწმუნე ჰრომნი ქრისტეში აღიარებენ კაცურსაცა და ღმერთულსაც, უპირატესად პირველს. მე ასეთ სარწმუნოებას ვცემ თავყვანს.

— რა ხანია ჰრომთა ღმერთი იწამე?

— თუთბერ! აგერ, ხუთი წელიწადია განვიციდიდი სულიერ გვემას, ვყოყმანობდი, ვებრძოდი ჩემს თავს. ეფქრობდი, ვფიქრობდი განუწყვეტლად. ბოლოს გამარჯვა ჩემში რწმენამ ჰეშმარიტი ღმერთისამ.

— შენ უარყოფ იმ სარწმუნოებას, რომელიც სწამს მეფეს, კათალიკოსს და ერს ქართლისას?

— ერი ქართლისა მიქელ მთავარები-

სკოპოსის უსამართლო გაძევებამდე თაყვანსა სცემდა ქეშმარიტ ღმერთს.

— მაშ, მეფეთმეფე ვახტანგმა და კათალიკოსმა პეტრემ ერი ქართლისა დააყენა ცთომილების გზაზე?

— ახლაც შრავლად არიან ქართლში ჰრომთა სარწმუნოების მიმდევარნი, სამღვდელთა და საეროთა შორის. ისინი არ მალავენ თავიანთ მრწამსს. მღვდელნი მსახურებენ ერს აქაურ ეკლესიებში. ეს ხატი ქრისტესი უნდა შევწირო წმიდა მარიამის ეკლესიას, სადაც მსახურებს ღირსი მამა ევაგრე.

— ეს შენი ქრისტეს სახე ერთ ჩვენუნებელ კაცს ვამგვანე, ბაზარში ძველმანებით მოვაჭრეს. — უთხრა ქილიკით თუთბერმა.

ხახუა ზეზე წამოდგა, მოკრძალებით აიღო ხელში ხატი და დააკვირდა.

— ქრისტე იყო კაციც და არც გასაკვირია, რომ ემგვანოს ვინმე კაცთაგანს, თუნდაც მეძველმანეს. აწი, უნდა დავხატო წმინდა მარიამის ხატი.

— ნახე, კაცრიელმა არ გიპოვოს ხატები, თორემ ცულით დაგიჩხვავს, არ გაპატიებს მეფისა და კათალიკოსის რწმენისაგან განდგომას.

— თუ მომკლავს, მომკლას, მაშინლა დაემობ, — თქვა აღტყინებით ხახუამ.

— წმინდანად შეგრაცხავენ ჰრომის ეკლესიაში მათი ღმერთისათვის თავდადებულს და მერე შენს ხატსაც შეჰქმნიან.

— შენ ქილიკობ?

— შენ ღალატობ ქვეყანას?

— მე არ ვღალატობ ქეშმარიტ ღმერთს!

• • •

— წარმართებივით შორით ვლოცულობთ. ღმერთო! გვაპატიე შეცოდება ეგზოში. რა ხანია აქ ეცხოვრობთ და საყდარში ჯერ არ ვყოფილვართ, — აღმოხდა დედილოს, როცა ლოცვას მორჩა და დაჩოქილი ზეზე წამოდგა.

— მე თქვენთვის ფეხებზე ბორკილები არ დამიდევს. წასულიყავით დიაცნი და

გელოცათ, — გამოეპასუხა კაცრიელი ცოლს.

— მარტონი ამ უცარ ქალაქში უთუქუნოდ, როგორ წაედიდით, — უთხრა დედილომ საყვედურის კილოთი.

— აჰანდე, მოვრჩით სახლის შენებას, — კაცრიელმა კვერი ფრთხილად დასდო, ქერი და კელეები აათვალიერა.

— მიუტევებელ ცოდვას ჩავდივართ, — კვლავ წუწუნებდა დედილო და ქმარს ვარს უტრიალებდა ფოფინით.

— ასე და ამრიგად მე მოვრჩი. რა ჰქმნეს ვაყებმა?

ტენიანმა ამინდმა კაცრიელს სატყევარი გაუმიზეზა და სახურავზე აღარ ასულა სამუშაოდ. წელყავი აწუხებდა.

დედილო დილიდან მიმწუხრამდე თავბრუდახვეული დადიოდა სახლსა და ეზოში. აშინებდა კარზე მომდგარი უფსკრული, სახურავზე მომუშავე ვაყები და სმენა მათკენ მიპყრობილი ჰქონდა. კრთოდა ჩამი-ჩუმზე.

— მორჩენ ღმერთის შეწევნით, — თქვა დედილომ.

ნინომ საკაცებოში ქამადი შეიტანა და ტაბლზე დააწყო. კაცები მიუსხდნენ ტაბლს და როცა სერობისათვის ყველაფერი მზად იყო, ნინომ ბოქნოსს ქვეშ ამოფარებული დოქი შეიტანა და კაცრიელს მიაწოდა.

— უბანში, ახლომახლო ღვინო ვერ ვიშოვნე. ემანდ, ზენო ჩელეთელთან, შინ საგბოლისი რომა აქვს გამართული, იყო, ვიყიდე.

კაცრიელმა ორთომელში ჩაისხა და გემო გაუსინჯა.

— შენ ვაიხარე, ნინო. მცირედი ხრკის სუნი დაჰკრავს, მაგრამ ვინ დაიწუნებს? დღეს შეიძლება დანაყრება, რადგან ასევეითარად მოვრჩით სახლის აგებას. ზვალვე უნდა გავიდეთ სამუშაოს საძებნელად.

— შენი სამუშაოზე სიარული, როგორ იქნება, ჯერეთ, — უარპყო კაცრიელის განზრახვა ხახუამ და მცირე ხნის შემდეგ დაურთო, — მე და თუთბერი ვივლით. შენ კი უნდა განიკურნო სატყევისაგან.

— ჯერეთ უნდა იმკურნალო, — დაეთანხმა ნინო ძმისწულს.

— ნუ მეჩიინებთ. ჩემი საქმისა მეთვითონ ვიცი.

— აქედან ვხედავ, სიონის საყდრის შეიგანზე ხელოსნები დიდიდან საღამომდე უქმად აყუდიან. ჩანს, აღარავის აღარ უნდა ხითხუროები ცუდჯამობის შემოდევს, — თქვა ხახუამ, — თუმცა ვისთვის შემოდევია და ვისთვის რახანია...

— ჰო, უსაქმურად აყუდიან... ზოგნიც აღმა-დაღმა დადიან და უქმად ტერფავენ დედამიწას. ზოგნიც ნებაგრობენ მხარეთქოზე წამოწოლილი: სხვები ანკანაკებას, გამუდმებულ სიმთერალეს არიან გადაყოლილი ანუ გადამეტებულ ლხინსა და ყოველდღიურ ხორციელ განცხრომას. რას ვეძრებით იმათ? რას დავედვთ მცონარეთა და გარეწართ? ყოველ დღე ვივლით, ყოველ დღე ცისმარეს სიონის საყდრის შეიგანზე, გაიგეთა? მითქვამს და ამით გამოითავებია.

ნინომ მამა საკარცხლულზე წამოაჯინა. წინ ჰამაღი დაუწყო.

— დაალევიან მოხუცს იყი, იქნებ თვალთაგან ბურუსი გადაეყაროს, — უთხრა კაცრიელმა დას და განაგრძო, — ცხადზე უცხადესია, გაგვიძნელება სამუშაოს შოვნა. სახლს ახლა ვინ იშენებს? ყველა საცვების მოპოვებაზე ზრუნავს. წვრილი სამუშაო მაინც გამოჩნდება შიგადაშიგ. ხომ გითხარი: კაცადკაცი ათეულად უნდა ვიქცეთ, იქნებ მაშინ მაინც ვძლიოთ ცუდჯამობას.

კაციები გულმოდგინედ ხრავდნენ ძვლებს და ტაბლაზე ჰყრიდნენ. წვენს გობიდან კოვხებით ხვრებდნენ. კაცრიელი სახელოთი იწმენდდა წვერულვაშზე ჩამოღვრილ წვენს.

კაცრიელს ტაბლის კუთხეზე, ნაჭდევეზე მოუხვდა ხელი. ჯერ ეგონა, ტყეჩია ამძვრალიო, მაგრამ მერე თითი გააყოლა. ტაბლა ხახუას ნახელავი იყო და მას ზედ ტვიფრი დაეჭდო. კაცრიელმა მოხუცისაგან მიიღო ჯვარდინი ტვიფ-

რი შუალედებში სხივებით შეგვსებულნი. კაცრიელს სასახლეულო ხითხუროთა მოდგამის ნიშანი არ შეუცვლია არც მაშინ, როცა მოხუცმა ველარ შეძლო მუშაობა. ახლა კაცრიელი სახლეულის თავად ითვლებოდა. აგერ, ხახუას კი შეუქმნია თავისი ჯვარელი, ოთხ შუალედიდან ორში სხივები გამოუტყლია. კაცრიელს თავი დაემართლა, გული დაწყვიტა შეილის თავნება საქციელმა. მან თქვა:

— ცუდჯამობის დროს ვინდა არჩევს კეთილსა და ცუდ ხელოსანს. ყველა უკეთურს, ვისაც მისდღეში ხელეჩოც კი არ უხმარია და ხვეწიც კი არ სჭერია ხელში, სასახლეების მშენებლებად მოაქვთ თავი.

— ხომ ეყოლება ქალაქის ხითხუროთა მოდგმას თავკაცობა? მათ უნდა მიხედონ ასეთ უწესიერობას, — თქვა ხახუამ.

ტვიფრს კიდევ ერთხელ გააყოლა თითები. დარწმუნდა რა, ჯვარედს ორ მეთოდში სხივები აკლდა, იგი ანაზღად რისხევამ აიტანა.

— რა არის ეს, ხახუა!

ხახუა შეტბა. ერთხანს განცვიფრებულნი უქცერდა კაცრიელს, მერე მიხვდა მისი რისხვის მიზეზს და თავი მორჩილად დახარა.

— ესტრს სახლეულს გაეყარო?

ყვირილზე ნინო საკაცებოში შევიდა და შეშფოთებულმა იკითხა: — რა მოხდა, კაცებო?

— თქვი, ძალით არ დაგიჭერ. ისევით ხურცი არ დავიჭირე. არ ჰქნა აქ გადმოსახლება, კეთილი, დარჩა მცხეთაში.

ხახუა სდუმდა.

— მამ რაა, შენი საკუთარი ტვიფრი რომ შეგიქმნია? ამ შენ ნახელავ ტაბლაზე გადიკდევია. მე თავის დროზე უკვე სახტლგანთქმული ხელოსანი ვიყავი და მაინც მოხუცის ჯვარედით ვმუშავებდი. იმ კეთილქმნილ მოჩუქურთმებულ კარებსაც მამაჩემის ჯვარელი აზის, — მცხეთას სპასნეტის სასახლეს რომ შევაბი. ჰეშმარიტმა მხეველმა რი-

ფსიქემ მრავალ კარებთა შორის ჩემი ქმნილება ამოარჩია თავისი სენაკისათვის და ზედ „სახარების“ წიგნიდან ამოკრეფილი ბწყარედი ამომატეფრინა. ის კარები, ახლა მცხეთიდან ტფილისის სასახლეში გადმოუტანიათ. თუ გინდა იქონიო შენი საკუთარი ჭვარედი, მე არ ვიშლი. თუ გსურს გამეყარო, — არ გაბრკოლებ. გზა ხსნილი გაქვს.

— ეგ განზრახვა მე არ მქონია, — ამოილულულა ხახუამ და ხელეზი გაასავსა...

— ხურციკ არ გაჰყვა ხითხუროთა საგვარეულო მოდგამს ეს უმრწემესიც, — თქვა კაცრიელმა და თითი თუთბერზე მიაშვირა, — არ ჰკიდია სიყვარულით ჩვენს საგვარეულო ხელობას. შენდა დარჩები ერთადერთი ჩვენი გვარიდან... იმ კაცს ცოცხლებში არ ვთვლი და იმაზე სიტყვაც არ მინდა ვთქვა. მართალია, მას ჰქონდა ნიჭი, მაგრამ...

სახლიდან გაპარვის შემდეგ არასოდეს გვარამის სახელი არ წარმოუთქვამს კაცრიელს, არასოდეს მასზე სიტყვა არ დაუძრავს, მაგრამ სახლეულის გათიშვაზე რომ მიდგა საქმე, მაშინ გაიხსენა სამაგალითოდ.

მართლაცდა დიდ მწუხარებაში ჩაადგო გვარამმა შინაურები. ჯერ წყალში დამხრჩვალი ეგონათ, მერე მოკლულად თვლიდნენ. მაგრამ, როდესაც სარწმუნოდ შეიტყვეს სპარსელ ვაჭარ-მოგზაურს გაჰყვაო მექარავენდ, მაშინ მწუხარება მრისხანებით შეეცვალა კაცრიელს და ბრძანა მის შესახებ არავის კრინტიკ არ დაეძრა.

— ცოტაც კიდევ, ცოტაც და იგიც დაუბრუნდება კერას. რამდენს ეთრეოდა საწყალი ბიჭი უცხო ქვეყნებში. ღმერთო! შენ დაგვიბრუნე სვიანად, — თქვა ნინომ სასოებით.

— ნურც დაუბრუნებია მამა-გამჩენს!

— კაცრიელ, ნურას იხსენებ ასე უდიერად. გზაზე მდგარი კაცი სნეულსა ჰგავს, — შეევედრა დაი.

— ჰოდა, ჩვენი გვარი ცნობილი იყო ხითხურობით, — დაიწყო თბრობა კაცრიელმა წინაპრებზე.

— ხითხუროთა ჩვენი სასახლეულო მოდგამი პაპაჩემიდან მოდღეს, — თქვა კაცრიელმა, — სვენებ-სვენებით თქვა პაპაჩემთბერმა.

— შენ, მოხუცო, ზედმიწევნით ზუსტად იხსენებ ყოველივეს, — უთბრა კაცრიელმა, — მე კი მეგონა, ვონება მთლიანად მოგეძარცვა.

— ყოველივე მახსოვს და ყოველივეს ვგრძნობ. თქვენი ლაპარაკიც მესმის და თქვენ ქმედობასაც ვხედავ გონების თვალთ. ამ იყმა გაფანტა გარემომცველი ბურუსი. თვალბში შუქი ჩამოყენა და ენაც ამიმეტყველა... დიდი პაპა ანუ ძე მოქანდაკე ბერის, იყო მეზვერეს ხელქვეითი მოხელე.

— ბერი იყო კეშმარიტი ღმერთის მადიდებელი და ერმა ურწმუნომ წარმართულ ღვთაების საფერხნოზე განგმირა სოფელს კამბეჩოვისას, — თქვა ალტაცებით კაცრიელმა, — როცა მან უარყო კერპები.

— სახელოვანი ჩვენი წინაპარი ბერი იყო წმიდანი, — თქვა თავის ქნევით ხახუამ.

— არა, ბერი იყო კერპთთაყვანისმცემელი ანუ წარმართი, როგორც თქვენ ქრისტიანები ეძახით ჩვენი წინაპრების სარწმუნობას, ვითომ აქედან მართებულად წარსულიო, — უარყო ბერის ქრისტიანობა ბაღიშმა თუთბერმა.

— ბერი რომ წმიდანი იყო, ამას მთელი ერი ლაპარაკობს, — უპასუხა ხახუამ და ბარკალს დანით ხორცი აათალა.

— არამც და არამც... ერი მოატყუა გეთსიმანიის მღვდელმა, შეთხზა მისი წმიდანობა და ერმაც ირწმუნა. მართალია, იგი აწამეს კამბეჩოვანს, მაგრამ არა წარმართებმა, არამედ ქრისტიანებმა, რადგან მამა-პაპათა კერპები ამჯობინა უცხოსა, მონათა და მხეველთა ჭვარცმულ ღმერთს.

ხახუა ზეზე წამოდგა აღმფოთებელი და თუთბერს თავზე დაადგა. ენის ზორცივით ლაპარაკობდა ძლიერძლიერობით (მას ასე სჩეოდა გახელებისას), შემდეგ დამშვიდდა, დაცხრა.

— მტყნარი ტყულია... მოქანდაკე იყო ქრისტიანი, ორბუნებოვანი ქრისტეს მიმდევარი. პაპაცა და მამაც ქართლის ეკლესიის დიოფიზიტობის ეამს არიან მონათლულნი. ვახტანგ მეფემ და პეტრე კათალიკოსმა გათიშეს პრომთა სარწმუნოებიდან ქართლი, ასე ლაპარაკობს წმიდა მარიამის საყდრის მღვდელი ევაგრე.

— ასე ქადაგებს მრევლის წინაშე? — ჰკითხა კაცრიელმა.

— არა, მაგას ვერ გაბედავს, რომ მრევლს უქადაგოს საჯაროდ. საღმე „საიდუმლო სერობას“ თუ აწყობს, ან საყურთხვევლთან თითო-ოროლა ცთომილს თავგზას უბნეეს ყურში ჩურჩულით. მსმენია ერთ კაცზე, რომელმაც ერთბუნებიანი ქრისტეს ხელში ჩადენილი ცოდვები ორბუნებიანი ქრისტეს სარწმუნოების მიღებისას მოინანია და მერე კი პირტყუ. — თქვა თუთბერმა ქილიკით.

— შენ ლაპარაკობ, ხახუა, რომ მეფემა და კათალიკოსმა აცდუნა ერი? — ჰკითხა კაცრიელმა მრისხანედ.

ხახუა ყოყმანობდა.

— ჰო, მეზღაპრე ქრისტიანები ჰყვებიან ამბავს ბერის წმიდანობაზე, — არ დააცალა თუთბერმა ძმას.

— შენ ცილსა სწამებ ჩვენს წინაპარს, — მიმართა მას კაცრიელმა.

— საიდან გაქვს ეგ მწვალებლური აზრები? — ჰკითხა ხახუამ გაზვიადებულნი გაოცებით და მასუხის მოლოდინში ჩააშტერდა.

— მწვალებლები თქვენში მოიკითხე. ასე თქვენ ეძახით ერთერთს ერთბუნებოვანი და ორბუნებოვანი ქრისტეს აღმსარებლები, მე კი სიმართლეს ვლაპარაკობ. მღვდელი ევარგეა მწვალებელი და ყველა მისი ყურებპარტყუნა მსმენელი. არც მახდენაეზი და არც კერპთაყვანისმცემლები ისე არ მტრობენ ქრისტიანებს, როგორც თქვენა მტრობთ ერთმანეთს. ზოგნი სპარსეთის სამსახურში შედიან და ეშურებიან პრომში ორბუნოვანთა სარწმუნოების დამხობას. აგერ შენ კი თაყვანსა სცემ პრომაულს

და იღვწი შენდა შეუზნებლად მეფისა და კათალიკოსის სამტროფეცხველს არის?

— თუ მეფეთმეფე ვახტანგ და კათალიკოსი პეტრე, მათთან ერთად ერი ქართლისა, ხახუა, ქრისტეში უმეტეს წილად ხედავს ღმერთს?... მაშინ ასე გამოდის, რომ ასეთი რწმენა უფრო ეთნობა ჩვენ სულსა და ბუნებას, ასეთი სარწმუნოება უფრო შეეფერება ჩვენს ერსა და ქვეყანას.

— ასე გამოდის, რომ — ჩამოართვა თუთბერმა სიტყვა კაცრიელს, — ქართული ქრისტე-ღმერთი მტერია პრომაული ღმერთთაქი ქრისტესი.

— ქრისტეში უნდა აღიარონ ის ბუნება, რაც ქეშმარიტია თვით ქრისტესთვის და არა ის, რაც ერს ეთნობა ან მათი ცხოვრებისათვის უფრო საეარგულია — თქვა ხახუამ მტკიცედ.

— არა მგონია, რომ პრომნი ქეშმარიტად ცნობდნენ ქრისტეღმერთს, რადგან მათ წარმართებრ შეუქმნიათ ღმერთის სახე, ხატებსა სცემენ თაყვანს, — თქვა კაცრიელმა.

ხახუა წამოდგა, მიუხალოდა მოხუც თუთბერს, მის წინ ჩაცუცქდა.

— პაპა, ვანა მოქანდაკე არ იყო ქრისტიანი?

თუთბერმა არაფერი არ თქვა, იმაზე, რომ ხახუაც ხატავდა ქრისტესა და ღმრთისმშობლის სახეებს, და წმიდა მარიამის მცირე საყდრისათვის უნდა შეეწირა. არ თქვა იმიტომ, რომ უკადრის საქციელად მიიჩნია ხახუას დაბეზლება.

მოხუცმა ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალების ჰერეტიით შეხედა ბაღიშს და წარმოთქვა:

— არასოდეს არ მსმენია... მხოლოდ გეთსიანიის მღვდელმა თქვა, რომ ბერი ქრისტიანი მოწამე იყო. ბერი კაცთა სახელიცაა და მთვარის ღეთაების ზვარაკის სახელიც. უწინ კი ბერი თვით მთვარის ღეთაებას უნდა რქმეოდა, ასე გამიგონია, შესაძლოა ბერი შეერქვა მოქანდაკეს, იმიტომ, რომ მთვარის ღეთაებას შესწირეს ზვარაკად.

— ვის უნდა შეეწირა მოქანდაკე

მთვარის ღვთაებისათვის? — იკითხა ფიქრში წასულმა თუთბერმა.

— წარმართებს, — უპასუხა ხახუამ.

— რაღაც არ მჯერა, — თქვა თუთბერმა.

— ქრისტიანებსაც შეეძლოთ მოეკლათ ბერი, რადგან იგი იყო მძვინვარე წარმართი. იგი იყო მოქანდაკე, რომელიც თვითონ ჰქმნიდა კერპებს, — დასძინა მოხუცმა თუთბერმა.

— მას მოკლავდნენ უცხო ღმერთის სახელით, — თქვა თუთბერმა.

— რატომ უწოდებ ქრისტეს უცხოს? — ჰკითხა კაცრიელმა.

— იმიტომ, რომ პირველქრისტიანები არიან ჰრომნი. — უპასუხა ძმის მაგივრად ხახუამ.

— თუ პირველქრისტიანები არიან ჰრომნი, მაშინ რატომ უღალატეს მათ ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

— მათ არ უღალატიათ.

— ასევეთარად შენ აღიარებ ჰრომულ ქრისტიანობას? — ჰკითხა კაცრიელმა მამური ზრუნვით ხახუას.

— მათ არ უღალატიათ. ამას არც ვმალავ. ჭეშმარიტი ქრისტიანი არასოდეს არ დაჰალავს თავის მრწამსს, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაუჭდეს.

— მაშ ერი ქართლისა ადგას ცთომილების გზას?

ხახუამ მყისვე უპასუხა, რომ ყოყმანი დაეძლია:

— ასეა ჭეშმარიტად.

— კმარა, — დაიყვირა კაცრიელმა, — ჩვენი საქმე არ არის ღმერთის ბუნების ძიება. ჩვენზე უკეთ იციან მეფეთმეფე ვახტანგმა და კათალიკოსმა პეტრემ, თუ რომელ ქრისტეს ვცეთ თაყვანი. თუ დასპირდათ, ისინი ყოველივეს განჩხრეკენ და გამოიძიებენ.

თქვენი ღმერთი მეზღაპრეთა მიერაა შეთხზული, — უთხრა ავციად თუთბერმა ძმას, — სულ ერთია ჰრომაული იქნება, ჩვენებური თუ სხვაობრივი. სულ ერთია, როგორადაც შეიცნობთ და რა წესითაც სცემთ თაყვანს.

— რას მოასწავებს ეგ შენი სიტყვები, თქვენი ღმერთი? ვინ არიან ეგ მეზ-

ღაპრენი? ამ შენი სიტყვებისათვის აღრეც ხშირად მომიკრავს ყურე... შენ ატაცებას ბილწი კერპებზე და მძვინვარე თავშეპყვევად მიგივლიდი. ახლა კი ვხედავ ეგ სილაღე ცთომილებაში გადაიზარდა. ღმერთისა და მეფის მტრობაში, ქვეყნის სიორგულეში. ასეთ აზრებს კაცი ღალატამდე მიჰყავს. უპირველესი მომავდინებელი ცოდვა ღმერთისადმი ღალატია. ხომ იცი, რაა ამაზე დაწესებული? — დაასრულა ჭადაგება კაცრიელმა და დაძაგრული კისერი ხელით მოისრისა, რადგან ტყვიელს გრძნობდა ხოლმე აღშფოთებული ლაპარაკისას.

— მოკვდინება!

კაცრიელი შეიღის პასუხმა მიახვედრა საკუთარ სისასტიკეს. იმ წუთს იგი თავისთავს უღმობელად და ბოროტ კაცად თვლიდა.

— ჯერ იყოდა... ბავშვობაში რაღაც სახიობა აიხირე, — დაიწყო მან და მის ხმაში ვედრების კილო გაისმა, — გეთსიმიანის საყდრის მღვდელი აღაშფოთე. მრევლიდან მოკვეთილს ვგავდით იმ დროს... — აღარ გავიგონო ასეთი ლაპარაკი არცერთისაგან. — თქვა და გარეთ გავიდა, ქენჯნა რომ დაეძლია.

— ბაბა, — მიმართა თუთბერმა მოხუცს, — აბა, გაიხსენე, რაც კი გსმენია მოქანდაკე ბერზე და მითხარი ზედმიწევნით ზუსტად, ვინ იყო იგი? მოაკვდინეს ქრისტიანეთა თუ წარმართთა?

— მახსოვს პაპაჩემი იტყოდა ხოლმე, როცა რამ ცუდი შეემთხვეოდა სახლეულს: ეს რა უსვეურობა გვჭირს? ყოველი იმ მძვინვარე წარმართის ბრალია, მოქანდაკე წინაპრისა. მახსოვს, ერთხელ ძველი ნივთები დაწვა. ეშინოდა, იქნება მისი ნაჭონი რაიმე ინახებოა შინ. იგი, მოქანდაკე წინაპარი მძვინვარე წარმართი იყო.

— გეთსიმიანის საყდრის მღვდელმა კი ჩემით წაჭეზებულმა იგი კერპთა წინააღმდეგ მეტბოლ წმიდანად შერაცხა, — თქვა ქირღვით თუთბერმა და ამაყი იერით გაიციანა.

კაცრიელი ღმერთისმოშიში იყო. ამი-

ტომ ძალღონეს არ ხარჯავდა ღმერთის ბუნებისა და არსის ძიებაში. ქეშმარიტი ღმერთის ძიებისა და თაყვანისცემაში მთლიანად მინდობილი იყო მეფისა და კათალიკოსის გეზს. მან იცოდა, რომ ქრისტიანობას ჰყავდა უამრავი გარეგანი და შინაგანი მტერი: მახდიანები, მწვალებლები, წარმართები და ურიები, სხვადასხვა განმამწარებლები. იგი მათ ქვეყნისა და თავისი სახლელულის მტრებადაც მიიჩნევდა. ზრუნავდა, რომ სახლელულში დაემყარებინა სარწმუნოებრივი და ცხოვრებითი წესრიგი.

• • •

სახლის მშენებლობა დაამთავრეს თუ არა, სამუშაოს საძებრავ დიწყეს სიარული. დილიდან საღამომდე ეყუდნენ სიონის საყდრის შეიგანზე სხვა ხელოსნებთან ერთად და უქმ ლაპარაკში ატარებდნენ დროს.

სხვა ხელოსნებიც მათებრ ახალმოსახლენი იყვნენ, ქართლის სხვადასხვა საერისთაოებიდან ჩამოსულნი. ზოგნი ადრეც მოქალაქეები იყვნენ, ზოგნი ჰეროვანნი და ზოგნიც მონათყოფილნი. იმეამად ყველა ისინი თანასწორუფლებიანად ითვლებოდნენ, მაგრამ ძველ მოქალაქეებს ყოფილ ჰეროვნებთან და მონებთან თავი ამაყად ეჭირათ, ერთ ტეტიებად—უკეთურ ხელოსნებად მიიჩნევდნენ, მეორეთ კი — უცხო გვარანათესავად.

კვირა დღეს თუთბერიძეები საყდარში წირვაზე წასასვლელად ემზადებოდნენ. კაცრიელი და ხახუა ეზოში ლაპარაკობდნენ, დიაცების მოლოდინში, საზეიმო სიზვიადითა და აღტყინებით. ყრმა შორიახლოს იდგა განმარტოებით.

—...მაშინ ვახტანგ მეფემ იმართლა თავი პრომაელი მღვდლის წინაშე, რომ მას, ქრისტიან მეფეს, არ შეუბღალავს ეკლესიები. მღვდელმა უპასუხა: „ეკლესიანი ხორცთანი უფროს არიან წინაშე ღმერთისა, ვიდრე ეკლესიანი ქვათანი. ეკლესია ქვათა ოდესმე დაირღუენ, და აღაშენიან მითივე ქვითა, ხოლო

ეკლესიანი ხორცთანი დღეს დაირღუენ, ვერავინ შემძლებელ არის გვანჯურნებლად, ვერცა მკურნალი დასჯერცამეფე“ — დაასრულა ხახუამ თხრობა.

— შენ თქვი წელან, რომ ეკლესიანი იქმნებიან კაცთათვის და არა კაცნი არიან ქმნილნი ეკლესიათა მსახურებად? — ჰკითხა კაცრიელმა.

— ასეთი აზრი გამოდის პრომაელი მღვდლის პასუხიდან ვახტანგ მეფისადმი, როდესაც მეფემ თავი იმართლა მასთან, რომ თუ მისმა ჯარმა დახოცა ქალაქის მცხოვრებნი და გარყვნა ქალწულნი, არ შეუბღალავს ეკლესიები. პრომაელი მღვდლის პასუხი არის ქეშმარიტი ქრისტიანის პასუხი. — ამ სიტყვების შემდეგ ხახუა მოჰყვა ქადაგებას იმაზე, რომ ქრისტე ღმერთიცაა და კაციც, რომ პრომაელი ჰქმნიან ქრისტეს ზატბს, ჩვენში კი ხატზე ლოცვა წარმართობად ითვლება, რომ ქართლში ღმერთის მსახურთაც ეკრძალებათ ადამიანური ცხოვრება, ეპისკოპოსებს არ ჰყავთ ცოლები, ეს ეწინააღმდეგება ბუნების კანონს. ხომ მრავლდება ქვეყანაზე ყველა სულერი და მცენარენიც ისხამენ ნაყოფს.

— ასე მგონია: ღმერთი ღმერთია, კაცი კი კაცი. პრომაელთ ეგ რწმენა კაცთა განსადიდებლად თუ ღმერთის დასაყენებლად უნდა ჰქონდეთ მოგონილი.

— ეს რწმენა არის ღმერთისა და კაცის ქეშმარიტი ცხოვრებიდან, მათი ბუნებითი არსიდან გამომინდარე.

— ვიცი, ღმერთი არის ღმერთი, კაცი კი კაცი. თუ ასეა, როგორც შენ ამბობ, თუ ღმერთში არის ღმერთეულიც და კაცურიც, ვინ შესწვდება, ვინ შეიციობს ზუსტად, სად თავდება ღმერთული და სად იწყება ადამიანური?

— ადამიანური არის ნაწილი ღმერთულის, ისევე, როგორც ადამიანი თვითვე არის ღმერთის ნაყოფი და მადიდებელი მისი.

კაცრიელმა ამაზე არა უპასუხა რა და ასე თქვა:

— ასე შევიტყვე, რომ ახალი საყდ-

რის ასაგებად კვლავ უნდოდათ ვერცხლის შეგროვება ცალკერძ დიდებულთ და ცალკერძ მოქალაქეებს, მაგრამ ცუდ-ქამობამ დააბრკოლა ეს კეთილი საქმე. მართლაცდა ველარ იტევს მლოცველებს სიონი.

— ყველა საყდარი ერთგვარი ძალის მქონეა დიდი იქნება თუ მცირე, ანდა ვისი სახელობისა იქნება. ეს წარმართები ანიჭებენ სხვადასხვა ძალასა და სხვადასხვა უნარს თავიანთ ბილწ კერპებს.

უწინ, ტფილისში გადასახლებამდე მამასა და ვაჟებს შორის საჩუქრებორივი ცილობა და კამათი არ ყოფილა. ხახუამ ბოლო დროს შეიცვალა თვალსაზრისი, თუთბერი კი ჯერაც ბავშვი იყო და კვიმარობად, თავშეტყვევად მიიჩნევდნენ მის გატაცებას კერპებით. ხურცი ალტაცებული იყო მეფე ვახტანგის გმირობით. იგი არ იყო ღმრთისმოსიში, მაგრამ ამას ცოდვად არავინ არ უთვლიდა. გვარამ სიტყვაფიერი იყო ბუნებით. ზოგჯერ კაცრიელი ქირდავდა მოხუც თუთბერს, სიტყვას რომ ჩამოუგდებდა „მეკერპე ქრისტიანებზე“. ასეთებად მიიჩნევდა ერწოელებსა და ფხოველებს, რომელთაგან ძმადნაფიცები ჰყავდა თუთბერს უწინ.

— ბოლნისს მშვენიერი საყდარი დგას, ჩვენი სიონის მოსახელე, — თქვა კაცრიელმა ალტაცებით.

— ქვემო ქართლი და საბიტიხაში მახდენათა ბუდეა. არ დაიფიქრებენ ვარსკენ პატიახშის მოკვდინებას.

— მაგ ბორობმა კაცმა მრავალი ცოდვა ჩაიდინა ტანჯვით მოკლა თავისი ცოლი, ქრისტეს ჭეშმარიტი მხევალი მუშანიკი, ასული სომეხთა სპასპეტის ვარდან მამიკონიანისა.

სადიაცოში ნინო დედილოსა რთავდა. მას რძალი ყველაფერში ენდობოდა, ჩაცმადახურვაშიაც კი. დედილოს მული თავის მოძღვრად ექცია, მისი ყველაფერი უყოყმანოდ სჯეროდა. მართლაც წმიდა ნინოდ წარმოედგინა, განმანათლებლად, სახლეულში მშვიდობის დამამყარებლად.

ნინომ რძალს ძალიძალით წაცხობა ფერუმარილი.

— უი, რა დროს ჩემი უკვებება! — წამოიკივლა დედილომ და პირისახეზე წამოწითლდა, — ხურცის ცოლი უშვილო რომ არ გამომდგარიყო, ძისწულთა წულნი მეყოლებოდნენ. არც ადრე მივდევდი ფერუმარილსა და საგვერმაგებს. ახლა რა რიგია ჩემი ხნის დედაკაცისათვის კეკლუცობა.

— არ ვარგა პირისახის შეთხუნა, თხლად კი რა უქირს. არც ჩემ დიდედას უყვარდა საფერავები. არ იტყვი, თურმე პაპაჩემს თვალეზი მეზობლის დიაციისაკენ გაურბოდა. ეს დიაცი უქნარა და მკონარე იყო, შინაც კი მოკაზმული იჯდა, თითქოს დღეობაზე ყოფილიყო. ერთხელ დიდედა კეკლუცად მოირთო, სამუშაოდან დაბრუნებულ ქმარს არც ხელშირი დააბანინა, არც ქამადი მიართვა. დაუწყო თვალეზის პრაწვა და კუსკუსი. პაპა ჯერ განარისხა ცოლის უშგვანო საქციელმა. მერე მიხვდა, ცოლმა იმ კეკლუცი მეზობლის ბაძვით მოიმოქმედა, აუტყდა ხარხარი.

— უი, ნეტამც! არც კი ვიცი, ჩემ კაცს ოდესმე მოსწონდა ვინმე?

გვანა მორჩა მორთვას, პირმკინარემ ნინოსა თხოვა:

— მაკურე ყვითელი წამალი. — საკარცხულზე გადაწვა.

ნინომ თვალეზიში წამალი ჩააწვეთა. დედილოს ეთნობოდა რძლის სიკეკლუცე. მყეტელა ფერის სამოსი და საგვერმაგებით მოხატული წარბები. ყვითელი ფერის წამალი წყალ-წყალა ფერის თვალეზს ცბიერების იერს რომ ამლევდა. დედილომ თვალი გააპარა საკარცხულისაკენ და უეცრად შიშმა აიტანა. მიხვდა — რძალი ორსულად იყო. კაცრიელი რისხვით შეხვდებოდა ამ ამბავს. იგი კრთოდა, როგორც კრთის ხოლმე ქექა-ქუხილის დროს. ნინო შინ რჩებოდა ბავშვებთან. რა ექნა, ვინდა იპატიებდა გზაზე. მეხი რომ გავარდნილიყო.

ზენო ჩელეთელის სახლის წინ მეზობლის ყაცები შეგროვილიყვნენ. ზე-

ნომ კაცრიელის შესახებდრად ხელეუბნი ვაშლა.

— მეზობელო! რა ხანია უბანში ირთად ვცხოვრობთ და არც კი ვიცნობთ ერთმანეთს. ამ გზაზე დადიხარ და რა იქნება ერთხელ მესტუმრო. არ ვარგა ასე გარე-გარე სიარული. დავსხდეთ, თითო ჭიქა იყი დავლიოთ, ღმერთი ვადილოთ და ჩვენს თავსაც პატივი ვცეთ. რა დაგვრჩენია მიწიერთ ამ ქვეყანაზე, თუ არა სიყვარული მოყვასეული, კნინი ვართ, კნინი, წმიდანი რომ ვიყო, ამ დალოცვილი სასმელის წვეთსაც არ დავლევდი.

— დღეს კვირა დღეა, აღდგომის დღე, — უთხრა ერთმა მეზობელმა ზენოს, — იცი, რა წერია ამ დღეზე საღმრთო წერილში? კვირას კაცნი უნდა იყვნენ უზრუნველ და შეგროვდნენ საყდარში, და ილოცონ. ღვინო არა სვანო.

ზენომ თვალი მოავლო იქ მყოფთ და ქილიკით წარმოთქვა:

— იცით თქვენა? კვირადღეს არც ვალი ეთხოვება მოვალეს. ამიტომაც არა გთხოვ, თაყა, იმ ევრცხლს, შენ რომ გმართებს. კვლავაც დაგაღვივინებ. ეჰ, არავინ არა ვართ სულითწმიდა.

ქალები ზენოს ცოლსა და გერს ელაპარაკებოდნენ.

— მორჩით სახლის შენებას, მეზობელო? — ჰკითხა წითურმა და ფარფაშა ქალმა. ეს ზენოს ცოლი იყო.

— მოვრჩით, მეზობელო, მაგრამ ძნელი გასაძღისი იქნება ზამთარ-ზაფხულხის სახლში, — გამოელაპარაკა დედილო.

— ნუ სწუხარ, დეო, მთელი ქალაქი ასეა ნაგები, ჭერეთ არავინ არ მოუკლავს ყინვას ან სიცხეს.

— რაო, არ მოსწონთ ჩვენი ქალაქი მცხეთელებს. დედა? აქაოდა ქვეთყირის სასახლე გვედგაო? — ჰკითხა ქალიშვილმა ტუჩაბრუნვეთ. სანდომიანი იყო. შავი თმები წითელ-ყვითელი კოწილებით ჰქონდა შეკრული.

— რაცა ვართ და ვინცა ვართ, ჩვენთვისა ვართ, შეგვეცივა თუ დაგვეცივა, — უბასუხა მათ ნინომ.

ამ დროს ბავშვებმა ქრამული ატეხეს. ფრიალო კლდისაკენ წაბრუნდნენ დახილით:

— ქარავანი მოდის, ქარავანი!

— პარაგუშნაპისი ქარავანი მოდის, — თქვა ზენო ჩელეთელმა.

— რა ხანია, ეგ ვაჭარი ქართლში აღარ ჩამოსულა.

— წირვაზე გვაგვიანდება, — უთხრა შემცბარმა კაცრიელმა თავისიანებს, — აბა, დაეძრათ, ადგილიდან.

უბანს რომ გაცდნენ, მტკვრის გაღმა ქალაქის ხედი გამოჩნდა. მიდიოდნენ თავქვე და თვალთ ქულბაქისაკენ ეჭირათ, სადაც ქარავანი ზანზალაკების ქლარუნით შემოდის. კაცრიელმა ფეხს აუჩქარა. ხედავდნენ, მლოცველები მიიჩქაროდნენ სიონის საყრდისაკენ. საყდარში ქალები ცალკე დადგნენ ხელმარცხნივ, კაცები ხელმარჯვნივ, თუთბერი კი კარებთან აეყუდა.

სიონის საყდრის მრევლს უმეტესად ქალაქის დაბალი ფენა და ხელოსნები შეადგენდნენ. მლოცველებში ერივნენ ნაწანალები და მოგზაური „მოციქულები“, რომელთაც აღთქმა ჰქონდათ დადებული, ევლოთ ქვეყანაზე და ექადაგათ ქრისტე ღმერთის სარწმუნოება. თუთბერი უცქერდა მათ ხმელსა და მზით გაშაებულ სახეებს, ყრმის ცნობიერებაში ისინი ჰგავდნენ მწყემსებს. მათ ჰქონდათ მზრუნველი სახეები და ხელში მოგზაურთა ყვარჩენები ეჭირათ. თუთბერს აკვირებდა მათი ესოდენი რწმენა, აუცილებელი დაჭერება საკუთარი თავისა, რითაც მთელი ქვეყნიერების ხვასტავს თავიანთ სამწყსოდ მიითვლიდნენ. როცა სინამდვილეში თითო კრავიცი კი არ ებადათ, ისინი სულსა ლევდნენ უცხო ქვეყნებში, გზებზე და ქალაქებში. მათთვის არ არსებობდა უცხოის და თავისის, საკუთარისა და სხვისის შეგნება. ისეთ ქვეყნებსაც, სადაც არ იყო ქრისტიანობა გავრცელებული, თავიანთი ღმერთის წილხვედრად მიიჩნევდნენ. მთელ ქვეყნიერებას, სადაც კი ცხოვრობდა ძე ხორციელი ქრისტე ღმერთის საბრძანებლად სახა-

დნენ. ყრმას გაახსენდა მავალითი მცხეთის ნათლილების წიგნიდან: როდესაც წმიდა ნინომ კურნებით მოიმოქმედა სასწაულები, მირიან მეფემ საზღაურად მცხეთა ქალაქის მკვიდრობა აღუთქვა: ნინომ უპასუხა: „—არ მინდა შენგნით ნაბოძები მკვიდრობა, რადგან ყველგან არის სამკვიდრებელი ქრისტიანების. ყველგან არის და მარადის ღმერთი ჩვენი იესო-ქრისტე!“ წირვის შემდეგ სააყვებისკობოსს უნდა ექადაგა. მრევლს აღტაცებდა ჰგვრიდა მისი სიტყვა კეშმარიტად რიტორიკული. თუთბერს გული ქულბაქისაკენ მიუწევდა, მაგრამ სურდა მოესმინა ქადაგება. სააყ ტფილელს ხმა არ უვარგოდა, წირვა ყმაწვილზე ვერ ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას.

საყდარში მისულიყო სპასპეტის დედა რიფსიმე მხეველებითა და მხეველთა მხეველების — მატრაკვეციების თანხლებით. სპასპეტის დედა ფრიალ შეუხედავი იყო. მისი მხეველებიც თითქოს ერთმანეთს ეცილებოდნენ სიგონჯეში, რომელთაც რიფსიმე უქადაგებდა სულიერ ნეტარებას ხორციელი გვემის საზღაურად, სპასპეტის სხვა ნატიფ მხეველებთან ერთად, მაგრამ თუ ამ ნატიფ ასულებისათვის ხორციელი გვემა იყო საკუთარი მაცთუნებელი მშვენების დათრგუნვა, სასჯელი სინატიფისათვის, რაღა იქნებოდა თვით რიფსიმეს გონჯი მხეველებისათვის თუ არა სასჯელი სიმახინჯისა?

თუთბერი თავს არიდებდა საყდარში მყოფთა თვალთვრებას და ფიქრობდა მეაქლემე ძმაზე. დადგა ნანატრი დღე. პარაგუმნაპსის ქარავანი დაბრუნდა ქართლში. გვარამმა არ იცის მათი სახლუფლის ტფილისში გადმოსახლება და იგი მცეხთას მიაშურებს. თუთბერს ერთი სული აქვს, მალე ნახოს ძმა, მაგრამ მამა დგას იქვე ახლოს და ეკრძალება წირვის მიტოვებას, ძმის სანახავად წასვლას. იცის, ვერ გამოაპარებს კაცრიელს წასვლის მიზეზს. ყრმამ იცოდა, რომ დედინლო გვარამის კეთილად დაბრუნებისათვის ღმერთს წინასწარ მიაგებდა მადლობას, მისი ცდომილების მიტოვებასაც

თხოვდა ცრემლის ღვრიტ. რძალი, ამაცი გვანა ლოცულობდა და პირველს რალაც გვერდულად იწერდა. ვგი თხოვდა წმიდა მაიარამს ბიქის ლოყისაგან განკურნებას, მაგრამ გუმანით, გულის სიღრმეში გრძნობდა ქალურ აღმატებულებას ღმერთის მშობლებთან, რომ მან წმინდა ჩასახვით კი არა, არამედ ბუნებრივი წესითა შვა ბავშვები და კიდევ ერთზე იყო ორსულად.

კაცრიელი იდგა პირქუშად, ორად ორ სიტყვას წარმოთქვამდა: „—ილიდე ღმერთო!“ მას ახსოვდა ქრისტეს შეგონება მოწაფეებისადმი, რომ ღმერთისადმი აღვლენილი ლოცვა უნდა ყოლიფიყო მოკლე და მჭერმეტყველებას მოკლებული, საქმიანი და იოლი.

ყრმის ცნობიერებაში ქრისტიანები ყველანი ერთმანეთსა ჰგავდნენ ანდა შეუგნებლად ისწრაფოდნენ ურთიერთი მსგავსებისაკენ. უკეთ, მათ სარწმუნოება ჰქმნიდა ასეთებად. საკუთარ თავში პირადულის დათრგუნვა იყო ქრისტე ღმერთის ცნობის ძირითადი საშუალება, ამიტომ განსხვავებული ქცევისა და ზნეობის გამოვლენა არღვევდა ქრისტიანულ მთლიანობას, ამორებდა მოყვასს მოყვასისაგან და ღმერთისაგან. თუთბერი ანგარებდად მიიჩნევდა, რომ ქრისტიანები აქნიებდნენ საკუთარ თავს. ღმერთის მონებად და მხეველებად მიიჩნევდნენ. მათ შორის გმირნი თავისთავს ჯაბანს უწოდებდა, კეთილი — უკეთურს, ქვეყნის მპყრობელი — მონას. ქრისტიანების ამ საქციელში თვალთმაქცურ თავის მოკატუნებას ხედავდა. უფრო მეტ ანგარებად თვლიდა, ვიდრე საკუთარი ძალისა თუ სიკეთის აღიარებას. ქრისტეს კანონი მთლიანად ძარცვავდა ადამიანებს და თავდაუზოგავად მსხვერპლშენაწირი ღმერთი ძნელად დასათმობი და უარნაყოფი ზღებოდა მათთვის. ისინი თავიანთ „წილ ღმერთს“ კი არ სწირავდნენ მსხვერპლს, არამედ საყოველთაო, საერთო ღმერთს, რომლის ძალა-უფლება უზომოდ დიდი და განუსაზღვრელი იყო.

— ქრისტიანებო! ძმანო და დანო, შვილნო ღმერთისანო, მოყვასნო! — ქა-

დაგებდა სააყ ებისკოპოსი, — ჩვენ შევიყარებით ამ საყდარში, რათა ვადიდოთ ღმერთი ჩვენი, მაცხოვარი და საქმენი მისნი ქმნილნი საკეთილდღეოდ კაცთა. სპარსთა დაარბიეს ქვეყანა, ამას ხმელიერებაც დაერთო. ახლა გვმართებს ერთსულლოვნება და სიყვარული ერთერთ მოყვასეული ეს განსაცდელი მოგვანიჭა ღმერთმა გამოსაცდელად ჩვენდა? იქნებ მაცხოვარმა მოგვებლო ჩვენი ცოდვებისათვის? არა, ღმერთი სულგრძელია. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ცთომილებანი, ცოდვანი, რომელიც, ვით მაჭლაჭუთა, სულთამბუთავად აწევს ჩვენს სულს. ბოლო ეამს გამრავლდა მანდღანური და მწვალებლური აზრები, ცრუ რწმენანი. აღამიანთა ზნეობაში და ქცევაში შემოიჭრა წარმართული ჩვეულებები. არიან ისეთები, რომელნიც წარმართული ღღინით გამსჭვალვას, მხოლოდ და მხოლოდ სილაღით ხსნიან, მაგრამ განა თვით სილაღეც არ არის უჩრბა ღმერთის მიმართი? ზოგნი ხამაღლა გაიძახიან მცნებებს ცრუებს და სწავლებას სამტროს. უმეტესად წერილი ერი მოექცა მანდღანეთა გავლენის ქვეშ. დაგვმეთ ცთომილებანი, ბოროტების მსახვრელი ხელი წარგვეთეთ ადრე. გავჩხვთ ჩირგვნარი გესლიანი ნაყოფის მომცემი, ამოვიძრკვეთ ფესვები, მაგრამ ალაგ-ალაგ დაგვჩა ხარვეზი უხნავი კორდისა, ალაგ დაგვჩა ამოუძრკვავეი ფესვი და ამ ფესვმა იყარა ყლორტები. აღმოცენდა კვლავ ის მხამიანი ნაყოფის მომცემი ჩირგვი... ახლან ნიქოზის სამღვდლო სასწავლებლიდან გამოვაძვეთ ვინმე რიტორი, რომელსაც ბრალად ედება ქრისტეს ქეშმარიტი სარწმუნოების უარყოფა, გატაცება მწვალებლური სწავლებით და მანდღანური მცნებებით. იგი აღმოჩნდა კუდი წყველი, ქართლის ეკლესიის მიერ განკიხული და შეჩვენებული მობედან ებისკოპოსისა. სიკვდილის შემდეგ გამოაშკარავდა მისი ბოროტება, დასწევს წერილნი მისნი და სხვა მწერალთა მანდღანური წიგნებიც. მწვალებლები კავშირში არიან სპარსელებთან და ყოველი

ღღინის წარმართებთან. ქრისტე ღმერთის სახელით ბლაღვენ დაწყებულბენ ქეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებასა თქვენ, ტფილისელო მოქალაქენო! არა ხართ ნათესავნი და თვისნი ერთმანეთის, ერთი შთამომავალნი, მაგრამ განა კავშირი სარწმუნოებრივი არ არის, ანუ არ უნდა იყოს მეტი, არ უნდა აახლოებდეს ნათესაობა სულიერი? ამ ღმერთისნიერი ერთობით ებრძოლეთ უვიცობას და სიბნელეს საუკუნოებრივს. შეაგონეთ ქეშმარიტ გზას აცდენილნი, ამხილეთ ისინი დროულად რომ არ მივიდნენ მიუტევებელ, სულსწამწყმელ ცოდვამდე. მიეციტ ცთომილთ მოყვასური დარიგებები. არ მოიკვეთოთ თვითნებურად, როგორც ამას წარმართნი ჩადიან. გწამდეთ, რომ ყოველგვარ უსვეურობაში ღმერთი მაცხოვარი ზრუნავს თავის შეილებზე.

ყრმამ მიატოვა ებისკოპოსის ქადაგება და შეიგანზე გავიდა. მას ახელებდა სააყ ტფილელის მზრუნველი შეგონება მრველისადმი: ემხილებიათ მავნე ჩვეულებები, წარმართული წარსულის გაღმონამთები, მანდღანური სიბილწე თუ მწვალებლური ცთომილებანი.

სააყ ებისკოპოსს არ დაუსახელებია ნიქოზის სამღვდლო სასწავლებლიდან გამოძვეებული რიტორი, რომელსაც ბრალსა სდებდნენ მწვალებლობასა და მანდღანობაში, მაგრამ თუთბერი მიხვდა, რომ ეს რიტორი მისი მასწავლებელი ლარგველი უნდა ყოფილიყო. ყრმა უდიდესად თაყვანსა სცემდა ლარგველის. მან ასწავლა ბავშვს წერა-კითხვა ჩაახედა სარწმუნოებათა არსში. მას ადრეც ავირეებდა ლარგველის მასწავლებლობა სამღვდლო სასწავლებელში, ამიტომაც თითქოს მისი გამოძვეება არ ყოფილა მოულოდნელი. ყრმამ იცოდა, სააყ ებისკოპოსი ცილსა სწამებდა ლარგველს მწვალებლობასა და მანდღანობაში. მისი დანაშაული იყო ლაღი აზროვნება და მოთნეობა წარმართულისა. ყრმამ აღარ იცოდა, გაახარა თუ დაამწუხრა ამ ამბავმა. განიზრახა წასულიყო მცხეთას მის სანახავად თუჯი ექსორიას

გადაურჩა და მისცეს უფლება საკუთარ სახლში დაბრუნებისა.

კაცრიელმა თვალი მოჰკრა საყდრიდან მიმავალ შვილს და გული აუჩუყდა. მას ყოველთვის სიამით აესებდა, ახარებდა თავისიანების ერთმანეთისადმი სიყვარულის გამოვლენა. მოსწონდა, პატივისცემისა და ზრუნვის შეცნობა მათ საქციელში, მაგრამ განგებ თვალს არიდებდა, თითქოს არ იმჩნევდა და არც ამჩნევენებდა.

დილით დაღლილ-დაქანცული ყრმები ტფილისში ჩაეიდნენ. თუთბერი პირდაპირ მზეხას სანახავად წავიდა.

ასული მწუხარებას მოეცვა, აღარ იცოდა რა ეფიქრა, რა ელონა?

— მეგონა, ომში წახვედი.

— ბარემ წამეყვანე და გამეხიზნე მცხეთას.

— სადაც გინდა, იქ წამიყვანე, თუთბერ, მხოლოდ იქ აღარ დავბრუნდები, აღარც ლხინში და აღარც სახიზნავად.

— მაშინ დაბა ყანობირში წაგიყვან, იქ ჯვარიც დაეწერათ.

— ვიცი ბიჭი იქნება, — თქვა მან.

— შენ ბიჭი გინდა?

— დიახ, მინდა რომ შენ დაგემგვანოს... არკი არ გწამდა ქრისტიანული წესისგება, ასე არ ამბობდი?

— არ მინდა ჩემი შვილი ბუშად იშვას.

კაცრიელი ზღუდერიდან დაბრუნებულიყო. სახლში ჩაკეტილი თლიდა ისრებს, ყვითლად ღებავდა. კედელში დატანებულ სამალავში ინახავდა. საქურველიც გადაემალა. ემზადებოდა მტერთან საბრძოლველად.

— კაცრიელ, არ გერჩიენა შენაც გახიზნულიყავ? — ძლივსძლივობით შებედა თუთბერმა მამამისს.

— რატომ ამბობ მაგას?

— იმიტომ, რომ ქალაქში ჯერჯერობით აღარც ომი იქნება და აღარც სამუშაო მოიპოვება. თუ ყველა ჩვენგანი აქ დავრჩებით, სპარსელებს საბაბს გაუმ-

— „კეთილი ბიჭია ეს უმცროსი, — ელაპარაკებოდა თავისთვის — ვხედავ შენს თვალთმაქცურ ქმედებას, მატყუებ განა?.. ასე მალულად და უჩუმრად რომ მიიბარები. — „ქვეთინნარევი სიცილი წასკდა, სული ძლივს მოითქვა, ხველება აუტყდა. პირზე ხელი აიფარა.

მლოცველებმა ტუქსვითა და საყვედურით გადახედეს.

„— დაე, იფიქრონ, რომ ქუში მჭირს, მორჩა და გათავდა“, — გუნებაში დასძინა. შეიშმუშნა, მხრები აატოკა.

რავლებთ ხოცვა-ყლეტისას.

— შენ რაღა უნდა ჰქმნა აქ?

— ერთი მეგობარი მყავს, ლუთქვი, მასთან წავალ ერწოში.

კაცრიელმა ძეს იქვეუღლად შეხედა, მაგრამ არა უთხრა-რა.

— აყოვნებენ სპარსელები ქალაქის აღებას.

— ჰო, აყოვნებენ... დღეს უბნელი კაცები ამბობდნენ: კათალიკოსმა პარაკლისის შემდეგ უფლისწული დაჩი აკურთხო მეფედ.

— მამა, გეხვეწები, წადი მცხეთას.

— წავალ, ჰო, წავალ, — თქვა მან.

— მეც ხვალ წავალ...

ჩიჩინი არ დასჭირვებია, კაცრიელმა მხარზე გულა მოიგდო და გაემგზავრა. თუთბერმა ქულბაქში იპოვა ზეზვა და თავისი ზრახვა გაანდო. იმ ღამით მზეხა მიიყვანა შინ, რომ მეორე დღეს ზეზვასთან ერთად წასულიყენენ ყანობირში ჯვრისაწერად.

ყრმის განზრახვას ჯვარი დაეწერა მზეხაზე ქრისტიანული წესით, ის საბაბი ჰქონდა, რომ შესაძლო იყო თვითონ მსხვერპლად შესწირვოდა შურისძიებას ან სპარსელებთან ბრძოლაში მომკვდარიყო. უნდოდა თავის ნაშვიერთან სააქაო საქმეები მოეწესრიგებია. მას არ სურდა თავისი ურწმუნოებით კანონიერი მემკვიდრის მაგივრად ბუში დაეტოვებინა თავის შთამომავლად. ერთადერთი გზა სწორედ ჯვრისწერა იყო კანონიერების დასადგენად. იგი გრძნობდა ვალდებულ-

ლებას ჯერ არ, შობილ შთამომავლი-სადმი.

დილით გავიდნენ ყანობირისაკენ. აბა-ნოების უბნის გავლით შევიდნენ ბილი-კით ტყეში. ასე ტყე-ტყე იარეს სადი-ლობამდე. წყაროსთან წაიხმეს და ისევ აუყვნენ მალლით ბილიკს. ზოგჯერ გაიხ-სნებოდა ზეცა, პატარა ველობების და ხეე-ხუცების თავზე, ზოგან ღრუბლიანი და ზოგან უღრუბლო, მზის სხივებით გაკაშკაშებული. მერე ისევ შთანიტქე-ბოდნენ ტყის ბინდ-ბუნდში, სადაც იდ-გა საამო სიგრილე და მშობი ფოთლე-ბის მძაგე სურნელება, ტყეებს ზევით, ხრიოყ მთებს შუა, ზეგანზე იდგა ძველი და ახალი ყანობირი.

ყრმამ ამ დაბაში საეკლესიო ყმბად გადმოსახლა ტფილისელი მოქალაქეები ამ გაზაფხულზე, მათგან, ტყირპლიანი ხითხუროს სახლეულნი. იგი ახლა ამ ხი-თხუროსთან მიდიოდა სტუმრად. აქ უნ-დოდა დაეწერა ჯვარი და მზეხა მათთან დაეტოვებია. თუთბერს მოეპოვებოდა მკირედი ვერცხლი და დაუტოვებდა სა-ხლის პატრონს, თუკი მზეხას მდგმურად დაყენებაზე ჰოობას ეტყოდა. ყრმა ხში-რად ააკითხავდა მზეხას, დროდადრო გა-დაიხდიდა ქირას და სანოვაგესაც აუტა-ნდა. თუკი სპარსელები აღწევდნენ კო-ერის სანახებში, მაშინაც კი დაიძებუ-ბული იქნებოდა თუთბერი, რადგან ტყირპლიანი თავის ასულბთან ერთად მზეხასაც გაიხზნავდა.

ნასამხრალზე მიაღწიეს დაბას.

ტყირპიანი და მისი ცოლი ფოთოლა პირმოღმარნი დახვდნენ სტუმრებს, გოგონები ერთმანეთს ეხუხებოდნენ მორცხვობით. მზეხა თითქოს აითვლი-სწუნეს, მაგრამ მალე დაიოკეს მეჭო-რწინე ქალისადმი შური, შეითნეს იგი. თუთბერსაც აღარ უცქერდნენ მღურვი-თა და საყვედურით, ახლა ზეზვას ეკე-ლუცებოდნენ.

ყრმამ აუწყა წვევის მიზეზი. ტყირ-პიანი დათანხმდა მზეხა მდგმურად და-ეყენებინათ, ჯვარისწერის მოსაგვარებ-ლად კი იმ წამსვე გაქუნძულდა მღდელოან. მაგრამ გაწბილებული დაბ-

რუნდა, ფიჩვოსანი არც საყდარში და არც სახლში არ დახვედრებულა.

სერობა ახლოვდებოდა, საყდარში კი მწუხრის ლოცვა ჯერ არ დაეყენებიათ. ცოლ-ქმარი წამიდან წამს გამოდიოდნენ მეზობლებში საკითხავად, მაგრამ არა-ვინ იცოდა ფიჩვოსანის ასავალ-დასა-ვალი.

როცა დაღამდა, ტყირპიანი და თუთ-ბერი მღდელოან წავიდნენ. მიადგნენ თირით ნაგებ ჰერზონს, ერთხანს აბრა-ხუნეს.

— რომელი ხარ? — იკითხა ხრინწი-ანმა ხმამ.

— ჩვენა ვართ, მამაო! — უპასუხა ტყირპიანმა.

— რომელი თქვენა?

— ხითხურო აღერკი... ქალაქელი მეწ-ვია ჩვენს საყდარში ჯვარისწერა სურს. მამაო, აღასრულე წესისგება ქრისტიან-ული.

— შეილო ჩემო!... სპარსნი კრძალავენ ქრისტიანულ წესისგებას ურჩთ სიკე-დილითა სჯიან. ყველა წესისგებას კრძა-ლავენ: ჯვარისწერას, აღსარებას, ნათე-ლას, მკვდრის გაპატოსნებასა თუ რაი-ცა რამს.

— მამაო, სპარსნი... შორს არიან აქე-დან.

— მათი მარბიელი დღეს დაბა ორ-წყაროსთან გამოჩნდა... მოდიტ საყდარ-ში და იქ დახვდებით.

მეჭორწილებს ზეზვა და ტყირპიანის ასულნი გაჰყვნენ ჯვარისწერად. საყდარ-ი მცირე ზომისა იყო, ოთხი-ხუთი ლა-ჯი იქნებოდა სივრცე-სივრცით, თუთბერ-მა იცნო ფიჩვოსანი, წარმართული ნაჭო-რტალის განბანვაზე საყ ეპისკოპოსთან დაესმინა უჩინო ღვთაებათა ქადაგი და მერე კი დაბის გზაზე მათი პაექრობისას ხელემაპყრობილი უჩუმრად აღიდებდა ღმერთს. მღდელს წვერი და ხელები უცაცცაბებდა, ხმაც მილუული და მთრთოლვარე ჰქონდა. ხელმარცხიანობა აპყვა: ჯერ ლოცვანის წიგნი ძირს დაუ-ვარდა, კვლავაც საზედაშე ჰურკლიდან საყურთხი ღვინო დაღვარა. წესისგება დააყოვნა.

* * *

თუთბერის დაბრუნების წინაღობით დაეპყროთ ქალაქი სპარსთა. დამპყრობლებს არ აუწიოკებიათ და არ გაუძარცვავთ მცხოვრებნი. თითქოს ვახტანგ გორგასალის მოკვდინებამ მტერი დააცხრო და დაამოშინა. ქართველ მაზღენეთა ერთი ასეული ბანაკად ორთაქალაში იდგა. ყრმამ გაიგო, რომ გეარამი ამ რაზმში ყოფილა ჯარისკაცად. იგი ჯერ კიდევ აღრე, ომის დაწყებამდე წასულიყო ტფილისიდან, სამარზხანოში შემდგარ ლაშქარში ჩარიცხულა. განძაკიდან ტფილისამდე ბრძოლით მოუღწევია. ყრმა ერიდებოდა მაზღენ ძმასთან შეხვედრას, თუმცა ქალაქში სიარული სახიფათო იქნებოდა, ერთთავად სახლში იჯდა. კეკელა შეურიგდა და თითქმის არ შორდებოდა. ყრმა ავხორცი ნდობით შეპყრებდა და უწმაწურად ექილიებოდა.

— მეგონა, აღარ შევირიგდებოდი ქალ-ბიჭვო რომ მითხარი, ყვიციანო, აბა, მითხარი, ბიჭს რა მიგავს? მითხარი, რას გაჩუმებულხარ.

— ჯერეთ, აღარა ვარ ყვიციანი, კვლავაც ვიგეტყვი...

— რას მეტყვი? შენი კოკობზიკა დიაცი მჯობია?

— გამშორდი კეკელა, ვინძლო ცოდვა რამ ჩავიდინო, — უთხრა ეინით.

— სულ ასე ქადილობ.

ყრმა საკარცულიდან წამოხტა, სწვდა მკლავში და თავისკენ მიიზიდა. კეკელა არ ნებდებოდა... ყრმამ ხელში აიტაცა.

— გამიშვი ხელი... გამიშვი ხელი, თორემ განანებ გაჩენის დღეს...

ეინით აღვზნებულ ყრმას არ ესმოდა კეკელას ქადილი. საკარცულზე გადააგდო, სამოსის გულისპირი ჩამოახია... ძუძუს კერტებმა შეშფოთებით ამოაჰყიტეს. სწვდა საკონცელად. კეკელამ, თითქოს შიშველი მეკრდი უნდა დაიფაროსო, უბიდან პატარა სატევეარი დააძრო და მისკენ დახრილმა ყრმამ პირისახე გაჰკრა. ასული იზინდებოდა თუთბერის კოცნით. ტუჩიდან გადმონადენი სისხლი კე-

კელას ლოყებს უთხუნავდა. ბოლოს იგი მოეშვა და გაირინდა ერთჯანს მერე განწირული ძახილი აღმოხდა... ყრმამ წამოდგა საკარცულიდან...

— სპარსო! მოძალადე... ზღურბლზე ზეზევა შემოდგა, გოცებული უცქერდა ქალ-ვაჟს. უკან გაბრუნებას აპირობდა, აღელვებულმა თუთბერმა უთხრა, მოიცადეო.

კეკელამ სატევეარი უბეში ჩაიღო, სამოსის ჩამოხეული გულისპირი ხელით დაიფარა და სახლიდან გავიდა.

— სისხლი მოგდის, — უთხრა ზეზევამ.

— ვიცი. ჰო, ვიცი, — თქვა და სახელოთი მოიწმინდა.

— თუთბერ! — მიმართა მცირე დუმილის შემდეგ, ფიქრიანად, — ჯურხა წაწყდომია კვალს.

— რომელ კვალს?

— ლაზო ჯავახისას.

თუთბერმა აღტაცებით იყვირა.

— აღსასრული!... მითხარი სად ნახე ჯურხა, ან სად წავიდა... სხვა რა იცი? რა ვითხრა კიდევ?

— მალე მოვა და ყველაფერს გვეტყვის. ეჩქარებოდა, მეც კანტი-კუნტად მომიტხრო მხოლოდ.

— აღსასრული... — გაიმეორა კიდევ ზეზევა დაფიქრიანებული ჩამოჯდა.

— რაზედ ფიქრობ?

— იმაზე... თუ საქმე როგორ დასრულდება.

— აღსასრულით! — თუთბერი გარეთ გავიდა.

— ეგ კაცი ვინაა? — ჰკითხა კეკელამ, რომელიც წინაყართან იდგა.

— ჩემი მეგობარია.

— ჰო... მაშინ საქმელ-სასმელს მოგიტან და ჭრილობასაც მოგბან, ყვიციანო!

— არა, არ მინდა.

— დღეს რომ ხემსი არ ჩავიდევს?

— შენ საევირველი გოგო ხარ.

— მოგიტან და ვიყო საევირველი.

— როდის გადაგიხდი ვალს?

— არც არასოდეს.

— მაშინ არ მინდა.

— კეთილი, გადამხადე, როცა გექნება, — თქვა და წავიდა.

თუთბერი შინ შევიდა.

— ვინ იყო?

თუთბერს გაეღიმა.

— ვინ არი ეგ ვოგო?

— აგერ, შინ საგბოლისი აქვთ გამართული.

— რატომ ღადის აქ?

— მე ვუყვარვარ.

— უყვარხარ და სასიკვდილოდ გიმეცტებს.

კეკელა შემოვიდა. საჭმელ-სასმელი ტაბლახე დააწყო. მერე თუთბერს კრილობა მოჰბანა და ზედ მალამო წასცხო.

— სისხლის საურავად ეგ სასმელ-საჭმელი მომიტანე?

— წელან რომ აქ ვიყავ, ჩვენთან ორი სპარსი მისულა. სხედან და ღვინოს სვამენ.

• • •

ვილაც კაცები მოსაკლავად დასდევენ. ამ ერთი მსგეფსის წინ ორნი დასხმიან თავს. ერთი მათგანი მოუკლავს, მეორე კი გაქცეულა. ჩანს, ჩვენ მარტონი არა ვართ, სხვებიც იღწვიან. — ჯურხამ თხრობა გაწყვიტა და ჩაფიქრდა. თავი დაბლა დახარა.

— ასე გამოდის... მაგრამ ხომ შეიძლება ის მკვლელები ჩვენებრ შურისმგებელნი კი არა, დაჭირებულნი კაცები იყვნენ. ვინმე დიდებულთა მიერ მიგზავნილნი მეფის მკვლელობაში თავიანთი წვლილის დასამალავად, — თქვა თუთბერმა.

— მაშინ ყოელისშემძლე დიდებულნი დაგვასწრებენ, — თქვა ზეზვამ სინანულით.

კეკელა შემოვიდა.

— რას იქმენ სპარსელები? — ჰკითხა თუთბერმა.

— წყნარად არიან.

დერეფანში ჩქამი გაისმა, თიანჭოს გარეთა კარი გაიღო. თუთბერი ზეზე წამოდგა. საკაცებოში ვილაც უცხო კაცი გამოჩნდა, ჯაჰვისპერანგითა და ჩაჩქანით აღჭურვილი, ხელში შუბი ეკავა.

— შენა ხარ? — ჰკითხა გაცეზულმა თუთბერმა.

— მე ვარ... არ მეღატაკებოდით?

— მართალი გითხრა... არ მეამა შენი წევია.

კეკელა გვერდით დაუდგა თუთბერს. გაკვირვებული უქცერდა სპარსელს, რომელიც ქართულად ლაპარაკობდა და ჭირდვით იღიმებოდა.

— ეს სპარსი თავის ამხანაგთან ერთად ჩვენთან ღვინოსა სვამდა, — თქვა კეკელამ.

— რატომ მოხვედი? — ჰკითხა თუთბერმა.

— ამბის გასაგებად. მე ყველანი გახიზნულები მეგონეთ. ამ ასულის საგბოლისსა და კაცრიელის სახლს შორის სიარულმა ექვი აღმიძრა.

— ათვალთვალედი? — ჰკითხა თუთბერმა, — კეთილი, საგმიროს საქმიანობა ავირჩევია, მე და ჩემმა მზემ!

— მე სარწმუნოებით მაზღვანი ვარ და სამსახურებრივად კი სპარსეთის ჯარისკაცი, ქვეშევრდომი სპარსეთის მეფისა... რა კრილობა გაქვს ლოყაზე? რა, მახვილის ნაწვერალია? მაინც რას აკეთებ აქა?

— ეს კაცი ჩემი სასიძოა, აჩვენა კეკელამ ჯურხაზე.

— ჭორწილი გაქვთ? ეგ ნეფე, შენ დედოფალი? არც ჭორწილი არ შეიძლება, არც ნათლობა და ჯვარისწერა ყოველივე ქრისტიანულ წესისგებაზე მოკვდინება დადგენილი, გაიგეთა? — თქვა მან მკაცრად და კარი განვლო.

ყველანი თუთბერს მიაჩერდნენ.

— ეს კაცი ტფილისელი მოქალაქეა, ქართველი მაზღვანი?

— ეგ კაცი ჩემი ძმაა, ვვარამ!

ჯურხა ფეხზე წამოდგა.

— მიმეჩქარება! ხვალ მოვალ. — თქვა და წავიდა. იგი კეკელამ გააცილა. დიდხანს ჩუმად იჯდნენ.

— დალიე, ზეზეა!

დალიეს კიდევ თითო, მერე კიდევ თითო...

ზეზეა გარეთ გავიდა. მალე დაბრუნდა და მეგობარს მღელვარებით უთხრა:

— კეკელა კლდეზე გადავარდა.

— ჰე, სად, რომელ კლდეზე?

— აგერ, ამ თქვენ ფრიალოზე... ღვი-
ნომ ცუდად შემქმნა და გარეთ გავედი.
წინკარიდან უნდა გავსულიყავი, რომ
დავინახე კეკელა მორბოდა. წაბით თით-
ქოს ნაბიჯი აქეთ, სახლისაკენ წასცა,
მაგრამ მერე ისევ ფრიალოს მიამშურა.
სპარსული ლაპარაკი შემომესმა, ეზო-
დან შუკაში გადიოდნენ. შენი ძმა და მი-
სი თანამეინახე შუბოსანი.

— შიშველი სატევარი ეღო უბეში!

— თქვა თუთბერმა ორახროვნად,

— თუმცა ჯაჭვისპერანგოსნებს რას
დააკლებდა.

ყრმა გარეთ გასვლას აპირებდა. ზეზ-
ვამ არ გაუშვა.

— ჩვენ მას მიინც ვერრას ვუშველით,
მტკვარში შთაინთქმებოდა. ჩვენ არ
დაგვბრალდეს რამ?!
— შენ აქ იყავი, მე გავალ... მდევრე-
ბი ჩემი ძმა და მისი ამხანაგი იქნებოდ-
ნენ.

— შენი ძმა ტუქსავდა მეორე ჯარის-
კაცს.

ფრიალოსპირას მეზობლები მიჭუჩე-
ბულოყენენ. ზოგი რას ლაპარაკობდა და
ზოგი რას. ერთს დაენახა, შუკაში ასულს
სპარსი ჯარისკაცები, რომ მოსდევდნენ,
მეორე მეზობელს თვალი მოეკრა კლდე-
ზე გადავარდნისას. კეკელას დედა მო-
ვიდა ფრიალოსპირას, მეზობლებმა და-
აჯავეს.

— გამიშვით ჩავალ და ცოცხალს
ამოვიყვან. — იგი ციცაბოსკენ მიიწე-
და, მეზობლები აჯავებდნენ.

— დადექ. დიაცო, როგორ ჩახვალ
მაგ პიტალოზე:

— უი, უი ცხედარი ვეღარ დაიტეროს
ჭირისუფალმა?! — ზრუნვით ამბობდა
შავი დედაკაცი.

— ვისი ბრაღია, თავათ მიიპატიე
სპარსელები სასმელად. — ქირდავდა ვი-
დაც დიაცო.

— კაცებო, ქალებო!.. გამიშვით, ჩა-
ვალ და ამოვიყვან. არაფერს ვიგნებ.
ფრთხილად, ნელ-ნელა ჩავალ.

— მარტო არ დატოვოთ, არაფერი იე-

ნოს. წაიყვანეთ სახლში. — უთხრა მე-
ზობლებს თუთბერმა.

არქონესული.
ნიკოლოზი

* * *

ჯურბა გაჩიანელი, ძველი სამონადირო
ქალაქის მკვიდრი იყო. ქართლის გაჭრის-
ტიანებამდე ამ ქალაქში მდგარა ნადი-
რთა ღვთაება ბოჩის დიდი კერპი რო-
მელსაც მონადირენი სწირავდნენ
მსხვერპლს.

უამთამღწერელი ფარნავაზ მეფეზე
სწერს, რომ იგი გზაფხულისა და
სთვლის თვეებს ატარებდა მცხეთას, სა-
მეფო ქალაქს. ზაფხულის თვეებს წუნ-
დას, ხოლო ზამთრისას, ...და თუენი
ზამთრისანი დაყუნის გაჩიანთა“.

ვახტანგ გორგასალსაც ჰქონდა გაჩი-
ანში საზამთრო სასახლე. ქალაქში მრ-
ავლად იღვა საზოგადო თუ კერძო მფლო-
ბელთა ნაგებობები: ფუნდუკები, სახლი
სანადირონი, საგანმზრახო, სამორინო და
სხვა. ქალაქში ცხოვრობდნენ სამონადი-
რო ხელოვნების მცოდნენი, კერძო თუ
ღიღებულთა მონადირენი, ზაზიერნი.

ჯურბამ იაზრა, რომ შესაძლო იქნე-
ბოდა დაჭრილი ლაზო ჯავახი თავს ამ
ქალაქში აფარებდა. ყრმა მოულოდნე-
ლად დედის ძმის წულმა ძაგანმა დააყე-
ნა მოლაღატე საჭურველმტვირთველის
კვალზე. ძაგანმა მას დაანახვა ნათლიმა-
მასთან გასაკურნებლად დამდგარი ლა-
ზო ჯავახი. ნათლიმამას ასულს შეუჩი-
ვლია, რომ მათთან სახლში იმყოფება ვინ-
მე დაჭრილი, ბოროტი კაცი. ანჯანაკებას
აყოლილი სვამს ღვინოს, მამამისს ეჩხუ-
ბება, ლანძღავს და ავიწყებს. ასული
დღითიდღე ეძლეოდა სასოწარკვეთას.
ძაგანმა ძალისძალიად წააყვანია თა-
ვი, რომ უხიაგი სტუმარი ენახა. სარკ-
მელში შეახედა. სტუმარი საქარცხულზე
წამომჭდარიყო, წინ ტაბლა ედგა. ნათ-
ლიმამა კედელთან აყუდებუდიყო. ძა-
განმა იცნო უხიაგი სტუმარი. ყრმამ
ასულს უთხრა, რომ ეს ბოროტი კაცი
იყო ვახტანგ მეფის მკვლეელი ლაზო
ჯავახი. ყრმას ახსოვდა მეფის მეებჯრე
ნათლობაზე რომ ნახა, რადგან ნატრობ-
და თვითონაც მეფის საჭურველმტვირ-

თველ გამხდარიყო. რა მექნა, არ ვიცოდით, ვუბნებოდა ძაგანი. სანამდე შენ გნახავდი, ვისთვის მეთქვა, ასე ყოყმანში ვიყავი. ჭურხამ დაარბა ძაგანს საიდუმლო შეენახა, ეთვალთვალა მისთვის, თუ ნათლიმამის სახლიდან წავიდოდა, ვაპყროდა, კვალი არ დაეკარგა. ვინმე ერთგულ კაცსაც განდობოდა, თუკი მარტოდ ვერ შეძლებდა ლტოლვილზე მეთვალყურეობას. ეს ამბავი ჩამოიტანა ჭურხამ გაჩიანიდან, რითაც თუთბერს აღტაცება მოჰგვარა. სამივე ყრმა აღგვზნო შურისგების გრძნობით, გულითა და გონებით ესწრაფოდნენ ლაზო ჭავახთან პირისპირ შეყრის ქმს.

• • •

ყრმებმა განიზრახეს გაჩიანში სასწრაფოდ წასულიყვნენ. ევლოთ ტყე-ტყე და მინდორ-მინდორ. საჭურველის წაღება აუცილებელი იქნებოდა. თუკი ისინი აირჩევდნენ საქარაენო გზას ქალაქზე და დაბებზე გავლით, მაშინ უგუნურობა იქნებოდა საჭურველის თან წაღება, რადგან სპარს დამპყრობთა ბრძანებით, ყველას, ვისაც კი საჭურველი აღმოაჩნდებოდა, ადგილზევე სიკვდილით სჯიდნენ.

ნება-ნებად იარეს და ღამით მიადგნენ ყათე ქიასძის, ჭურხას დედის ძმის სახლს.

მასპინძელი, ბრვე უღვაშებდაფანჩული კაცი, წამიერი ხილვით მისდამი ნდობითა და პატივისცემით განაწყობდა.

მასპინძელმა სერობაზე დასვა სტუმრები: მოუტანა ხეკარდული ღვინო, ნადირის შაშვი და მხალეულობა. ძაგანი ემსახურებოდა მათ. ორი სამი ჭიქა ღვინის დალევის შემდეგ ყათემ თქვა:

— სპარსელები ტოყებენ სოფელს ქართლისას.

— ასე ჩანს, — უპასუხა ჭურხამ.

— იმ დღეს ქართველ მაზდეანთა რაზმი რუსთავის გზაზე მეკობრე კალმახს გადაპყრია და მოუკლავთ, — თქვა ყათემ.

— მაგ მეკობრეს მე ვიცნობდი. არ

იყო ბოროტი კაცი. ამ თმშიც უომია სპარსთა წინააღმდეგ.

— ბიძა, შენს მეზობლად ამჟამად სტუმრადაა ლაზო ჭავახი.

ყათემ განცვიფრებით მიძხედა დისწულს, სტუმრებსაც თვალი მოავლო.

— მეფეთმეფე ვახტანგის სიკვდილზე გავიფიცენით შურისძიებად. აი, ახლა ჩვენგან იმ კაცამდე ათიოდე ნაბიჯია. ამაზე უკეთეს დროს ვერცკი ვიპოვნით, უთუოდ თან გაჰყვება სპარსელებს, თუ დავაყოვნებ ხელიდან წაგვივა.

— თუ სპარსელებს უნდა გაჰყვეს, მაშინ აქ რას უზის? აქამდის რათ არ წავიდა? — იკითხა გაკვირვებულმა ყათემ.

— არ ვიცი, რატომ არ ეძებს სპარსთა მფარველობას, — დაიწყო თუთბერი, — დაქრილია ამჟამად. იგი უთუოდ შეთქმულმა დიდებულებმა განწირეს მოსაცლავად, კვალის მოსასპობად. ახლა, როცა სპარსნი უკან იხევენ ისიც მათ გაჰყვება, რადგან მას ქართლში აღარ დაედგომება.

— ბიძა, ჩვენ მოვიტაცებთ მას და აქვე ტყეში წავახრობთ. უკეთესი იქნებოდა საქაროდ დაგვესაჯა, მაგრამ ახლა საამისო დრო არაა.

— აი, რას გეტყვით, ყმაწვილებო, — დაიკარწახა მკლავები ყათემ, — დავუძახოთ იმ ბოროტი კაცის მასპინძელს, ნათლიმამს, ვნახოთ, რას გვეტყვის. გაუფრთხილებლად რომ დავესხათ, იგიც თავს გამოიდებს, ვაიძულოთ, გააძეოს სახლიდან... და გზაზე დაგვხედეთ.

— ვაიძულოთ სახლიდან გაუშვას, — დაეთანხმა თუთბერი.

— რომ გავგეცეს სპარსელებთან? სახლ-კარს გადაგიბუგავენ, ბიძა! — გააფრთხილა დისწულმა:

— აბლო-მახლო, გაჩიანთან სპარსთა ლაშქარი არა დგას. — ჩაფიქრდა ყათე.

— იქნებ გზადმიმავალ ლაშქარს გადაეყაროს. — უთხრა ჭურხამ.

— ჰო, ხიფათში ხომ ვერ ჩავაგდებთ თქვენს სახლუელს, ყათე. ეგზომ უღირს

საქციელს არ ჩავიდნენ, — ითაკილა თუთბერმა.

— მაშ რა ვიღონოთ?

— თუ სპარსის ლაშქარი სტოვებს ქართლს, მაშინ ეგ ბოროტი კაცი დიდხანს აღარ დააყოვნებს აქ. — ამბობდა ფიქრში წასული ყათე.

— იქნებ ამაღამაც გაუდგეს გზას. — თქვა თუთბერმა.

• • •

ქერხონში ორნი იყვნენ, ლაზო ჯავახი და ნათლიმამა, ლაზო საკარცხულზე იჯდა, ნათლიმამას კი სავარძელი მიედგა ტაბლასთან. ღვინოსა სევამდნენ. თმაწითურმა მასპინძელმა თქვა:

— ნათლი, რაღაც უნდა ვიღონოთ, სპარსთა ჯარი სტოვებს ქვეყანას; დროა შენს თავს მიჰხედო.

ლაზომ წარბები შეკყარა, ღვინო შეხვრიბა ტუჩები და ნიკაბი სახელოთი მოიწმინდა, ნათლიმამას ასე უთხრა:

— წასვლას არსადაც არ ვფიქრობ. კისერი უტეხია ყველას, სპარსთაც და იმათაც, მკვლელებს რომ მიგზავნიან. მაგათი შეგონებითა და წაქეზებით არ ჩავიდინე დალატი? რისთვის დავღვარე სისხლი ესოდენ ძვირფასი? ყველა ისინი მძულან ქირზე მეტად, ვერაგნი და ბოროტნი!

— ლაზო, ნუ გამწირავ... რომ შეიტყონ შენი აქ ყოფნა, იცოდე, შურს იძიებენ, საშვილიშვილოდ აღმომფხვრიან.

— სად წავიდე? ვერსად ვერ ვნახავ თავშესაფარს. თუნდაც ეპოვო თავშესაფარი, გულში ცოდვა როგორღა დავშალო... ჩემთვის აწ სულერთია, თუნდაც ამჟამსვე გამოემცხადონ შურისმგებელნი, იქნებ ხელიც კი ვერ გავანძრიო თავის გადასარჩენად, მხოლოდ დიდებულთა მოგზავნილ კაცებს თავს არ მოვაკვლევინებ.

ნათლიმამამ ღვინით აუცსო თასი, თვითონაც ხარბად დაეწაფა ღვინოს და ლაზოც წააქეზა:

— შესევი, იქნებ ვარამი მოიკლა!

ლაზო წაებოტინა თასს, ქცევა-ქცევით მიიტანა პირთან.

— ლაზო, ჯორები შეკახმული მოყენია... გაუფლგეთ გზას.

— ჰა? — ჰკითხა გაკვირებული ლაზომ, თითქოს ახლად გაიგონაო ნათლიმამას ხვეწნა, — წავიდეთ წავიდეთ! — შენც კარგი ხეითო ხარი არ დაგავიწყდეს, ის, ბოროტებით მოხვეჭილი ვერცხლი შენთვისაც მომიცია.

— ლაზო, რად ამბობ მაგას?

— რატომ არ უნდა ვთქვა? ასე არ არი?

— საგზალიც მზადა მაქვს.

— მოიტა აბჯარი.

— იქნებ აჯობოს უსაქურგლოდ ვიმგზავროთ... სპარსთა თუ გადავეყარეთ საქურვლის ტარებისათვის დაგვსოცავენ.

— არა, არც სპარსთა და არც სხვათა შესაპუარი და სათაყვანო აღარა მაქვს რა!

გარეთ გავიდნენ. ნათლიმამამ ჯორებს აკვიდა ბარგი. ლაზომ ეზოში გადაიკვა აბჯარი. გზაზე გავიდნენ. რიქრაქი იდგა.

ძაგანმა გააღვიძა ჯურხა.

— არიქა, ჩქარა! წავიდნენ!

— საით, საით წავიდნენ?

— რუსთავს, ასე გავიგონე.

ჯურხა ზეზე წამოხტა.

— თუთბერ, ზეზეა, აღექით, აღექით ჩქარა! ვინძლო არ დაგვისტლტეს ხელიდან ძაღლიშვილი!

ყრმებს ჩაეძულეებს ეძინათ. წამში ყველანი გარეთ გავიდნენ.

— ბიძა, შენ არ წამოხვალ. ძაგანი წაგყვება და ცხენებს უკან გამოვატანთ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! — დალოცა ყათემ ყმაწვილები.

შეთქმულები ქალაქზე გავლით წავიდნენ, ლტოლივით კი გარე-გარე ევლოთ. ჩორთით გაჰყვნენ გზას. ცხენებზე ორ-ორნი იჯდნენ. წინ ბიძაშვილ-მამიდაშვილი მიდიოდნენ, უკან თუთბერი და ზეზეა მიჰყვებოდნენ. ხრამამდე ცხენებით მივიდნენ, ქვევით გადაიხედეს. გზაზე კაცის ჰკვანება არ იყო. სჩანდა, ლტოლივლები ჩამორჩნენ. ცხენები ყმა-

წილს დაუტოვეს, ჭურხამ მას სასწრაფოდ შინ წასვლა უბრძანა. თვითონ ხრამი საცალფევო ბილიკით აათავეს და ტყისპირას დაელოდნენ.

მზე ამოვიდა. სხივები ბორცვებს ჩამოეღვარა. გზაზე ჭოროსნები გამოჩნდნენ, დაბლა-დაბლა მოიწევედნენ.

— მე და ზეზვა ლაზოს მოვუვლით, შენ კი ჭურხა, ნათლიმამა გააჩერე, ხელი არ გამოიღოს, — უთხრა თუთბერმა.

— წილი უნდა გვეყარა, — უთხრა ცხვირაბზუვებით ჭურხამ.

— ნათლიმამა შენ გიცნობს და დაგიჭერებს, ჩვენ ხომ მისი მოკვლა არ გვინდა.

— რას დამიჭერებს?

— ხელი რომ არ გამოიღოს. იცოდეთ, ჩვენ, ლაზოს ჯალათებად უნდა მოვევლინოთ და არა მეფეთმეფის ღირსების დამცველებად. ჩვენ მას ვსჯით სიკვდილით. ასპარეზობას კი არ ვუმართავთ. მას ჭერ განაჩენს მოვასხენებთ და მერე...

ჯორები მოჩაქჩაქებდნენ. ერთიც მოუხვიეს და სწორ გზაზე გამოვიდნენ. წინ ლაზო ჯავახი მიდიოდა. იგი რაღაცას ლაპარაკობდა თუ ღიღინებდა.

— ამას შეხედეთ! — თქვა ზეზვამ ნირწამხდარმა.

— ვხედავთ, ვხედავთ! — უბასუხეს ორივემ.

ბორცვებს თავზე ურმები გადმოადგნენ.

— გინდა სპარსთა მთელი ლაშქარი გამოჩნდეს, მაინც არ გაუშვებთ ცოცხალს! — დაიძანა თუთბერმა.

ჭოროსნები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ. ყრმები ცქმუტავდნენ. წამიდან წამით, სულ მეტად უძნელდებოდათ ლოდინი.

— ჰვა მავას! — დაიძანა ჭურხამ და გზაზე უმაღლ ვადახტა. იგი ეცა ნათლინამას ჭორს სადავეში და განზე გასწია, თან უყვიროდა ფერწასულ ნათლიმამას არ მიხმარებოდა ლაზოს.

— შენ შენთვის დადექ! რა საქმე გაქვს მაგ ბოროტთან!

წინწასული ლაზო დაქვეითებულიყო,

ხმლით იგერიებდა მომხდურებს. თუთბერმა მას ხმაღმალ ამცნო განაჩენი.

— შენ, ვერაგო და ბოროტო! — გესწით მეფის მოკვდინებისათვის!

— დააგდე მახვილი, ბრძივო! — უყიოდა ჭურხა ნათლიმამას.

— ჩქარა, მოვრჩეთ და აქაურობას გავეცალოთ! — იძახდა თუთბერი, ორივენი გამძაფრებით უტევდნენ.

— ვერ ეღირსებით, ძაღლებო! — იძახდა ლაზო.

— ჰვა მავას, ნათლი! — ხმას აწვდენდა ნათლიმამა, ჭურხას შემართულ შუბს-ვერ გაქცეოდა და ველარც სატევარი დაეძრო.

— ენა ჩაივდე! — დაღრიალებდა ჭურხა.

ლაზომ მოიგერია პირველი იერიში და უკან გახტა.

— ჩვენ ის მხმილაეები ვართ, ჯმუხარომ შემოგვაჩეჩე და თავათ გაქცევით უშველე თავს. მხდალო მოლაღატე!

— ვერცხლს მოგცემთ და თავი დამანებეთ.

— ვინ კადნიერი აიღებს მეფის სისხლის საურავს, — დაუტატანა თუთბერმა და მედგრად შეუტია.

— მეკობრეები, მეკობრეები! — იძახდა ნათლიმამა.

ფერდობზე შეუტრამე შუბოსნები მობოდნენ. ნათლიმამა ღრიანცელით მოუხმობდა მათ, თან ხელით იგერიებდა ჭურხას შუბს, ჯოხივით რომ სცემდა თავპირში.

ლაზოს ტყავეცი ეცვა, ალაგ თითბრის ფირფიტებასხმული, თავზე ვიჯრის ტყავის ჩაჩი ეხურა, სამკლაური მარცხენა ხელზე ეკეთა. თუთბერმა იგი მარჯვენა მხარში დაკოდა. მეტე ზედიზედ ეკვეთენ ყრმები. იგი ხიბლით შეკრულსა ჰგავდა, თითქოს ხელეზე ხუნდები ედო. ხმლის მოქნევა ეძნელებოდა.

მეტრამე შუბოსნები ყიყინით ახლოვდებოდნენ.

მეტრამე შუბოსნები ყიყინით ახლოვდებოდნენ.

მეტრამე შუბოსნები ყიყინით ახლოვდებოდნენ.

მეტრამე შუბოსნები ყიყინით ახლოვდებოდნენ.

მეტრამე შუბოსნები ყიყინით ახლოვდებოდნენ.

• • •

გაბაწრული ტყვეები წინ დაუყენეს აზნაურ ქართამ საეარსამისძეს. აზნაური უნაგირიდან გადაიხარა და მათ დაამტერდა პირისახეზე. ჯერ ერთს, მეგრე მეორეს უტყვერდა გაოცებულნი. აზნაურის ზურგსუკან მსახურები დასადავებელი ცხენებით იდგნენ.

— აზნაურო, ჩვენ კუხელნი ვართ, ყმანი ასფარუგისა. აზნაურის ბრძანებით ურმებით საკვები მიგვაქვს რუსთავს სპარსთა ლაშქრისათვის. ეს მეკობრეები ძარცავდნენ პატიოსან მგზავრებს. არ შეგვეპუენ, მოჰკლეს ვინმე დიდკაცი და მისი მსახური, ჩვენც მოგვიკლეს ორი კაცი და დამკოდეს მეცა. ჩვენც მოვკალით ერთი მათგანი.

— ერთი ურემი გაანთავისუფლეთ, ცხედრები დაასვენეთ და რუსთავს წაიყვანეთ, — ბრძანა აზნაურმა.

— აზნაურო, მკვდრები გაჩიანისკარულნი არიან, მოკლული მეკობრეც.

— თქვენ წადით თქვენი გზით, ამათ ჩემი კაცები მიჰხედავენ, — აზნაურმა ცხენი გაატარა დახოცილთა შორის, — რას ერჩოდით ამ პატიოსან მგზავრებს? ყრმები სდუმდნენ.

უფროსი მეურმე კვლავ მიეახლა აზნაურს და ქისა გადასცა.

— მკვდრები გავჩხრიკეთ და იმ კეცტყავიან დიდებულს აღმოაჩნდა.

— ათენჯი, გაფრინდი გაჩიანს და ურენი გამოგზავნე მკვდრების წასაღებად, ჩქარა, აბა, პა!

ამლაც ცხენზე მკდარი მსახური წამსულ მალ მოწყდა ადგილიდან და ქენებით აწყვა ბორცვებშუა მიმავალ გზას.

აზნაური ყრმებს კვლავ ეკითხებოდა: — რაზე დახოცეთ მგზავრები?

— ჩვენ არ დავგიხოცავს, ერმა ქართლისამ მიახლო საზღაური, „სისხლი სისხლის წილ!“ — უპასუხა თუთბერმა.

აზნაურმა ქართამმა გაოცებით დახედა ყრმას.

— ერმა ქართლისამ შური იძია მეფის მკვლელზე... ლაზო ჯავახი? — იგი მისი ჩამოხტა ცხენიდან და კეცტყავიან

გვამთან დაიხარა. ცხედარი პირქვე ოწვა გზისპირას. — გადმოაბრუნეთ პირადმა, — უთხრა მან მსახურებს. და ატყავებით ტაში შემოჰკრა, როცა მართლაც და ლაზო ჯავახი შეიქცო, სწრაფად მოველო ცხენს, ყრმებს გადმოსძახა — ვაშა, ვაშა! ყრმებო! მარქვეით თქვენი სახელები.

— ჯურხა გაჩიანელი მოგვიკლეს. ეს ზეზვაა, არაგველი, მე კი ტბილისელი მოქალაქე თუთბერ კაცრიელისძე.

აზნაური ქართამ ერთი იმათგანი იყო, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ლაზო ჯავახის მოკვლა. მას, სომხითის პიტიახშის ქვეშევრდომს, ძალითა თუ ნებით უნდა აღესრულებინა პატრონის სურვილი. აზნაურმა ქართამმა იცოდა, რომ პიტიახშს მოღალატე საკუთრულმტვირთველის მოკვდინება განუზრახა შეთქმულებაში მონაწილეობის კვალის დასამალავად. ადრე, კი ამ ყრმებმა დაასწრეს, ოცნებადქცეული სანატრელი საქმე ჩაუშალეს. მიუხედავად იმისა, რომ ლაზო ჯავახის მოკვლით აზნაურ ქართამს ბოროტ შეთქმულთა საქმე უნდა გაეკეთებია აზნაური თავის წილ შურისგებით შეპყრობილი ესწრაფოდა ვერაგ მოღალატესთან შებმას.

— ვინ გიბრძანათ მისი მოკვდინება?

— არც არავინ!

— ვაშა, ყრმებო! — აზნაური ჩაფიქრდა და თავისთვის ჩაილაპარაკა ბოროტებითა და ღალატით მოხვეჭილ ვერცხლს შეუძლია ჰქნას სიკეთე და სიყვარული?, — ლაზო ჯავახის ვერცხლით საესე ქისა ხელისმტყვეანში ჩაბლუჯა. — მოურავო, აქ დარჩი ორი სამი კაცი, მკვდრები ურმით წამოასვენე გაჩიანს ამ ტყვეებთან ერთად. — ცხენს ქუსლი ჰკრა და მხლებლებითურთ წავიდა.

თუთბერმა დაჰხედა ჯურხას გვამს და გაიფიქრა: „იქნებ, ასე სჯობდეს, ბრძოლაში რომ მოკვდი, ვინ იცის, რას გვიმზადებენ გაჩიანელები“.

ტყვეები ურემს ბაწრით გამოაბეს. ზეზვა ძლივსძლივობით მიეთრეოდა და ფლეთილი სამოსიდან გულმკერდზე სისხლით დაკვერებული ჭრილობები მოუ-

ჩანდა, მიწისფერი ედო პირისახეზე. ერთი ორჯერ წაიქცა. ჯარისკაცები შუბის-ტარებით სცემდნენ (ეს მძევინვარე კაცნი გაჩიანელნი იყვნენ ურემს რომ მიჰყვებოდნენ, თუთბერი ეცა იმ ჭუტალას, ზეზვას თმებით რომ ათრევდა და წიხლი ჩაახილა. ჭუტალამ ბოქვენზე წაივლო ხელი და მიწაზე გაგორდა. ყრმა ფეხქვეშ დაიდგეს. იგი სპარსთა ცხენოსნების გამოჩენამ გადაარჩინა.

— ვინ არიან ესენი? — იკითხა მეთათურმა.

— მეკობრეები, — მოახსენეს თაყვანისცემით.

— ჩვენი მხედართმთავრის ბრძანებით კუხელ და საპიტიახშოელ მამველ მოლაშქრეთა გარდა, ქართლის ქვეყნის ყველა მცხოვრებს ეკრძალება საჭურველის ტარება. ვისაც კი საჭურველი აღმოაჩნდება, იქვე უნდა იქნეს მოკვდინებული. აქვე რატომ არ დახოცეთ?

— როგორც იქნება ნება თქვენი. აზნაურმა გვიბრძანა გაჩიანს წაგვესხა საეროდ დასასჯელად.

— წაიყვანეთ, წაიყვანეთ!

ზეზვა ცოცხალმკვდარი ურემზე დასევს. მალე გადავიდნენ შიშველ ბორცვებს. მათკენ იკლანად მომავალ ზნაზე ჯგრო-ჯგროდ მოჩანდნენ გაჩიანელები, სირბილით ქაქანით და ღრიანცელით, ვიშ-ვიშით, მოთქმითა და ქადილით მიეშურებოდნენ. მოწინავენი მიუახლოვდნენ ურემებს და აედევნენ მუქართა და ყიყინით. გზადაგზა მატულობდა მათი რიცხვი. ერთმანეთს მოუწოდებდნენ შურისსაძიებლად. მეურმე მოქალაქეებს ამცნობდა მკვდრების სახელებს.

— ერთი, ოქრუა! შეთვანთ გვარისა, მეორე კი ჩემი მოყვარე ხადილა. არცა ჩვენ დაერჩით ვალში, არცა ჩვენ დავებდით ჯაბანად მეკობრეებს საპიტიახშოელების შეწვევით. აგერ, ორი მეკობრე დავატყვევეთ, ერთი კი მოგვკალით. ის მკვდარი ჩვენდა სირცხვილად გაჩიანელია, ზეინელის ბიჭი ჯურხა.

— ვახშე, ბიჭო ილალო! მამაშენი მოუკლავთ მეკობრეებს. თუთბერმა გაჰხედა პატარა, უკეთუ-

რად აღნაგ ყრმას. მას პირისახე მუწუქებით ჰქონდა დაფარული. ტირილი ეწადა. მაგრამ ტირილის მაგივრად ღიმილი უკრთოდა.

— ანდე, მეკობრეები! — იძახდნენ მოქალაქეები და ტყვეებისაყენ თითს იშვერდნენ.

— რას ველოდებით? ჩავექოლოთ, ანდა გაბაწრულები მტკვარში გადავყაროთ.

— აგერ, მეორე, ურემზე სულსა დაფავს... ეგ კი რა ამაყად ვლის, ბოროტი კაცი! თითქოს ღვაწლმოსილი ომიდან ბრუნდებოდეს, თითქოს ემოსოს ერის მადლი და ღმერთის კურთხევა.

მოქალაქეები მიიწევდნენ ტყვეებისაკენ, უნდოდათ დაეთრიათ, პირისახეში აფურთხებდნენ და ქვებს ესროდნენ. ჯარისკაცები იგერიებდნენ გამძვინვარებულ კაცთ და „მეკობრეების“ ღირსეულ დასჯას აღუთქვამდნენ.

გაჩიანის კარიბჭესთან ფეხშიშველი და თმაგაწეწილი ღიაყინი მოსთქვამდნენ ზრუნით, ხმაშეწყობილი ზოგი ლოყებს იხოყავდა.

ტყვეები ჰერხონში დაამწყვდიეს. ზეზვა ჩაიკეცა, ასე უსიცოცხლოდ იჭდა თირის კედელს მიყრდნობილი. ჰეზონის გვერდით შეიგანზე ყურთასმენის წამლები ღრიანცელი იდგა. ზეზვა გაურბოდა გარეგან ხმებს, გრძნობდა აღსასრულს და თითქოს სახიზნავად გაუმტარი გარსით იმოსებოდა.

თუთბერი აწრიალებული აწყდებოდა ჰერხონის კედლებს, რომლის სიგრძესიგანე ფეხისგასაშლელად არ ჰყოფნიდა. მას ასულდგმულებდა მოქალაქეთა მუქარა, მათი რისხვა აცოცხლებდა და ახარებდა. ქადაგნი სათითაოდ ადიოდნენ წარმართი ღეთაება ბოჩის ნაკერპალ ტვიქზე, ზოგი ამშვიდებდა და აცხრობდა, ზოგი კიდევ ახელებდა ერის შურისგების უინს. „სისხლი სისხლის წილ!“ გაიძახოდნენ გააფთრებით და გაცოფებით მოქალაქენი.

ყრმას ეწადა წიხლით ჩამოეგდო ჰერხონის კარები, გადაენგრია თირის ქვით

ნაშენები კედელი, მხრის კერაზე რომ ყანყალობდა. ეწადა წამდგარიყო აბობოქრებული ერის წინაშე. ემცნო მათთვის თავიანთი უგუნურობა, ნებით თუ უნებურად მგფისმკვლელს რომ მოსარჩლებოდნენ, როგორც მათი მეურმეები, რომელნიც ქომაგად მოველინენ მოლატეს ერისას და ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს, „ბრიყვნო! მე არა ვარ მეგობრე, ვარ ჯალათი მგფისმკვლელისა! თქვენი კაცები გავაფრთხილეთ თუ ვის იცოდნენ, მაგრამ არ ისმინეს შეგონება ჩვენი.. ეიცო, მე ჩამოკიდებთ ამ საბრძობელაზე, ხითხურობები ასე ვაფაციცებით რომ მართავენ და აქ ჭერხონში მესმის კაქუნ-რაკუნი, მაგრამ იცოდეთ, გიჯობთ იცნათ ჭეშმარიტება!“

ყრმას აკრთობდა ზეზვას უძრობა, მაშინ პირს იბრუნებდა მეგობრისაგან და ისწრაფოდა შეიგნისაკენ სადაც ათასი გადარეული სიცოცხლე შურისძიებად ქცეულიყო და გაჰყოლა „სისხლი სისხლის წილ!“ თავაწყვეტილი ღრიალცილი აძლიერებდა მის შემართებას, აქეზებდა და ამრისხანებდა. თვითონაც მუქარად ქცეული სამოქმედოდ ისწრაფოდა, მაგრამ რა ექნა? მეგობრის გვაში მას თითქოს ზურგზე ევიდა, შეიგნიდან კი წამლეკვ წყალრღვნად მოედინებოდა სიცოცხლის გამძაფრებული ცხოველყოფელობა. წამიდან წამზე განიცდიდა ხილვალ ცხოვრების ბოლოს, დასასრულს და მიღმურსაც. უშიშრად თხზავდა თავისთავის არყოფნას. იგი მეგობარს დაადგა თავზე, ასე უცქირა, ჩაჩიოქა.

— მოდი აქ, ზეზვა! სად მიდიხარ? აქ იყავ, ბიჭო, ჩემს გვერდით. მარტოდ ნუ დამტოვებ, მეც ცოდო ვარ!

ზეზვამ თვალი გაახილა და კვლავ დაეხუჭა პირისაზე კვლავ გაუქვავდა. მან თითქოს წაიჩურჩულა.

— ვერ მხედავ? ჯერ მე შევიბამ ყულფს საბრძობელაზე.

ზეზვამ განცვიფრებით მოაგლო თვალი თირის ქვით ნაგები ჭერხონის შეუგლესავ კედლებს, დაბალ ჭერს. კარები ვერ ავსებდა ამყოლ წირთხლებს. ზევით

და ქვევით ხანებში მოსჩანდა გარეთ მდგარი ჯარისკაცების რუხიფერი ჩაჩი, ლეკვერთებით შეკრული ტალახიფერი ტყავის პაიჭები და სქელლანჩიანი ხამლები.

თუთბერს თვითონვე აღარ მოეწონა თავისი ნათქვამი, სისასტიკედ ჩათვალა მესვეურთან გაყრის ემს, სიცოცხლის დასასრულზე ავყია ლაბარაკი აღარ ეწადა, არამგამულად მოპყრობოდა მეგობრის სიკვდილს. თუთბერს უნდოდა ეზრუნა მეგობარზე, მოეწესრიგებია მისი ცხოვრების დასასრული უკეთესი სიკვდილით, არა ისე, რასაც უმზადებდა სამართალი და კუხელთა მსაჯულება. სურდა, მეგობარი ამ ჭერხონში მოკვდენოდა სახელოვან ბრძოლაში მიღებული ჭრილობებით, რომ შურისმაძიებელ მოქალაქეთ გატრუებოდათ იმედი დასჯის ხილვისა, მტარვალური ძალაუფლების აღსრულებისა. „რა კეთილი საქმისათვისაც უნდა სჯიდნენ დგაწლმოსილ კაცს, სულერთია, დასჯა მიინც სამართლის ნების გამოვლინებაა“, — ფიქრობდა თუთბერი. მას ეწადა ვაჟკაცური სიკვდილი, გამძვინვარებულ მოქალაქეთა სურვილის საწინააღმდეგო სიკვდილი, რომელიც თითქოს უკვდავებას უნდა დამსგავსებოდა. ზეზვა უძღური და უსუსური იყო იმეამად, ამიტომ მის სიკვდილზე თუთბერს უნდა ეზრუნა, რაც თითქოს საკუთარ თავზე ზრუნვაც იქნებოდა. ზეზვა თვითონაც ზომ უკეთესად მოიქცეოდა, მიხედავდა თავის თავს, ამდენი სისხლი რომ არ დაეღვირა და გრძნობიერება შერჩენოდა.

ყრმა ისე ფიქრობდა. მისი ცხოვრების განწირული დასასრული იქმნებოდა მისივე დაბადების დღიდან. ყოველდღიურად მზადდებოდა დღევანდელი ამბავი. ამისათვის უცხოვრიოა რომ ამ შეიგანზე, გაჩიანში ენახა დასასრული. ამ ადგილიდან უნდა განიქრეს სხვა ქვეყანაში თუ არარსებულში. დარჩება ამა სოფლად ერთხანს თქმულებად მისი მეგობრობა, თავისიანები ყოყმანით იგლოვებენ. მაგრამ მას სასოებად რჩება, რომ ქართამ აზნაურმა მიინც იცის საქმის ნამდვილი

გარემოება და მისგან ზოგიერთებიც შეიტყობენ. იგი ასე ფიქრობს, რომ აღიარებული დიდებით, ხარ-ზეიმით სიკვდილს სჯობია ასეთი გაძაღლებული მოკვდინება, რადგან ასე უფრო ადვილია. რა აუტანელი საშინელება იქნებოდა გაჩიანელების გლოვა. მას აგონდება ბერი. წინაპრის რჩეულ ზეარაკად სიკვდილი და თავზარი ეცემა. რა შეეძლო გაეკეთებია მას წინასწარ, რომ უფრო მეტად ეზრუნა თავის წილად ამ ქვეყანაზე, მის კუთვნილ საქაოზე, სიკვდილის შემდეგ დარჩენილზე. რა რიგ შეეძლო წინასწარ უკეთესად გაეწყო თავისი სიკვდილის ამბავი?... ერთი გააკეთა: უკანონოდ ჩასახულ ნაყოფს, რომელიც მცირე ხანში იშობა, არსებობა დაუწყესა და დაუკანონა. იზრუნა ჭერ უჩინარი პირშოს ამქვეყნიურ სამკვიდრებელზე. არ მიაგდო ზნეობრივად—უკუღმართ ნაშობ ბუშად.

შეხასთან ჯვრისწერით კანონიერი უფლება მოაპოვებინა იწოდებოდეს თავის შთამომავლად. არ სწამდა ქრისტიანობა, მაგრამ განა ჰქონდა უფლება თავისი ურწმოუნობით მომავალი ადამიანის არსებობა შეებღალა?

ყრმამ თავიდან ფეხებამდე აათვალიერა—ჩათვალიერა თავისი თავი, ჩაცმულობა, თუ როგორი იქნებოდა დასჯისას შეიგანზე და შეამჩნია, რომ საბეჭურის სახელო გახეოდა. სიხარულით გაიხსენა, ჩაჩში ნემსი და ძაფი ჰქონდა. კერვა დაიწყო, არ მოეწონა, კვლავ გაარღვია და გვირისტი გაავლო.

კარები გაიღო და ქალაქის თავაკეები გამოჩნდნენ. ციხისთავი მიაშტერდა ტყვეს და ჰკითხა:

— მითხარ: დღეობაზე ხომ არ მიდიხარ, ასე რომ ირთვები?

— დღესასწაულზე მივდივარ: ჰქმენ სიკეთე, შენ კაცებს უბრძანე, პირის დასაბანად წყალი მომიტანონ.

ციხისთავმა უბრძანა ჯარისკაცს.

— მაშ, შენ სადღესასწაულოდ ირთვები? — კვლავ ჰკითხა ციხისთავმა.

— ასე ყოფილა ადრე, — დაიწყო თუთბერმა, — როს კერპებს სწირავდნენ

კაცთ ზეარაკად, რთავდნენ და ამშვეწებდნენ, უღებავდნენ თმას, მღღღებებს ჭაჭვით დაბმულნი ჰყავდათ ერთ წელზე დას, ანაყრებდნენ, ზორვისას, საფერხსოზე უკანასკნელად სანუჯვარ სურვილს აღუსრულებდნენ, იქიდან თუა დარჩენილი ეს ჩვეულება ბოროტმოქმედს დასჯის წინ რომ უსრულებენ ზოგჯერ საწადელს კეთილ მტარვალნი. ჰქმენ სიკეთე, მითხარ, რას მირჩევდი, რა საწადელის შესრულება მოგთხოვოთ შენ, მამასახლისო, და შენ, ციხისთავო?

— აბა, მე რა ვიცი? — თქვა ციხისთავმა მიაშიტად.

— შენთვის რას ინატრებდი?

ციხისთავი საგონებელს მიეცა.

— აბა, მე რა ვიცი? — გაიმეორა მან, შემდეგ მოულოდნელად ჰკითხა, — შენ ქრისტიანი ხარ?

— მონათლული.

— ასევეითარად, ქრისტიანი ყოფილხარ.

— არა, არა ვარ ქრისტიანი!

— გეცნა ქეშმარიტი ღმერთი! — უთხრა მას მამასახლისმა იღუმალი ხმით.

ჯარისკაცმა ჰერხონში სარწყული შედგა.

ყრმა ხელ-პირის დაბანას შეუდგა, როცა მორჩა საბეჭურით შეიშრალა.

— მამასახლისო, მე ვინატრებდი მომცენ მახელი, რათა ჩემს უწინარეს საიქიოს ციხისთავი გაემძღვანო.

— მაგას ვერ ეღირსები, ძაღლო! — დაიღრიალა ციხისთავმა, — აგერ, შენი ამხანაგი სულსა დაფავს, — თქვა ხითხითით, — ვერ გავგეპარება. მოვასწრებთ დასჯას.

— ჩვენ მეკობრენი არა ვართ. მეფეთმეფეს მკვლელი ლაზო ჯავახი მოვკალით. მეურმეები წაეშველნენ ძაბილზე, შეეწირენ კაცს მეფისმკვლელსა და ულმობელს.

— ცილსა სწამებთ საჭურველმტვირთველს. იგი თითქოს მეფის მკვლელი იყოს ცრული ჰორია, — თქვა ციხისთავმა.

— მე მართალს ვამბობ — დაიძახა თუთბერმა.

— არ ვიცი, თქვენ ვინ მოჰკალით. მართო საჭურველის ტარებისათვის გვეუთვნით მოკვდინება. თუ შენმა მესვეურებმა გილალატა და მართო დაგაგდო დასასჯელად, ნუ ინაღვლებ, ერთი მეკობრეც გვყავს შეპყრობილი, იმას მიგიყენებთ გვერდის დასამშვენებლად. — თქვა რიზით ციხისთავმა.

— განა, ქრისტესთან ერთად, ჯვარს მეკობრეებიც არ აცვეს?

— მოირთვე უკვე? აბა, წაიღეთ დღესასწაულზე. გამოდით! — დაიძახა ციხისთავმა და ჰერზონის კარი ფართოდ გამოაღო.

თუთბერი გარეთ გავიდა. ზეზვას ორი შუბოსანი შეუდგა მხარში. მოქალაქეებმა ღრიანცელი ატეხეს მათ დანახვაზე. წყევლიდნენ და აგინებდნენ ტყვეებს, აფურთხებდნენ პირისახეში. ჯარისკაცები ხელკეტებითა და შუბებით მიიკვლევდნენ სიალს, ქაქანებდნენ.

თუთბერს მოეჩვენა, რომ ყოველივე ეს რაც ამ შეიგანზე ხდებოდა, სახიობა იყო, ბავშვები რომ წარმოადგენდნენ წინაპარი მოქანდაცე ბერის ტყვეებისა და მოკვდინების ამბავს გეტსიმანიის საყდრის ეზოში. იგი თითქოს მიჰყავთ ჰერზონებს შორის ხანებში პატარა შუბოსნებს, მიჰყავთ საყდრისაკენ. ჯგერენ ხის მახვილებით და უჩიჩინებენ „იწამე ღმერთი ქრისტე, ჰეშმარიტი მაცხოვარი! წყევლო წარმართო, იწამე ღმერთი, რომელიც მოგანიჭებს ნათელს!“ თუთბერი სდუმს, ღირსად არ თვლის შემპყრობლებს ხმა გასცეს. აღიან საყდრის ხარისხელზე, მაღალ ტვიჭზე. მას ათრევენ. საყდრის კარი ღიაა, იქ სანთლები კიაფობენ. „იწამე ღმერთი ჰეშმარიტი!“ უჩიჩინებენ და აძგერებენ შვეტ მახვილს. უეცრად დამფრთხალი ბავშვები გარბიან ხარისხედიდან. კარებში მღვდელი დგას, შეშფოთებული უქქერის კიბეებზე გართხმულ ბავშვს. ბავშვი აღტყინებული ეუბნება მას: „არა, არასოდეს არ ვიწამებ თქვენ ქრისტეს, ჩემი ღვთაება არის არმაზი და ზადენი!“. ბავშვი ნელინგლ დგება კიბეებიდან და სამოსს

იბერტყავს. სირბილით მიჰყვება თანატოლებს. ესმის მღვდლის აღშფოთებული ძახილი: „ცთომილს — ძეგვ უღაუბრუნდი მაცხოვარ ღმერთს!“

შეიგანზე ხითხუროები ფიცრებით კილობანს ჰკრავენ. საბრძოლელა უკვე დაუდგამთ. წარმართი ღვთაება ზოჩის, კერპის კვარცხლბეკის თავზე, სადაც თუთბერს აიყვანენ ჩამოსახრობად.

— კაცველატი, კაცველატი! — იძახიან მოქალაქეები და თითოთ ერთმანეთს არევენებენ კილობანზე.

— მოინანიე ცოდვანი შენნი აღსარებით, — ეუბნება თუთბერს მღვდელი და მის ბაგეებთან უნაწილო ვერცხლის ჯვარი მიაქვს.

თუთბერი უარყოფით თავს აქნევს. მღვდელს კიდევ უფრო ახლოს მიაქვს ჯვარი. თუთბერი ხელით იშორებს. ცოცხალი რომ რჩებოდეს, ნებით თუ უნებლიეთ მოინანებდა ცოდვებს, ძალისძალით იწამებდა ქრისტიანობას, ახლა კი აღარ ღირდა ჯვარის ტვირთად აკიდება ორიოდ ნაბიჯზე, საბრძოლელამდე. მას ეწადა ლაღად წასულიყო ამ ქვეყნიდან. ყრმა ფიქრობს: უთუოდ წასულან სპარსელები, რომ გაბედა ქრისტიანმა მღვდელმა საქვეყნოდ წესისგება.

— იცან ღმერთი, მოინანიე შეცოდვანი შენნი! — უჩიჩინებდა მღვდელი.

ზეზვა ცოცხალმკვდარი უპყრიათ ჯარისკაცებს, მღვდელი მისკენ მიფლასუნობს, ზეაუწევს თავს და ჯვარს ტუჩებზე შეახებს.

— ჯერ ეს მომაკვდავი, — ამბობს ციხისთავი და ზეზვაზე უთითებს.

— ეგ ჰაბუჯი რარკიგ შემართულად დგას. თითქოს არ ებუება სიკვდილს! — ამბობს ასისთავი.

— მაგისი ძმა ყოფილა ეს ჯარისკაცი. — ციხისთავი გვარამზე უთითებს. იგი გაქვავებული დგას განმარტოებით.

ზეზვა კაცველატისაკენ წაათრის ჯარისკაცებმა; შიგ ჩააწვინეს და ხითხურომ ყუთს ფიცრები დააქედა. კაცველატთან ორი ჯალათი მივიდა, აქეთ-იქიდან ცალმუხლზე დაიჩოქეს და ხერხვას შეუდგნენ: დაცხრა მოქალაქეთა ღრიან-

ცელი. ახლა ისინი ხმაგაკმენდილნი იდგნენ. ყურადღება კაცპელატისათვის მიეპყროთ. ელოდნენ, რომ მათი ხედვიდან მიფარებულ მსაჯურდებულს, რომელიც სულთმობრძავი ჩააწვინეს კაცპელატში, სიცოცხლის რაიმე ნიშანწყალი გაემქდავებია, რათა ამით დადასტურებულიყო სასჯელი, სამართლის ნების უმადლესი გამოვლენა — მოკვდინება. ელოდებოდნენ დასჯილის ხმას. ეშინოდათ, უჩუმრად არ გაპარულიყო. და, აი, უეცრად კაცპელატთან ამოხეტა შემზარავმა ყვირილმა. ძრწოლამ ელვასავით გაიბინა. ყველამ, წამით იგრძნო საშინელი უმწყობა. წამით მოქალაქეებს ყველაფერი შემოეძარცვათ. ყოველივე, რაც ცხოვრების მანძილზე მათში აღზრდილიყო, დაემხო და გაცამტვერდა, მოქალაქენიც იქცნენ იმ გვაებად, რომლისგანაც ის ძახილი ისმოდა.

ჯალათები შედრკნენ. კვლავ სწრაფად ამოძრავეს ხერხი. ოფლში გაღვრილნი ისწრაფოდნენ, რაც ძალი და ღონე შესწევდათ სასწრაფოდ გადაეხერხათ ყვირილი. კაცპელატიდან სისხლი გადმოიღვრა. გვაის ძახილი გაწყდა ისევე უეცრად, როგორც იხეტა, თითქოს ვერ მოასწრო თავისთავში ბუნებრივი დასრულება.

ადამიანები იდგნენ ერთ ადგილზე გამოფიტულნი და დაწრეტილნი ვნებებიდან. წამით არ იყო მათ შორის არც არავინ არავისი მტერი და არც მოყვარე. მათ არ გააჩნდათ აღარც პირადული და აღარც საერთო. მათ აღარ ჰქონდათ აღარც გრძნობა და აღარც გონება, აღარც საწმენოება, აღარც არაფერი აღარ ასხვავდებოდათ ერთმანეთისაგან. ყველანი იყვნენ ერთნაირად დამნაშავენი, ჯალათნიც და დასჯილნიც ერთდროულად. მათ აღარ შეეძლოთ აღარც მოქმედება და აღარც მოძრაობა.

თუთბერი ყველამ დაიფიწყა. მას აღარ შეთვალყურებდნენ, იგიც იყო ამ მოქალაქეთა ნაწილი, ერთი მათგანი. იგი აღარ იყო დამნაშავე, აღარც აღარავინ სდებდა ბრალს ბოროტმოქმედებაში. ყველამ დაიფიწყა ისევე, როგორც დაი-

ფიწყეს თავიანთი თავი, მათ აღარ ახსოვდათ თავისი ვინაობა. თუთბერს აღარა სძულდა ის შეიგანი და მოქალაქეები. იგი აღარ იყო ბოროტმოქმედი, რადგან მიჯნა დანაშაულსა და მსაჯულობის სამართალს შორის წარინოცა. აღარცერთი აღარ არსებოდა ცალ-ცალკე ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. სამართალმა ჰქნა დანაშაული და საშინელ სისასტიკედ შეიცვნეს ადამიანებმა. მათ იგრძნეს საშინელი შეურაცხყოფა თავიანთი თავისა და ურთიერთისადმი. თავჩაქინდრულნი წაიფიქვამოვიდნენ. მხოლოდ მსაჯულების აღმასრულებელნი და მცირედენ გულჭვა კაცნი მოქალაქეთაგან დარჩნენ შეიგანზე, მდუმარებას მიცემულნი.

— ყოველი დასჯა მინახავს, მაგრამ ეს კაცპელატი საშინელია, ყოველთა შორის, — თქვა მამასახლისმა და ხელები გაასავსავა.

— ბარემ მოვრჩით, — თქვა ციხისთავმა.

— იქნებ სჯობდეს, სისხლის საურავი და მკურნალობის საფასური გადაეხადოთ დაზიანებულთა სახლეულებს? — იკითხა ქართამ აზნაურმა.

— თუ არა აქვს ამის შეძლება? — თქვა ციხისთავმა.

— მონად გაიყიდოს თავი.

— როდის იყო, ერთი მონის საღირაო, სამი მკვდრისა და ორი დაქრილის სისხლის საფასურს უდრიდა?

— ერთისა ლაზო ჯავახს აღმოაჩნდა, ერთისას კი...

— ლაზო ჯავახს გინდა გადაახდევინო მისი მკვლელის სიკვდილიდან გამოსყიდვის სახსარი? — ჰკითხა ციხისთავმა.

სომხითელი აზნაური ყოყმანობდა. ციხისთავი მაზღვანი იყო და არ იცოდა, გამოტყდომოდა თუ არა იმაში, რომ ეს ყრმები მეკობრეები კი არა, მეფის სისხლის მამიებელი შურისმგებლები იყვნენ მათი სიკვდილიდან დახსნა (თუმცა ერთი უკვე დაისაჯა, მაგრამ რომ არ დაესაჯათ, მაინც ველარ იცოცხლებდა, რადგან სასიკვდილო ქრილობები ჰქონდა მიღებული) საქველმოქმედო საქმე იქნებოდა.

აზნაურმა არც ის იცოდა, რომ თუთბერ-
მა ციხისთავსა და მამასახლისთან უკვე
ალიარა ლაზო ჭავჭავის მკვლელობის ნამ-
დვილი ვითარება.

— მე უნდა მომეკლა ეგ ანგარებიანი
კაცი, მაგრამ ვერ მოვაკვლიე, ვიხდი ერ-
თი მკვდრის საფასურს, რადგან ეს საქ-
მე ჭაბუკებმა აღასრულეს და მისხნეს
ბილწი კაცის სისხლით ხელების და-
თხუნისაგან.

— მაგრამ მაგ ყრმამ, ის ბილწი კაცი
მოკლა შურისგებით და არა... — არ
დაასრულა სიტყვა ციხისთავმა და ქირ-
ქილით განაგრძო, — შენ გზიბლავს ამ
ჭაბუკის გმირობა?

— რასა ცილობთ? — ჰკითხა მათ
სპარსმა მობედმა.

— აზნაური მიჩიჩინებს, რომ ეგ ჭაბუ-
კიც კაცპელატში მოვაკვდინოთო, —
უბასუხა მამასახლისმა ციხისთავის მა-
ვივრად და მას ავი თვალთ შეხედა, გა-
აფრთხილა, სიმაართლე არ წამოეროშა.

— დამნაშავეს დასჯა ისე უნდა იყოს
მოწყობილი, რომ სანახაობას პატიოსან-
მა მართლმორწმუნემ ზურგი კი არ უნ-
და შეაქციოს, არამედ, ცქერით დატყბეს,
— თქვა მაზღედანთა სასულიერო წინამ-
ძღოლმა მობედმა.

აზნაური არცთუ მადლიერი დარჩა მა-
მასახლისის, მან მობედს დაუმალა მისი
სურვილი დაეხსნა დამნაშავე, ქართლის
მეფის სისხლის მამიებელი. იქნებ სჯობ-
და მართალი ეთქვათ: მობედისათვის, მა-
შინ ქართამ იძულებული შეიქნებოდა
მხვეილი დაეძრო, იმედი ჰქონდა თავისი
ერთგული ჯარისკაცებით თავს დაიცაე-
და, უვნებლად გავიდოდა გაჩიანიდან,
ყრმასაც წარიტაცებდა.

— მორჩით და გაათავეთ! — თქვა და
გაცილდა მათ მობედი.

აზნაურმა ლაზო ჭავჭავის ქისა გადას-
ცა ციხისთავს.

— ეს ვერცხლი დაღუპულთა სახლეუ-
ლებს ეკუთვნის, — თქვა ციხისთავმა,
რადგან მათმა კაცებმა გასწირეს თავი
ლაზო ჭავჭავის დასაცავად.

— მაგრამ ეს ვერცხლი ამ ყრმის საუ-
რაველად გამოდგებოდა, — უთხრა უკმე-

ხად აზნაურმა და თუთბერისაკენ გაიხე-
და. იგი ჯარისკაცების უკვერდით... იდგა
თავჩაღუნული ნადირთა... დღვათბის... ბო-
ჩის კერპის ფუძე ტვიქთან, მერე გვა-
რამს ჰკიდა თვალი. აზნაურმა წელან გა-
იგო, რომ ისინი ძმები იყვნენ, რომ უფ-
როსი ძმა მაზღედანი იყო. მას თვითონ
თავზარი დასცა, შეაერყოლა აზრმა,
რომელმაც წამით თავში გაუელვა.

— აქ კუხეთია. თქვენთან სომხეთში
ჰქმენით თქვენი სამართალი.

— ჩემმა ჯარისკაცებმა შეიბყრეს
მკვლელები!

— ჩვენი კაცები კი დაიხოცნენ.

— მოდი აქ! — დაუძახა აზნაურმა
გვარამს და ციხისთავს მიმართა, — ვინძ-
ლო დასჯა მაინც დამანებოთ კუხელებ-
მა?

— კეთილი, — უთხრა მამასახლისმა,
ის იყო მიუახლოვდა მათ.

— მოვრჩეთ და მოვისვენოთ, — თქვა
აზნაურმა.

გვარამ შეკრთა

— არც კაცპელატი და არც სახარჩო-
ბელა, განგმირე შუბით! — უბრძანა მას
მრისხანებით თავგზააბნეულმა აზნაურ-
მა.

წამით დუმილი ჩამოვარდა

— განგმირე-მეთქი!

გვარამ შუბომომარჯვებული გაემართა
ძმისაკენ ბრძანების აღსასრულებლად.

შეიგანზე მყოფნი დაიძახნენ. თვალს
არ აშორებდნენ. ქართულ მაზღედანთა
ასეულის ჯარისკაცს. ზოგმა იცოდა და
ზოგმა კი არა, რომ ისინი ძმები იყვნენ.

— ეჰ, ეგ რა ჰქენი, კაცო! — აღმოხ-
და მამასახლისს.

— ძმამ ძმის სისხლი უნდა დაღვა-
როს? — იკითხა განცვიფრებულმა
ასისთავმა და ბარძაყზე ხელი დაირტყა.

— იუღჩეთ, იუღჩეთ! — წამოიძახა
ციხისთავმა და ბიჯი წინ წარსდგა. გა-
ფაციცებით უცქერდა ხან ერთსა და ხან
მეორე ძმას.

ძმები დიდხანს იდგნენ ერთმანეთის
პირისპირ სუნთქვაშეკრულნი, უფროსი
მონუსხულად გაქვავებული, უმცროსი
კი შურიანი, ხარბი და ატაცებული.

აზნაური ქართამ ცხადად ხედავდა თავისი განკარგულების სისასტიკეს, უფრო მეტიც, იცოდა რომ უსასტიკეს ბოროტებას სჩადიოდა. აზნაური ასე ფიქრობდა: ეს შურისმაძიებელი ყრმა მაინც განწირული იყო, ვერა-რა ძალა ვერ იხსნიდა სასჯელიდან, რადგან ვერ იხსნა მისმა შეთავაზებულმა სისხლის საურავმა. აზნაურს ძალიან ენანებოდა ყრმა სასიკვდილოდ, მაგრამ არ ეწადა მის სიკვდილს უბრალოდ ჩაეგლო, რომ რაიმე სიკეთე და სარგებელი არ მოეტანა რომ ამ ყრმის ყოფნა ამ შეიგანზე ფუჭად დამთავრებულიყო. აზნაურს ეწადა ამ სიკვდილის კეთილი გავრცელება. ამიტომ აირჩია მახდენე ძმა ჯალათად. ამით თითქოს იგი შურს იძიებდა, არა დასასჯელის, არამედ დამსჯელი მახდენი ძმის მიმართ. მას ძავდა მახდენები და მის ბრძანებას, მისი ვარაუდით უნდა მოეტანა მცირე და პატარა, მაგრამ მაინც სარგებელი. ამიტომ შეიჭრა აზნაური ქართამ უსაშინლესი ზრახვებით ძმების სახლუფლში. მოკლავდა თუ არ მოკლავდა მახდენი ძმას ორივე კარგი იქნებოდა, მაგრამ მას მაინც ეწადა მისი საშინელი ბრძანება კეთილად აღსრულებულიყო. თუკი ჯარისკაცი მოაკვდინებდა თავის ძმას, მაშინ აღსრულდებოდა მახდენებზე აზნაურის შურისძიება, რადგან ჯალათს მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ეზიდა ძმისმკვლელის ცოდვა და მტანჯავი ქენჯნა. თუ ჯარისკაცი უარს იტყოდა აზნაურის ბრძანებაზე, მაშინ ეს უარი მახდენანობის უარყოფასაც მოასწავებდა. აზნაურის ბრძანების ასრულებით თუ აუსრულებლობით სპარსელები ქართლში თუნდაც სულ მცირეს, ერთ მახდენს დაკარგავდნენ.

გვარამ რაც უფრო აგვიანებდა მოქმედებას, მით უფრო ეძლეოდა იმედი აზნაურს, რომ უარს იტყოდა ძმის ჯალათურ მკვლელობაზე და თვით მასაც იხსნიდა ცოდვისაგან, უღმობელსა და სასტიკ მბრძანებელს. აზნაური ვეღარ უძლებდა თავის ნაბრძანების არაადამი-

ნურ სიმკაცრეს. „ჩქარა, ან იქვე უსაშინლეს ჯალათად და ამით მიხვლე სატანჯველი, ანდა, უარი მითხარ ჩემი ბრძანების აღსრულებაზე!“ — უჩუმრად შეაგონებდა გვარამს. მან თვითონ ვეღარ გაუძლო განსაცდელს და დაიძახა: — ჩქარა, მოკალ... მოკალი!

თუთბერს კისრის ძარღვები დაეძაბა ტკივილით და თავს აქეთ-ქით აქნევდა, თითქოს რალაცას უარყოფსო. ჭამისძვალაც ასტკივდებოდა და მას წამით გაქცევის სურვილი აიტანდა, მაგრამ ვერ გარბოდა, რადგან თითქოს საკუთარი ამბის დასასრულის ხილვით იყო მოხიბლული. უნდოდა ჩქარა დამთავრებულიყო ეს სახიობა ბავშვობიდანვე ასე მტანჯავად რომ გაზრდილიყო. ქართამ აზნაურის დაძახილი „ჩქარაო!“ მან კეთილ ზრახვად მიიღო. ყრმა მავდერებელი თვალებით მისჩერებოდა ძმას რომ ჩქარა ემოქმედა, მაგრამ იგი ისევ ისე მახდენი იყო და ძმასა მტრობდა. არ ასრულებდა აზნაურის ბრძანებას.

გამძვინვარებული ყრმა წამსუმალიცა გვარამს და შუბს მის ხელებზე წამოეგო. იგი პირქვე გადაეარდა, კრუნჩხვითა და ცახცახით მოფორთხავდა და თან გვამში გარკობილ შუბლს მიათრევდა.

გვარამმა თვალებზე ხელები აიფარა, მერე მყის დაიღრიალა:

— დაიცა, ბიჭოოო! — ჩიჩოქა: შუბისტარს სწედა და დაიქნია.

თუთბერი ხელებით ჩაექიდა შუბს და არ ანებებდა. გვარამი წალმაფეკლმა ირგვლივ დაფაცურობდა, ლამობდა შუბი წაერთმია, ყრმა არ უთმობდა, პირიდან სისხლს ანთხევდა და გმინავდა: ბოლოს გვარამმა მუცლიდან და ხელებიდან გამოგლიჯა შუბი და შორს მოისროლა. ხელებაპრობილმა ყივილით და ბარბაციით გადაიარა შეიგანი, გაჰყვა ვიწრო შუკას ქერბობესა და ძელყოფებს შორის.

შეიგანზე, წარმართი ღვთაების ბოჩის ტვიქთან ყრმის გვამი ნელინელ ცხრებოდა.

ბერი ჭონხელიძე

მოსუხები და კუნძული

ვეძენი უკლა
ბეზისა და ბაბუსა

ნოეს ჭერ ეგონა, ეს კაცი ზღვასთან ჩამუხლულა და ლოცულობსო. ახლოს რომ მივიდა, სარიდანი იცნო და ესიამოვნა, ამ დილაუთენია მარტო მე არ გამოვსულვარ სანაპიროზეო.

— გამარჯობათ, სარიდან ბატონო! — ნოემ ჩალის შლაპა მოიხადა.

სარიდანი პატარა გასაშლელ სკამზე ჩამომჯდარიყო და ისე ჩაეწყო ზღვაში ფეხები, თითქოს ეს ამოდენა წყალი ერთ ბეწო აბაზანაში იდგა.

— გამარჯობა, სარიდან ბატონო! — წინანდელზე ხმამალა უთხრა ნოემ და ჩალის შლაპა ისევ მოიხადა.

— გმრჯბ, — აღირსა სარიდანმა.

— საკმაოდ ჩამოცხა.

სარიდანმა თანხმობის ნიშნად ცხვირ-სახოცწაკრული თავი დააქნია.

— ასე თუ გასტანს, გაგვივირდება, — ნოემ ჭიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— მომაწევიანე თუთუნი, — არც შე-
მობრუნებულა, ისე მოითხოვა სარი-
დანმა. მერე სიგარეტის წარწერას და-
ხედა და ნოეს შეეკითხა — სად შოუ-
ლობ ამ ოხრობას?

— საუკეთესო თამბაქოა.

— უჰ, — ხელი მოიჩრდილა სარიდან-

მა და ახედა ნოეს, — ერთი შენ ხარ და მეორე ესაა.

— რატომ მაკადრებთ, ბატონო? — იწყინა ნოემ.

— გაკადრებ, თორემ შეაეხარ ბაგრა-
ტიონ-მუხრანსკი.

— ბაგრატიონი ვარ თუ რა ვარ, კაცი ვარ და მწყინს, — ხმა აუკანკალდა ნო-
ეს.

— კაცი, კაცი, — რამდენჯერმე თქვა სარიდანმა და უცებ გაიკვირვა, — კა-
ცი?.. ცეცხლი მომე, ცეცხლი.

ნოემ ასანთი მიაწოდა, მერე ზურგი შეაქცია და ნაბიჯი გადადგა.

— სად მიდიხარ, კაცო, შენ? ჩამოჯე-
ქი აგერ, — კენჭებზე მიუთითა სარი-
დანმა.

— არ მინდა, — თავი ვააქნია ნოემ,
— თქვენ ცუდი ლაპარაკი იციოთ.

— არ გინდა და მიდი, მიდი.

ზღვის პატარა ტალღები დაქალების, ლელვისა და ვნებისაკენ გაუბედავად მსწრაფავ ახლად მკერდშეღერილ გო-
გონას გავდა.

„ზღვა მაინც ზღვაა, ზღვა მაინც ზღვაა და მის უკეთესი არც არაფე-
რია“, გაიფიქრა ნოემ და მობერილ ნი-

ავს სახე მიუშვია. მერე სიამოვნები-
საგან გაელიმა და ორჯერ გაიმეორა, —
აგაშენა ღმერთმა, აგაშენა ღმერთმა.

ნოე ოც ნაბიჯს რომ ერთი მიმართუ-
ლებით ვადადგამდა, უკანაც იმდენსა-
ვეს მიითვლიდა. ასე დასეირნობდა წინ
და უკან, წინ და უკან.

რალაც უხაროდა ნოეს. სიხარულით
კი უხაროდა, მაგრამ რა, არ ახსოვდა.

„ისე წესით, კი უნდა ვიყო ყოვე-
ლთვის გახარებული“, თავი უკან ვა-
დავდო და ცას მიჩერებოდა მოჭუ-
ტული თვალებით.

„რატომ არ უნდა ვიყო ყოველთვის
გახარებული? ცუდი მაინც არ მიქნია
კაციშვილისთვის... კარგი და ცუდი,
კარგი და ცუდი. მაინც რამდენია ეს
კარგი და ცუდი?“

ფერად, გამჭვირვალე ბურთებად ესა-
ხებოდა „კარგი“ და „ცუდი“. ამ ბურ-
თებში უამრავი ხალხი იჯდა და ახლა
ნოე ვერ არჩევდა მათ სახეებს.

„ისე ქალი კი მყავს მოტაცებული“,
განაგრძობდა წინ და უკან სიარულს.

უცებ შედგა და ზღვას გახედა. თეთ-
რი თოლია გაყინულივით ეკიდა ცასა
და ზღვას შუა.

„რა გამეხარდა მაინც?.. ვაი დედა-
ჩემო, კაცს ასეთები რომ დაგავიწყდება
ესაა საქმე“. ნოეს ოცი ნაბიჯის გადათ-
ვლაც დაავიწყდა ისევ სარიდანს მიაღ-
და.

„ამან თუ იცის, მე ქალი მოტაცებუ-
ლი რომ მყავს“, დაინტერესდა ნოე და
ყოჩაღად შეუძახა:

— გამარჯობათ თქვენი, სარიდან!

„გამომტერდა ეს საწყალი“, ახედა
სარიდანმა.

ნოე სარიდანს დააკვირდა და დაფიქ-
რებულმა თქვა:

— კარგია ალბათ მასე წყალში ფე-
ხებჩაყოფილი ყოფნა.

— გაგიხარია კარგია, — სარიდანმა
ფეხები გააქნია და წყალში აადგაფუნა.

— გუშინ ჩემი ბიჭი ქალაქში წავი-
და, — თქვა ნოემ.

— ამ სიტყვაში აქ ვერ დაეტეოდა? —
სარიდანი ზღვას უყურებდა.

— საქმე ჰქონდა, ბატონო, და გაფ-
რინდა აეროდრომით.

— თვითმფრინავით ვატრიალებდი
კაცო, აეროდრომით ფრენა სად გაგი-
გია? — სარიდანმა თავი მოაბრუნა და
თანაგრძნობით შეხედა ნოეს, — წადი
ახლა, სახლში ცხელა, ნოე.

— ექ სახლში ვის ცალია ჩემთვის...
ჩვენს ასაკში ზედმეტები ვართ სახლში,
სარიდან ბატონო.

სარიდანმა თავიდან ცხვირსახოცი
მოიძრო, ზღვაში გაავლო და წურვა და-
იწყო.

— ა, ზედმეტები ვართო? — ცოტა
ხანს იყუჩა სარიდანმა, მერე წამოდგა
და ნოეს მხარზე ხელი დაადო, — სწო-
რი ბრძანებაა, ნოე ბატონო.

ნოე შეაერთო სარიდანის ზრდილო-
ბიანმა პასუხმა, იფიქრა, მომეყურაო
და იკითხა:

— როგორ ბრძანეთ?

— სწორი ხარ-მეთქი, ნოე ბატონო,
სწორი.

• • •

მოკირწყულულ შარას ბუდი ასდიოდა.
მაღალი, წელში ოდნავ მოხრილი კაცი
მიჰყვებოდა აღმურმოდებულ გზას. ხან-
დახან ჩალის შლაპას მოიხდიდა და
ცხელ მასად ქცეულ პაერში გააქნევდა.

ბოლო დროს ხშირად გამოდიოდა ამ
შარაგზაზე ნოე. აქ ახლოს კარგა ხნის
უკან ერთი ლამაზი სახლი იდგა. და ამ
ლამაზ სახლში ნაზზე ნაზი დიდთვალე-
ბა ქალიშვილი ცხოვრობდა.

ჭიშკარს შეაღებდა ხოლმე ლამაზულ-
ვაშა ნოე და მოკრძალებით შეაბიჯებდა
მწვანე ეზოში.

და აი, ერთხელ, ამ სახლის აივანზე
დიდთვალეობა ქალიშვილი ვადმოდგა.

ვაქმა მას თავი დაუტყრა და გაოგნე-
ბული მიაჩერდა.

— ამობრძანდით, — გაიღიმა ქალიშ-
ვილმა.

ახალგაზრდამ ახედა და რამდენჯერმე
ჩუმად, ძალზე ჩუმად გაიმეორა:

— მარიამ, მარიამ...

— ამობრძანდით, ჩემო ბატონო.

— დედათქვენი... — დაიწყო ვაჟმა. სახლში თუაო, აინტერესებდა, მაგრამ ქალიშვილმა სიცილით შეაწყვეტინა:

— დედა გნებავთ?

ვაჟს შერცხვა და თავი დახარა.

ახლაც ასე თავდახრილი იდგა ნოე. ოღონდ სადღა იყო ის ორსართულიანი სახლი და მის აივანზე გადმომდგარი ნაზზე ნაზი დიდთვალემა ქალიშვილი.

ცხლოდა. საშინლად ცხლოდა.

ნოე გზას გაუყვია. რკინის შავ ქიშკარს მიადგა და ჭრილით შეაღო. სარკების თოკებით დასერილ ცას ახედა. ერთ-ერთ თოკზე გამჭვირვალე ვარდისფერი ქსოვილი ეკიდა და ნოეს ესო ამოვინა. მოეწონა ცისფერი ცა და ეს ერთი ბეწო განსხვავებული ნაფლეთი ფერისა, ცოტა ხანს უყურა. უცებ, უპო და თვალეები დახარა. ქალის საცვალი შეიკნო.

ხის კიბეები აიარა და ზარის ღილაკს თითი მიაჭირა. კარი ცოლმა გაუღო.

— რას არ მოიგონებენ, — თქვა ნოემ.

— რა იყო? — დანტერესდა ქალი.

— აგერ, ა, — ნოემ გამოიყვანა ცოლი აივანზე და გამჭვირვალე საცვალი დაანახა.

— გამოგაჩერჩეტა გამჩენმა.

სახლში. სიწყნარე სუფევდა. ჯერ არც შეილი და რძალი მობრუნებულიყვნენ სამსახურიდან და არც ბავშვები სკოლიდან:

ნოე სასადილო მაგიდასთან ჩამოჯდა. ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა. მერე დახედა ცხვირსახოცს და ცოლს უთხრა:

— ისე ოფლი კი არ ვიცი მე.

ნოეს სიმშვიდე უყვარდა. მაგრამ ვერ იტანდა ამ უსიციოცხლო დროს. ბოლო ხანს მაინც სულ ვერ ეგუებოდა სიწყნარეს. სხვამ რაც უნდა ის ქნას, შენ შენთვის იყავი მშვიდადო, ასე ფიქრობდა. მაგრამ ის კი არ მოსწონდა თუ სხვაც მშვიდად იყო, ან მთლად უარესი, თუ ის სხვა სულ არ იყო.

— მალე მოვლენ? — შეეკითხა ცოლს.

— ერთ საათში. გაიმჯრე ახლა ტანზე. ნოე ნელა წამოდგა და საწოლს ოთახში შევიდა.

— მარია! — იყვირა უცებ, — სარიდანმა იცის, მოტაცებული რომ მყავხარ?

— ვინაა სარიდანი? — გაიკვირვა მარიაშმა.

— არ იცნობ, შენ?.. უპ, მე მეგონა იცნობდი.

— ახლა მოტაცების ამბავი ბავშვებთან არ წამოგცდეს, თორემ მაგი გვაქლია კიდევ.

ნოე საწოლზე წამოწვა და ოთახიდან გამავალ ცოლს თვალი გააყოლა.

ქუთუთოები თავისთავად დაეშვა და ნოე ისევ შევიდა მწვანედ აბიზინებულ ეზოში, სადაც ორსართულიანი სახლის აივანზე ნაზი ქალიშვილი გადმომდგარიყო.

— მარია, მარია... —

— რა გნებავთ, ნოე? — იღიმებოდა დიდთვალემა მარიაში.

— თქვენ სარიდანს არ იცნობთ?

— არ ვიცნობ, ნოე.

— გაგაცნოთ, მარია?

— თქვენი ნებაა, ნოე.

— სარიდანს თეთრი ცხენი ჰყავს, მარია. სარიდანს თეთრი ჩოხა აცვია, მარია და ვერცხლის დიდი ხანჯალი ჰკიდა. ჩვენ ერთად მოგიტაცებთ, მარია.

— კარგი ვაჟაკი ყოფილა ბატონი სარიდანი.

— მოველავ აბა, თუ კარგია.

— რატომ მოვლავ, ნოე? ანდა რისი მომკვლეული და მომტაცებელი ხართ? — ისევ იღიმება მარიაში.

— არა ვარ, ხომ?

— მას სარიდანი არ ერქმევა, ნოე. ის სხვა იქნება ვისთან ერთადაც მომიტაცებ. მას არც თეთრი ცხენი ეყოლება, არც თეთრი ჩოხა ეცმევა და თქვენი არ იყოს, ხანჯალი სხვის ტანზე თუ ექნება ნანახი... ისე რატომ მოხდება,

რომ მომიტაცებთ ან მე რატომ მოგატაცინებთ თავს, ნოე?

ლამაზულვაშა ყმაწვილი მხრებს იჩეჩავს და სალოცავივით მიჩერებია აივანზე გადმომდგარ ნაზ ასულს.

ნოე ცოლის ყვირილმა გამოაფხიზლა. ბავშვები სკოლიდან მობრუნებულიყვნენ. წამოდგა და დიდ ოთახში გავიდა.

— რა გინდათ მაგ ქალისაგან, რა გადარიეთ.

ყველანი შემობრუნდნენ.

— შარვალი ჩაიცივი და ისე გამოდიმეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრა.

ნოემ ხელი ჩაიქნია.

— ბაბუას გაკეთებულია, გინდა დაგენიძლავო, — აყვირა უმცროსი შვილიშვილი.

— ჩვენ რას გვეჩხუბებები, რას? — აპყვა უფროსიც.

ბიჭებს ისეთი ხმები ჰქონდათ, თითქოს ჰა და ჰა დაიყვილებენო.

ნოე და მარიამი გაღიმებულები იდგნენ. მათთვის ახლა არ ჰქონდა მნიშვნელობა, რას იტყოდნენ ბიჭები, ოღონდ ეს ხმები დიდხანს, ძალიან დიდხანს ესმინათ.

— არა, ბებია, შენ იზამდი მაგას, — მოუღბა უმცროსს მარიამი.

— ბაბუას გაკეთებულია, — არ ჩერდებოდა ბიჭი.

— ვინ რა ქნა, არ გამაგებინებთ? — დაინტერესდა ნოე.

— სამზარეულოს კარს შენ მოტეხე სახელური, შენ, — წამოჭარხლდა ბიჭი.

— არა, — თქვა ნოემ.

— კარგი ახლა, შინაურები ვართ ყველა, — უფროსი შვილიშვილს ეღიმებოდა, — თქვი შენი გაკეთებული რომაა, რა მოხდა.

— რამდენს მიბედავთ? — ნოეს ოდნავ არ აუწევია ხმისათვის, ჩვეულებრივად მშვიდად იკითხა, — რამდენს მიბედავთ?

მერე ცოლს მიუბრუნდა:

— შენი ბრალი კია, ასე რომ დამაჯდნენ თავზე.

ნოე შებრუნდა საწოლ ოთახში. წამოწვა.

შერცხვა იმის მოგონებებს, რომ მართლა მას მოუტყდა კარის სახელური. მაგრამ ეგ არაფერი, ეგ კიდევ არაფერი, სირცხვილი სხვა იყო. დილით საწოლედ სახელურის მოტეხვა გაეხარდა ნოეს. გაეხარდა, რომ რალაცის თავი მაინც ჰქონდა. თუნდაც ეს „რალაც“ ტეხვა და ნგრევა ყოფილიყო.

მოპირდაპირე კედელს მიაჩერდა. ერთ ხანს თვალი გაუშტერდა. თითქოთ კედელი შეტორტმანდა და ფერი იცვალა. მერე ალივლივდა და ზღვის საოცარ ტალღებს შეერია. ნავი გამოჩნდა. კაცს, რომელიც ნიჩბებს უსვამდა, თავზე ცხვირსახოცი წაეკრა და რალაცას ამბობდა.

— რა იყო, რა? — შეეკითხა ნოე.

— გაწყენინეს? — იყვირა კაცმა.

— თქვენ ბრძანდებით, სარიდან?.. საით, ბატონო მაგ ნავით, საით?

— თქვი, გაწყენინეს?

— ვინ, ბატონო?

— ცოლმა და შვილიშვილებმა.

— რა ვუყოთ მერე, — ნოეს გაეღიმა.

— კაცი კი არა, მთხლე ხარ, რას ქვია, რა ვუყოთ მერე... ყოფა უნდა უტირო, ყოფა.

— ვის, ბატონო, ჩემებს?

— მეც მითხრეს ცოტა ზედმეტი და მივდივარ სხვაგან, — სარიდანი ამაყად გაიჭიმა ნავში, — წამო, თუ გინდა.

— მინდა, — გადაწყვიტა უცებ ნოემ, — მაგრამ საით, სარიდან-ჩემო?

— კუნძულია აქ ერთი, არავენაა ზედ.

ნოეს ძალიან გაუკვირდა, რომ ნავი თვალის დახამხამებაში მიუახლოვდა. მაგრამ იმ ნოეს, ზღვასთან რომ იდგა, ეს სულ არ აკვირვებდა და თითქო აქ არაფერიყო, ისე ჩაუჭდა სარიდანს ნავში.

— გამომართვი ახლა ესენი, — სარიდანმა ნიჩბები მიუყარა.

ნოე ცოტა ხანში დაიღალა, მაგრამ ამის თქმა შერცხვა.

— რას ზოზინობ, კაცო, მოუსვი წესიერად.

— დავილაღე, ბატონო, დავილაღე,
— ველარ შეიკავა ნოემ თავი.

ნავი პატარა კუნძულთან მისრიალდა.
აქ ჩიტები რალაც სხვანაირად გალო-
ბდნენ და სხვა ფერი ელთო.

აქ ხეთა სიმწვანე უცნაურად გადა-
ლიოდა ცის სილურჯეში.

ზღაპრულად აფერადებული ფრინვე-
ლი ჩამოჯდა მათ წინ და დაიჩაჩხანა.
ამ ხმამ მარიამის ყვირილი მოაგონა
ნოეს და გაეღიმა. ჩიტი აფრინდა. ჭერ
სიმწვანეში დაფარფატებდა, მერე ცას
შეერია და სივრცეში გაითქვიფა.

ზღვაც უხმაუროდ, უმოძრაოდ ერთ-
ყა პატარა კუნძულს. ნოემ ხელი მოიჩ-
რდილა და იმ ნაპირს დაუწყო ძებნა,
საიდანაც იგი სარიდანთან ერთად წა-
მოვიდა. ირგვლივ მხოლოდ მშვიდი და
კეთილი ზღვა ციმციმებდა.

— ექნებოთ ახლა აქ, — ხელები
სიამოვნებით მოიფშენიდა სარიდანმა,

— არც რძეზე ვაგვალღობებს ვინმე,
არც ნაგვის გადაყრაზე დაგვიწყებენ
ჩხუბს... რა ჯობია, ნოემ, თავისუფლე-
ბას?

— დღეს მეც ისეთი რამე დამაბრა-
ლეს სახლში, რომ კინაღამ გავსკდი
გულზე, — ნოემ ჰაერს ღრმად ისუნთ-
ქავდა.

— დავაბრალებს, თორემ...

— ნულა მაკადრებთ მაგისტანებს, —
გააწყვეტინა ნოემ.

— შენც დაუფრენდი ანგელოზებს,
— სარიდანი იცინოდა, — დიდუ, რა
გლაბის ჭირი ხარ.

ნოემ წამოწითლდა. უნდოდა ეყვირა
და ხმა არ ამოდიოდა. მერე წასვლა გა-
დაწყვიტა და ფეხი ვერ გადადგა. სა-
რიდანს პირი დაელო და ხარხარებდა.
არა, ამ ხმას ხარხარი არ ეთქმოდა.
გრუხუნებდა, აყრუებდა იქაურობას.

— წავედი მე, — თქვა ნოემ, მაგრამ
ადგილიდან ვერა და ვერ დაიძრა.

— სად წახვალ, სად? ნიჩბის მოსმა
შენ არ შეგიძლია და ჩაიხრჩობი, ბიძია,
სადმე.

— რა გინდათ ჩემგან, რა? — ნოეს
კრემლები ლაპალუბით წამოცვივდა.

ასეთი ტირილი და ამღენი კრემლი
ჭერ არსად ენახა ნოეს, და მხალხლ ეს
აოცებდა. მაგრამ ის მთავრად უცნაურად
რომ იდგა, არაფერს იკვირებდა და
განაგრძობდა საოცარ მოთქმას.

— რას დამბლაეხარ თავზე? დღამ-
და და დავწვეთ აწი, — სარიდანი მი-
უახლოვდა ნოეს, — რა გაქვს სატირა-
ლი. თუ გეშინია, აგერ არ ვარ, — სა-
რიდანმა კარავში შეაბიჯა.

ნოემ ვერაფერი ვერ გაიხსენა, რო-
ლის ან საიდან გაჩნდა აქ კარავი.

ზღვა კუნძულს ეფერებოდა, სიბნე-
ლეში სითამამე მოემატა და უფრო და
უფრო მოზრდილი ტალღებით ელამუ-
ნებოდა.

სარიდანი მშვიდად ფშვინავდა.

„ეს ცოცხლად შეშქამს“, ნოემ მიძი-
ნარე სარიდანს გადახედა. წამოდგა და
სწრაფად დაიწყო ჩაცმა, მერე გარეთ
გავიდა. უცებ კარავისაკენ შებრუნდა,
ხელი აიწია და ოდნავ ვასაგონად თქვა:

— შენი ოხერი დედაც ვატირე.

სიბნელეში გზა გაჭირვებით გაიკვ-
ლია. ნავში ჩაჯდა და რაც ძალი და
ღონე ქონდა მოუსვა ნიჩბებს.

თითქო ცა გაიხსნაო. სიბნელე მო-
ლურჯო სხივმა გააპო. იქაურობა ისე
განათდა, რომ ნოემ ვერ გაუძლო და
თვლები მოჭუტა. კარგა ხანს ბრმად
მიჰყავდა ნავი.

უცებ რალაც თეთრი დალანდა ნოემ.
დააკვირდა და ნიფხავ-პერანგის ამარა
მღვარი სარიდანი შეიქნო. იგი ტირო-
და. ნოეს რალაცა ჩაწყდა მკერდში.

სარიდანმა წარბები შეკრა და გამომ-
შრალი ხმით ამოიხრიალა:

— მარტო მტიებ, შე ღორის გაგდე-
ბულა?!

ნოემ სარიდანისაკენ გადაწყვიტა წა-
სვლა, მაგრამ ნაფე არ იძროდა. მთელი
ძალით იქნევდა ნიჩბებს. არაფერი გა-
მოდიოდა. იქეთვე გაიხედა, სადაც სა-
რიდანი ეგულებოდა.

ირგვლივ მხოლოდ სილურჯე კაშ-
კაშებდა.

უცებ ნავთან ცხვირსახოცწაყრული

თავი ამოტივტივდა, მერე ხელები და კინოს დაეკიდა სარიდანს.

— აყვირავდებით, სარიდან! — იყვირა ნოემ.

— მაგი მინდა მეც, — თქვა სარიდანმა და ნავი ღონიერად დაქაჩა.

ნოე ტალღებში გაიტაცა. ერთხანს ტივტივებდა. მერე თითქოს ზღვის ფსკერში მიიზიდაო და სწრაფად იწყობ ქვევით სრიალი.

გახსენდა, რომ ყველაფერი ეს წყალში ხდებოდა და საერთოდ წყალი ცივია. შეაფრვოლა.

ნოე ლოგინში შეხტა.

— მარიამ! — იყვირა შეშინებულმა.

— რა ვაყვირებს ამ შუალაბზე?! — მარიამის ხმა საღვთო იქვე ისმოდა.

— წევხარ უკვე?

— დაიძინე, დაიძინე, გვიანაა, — მარიამმა მხარი იცვალა.

— ახლა მინდობართ ყველა... რა დამაძინებს მე აწი, — ჩუმად თქვა ნოემ.

• • •

არ გასულა ორი კვირა და ზაფხულის ერთ დახუთულ ღამეს სარიდანს გარდაიცვალა. გარდაიცვალა ჩუმად, უშფოთველად. ისე, რომ არავის არაფერი გაუგია. დილით ადგომა რომ დაავიანა, ოჯახის წევრებმა კი იფიქრეს მისი გაღვიძება. მაგრამ იცოდნენ სარიდანის ჯაჯანის ამბავი და მოერიდნენ. ისევ ცოლმა გაბედა.

— სარო, სარო, — უჩურჩულა ქალმა. მერე ხმას აუწია, მერე შეანჯღრია კიდევ და ბოლოს საოცარი ცივი ხმით იკივლა.

ნოემ რომ გაიგო სარიდანის სიკვდილი, ჯერ არ დაიჯერა და კაი კაცოო, დაეჭვებულმა თქვა.

— სარიდანი, ბაბუ? — ჩაეკითხა შვილიშვილს ცოტა ხნის შემდეგ.

— ბიჭმა თავი დაუქნია.

— გარდაიცვალა, ბაბუ?

— მოკვდა საწყალი, მოკვდა, რას ჩაიცივდი ამ ბავშვს, — უთხრა ცოლმა.

— საწყალი კაცი... წუთია ჩვენი სიცოცხლე, — ნოემ გაზეთი გაშალა.

ერთ ხანს ათვლიერა. მერე სიფხველედ მოიხსნა და გაზეთთან ერთად მაგილაზე დადო.

— რით გარდაიცვალა?

— ღამე გაპარულა.

— უჰ, უჰ, — ხმა აუკანკალდა ნოეს. უცებ მაგილაზე დაემხო და მხრების თახთახით კარგა ხანი გაურკვეველად ლულულეებდა განაწყენებული პატარა ბავშვივით.

ის დღეები სახლიდან არ გასულა ნოე.

სარიდანის დასაფლავების დრო რომ მოვიდა, საგანგებოდ გამოეწყო. ფიქრობდა საფლავზე სიტყვას ვიტყვიო, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა სათქმელი.

„მე რომ მოვმკვდარიყავი, ვინ იტყოდა სიტყვას?“

სარკის წინ კარგა ხანს იდგა ნოე.

დიდი სიციხის მიუხედავად დაკრძალვას ბევრი ესწრებოდა. პროცესია ნელა მიჰყვებოდა საერთოდ ჩვეულებრივ, მაგრამ იმ წუთას საშინელ გზას.

„ხომ შეიძლება მე მომკვდარიყავი“, ეს ამინებდა ნოეს „ხომ შეიძლება მე ვწოლილიყავი ახლა სარიდანის ადგილას?“

შეებით ამოისუნთქა და უსაზღვროდ გაიხარა, რომ ცოცხალი იყო.

ამ სიხარულთან ერთად ისიც სიამოვნებდა, რომ უკანასკნელ გზაზე აცოლებდა სარიდანს და ამით პატივს ცემდა მის ხსოვნას. მაგრამ ეს ეცოტავა ნოეს. უნდოდა მეტი, რაც შეიძლება მეტი ემოქმედა, რომ მომენტი მაქსიმალურად შეეგვსო.

თვალი მოჰკრა ორ ჩასქვლებულ მამაკაცს, რომლებიც ჩუმად მიჰყვებოდნენ პროცესიას, და მათკენ გაემართა.

— სწორი ბრძანებაა, დიდებული პიროვნება გახლდათ ბატონი სარიდანი, — მისვლისთანავე თქვა ნოემ, მამაკაცებს შუაში ჩაუდგა და ორთავეს ხელი გამოსდო.

გაკვირვებულმა კაცებმა ჯერ ნოეს შეხედეს, მერე ერთმანეთს გადახედეს და მინც დააქნიეს ოფლით დანამული მელოტი თავები.



მინიერ კვსალავა

ას პრესის დღე

კინაზა დონატოს ალაგოი...

ლოლი მარლენმა მაგიდის ალაგება დაიწყო.

— ლოლი, რატომ აწვალე ბაბუს, არ გეცოდება? ხომ ხედავ, რა კეთილია?

როგორც ჩანს, ლოლმ სიტყვა „კეთილი“ ბაბუს შეურაცხყოფად მიიღო:

— აბა, კეთილი! — ჩაიცინა მან.

— რა, არ არის კეთილი თუ?

— ნამდვილი გერმანელი კეთილი არ უნდა იყოს!

— ეს ყველას ეხება?

— ყველას ვინც ფიურერს ფიცი მსცა.

— ვინც—არა?

— ის ნამდვილი გერმანელი არ არის.

— შენი ბაბუა ხომ ნამდვილი გერმანელია?

— იყო, ახლა კი ცუდი გერმანელია!

— რატომაა ცუდი?

— იმიტომ, რომ ფიცი გასტეხა!

— რითი?

— ხომ ხედავთ, ახლა ისიც ამბობს, ჰიტლერმა დააღუპა გერმანიაო.

— განა ასე არ არის?

— არა, ასე არ არის. ამას ებრაელები და წითლები ამბობენ.

— ბაბუაშენი ხომ არც წითელია და არც ებრაელი?

— არა, მაგრამ ფიცის გამტეხი მაინც არის.

ლაბარაიის ვაკრძელება უაზრო იყო, ამიტომ საუბარს ოდნავ შეეწყვალე მიმართულება.

— ეინ გასწავლა ასეთი „სკეიანური“ ამბები?

— სანამ დავმარცხდებოდით, ბაბუაც ასე ამბობდა. მეც ხომ ვიცი, რომ ასეა.

— ბაბუა უფრო ნამდვილი გერმანელია, თუ მამაშენი რუდოლფი?

— მამაჩემო, ის ნამდვილი ესესელია.

— რას აკეთებდა, თუ იცი?

— ებრაელებს სპობდა.

— მერე?

— მერე, წითლებსა და პარტიზანებს.

— პარტიზანები ვინ არიან?

— პარტიზანებიც ებრაელებია.

— წითლებიც?

— ჰო, წითლებიც!

— მამ, ვინც ჰიტლერის წინააღმდეგი იყო, ყველა ებრაელია?

— აბა რა!

— მერე ყველა უნდა მოისპოს, ქალიც, კაციც, დიდც, პატარაც?..

— რა თქმა უნდა! ქალი და კაცი სულერთია. მოხუციც და ბავშვებიც. პატარა ებრაელი რომ გაიზრდება, ისიც დიდი ებრაელი იქნება... ამიტომ ერთბაშად უნდა მოგვესპო ყველა, მაგრამ ასე არ გამოვიდა. ფიურერს ულალატეს, თორემ ყველა ებრაელი რომ დაეხოცა, ჩვენ ვინა დავემარცხებოდა?

— ბაბუს რომ ასე ეცოდება. ებრაელები, შენ რატომ ხარ ასეთი სასტიკი?

— უწინ არც ბაბუს ეცოდებოდა. ამას ახლა ამბობს, ეშინია და იმიტომ, თორემ უწინ ჩვენს ოჯახში ყველანი ერთნაირად ეფიქრობდით. ასეც უნდა იყოს, ყველა გერმანელი ერთნაირად უნდა ეფიქრობდეს.

— შენ ხომ იცი, ბუნებას ჭერ ორი ერთნაირი აღამიანი არ გაუჩენია და ყველამ ერთნაირად როგორ უნდა იფიქროს.

— როგორც ფიურერი ფიქრობს.

— ჰედა, ლმერთი გწამს?



— მე მხოლოდ ფიურერი მწამს.
 — როგორ გგონია, ღმერთი უფრო დიდია თუ ფიურერი.
 — ღმერთი ჯერ არაივს უნახავს, ფიურერი კი მეც ენახე, ფიცის მიღების დღეა. პიტლერმა გოგონების მწკრივს ჩამოუარა, რომ მოგვიახლოვდა, მე სუნთქვა შემეკრა. ყველაფერი ამიანჯალდა. ხელში დროშა მიჭირა, თორემ მუხლებზე დავეცემოდი მის წინ.
 მე შეცინებოდა, ის კი ამას ისე სახეგაბრწყინებელი ამბობდა, თითქოს მართლა ღმერთი ენახოს...

... ლილის უნდოდა როგორმე დაემტკიცებინა, რომ მისი ბაბუაყ ერთ ღროს „ნამდვილი გერმანელი“ იყო. ალბათ ამიტომაც თქვა:

— ბაბუა ყველაზე მტკიცე იყო ჩვენს შორის. ახლა დაბერდა და ალბათ ამიტომ გაბუჯდა. არა გჯერათ?
 — არა!
 — ნამდვილად?
 — ნამდვილად!
 — აბა, თუ ძალიან გვიან არ იქნა, მე ისეე მოვალ, რაღაც უნდა გაჩვენოთ. ბაბუას რომ დაეძინება, მაშინვე მოვირბენ. რაკი იმდენი დალია, ძილი მალე მოეკიდება.
 მერე ფიცით შემაქერა, ბაბუას არ ვაუშხილოთ ეს საიდუმლო, თორემ თუ ვაგო, თავს გამოქვეყნოს.

ეს თქვა და გაიქცა. მე რაღაც წიგნს დავუწყე თვალყურება...

ჯერა ხანი გავიდა, ვიდრე ლილი მარლენი დაბრუნდებოდა. რომ შემოვიდა აღუღებელი იყო. ხელში რაღაც გახვეული ეჭირა. მიმხედ ქონივდა და ისე ლაპარაკობდა:

— ბაბუას ძლივს ჩაეძინა და წამოვიღე. ამას ისე უფრთხილდება, თუ ვაგო, რომ გიჩვენეთ, მომკლავს. ხომ არ ვამცემთ?
 — არა, რატომ უნდა ვაგვეთ, მაგრამ მე არც ვიცი რაზეა ლაპარაკი, რა წამოიღეთ?
 — საოჯახო ალბომი, ბაბუას შიგრ გაცეთებელი...

გახსნა და წინ საგანგებოდ პომპეზურ ყდაში ჩასმული უზარმაზარი ალბომი დადო.

— ეს ჩვენი ოჯახის ალბომია, ნახეთ! მე იგებხნით ყველაფერს.

ვდაშალა თუ არა, პირველ გვერდზევე კალიგრაფიული ხელით ეწერა სოლომონ ბრძენის შეგონება:

— ისმინე შეილო მშობლისა შენისა მამისა, და ნუ შეურაცხყოფ ოდეს დაბერდეს დედა შენი. კეშმარიტება მოგე. და ნუ განიშორებ სიბრძენსა, და სწავლასა, და მეცნიერებასა. მამა მართალი ვამორბდის კეთილად, ხოლო ძისთა თვის ბრძენთა იხარებს სული მისი...

ქვეით კი ლექსად:

Leben ohne Ehr
 Ist kein Leben mehr...

(სიცოცხლე ღირსების გარეშე, უცხო სიცოცხლე არ არის) მეორე გვერდზე კი ლუთერის სიტყვები იყო მიწერილი, მაგრამ სხვა ხელით: — თუ ოცი წლისა ლამაზი არ ხარ, ოცდაათისა — ძლიერი, ორმოცისა — უკეთილი, ხოლო ორმოცდაათისა — მდიდარი, შემდეგ არაფრის იმედი არ უნდა გქონდეს...

გადეფურცლე და ჯერ ახლადდაქორწინებულთა წყვილის ფოტო ენახე, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, წარმოსადგევი მამაკაცი იდგა გაქოშული; მის გვერდით თვალტანადი ქალი საქორწინო კაბაში, სერიოზული და კმაყოფილი სახეები. ნამდვილი გერმანელი წყვილი!

— ეს ბაბუაა და ბებია... ხედავთ, რა კარგი იყო ჩემი ბაბუ ახლანდრობაში, როცა არძოვანი მსახურობდა.

შემდეგი სურათები: ცოლ-ქმარი სადღაც ბაღში, მერე ზღვის პირას, პატარა ბავშვებთან — უფროს ლეონარდსა და უმცროს რედოლფთან. სურათებიდან ჩანდა, როგორ იზრდებოდნენ ბავშვები. მერე ლეონარდი ვლაც მოხელეებთან ვალაღებულ, რედოლფი კი ესესელის ფორმაში შეკაფზე სვასტიკით, მათი მეუღლეებიც გამოჩნდნენ ფოტოებზე. ტიპიურ გერმანელი ქალები — ძლიერი სხეულთა და ცივი, უცმები გამოხედვით. ისინი არცთუ ისე სისამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდნენ. თქმეა ლილი მარლენი გაიძახოდა:

— შეხედეთ, ეს დედა, ნახეთ რა ლამაზია? მომღერალი იყო, მართალია ოპერაში არ გამოდიოდა, მაგრამ ხმა კარგი ჰქონდა, ცეკვავდა კიდევ.

ერთი სიტყვით, ვარიეტეს მსახიობი ყოფილა. რედოლფის კარიერაც კარგად იყო ასახული ფოტოზე. ჯერ რიგითი მოიერიშე, მერე ვახსელი, შტურმფიურერი, ობერშტურმფიურერი, მაღალი, მხარბეჭიანი მინორტაერით სქელი კისრით და ჯიუტი, წინ წამოწეული უბებით მერე ისეე იოჰანი და მისი მეუღლე — უკვე ხანში შესული იქვე დიდი სურათი მანუფაქტურის მფლობლის უჩვენებდა. აბრაზე ასე ეწერა „ლეონარდი და მარია, მობრძანდით, ყველაფერი თქვენთვისაა“...

ეს მაღაზია უწინ თურმე მდიდარი ებრავლის ოჯახს ეკუთვნოდა. ჩვენი მეზობლება იყენსო, ჩამოკლავა ენაქართალა ლლი მარლენმა. მერე მამამ ის ებრაელები მოსხა და მაღაზია ჩვენი გახდა. ბაბუას არ უნდოდა მის სახელზე უოფილიყო და ამიტომ ბიძაჩემს ლეონარდს ვადასცეს. ძია ლეონარდი კი სულ ფულების შოვნაზე ოცნებობდა. ამბობდა, ქვეყანა ფულს ვარწმუნო ტრიალებსო, ცხოვრება იმისა, ვისაც ბევრი ფული აქვსო. ფული არც აკლდა, მაგრამ მაინც ვერ უშველა.

ლალი ახლა რედოლფის სურათებს მიჩ...

ვენებდა. საღღაც აღღუმზე გადაღებულს, მერე დროშასთან მდგარს და ბოლოს მთელი აღბოძის გვერდზე ვადიდებული სურათი: მიძღვრი ხელს ახრთმევს რუდოლოფს.

— იცი, ეს კაცი ვინ არის? — ეკითხები ლილიას და მიძღვრზე მივითითებ.

— როგორ არ ვიცი, ეს ხომ რაინსფიფტერი მიძღვრია! — თქვა მაშინვე — მაშაგვს იცნობდა, რკინის ჭვარიც მან ვადსცა პირველად — მაშაგვს რაში მისცეს რკინის ჭვარი?

— ებრაელებსა და კომუნისტების მოსპობაში, — ისევე ამაყად თქვა მან, მეორე რუდოლოფის და მისი შვილის ელზას სურათები დაიწყო, ისინი საღღაც ზღვის ნაპირას ისვენებენ. ნავით სეირნობენ... ბანაობენ, რესტორანის ევრანდაზე სხედან. ბოლოს პატარა ბავშვით ხელში...

— ეს შე ვარ, — თქვა ლილიმ და გაიცინა.

ამის შემდეგ სულ ლილი მარტენის სურათები მიდიოდა, მარტო თუ გვეფთხად გადაღებული... ჯერ პატარა, მერე მოზარდილი, ბოლოს უკვე ქალიშვილი: მალა, ტანყარლი, ძლიერი, ქვარაშიანი და ცისფერთვალეა სად და როგორ არ იყო გადაღებული: სკოლაში, კრებებზე, აღღუმზე, ხან ლოუნგით, ხან დროშით ხელში, სპორტულ ტანსაცმელში. მისი ძლიერი სხეულის უმრავლესობა. მერე ტრიბუნაზე, ფიცის მიღების დროს და ბოლოს აქაც მთავარი სურათი: მიტლერელი ახალგაზრდობის ბელადი ზალიურ ფონ შირახი დროშას ვადსცემს ლილი მარტენს. ამ სურათის დახედვაზე იგი სულ გაიბადრა.

— მე ბოლომდე დირსეულად ვატარებ ეს დროშას! — თქვა მან, ბრძოლებშიაც კი მივიღე მონაწილეობა ბერლინის ქუჩებში და რაკეტა ყველაფერი გათავდა, დაწვდა, სხვა რა გვაქონდა მტერს ხომ არ ჩაუვადებდი ხელში!

— აბა, — ვთქვი მე, — ჩვენ კი სულ თავს ვიტყვიდი, როგორ გვეგდო ხელთ ეს თქვენი დროშა.

დაცინვას მაშინვე მიხვდა, ტურები აიბუჯა და ცალუხად გამოსტრა:

— სანამ ცოცხალი ვიქნებოდი, სულერთია, ამ დროშას მაინც ვერ ჩავიდებდი ხელთ.

მერე კიდევ ვილაყები მაჩვენა, ნათესაელები, ახლობლები და...

გერმანელები ამბობენ, თვალთ მათს თავს უჯერებს, უფრო კი სხვებს. აქ თვალთ და უფრო რაღაც დაუჯერებელს მანიშნებდა: ჩემს წინ წარმოსადგევი მოხუცი იყო ესესელის ფორმაში, დაუხედე და თვალს არ დაუჯერებ. ბაბუა იოჰანი. ლილიმ სიცილი დაიწყო:

— აბა ხომ ხედავთ, როგორია ჩემი ბაბუა — ვინ თქვენი ბაბუა? ესესელი იყო?

ლილიმ ძლივს შეწყვიტა სიცილი.

— აბა, ფორმას იცნობდა მარტო, მაშაგვს ფორმას, სურათის გადასაღებად. ახალგაზრდა

რომ ვიყო, მეც ესესელი ვიქნებოდიო, ამბობდა.

გავეოცდა, ნუთუ ეს ის მოხუცი, ერთი საათის წინ რომ ჩემს წინ იჭდა თვალსმომოწონი. როგორი სასტიკი გამოხედვა ჰქონდა აქ, ამ სურათზე.

— როცა მაშისაგან წერილებს და სურათებს მივიღებდიო, ბაბუა მაშინვე ამ ფორმას ჩაიცვამდა და ისე გვიყობხავდა, — თქვა ლილიმ. მაშამ აღერე იცოდა, ბაბუას რომ ესესელის ფორმა უყვარდა და ერთი უფრო სრული შეაჯერინა, რომ ტანზე ყარვად მორგებოდა. ბაბუა ხშირად იცნობდა ამ ფორმას.

— გარეთაც გამოდიოდა ასეთი ფორმით?

— ლილიმ ისევე ეისეის დიწყო.

— აბა, გარეთ არა, მარტო შინ, ჩაიცვამდა და საჩუქის წინ ტრიალებდა. ვერსალის კატასტროფა რომ არ მომხდარიყო, ახლა ვენერალი ვიქნებოდიო. — ამბობდა.

გაოცებულმა ერთხელ კიდევ დავხედე სურათს და ჩემდაუნებურად წამოვიძახე: 'Aussen blank, innen stans' — გარედან ბრწყინვალე, შიგნიდან სიმურაღე...

ლილიმ მწყობრად შემომხვდა, 'მაგრამ არაფერი უთქვამს. მე აღბოძის ფურცელა განეაჯერებ და უფრო საოცარი რამ ვნახე: სულ რუდოლოფის სურათები:

...რუდოლოფი ზერეტს სამხედრო ტყვეს. წარწერა: „სამშობაო საჩუქარი (Weihnachtsgeschenk) მამას“.

...რუდოლოფი ზერეტს პარტიზანს. წარწერა: „სამშობაო საჩუქარი ელზას“.

...რუდოლოფი ზერეტს ებრაელს. წარწერა: „სახაბლწლო საჩუქარი ლეონარდს“.

...რუდოლოფი დგას და უყურებს, როგორ იჭვან უკრაინელის ქოხი...

...გამყარებულმას იძლევა და ზერეტს ეძლევა მიმდგარ შიშველ მამაკაცებს.

...უყურებს დაბოცილ ქალებსა და ბავშვებს...

...საბრძოლველზე ჩაჰყოფილებული ექვსი გლეხი... იქვე რუდოლოფი.

...ვაშიშველებული მამაკაცები თოვლში. შემდეგ დაბოცილები. რუდოლოფი დგას ფეხებგაჩახული. სურათს ქვევით აწერია „ლაგირი“.

ძრისხან პერანანი...

მერე ისევე მთელი სერია ასეთივე შემადარწუნებელი სურათებისა, საოჯახო აღბოძის მხრე-ნეული ხელით ჩაწებებული. ყოველ სურათს ვარშემო წითელი, შავი და თეთრი ზაზები აქვს შემოვლებული. აღბოძი ფერადი ორნამენტებითაა მორთული და ცისფერი ლენტით შეკრული. შიგადაშიგ გამხმარი ყვავილები, ვარდის ფურცლები, დამქნარი ია...

ყველაზე საშინელი კი ხელით მინაწერება, უმთავრესად ანდაზები, ლექსები ან პროზა. ბერგან შემხვდა ადგილები მათეს სახარებნი-

დან, რწმენის, სიყვარულისა და სასოების შესახებ. თვითონ იოჰანის სურათის ქვეშ ეწერა:

— რომელსა პრწმენეს და ნათელ-ილის, ცხოვნდეს, ხოლო რომელსა არა პრწმენეს, დაისაქოს...

იოჰანის ცოლის სურათს ასეთი წარწერა „ამშვენებდა“:

— იქ ესერა პეიეს: სარწმუნობაჲ, სასოებაჲ და სიყვარული, სამი ესე, ხოლო უფროის ამათსა სიყვარული არს...

ლილი მარლენის დედის საქორწინო სურათის ქვეშ ვირგილიუსის სიტყვები მიეწერათ:

— Omnia vincit Amor... — ყველაფერს საღვეს სიყვარული.

ნათქვამია, ბავშვობიდანვე ღმერთს ვეძებდი და ეშმაკი ვიპოვეო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი! ყველაზე შემადარწმუნებელი წარწერები რუდოლფის იმ სურათებს ქონდა, სადაც იგი ჩამოხრბობილებს უფერებდა:

— ბტრის გვაჲს კარგი სენი სდის...

დახოცილებით სავეე ორმოსთან მდგარ რუდოლფის სურათს საღდაც, პიუგოსთან ამოცი-თხული სენტენია „ამშვენებდა“:

— სასაფლაოსკენ თუ ბტრის გვაჲს მივაქვს, მძიმედ არ მოგეჩვენება.

მეორე სურათს უფრო მოკლე მინაწერი ჰქონდა:

— მაღლობა ღმერთს!

სუნთქვია ისე შემეკრა, რომ ძლიეს ვეითხე ლი-ლის:

— ვინ მიაწერა ეს, თუ იცი?

— ბაბუაშ! — მიპასუხა მან ამაყად.

— ეს აღბომიცი იმან გააკეთა?

— ჰო, იციო, რამდენი იშრომა ამაზე?

— რისთვის ინახავს, თუ იცი, ამ აღბომს?

— მოშაელისთვის! ბაბუა ამბობს, ისეც დადგება ერთ დროს და შაშინ ამითაც დაეამტყა-ცებო თერთვლებას ფიურერისსადმიო.

ლილი, როგორც ჩანდა, ისე იყო აღტაცებუ-ლი: ბაბუას ფიურერისსადმი ერთვლელების დამ-ტყაცებით, რომ სხვა, საიდუმლოებაც წამოცდა:

— ბაბუას ერთი დიდი ჩანთაც აქვს, სადაც მამარემის წერილებს ინახავს. იციო, რა საყთხა-ვიამ თუ მოვახებრე, იმასაც მოგატანო!

— რა წერია ასეთი იმ წერილებში?

— როგორ იყო, რას აცეთებდა, რამდენ პარ-ტოანაა და ებრაელს ზოცავდა... რა ვიცი, ათას რამეს... ბაბუა თხოვდა, მომწერო, და ისიც წერდა. საჩუქრებად კი ასეთ სურათებს უგზავ-ნიდა...

ლილის გაბრწყინებულ სახეს რომ შევხედა, ვეითხე:

— შენ არ გიგზავნიდა სურათებს?

— არა, მე კაბებს, ფეხსაცმელებსა და კა-ფეტებს.

— იღბათ ქრისტეს პერანგსაც, არა?

ამგვარ ირონიას, რა თქმა უნდა, ვერ მჩბე-და და ვუღუბრყვილოდ მიბასუხა:

— არა, პერანგი არ გამოუტყუებია.

...დანტე ალიგიერი „ჯოჯონებში“, აღწერს „ქვეყნის წამბილწველ სახარელ ურჩხულს“, კი-ანდა დონატოს, რომელსაც სახე სათნო კაცისა აქვს, ტანი კი შხამიანი გველის. იგი არც სულ აღამიანია, არც სულ გველი და ამიტომაც და-ეწყველა, ამიერდანი აღარც ერთი იფოს და აღარც ორი, ე. ი. აღარც აღამიანი და აღარც გველი, არამედ ორივე ერთად ერთში მოცუ-მული, რასაც ურჩხულს უწოდებს...

ის ურჩხული კიანდა დონატო ორიოდე სა-თის წინ თურმე ზემს წინ იჭდა, მე კი სათნო მოხუცი მეგონა. მერედა, რა კეთილი სახე ჰქონდა, რა ტუბილად საუბრობდა! როგორ იცავდა სიყეთეს, სიყვარულს, სასოებას... განა შენაძლებელია თავის თავისგან გაუცხოების ამგვარი ოსტატობა? ან იქნებ ეს საბერეში შესული აღამიანის მონანიება იყო. ფრანგუ-ლი ანდაზაა, ვინც ინანიებს, თითქმის უდანაშა-ულოო. დანტე წერს, მონანიებელს მიეტყუე-ბათ, გერმანილებიც ამბობენ: ეშმაკი რომ და-ბურღდება, ბერად აღვეყვას მონიდომებსო!

მონიდომება კი შეიძლება, მაგრამ ბერად აღ-ვეყვილო ეშმაკის წარმოდგენა მაინც ძნელია...

სამი იროსტარო...

იქ ლამეს დიდხანს ვვიქრობდი „კიანდა დო-ნატოსა“ და მისი აღბომის შესახებ. ვინ იცის, რამდენი ასეთი ურჩხული დადის დედამიწახე. ბევრ მათგანს ზომ ჩვენც ვხვდებით ყოველ-დღითრად! იმათ კეთილი და სათნო სახე აქვთ, რბილი, უწყინარი გამოხედვა; თანაც უხედი-წვეწინო თავიანიანი არიან, თითქმის გულბო-რვილონიც, მაგრამ კული თუ მოიქნის... და ისიც გველისა კი არა, მოჩიელისა: „ორი, ვეს-ლით ვავსილი კანგა...“ მყისვე შხამიან აღ-ამიანს, ფიჯიურად, მორალურად თუ სულა-ურად, ეს სულერთია. თანაც ტუჩებზე შაქარო-წულივით ტუბილ ღიმილს არ იშორებენ, აღარც თაფლიანრეც სიტყვებს იმერებენ სიყე-თის, სიყვარულისა და სასოების შესახებ...

შემდეგ ამას რამე „უცილობელი“ თეორია მომყვება, „უქმშმარტესი“ მოძღვრება, „ბრძნული“ აზრი ან სენტენიცა შესახებ იმა-სა, რომ „ყველაფერს, რაც ამ ქვეყნად არსე-ობს, თავისი მეორე სახე აქვს: ბუნებას, კულ-ტურას; რელიგიას, ზელოვნებას, პოლიტიკას, სიყვარულს... ყველაფერს!...

ისეთი ცინიკოსებიც არიან, მთელ კაცობრი-ობას რომ დანტეს იმ საშინელი ურჩხულის სახით წარმოადგენენ.

ასეთ რამეს რომ ისმენ, საყუთარ თავსაც ვეი-თხებ: ნუთუ ყველაფერს, მართლაც, მეორე სახე აქვს, მეორე დანიწულება? შექსპირს

უწერია, ღმერთმა ერთი სახე მოგვყო, თქვენ კი მეორეს იღებთო. მერცხა, ეს ბუნებრივობაა თუ სამწუხარო ბუნებრივობა. იქნებ ადამიანებიც იძულებული არიან თავიანთი „შემპირ-წუნებლად სხვა“ სახე მიიღონ, ანუ „აქუნდეს“ რქანი მსგავსი კრავისა და ზრახვიდეს ვითარცა ვეშაპი“. გერმანელმა შწერალმა გოტფრედ ბენმა ხომ სწორედ ამას უწოდა „ორსახოვანი ცხოვრება“ (Doppelleben). მისი აზრით, ადამიანიც ისეთივე ორმაგი არსებაა, როგორც შიშაღლი სფინქსები, კენტაურები, სირანოზები, ან ძაღლისთავა ღმერთები. ყოველი პიროვნება ამგვარი ორმაგობის ელემენტიააო, — ამტკიცებს იგი და განაგრძობს:

— ჩვენ ვეღვირობთ სხვას, ვიდრე ვართ. ეს არის აზრის (Sinn) ყოფნის (Sein) წინააღმდეგობა, ე. ი. პიროვნების შეგნებული ორმაგობა, რის გამოც ყველა სხვაგვარია, ვიდრე არის.

— ჩვენ ყველანი სხვაგვარად ვცხოვრობთ, ვიდრე ვართ, — ამბობს იგი.

ეს იგივეა, რასაც პასკალი წერდა:

— ჩვენ კი არ ვცხოვრობთ, არამედ ვიმედოვნებთ, რომ ვიცხოვრებთ ხელად ამ ზეგ...

ამით ერთმანეთს ეთიშება „ცხოვრება“, და „სული“, „მოქმედება“ და „აზრი“. ერთი ნიღაბი ცვლის მეორეს და მოხერხებულად მალავს თავის ნამდვილ სახეს. ცხოვრებაც იმას უღიშის, ვისაც მეორე სახის, ანუ ნიღაბის კარგად მორგება შეუძლია. ასეთი ადამიანი თავსაც ადვილად დაარწმუნებს, რომ ეს ასეა და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს.

თვითონ ბენმაც ამიტომ შემოგვთავაზა დელფოსში აპოლონის ტაძრის ცნობილი წარწერის, „შეიმეცნე თავი შენი“, ახალი ვარიანტი: „შეიძინე მღვთმარება შენი“ ან სხვაგვარად: „შეეძლე სიტუაციას“. თუ ამას მოახერხებ, შეეძლება ორგანიზაციის ცხოვრება გქონდეს: ერთი აქეთ, მეორე იფიქრო. ყოველგვარ გაჯემოს, თუნდაც დანაშაულებრივს, შეეგუო, ხოლო სულა, ფიქრი, აზრი წმიდად შეინარჩუნე.

ბენს უნდა თქვას, რომ ასე იყო ნაიცისტურ გერმანიაშიც. კეთილი ნების ადამიანება ერთს ფიქრობენ, მაგრამ გაჯემოების იძულებით სხვას აკეთებდნენ, საქაროდ პიტლერს უშვებდნენ მხარს, გულში კი წინააღმდეგი იყენენ ყოველივე იმისა, რაც ნაიცისტურ გერმანიაში ხდებოდა.

ერთი სიტყვით, ბენისებური თვალსაზრისით მესამე იმპერიაში შეიძლებოდა ადამიანი ერთსადაცავე დროს გონიერიც ყოფილიყო, პატიოსანიც და ნაციონალ-სოციალისტიც. სამივე იპოსტასი იძულებით ეგუებოდა ერთმანეთს და, ამის გამო, არც იურდიულ მსჯავრდებას იშახლებებს და არც შორალურს.

ეს, რა თქმა უნდა, იმის ცდაა, რომ ნაიცისტების მიერ ჩადენილი დანაშაული შეარბილონ

ან სულაც გაამართლონ. ავი თვითონაც ამბობდნენ: გვიზარალებდნენ, გვიძულებდნენ და გვაკეთებინებდნენო. ეს იყო ყველა პიტლერული ბროტკომქმედის თვითგამართლებული ძირითადი მოღუსი. ესე იგი, მართალია, საქმით ვითომ ნაციონალ-სოციალისტები ვიყავით, მაგრამ პირადად არც გონიერება დაგვიკარგავს და არც პატიოსნებაო. ისე კი, ვინც ნაციონალ-სოციალისტურ აგიოტაეს არ აშუვა და ნამდვილად შეინარჩუნა როგორც გონიერება, ისე პატიოსნებაც, სულ სხვაგვარად აფასებდა ამგვარ ურთიერთობას:

— არის ადამიანის სამი თვისება: გონიერი, პატიოსანი და ნაციონალ-სოციალისტი. ამთავან ორი ზნობად უთავსდება ერთმანეთს, სამივე კი არასოდეს:

1. თუ კაცი გონიერი და პატიოსანი — ნაციონალ-სოციალისტი არ არის;

2. თუ გონიერი და ნაციონალ-სოციალისტი — პატიოსანი არ არის;

3. თუ პატიოსანი და ნაციონალ-სოციალისტი — გონიერი არ არის...

ეს ისე უშუველია, რომ არავითარი „ორმაგი ცხოვრების“ ზღაპარი არ შეუძლია ამის დარღვევა; არც გადაჭრით თქმა, თუ ამ სამი იპოსტასის რა ვარაიკა ჰარბობდა მაშინ გერმანიაში. ერთი რამ კი ცხადია, იმ სამს შეოთხეც უნდა დავმატოს: „თუ არც გონიერია და არც პატიოსანი — ნაციონალ-სოციალისტი“...

...როცა „პიტლერულ გერმანიაზე“ 'ლაპარაკი, ეს „მეოთხე იპოსტასი“ წარმოადგენს მის „უმრავლესობას“, შეიძლება „დიდ უმრავლესობასაც“ კი და თუ საქმე აქაც აღუგორიზზე მიდგება, გერმანელი ხალხის ამ სამწუხარო ფერისცვალეობის გასაგებად ისევე დანტეს მავალითი უნდა ვთავსებნათ:

„ქოჯობითს“ ოცდამეხუთე თავში აღწერილია ექვსეხუთე გველად ქვეულ კიანფა დონატოს ბრძოლა სამ ანტიდილოვან ერთთან — აგნელოსთან:

„ამქვსეხუთე გველი ზედ მიეჭრა ერთ-ერთს სამთავანს“

„შემოვქვიდა, მოეხეცა, შუა ჰანგებით
„მუცალზე, წელზე შემოვღო
გაცხარებულა.“

მერე წინა ჰანგებით წავარქვია, გელავეზზე მოსდო, ორთავ ლყაში გაუყარა, სუროსავით შემოეხეცა მთელ სხეულზე, რის შემდეგ ორავე ერთმანეთს გადაენსეცა, გადაეკენინა, შეეხორცა და შეედელა მათი ფერი და ხორცი ისე ბირია, ისე გათქვიფდა, რომ „არც ერთს არ შერჩა აღნაგობა უწინდებური“.

დანარჩენმა სულეზმა ეს საოცრება რომ ინახეს,

„წამოიძახეს: — „ო, აგნელო, გეცვალა სახე,

„ამერიიდან არც ერთი ხარ და აღარც ორა...“

მე შეგვენება, რომ ამის მსგავსი რაღაც მოხდა გერმანიის მიმართ. კიანჯა დონატოსებური ექვსეუბნა ველები შემოეხვედნენ თავიანთი ოჯახისა და ზელობის მოყვარულ გერმანულ ბიურგერებს და ორგვარ არსებობა იშვედნენ „უცხო რამ სახე“. მიაღებინეს, რომლის მსგავსი, მარტოლაც, კაცის ვიღაც არ მოსწრებია...

...ეს რომ ასეა, შეიძლება, სწორედ ამიტომაც იყო ძნელად ასახსნელი, თუ როგორ მოახერხეს პიტლერულმა კიანჯა დონატოსებმა გერმანელების ამ „დიდი უმარტოების“ ისეთ სისხლმორწყურებულ „უცხო რამ სახედ“ ქცევა, რომ მთელი კაცობრიობა შეაძრწუნეს თავიანთი გავტონარი ბორტოქოქმედებით. აბა, ისე ჰაიდან უნდა გაჩენილიყვნენ გოეთესა და ბეთჰოვენი გერმანიის მილიონობით კიანჯა დონატოსები, რომელთაც ნაიარტულად აქციეს მთელი ევროპა? ან პიტლერს რა შუაში ჰქონდა ისეთი, რომ სულ რამდენიმე წელიწადში მოსწამლა ამდენი ხალხის გონება. ისიც საინტერესოა ვაივით, თუ როგორ შემზადდა ეს საწამლაი გერმანიისა, რომელსაც „პოეტები“-სა და მთავარეგების ქვეყანას „უწოდებდნენ. ან რატომ მოხდა, რომ ევრატიობაში წინასწარმა გაფრთხილებამ ვერ დაიცვა მისგან ერთ დროს პატიოსანი და შრომისმოყვარე გერმანელები?

ბუნებრივია, რომ ამგვარი კითხვები ნიურნბერგის პროცესზედაც დაისვა. ფრანგმა ბრალმდებელმა ფრანსუა დე მენტონმა თქვა:

— როგორ აუხსნათ, რომ გერმანია, რომელიც საუფრენთა განმეოლობაში ეკვებებოდა კლასიკური სიძველეთა და ქრისტიანობის სიმდიდრით, თავისუფლების, თანასწორობისა და მსოფლიური სამართლიანობის იდეებით, რაც მუშაობის საერთო სავანძერს წარმოადგენს და რაშიც თავისი კეთილშობილური და ძვირფასი წვლილი თვითონაც შეიტანა, ასე უცნაურად დაუბრუნდა პრემიტიულ ბარბაროსობას?..

— ეს რომ ვაივით და დაუყოვნებლივ მივიღოთ ზომები, — განაგრძო მან — რათა აღმოვებრათ გერმანიის ბორტოქება, რამაც დაღუპვის პირამდე მიიყვანა ცივილიზაცია, უნდა გამოვავაშკარაოთ ნაციონალ-სოციალიზმის ღრმა და შორეული საფუძვლები.

ვიდრე ნიურნბერგში ნეშაიხდას მახვილი აღმართებოდა, ჩემი საზრუნავიც ეს იქნება. მე ხომ იურისტი არა ვარ, რომ მარტო ოცდამეერთი მოავარი სამხედრო დამნაშავეის მიერ ჩადენილი საქმეებით დაინტერესდებო. ამითაც, რა თქმა უნდა, მაგრამ არა ნაკლებ იმ იდეური წინამძღვრებით, ანუ სიტყვებით, რამაც პრაქტიკაში ის საშინელი საქმეები გამოიწვია. მათხალია, წმინდა წიგნებში წერია, „საქმითა მათთაებრ განისაჯონ ისინიო“, მაგრამ მე მინ-

და ამას დავუმატო „სიტყვითა მათთაებრაც“, რადგან ზოგჯერ სიტყვა უფრო დამნაშავეა, ვიდრე საქმე.

ნიურნბერგში ინგლისელმა პრაქტიკებულმა შოტროსმა ლორდ ასტონის სიტყვებით ვახსენა:

— მკვლელობა უდიდესი დანაშაულია, მაგრამ არც დამხმარე თუ დამხმარის დამხმარეა უკეთესი, ვიდრე მკვლელი; მკვლელობის თეორიტიკოსი კი ყველაზე უარესია.

მეც ამიტომ მინდა ნიურნბერგის სამსჯავროს წინაშე წარმოსახეთ მაინც მოუქმნი ვონგუნა და ქუშმარიტების „დიდი ბატონებს“, ცოცხლებსა თუ მკვდრებს, რომელთაც თავიანთი „ფრთხილ განათლებული სიტყვებით“ ზელი შეუწყვეს „მკვლელობის თეორიტიკოსებს“ იმ საშინელი საქმეების წასაქებლად. ნებისთ თუ უნებლოდ, ეს სულერთია. ამით შეიძლება დანაშაული დამამძღეს ან შემუსუბუქდეს, მაგრამ პასუხისმგებლობას მაინც ვერავის მოხსნის...

სიტყვა და საქმე...

ამიტომაც, რომ ამ ახლო სატყუარს მეც შორეული ამბებით ვებლანდავ, და ვფიქრობ:

— რას უფრო მძიმედ აწევს „პირველყოფილს“ და მისი ისტორიაში ხანგრძლივობის დანაშაული, სიტყვას თუ საქმეს. ე. ი. ვან მერტ სასჯელს იმსახურებს, ვინც დანაშაულგებრივ აზრებს ქადაგებს, თუ — ვინც მათ ანბორციულებს?

ამ კითხვას რომ ძირამდე მისდიოს კაცმა, ისევე ძველი მეტაფიზიკური კითხვა წამოიჭრება: რა იყო საწყისის საწყისამდე: სიტყვა თუ საქმე?

იოანეს საბარებაში, მოგვხსენებთ, ასე წერია:

— პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი...

მერცე ამბობდნენ: ყოველივე განისაზღვრება სიტყვით. სიტყვაა საფუძველი და სიტყვისაგან წარმოსდგება ყოველი... და რომ „სიტყვა იგი“ სამყაროს დაბადებამდე „თქვა“. კერძოდ, ვინა „თქვა“ „იგი?“ ღმერთმა? ეთიოლი, მაგრამ ღმერთიც ხომ „სიტყვაა“. გამოდის, რომ სიტყვამ თქვა სიტყვა და იქცა საქმედ! ეს კი შეუსაბამოა.

აღბათ ამიტომ იყო, რომ გოეთეს ფაუსტსაც არ მოუწონა საბარებაში გამოთქმული აზრი, არ შემძლია ვიწაო სიტყვა ამ ძალად“ და პირველად იყო გონებათა თქვა, მერც ძალა, მაგრამ საბოლოოდ მაინც საქმე არჩია.

— ვწერ თამამად, რომ პირველითგან იყო საქმე, — განაცხადა მან.

ამრიგად, რაც „პირველ სიტყვას“ და „პირველ საქმეს“ შეეხება, მე თუ მკითხავთ, ამის

თავსა და ბოლოს ვერაინი იპოვის. ცხოვრება-ში კი, მგონი, უფრო ხშირად სიტყვა უსწრებს საქმეს. ჯერ იტყვიან და მერე აკეთებენ. თუ ეს საერთოდ ასეა, მით უმეტეს, ნაციონტურ გერმანიაში, სადაც სიტყვას რაღაც საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. სწორედ აქ შეიქმნა ის *Lingua Tercii Imperii (LTI)* ანუ „მესამე იმპერიის ენა, რისთვისაც გამოყენებულ იქნა, როგორც ბიბლიურ-ქრისტიანული სიმბოლოცა, ისე „ღვთის სიტყვის“, როგორც ყოვლის შემოქმედ ღოვოსის უძველესი ფილოსოფიური ვაგება. აქ გაერთიანდა აღმოსავლურ-დასავლური რელიგიური რწმენა „გვაგვიანი“ ანუ „განხორციელებული“ სიტყვისა, რასაც დავით აღმაშენებელმა „ხორციქმნა სიტყვისაჲ“ უწოდა. ე. წ. „წმიდა წიგნებში“ წერია, რომ „განხორციელებული სიტყუად ღმრთისა არის ქრისტე“. „ღმერთმა თქვა და სიტყუად იგი ხორციელ იქმნა“. მთელ აღმოსავლურ რელიგიას მოჰყვება „ღვთის სიტყვის“ ამგვარი განკაცების იდეა. ზენდ-ავესტაში ლაპარაკია „ხორციქმნილი სიტყვის“ შესახებ. უპანისაჲის მიხედვით, ღვთის სიტყვა სიბრძნეშია განკაცებული. „სიტყვის განკაცების“ ეს საიდუმლოება ცნობილია, როგორც ძველი აღმოსავლეთის, ისე ქრისტიანული დასავლეთის სამყაროში. იგი ეკაბრისა და ბოჰემს ნისტაიერ-მატერიალისტურ მოძღვრებაშიც ჩნდება და როზენბერგის „XX საუკუნის მითვის“ გზით შემოდის ნაციონალ-სოციალისტურ იდეოლოგიაში. სწორედ ამ „განკაცებული სიტყუებით“ შესძლეს პიტლერებმა მოეწამლათ გერმანელთა უმრავლესობის გონება. ეს იყო მასობრივი ფანატიზმის ენა, რასაც შელოცვის ძალა ჰქონდა. საკრალური სიტყუებით აღგზნებულ ბრძნოს შთავგონებდნენ, რომ მოდის ახალი მესია, მოდის მხსნელი და მოაქვს სასწაული: *Heiland* — აღთქმული ქვეყანა, ანუ გერმანელი ხალხის ახალი ათასწლოვანი იმპერია... ამ „იმპერიის წმინდა ენაში“ (*Lingua sacri*) არ იცის რაფთა ცნებები, როგორცაა ხსნდის, მონანიანება. შეწყალება, ზნობა... სამაგიეროდ სრულიად ახალი მნიშვნელობა ენიჭება ძველ სიტყუებს: სისხლი, ბრძოლა, თავგანწირვა და სხვ. ამით ბოროტების ენა სძლევს სიკეთისას, რის გამოც ერთიე ისევე უნდა იქნას თემიდას სასწრაფო დაღებული, როგორც მეორე. ერთიე განსაყვლია და მეორეც, რათა ეთოლსა ეზღოს ეეთილი, ხოლო ბოროტსა — ბოროტი, თორემ ისევე იმ „შხამიან ნექტარს“ შემოგვაპარებს ვინმე და იტყვის, „ბოროტება სიკეთისაჲცენ მიისწრაფისო“. მერე ეშმაკიე ჩავეიჭრება სულში და დავეიჭვებს მტციეებას, „ბოროტი ე მსურს, მაგრამ სიკეთე გამომდისო“. ასე რომ მივეყრდ, ვინ იცის, სანამდე მივალთ. იქნებ ეეთილი და ბოროტი, ღმერთი და ეშმაკი სიტყუა და საქმე ისე ავეერიოს ერთმანეთში, რომ აპო-

კალიპსის შემამრწუნებელი სიტყუები/ვაგვასენდეს:

— და ეიხილენ ტანი ვანტემენდენს... ეს ან ციენი სეტაკია, და მკლომატსას „შას სიტყუა ქყოდეების სარწმუნოა და კეშმარიტი. მერედა რა სახით წარმოადგება „სარწმუნოა“ იგი და „კეშმარიტი“ წმიდისა მხარებლისა და ღმრთისმეტყველისა იოანეს წინაშე:

— და ემოსა სამოსელი შელებილი სისხლითა, და წოდებულ არს სახელი მისი: „სიტყუად ღმრთისა.

წარმოადგენიათ? ღმრთის სიტყუა სისხლიან სამოსელში თუ ასეა „სატანის სიტყუა“ რათ უნდა შეიმოსოს? იქნებ ბისრითა სპეტაკითა და ბრწყინვალითა ან პორფირითა და ძოწველითა შემკული ოქროთა და ქვითის პატონინითა? ისე ხომ შესაძლებელსა, რომ სატანამ ღმრთის თაეზე ნათელი მოხალის და თვითონ დაიდვას რკებზე?

ძველია ამ საკითხებში ჩახედვა, მაგრამ ამ აღვეგორიების თანამედროვე მოდელებში მაინც უნდა გავერკვეთ, რომ ჩვენს თვალწინ ვადაშლილი შემამრწუნებელი ამბების მიზეზთა მიზეზს ვესწორით თვალი, რადგან, ვოთეისი არ იყოს, „ბოროტება საფუძველს კი არ ეტებს. არამედ მიზეზს“...

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ეს საჭირო არ არის, მაგრამ, მე თუ შეითხავთ, საჭირო კი არა, აუცილებელიცაა, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება იმ სამიწილი ამბების მიზეზებსა და შორეულ საფუძველებში გარკვევა. ისე კი ზოგს სვონია, იდეოლოგიური შხამი, რასაც „ნაციონალ-სოციალიზმი“ ეწოდა, პიტლერთან ერთად დაიბადა და მასთან ერთადვე მოკვდა. არა, ის ღორბინის ლოკოინი დიდი ხანია რაც ისტორიის შთავაზნებ მომბოლავს. პიტლერი მხოლოდ ნიგარა იყო მისი. მართალია, მოკავშირეთა საერთო ძალებით ის ნიგარა დამსხვრეტელ იქნა, მაგრამ ლოკოინა მაინც ვანავრძობის თავის გზას და ეტებს ახალ თავმესაფარს. მას მომხრები ბევრი ჰყავს და ზელის შემწყობი. იმ-მა ნაციონალ-სოციალისტური სარეველა კი მოეცლა, მაგრამ ფესვები მაინც დარჩა. საჭიროა მათი ამოწირვა. ეს რომ შეეძლოთ, კარგად უნდა ვიცოდეთ მისი ხასიათი და ისტორიული ჰარობები, რამაც ის წარმოშვა.

ჩემთვის ეს საქმე რამდენადმე ვაადვილებულია, რადგან თითქმის ყველა საჭირო მასალა ხელთა მქვს. ამ მხარე დიდი დახმარება გამოიწია კარლსმარსტის ბიბლიოთეკაში მუშაობამ. ბიბლია ხომ იქვე ჰქონდა და ჩემი ზელობის კაცს მერი რაღა უნდოდა...

სულიერი სახზლავო...

შელამდა, მე წაეალ იქ, სადაც სიზმრები წიგნებში დაბლობენ დახტულ თვალეებით.

გალაქტონის ეს სიტყვები გამახსენდა, როცა კანფა დონატოსთან საუბრის შემდეგ, ჯოჯოხეთის იმ ბიბლიოთეკაში ავედი. სადარბაზოს პორტალზე ოქროს ასოებით ეწერა: **Libri amici, libri, magistri** (წიგნები—მეგობრები, წიგნები — მასწავლებლები). სამკითხველოს ზემოთ კი: **Alit lectio ingenium** (კითხვა ევებას გონებას).

ჩემი ირგვლივ მხოლოდ გერმანული წიგნები იყო, თარგმნილი თუ ორიგინალი. უფრო საპატრო ადგილას, სპეციალურ კარადაში, პატრულირის სახარება „ჩემი ბროლი“ იღო, ნათესავების უდიდესი ჩასმული და ოქროთი მოვარაუბელი, მერე როზენბერგის „XX საუკუნის მითი“. გებელსის რომანები და სხვა ნაწიკტი იდეოლოგიების წიგნები. დანარჩენ თაროებზე კი მთელი კლასიკური გერმანული ლიტერატურა, ჩვენი საუკუნე ემიგრანტულ ნაციონალ-სოციალისტურად მოახროვნი ფილოსოფოსებები და მწერლების წიგნებით იყო წარმოდგენილი. როცა მათ ვფურცლავდი, უნდა გამოვტყუდე, ისეთი გრძობა მქონდა, როგორც შუასაუკუნეების ღვთისმეტყველებს მკეთური წიგნების კითხვის დროს; ან თუნდაც თომას შანის სერენუს ცაბტლობს, რომელიც ადრინა ლუვერკონის მიერ სანოტო ქალაქებზე დაწერილი აღსარებას კითხვობდა, მის „შემამარწყუნებლად სხვათთან“; ან ეშმაკთან, საუბრის შესახებ. ალბათ ამიტომ იყო, რომ იმ საღამოს რაღაც უსიამო გრძობამ შემიპურა. ეს ვახიბივით ჩალაგებული ტომებიც უფრო მამს იწყებდა ჩემში, ვიდრე აღტაცებას. თან ისეთი სანარინებური სარეჟე იდგა, თავი მიტოვებულ სასაფლაოზე მეგონა. პოლ ვალერი ამგვარ ბიბლიოთეკას, მართლაც, „სულიერ სასაფლაო“ უწოდებს, სადაც „გარდაცვლილ ქემშარბიტებათ მარადილი ღმერთი“ სუფევს, „შარბავანლით მოსილი“ თუ „სახელმძოხვეილი ღმერთი“ — უმეტესს იგა. აქ, ამ სულიერ სასაფლაოზე განისვენებს, კაცობრიობის მთელი ისტორია, „ყველაფერი, რაც იყო და რაც არ იყო“, ქემშარბიტი თუ ცრუ, მოგონილი თუ ნამდვილი. ყველაფერი შეიცვალა მათ ვარშემო, ეს „ობობის ქსელით დაბლანდელი ტომები“ კი ისევ ისე დარჩა. მართალია, მათ უკვე ნესტის სუნე სდებ, მაგრამ მოვარაუბელი ყუბები მაინც ამპარტანულად გამოიყურებთან თაროებთან.

მერკადა, რა მისცა ამან კაცობრიობას, ან იმ საყოლაგ ადამიანებს, რომელნიც, ისევ იმ ვალერისა არ იყოს, „დღემდე ამაოდ დამწიწიან ცხოველური ნუღიდან ღვთაბერიობის უმადლესს მიშნამდე, მაგრამ თავიანთი ბედი მაინც ვერ უპოვიათ“...

...ვიცო, ეს ისეთი მკრებელური აზრია, რომ მაშინვე „ფიი ეშმაკო“ უნდა მეთქვა და მზარ-

მარცხნივ ვაღამეფურთებინა, მაგრამ იმ „შემამარწყუნებლად სხვა“ ეტყობა, მეც ისე ამპიონდა თავისი „ბელაღი“, რომ არაფერი მიღწევამს. ისე კი მეჩვენებოდა თითქოს ჩემი დარჩების კლავებზე ვილაღ სხვა უარაღად, „ჩემვე სხვა“, რა თქმა უნდა, მაგრამ ტანში მაინც მაგრიალებდა. აბა, რა სასიამოვნოა, როცა შინში ვილაღ სხვას გრძობ, რომელიც შენ თვითონა ხარ. ზოგჯერ მისი დამცინავე ხიბობით და ნაცობი სიტყვებიც გესმის:

— ეამ თქვენდა, მწიგნობარო და ფარასველრო ორგულრო, რამეთუ მიმშგავსებულ ხართ საფლაოთა განვოზოლოთ, რომელიც ჩანედ გარეშე შეენიერ, ხოლო შინაგან საესე არიედ ქალაქებთა მქუღარათათა და ყოვლითა არამიღებთა...

ეშმაკი რომ წმიდა წიგნების ენით დაგირყებს ლაბარაკს, ამაზე საშინელი რა არის! ან რა გასაკვირია, თუ ასეთ დროს შინში შეგბიყრობს კაცს. ეს შინში მე უფრო მიძლიერდებოდა, როცა თაროებიდან იმ „ყვესფერ წიგნებს“ ვიღებდი. ასე მეგონა, რაღაც იღუმალსა და გარძალულს ვეხებოდი, რათა ბნელი ადამიანებში სულიერ უფსრულში ჩამეხვდა. მერკადა, ვინ მაძალუბდა ამს? არაი. ჩემივე ცნობისმოყურებობა, სხვა არაფერი მე ხომ პიტლურათა ყველა იმ ბარბაროსულ მოქმედებასთან შედარებით, რაზედაც უკვე ვიამბეო, უფრო საშინლად ის ძალადობა მომჩანია, რაც მათ ადამიანთა სულიერი სფეროს მიმართ გამოიჩინეს. ეს იყო მთავარი, რადგან, დარწმუნებული ვარ, ნაცისტური ფილოსოფიიდან „მთელი რასობრივი ელემენტების“ ვაღვტამდე, ერთი ნაბიჯია. სიტყვა და საქმე აქ მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს: რასაც ქალაქებდნენ, იმასვე აკეთებდნენ...

შხანიანი ამბარნი...

უკვე გვიან იყო, მაგრამ მაინც მივეყვი წიგნების გრძელ თაროებს. მსოფლიოს მთელი კლასიკური მწერლობა იყო აქ წარმოდგენილი. მე ყოველთვის დიდი მოწიწებით შევეყურებო ბიბლიოთეკების წიგნებით საესე თაროებს. მე კი არა, მილიონობით ადამიანები. ზოგს კი ამგვარი ბიბლიოთეკები თავიანთი სულიერო ცხოვრების განუყრელ ნაწილად მიჩანდა. შობენმაუერი წერდა, ბიბლიოთეკა რომ არ მქონოდა, სასოწარკვეთა დიდი ხნით ადრე, მომიღებდა ბოლოსო. იგი ნათობდა, სიკვდილის შემდეგ რომ უნდა გამოთხოვებოდა თავის საყვარელ ბიბლიოთეკას. თან იმას სწუხდა, დრო რომ არ ყოფნიდა ყველა საჭირო წიგნის წასაკითხად:

— რა კარგი იქნებოდა, წიგნებთან ერთად მათი წასაკითხი დროც იუიღებოდესო, — ამბობდა იგი.

მიუხედავად ამისა, იმავე შობენმაუერი უთქ-

ვამს, ცუდი წიგნი ისეთი ინტელექტუალური საწამლაოა, რომ შხამავს ადამიანის სულსო.

მართლაც, რა გულბრწყელობაა ზოგადად ამტკიცო — წიგნი შენი მეგობარია, რომელიც არასოდეს მოგატყუებსო. მოგატყუებს კი არა, ისეთი შხამით მოგწამლავს, რომ სულ ეშმაკის ნაქალებზე გატარებს...

ასეა წიგნებში შხამიც ბერია და ნექტარიც მაგრამ ორივე ერთად, ესე იგი, „შხამიანი ნექტარი“ ისეთი „უცხო რამ სახეა“, რომლის ქიმიური შემადგენლობის ამოცნობა არც ისე ადვილია...

...ამბობენ, პიტლერსაც დანტეს მორიელივით ორმაგი ქანკი ჰქონდა, ერთი ნექტარით (გერმანელებსათვის), ხოლო მეორე საწამლაოთ (სხვა ხალხებისათვის) საესეო. სინამდვილეში ის „ნექტარი“, უფრო შხამიანი აღმოჩნდა, ვიდრე საწამლაო. ისე კი პიტლერი ორივეს ერთნაირი გულმოდგინებით იყენებდა. იგი ნაციონალ-სოციალიზმის „სულიერი სუბსტანციისაგან“ შემზადებულ „შხამიან ნექტარს“ ასმევდა ევრასლის ხელშეკრულებით, თუ სხვა რამ მოტრევივით, განაწყენებულ გერმანელებს. ისინიც ლაქმსის ქალადღვით ივლინებოდნენ ამ საწამლაოთ, ვიდრე ვაგისფერი ნადირ-კაცების ის „უცხო რამ სახე“ არ მიიღეს. „უცხოო“ იმიტომაც ეამბობთ, რომ მანამ გერმანელების დიდ უმრავლესობა თავიანთი ოჯახისა და ხელობის მოყვარული, მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ. ისეთ ოჯახს ვერც ნახავდით, სადაც ზელსაზოცება და პირსაზოცებზე ჭრისტეს ათი მცენების რომელიმე შეგონება მაინც არ ჰქონოდათ ამოქარგული. ახლა კი ისე ადვილად მოეცინეს ამ ანტიქრისტეს გავლენის ქვეშ, თითქოს ეს მართლაც მათი ბუნებიდან ყოფილიყო გამოძრინარე. მე ისეთი შთაბეჭდილება მჩნება, რომ ამ მხრივ გერმანელები უფრო შკაცრ მსჯავის დებენ თავიანთ ერს, ვიდრე სხვა ხალხთა წარმომადგენლები. ეს ნიურნბერგშიც იგრძნობოდა. ერთ-ერთმა დამკველმა თქვა კიდევ:

— ბრალმდებელთა სასახელოდ უნდა ელიათ, რომ არც ერთ მათგანს გერმანელი ხალხი არ გამოუტყდადებია პიტლერულთა დანაშაულის მოზიარებლო (Mit shuld) ის კი არა, ლოურენსი კრამლადა კიდევ „საერთო გერმანულ დანაშაულზე“ ლაბარაკს. ასე შავალოთად, როცა დამკველმა კაფემანმა დაიწყო მსჯელობა გერმანელი ხალხის დანაშაულისათუ შეიკოლების შესახებ, ლოურენსმა შავიდას ჩაქერი დაქრა და შეაწყვეტინა:

— ჩვენ აქ ბრალმდებელთა დანაშაულს ვიხილავთ და არა გერმანელ ხალხისო.

მიუხედავად ამისა, ფრანკი მაინც თავისას იმეორებდა:

— ბარბაროსობა უადრესად გერმანული — რასობრივი ხასიათია. აბა, ისე პიტლერს რა-

ვორ შეეძლო ამდენ მკვლელობაზე გრძნობის გაყვმა. მე შეგრწენებული ვარ იმაზე ფიქრით, რომ სწორედ პიტლერითი სრულყოფისათვის წყარო.

ასე. ვასინყვით, გერინგიც გამოთქავდა ამგვარ აზრს. როცა ციხის კამერაში მასთან ჭილბერტი შევიდა და მასობრივ მკვლელობებზე ჩაოთვლოდ ლაბარაკი, გერინგმა აქეთ-იქით გაიხედა და უბრალო, მე ვგრძნობ, რომ გერმანელი ხალხი სამუდამოდ იქნება დაწყველილი ამ სიმხეცის გამოო.

შემდეგ ეს საკითხი ბიბლიურ მითებსაც დაუკავშირეს, და რაღაც „თანდაყოლილ გერმანულ ცოდებაზე“ დაიწვეს მსჯელობა. ეშმაკსაც ამტომ უბოძეს „წარმოშობით გერმანელს“ ანუ „ნამდვილი გერმანელის“ ტიტული. ამას მოჰყვა გერმანელი ფილოსოფოსის იასპერსისა, შესაძლებელია, პარადოქსული, მაგრამ მაინც საყმაოდ გვესწარავი „ხუმრობა“, ღმერთმა გერმანელმა მაშინ გაგვიჩინა, როცა ვაბრაზებული იყო. (in seinem Zorn erschaffen იგივე იასპერსი წერს, იმდენად პიტლერი კი არ არის დამნაშავე, რამდენადაც ხალხი, რომელიც მას მიყვებოდაო.

თუ სხვები ზოგადად ამბობენ, ეშმაკი თვით ადამიანის ბუნებაშიაო, იასპერსი აქ „ადამიანის“ შავიერად „გერმანელისო“ წერს და ამის საბუთად გოთეთს ავტორიტეტს მიმართავს:

— კიდევ ორი საუფრე უნდა გავიღვს, რომ საყმაოდ დაეშორდეთ იმ დროს, როცა ბარბაროსები ეიყვანითო, — უთქვამს მას. ბარბაროსები კი იასპერსის განმარტებით, ეს ის ხალხია, ვინც „თავისი შესაძლებლობა მანამ ამოსწურა, ვიდრე კულტურას შექმნიდა“ და ისევე გოთეთ: — უნდა მთელი საუფრე ეიკადოთ, რომ „კავერკვეთ, ვინა ვართ ჩვენ აბსტრაქტული სწავლულები, თუ ადამიანები?

რაღაც ამის მსგავსს თერმე პოლდერლინაც წერდა:

— გერმანია ის ქვეყანაა, სადაც ხელოსნები არიან, მაგრამ არა ადამიანები, მოახროფენი, მაგრამ არა ადამიანები; მღვდლები, მაგრამ არა ადამიანები; ბატონები და მსახურები, მოხეტეები და ახალგაზრდები, მაგრამ არა ადამიანები...

როგორც ჩანს, ეს „პრობლემა“ ნაცშესაც აწუხებდა: „გერმანელი არსი ჯერაც არ არის გამოკვეთილიო“ — უთქვამს მას. ისიც: გერმანელები ჯერ არაფერი არ არიან, მაგრამ მალე გახდებიან რამეო. შეიძლება ამგვარი თვალსაზრისიც უწყობდა ხელს „საერთო გერმანული დანაშაულის“ საკითხის წამოჭრას. ვიმეორებ, რომ ეს საკითხი თვითონ გერმანელებშია დააყენეს. როცა სხვები, თუნდაც დაზარალებულ ერებს წარმომადგენლები ამბობდნენ, „საერთო გერმანული დანაშაული“ აქ არაფერი მოსატანია, რადგან ეს კულტურული ხალხი უფრო დანაშაულებრივი ზეგავლენის მსხვე-

რძალად იქცაო, ისპერსი ირონიულად უპასუხებს:

— კი, მაგრამ ის „კულტურული ხალხი“ რომ აღტაცებით ხედებოდა პიტლერულ დამწმენკეებს?!

მეტოც, იგი პირდაპირ ამბობს:

— ეს ჩვენ შევეშენით დანაშაულებრივი სახელმწიფო, რაც გერმანელი ხალხის უმრავლესობის ხასიათის გამომწივანებას წარმოადგენს...

მეგრედა, ისპერსი ხომ გერმანელი ფილოსოფოსია და არა ჭკარცმული მარკოვი, რომელიც ძილშიც თავის კომპარებს ებრძვის!

რაც შეეხება „კულტურულ ხალხს“, თვით თომას მანიც კი მანიც უუარებს გერმანელებთან „კულტურის“ ცნების დავაშირების შესაძლებლობას. „ცივილიზაციის“ კი, რა თქმა უნდა, მაგრამ „კულტურის“!

თუმცა, ნაცისტები მწერლები არც ცივილიზაციას ენობდნენ. დინგერა წერდა:

— ერთხელაც იქნება, ჩვენი ახალგაზრდობა აღგება და მილერ-მოლერაჟს ყველაფერს, რასაც ცივილიზაცია ეწოდება...

რატომ, ვინმე რომ ივითბოს, უპასუხებენ:

— იმიტომ, რომ ცივილიზაცია დაბერებულ-დამაზანაყებელია, ხოლო ახალგაზრდულია ბარბაროსობა...

...აბა, ამის შემდეგ იმ მარკოვის ექვებისა, მართლაც, რა უნდა ვამიყვირდეს. ის კი არა, ერთხელ რომ ამანუ ჩამოვიარდა ლაპარაკი და მე საწინააღმდეგო არგუმენტებად, როგორც ყოველთვის, ლუთერის, გოთეს, ბეთჰოვენისა და სხვა გერმანელი გენიოსების სახელები ვიშეშეღე...

ზიზლით შემომხედა და ზურგი შემაქცია.

მერე, როგორც ჩანს, თვითონაც იგრძნო ამის უბრაულობა, მომიბრუნდა და მკუნებნა:

— შე სულელო, ვანა მე არ ვიცი, რომ ისინი გენიოსებია, მაგრამ როცა წარმოვიდგენ, ათასობით ბავშვებს როგორ მიეჩვენებოდა ვაზკამერებსა და კრემატორიუმებში, ან ჩემი დაბუღული ცოლშეილი გამახსენდება, გოეთესა და ბეთჰოვენის გენიოსობა რას მშველის მაშინ?!

არაფერი მითქვამს, მან კი სული მოითქვა და დაუმატა:

— სხვათა შორის, არც ამ შობელძალდ გერმანელებს, ასე გაუბედურებული რომ დაეთრევიან ბერლინის ნანგრევებში...

ბაი იოხანის წყევლა...

ახლა, რა თქმა უნდა, ამაზე ლაპარაკიც საერთოროა, მაშინ კი სხვა იყო. მარკოვი კი არა, მახსკეს ნიურნბერგში, ჩემს საცხოვრებელ ოთახში, ერთი-ორი დღით რატომღაც დამატობის საწოლი დადგეს და რომელიღაც ცენტრ...

რალერი გახეთის კორესპონდენტად ჩამოსული ცნობილი მწერალი ლეონიდ ლეონოვი შემოსახლეს.

მეორე დღეს პროცესზე ბრალდებულები პიტლერელთა ბარბაროსობის საშინელ დოკუმენტებს ადგენდნენ. ეს სწორედ ის დღე იყო, როცა იუსტიციის პოლკოვნიკი სმირნოვი ყვებიდა, საკონცენტრაციო ბანაკში რა მეთოდებით ხოცავდნენ პატიმრებს, დიდებსა თუ პატარებს: — ფაქტები, მხოლოდ ფაქტები, — თქვა მან და ჩამოთვალა:

...ტყვეების გამოყენება ცოცხალ სამიზნედ ან კივით ზელში სროლა. თუ კიქს მოხვდა, არაფერი. გადაჩრა. თუ ზელში — დახვრეტა. სულერთია, მუშახელად არ გამოდგებაო.

...ჩვილი ბავშვების:

...ერთ ფეხზე ზღის ჩაყვება, მეორეზე ფეხის დადგმა და შუაში გახლეჩა მშობლების თვალწინ...

...ქასრში ჩაყრა და გაყინულ წყალში ჩაბრძობა.

...დღეის მკერდზე ხიშტით „მიქვდება“.

...კრემატორიუმის ღუმელში ცოცხლად ჩაყრა.

...პატიმრების უკან გადაგრებილი ხელებით ან თმებით ჩამოკიდება და „საქანელას“ თამაში.

...შევიბიბი: ძაღლების მისევა სამხედრო ტყვეებზე. ვისი ძალი უფრო აღრე „მორჩილა საქმეს“ — ჭიღლო.

...მუცლის გამოფატვრა, ნაწლავების გამოწვლა, ნაქუწ-ნაქუწად აქნა და, ვინ იცის კიდევ რა. თან ყველაფერი მუსიკისა და ვართობის მოყვარულ ესეხელების საერთო ხარხარის თანხლებით...

...იმ საღამოს ლეონოვი რომ შემოვიდა ოთახში, ნორმალურ ადამიანს არც ჰგავდა, ისე იყო შეშლილი ყოველივე იმით, რაც იმ დღეს ნახა და მოისმინა.

მერე, როგორც იქნა, დაწყნარდა, წინ საბეჭდი მაქანა დალოდ და სტატიის წერას შეუდგა. მე სასტუმრო ოთახში ჩავედი. მართალი ვიბარბო, თვითონაც ისე ვიყავი თავგზააბნეული ნანახითა და გაგონილით, რომ ძილი აღარ შემეძლო. მე კი არა, მივილი ჩვენი „გარნიზონი“ ჟურტრის სკასავით ზუზუნებდა. ყველა იმ „შიმიფ დღის“ შობაბეჭდულების ქვეშ იყო და არც არავის ეძინებოდა.

— კიდევაც რომ ჩამეძინოს, ის კომპარები სიზმარში ჩამყვებო, — მიიბრა მარკოვმა...

...ოთახში რომ დაებრუნდი, ლეონოვი უკვე ამოთარებდა სტატიას. ხომ არ გვიძინებოთო — შეიბოთა. არა-მთქვი უუპასუხე. აბა, თუ არ დაგუბარებოთ, ეს სტატია წაიკითხეთ, ისე ვარ შეძრწუნებული, რომ არ ვიცი, რა გამოვიდო.

სიამოვნებით-შეთქი მივუგე და კითხვას შევეუ-
დები, მაგრამ...

ღმერთო-ჩემო! რა იყო ეს! სტატია თუ ბენ-
იონის წყველა გუცოვის „ურთილ დ' აკო-
ტიდა“! იგი ახსენებდა ნიურნბერგის ძველ სა-
ხელგანთქმულ მოქალაქეებს და რატომღაც
ჩრტულ უხსენებდა ყველას. ასეთი სტრიქონი
ჭკონდა, ამიფურთხებია შენი მანს საქსისა და
დიურერისთვის...

...სტატის კითხვა დაემათაერე, მაგრამ ერ-
ხანს გათქმებული ვიყავი. არც ვიცოდი, რა შეთ-
ქვა. ძალიან მეუხერხულებოდა რამე შენიშვნა
მეკადრებინა სახელგანთქმულ მწერლისათვის,
არა და...

— ჰა, რაო, არ მოგეწონათ? — მეითხა მან.
მე უხერხულად შევიშტუშნე და ძლივს გავუ-
ბედე:

— არა, სტატია, რა თქმა უნდა, კარგია, მაგ-
რამ მანს საქსა და დიურერმა რა დააშავეს,
მიმიფურთხებია მათთვის, რომ წერო?

პასუხის მაგიერად გაციებულად შემომხედა:
— მართლა ეწერ ამას!

გამეკონა, იტალიელი პოეტი ალფიერი და-
მით შემოქმედებითი ექსტაზის დროს რომ
ლექსს დაწერდა და დილით გადაიკითხებდა,
იყურებდა: ამი, მე არ მიწილოდა ამის დაწე-
რაო.

რადაც ამის მსგავსი დაემართა ლეონოვსა-
ც, ასე წერო-შეთქი რომ ვუთხარი, სტატია
გამომართო და ერთხელ კიდევ გადაიკითხა. მე-
რე უხერხულად გამიღმა და მითხრა:

— ეს სტატია თქვენთვის მომიცია ამ კომ-
მარული დღეების სახსოვრად, წაიღეთ, მე
სხვას დაწერ, თორემ აქ, მართლაც არასწორა
მისამართით გამიფურთხებია...

ის სტატია ახლაც ჩემთან ინახება...

...ანდა „მისამართების დაზუსტება“ მაშინ
არც ისე ადვილი იყო. ახლა კი, როგორც იტყ-
ვიან, ყველაფერი თავის ადგილას დადგა. ბო-
როტებისა და სიკეთის განზომალებებიც და-
ზუსტდა და ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ
„დანაშაულებრივი გერმანიის“ გარდა არსებობ-
და „სხვა გერმანია“, რომელსაც ნამდვილად
გაისისბლიანებულ პერანგე ეცემა მართლაც,
ნაციისტური დიქტატორის დროს „ნუკუთ ბო-
როტი“ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე „ნუკუთე
კეთილი“. მაგრამ მომავალი მაინც იმას ეუთუ-
ნოდა, ვინც პირველი იმოსტასის ჯგუფს წარ-
მოადგენდა...

მიხეილ კვიციანი...

იასპერსმა სპეციალური წიგნიც უქდენა ამ
საკითხებს. ნიურნბერგის პროცესის დამთავრე-
ბიდან ერთი წლის შემდეგ მან გამოსცა თავისი
Die Schuldfrage („დანაშაულის საკითხი“),

რამაც დიდი გამოხვევა გამოიწვია. ცხადია,
ყველას აინტერესებდა, რას იტყოდა
გამომჩენელი გერმანელი ფილოსოფოსი, თავი-
სი ხალხის პასუხისმგებლობაზე. სწორედ ამიტომ,
რომ იასპერსი არც გერმანის ყველაზე მწიკვე
საკითხების დასმას.

— ახლა მთელი მსოფლიო ბრალს დებს გერ-
მანიას და გერმანელებს, — წერს იგი, — ჩვენ
დანაშაულზე აღმოვთებით, ზიზღითა და სი-
ძულეობით ლაპარაკობენ. ისინი მოითხოვენ
დასჯასა და შურისძიებას... ჩვენ გვიწინა
ეოცოდ, სიმართლიანაა ეს თუ არა. გერმანელებს,
ყოველგვარი გამოჩაღისის გარეშე, ეალ-
ღებული ვართ გავვრცეოთ ამ საკითხში. რასაც
მსოფლიო ფიქრობს, ეს ჩვენთვის სულერთი
როლია. ჩვენ თავს ვერ დაგუბავთ იმაზე,
რომ დღეს სიტყვა „გერმანელი“ უსიამოვნო
გერმონას იწვევს. ჩადენილი დანაშაულის სა-
კითხი, ჩვენი საკითხია. იგი ეხება ჩვენს ღირსე-
ბას და აქ მხოლოდ საკუთარ თავთან გვაქვს
საქმე...

...ინჰერსი მოუხმობს ფილოსოფიასა და თეო-
ლოგიას დანაშაულის საკითხის გასაჩუქევად. იგი
წერს, რომ ამ შემთხვევაში მშვიდი ტეშმარ-
ტებაა საურო და არა ბრალდების დამიძება.
მისი აზრით, გერმანელებს ოთხგვარი დანაშა-
ულთან აქვთ საქმე. ეს არის: კრიმინალური,
პოლიტიკური, მორალური და მე-
ტაფიზიკური დანაშაული. პირველის ხასი-
ათი ყველასთვის ცხადია, მეორე — საერთა-
შორისო სამართლის სფეროა, მესამე — სინდი-
კალის სამსჯავროსი, ხოლო მეოთხე გულისხმობს:
დანაშაული არ ჩამიდენია, მაგრამ არც არაფერი
გამიკეთებია მის აღსაყვეთად.

იასპერსი აღიარებს, რომ ოთხეუ სახის და-
ნაშაული ეხება გერმანულ ხალხს. იგი ვერც
აიციენს ამის პასუხისმგებლობას, მაგრამ მისი
აზრით, ეს როდი წინააღს თითქმის ყველა
ერთნაირად უნდა დაედოს ბრალი. ზოგს კრი-
მინალური დანაშაული აქვს ჩადენილი, ზოგს
პოლიტიკური, სხვებს — მორალური ან მეტა-
ფიზიკური. საქმეა ყველა გარკვეულ თავის
პირად დანაშაულში, რადგან ბოროტებამ, რაც
გერმანიის იმპერიამ ჩადინა, პასუხისმგებელი
გახდა ყველაგერმანელი.

— ჩვენ კოლექტიურად ვაგებთ პასუხს, —
წერს იასპერსი, რადგან ყველანი პოლიტიკური
პასუხისმგებელი ვართ ნაციისტურ რეჟიმზე, მის
საქმეებზე, ომის დაწყებაზე, იმ მდგომარეობა-
ზე, რამაც მსოფლიო ჩაავადეთ. ჩვენ ეს უნ-
და ვხლოთ გამარჯვებულთა წინაშე. გარდა ამი-
სა, უნდა გავიზიაროთ მამების დანაშაული, რო-
მელთაც შექმნეს ამგვარი რეჟიმის სულიერი სა-
ფუძველები...

იასპერსმა ისიც იცის, რომ დანაშაული
და პასუხისმგებლობა ერთი და იგი-
ვე არ არის. შეიძლება გერმანელი ხალხი ბა-

სუბსიდიზებული იყოს იმისი, რაც მოხდა, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი დამანებად ვა. ამიტომაც, რომ იგი გერმანული ხალხის კოლექტიური პასუხისმგებლობას აღიარებს, კოლექტიურ დანაშაულს ეს არა. არც კოლექტიური სასჯელი მიანიშნა სამართლიანად. დანაშაულზე მხოლოდ ცალკეული პიროვნება შეიძლება დაისჯოს და არა ხალხი. იასპერსის აზრით, არ არსებობს ისეთი საერთო პასუხისმგებლობა, რაც ყველა-სათვის ერთნაირია. ასეთი შეიძლება იყოს ენა, ზნე-ჩვეულებები და სხვა, მაგრამ საერთო ში სრულიად განსხვავებული ხასიათებისა. არ შეიძლება გერმანელების, ინგლისელების, რუსების ან ფრანგების მსჯავრება. ეს სთესავს სიბრძნის ხალხთა შორის. ხალხი არ არის ერთობლივი ცნება. იგი არ შეიძლება გმირული იყოს, მხალი ან დანაშაულგრივი. მას არ უნდა მიეწეროს ინდივიდის თვისება, ხალხი არ დაიფანება ინდივიდამდე. არც ითქმის დანაშაული თუ უდანაშაულო. ეს პრინციპი უხეშად დაარღვიეს ნაციონალ-სოციალისტებმა, რამაც გუბერნარი დანაშაული გამოაწვივა.

იასპერსის აზრით, აღრეც იყო მსგავსი შემთხვევა. ამბობდნენ, ებრაელებია დანაშაულები რომ გვარს აცვესო. დანაშაულს პიროვნებები ჩადიან და სასჯელსაც ისინი იმსახურებენ. ამიტომაც ყველა გერმანელი რომ ეკითხება თავის თავს: მე რა დანაშაული მოქმედებდა? იასპერსი ვინაღაც მიყვება ამ საკითხს და წერს:

— იმის შემდეგ გერმანიის ქალაქებსა და სოფლებში გაიკრეს პლაკატები, რომლებზეც გამოსახული იყო საკონცენტრაციო ბანაკების სანერგებიანი. ამ პლაკატებს ასეთი წარწერა ჰქონდა:

„ეს არის თქვენი დანაშაული!“

ამაზე იასპერსი რამდენიმე გულუბრყვილოდ მსჯელობს:

— პლაკატებს ხელს არავინ აწერს. კაცი ვერ გაიგებს ვინ გვღებს ბრალს. თუ ბრალმდებელი არ ჩანს, თავი როგორღა უნდა დავიცვათ?! ამგვარი ბრალდება ხომ ცარიელი სივრციდან (aus dem leeren Raum) მოდის.

არა, ასე არ არის! ჯერ ერთი, თვითონ იასპერსი წერს, ახლა მთელი მსოფლიო გვღებს ბრალს. ასე რომ ხელისმყოფურადაც ცნობილია, თუ ვინ არის ბრალმდებელი. მეორეც: საკონცენტრაციო ბანაკები იმის შემდეგ შეიძლება მართლაც „ცარიელი სივრცე“ იყოს, მაგრამ კედლებზე ხომ მაინც დარჩა ათასობით და ათათასობით ტანჯული ტუსალების მიერ დრჩილობით ამოკარული ან საკუთარი სახელით მიწერილი სახელი და გვარი. აი, ისინი იმან ხალხმდებლები. იასპერსს კარგად აქვს ეს შეგნებული, მაგრამ უნდა ერთმანეთისავე:

გამიწნოს ის ოთხი დანაშაული: კრიმინალური, პოლიტიკური, მორალური და მეტაფიზიკური. როცა აღაშინებ თავისი ერის მშობელ დანაშაულზე წერს, შეიძლება არც მხნე-სუბსიდიზირ. ყველას კრიმინალური დანაშაული მართლაც არ აქვს ჩადენილი. მართლმსაჯულებაც კარგად არჩევა ამას და, მოგვსენებთ, არც არავის დაუდგვა ბრალი მთელი გერმანელი ხალხისთვის, რაც შეეხება პოლიტიკურ პასუხისმგებლობასა და დანაშაულს, აქ თვითონ იასპერსი ავარბებს. მისი აზრით ასეთი დანაშაული მოქმედებს ყველა გერმანელს, ვინც ხმა მისცა პიტლერს ან ითმენდა მის მიერ შექმნილ დანაშაულებზე სახელმწიფოს მიერ ჩადენილ ბოროტებას. მათ შორის ისეთებსაც, ვინც ხედავდა ამ ბოროტებას, ახრთხილებდა კიდევ ამის შესახებ, მაგრამ არ მოქმედებდა ყოველივე ამის წინააღმდეგ. სხვები ამბობდნენ, ხომ იყვნენ აპოლიტიკური ადამიანები, რომელნიც არ ერეოდნენ პოლიტიკურ საქმეებში — სწავლობდნენ, მკვლევარებო, ხელოვნების წარმომადგენლები, ვანდები და ზერები, იმათი რა ბრალიაო. იასპერსის აზრით, არც ისინი არიან თავისუფალი პოლიტიკური პასუხისმგებლობისაგან, რადგან დანაშაულებრივ სახელმწიფოში მოქმედებდნენ.

— ეს დანაშაული ყველას გვაწევს, — წერს იასპერსი, რადგან ჩვენ მართო ცალკეული პიროვნებები კი არა, გერმანელები ვართ. გერმანია კი მშინ ციხე იყო. იმ ციხეში მყოფნი პოლიტიკური დანაშაულებია, თუმცა ტუსალი და ზედამხედველი ერთი და იგივე არ არის!

რაც შეეხება მორალურ დანაშაულს, აქაც დიდი განსხვავებაა გერმანელთა შორის იასპერსი წერს, რომ პიტლერი და მისი დამკავშირებნი თავისუფალი არიან ამგვარ დანაშაულისაგან, რადგან არ გრძობენ ამას. არც შეუძლიათ შინაინიონ ან გარდაიქმნან. მათ წინააღმდეგ მხოლოდ ძალაა საქმით, რადგან თვითონაც მხოლოდ ძალას ეუბნობოდნენ. მორალური დანაშაული მოქმედებს იქ, სადაც სინდისისა და მონაიებასთან გვაქვს საქმე. ეს იმათ ეხება, ვინც იცოდა ან უნდა იცოდნოდა თუ რა საშინელება ტრაილბდა ცერმანიში, მაგრამ თავს ნილაბს აფარებდა *das Leben in der Maske* (ისინი ლოიალურად იყვნენ განწყობილნი, ნაციისტურ სალაშს აძლევდნენ ერთმანეთს, მონაწილეობდნენ ერებებში და ავარბობიანებდნენ მათ თქვენიან ერთად მივდივართო (mitgehen) და სხვ.

— ვის არ გვაწევს ასეთი დანაშაული? — ეკითხულობს იასპერსი და განაგრძობს: შენჩაღვა. იყო ჩვენი არსებობის მთავარი ნიშანი, რაც მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს „მორალურ სინდისს“. იასპერსის განსაზღვრით, ეს ეხება იდეალისტურად განწყობილ ახალგაზრდებსაც, რომელნიც დაინტერესებული იყვნენ გერმანიის პე-

დით, სჭროდით მისი კარგი მომავლისა და მიუ-
ვებოდნენ მათ, ვიდრე დაინახავდნენ, რომ ეს
ასე არ არის: ჟარისკაცებიც ბრძანებებს ასრუ-
ლებდნენ. ერთგულება და მორჩილება იყო მათი
საქმე, მაგრამ... ისპერსი არ ეშვება ამ „მაგ-
რამს“ და წერს, რომ დანაშაული დანაშაულად
რჩება, თუნდაც სხვისი ბრძანებით იყოს ჩადე-
ნილი. მოვალეობა სამშობლოს წინაშე სულაც
არ მოთხოვდა მათგან პიტლერისადმი ერთგუ-
ლებას. ეს კი უბრალო დანაშაული კი არა, ტრა-
გიკული დაბნეულობაა; არცოდნა იმისი, რომ
მოვალეობა სამშობლოს წინაშე, მაღალი იდეა-
ლებისაყენ სწრაფვას გვაქვს და არა კერპთ-
თაყვანისმცემლობას, რაც მონურ მორჩილებას
იწვევს. უსახლერო მიდრეკილება მორჩილება-
სადმი (Gehorsamsdrang) კი დანაშაულია.
ისპერსი აქაც თავისებურ შენიშვნებს აკეთებს,
წინააღმდეგობისა და თავგანწირვის შესახებ:

— მორალური შეიძლება იყოს შინაგანი

მიდრეკილება თავგანწირვისადმი და არა თავ-
განწირვის მოთხოვნა, როცა ამით არაფერი არ

მიიღწევა.

დასასრულ ისპერსი ასკვნის:

— ჩვენ ბრალს გვდებენ, რომ ამას ვითმენ-

დით—ეს პოლიტიკური დანაშაულია; რომ

ამას მხარს ვუჭერდით—ეს მორალური დანა-

შაულია; რომ უმოქმედო ვიყავით— ეს მე-

ტაფიზიკური დანაშაულია.

მისი აზრით:

— მეტაფიზიკური დანაშაული სოლიდარობას
უქონლობაა. სოლიდარობა— დარღვეულია, თუ
მე იქ ვარ, სადაც უსამართლობა ჰდება. თუ
მე კეხოვრობ იქ, სადაც სხვებს ხოცავენ— ეს
ჩემი დანაშაულია. ჩვენ სხვად ვიქცეით 1933
წლიდან. ამ სამარცხენო დღეებში ხომ შეგვექ-
ლო სიკვდილი გვერჩია! ან 1934 წელს, როცა
ჩვენს თანამეგობრებს ელტდნენ; თუნდაც
1938 წელს, როცა სინაგოგებს ცეცხლი წაუცი-
დეს; მით უფრო, ომის წლებში, როცა უხე-
შად ირღვეოდა კანტის შეგონება: „ომიან
დროს ისეთი არაფერი უნდა ჩაიდინო, რაც
ომის შემდეგ დამშობილების საშუალებას მო-
ვისპობს“.

ისპერსი აცხადებს— ბევრმა ირჩია ასეთი
სიკვდილი, ჩვენ კი ცოცხალი დავრჩით და ეს
არის ჩვენი მეტაფიზიკური დანაშაული.

ამგვარი „მეტაფიზიკისა“ რა მოგახსენოთ და
გერმანელთა შორის მართლაც ბევრი იყო ისე-
თი, ვინც სიკვდილი არჩია პიტლერულ რევი-
მისადმი მორჩილებას და, მე არ მესმის, რა მო-
დუსით შეიძლება მათ ბრალი დადონ „გერმან-
ელების მიერ ჩადენილ დანაშაულში“. ეს ისე-
თი ნათელი საკითხია, რომ ამაზე არც ღირს სი-
ტყვის გაგრძელება...

□ ბაბრძილვა იქნება □

პ. როსოზოვი

თანამედროვე ბურჟუაზიული მსოფლიოს რეპრეზენტული არსი

კომუნისტური მსოფლმხედველობისა და წინაშის ჩამოყალიბება თანამედროვე ეტაპზე სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის უმწვავესი იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობს.

იმპერიალიზმი (უწინარეს ყოვლისა, ამერიკის იმპერიალიზმი), რომელიც საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მარცხს მარცხზე განიცდის, სულ უფრო მეტად მიმართავს სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მთელი დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დივერსიებს. შექმნილი ვითარება მოითხოვს იდეოლოგიაში მტკიცედ, თანამიმდევრულად გახვდარი ციფრული კლასობრივ-პარტიული ბაზი, გეგამიერად სიფხიზე და ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, სოციალიზმისათვის უცხო შეხედულებებისა და ჩვეულებების შემოჭრის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, ერთხელ კიდევ გავსვა ხაზი ორი საპირისპირო იდეოლოგიის — კომუნისტურისა და ბურჟუაზიულის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპულ შეუძლებლობას, „სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა როდი ნიშნავს იდეოლოგიური ბრძოლის შესუსტებას“. ამიტომ „რეაქციულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას პარტია უპირისპირებს კომუნისტური შეცნობილ იდეოლოგიას“¹.

ანალოგიური დაპირისპირებაა ხელოვნების სფეროშიც, კერძოდ, თანამედროვე რეაქციულ ბურჟუაზიულ ხელოვნებას სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება უპირისპირდება.

ამ ორი საპირისპირო იდეოლოგიის გარდა, ყოველგვარი „მესამე“, შუალედური იდეოლოგიის შემუშავება შეუძლებელია. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მოწოდება რევიუციური პროლეტარიატის და ბურჟუაზიის იდეოლოგიის შეერთებისა ფაქტურად ექსპლუატატორთა კლასის ინტერესებს ემსახურება. კომუნისტური იდეოლოგიის პოზიციებიდან ყოველი მცირეოდენი უკანდახვევა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას ნიშნავს, ამიტომ „დაუცხრომლად უნდა ვიბრძოლოთ ყოველგვარი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რაგინდ მოდერ ან ბრწყინვალე სამოსელში გამოეწყოს იგი“. ვ. ი. ლენინის ეს მოწოდება განსაკუთრებული ძალით და აქტუალობით გაისმის დღეს, როცა კაპიტალის თანამედროვე დამკვედები ყოველგვარ ფალსიფიკაციას მიმართავენ, რათა ჩიჩქი მისცნონ სოციალიზმს და ყოველმხრივ შეალამაზონ ბურჟუაზიული ცხოვრების წესი.

კომუნისტური პარტია, ხელოვნების იდეურ-აღმზრდელლობით ფუნქციებს რომ ითვალისწინებს, საბჭოთა ხელოვნებას დიდ და საპატიო ამოცანებს უსახავს, რომელთა შორის ძირითადია: ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების კავშირის განმტკიცება, სოციალისტური სინამდვილის რეალისტური და მალამაზატურული ასახვა, მხილება ყოველივე იმისა, რაც წარმავალია, დროშოქმულია და საზოგადოების განვითარებას წინააღმდეგება. „ლიტერატურა და ხელოვნე-

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1967. გვ. 138, 139.

ბის განვითარებაში, — ეკონომიკობით სკვპ პროგრამაში, — მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან, სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, ნამდვილი კომუნისტური, შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და უკველივე იმის მხილება, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების წინსვლას¹.

ისევე, როგორც იდეალისტურ ფილოსოფიასა და რელიგიას, იდეალისტურ ესთეტიკასაც თავისი არსებობის გნოსეოლოგიური და სოციალური ფესვები აქვს.

ვ. ი. ლენინი, იდეალიზმის ზოგად გნოსეოლოგიურ ფესვებს რომ ახასიათებდა, მითითებდა, რომ ეს ფესვებია: შეშვეცნებისადმი ცალმხრივი მიდგომა, შეშვეცნების რთული დაღვქტიურობა, მრავალმხრივი პროცესის რომელიმე ერთ-ერთი მხარის გაზვიადება, მისი აბსოლუტად გაღაქყვა, მატერიისაგან, ბუნებისაგან მისი მოწყვეტა, გაღმერთება. სწორხაზოვნება და ცალმხრივობა, აზრის გაქვეყება, სუბიექტიუიზმი, ლენინის აზრით, იდეალიზმის გნოსეოლოგიურ ფესვებია².

ლენინის მიერ იდეალიზმის ზოგად-გნოსეოლოგიური ფესვების დახასიათება იდეალისტური ესთეტიკის სფეროზეც ვრცელდება.

სინამდვილის მხატვრული ასახვა პირდაპირი, სწორხაზოვანი ვხვთ არ წარმოართება. იგი სინამდვილის სარკისებური ასახვა რთულია.

ხელოვანის მიერ წარმოდგენილი სინამდვილე, რეალურ სინამდვილესთან შედარებით, ერთგვარად ფორმალურად, გაზღაქმნილია ხელოვანის თვალთახედვაში. ხელოვანის მიერ ასახული სინამდვილე ერთის მხარე თვით სინამდვილის ობიექტური ფორმებია და კანონზომიერებით განისაზღვრება, ხოლო მეორე მხრივ, ავტორის მხატვრული მიზნით, მისი მსოფლმხედველობრივი, თეორიულ-მეთოდოლოგიური, ესთეტიკოლოგიური-იდეოლოგიური და სხვა შეხედულებებით; იგი განსაზღვრულია ხელოვანის განწყობილებით, ამოცანებით, მიზნებით და სხვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც სინამდვილის მხატვრული ასახვა განისაზღვრება მხოლოდ ობიექტური სინამდვილით, როდესაც ხელოვანი მხოლოდ პასიური, ფოტოგრაფიული ამქმელების რეალში გამოდის, საქმე გვაქვს ნატურალიზმთან, რომელიც ფორმალისმის მეორე მხარეა.

თანმიმდევრული ნატურალისტური ხელოვნება, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თვალსაზრისით, არსებითად არც კი არის ქეშმარიტი ხელოვნება, ობიექტური სინამდვილის სუბიექტური ასახვა. იგი სინამდვილის მხოლოდ შექმნიერობა, ფოტოგრაფიული ასახვა, რამდენ-

დაც მასში არ არის სინამდვილის მოკლენათა შეფასება-მსჯელობა. ამრავად ნატურალისტურ ხელოვნებაში იგნორირებულია სუბიექტური რეალი მხატვრული ასახვის პროცესში.

მაგრამ მეორე მხრივ, შესაძლებელია საპირისპირო მდგომარეობაც იყოს. სწორედ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე თანამედროვე აბსტრაქციონისტულ, სიურეალისტურ და სხვა ხელოვნებაში, სადაც ხელოვანი მხატვრული შემოქმედების ობიექტურ-რეალური საგნიდან ახდენს განყენებას. ამ მიმართულებათა მიერ წარმოდგენილი მხატვრული სახე ობიექტური საგნის სახე კი არ არის, არამედ წმინდა სუბიექტური, რომელიც არსებითად აღარც კი არის სახე. იგი წარმოადგენდა როგორც სუბიექტის უღარესად პირადი განცდების, ემოციების, იდეების პირობითი, ვოლუნტარისტული გამოხატულება, რომელიც სხვა ადამიანებისათვის გაუგებარია. როგორც ვხედავთ, ესთეტიკური ფორმალისმი და სუბიექტივიზმი ნატურალიზმისა და ობიექტივიზმის უკუფენია.

ამრიგად, მხატვრული ასახვის პროცესი საკმაოდ რთული, დიალექტიკური პროცესია. ესთეტიკური ასახვის ნატურალიზმის ან აბსტრაქციონისმის მიმართულებით წარმართვა, თვით მხატვრული შეშვეცნების პროცესში უნდა ვეძიოთ. ბურჟუაზიული ესთეტიკის „თეორეტიკოსები“ აზვიადებენ და აბსოლუტურ მნიშვნელობას ანიჭებენ მხატვრული შეშვეცნების ცალკეულ მხარეებსა და ამ ვხვთ სუბიექტივიზმისა და იდეალიზმისაკენ მიდინა.

საშუალოს ესთეტიკური ათვისების ერთ-ერთი არსებითი თავისებურება — სამართლიანად აღიწინავს თანამედროვე ბულგარული მარქსისტურ — ესთეტიკოსი თეორი პავლოვი. — ის არის, რომ „მხატვრული ასახვა არ არის და არც შეიძლება იყოს არც ობიექტივისტური, შექმნილისტური, ფოტოგრაფიულ-ნატურალისტური ასახვა და არც წმინდა სუბიექტივისტური, ინდივიდუალისტური და სუბიექტის ინტუიტივისტური განცდა და თვითქმერება. ყოველგვარ იდეალიზმს, აბსტრაქციონისმს და ა. შ. გნოსეოლოგიური ფესვები აქვს საგნის ზოგიერთ მხარეთაგან აბსტრაქტიზმის და განყენების პროცესში, ისევე როგორც საგანთა და მოვლენათა მხატვრული ასახვისას ზოგიერთ სუბიექტურ მხარეთა და ელემენტთა ნართვის პროცესში“³.

საერთოდ იდეალიზმისა და, კერძოდ, იდეალისტური ესთეტიკის გნოსეოლოგიური ფესვები ესთეტიკაში იდეალისტური თეორიების წარმომომის შესაძლებლობას ქმნის. ამ შესაძლებლობას სინამდვილედ აქცევს სოციალისტური ფესვები. გნოსეოლოგიური ფესვები უნდა განმტკიცდეს და განვითარდეს გარკვეულ სოცია-

¹ ს. კ. კ. პროგრამა, გვ. 149.

² ვ. ი. ლენინი, ტ. 38, 1963, გვ. 375.

³ Тодор Павлов. Избранные философские произведения, т. 4, М., 1963, гв. 157.

ღერ პირობებში. ასეთი ხელსაყრელი სოციალური ვარგემა თანამედროვე იმპერიალიზმისა და რეაქციის ბანაკი, რომელიც თანამედროვე რეაქციულ კლასებს და საზოგადოებრივ ფენებს აერთიანებს. კლასობრივ-ანტიგონისტური სოციალური წყობა და მის შიგრ წარმოქმნილი სოციალური ჩაგვრის ფორმები იდეალისტური ესთეტიკის სოციალური ფესვებია.

კაპიტალისტურ საშუაროში რეაქციული კლასების ინტერესების დაცვის საშუალებრში ჩამოღარი სახელწიფილო, ამასთანავე მთელი იდეოლოგიური ზედნაშენი და მათშორის მხატვრული შეხედულებები.

გაბატონებული იდეები გაბატონებული კლასის იდეებია და რადგან რეაქციული კლასის ინტერესები ეწინააღმდეგება საზოგადოების განვითარების ინტერესებს, მის კანონზომიერებას, იქმნება სინამდვილე დამახინჯებული ასხვა, იდეალისტური თეორიები, რომლის მიზანია გაამართლოს გაბატონებული კლასის ბატონობა, ამდენად, იდეალისტური ესთეტიკის არსებობის საფუძველი, საბოლოო ანგარიშით, კლასობრივია. ამიტომ იდეალისტური ესთეტიკის და ხელოვნებაში ანტირეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ თეორიული ბრძოლა როდია. იგი ამავე დროს არის ბრძოლა იმ საზოგადოებრივ პირობების წინააღმდეგაც, რომლებიც ჰყვებან და ხელს უწყობს იდეალისტური ესთეტიკის შემდგომ განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბურჟუაზიის თავისი განვითარების მანძილზე ხელოვნებისა და ესთეტიკის მიმართ ყოველთვის ერთნაირი პოზიცია როდი ეკავა. მისი დამოკიდებულება იცვლებოდა ბურჟუაზიის როგორც კლასის განვითარებასთან დაკავშირებით. განვითარების აღრველ ეტაპზე, როდესაც ბურჟუაზია პროგრესული კლასი იყო, იგი სასტკაიდ ებრძოდა შუასაუკუნეობრივ რელიგიურ აზროვნებას, მოითხოვდა აზროვნების თავისუფლებას, თეორიისა (ეკრძოდ, ესთეტიკური თეორიისა) და პრაქტიკის თავისის, ამის ნათელი მაგალითია მე-18 საუკუნის ფრანგი მატერიალისტების (პოლბანხი, დიდრო, პეღეტიერი, ლამეტრი, რომინე და სხვები)მსოფლმხედველობა.

მე-19 საუკუნის მიწურულიდან, როდესაც ბურჟუაზია რევოლუციურობას ჰკარგავს და თანდათან რეაქციულ კლასად იქცევა, ზურგს უქცევს „აზროვნების თავისუფლების“ პრინციპს და თეოლოგიისაყენ იხრება.

აღრველ პერიოდში პროგრესული ბურჟუაზია, (თუმცა კლასობრივად შეზღუდული იყო), ისწრაფოდა მეცნიერულად აეხსნა სინამდვილე და მასზე აბტიურად ემოქმედნა. ეს საერთო პოზიცია გამოიხატებოდა ესთეტიკის სფეროშიც. ამ პერიოდში ხელოვნება განიხილებოდა ცხოვრებას მოწყვეტილად კი არა,

არამედ, როგორც ობიექტური საშუაროს ათვისების მძღაერი საშუალება.

თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგებმა, აღმაიალი, რევოლუციური ბურჟუაზიისაყენ განსხვავებით, ზურგი შეაქციეს ასეთ თავალსაზრისს. მათ კეშმარტება არც ცხოვრებაში ინტერესებთ და არც ესთეტიკაში. სინამდვილის და მისი განვითარების ობიექტური კანონზომიერების შეუმცნება მათ ხელს არ აძლევთ, რადგანაც იგი ბურჟუაზიის როგორც კლასის წარმავლობაზე შეტყუებული.

იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული იდეოლოგია (XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული) სულ უფრო რეაქციული ხდება. რეაქციული ბუნებითვე უნდა აიხსნას ის სიძულელი, რასაც ამჟღავნებს თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგია მარქსიზმის, კომუნისმისა და საერთოდ ყოველგვარი პროგრესული აზროვნების მიმართ. დამავლობის გზაზე მღგარი ბურჟუაზიისათვის მიუღებელი ხდება განვითარების პრინციპი, ეკრძოდ, საზოგადოების განვითარებისა და მისი ობიექტური კანონზომიერების აღიარება. ყოველივე ეს იმის მარეწებლობა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება სულ უფრო დრმა წინააღმდეგობებში იფლობა, რასაც ბურჟუაზიულ ურთიერთობათა მოსობა მოჰყვება. ამით აიხსნება ის სისუსტე და შიში, რომელსაც ავლენს იმპერიალისტური ბურჟუაზია რევოლუციურ მოძრაობათა შხარდი ძალებისა და ისტორიის უღმობელი, ობიექტური კანონების წინაშე, იმ კანონების წინაშე, რომლებიც კაპიტალიზმის, გარდაუვალ დაუღუპავზე შეტყუებებს. თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის რეაქციული ბუნება გარკვეულ გამოხატულებას პოვებს ფილოსოფიისა და ეკრძოდ ესთეტიკაში. ესთეტიკური თეორიები სულ უფრო სუბიექტივისტური, ეოლენტიარისტული და პესიმიისტური ხდება.

იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისზე მავალჯერ მიუთითებიათ მარქსიზმის კლასიკოსებს. ამ შხრე განსაკუთრებით ღონშესანიშნავია ინგლისის „ანტი-ღურინგი“ და ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ეს ნაწარმოები ამ კრიზისის შედეგად წარმოშობილ ახალ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ არის მამართული.

ბურჟუაზიული კულტურისა და, ეკრძოდ, ესთეტიკის კრიზისზე მიუთითებენ თვით ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლებიც. მაგალითად, ინგლისელი პოეტი და ხელოვნების თეორეტიკოსი ა. ს. ელიოტი წიგნში „შენიშვნები კულტურის განსაზღვრების გამო“ წერდა „ჩვენ შეგვიძლია გარკვეული დარწმუნებით ეამტიკოთ, რომ ჩვენი დრო დაეცემის დროა, რომ ამჟამად კულტურის დონე უფრო დაბალია, ვიდრე 50 წლის წინათ იყო და რომ ეს დაეცე-

მა აღამიანთა შემოქმედების ყველა სფეროში შეიძინება».¹

როგორც ვხედავთ, ელიოტი ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული კულტურის კრიზისს გვიხატავს. როგორც საერთოდ აღამიანური კულტურის კრიზისს, ბურჟუაზიული კულტურის კრიზისი წარმოდგენილია, როგორც საერთოდ კაცობრიობის ცივილიზაციის დაკემა.

ასეთი თვალსაზრისის მცდარობა არავითარ ეჭვს არ უნდა აღძრავდეს, რადგან თანამედროვე კულტურა ბურჟუაზიული კულტურით არ ამოიწურება და, ამდენად, ბურჟუაზიული კულტურის კრიზისი სულაც არ ნიშნავს საერთოდ კაცობრიობის კულტურის კრიზისს. თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიებს არ სურთ შეეზღონ, რომ ბურჟუაზიული სამყაროს წარუგებებზე აღმოცენდნენ და განვითარდნენ ახალი სოციალისტური სამყარო შესატყვისი სოციალისტური კულტურით, რომელიც საზოგადოების წინსვლა-განვითარებას ემსახურება.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგიები სულ უფრო დიდ სიძნელეებს აწუღებდნენ იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის ქაღალეებში. ეს ძირითადად იმით აიხსნება, რომ თანამედროვე მეცნიერება, რომელიც ღრმად შეიჭრა როგორც მიკრო, ისე მაკროსამყაროში, ნათლად ადასტურებს სამყაროს შექმნების შესაძლებლობას, მის კანონზომიერებათა ობიექტურ ხასიათს.

ასევე სულ უფრო ძნელი ხდება კამბალიზმის „გონიერულობის“ და „მარადიულობის“ დასაბუთება ჩვენს ეპოქაში, როდესაც სულ უფრო მტკიცდება და ვითარდება ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ.

ზემოსხნეუბელი სიძნელეები კამბალიზმის თანამედროვე დამკვეთებს აიძულებს ვარაუდობან იდეოლოგიური შემოქმედების მიერ აპარატი და უფრო ეფექტური გახადონ იგი მსახურზე შემოქმედებისათვის. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება იდეოლოგიური შემოქმედების ეფექტური საშუალებები: ხელოვნება, ესთეტიკა, მორალი.

თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის წარმომადგენელთა აზრით, ესთეტიკურ თეორიათა და ასევე ხელოვნების ობიექტური საფუძვლის ძიება უყოველივე აზრს მოკლებულია, მავალთადა. კლავ ხელი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ესთეტიკური სისტემა, რომელსაც აქვს ამის პრეტენზია, რომ რაღაც ობიექტურ შემართებას ემყარება, იმდენად აშკარად სასაცილოა, რომ მისი განხილვაე კი არა ღირს² ხელოვნების ობიექტური საფუძვლის უარყო-

ფა ნათლად არის წარმოდგენილი თანამედროვე აბსტრაქციონიზმში ანუ უსაგნო ხელოვნებაში. მოდერნიზმის ფრანგი თეორეტიკოსნი შ. სკაფიორის აზრით—აბსტრაქტული ხელოვნება სიანადვილის არავითარ ასოციაციას არ აღძრავს, არ მოგვავსონებს სინამდვილეს.

უსაგნო ხელოვნების ერთ-ერთი შემქმნელის ე. მაღვიეის აზრით, აღამიანი და ბუნება ორი ანტაგონისტური საწყისია, რომელთაც ერთ-ერთთაგანმა არ ძალუძა. მხატვრული შემოქმედების პროცესში რეალური კავშირი ობიექტსა და სუბიექტს შორის აბსტრაქციონისტთა მიერ ფაქტობრად იგნორირებულია. ამით შემოქმედებითი პროცესი თავის აზრს ჰკარგავს და იქცევა უნაყოფო, უაზრო შემოქმედებად, წარმოსამების ცარიელი თამაშად, რომელსაც ობიექტურ სამყაროსთან კავშირი დაკარგული აქვს. აბსტრაქციონიზმის წარმომადგენლები ზურგს უშტყევენ რეალურ სინამდვილეს და ზიზღით უყურებენ ნატურალიზმს, რადგან მათი აზრით, ხელოვნებაში არ უნდა იყოს რეალური ცხოვრების არავითარი ნიშანწყალი. ნამდვილი ხელოვნება მხოლოდ სინამდვილეს მოწყვეტილი ფანტაზიის გზით არის შესაძლებელი, აბსტრაქციონისტულ ხელოვნებაში საგანი შეცვლილია პირობითი ნიშნით. მხატვრული სახე წარმოდგენილია როგორც სიმბოლო, რომელაც მოწყვეტილია ობიექტურ სინამდვილეს და გონების თავისებურთა კონსტრუქციას.

მსგავს პოზიციასზე დგას ინგლისელი ხელოვნებათმცოდნე ჰერბერტ რიდი. მისი აზრით, მხატვრული სახეები რეალობას კი არ ასახავს, არამედ ხელოვნანის განცდებს. ამასთან ერთად მისი აზრითვე, ხელოვნების შექმრეადაც ის ნაწარმოები ითვლება, რომლებშიც გადმოშლილია ხელოვნანის განცდებზე აბსტრაქტული სიმბოლოების გზით, ხელოვნანის მიერ შექმნილ სახეებს რეალურ ცხოვრებაში არაფერი არ შეესატყვისება.

ცხადია, იქ სადაც იგნორირებულია ცხოვრების მართებული ასახვა, მოწინავე საზოგადოებრივ-ესთეტიკური იდეალის პოზიციებიდან ვეშმარბტ ხელოვნებაზე ლამაზაკიც კი ზედმეტია.

ხელოვნების ობიექტური საფუძვლის უარყოფა უშუალოდ ერწყმის სუბიექტივიზმს, რელატივიზმსა და აგნოსტიციზმს.

მე-19 საუკუნის ბოლოს სუბიექტივიზმი საყოველთაოდ ვრცელდება: გერმანისა (დელიაი, რიკლიტი და სხვები) და იტალიაში (კრაიე და სხვები); აქედან ინიცელდება აშშ-ში, ინგლისსა და საფრანგეთში. ამჟამად მან თითქმის მთელი ბურჟუაზიული სამყარო მოიცვა. თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკოსები სუბიექტივიზმის პოზიციებზე დგანან, ხელს იღებენ მხატვრულ ნაწარმოებთა შეფასების ობიექტურ კრიტერიუმზე. ისინი ამტკიცებენ მშენიერი პირობითობას, სუბიექტურობას და ამდენად, რელატი-

¹ A. Egorov, O реакционной сущности современной буржуазной эстетики. М., 1961, გვ. 10.

² Современная книга по эстетике. Антология, М., 1957, გვ. 349.

ურობას. მათი აზრით, ყოველი ადამიანი თავისებურად აღიქვამს, აფასებს და ხსნის მოვლენების ესთეტიკურობას. ამდენად, სუბიექტიუზმმა და რელატივიზმს თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკოსები აგნოსტიციზმამდე მიჰყვას. მათ შეუძლებლად მიიჩნიათ ისეთი თეორიის არსებობა, რომელიც მეცნიერულად ახსნის ხელოვნების არსებას. მათი აზრით, ხელოვნების არსება შეუძლებელია და მისი შემეცნების ყოველი ცდა ტუფილ-უბრალოდ წყლის ნაყვია.

ესთეტიკაში არსებითად სუბიექტივიზმის პოზიციაზე მდგარმა იტალიელმა ფილოსოფოსმა ბ. კროჩემ მთელი რეალობა „სულის შემოქმედებად“ აქცია. მისი აზრით, ხელოვნება სულის შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია და, ამდენად, ხელოვნების მეორე შემნილი სახეებიც სუბიექტურია. ბ. კროჩეს აზრით ხელოვნებაში მხატვრული სახეები სინამდვილის ასახვა კი არ არის, არამედ „წმინდა ინტუიციის“, „წმინდა ცნობიერების“ პროდუქტებია, ხელოვნება ხელოვანის თვითგამოხატება, ყოველგვარ რეალობას მოწყვეტილი ინდივიდუალური ინტუიცია.

როგორც აღენიშნეთ, იმპერიალიზმის ეპოქაში სუბიექტივიზმი საგრძნობლად იკიდებს ფეხს ესთეტიკაში. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ობიექტურმა იდეალიზმმა თანამედროვე ბურჟუაზიულ ესთეტიკაში დაკარგა მნიშვნელობა და ადგილი დაუთმო სუბიექტურ იდეალიზმს. ობიექტურ იდეალიზმს არ დაუკარგავს მნიშვნელობა და სახე, თუმცა მასში სულ უფრო მეტი სიციხადით ვლინდება სუბიექტივიზმის ტენდენცია, რომელიც განსაზღვრავს მთელი ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და ესთეტიკის განვითარებას.

მე-18 სუეტუნის აღმავლობის გზაზე მდგარი ბურჟუაზიის თეორეტიკოსები ხელოვნებას განიხილავდნენ, როგორც ობიექტური სამყაროს ათვისების მძლავრ საშუალებას და არა ცხოვრებისაგან მოწყვეტილ რაიმეს. მაგალითად, ფრანკ მატერიალისტთა აზრით, სილამაზეს ხელოვნებაში იაკვი საფუძველი აქვს, რაც ჰუმპარტებას ფილოსოფიაში, დიდროს აზრით, ჰუმპარტება ჰეინე მსჯელობების თანხმობა ბუნების მოვლენებთან, ასევე სილამაზეუ სახის შესაბამისობაა საგანთან.

ამრიგად, ესთეტიკურ აზროვნებას ფრანგი მატერიალისტები, როგორც ასახვის თვისებურ ფორმას, განიხილავდნენ, აქედან გამომდინარე, ისინი უჭრადლებას ამხებულბენ ხელოვნების იდეურ შინაარსზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე.

თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგებმა ზურგი შეაქციეს თავიანთი წინამორბედების ასეთ თვალსაზრისს, რადგან იგი მათთვის მიუღებელი იყო. თუ ხელოვნებას არადერი სა-

ერთო არა აქვს ობიექტურ სინამდვილესთან, თუ სინამდვილე და მისი კანონზომიერება პრინციპულად შეუშვენივლებელია, მაშინ ცხადია, რომ ამ პრინციპებზე აგებული ხელოვნება ეჭვს ქადება საზოგადოების სამსახურში. თანამედროვე იდეალისტური ესთეტიკის წამომადგენლები უარყოფენ ხელოვნებაში ობიექტურ შინაარსს, იმ მიზნით, რათა წაართვიან ხელოვნებას მეცნებითი ფუნქცია, გამოაიკლონ მას იდეური შემოქმედების ძალა. მაგრამ ამ განზრახვის მთლიანად სისრულეში მოყვანა შეუძლებელია. როგორც ხელოვნების ისტორია გვიჩვენებს, შესაძლებელია თავი ავირიდოთ ცხოვრებისეული მშვენიერის გამოხატვას, უჭრადლება გავამახვილოთ მხოლოდ მახინჯზე, შეიძლება განზრახ დავამახინჯოთ ის, რასაც გამოვხატავთ, მაგრამ ხელოვნებაში სინამდვილისგან მთლიანად თავის დაღწევა შეუძლებელია. ხელოვანის გარემოცველი სინამდვილე, ამ სინამდვილის მოვლენათა შეფასება-მსჯელობა საზოგადოებაში შემოქმედის ადგილი. მისი მსოფლმხედველობა ყოველივე ეს, ასე თუ ისე, თავის გამოხატულებას ქმნობს მის ნაწარმოებებში.

შეუძლებელია ხელოვნება აბსოლუტურად უიდეო იყოს. უიდეობის ქადაგებაც კი ხელოვნებისათვის გარკვეული იდეური პოზიციაა, რომელიც მიზნად ისახავს ჩამოაშოროს ხელოვნება საზოგადოებრივი ცხოვრების მწვევე წინააღმდეგობებს, მოაღუნოს მასების რევოლუციური განწყობილება, დაანტუნგოს საზოგადოების წევრთა მოქალაქობრივი მოვალეობის გრძნობა.

ამის გამო ვ. ვ. პლენანოვი წერდა: „მისტიკოსად ქცეული ხელოვანი არ უღუღუბებულყოფს იდეურ შინაარსს, არამედ თავისებურ ხასიათს ანიჭებს მას. მისტიციზმიც იყვია, ოღონდ ბნევი, უფორმო, როგორც ნისლი, რომელიც გონებასთან სამკედრო-სასიცოცხლო წინააღმდეგობაშია მისტიკოსი არ არის იმის წინააღმდეგი რომ რაიმე მოგვითხროს და დაგვისაბუთოს. მაგრამ მისი დანაბუთება თვით სალი აზრის უარყოფას ეყრდნობა“.¹

თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნება და ესთეტიკა ნათლად მოწმობს პლენანოვის შეზღუდულებათა სისწორეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მართალია, მისტიციზმიც იყვია (როგორც ამას პლენანოვი აღნიშნავს), მაგრამ ბურჟუაზიული იდეურობა, კომუნისტური იდეურობისაგან განსხვავებით, საზოგადოების განვითარების საქმეს კი არ ემსახურება, არამედ მის შეფერხებას, დამუხრუტეებას.

წინამონობილისტური კაპიტალიზმის ეპოქაში, როდესაც ბურჟუაზია გერ კიდევ პროგრესული კლასი იყო, ბურჟუაზიულ სოციოლოგიასა და

¹ Г. В. Плеханов. Искусство и литература, М., 1948, стр. 241.

ფილოსოფიაში, თანდათანობითი პროგრესის თეორიას თუმცა შეზღუდული იყო, მაინც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა. ბურჟუაზიას ხელს აღარ აძლევს პროგრესის იდეა და იგი უარყოფს მას. რეაქციული ბურჟუაზიის თეორეტიკოსები, როგორც ცხოვრებასა, ასევე ხელოვნებაში პროგრესის შეუძლებლობას ასაბუთებენ. მათი აზრით, ისტორიის მანძილზე, როგორც ადამიანსა, ასევე ხელოვნებაშიც არავითარი ცვლილება არ მოჰხდარა. მართალია, ასეთ თვალსაზრისს ბურჟუაზიული ესთეტიკის ყველა თეორეტიკოსი არ იზიარებს, მაგრამ უდავლად, რომ პროგრესის იდეამ დაკარგა პოპულარობა და გასავალი იდარა აქვს თანამედროვე ბურჟუაზიულ სამყაროში.

ზოგჯერ ბურჟუაზიის ზოგიერთი თეორეტიკოსი პირდაპირ არ ილაშქრებს პროგრესის ცნების წინააღმდეგ, მაგრამ თავისებურად ესმის პროგრესის იდეა და მას თვისებურ თვალსაზრისს უთავსებს. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი ხელოვნებათმცოდნისა და ესთეტიკოსის თ. მანროს აზრით, პროგრესის რწმენა შესაძლოა შეუთავსდეს იმ თეოლოგიურ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ადამიანი ისევე როგორც მთელი სამყარო, ღმერთის შემოქმედება და მისი ნებითაა წარმოართობა.

დაღმავლობის გზაზე მდგარი კაპიტალიზმა იდეოლოგიაში, კერძოდ კი ფილოსოფიაში და ესთეტიკაში ადვილად აღწაშრობს პესიმიზმსა და ნისტიციზმს. კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი, რომელიც მოიცავს ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროს, კაპიტალიზმის იდეოლოგიური კრიზისის საფუძველია.

კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის გარდაცვალებაზე, უილიამ ფოსტერი წერდა: „სამყაროში ფართოდ ვრცელდება პესიმიზმი კაპიტალისტური სასტუმროს მოშლის მიმართ. კაპიტალიზმისადმი რწმენა მხოლოდ მშრომელთა მასებშია როდი დაკარგეს. ამ გრძნობამ კაპიტალისტებიც მოიკლა. წარსულში არასოდეს არ ვუფილა ისეთი მდგომარეობა, რომელიც თუნდაც ოდნავ მოგვაგონებდა გონებათა ახლანდელ შელოფას და პანიკასაც კი, რამაც კაპიტალისტების მმართველი კლასი და მისი იდეოლოგები მოიკლა“.¹

თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის პესიმიზმური ხასიათი ნათლად არის წარმოდგენილი თომას მანროს შეზღუდულებში. სტატიაში — „მოთხოვნა წარმატებლობაზე: თანამედროვე პესიმიზმის შესწავლა“ — თ. მანრო მიუთითებს თანამედროვე ხელოვნებაში პესიმიზმური და ნიჰილისტური იდეების გავრცელებაზე, აღნიშნავს, რომ ატომური ეპოქის ეს ახალი

მიმდინარეობა კანონზომიერად შეეჯერებს ოპტიმისტურ რეალიზმს. ამ ახალ მიმდინარეობას იგი „ფელიაროზმს“ (სიტყვებიდან *felicitate* — ნიშნავს წარმატებლობას, *malice* — უწოდებს. იგი უპირისპირდება რეალიზმს, რომლისთვისაც, პირიქით, წარმატება, მღწევა იყო დამახასიათებელი.

მანროს აზრით, „ფელიაროზმმა“ უაღრესად პესიმიზტური ხელოვნების შექმნაზე მიგვიყვანა, რომლის თვალსაზრისით წარმომადგენლები არიან: პროზაში — ფოლკერი, კამუე, სარტრით პოეზიაში — ელიტი და მისი მიმდევრები; ჟურნალში — აბსტრაქტული ექსპრესიონისტები; მუსიკაში — ბერგი, კოპლანდი, შენოტი და სხვები. „ფელიაროზმის“ ხელოვნების წარმომადგენელთა ნაწარმოებებში გაიშინა უკიდურესი პესიმიზმისა და ნიჰილიზმის ქადაგება. თანამედროვე, ატომური ეპოქის ცივილიზაცია, მათ მიერ ქაოსისა და აბსტრუქციის სახით არის წარმოდგენილი. ამ ხელოვნებაში გმირები უსუსურნი და საცოდინი არიან.¹

თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნების პესიმიზტური ხასიათის მიზეზი ისიც არის, რომ კაპიტალისტური სამყაროს იდეალები ვერ უძახებებს თანამედროვე ადამიანის მოთხოვნებს, მისწრაფებებს და ვერ აღუძრავს მათ ინტერესს. ამას კარგად გრძნობენ თვით ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც. მაგალითად, ლიბანის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აკრიტიკებდა კაპიტალისტური სამყაროს ხელშეწყობელთა პოლიტიკურ პრიციპებს, (თუმცა იგი ამერიკული განწყობილებისა იყო) და აღნიშნავდა: „ნებისმიერი ადამიანი რაინდ სუსტი, ღარიბი და გაუნათლებელიც იყოს, ვაცილებით ძლიერი, მდიდარი და ბრძენი გახდება, თუ იდეა ექნება, რომლის გეგმისათვის შეეძლება, ცხოვრება და თავისი, შეწირვა, კომუნისტებს, უფროდღირთი უშუალო საჭიროებისა და საზრუნავის გარდა, აქვთ მიზანი. არაკომუნისტური სამყარო მოკლებულია მსგავსი მისიის შეგნებას. ამდენად ეს ჯერ კიდევ უთანასწორო სულიერი ბრძოლა“.²

ამით აიხსნება ის ვარაუზობა, რომ მსგავსი სულ უფრო მეტად იხრებიან მარქსიზმ-ლენინიზმის, დემოკრატიისა და სოციალიზმისაკენ. ამზე მეტყველებს კაპიტალიზმის ქვეყნებში რევოლუციური ძალების ზრდა, ეროვნულ-გამათვისებელ მშრომელთა პარტიაში. მსოფლიოს მუშათა და კომუნისტურ პარტიათა შეკავშირება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

¹ Л. Землянова. Современная эстетика в США. 1962, гл. 97.

² А. Егоров. О реакционной сущности современной буржуазной эстетики, гл. 18.

¹ Уильям Фостер. Очерк политической истории Америки. М., 1953, гл. 630.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ესთეტიკაში თეოლოგია სულ უფრო ღრმად იჭრება, რის გამოც ესთეტიკაც სულ უფრო მისტიკური ხდება. მხატვრული შემოქმედების პროცესში ობიექტური სინამდვილის უგულვებელყოფა, „მიღმურ“ საყაროსაკენ სწრაფვა, ავნოსტიციზმი, მისტიკა, ირაციონალიზმი, უნიადგო სიმბოლიკა, მატერიალური ყოფიერებისადმი შიშისა და ზილის გრძნობის დანერგვა და რეალისტური ხელოვნების ტრადიციების უარყოფა — აი ის საერთო ნიშანები, რაც თანამედროვე ესთეტიკისა და რელიგიის კავშირს უდევს საფუძვლად.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მრავალ ბურჟუაზიულ ესთეტიკოს რელიგიური რწმენა საზოგადოებისა და ხელოვნების „გამოქანწობელის“ ერთადერთ საშუალებად მიაჩნია.

რელიგიასა და თეოლოგიასთან განსაკუთრებით შვიდრო კავშირში იმყოფება ნეოთომისტიკური ესთეტიკა. ცნობილი ნეოთომისტის ე. მარიტენის აზრით, ღმერთმა ხელოვანის სულში მარტო შემოქმედებითი საწყისი კი არ ჩანერგა, არამედ იგი მხატვრული შემოქმედების პროცესში ყოველდღიურად ავლენს თავის თავს.

ასევე თეოლოგიურ ყაიღაზეა დამუშავებული პერსონალისტ-ესთეტიკოსთა თეალაზრისი. ისინი ბუნებასა და საზოგადოებას განიხილავენ, როგორც, ცალკეული „მე“-თა იერარქიის, რომელშიც მთავარი სტუიერი პერსონა ღმერთია. განსაკუთრებით ნიჭიერი პიროვნებანი ღმერთს მხატვრული შემოქმედების გზით უახლოვდებიან.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიისა

და, კერძოდ, ესთეტიკისათვის კიდევ უფრო ღრმად უკან დახვევა დამახასიათებელია ერთეულ ესთეტიკოს XX საუკუნის დასაწყისში — ხელმძღვანელების შემოქმედებით: „უკან კანტიანკენი“, „უკან ჰეგელიანკენი“, იცვლება ლოზუნგებით: „უკან თომა აქვინელსაკენი“, „უკან ნეტარი ავეუსტინესაკენი“. ამ მიზნით ხდება კანტის, ჰეგელის და სხვათა განწმენდა ყოველგვარი მატერიალისტობისა და ობიექტურობისაგან. შეცნობილი შემეცნების ადგილს თანდთან შეასაუკუნებობრივი მისტიკური ინტუაცია იკავებს. შუასაუკუნეებისაკენ უკან დახვევა განსაკუთრებით ნეოთომისტიკური ესთეტიკისათვის არის დამახასიათებელი.

თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკა თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიის სამსახურშია ჩაყენებული. იგი ერთი მხრივ მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას, ხოლო მეორე მხრივ სოციალისტურ ხელოვნებას უპირისპირდება. თანამედროვე ბურჟუაზიულ-ესთეტიკური თეორიები, პირდაპირი თუ არა, არაპირდაპირი გზით თანამედროვე ანტიკომუნისტური იდეოლოგიის ერწმის.

საბჭოთა აღმავლება, სოციალისტურ და ბურჟუაზიულ საყაროთა შორის არსებულ იდეოლოგიურ ბრძოლაში, კარგად უნდა იყვნენ შეიარაღებულნი მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ამასთან, კარგად უნდა იცნობდნენ საპირისპირო იდეოლოგიურ მოძღვრებებს სოციალურ არსს. ეს, ბურჟუაზიული ესთეტიკურ თეორიების შეცნობილი კრიტიკისა და მისი დაძლევის აუცილებელი პირობაა.

კავკასიის უძველესი მოსახლეობის კულტურული და მთნაკური მართობის საკითხისათვის

კავკასიის უძველესი ტომების წარმოშობის, მათი ეთნოკულტურული ერთობის საკითხებში კარგახანია, მკვლევართა ყურადღება მიბურო და ამასთან დაკავშირებით არა ერთი და იგივე მოსაზრება გამოითქვა. მისი მოსახლეობის სიპრეულ უძველესი დიდი ინტერესს იწვევდა და უკვე ყველა ავტორები ამ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ცნობებს გვაწვდიან. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დრომდე კავკასიის ხალხების ეთნოგენეზის პრობლემა ძირითადად ენათმეცნიერთა ინტერესის სფეროს შეადგენდა. უკანასკნელ ხანებში ამ საკითხების კვლევამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო, იგი კომპლექსური შესწავლის საგანი გახდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კავკასიის უძველესი ხალხების ეთნოკულტურული ერთობის, მათი წარმოშობისა, პირველსახეობის და სხვა საკითხებში ჯერ კიდევ ბევრი რამ გაურკვეველი რჩება. მართალია, ეთნოგენეზის პრობლემა საერთოდ ისტორიული მეცნიერების ერთერთი ურთულესი პრობლემაა, მაგრამ კავკასიის სინამდვილეში იგი კიდევ უფრო მეტ სიძნელეებს აწუხებს. ამის ერთერთი მიზეზი ის არის, რომ ამ საკითხების კვლევას ძალიან შორეულ ეპოქაში ვადავსევართ. ამ წერილის მიზანია არქეოლოგიური მასალების საფუძველზე თვითი გვადევნოთ კავკასიაში აღმოჩენილი საზოგადოების ჩანახვა-ჩამოყალიბებისა და მისი თანდათანობით განვითარების პროცესს. შეიძლება თუ არა ამ მონაცემებზე დაფუძნებით კავკასიაში უძველესი მოსახლეობის ეთნიკური და კულტურული ერთობის არსებობა ვიკარაუდოთ და როგორ მიმდინარეობდა ამ ერთობის დამლა, რომლის შედეგადაც კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ჯგუფები უნდა ჩამოყალიბებულიყო. მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ საკითხის განხილვაზე ვადავიდოდეთ, უნდა შევნიშნოთ; რომ ეთნიკური საკითხების კვლე-

ვა საკმაოდ რთული და საძნელე საქმეა, თანაც თუ ეს შორეულ პერიოდებს ეხება. საზოგადოების განვითარების მანძილზე ეთნიკური ისტორიის შესწავლის შესაძლებლობა უძველესი ერთნაირი არ არის. ადრეული ეპოქებისათვის სულ უფრო და უფრო იზღუდება ეთნიკური საკითხების კვლევისათვის საჭირო მასალა. რაც უფრო შორს ვიჭრებით ისტორიის სიღრმეში, მით უფრო რთულდება ეთნოგენეზის პროცესის შესწავლა. ამის ერთერთი მიზეზი ისაა, რომ საზოგადოების განვითარების გარკვეული პერიოდებისათვის ჯერ კიდევ ვერ ხერხდება, ჯეროვნად წარმოდგენა ეთნიკური საკითხების კვლევისათვის საჭირო ისეთი მასალისა, როგორც უნდა. ამ შორეული ეპოქისათვის ძირითად დასაყრდენს არქეოლოგიური მონაცემები წარმოადგენს. მაგრამ შეიძლება ეს მატერიალური კულტურის შესწავლის საფუძველზე ეთნოგენეზის პროცესის ადრეული საფეხურების აღდგენა?

ბოლო დროს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ყურადღება მიექცა ქვის ხანის კულტურისა და ეთნიკური ერთობის მიმართულების საკითხს. გამოითქვა მოსაზრება, რომ უკვე ქვის ხანის არქეოლოგიური კულტურის თავისებურება შესაძლოა ასახედეს ეთნიკურ სხვაობას და ლოკალური ადგილებურებების შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღდგინდეს იქნეს უძველესი ეთნიკური ჯგუფების განსაზღვრა. მართალია, ამ ადრეული დროისათვის ჯერ კიდევ გათვალისწინებული ვერ იქნება ლინგვისტური მონაცემები, მაგრამ ეთნიკური თავისებურება მხოლოდ ერთ არ იფარგლება, იგი

¹ А. А. Формозов, Могут ли служить орудия каменного века этническим признаком. СД, 4, Москва, 1957, стр. 68.

მოიცავს აგრეთვე სხვა ელემენტებსაც, კერძოდ, სელიკრასა და მატერიალურ კულტურას. მათი აღდგენა კი ხერხდება ძირითადად არქეოლოგიური მასალების საფუძველზე. პირველყოფილი საზოგადოების განვითარების გარკვეული საფეხურისათვის ეს მონაცემები ეთნოგენეზის საკითხების კვლევის ძირითადი წყაროა. მართალია, ამ საკითხებთან დაკავშირებით შესაძლოა ჯერ კიდევ უფლაფერი ნათელი არ იყოს, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ არქეოლოგიური კულტურა, გამსაჯებელი განვითარების ადრეულ საფეხურზე, გარკვეულ ეთნოსს უკავშირდება. მსგავსი არქეოლოგიური კულტურები შესაძლოა უკვე ასახავდეს მონათესავე ეთნიკურ ჯგუფებს; კულტურული ერთობა — ეს ეთნიკური ერთობაა. ამასთანავე არგად ჩამოყალიბებულ არქეოლოგიურ კულტურას უნდა შეესაბამებოდეს აგრეთვე ენაც¹ ზოგიერთი მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე გამოვლენილი კულტურა უნდა ასახავდეს ეთნოლინგვისტურ ჯგუფს და თუ არ შეინიშნება მკვეთრი ცვლილება, წყვეტილი მასალაში, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს არქეოლოგიური კულტურა მიეკუთვნება იმ ხალხს, რომელიც აქ ისტორიულ ხანაში ჩანს. მართალია, ძალიან გაკირდება გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე თანამედროვე ხალხების წინაპრები უშუალოდ ჭეის ხანიდან გამოიყვანოთ; დროის ამ დიდ მანძილზე უთუოდ ადგილი ექნებოდა ეთნიკური ჯგუფების გადაადგილებას, ახლის შემოჭრას, გადასახლებებს, შერევას და სხვ. მაგრამ, ვფიქრობთ, თუ გარკვეულ ტერიტორიაზე კულტურის განვითარებაში არ შეინიშნება მაინც და მაინც მნიშვნელოვანი გარდატეხა, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ აქ არც ეთნიკურ შემადგენლობაში მომხდარა რაიმე მკვეთრი ცვლილებები და საბოლოოდ მდგომარეობი ეთნიკური ჯგუფი გამარჯვებული გამოსულა.

ამრიგად, ეთნოგენეზის საკითხის კვლევა, თუ არქეოლოგიური მასალა ამის შესაძლებლობას იძლევა, ადრეული პერიოდიდან უნდა

დაიწყო. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ და მხედველობაში მივიღოთ ზემოთ თქმული არქეოლოგიური კულტურისა და ეთნოსის შიშრობების საკითხის შესახებ. კავკასიაში ადრე ისახება ადამიანთა საზოგადოება და კულტურის განვითარებაში არ შეინიშნება მაინცა და მაინც მკვეთრი ცვლილებები. კავკასია ის ტერიტორია იყო, სადაც უნდა ჩამოყალიბებულიყო კავკასიური ეთნიკური და კულტურული ერთობა.

როდის ჩნდება პირველი ადამიანი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის, როგორც ცნობილია, იმის გამო, რომ საქართველოში აღმოჩნდა ადამიანის მსგავსი მაიმუნის, უდაბნოპოთივის ნაშთი და კარგადაა ცნობილი ძველი ჭეის ხანის ადრეული საფეხურის ძეგლები, ზოგიერთ მკვლევარს ამიერკავკასია შეჰყავს იმ ზონაში, სადაც მაიმუნის გადამიანების პროცესი მიმდინარეობდა, თუმცა ზოგი მკვლევარი ამ საკითხს ჯერ კიდევ გადაჭრულად არ მიიჩნევს. მართლაც, გადაწყვეტთ თქმა ამიერკავკასიაში მაიმუნის გადამიანების პროცესის მიმდინარეობის შესახებ ჯერ კიდევ ძნელია, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ის ტერიტორია ადრეული ხანიდან უკვე ფართოდაა ათვისებული უძველესი ადამიანის მიერ და კაცობრიობის ისტორიის გარიერაზე წარმოქმნილი საზოგადოება შემდეგში უწყვეტად განაგრძობს აქ არსებობას.

დღეს კავკასიაში ძველი ჭეის ხანის ადრეული საფეხურის, ქვედა პალეოლითის, ორ ასეულზე მეტი ძეგლია ცნობილი, აქედან 130-ზე მეტი საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ეს ხანა მიეკუთვნება შორეულ გეოლოგიურ პერიოდს, მეოთხეულ ეპოქას. ამ დროს კავკასიაში გამოიხატება არც თუ ისე ძლიერი იყო და, საერთოდ, აქ კარგი ბუნებრივი პირობები უნდა ყოფილიყო უძველესი ადამიანის ცხოვრებისათვის. უადრესი ძეგლი ქვედა პალეოლითურ ხანისა კავკასიაში აღმოჩენილია სომხეთში, სატანიდარში, რომელსაც შელის ეპოქის გვიანდელ საფეხურს მიეკუთვნებენ, თუმცა ახლახან გამოხულ ნაშრომში ვ. ლიუბინმა, რომელიც ადრე ამიერკავკასიის გადამიანების ზონად მიიჩნევდა, გამოთქვა მოსაზრება, რომ კავკასიაში პირველი ადამიანი უნდა გამოჩენილიყო. საშპრეთიდან, შედარებით გვიან, აშელის ეპოქაში² და სატანიდარის ადრეული თარიღი ერთგვარად ეჭვის ქვეშ დააყენა. ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, აშელის ეპოქიდან ამიერკავკასია უკვე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს. მარტო საქართველოს ტერიტორიაზე სადღეისოდ 40-ზე მეტი აშელური პერიოდის ძეგლია ცნობილი. აფხაზეთის მასალების საფუძველზე აღი-

¹ М. Н. Артамонов, К вопросу о этногенезе в советской археологии, КСИИМК, вып. XXIX, М.-Л., 1949, стр. 10; И. С. Каменецкий, Археологическая культура — её определение и интерпретация, СА, 2, Москва, 1970, стр. 32.

² А. П. Смирнов, К вопросу о археологической культуре, СА, 4, Москва, 1964.

³ Г. С. Кнабе, Вопрос о соотношении археологической культуры и этноса в современной зарубежной литературе, СА, 3, Москва, стр. 248.

ნიშნა, რომ აშელის ეპოქა აქ ადგილობრივი წარმოშობისა და მას გარკვეული გენეტიური კავშირი ჰქონდა ანატოლიის ზღვისპირა რაიონებთან.¹ ყიდვე უფრო ჭარბოდ ითვისებს ადამიანი კავკასიის მომდევნო, მესტიეს ხანაში. ამ პერიოდის ადამიანის კვალი თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება. აშელურ-მესტიურული კულტურის ძლიერი კერა ჩანს ყუბანისპირეთსა და აგრეთვე ჩრდილო კავკასიის სხვა ადგილებში. ძველი ქვის ხანის ადრეულ საფეხურზე, ქვედა პალეოლითის დროს კავკასიონის ქედის ორივე მხარეზე ხელსაყრელი პირობებები უნდა არსებებოდა პირველყოფილ ადამიანის განსახლებისათვის. ამ ეპოქის ძველნი აღმოჩენილია თითქმის ყველა კლიმატურ-ლანდშაფტურ ზოლში როგორც დაბლობ, ისე საკმაოდ მაღლობ ადგილებში. როგორც ჩანს, ადრე პალეოლითის ხანაში პირველყოფილ ადამიანთა გჯერვების ინფილტრაცია ჩრდ. კავკასიაში სამხრეთიდან ხდება. ყუბანისპირეთში ნაპოვნი ქვედაპალეოლითური ძეგლები ახლო დგანან დასავლეთ საქართველოს მასალებთან. ჩანს, რომ პირველი მოსახლეობა აქ შავი ზღვის სანაპიროდან უნდა მოხვედრილიყო. უძველესი ადამიანის გამოჩენის სამხრეთ რუსეთში ზოგიერთი მკვლევარი კავკასიის უკავშირებს.²

სამწუხაროდ, ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში განათხარი ადამიანის ძეგლები, თუ არ ჩავთვლით აზიხისა და ყრუქულის გამოქვაბულებში აღმოჩენილ მცირე ნაშთებს, თითქმის ცნობილი არ არის. აზერბაიჯანში, აზიხის გამოქვაბულში აშელური ხანის ფენაში ნაპოვნი იყო უძველესი ადამიანის ქვედა ყბის ნატეხი, რომელსაც უძველეს პალეანთროპს მიაკუთვნებენ. მდ. ყვირილის ხეობაში, ყრუქულას გამოქვაბულში, მესტიურულ ხანის ფენაში აღმოჩნდა ადამიანის საძირე კბილი. ამ კბილის შესწავლის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ თავისი არქაული ნიშნებით იგი შეიძლება ახლო დაეყენოთ ნეანდერტალელ ადამიანთან. გარკვეული მსგავსება შეინიშნება პალესტინაში სხელის გამოქვაბულში აღმოჩენილ ე. ი. პალესტინელი ადამიანის კბილ-

თან.³ პალესტინაში მთა კარმელის გამოქვაბულში გვიანმესტიურულ ფენებში ნეანდერტალელის ე. წ. პალესტინური ადამიანის ნაშთები. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ პალესტინელ ადამიანში უკვე ისეთი ნიშნები შეიმჩნევა, რომლებიც თანამედროვე ტიპის ადამიანის Homo Sapiens-ისათვისაა დამახასიათებელი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი ზონა წინა აზია და მისი მოსაზღვრე ოლქები უნდა ყოფილიყო.⁴ ამ ზონაში აქცევეს აგრეთვე ამიერკავკასიისაც. ასევე თუ ისე, ავტორთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ წინა აზია, თავისი მიმდგომი მხარეებით, ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი იყო, სადაც ხდებოდა თანამედროვე ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება, რომ ამიერკავკასია შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი იმ ოლქთაგანი, სადაც ეს პროცესი მიმდინარეობდა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოწმობს აქ ნაპოვნი მატერიალური კულტურის ძეგლებიც. ჩვენში კარგადაა წარმოდგენილი ქვედა პალეოლითის ბოლო საფეხური, მესტიე, მისი გვიანდელი სტადია და ზედა პალეოლითის ადრეული ხანის ძეგლები. თვით გარემოც ამიერკავკასიისა ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო თანამედროვე ტიპის ადამიანის წარმოქმნისათვის. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ადამიანი უნდა ჩამოყალიბებულიყო იქ, სადაც ამ დროს კლიმატურ პარამეტრებს მკვეთრი ცვლილება არ იყო. ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ ზედა პალეოლითი ამიერკავკასიაში ადგილობრივი კულტურის საფუძველზე წარმოიქმნა და აქვე მიმდინარეობდა თანამედროვე ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება. სწორედ მას უნდა დაეტყობინა ზედაპალეოლითური კულტურის ძეგლები, რომლითაც ასე მდიდარია კავკასია და განსაკუთრებით კი — საქართველო.

საქართველოს ტერიტორიაზე დღეს სამოცამდე ზედაპალეოლითური ძეგლია ცნობილი. კავკასიის სხვა მხარეებში ამ პერიოდის კულტურა შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი. ამან ზოგიერთი მკვლევარს ისიც კი აფიქრებინა, რომ ზედა და ქვედა პალეოლითის მიჯნაზე კავკასიის მთიანი ნაწილი მიტოვებულ იქნა

¹ Л. К. Габуня, Д. М. Тушабрамишвили, А. К. Векуа, Первая находка остатков мустьерского человека на Кавказе. Вопросы антропологии, 1961, стр. 161.

² Я. Я. Рогинский, Антропологические вопросы в проблеме происхождения человека, Труды института этнографии, новая серия, XVI, Москва, 1951, стр. 201.

¹ Н. И. Коробков, К вопросу о дивергентном характере древнепалеолитических индустрий, VII Международный конгресс доисториков и протонисториков, Москва, 1956, стр. 7.

² С. Н. Бибиков, Заселение Восточной Европы в эпоху палеолита, СА, 4, Москва, 1959, стр. 24.

პირველყოფილი ადამიანის მიერ და იგი რუსეთის ველზე უნდა გადასახლებულიყო.

საქართველოში დღეს კარგადაა ცნობილი გვიანმუსტი, რომელიც საკმაოდ ახლო დგას პალეოლითის ადრეული ხანის პირველი ყვეფის მასალასთან. ზედა პალეოლითის ადრეული დროის ზოგიერთი იარაღი ჯერ კიდევ ატარებს მუსტიერულ ელფერს (გერგელის კლდე, თარო-კლდე და სხვ.); ჩვენში კარგადაა წარმოდგენილი შუა, მეორე ყვეფის (საჯაფია, დევის ზერული, მღვიმევი, სავარჯილე და სხვ.) და აგრეთვე გვიანი, მესამე ყვეფის ძეგლები (სავარჯილე, წონა, ქეჯარა და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ჩვენში ცნობილია ამ დროს პრავალენიანი ძეგლები, სადაც ზედა პალეოლითის ხანის თითქმის ყველა საფეხურიცაა წარმოდგენილი. მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ყვირილის ზეობა, სადაც განსაკუთრებით მდიდრადაა წარმოდგენილი ზედა პალეოლითური ხანის ყველა პერიოდის ძეგლები. სწორედ ამ ძეგლების საფუძველზე შექმნა ძირითადად ს. ზამიატინმა თავისი ცნობილი ტრონოლოგიის „ამერული შკალა“. უნდა შევინიშნოთ, რომ ზედა პალეოლითური ხანის ძეგლები ძირითადად დასავლეთ საქართველოდანაა ცნობილი. აღმოსავლეთ საქართველო, ჩანს, ამ დროისათვის შედარებით ნაკლებადაა დასახლებული.

ზედა პალეოლითში ათვისებულია ამიერკავკასიის სხვა ოლქებიც, მაგრამ სადღეისოდ არსებული მასალებით ისე ჩანს, რომ აქ მაინც ისეთი ინტენსიური ცხოვრება არ არის, როგორც ამას საქართველოს ტერიტორიაზე ვხედავთ. სომხეთში რამდენსამე ადგილასაა დამოწმებული ზედა პალეოლითური ხანის ძეგლები. კიდევ უფრო ნაკლებად ცნობილია ამ დროის მასალები აზერბაიჯანიდან.

უკანასკნელ ხანებში ზედა პალეოლითური ხანის ძეგლები აღმოჩენილ იქნა ჩრდილო კავკასიაშიც. სადღეისოდ აქ ათზე მეტი ზედა პალეოლითური სადგომია ცნობილი, აღსანიშნავია ყაბარდო-ბალყარეთში აღმოჩენილი სადგომი სოსრუკო, ჩიხი დალესტანში¹. და სხვ. უკანასკნელთა, კამენოსტუკის და გუბის გამოქვაბულებში, აგრეთვე მდ. გუბისს ზეობაში და სხვ. ნაპოვნი იყო ზედა პალეოლით-

ური ხანის მასალები, რომლებიც შეიძლება შეედარაოთ ზამიატინის მიერ ამიერკავკასიის ზედა პალეოლითისათვის შემდგენულ ტერიოლიზაციის სამივე ეტაპს. **გეოლოგიური**

საქართველოში კარგადაა ცნობილი აგრეთვე მეზოლითური, ძველიდან ახალ ქვის ხანაზე გარდამავალი ეპოქის ნაშთებიც, გეაჩილას კლდის მასალებში, რომელიც ზედა პალეოლითის დასასრულის, მაღლენის ეპოქის ზოლის უნდა მიეკუთვნებოდეს. უკვე შეინიშნება მსგავსება მეზოლითური ხანის ძეგლებთან.² მეზოლითი ცნობილია დასავლეთ საქართველოში, ქეჯარის და იაშთხვის გამოქვაბულები, ნუბინიშპაჯა, ენწიარის სადგომი, ჩახათი და სხვ. შიდა ქართლში წინა და შუამის ზონაში კარგადაა ცნობილი მეზოლითური ხანის ძეგლები, ამ დროს, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანი ჩვენში ითვისებს აგრეთვე მაღალმთიან ზოლსაც, წონას გამოქვაბულში, რომელიც 2150 მ სიმაღლეზე მდებარეობს, გამოელენილია მეზოლითური ხანის ფენა. საშრეთ საქართველოში, წალკისა და გომარეთის მაღალმთიან პლატოებზე, აღმოჩნდა ამ დროის სადგომები. მეზოლითური დროის რამდენიმე სადგომი ცნობილია სომხეთიდან. მეზოლითი ჩვენში ზედა პალეოლითური კულტურის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო.

ჩრდილო კავკასიაში მეზოლითური კულტურა აღმოჩნდა სოსრუკოში (ყაბარდო-ბალყარეთში), დალესტანში—(ჩიხი, მევევი და სხვ.) და სოქის შახლობლად აცინის გამოქვაბულში. გვხვდება იგი აქ აგრეთვე მაღალმთიან ზოლშიც. უკანასკნელთაში ჯერჯერობით მეზოლითური ხანის სადგომები ცნობილი არ არის.

კავკასიის გვიანპალეოლითური კულტურა ს. ზამიატინმა თავის დროზე ფართო, მწვლთაშუა ზღვის კულტურის არეში შეიყვანა. მაგრამ კავკასიის ზედაპალეოლითური კულტურა მაინც თავისებურია, რომლის ფესვებიც ადგილობრივ ქვედა პალეოლითურ კულტურაშია საძებარი. ამიერკავკასიის და საერთოდ კავკასიის ზედაპალეოლითურმა კულტურამ განვითარების დაახლოებით ერთნაირი გზა განვლო და იგი აქ თითქმის მივლ ტერიტორიაზე დიდ სიახლოვეს აშლანებებს. საქართველოს ტერიტორია, უფრო კი მისი დასავლეთი ნაწილი, კავკასიის სხვა ოლქებთან შედარებით, განსაკუთრებით მჭიდროდაა დასახლებული. რით იყო გამოწვეული ის, რომ ზედა პალეოლითის დასაწყისი ხანებიდან ამიერკავკასიის დასავლეთი ნაწილი, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველო, ინტენსიურადაა ათვისებული ადამიანის მიერ, ახლა ძნელი სათქმელია. შე-

¹ С. Н. Бибиков, О южных путях заселения Восточной Европы в эпоху древнего палеолита. Четвертичный период, вып. 13—15, Киев, 1961, стр. 348.

² დ. თეშაბრამიშვილი, ყრუქულის ხეობას გამოქვაბულები, საქართველოს მუეიმეები და გამოქვაბულები, 1, თბილისი 1963, გვ. 178.

³ В. Г. Котович, Каменный век Дагестана, Махачала, 1964, гв. 120.

1. დ. თეშაბრამიშვილი, გეაჩილას-კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ. 1960, გვ. 157.

საძლია მნიშვნელოვანი როლი შესრულა იმდროინდელმა ბუნებრივმა პირობებმა. საფუძრებელთა, რომ ამ პერიოდში მოსახლეობის ინდივიტრალიცის ერთ-ერთი ძირითადი ყურა სწორედ აქ იყო. ეგებ სწორედ ამიტომაც კავკასიის კულტურა ერთიანი, მონოლითური და იგი კარგად თავსდება „იმერულ შვალაში“. ზედა პალეოლითის გვიანდელ საფეხურზე კავკასიაში უკვე შესაძლებელი ხდება გარკვეული ლოკალური ვარიანტების გამოყოფა. უფრო მეტიც, ზოგიერთი მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ კავკასიის მეზოლითური კულტურა, მსგავსების მიუხედავად, უკვე ერთიანი არ არის.¹ ჩრდილო კავკასიაში გამოვლენილი ზედა პალეოლითის ბოლო პერიოდის კულტურა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ამ მხრივ აღსანიშნავია სოსრუკოში და გუბის გამოქვაბულში აღმოჩენილი მასალა და დიდესტანში² გამოვლენილი ძეგლები (ჩოხი, მეყმეტი და სხვ.). უკანასკნელ ხანებში კავკასიის ზედა პალეოლითის გვიანდელი საფეხურის და მეზოლითის დასაწყისი ხანის კულტურაში გამოიკვეთს სამი ლოკალური ჩვეულება: ამიერკავკასიური, გუბისა და ჩოხის.³ გუბის ჩვეულები მოიცავს ჩრდილო-დასავლეთ, ჩოხისა კი — ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის, აღსანიშნავია, რომ ამხანაგთში, ამიერკავკასიურ კულტურაში, გვხვდება რამდენიმე ძეგლი, რომლებშიც გუბის⁴ ჩვეულებათვის დამახასიათებელი მასალა აღმოჩნდა.

ზედა პალეოლითის დროს ახლო ურთიერთობა ჩანს კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთს შორის. აქაც და იქაც პალეოლითური კულტურა „ორინიალურ“ ტრადიციებს ატარებს.⁵ განსაკუთრებული სიახლოვე შეინიშნება ამ პერიოდში ამიერკავკასიასა და ერაყს შორის.⁶ აქ ზარზის სადგომზე აღმოჩენილი მასალა, რომელიც ზედა პალეოლითის ბოლოს, მეზოლითის დასაწყისს მიეკუთვნება, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს გვარჭილას კლდის მასალებთან. ახლო ურთიერთობა — ჩანს მეზოლითის ხანაშიაც. შეიძლება თუ არა ერაყისა და ამიერკავკასიის ძეგლების ერთ ლოკალურ ჩვეუ-

ში გაერთიანება, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, ძნელი სათქმელია. ჯერ კიდევ მცირეა მასალა იმისათვის, რომ გარკვევით ჩანს ამ ქვეყნის ერაყისა და დასავლეთ საქართველოს კულტურულ ურთიერთობაზე.⁷ ასეა თუ ისე, ერთი კი ამჟამად, რომ ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ხანაში წინა აზიასა და ამიერკავკასიას შორის საქმოდ შეიძრო ურთიერთობა არსებობდა (ერთიანი ტენდენციები და განვითარების საერთო ისტორიული პროცესი). ზოგიერთი მკვლევარი ამიერკავკასიის პალეოლითის ხმელთაშუაზღვისპირეთის გვიანპალეოლითურ ე. წ. „კაპსის კულტურას“ უკავშირებდა,⁸ ამიტომ გამოითქვა მოსაზრება, რომ ბასქურისა და კავკასიური ურთიერთობა საფუძველს მოკლებული არ არის და იგი საძებარია შორეულ წარსულში, მეზოლით-კაპსის ხანაში. საქართველოს ზედა პალეოლითური კულტურასთან ახლო დგას აზოვისპირეთში აღმოჩენილი ამ დროის ძეგლები. მათ შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ გამოითქვა აზრი კავკასიიდან აზოვისპირეთში მოსახლეობის გადასახლების შესახებ.⁹ სამწუხაროდ, ჯერჯერობით ზეგრი არაფერს თქმა შეუძლებელია კავკასიაში მოსახლე ზედა პალეოლითური ადამიანის შესახებ. დღესდღეობით სულ სამი შემთხვევაა Homo Sapiens-ის ნაშთების აღმოჩენისა. დევის ზრეცლის გამოქვაბულში ნაპოვნი იყო მოხუცი ადამიანის ქვედა ყბის ნატივები, მღვიმეში აღმოჩნდა დონოხოცელთური ტიპის ადამიანის თავის ქალა. ნატივები, გუბის გამოქვაბულში კი — მამაკაცის მარცხენა მხრის ძვალსახსრები.

ზედა პალეოლითი მეტად მნიშვნელოვანი ხანაა კაცობრიობის ისტორიაში. ამ პერიოდში ხდება გვაროვნული საზოგადოების წარმოქმნა. მიმდინარეობს ტომობრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბების რთული პროცესი, ისახება არქეოლოგიური კულტურა. როგორც ჩანს, ჩამოყალიბება არქეოლოგიური კულტურისა, რომელიც უკვე გარკვეულ ეთნიკურ ნიშნებს ატარებს, ამ პერიოდში ხდება.

ზედა პალეოლითის დროს უნდა დაწყებულიყო კავკასიის კულტურული და ეთნიკური ერთობის წარმოქმნის პროცესი. სადღესოდ არსებული მასალებით ისე ჩანს, რომ ამ ვერ-

¹ А. А. Формозов, Обзор исследований мезолитических стоянок Кавказа, стр. 187.

² Н. О. Бадер, Варианты культуры Кавказа конца верховного палеолита и мезолита, стр. 14.

³ Н. О. Бадер, Различия между верхнепалеолитическими культурами Закавказья и Ближнего Востока, Археология старого и нового света, М., 1966, стр. 141.

⁴ И. И. Коротков, Исследования палеолита в Ираке, стр. 134.

⁵ Н. О. Бадер, Различия между верхнепалеолитическими... стр. 143.

⁶ С. Н. Замятин, О локальных различиях в культуре палеолитического периода, стр. 131.

⁷ В. Н. Даниленко, Неолит Украины, Киев, 1969, стр. 232.

⁸ М. Д. Гвоздовер, О культурной принадлежности позднелеолитических памятников Нижнего Дона. Вопросы археологии, вып. 27, 1967, стр. 82.

თობის ჩამოვლილების ძირითადი კერა, დასავლეთ ამიერკავკასია, დღევანდელი დასავლეთ საქართველო უნდა ყოფილიყო. სწორედ აქ, რიონ-ფიჩორის რაზმინარეთშია გამოვლენილი ძირითადი ზედა პალეოლითური ხანის ადრეული საფეხურის ძეგლები. ამიერკავკასიის სხვა მხარეებში და, საერთოდ, კავკასიაში ამ დროის ძეგლები სადღეისოდ ნაკლებადაა ცნობილი. შესაძლოა, ეს გარემოება, ერთი მხრივ, იმითაც ყოფილიყო გამოწვეული, რომ, ქვედა და ზედა პალეოლითის საზღვარზე, კავკასიაში ყველგან ჯერ კიდევ არ იყო ხელსაყრელი პირობები პირველყოფილ ადამიანის არსებობისათვის. ჩანს, ზედა პალეოლითის დასაწყისში უკეთესი მდგომარეობა იყო ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში და ამიტომაცაა, ალბათ, რომ ეს მხარე ამ დროს შედარებით უკეთესა ათვისებული. შემდგომი, ზედა-პალეოლითის შუა საფეხურზე, კლიმატის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ადამიანი თანდათანობით იკავებს კავკასიის დანარჩენ ოლქებსაც. ამ დროის ძეგლები ცნობილია სხვა მხარეებშიც. არ არის გამორიცხული, რომ მოსახლეობის ძირითადი მასის ინფილტრაცია ამ დროისათვის დასავლეთ ამიერკავკასიიდან ხდება. შესაძლოა, ამიტომაც კავკასიის კულტურული და ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი ოლქი სწორედ აქ იყო. ზედა პალეოლითის ბოლოსა და მეზოლითის დროს, ვაშინეარების შემდგომ ხანაში, თითქმის მთელი კავკასია ათვისებულია ადამიანის მიერ, უნდა ვთქვათ, რომ ძველი ქვის ხანის კულტურა კავკასიაში ძირითადად ერთი მოდელის ტომებს ეკუთვნოდა, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, კავკასიის პალეოლითური კულტურა ერთიანია, თავისებურია და ამ ხანაში აქ არ შეინიშნება რაიმე არსებითი ცვლილებები, რაც გადამსაზღვრავს ან ახლის შემოჭრასთან იქნებოდა დაკავშირებული. როგორც ჩანს, ამ დროს მოსახლეობის გადაადგილება ძირითადად კავკასიის შიგნით ხდება. კავკასიაში, მისი რელიეფის გამო, ხელსაყრელი პირობებია გათიშვისათვის. ზედა პალეოლითის დასასრულისათვის უკვე ისახება ლოკალური ვარიანტების გარკვეული ნიშნები. მართალია, ახლა ძველი ლაბარაკი კავკასიის პალეოლითისდრინდელი მოსახლეობის ლინგვისტურ ერთეულებზე, არქეოლოგია ამის შესახებ არაფერს იძლევა და არც ლინგვისტიკას შეუძლია ზედა პალეოლითში არსებულ ენობრივ წყობაზე რაიმეს თქმა, მაგრამ, იმის გამო, რომ აქ, კავკასიაში, ამ დროს ერთიანი კულტურა ჩანს, არ არის გამორიცხული, რომ იმთავითვე ერთი მოდელის ტომები ბინადრობდნენ. ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ კავკასიაში ზედა პალეოლითში მოსახლე ტომე-

ბი კავკასიური ენობრივი ერთობის მატარებლები იყვნენ. ეს საერთო ენობრივი ერთობა ზედა პალეოლითის პირველ ნახევარში უნდა ჩამოვლილებულიყო. ზედა პალეოლითის შემორჩენილიდან მოსახლეობის შედარებით უფრო დიდ ტერიტორიაზე განფენისა და იზოლაციისათვის არსებული კარგი გარემო იწვევდა ალბათ აგრეთვე კავკასიური ენობრივი ერთობის თანდათანობით დაშლას. ძველი ქვის ხანის ბოლოსა და მეზოლითის დროს კავკასიურ კულტურაში გამოსახული გარკვეული თავისებურებანი, შესაძლოა ასახავენ აგრეთვე ენობრივ ერთობაშიც. ჯერ კიდევ მცირეა და მომზადარ ცვლილებებს. ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ კავკასიური კულტურული და ენობრივი ერთობის დაშლის სათავეები ძველი ქვის ხანის ბოლოს, უფრო კი ძველი ქვის ხანიდან ახალ ქვის ხანაზე გარდამავალ პერიოდში, მეზოლითში უნდა ეყვით. შემდგომ, უკვე ახალი ქვის ხანის დროს და პრიოკის კიდევ უფრო შორს მიდის. ცხადია აშკარა საკითხებზე გარკვევით რაიმეს თქმა ძალიან ძნელია. ეს ისეთი შორეული ეპოქაა, რომ სხვა მონაცემები, გარდა არქეოლოგიისა, თითქმის არ გავაჩნია. ამ აღრეული ეპოქებისათვის, როდესაც კავკასიაში ყალიბდებოდა და ეთარდებოდა ადამიანთა საზოგადოება, არქეოლოგიური მონაცემები თითქმის ერთგვარად მხარს უჭერს აქ ერთიანი კულტურის არსებობას. თუ გაიხსენებთ ზემოთ თქმულს, რომ ადრეულ ხანაში არქეოლოგიური კულტურა შეიძლება აგრეთვე ეთნიკურ ნიშნებსაც ასახავდეს, მაშინ არ არის გამორიცხული დავუშვათ, რომ, ეს ადრეული კულტურა კავკასიის ეთნიკური და ენობრივი ერთობის მატარებელ ტომთა კუთვნილება ყოფილიყო.

ახალი ქვის ხანა, ნეოლითი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში. თუ პალეოლითი შეგროვებითი მეურნეობის ხანა იყო და ადამიანის საყვარელ ბუნებრივ მხარეებზე სახით იღებდა, ნეოლითში საზოგადოება წარმოებით მეურნეობაზე გადადის. ამ დროიდან ისახება და ეთარდება მეურნეობის ის დარგები— მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რომლებიც დღესაც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავია. მეურნეობის ახალი ფორმების განვითარებამ იმდენად დიდი ცვლილებები გამოიწვია უძველესი საზოგადოების თითქმის ყველა სფეროში, რომ ამ პერიოდს ნეოლითურ რევოლუციას უწოდებენ. კაცობრიობის ისტორიაში არც თუ ისე ბევრი მოვლენის ჩამოთვლა შეიძლება, რომლებიც თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით გაუტოლდება მეურნეობის ახალი ფორმის შემოსვლას. რა თქმა უნდა, ეკონომიური რევოლუცია, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა საზო-

ვადოების ცხოვრება, უნდა მომხდარიყო იქ, სადაც საამისოდ ზელსაყრელი პირობები იყო. მეურნეობის პროგრესული, ახალი ფორმის წარმოქმნის ერთ-ერთი დამოუკიდებელი კერა უნდა არსებულყო წინააზიური სამყაროს ჩრდილო ზოლში — ამიერკავკასიაში. აქ საამისოდ ყველა პირობა იყო.

მართალია, ამიერკავკასიასა და საერთოდ კავკასიაში ნეოლითური ხანა ჯერ კიდევ სათანადოდ გამოვლენილი და შესწავლილი არ არის, მაგრამ მიინტერესებს ითქვას, რომ იგა ადგილობრივი პალეოლითური კულტურის განვითარების შედეგი უნდა იყოს. სადღესსოდ აქ გამოვლენილი მთელი რიგი ადრენეოლითური ხანის ძეგლები, რომლებშიც კარგად ჩანს წინამორბედი ხანის, ადგილობრივი მეზოლითური კულტურის ტრადიციები.¹ შეინიშნება ისიც, რომ ამ დროს კავკასია, ძველი ქვის ხანასთან შედარებით, უფრო ფართოდაა ათვისებული. ნეოლითური რევოლუციის ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ მან მოსახლეობის სწრაფი ზრდა გამოიწვია. ამიერკავკასიასა და საერთოდ კავკასიაში ამ დროისათვის სავარაუდოდ იმატა აქ მოსახლეობის რიცხვმა.

საქართველოს დასავლეთ ნაწილში ნეოლითური ხანის ძეგლები შედარებით უკეთ არის გამოვლენილი. ნეოლითური ხანის ნამოსახლარები ცნობილია ანასუელთან, ოდიშთან, კისტრეთთან და სხვ. ზერხდება დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ კულტურაში განვითარების სხვადასხვა საფეხურების დადგენა.

გვიან ნეოლითში შესამჩნევია ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვის იარაღში, ჩნდება ახალი ფორმები და გამოჩენას იწყებს თიხის მურქული. ამ პერიოდის ძეგლებში დასავლეთ საქართველოში იშვიათად ერთგვაროვანია, რომ შესაძლებელი ხდება მათი ერთ ჯგუფში გაერთიანება. ისინი ჯერ კიდევ მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ადრე ნეოლითისა და მეზოლითის კულტურებს და განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს.

დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითურ საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს ადღურის მახლობლად გამოვლენილი ქვემო-შილოკვას სადგომი. აქ აღმოჩენილი ქვის იარაღი ახლო დავსისტრიისა და ოდიშის მასალებთან.²

გარკვეულ სიახლოვეს დასავლეთ საქართვე-

ლოს ნეოლითთან ამკვლევებს უბრალოდ ერთ-ერთი გამოვლენილი მასალები. მართალია, ჯერჯერობით ამ პერიოდის მხოლოდ რამდენიმე ძეგლია ცნობილი, რომელთაგანაც უკვე შეწყვეტილი აღსანიშნავია კამენოშტოკის გამოქვაბული და ოვეჩა, მაგრამ ამჟამად ჩანს, რომ ნეოლითის აქაც საფუძვლად უდევს ადგილობრივი მეზოლითური კულტურის მიკროლითური ტიპის ტრადიციები.

დასავლეთ საქართველოს და საერთოდ დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის ერთგვაროვანი ხასიათის მიუხედავად, მაინც ზერხდება გარკვეული ვარიანტების გამოყოფა. თანამედროვე ვერიისა და სამეგრელოს უარგლებში მოქცეული ძეგლებისათვის დამახასიათებელია ორნამენტირებული კერამიკა, ქვის იარაღის გარკვეული თავისებურება და სხვ. (გურბანაძე, ანასუელი II, ოდიში). მეორე ჯგუფისათვის, რომელსაც ძირითადად აფხაზეთისა და მისი მიმდებარე რაიონები უკავია, დამახასიათებელია სადა, უორნამენტო თიხის მურქული, ერთგვარად განსხვავებული ტიპი ზოგადი იარაღისა და სხვ.

სამწუხაროდ, დღესდღეობით ბევრის არარის თქმა შეუძლებელია აღმოსავლეთ საქართველოს და საერთოდ ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის შესახებ. ის ცალკეული აღმოჩენები, რომლებიც ცნობილია ამ რაიონებიდან, გარკვეულ წარმოდგენას ვერ იძლევა. მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ეს მხარეებიც ამ პერიოდში ათვისებული ჩანს. იგივე შეიძლება აღინიშნოს ჩრდილო კავკასიის ცენტრალური ნაწილის შესახებაც, სადაც ამ პერიოდის რამდენიმე ძეგლი და ცალკეული აღმოჩენებია ცნობილი.

ნეოლითური კულტურა შედარებით უკეთ არის შესწავლილი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში. აქ ადრენეოლითურ ხანას მიეკუთვნება მახაჩალისა და ბუინაკის მახლობლად გამოვლენილი ნასოფლარები. ეს კულტურა გარკვეულ მსგავსებას ამკვლევებს დაღესტანის გვიანნეოლითურ ძეგლებთან. მას შერჩენილი აქვს წინაურ პერიოდის ნიშნები და გვხვდება ახალი, ნეოლითისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.³

დაღესტანში ცნობილია, აგრეთვე, გვიანნეოლითური ხანის ძეგლები (უბარატესად გუენიხისა და აყუშინის რაიონებში). აქ გამოვლენილია ამ ხანის ნასოფლარებზე აღმოჩენილი ქვის ინტენტიური უახლოვდება ოდიშის, კისტრეთისა და სხვა ძეგლების ქვის იარაღს, ნეოლითის ბოლოს უნდა მიეკუთვნებოდეს სოფ. რუგუჩის

¹ А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, стр. 56; Л. Д. Небнеридзе, Неолит Западного Кавказа, Автореферат, Тбилиси, 1967, стр. 8.

² А. А. Формозов, А. Д. Столяр, Неолитические и энеолитические поселения в Краснодарском крае, СА, 2, Москва, 1960, стр. 103.

³ В. Г. Котович, Археологические работы в горном Дагестане. Материалы по археологии Дагестана. Махачкала, 1961, стр. 23; История Дагестана, т. 1, Москва, 1967, стр. 28.

(გუნების რაიონი) სამი ნეოლითური სადგომი. ამ სადგომებზე აღმოჩენილი კერამიკა, ვანაკეთობებით დაზოგადების წესითა და გამოწვევის ხარისხით, მოგვაგონებს ოდნისა და სანერთოდ დასავლეთ კავკასიის ნეოლითისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭელს, ოღონდ დაღესტნური კერამიკა სადაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიისა და სავრთოდ კავკასიაში წარმოებით მუდრნობაზე გადასვლის პროცესი წინა აზიასთან შედარებით რამდენადღე გვიან უნდა მომხდარიყო და თანაც უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ამის ერთ-ერთი მიზეზი, ეგებ, ისიც იყო, რომ ჩვენში შეგაროებითი მუდრნობისათვის ხელსაყრელი პირობები იყო, რასაც ერთგვარად უნდა შეეწყობინა მუდრნობის ახალი ფორმების დამკვიდრება და განვითარება. მაგრამ ახალი ტიპის ეკონომიკის განვითარებისათვის კავკასიაში უყველა პირობა იყო და ამას არ შეიძლება: ბოლოდაბოლოს საზოგადოება ნეოლითურ რევოლუციამდე არ მიყვანა. ამიერკავკასიაში უხვად მოიპოვებოდა საკვები მცენარეულობა. ეს მხარე მრავალი ზორბუნელი აიშის სამშობლოდ ითვლება და აქ მოსახლე ტომებს გარკვეული რაოდენობით მიუძღვით პურეული ჯიშების გამოყვანაში. საქართველოში კარგადაა წარმოდგენილი ადგილობრივი, ენდემური ჯიშები. აქა ჩასახული და განვითარებული მება, ზანდური, დეკა და სხვ. ფორმები. ქართული დოღის ბუჩი, როგორც აღნიშნავენ, ქართველი მიწათმოქმედის პირშია.

მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ნეოლითური ეულტურის განვითარებას ამიერკავკასიისა და სავრთოდ კავკასიაში განსაზოგადება, აგრეთვე, ახლო კავშირი ძველალბანურ სამხაროსთან. კავკასიის ნეოლითში შეიმჩნევა ისეთი ნიშნები, რომლებიც წინა აზიის უძველესი სამიწათმოქმედო ეულტურებისა ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს. ეს შეინიშნება როგორც ქვის იარაღში, ისე თიხის ჭურჭელში და, შესაძლოა, მუდრნობის ახალი ფორმების დამკვიდრებას სწორედ ამ სახალღემ შეუწყო ხელი. მაგრამ წინა აზიასთან კონტაქტების მიუხედავად, კავკასიის ნეოლითი ადგილობრივი, წინაურ ეულტურის საფუძველზე აღმოცენდა, ოღონდ, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი, ეგებ უფრო პერიფერული ნაწილი წინა აზიის უძველესი სამიწათმოქმედო ცენტრისა. არ არის გამორიცხული, რომ ამ დროს სამხრეთიდან ხალხთა გარკვეული მასების შემოსვლას ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ამას რაიმე შესაძენევი ცვლილებები არ უნდა მოყოლოდა.

ამიტომ, ამიერკავკასიისა და კავკასიაში ნეოლითის ხანაში დაიწყო შეგაროებითი მუდრნობიდან წარმოებითზე გადასვლის პროცესი. ეს პროცესი საკმაოდ რთული იყო და აქ მოსახლე ტომებმა წარმატებით განეღეს იგი. ად-

გილობრივმა ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა მათი მუდრნობის ახალი ფორმების — მიწათმოქმედებისა და მუდრნობის — დამკვიდრება და განვითარება. ახალი ტიპის ეკონომიკაზე გადასვლა, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მომხდარა, იგი საკმაოდ ხანგრძლივი იყო. ეკონომიური რევოლუცია ჩვენში რამდენიმე ათას წელიწადს უნდა გაგრძელებულიყო და იგი, როგორც ჩანს, V ათასწლეულისათვის უნდა დასრულებულიყო.

ეკონომიური ბაზის შეცვლა გვიმოხდელი საზოგადოების გადახალხლება გამოიწვია. მუდრნობის ახალ ფორმებზე გადასვლა საზოგადოების შეგნით სხვაგვარი ურთიერთობის დამკვიდრებას იწვევდა. იცვლება დამკვიდრებული ტომებისა და გვარების შორის. იქმნება უფრო მსხვილი ტომობრივი დაჯგუფებები. ამ პერიოდთან შეინიშნება მკვეთრად ჩამოყალიბებული არქეოლოგიური ეულტურების არსებობა. იქმნება უფრო მსხვილი ეთნიკური ჯგუფები. მკვეთრად იმატა შისახლეობის რიცხვმა კავკასია ნეოლითის ხანაში უყვე საკმაოდ მკვირად დასახლებული ჩანს. საფიქრებელია, რომ მოსახლეობის გამრავლებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში შეიქმნა. ამას ძირითადად ხელი შეუწყო ახალი ტიპის ეკონომიკის განვითარებისათვის აქ არსებულმა კარგმა ბუნებრივმა გარემომ. გამოითქვა მოსახრება, რომ ამ პერიოდში აქ მოსახლეობის რიცხვის ერთგვარი სიჭარბე შეიქმნა, რამაც ნამატის ერთი ნაწილის აღმოსავლეთ ევროპაში გადასახლებაც კი გამოიწვია. რა თქმა უნდა, გაზრდილი მოსახლეობა იძულებული იყო ახალი სახის მუდრნობისათვის ვარგისი მიწების ათვისებისათვის ეზრუნა. იწყება ტომების სემენტაციის საკმაოდ ინტენსიური პროცესი. იქმნება მონათესავე ტომებისაგან შემდგარი მონგრძლივი ეთნიკური ჯგუფები, რისი ანარქიული უნდა იყოს მენტაკლებად ერთგვაროვანი დიდი არქეოლოგიური ეულტურების არსებობა. მაგრამ დიდ ტერიტორიებზე მათი განხევა თანდათანობით მათ დამორებას იწვევდა. ეს ჩვენში განსაკუთრებით შესაძენევი ხდება ნეოლითის გვიანდელ საფეხურზე. ამ დროისათვის, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ეულტურის ერთგვაროვანი ხასიათის მიუხედავად, უყვე შეინიშნება, პალეოლითთან შედარებით, უფრო ძლიერი თავისებური ლოკალური ვარიანტები, რაც შესაძლოა, აქ მოსახლე ტომებში მომხდარ ერთგვარ ეთნიკურ ცვლილებებსაც ასახავს. სავრთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მთელ კავკასიაში ნეოლითური ეულტურის მატარებელი ტომების იქვე უფრო ფართოდ განეღნა, სავრთოდ, კავ-

კასიური ერთობის დაშლის საფუძველს ქმნიდა. ჯერ კიდევ ზედა პალეოლითის ბოლოს დაწყებული ეს პროცესი გვიანწეოლითისათვის უკვე საკმაოდ შესამჩნევი ხდება. ამას ერთი მხრივ, უთუოდ, ხელს უწყობდა კავკასიის ბუნებრივი პირობებიც. ღრმა ხეობები, მთის მასივები და სხვ. აფერხებდა ურთიერთ კონტაქტს. კავკასიაში მოსახლე ტომები სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ ერთმანეთს. ამ პროცესს არ შეიძლება გარკვეული გავლენა არ მოეხდინებინა. სუსტი კონტაქტის პირობებში ჯერ კიდევ ზედმეტად კასიური ტომებში საერთო კავკასიური ენის საფუძველზე იქმნებოდა სხვადასხვა დიალექტური ჯგუფები, რომლებიც შემდგომში კიდევ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პირველყოფილი თემური წყობილებისათვის დამახასიათებელია ტომებისა და სატომო ენების დანაწევრების პროცესი, ეს პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი იყო. ახლა ძნელია თქმა იმისა, თუ სად და როგორ ყალიბდებოდა კავკასიური ენების ცალკეული ჯგუფები. მაგარამ, საფიქრებელია, რომ ნეოლითის ხანაში აქ მოსახლე ტომების გარკვეული ნაწილი ისეთ გარემოში მოექცა, სადაც მეურნეობის ახალი ტიპის განვითარებისათვის უფრო კარგი პირობები იყო. ამან უთუოდ ხელი შეუწყო მოსახლეობის ზრდას, რამაც თავის მხრივ ახალ-ახალი ტომების წარმოქმნა გამოიწვია. ეს ტომები სულ უფრო და უფრო დიდ ტერიტორიაზე იფანტება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასავლეთი ამიერკავკასია ამ პერიოდში ერთ-ერთი ძირითადი ოლქი იყო, საიდანაც ტომების გადაადგილება ხდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ აქ ყალიბდებოდა ძირითადად წინაურ კავკასიური ენობრივი ერთობა. ნეოლითის უფრო გვიანდელ საფეხურზე საფუძველი ეყრება კავკასიური ენობრივი და კულტურული ერთობის გათიშვის პროცესს და თანდათანობით იქმნება სამი ძირითადი ჯგუფის — დასავლეთ-კავკასიურის, სამხრეთ-კავკასიურის და აღმოსავლეთ-კავკასიურის — ჩამოყალიბების პირობები. ნეოლითური რევოლუციის დასასრულისათვის, V ათასწლეულში ეს ერთობა ძირითადად უკვე დაშლილი უნდა იყოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ანთროპოლოგიური მონაცემებიც კავკასიის უძველესი მოსახლეობის ერთიანობისა და ადგილობრივი წარმომავლობის სასარგებლოდ შეტყუვებს. ისე ჩანს, რომ კავკასიის ძირითადი ანთროპოლოგიური ტიპები ადგილობრივ უნდა წარმოქმნილიყვნენ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კავკასიონის ტიპი, რომელიც დღეს კავკასიის მთის ჯგუფებშია შემონახული, არსებობს მოსაზრება, რომ იგი უკვე დასრულებული კავკასიური

კავკასიის ტიპებს შორისაა. ამ ტიპის წარმოშობის შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებზე გამოითქვა. ზოგი მას ავტოქტონურად მიაჩნის, ზოგიც — მიგრაციის შედეგად წარმოქმნილად. არც კავკასიის ნიადაგზე ამ ტიპის ჩამოყალიბების შესახებაა ერთიანი აზრი. პ. თ. აბდუშელიშვილი, რომელმაც აკად. ა. ნათიშვილთან ერთად პირველმა ჩამოაყენა მოსაზრება კავკასიონის ტიპის ავტოქტონური წარმოშობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ეს ტიპი ითლიანად უკავშირდება მხოლოდ კავკასიის ტერიტორიასა და კავკასიის ამორიგენული ტიპის შინაგანი განვითარების შედეგად. ერთგვარად განსხვავებული აზრი კავკასიონის ტიპის ფორმირების შესახებ წამოაყენა პროფ. ვ. ალექსეევმა. იგი აღნიშნავს, რომ ეს ტიპი უნდა ჩამოყალიბებულიყო იმ ტერიტორიაზე, რომელიც მას დღეს უკავია, უპირატესად კავკასიონის ალთაზე და იზოლაციის შედეგად უნდა შემდარბოდა უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების კონსერვაცია. მაგრამ როგორც უნდა გადაწყდეს ამ ტიპის ჩამოყალიბების საკითხი, მისი ადგილობრივი, ამორიგენული წარმოშობა ეჭვის არ იწვევს და მისი საწყისები კავკასიის ზედაპალეოლითურ და ნეოლითურ კულტურებშიცაა სამეზობრი. ძირითადი არც, სადაც კავკასიონის ტიპის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა, ამიერკავკასია და მისი სამხრეთის რაიონები უნდა ყოფილიყო¹, მოგვიანებით კი სამხრეთიდან ანთროპოლოგიურად სხვა ტიპის ხალხების მოწოდების შედეგად, ამ ამორიგენულმა ტიპმა უფრო ჩრდილოეთით, კავკასიონის ალთაზეასკენ გადაინაცვლა, სადაც დღევანდლამდე შემონახულა. თუ ვიფიქრობთ, კავკასიისა და კერძოდ კი ამიერკავკასიაში ქვის ხანის კულტურის მატარებელი ტომები ანთროპოლოგიურად ძირითადი ერთიან, კავკასიონის ტიპს მიეკუთვნებოდნენ.

უკანასკნელ ხანებში ამიერკავკასიაში გამოვლენილი იყო V-IV ათასწლეულების ადრემიწათმოქმედი ტომების ადგილობრივი კულტურა, რომელშიაც ასახული უნდა იყოს ნეოლითური რევოლუციის ხანგრძლივი პროცესის ბოლო ეტაპი და მისი შედეგები.

ეს კულტურა სადღესოდ გამოვლენილია ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ერთი ჯგუფი ადრეული ჩამოსახლარებისა

¹ Г. Ф. Дебеч, Антропологические исследования в Дагестане, Антропологический сборник, т. I, Москва, 1956, стр. 214.

² М. Г. Абдушелишвили, Об антропологии современного населения Армении, Антропологический сборник, IV, Москва, 1963, стр. 13.

აღმოჩენილია ქვემო ქართლში, მდ. მტკვრის დინების შუა წელზე, მისი მარჯვენა შენაკადების — ხრამის, დებდეს და აღსტაფის აუზებში, მარნეულისა და საქართველოს მოსახლურე ყაზახის რაიონებში. ცნობილია ეს კულტურა არარატის ნაყოფიერ ველზე და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში. ამ ძველ ნასოფლარ ადგილებზე დღეს ზელოვნური ბორცუვებია წარმოქმნილი. ორი ამგვარი ძველი გათხარა შეღავრის მიღამოებში. სოფლები შედგებოდა ალიზისაგან ნაგები მრგვალი შენობებისაგან, ნეთიერი მასალა ძირითადად წარმოდგენილია ობსიდიანისა და გახეხილ-გამრიალებული იარაღით, ძვლისა და რქის ნაწარმით და თიხის უტრკელი, უშთავრესად ვახვდენის მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღის — ნაშლის ჩასართები, ძვლისა და რქის თხებები, ხელსაჭედეები, დანები, სახვრეტები და სხვ. თიხის უტრკელი ტექნიკურად და ფორმითაც ჯერ კიდევ შედარებით პრიმიტიულია, იგი არაქულ იერს ატარებს, ზელითაა ნაქარჭი, ტლანქად.

ამვე ტიპის ბორცუები აღმოჩენილია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ყაზახის რაიონში, რომელიც გარდამხისა და მარნეულის ველების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. სადღეისოდ ამ რამდენიმე ბორცვია შესწავლილი და არც სოფლის ტიპი და არც მასალა თითქმის არ განსხვავდება ქვემო ქართლის ნამოსახლარებისაგან. როგორც ჩანს, ეს მხარე იმავე კულტურის მატარებელ ტომებს აუთვისებიათ.

აზერბაიჯანში, უფრო სამხრეთით, ადრესამიწათმოქმედო კულტურა გამოვლენილი იყო მხლისა და ყარაბაღის ველზე და ნახიქვენის მხარეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნახიქვენის მახლობლად ვათხილი მრავალფენიანი ბორცვი ქიულ-თეფე. ამ ბორცვის ძირა ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ქვისა და ძვლის იარაღები, უმირატესად მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული, თიხის უტრკელი ტლანქი, ზენარევი, უმირატესად მოწითალო ზედაპირით. ვახვდენა მოხატული უტრკელი, რომელთაგან ერთი ჩვეუთი ადგილობრივი უნდა იყოს, მეორე კი შემოტანილი. ქიულ-თეფე I ფენაში ლითონის შეიდი ნეთით აღმოჩნდა. ეს კულტურა სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული.

ადრესამიწათმოქმედო კულტურა გამოვლენილია, აგრეთვე, არარატის ველზე. აღსანიშნავია ენიშაძინის მახლობლად აღმოჩენილი თელეთის ნამოსახლარი, ამ კულტურის კვალი აღმოჩენილია დაღესტანშიც. ამ მალაშთიან ზოლში სოფ. ვინჩის მახლობლად ნაპოვია ნამოსახლარი, რომლის ქვედა ფენა საკმაოდ ახლო დგას ქიულ-თეფე I-თან.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრემიწათმოქმედი ტომების კულტურის

ნამოვლიბების ხანა შეიძლება V ათასწლეულის შუა ხანებით განისაზღვროს, მისი დასასრული კი IV ათასწლეულის მესამე წინწამოდითღეს. მართალია, ჯერჯერობაში ამ კულტურა აღმოჩენილი არ არის, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ იგი აღმოცენდა დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითთან ახლო მდგომი კულტურის საფუძველზე. ამ ნეოლითთან ნახელბოს ბევრ საერთოს ქვემო-ქართლში და ყარაბაღ-ნახიქვენში გამოვლენილი ადრეული კულტურა.

ამიერკავკასიის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში გავრცელებულ ადრემიწათმოქმედი ტომების კულტურაში ელიდება ორი ლოკალური რაიონი, რომლებსაც ადგილობრივი საერთო ფესვები უნდა ჰქონოდა. ერთი მათგან მოიცავდა ქვემო ქართლს, მის მიმდგომ მხარეებს (შულავერი-შომუთეფეს ვარიანტი), მეორე კი ყარაბაღ-ნახიქვენის ოლქს, არარატის ველს და გადაღის დაღესტანშიც. ეს უკანასკელი რამდენაღმე უფრო გვიან უნდა იყოს შომუთეფე-შულავერის ვარიანტთან შედარებით. იგი წინა აზიის ადრეული კულტურების გარკვეულ გავლენას განიცდის და თანდათანობით თავისებურ ელფერს იღებს. ამიერკავკასიის უფრო ჩრდილო ნაწილში ძველ-აღმოსავლური კულტურის გავლენა ნაკლებად შესამჩნევია.

დასავლეთ ამიერკავკასიასა და კერძოდ დასავლეთ საქართველოში ამ დროისათვის გვხვდება ერთგვარად განსხვავებული კულტურა, რომელიც ადგილობრივი ნეოლითის საფუძველზეა აღმოცენებული და ბევრი საერთო აქვს მასთან. სადღეისოდ ამ რივის ძველები გამოვლენილია აქ როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე უფრო შიდა რაიონებშიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელ ხანებში მდ. ყვირლის ზემო წელზე, ქიათურის რაიონში გამოვლენილი გამოქვაბულები, ხიდაც ძველი ქვის ხანის ფენის თავზე აღმოჩნდა ადრეული ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელი მასალა (სამელე კლდე, სამერცხლე კლდე). ეს ადრეული კულტურა ახლო დგას ადგილობრივ, დასავლურ-ქართულ ნეოლითთან, ნეოლითური ტრადიციები აქ ისე ძლიერადაა შემორჩენილი, რომ ძნელი ხდება ამ კულტურის გარყოფა ნეოლითისაგან.

როგორც ჩანს, საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში, რამდენაღმე განსხვავებული ბუნებრივი პირობების გამო, მიწათმოქმედი საზოგადოების განვითარების ტემპები ერთგვარი არ იყო. მიწათმოქმედებისათვის შეტად ზელსაყრელი ვარგში, უფრო მცენარეული საფარი და ცხოვერებისათვის შედარებით ზელსაყრელი პირობები დასავლეთ საქართველოში, შესაძლოა იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ აქ მოსახლე ტომებში ნეოლითური

ტრადიციები უფრო მყარად დარჩა და საზოგადოების განვითარების პროცესი რამდენადმე გელი იყო:

დასავლეთ საქართველოს და დასავლეთ ამიერკავკასიის ამ ადრეული კულტურის ერთგვაროვანი ხასიათის მიუხედავად, მაინც შესაძინევი ხდება მათი გარკვეული თავისებურებანი. ეს ადრეული კულტურა დასავლეთ საქართველოში საქმაოდ დიდხანს არსებობდა, თითქმის შოელი III ათასწლეულის მანძილზე. დასავლურ-ქართული ნეოლითის საფუძველზე აღმოცენებული ჩანს ზღვისპირა ზოლში, აფხაზეთსა და სოკიადლერის მხარეში აღმოჩენილი კულტურა. აფხაზეთის ძველბიძიდან ყველაზე ადრეული უნდა იყოს მჭარისა და ვუანდისუს ნამოსახლარები, შემდეგ ოჩამჩირისა და გუმისთის ნამოსახლარები და სხვ. მათთვის უკავშირებენ სოკიადლერის მხარეში ვორონცოვისა და ახშტირის გამოქვაბულებში აღმოჩენილ მასალას. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსებასთან ერთად, ზღვისპირა ზოლის ამ ადრეულ კულტურაში გარკვეული თავისებურებაც შეინიშნება.

ჩრდილო კავკასიის უფრო ცენტრალურ ნაწილში, ყაბარდო-ბალყარეთში გავრცელებული ამ დროის კულტურა გარკვეულ მსგავსებას ამტკიცებს დასავლეთ ამიერკავკასიის ადრეულ ძველებთან. ამ მხარე განსაკუთრებით აღსანიშნავია ნალჩიკის მახლობლად აგუბეკოვის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკული მასალა, რომელიც უახლოვდება მჭარის ნამოსახლარზე, ვორონცოვის გამოქვაბულში და სხვ. მოპოვებულ თიხის ტერენს. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ აგუბეკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები, მიუხედავად მსგავსებისა, გარკვეულ თავისებურებასაც ინარჩუნებენ. ეს უფრო მეტად ითქმის ნალჩიკის სამაროვნის შესახებ, რომელიც აგუბეკოვის ნამოსახლარზე რამდენადმე უფრო გვიან უნდა იყოს.

სულ სხვა სურათი ჩანს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, დაღესტანში. მართალია, ამ ხანის ძეგლები აქ ჭერჭერობით სუსტადაა გამოვლენილი, მაგრამ არსებული მასალებით ისე ჩანს, რომ აქ მხარე ამ ადრეულ პერიოდში მკიდროდა დეკორირებული ამიერკავკასიისაგან. მთონ დაღესტანში შესწავლილი ვინის ნამოსახლარის მასალა მსგავსებას იჩენს ამიერკავკასიის ადრე სამიწათმოქმედო კულტურასთან, აგრეთვე, წინა აზიასთან.

ამრიგად, ნეოლითური რევოლუციის პროცესი ამიერკავკასიაში საქმაოდ ხანგრძლივი იყო. იგი, ეტყობა, აქ რამდენიმე ათას წელს ვაგრძელდა და მისი დასასრული V—IV ათასწლეულებზე უნდა მოდიოდეს. შესაძლოა ეს პროცესი ყველაზე თანაბრად არ მიმდინარეობდა, მაგრამ IV ათასწლეულისათვის გვიანობის ახალი ფორმები განვითარების საქმაოდ მალე დონეს აღწევს. შოელი კავკასია ამ პერიოდში უკვე

კარგად ათვისებული ჩანს. ფართოვდება კონტაქტები წინააზიურ სამყაროსთან, განსაკუთრებით ამიერკავკასიის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში. დათანხმობით ირღვევა ერთიანი ხასიათი კავკასიის ქვის ხანის კულტურისა. ამ პერიოდის ბოლოსათვის გამოჩენას იწყებს ლითონის პირველი ნივთები. მთავრდება ძირითადად ნეოლითის ხანაში მიმდინარე კავკასიური კულტურული და ენობრივი ერთობის დაშლის პროცესი. კავკასიის სხვადასხვა ოლქებში უკვე იხსნება ცალკეული კულტურების თავისებურებანი, რაც თავის მხრივ საერთოკავკასიური ეთნოკულტურული ერთობის დაშლის ანარეკლი უნდა იყოს. სადგირებელია, ამ პერიოდში იწყებოდეს კავკასიური ენების ძირითადი ჯგუფების ჩამოყალიბება.

თუ როგორ მიმდინარეობდა საერთო კავკასიური ერთობის დაშლის პროცესი, კავკასიური ენების შესწავლის დღევანდელი დონის საფუძველზე, ამის შესახებ გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლება. ეს ენები უკვე იმდენად შორს არიან ერთმანეთისაგან, რომ მათ საერთო წარმომავლობაზე, მონათესაობაზე, უკვიც კია შიკანილი. აქედ. ივ. ჯაფარიძის კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის საკითხის შესწავლისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კავკასიური ტომები მონათესავენი არიან და მათ თავდაპირველად ერთი საერთო ენაც ე უნდა ჰქონოდათ. მაგრამ დროს იმდენად დიდ და ფართო ცვალებები შეუტანია, რომ ენათა დაშოუკიდებელ გარეგნულად უცხო ჩაფხებად უქცევი. კავკასიურ ენათა გენეტიკური ერთიანობის საკითხი ფართოდაა გავრცელებული ენათმეცნიერების შორის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითადი დებულებაა, რომ ნათესაური თვისება ამ ენებში პირველყოფილია, ნაირგვარობა კი მეორეული მოვლენაა. რაც უფრო მეტად შევიკრებით ისტორიის სიღრმეში, მით უფრო მეტა საერთო აღმოჩნდება ამ ენებში. მაგრამ, კავკასიურ ენათა ურთიერთობის შესახებ უკვე არგანახია განსხვავებული შეხედულებაც არსებობს. მართალია, კავკასიურ ენებში საერთო ნიშნები შეიმჩნევა, მაგრამ ამავე დროს საგრძნობი სხვაობაც ჩანს. შედარებით — ისტორიული კვლევა კავკასიური ენებისა ჭერ კიდევ ვერ იძლევა ისეთ შედეგებს, რომლებშიც მოღებულა სხვა ენობრივი ჯგუფების მიმართ (ინდოევროპული, სემიტური და სხვ.). კავკასიურ ენათა ჯგუფებს შიგნით დაშო-

1. ა. ჩიქობავა, თბილისის უნივერსიტეტი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბილისი, 1970, გვ. 14
2. А. С. Чикобава, О двух основных вопросах изучения иберийско-кавказских языков, Вопросы языкознания, № 6, Москва, 1955, стр. 75.

რება უკვე ძალიან ღრმითაა წასული (მაგ., სეპ-
ნური იხვევ შორსაა ქართულისაგან, როგორც
ლტვერი რუსულისაგან).¹ ზოგიერთი მკვლევარ-
ი ქართველურსა და ჩრდილო კავკასიურ ენათა
შორის ნათესაობის საფუძველს ვერ ხედავს.
(ნ. ტრუბეცოვი, ე. დიუმეზილი და სხვ.). ქართ-
ველურ ენათა ნათესაობა ჩრდილო კავკასიურ
ენებთან ჭრჭყრობით არ შეიძლება დამტკიცე-
ბულად ჩაითვალოს.² ამ ენათა გენეტიკური ურ-
თიერთობის საკითხი ჭრ იხვე რჩება საგანი
რწმენისა, ვიდრე ცოდნისა. ზოგიერთი
მკვლევარი კავკასიურ ენათა შორის კავშირს
საერთოდ ვერ ხედავს (გ. დეტერსი,
კ. შმიდტი და სხვ.). ცნობილი ენათმეცნი-
ერი პ. ფოტტი, რომელმაც თავდაპირვე-
ლად გაიზიარა საკითხი კავკასიურ ენათა
მონათესაობის შესახებ, შემდეგ უფრო იმ აზ-
რისა იყო, რომ საერთო კავკასიური ფუძე-ენის
ილდგენა პრაბლემატური საკითხია. პ. ფოტტი
სულ ახლახან გამოსულ თავის წერიაში სვამს
კითხვას — შესაძლებელია თუ არა ინდოევრო-
პული ენების კვლევებისათვის გამოყენებული მო-
თილოდ ასევე წარმატებით მიუყურნოთ სხვა
ენებს, რომელთა საერთო წარმოშობაა
სავარაუდო. კავკასიურ ენების მიმართ იგი
აღნიშნავს, რომ ამ ენათა ლინგვის-
ტური სისტემის ბუნება არ უწყობს ხელს მათი
საერთო წარმოშობის კვლევას. თუ კავკა-
სიურ ენებს მონათესავე ენებად მივიჩნევთ, მა-
შინ მათი თავდაპირველი ურთიერთობის დად-
გენისათვის მოგვიხდება ძალიან შორეულ ეპო-
ქაში, მეორე ან მესამე ათასწლეულში ძვ. წ.
ნახევდა.⁴

უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება,
რომ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური პარალე-
ლები კავკასიურ ენებში შეიძლება გამოვლეს
ამ ენათა სავარაუდო, შორეული ნათესაობის
კვლევებისათვის. თვით ქართველურ ფუძე-ენა-
ში არსებული კავკასიური სტრუქტურულ-ტი-
პოლოგიური ფენა შეიძლება ქართველურისა
და ჩრდილო კავკასიურ ენათა სავარაუდო გე-

ნეტიკური სიახლოვის შედეგად იყოს. ქართვე-
ლური სტრუქტურული ტიპი შეიძლება დასა-
სიათდეს როგორც გარდამავალი კახუნურ-ადი-
ლეურსა და ნახურ-დაღესტნურს შორის. ქვეკა-
სიური ენების ეს სავარაუდო ნათესაობა იმდენად
შორეულ ეპოქაში გადადის, რომ რაიმე მნიშე-
ნელოვანი ლექსიკური მასალა ძნელად თუ მოა-
ღწევდა, მითუმეტეს, რომ იგი საერთოდ იმ
დროისათვის შედარებით მცირე იქნებოდა. კავ-
კასიაში, განსაკუთრებით აღრეულ ეტაპზე, ხე-
ლსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო ენათა
უფრო ღრმა დაკიდებისათვის. გ. კლიმოვი, რო-
მელიც ზოგჯერ თითქოს უშეუბნებლად კავკასიურ
ენათა სავარაუდო ნათესაობის შესაძლებლობას,
აღნიშნავს, რომ ჰიპოთეზა კავკასიური ენების
წინაგანი ნათესაობის შესახებ ჭრჭყრობით წინ
არ წასულა და არც ამის დასაბუთების პერსპექ-
ტივა ჩანს მიხედვით. ჭრ კიდევ მთლად
ნათელი არ არის ქართველურის ურთიერთობა
ჩრდილო-კავკასიურ ენებთან. იგი უშეუბნებლად
შესაძლებლობას, რომ საერთო კავკასიური ენობრი-
ვი პარალელებს სიმცირე შეიძლება შედეგი
იყოს იმისა, რომ აქ არც არსებობს თვით ფაქ-
ტი ნათესაობისა. სავარაუდო ნათესაობა იმდენ-
ად შორს მიდის, რომ ძალიან რთული იქნება
ამის შესაძლებელი დასაბუთება.³

სულ ბოლო ხანს ქართველური და ჩრდილო-
კავკასიური ენების გენეტიკური ურთიერთობის
საკითხს შეეხო თ. გამყრელიძე. მისი აზრით,
ამ ენათა ნათესაობის ჰიპოთეზა ჭრჭყრობით
მეცნიერულად დასაბუთებული არ ჩანს. ჭრ
კიდევ არ არის შესაძლებლობა მათი გენეტი-
კური ნათესაობის კატეგორიული მტკიცე-
ბისთვის და არც ცალკე ვენეოლოგიური ოჯახის
„აბერული-კავკასიური ენების“ გამოყოფის
საფუძველი არსებობს. თ. გამყრელიძე ფიქ-
რობს, რომ ის საერთო-სტრუქტურულ ტიპო-
ლოგიური ნიშნები, რომლებიც შეინიშნება
ჩრდილო-კავკასიურ და ქართველურ ენათა შო-
რის, არ არის საჭირო იმ ენათა გენეტიკური
ურთიერთობის დასაბუთებისათვის. იმის გამო,

¹ Г. И. Мачавариани, К вопросу об индоевропейско-картвельских (южно-кавказских) типологических параллелях. VII международный конгресс антропологических и этнографических наук, Москва, 1964, стр. 6.

² Т. В. Гамкрелидзе, Современная диахроническая лингвистика и картвельские языки. Вопросы языкознания, 2, 1971, стр. 29.

³ Г. А. Климов, Кавказские языки, стр. 76.

⁴ Т. В. Гамкрелидзе, Современная диахроническая лингвистика и картвельские языки (1). Вопросы языкознания, № 2, Москва, 1971, стр. 28.

¹ Г. А. Климов, Кавказские языки, Москва, 1965, стр. 61.

² გ. მაქვარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 6.

³ გ. წერეთელი, სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში; თ. გამყრელიძე, გ. მაქვარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 027.

⁴ Г. Фогт. Индоевропейские языки и сравнительные методы, Вопросы языкознания, № 4, Москва, 1971, стр. 41.

რომ ჯერჯერობით არ არის დადგენილი ფონემათა შესატყვისობა კავკასიურ ენათა ცალკეულ ჯგუფთა შორის, ნაადრევია გადაჭრით ლაპარაკი ამ ენათა ნათესაობის შესახებ.

ჯერ კიდევ ცნობილი ენათმეცნიერები ი. მეიე აღნიშნავდა, რომ თუ კავკასიურ ენათა ერთობა როდისმე არსებობდა, ეს უნდა ყოფილიყო შირველ ხანაში, V-IV ათასწლეულებში და ეგებ უფრო ადრეც. იგი უშვებდა ამ ენათა ნათესაობას, მაგრამ ეჭვობდა ამის დასაბუთების შესაძლებლობას: ი. დიაკონოვის აზრით, თუ დავუშვებთ იმას, რომ კავკასიური ენები ერთ საერთო ფუძე-ენიდან მომდინარეობენ, მაშინ მას ძალიან ადრეულ ხანაში უნდა ეარსებინა, ერთიანი კავკასიურ ენათა ოჯახი ადრე სამ ძირითად შტოდ დაყოფი: 1. აღმოსავლურ-კავკასიური, რომელშიც შედიოდა ხური-ურარტული და ნახურ-დაღესტნური 2. დასავლურ-კავკასიური ენები, რომელიც აერთიანებდა აფხაზურ-ადიღურს და ეგებ ხატურს და 3. ცენტრალურ-კავკასიური, რომელშიც შედიოდა ქართველური.¹ აჯად. გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ არ არის გამორიცხული ტიპოლოგიური სიახლოვე, რომელსაც კავკასიური ენები ავლენენ, ოდესღაც ადრე არსებული ვენეტური ერთიანობის შედეგი იყოს. ეს ისეთ შირველ ენაქაში ვადადის, რომ დიფერენციაცა უნდა ვაწყვიტავდეთ მტრად მარტვ მასალას. ამიტომაც ამ ენათა ნათესაობის ჩვენება ძალიან რთულდება.²

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე, ვარდა კავკასიურ ენათა შიგნით არსებულ ნათესაობის საკითხისა, დღას აგრეთვე მეორე პრობლემაც, კერძოდ, ამ ენათა მიმართე კავკასიური ენები უკავშირდებიან უფრო ფართო ერთობას, ხეთურ-იბერიულს, რომელშიც შედიოდნენ წინა აზიის მკვდარი ენები: შუმერული, ხურიტული, ხატური და სხვ. მეცნიერთა წინაშე უკვე ყარგა ხანია დგას საკითხი წინა აზიის არსებობის, არაინდოევროპული ენების ვენეტური კავშირისა კავკასიურ ენებთან და არა ერთი და ორი მოსაზრება გამოითქვა ამ ენათა დამოკიდებულების შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი ვერ ხედავს კავკასიური ენების ვენეტური კავშირის შესაძლებლობას ძველადმოსავლურ ენებთან.³ ზოგიერთი პირი-

ქით, უშვებს ამგვარ შესაძლებლობას. I არა ერთი ცდა იყო წინა აზიის ცალკეულ მკვლევარებთან კავკასიურ ენებთან დაჭლებულობის (მეცნიერების) შესაძლებლობის შესახებ კავკასიური ენების ცალკეულ ჯგუფებთან. ხატურისა და კავკასიური ენების ურთიერთობაზე ადრეც მიუთითებდა ზოგიერთი მკვლევარი. ი. დენაევსკიას აზრით ხატური სტრუქტურულად მნიშვნელოვან მსგავსებას ავლენს კავკასიურ ენებთან, განსაკუთრებით აფხაზურ-ადიღურთან. ამ სტრუქტურული მსგავსების შემდეგ არ არის გამოირცხული აგრეთვე შატერიალური კავშირის დადგენა.⁴ ი. დიაკონოვი აღნიშნავს, რომ სტრუქტურული სიახლოვე აფხაზურ-ადიღურსა და ხატურს შორის ძალიან დიდია; ჩანს, აგრეთვე, მათ შორის სხვა მსგავსებანიც და არსებობს ამ ენათა ნათესაობის საფუძველი. შეინიშნება, აგრეთვე, მართალია, რამდენადმე უფრო ნაკლებად, სტრუქტურული და სხვა ნიშნების სიახლოვე ხატურსა და ქართველურს შორის. ი. დიაკონოვი ფიქრობს, რომ ხატური შეიძლება მიეკუთვნოს აფხაზურ-ადიღურ ჯგუფიდან ადრე გამოყოფილ ენად, ან კიდევ დავუშვათ ხატურის ადგილი აფხაზურ-ადიღურსა და ქართველურს შორის. ზოგიერთი მკვლევარი ქართველურსა და ხატურს შორის კავშირის საერთოდ ვერ ხედავს. გამოითქვა მოსაზრება, რომ პროტოხეთების (ხატების) პირველსადაც ხოვრისი უფრო აღმოსავლეთით, მთიანეთის რაიონში უნდა ყოფილიყო და ანატოლიის ჩრდილო ოლქებში პროტოხეთური ელემენტები შედარებით გვიან ჩნდებოდა.⁵

ამ ბოლო დროს აღინიშნა ხური-ურარტული ენის ნახურ-დაღესტნურთან სიახლოვის შესაძლებლობა. საკუთრივ ხურიტულისა და ურარტულის ნათესაობის საკითხი ექვს არ უნდა იწყვიტდეს. ეს ენები ერთი საერთო ფუძე-ენიდან უნდა მომდინარეობდნენ და ერთ ენოციურ ჯგუფს შეაღვენდნენ.⁶ აქვე უნდა აღინიშნოს,

¹ И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, Москва, 1967, стр. 24.

² გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მსაზღვრე აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხებისათვის, გვ. 119.

³ არჩ. ჩიკობავა, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, იბერიულ-კავკასიური ენათმეც. II, თბ. 1948, 255.

⁴ Е. А. Бокарев, Задачи сравнительно-исторического изучения кавказских языков, стр. 53.

⁵ А. В. Десницкая, Вопросы изучения древних языков Малой Азии и сравнительная грамматика индоевропейских языков, Вопросы языкознания, № 2, Москва, 1952, стр. 43.

⁶ И. М. Дунаевская, Принципы структуры хаттского (протохеттского) глагола; Переднеазиатский сборник, Москва, 1961, стр. 134.

⁷ И. М. Дьяконов, Предистория армянского народа, Ереван, 1968, стр. 12.

⁸ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174, 189.

⁹ И. М. Дьяконов, Предистория армянского народа, стр. 17.

რომ ხურების პრობლემასთან დაკავშირებით ჭერჭერობით ყველაფერი ნათელი არ არის.

ხური-ურარტული ენების კავასიურთან ნათესაობის საკითხი გამოითქვა ჭერ კიდევ ამ ენების შესწავლის დასაწყისი ხანაში და ბევრი ამ მოსაზრებას დღესაც იზიარებს, თუმცა მისი სისწორე ეჭვგარეშე არ არის დატოვებულა.¹ ხური-ურარტულ ენას უპირატესად ქართველურთან ურთიერთობაში განიხილავდნენ და ისიც აღინიშნა, რომ ხურბიტული შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დამაკავშირებელი რგოლი ქართველურსა და ჩრდილოკავასიურ ენათა შორის.² უფრო იამაერებულა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გამოთქმული მოსაზრება, რომ ხურ-ურარტული კავასიური ენებიდან უფრო უახლოვდება ნახურ-დაღესტნურ ჭგუფს, ვანაკურბებით კი ნახურს³ აღმოჩნდა რიგი ლექსიკონური და მორფოლოგიური შესატყვისობანი ხური-ურარტულსა და საერთო ნახურ-დაღესტნურს შორის. ი. დიაკონოვის აზრით ხური-ურარტული კავასიური ენების სხვა დანაარჩენ ჭგუფებთან მიანიჭდამიანიც არ შეინიშნება. იგი ხური-ურარტული უშუალოდ კავასიურ ენათა ოჯახისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას უშეუბნ და მას ნახურ-დაღესტნური ჭგუფის ნაწილად მიიჩნევა.⁴

ამრიგად, თუ დაეუშვებთ საერთო კავასიური ერთობის სავარაუდო არსებობას, მაშინ მას აღრეულ ეპოქაში უნდა ეარსება, რა თქმა უნდა, ეს ერთობა ერთბაშად არ დაშლილა. საერთოდ ფუძე-ენის დაშლა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და იგი თანდათანობით მიმდინარეობდა. წინაურ კავასიურ ერთობის ზოგი-ენა უფრო აღრე გამოყო, ზოგიც რამდენადმე გვიან. სადღესოდა ენობრივი მონაცემების საფუძველზე ვერ ხერხდება კავასიური ენობრივი ერთობის ძირითად ჭგუფებად (ნახურ-დაღესტნური, აფხაზურ-ადიღურთი, ქართველური) დაშლის პროცესის მერტ-ნაკლებად წარმოადგენა. უკანასკნელ ზანგში ჩატარდა ამ ენათა ცალკეული ჭგუფების ფუძე-ენის დონეზე და მათ შიგნით მიმდინარე დაშლის პროცესის აღდგენის ცდები.

მაგრამ ღრმად წასვლა მართკ ენობრივი მსახლობის საფუძველზე ჭერ კიდევ ვერ ხერხდება. ჭერჭერობით გარკვევით არაფერს თქმა შეიძლება ამ ენობრივი ჭგუფების ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ. რომელი მათგანი უფრო ახლოა ერთიმეორესთან, რომელი უფრო დამორბეული და სხვ. კავასიურ ენათა დადგენა ჭერჭერობით ძირითადად სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით ხერხდება. სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება ჭერ კიდევ განსტკურს ნათესაობის არ ნიშნავს, იღონდ მას დანაშეუბნ ხდის. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ კავასიის სინამდვილეში საქმე გვაქვს იმ ხალხებთან, რომლებიც ოდითგანვე ძირითადად კავასიისავე ტერიტორიაზე, ერთმანეთის მეზობლად მოსახლეობდნენ. ამიტომ ტიპოლოგიური ხასიათის სიასტრუქტურული და, აგრეთვე, ზოგ სხვა ნიშნისავე ენაში შეიძლება ამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდეს მათი გენეტიკური ურთიერთობის საკითხისათვის.¹ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება შეიძლება შედგე იყოს კავასიურ ენათა სავარაუდო გენეტიკური ნათესაობისა, რომელიც ძალიან ადრეულ ხანას მიეკუთვნება.² ადრე დაწყებულმა დაშლის პროცესმა, ერთი მხრივ, და კავასიაში ენათა იზოლაციისა და დიფერენციაციისათვის არსებულმა ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა, მეორე მხრივ, იმდენად დიდი დამორბევა გამოაწვია, რამე ისტორიულ-შედეგებით მეთოდის გამოყენების თაობაზე ამ ენათა გენეტიკური ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით მხედულ თუ ითქმის რაიმე, ამიტომ ეთნოგენეტიკური საკითხების განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, აგრეთვე, სხვა მონაცემები, კერძოდ, არქეოლოგიური მასალა. ამიტომ კავასიური ენობრივი და კულტურული ერთობის სავარაუდო არსებობის საკითხებზე მსჯელობისას, სითანდო ანგარიში უნდა გავწიოს არქეოლოგიურ მონაცემებს. როგორც ზევით აღუნიშნეთ ქვის ხანის მასალა არ ეწინააღმდეგება ამ სავარაუდო ერთობის არსებობას და ერთგვარ საშუალებას იძლევა ამ ერთობის თანდათანობით დაშლასაც გავადევნოთ თვალი.

მართალია, კავასიური ენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთიმეორესიგან, მაგრამ მათ შორის მაინც შეინიშნება ზოგი რამ საერთო.³ ზოგი ნიშნით ერთი ჭგუფი კავასიური

¹ ვ. მელოქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

² გ. ი. მაცავარიანი, К вопросу об индоевропейско-картвельских (южнокавказских) типологических параллелях, стр. 6.

³ А. С. Чикобава, О двух основных вопросах изучения иберийско-Кавказских языков, стр. 72.

¹ И. М. Дьяконов, О языках древней Передней Азии, Вопросы языкознания, 5, Москва, 1954.

² И. М. Дьяконов, Языки древней Передней Азии, стр. 163.

³ И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, стр. 18.

⁴ И. М. Дьяконов, Некоторые лингвистические данные к проблеме связей населения Восточного Кавказа и Закавказья с Древним Востоком в III—I тыс. до н. э., стр. 6.

ენებისა უახლოვდება მეორეს, ზოგიც პირიქით, დაშორებულია მისგან და უფრო სხვა ჯგუფს უკავშირდება, და სხვ. სტრუქტურულ-ტიპოლოგიურად ჩრდილოკავკასიურ ენებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. ქართველური შეიძლება დახასიათდეს როგორც მათ შორის გარდამავალია. მას სტრუქტურულად უფრო მეტი საერთო აქვს აფხაზურ-ადიღურთან, ვიდრე უკანასკნელს ნახურ-დაღესტნურთან. საერთო ქართველური ტიპოლოგიურად უფრო აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს უახლოვდება.¹

კავკასიური კულტურული და ეთნიკური ერთობის დაშლის პროცესი საკმაოდ ადრე უნდა დაწყებულიყო. ნეოლითის ხანაში შეიქმნა ძირითადად ამ ერთობის თანდათანობით დაშლის პირობები. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდის გარკვეულ საფეხურზე საერთო კავკასიურ ენობრივსა და კულტურულ ერთობას თანდათანობით გამოეყო გარკვეული ჯგუფები. შესაძლოა ამ ერთობას პირველად ჩამოსცილდნენ ის ტომები, რომლებიც ხერა-ურარტული და ნახურ-დაღესტნური წინარე ენის მატარებლები იყვნენ. რამდენიმე გვიან საერთო კავკასიურს გამოეყო ხატურ-აფხაზურ-ადიღური ერთობა და კიდევ უფრო გვიან — ქართველური. ეგვიპტე, სწორედ ამით აიხსნება მისი ერთგვარად გარდამავალი ბუნება კავკასიური ენების ძირითად ჯგუფებს შორის. ქართველურს უფრო მეტი საერთო აქვს აფხაზურ-ადიღურთან და ხატურთან, ვიდრე ნახურ-დაღესტნურსა და ხერა-ურარტულთან.

ხერა-ურარტული და ნახურ-დაღესტნური ტომები ძირითადად იკავებენ კავკასიის აღმოსავლეთის მხარეებს. სავარაუდებელია, რომ ნეოლითური რევოლუციის ბოლოსათვის, V-IV ათასწლეულებშიათვის, თანდათანობით სრულდება ამ ერთობის დაშლა. ნახურ-დაღესტნური ფუძე-ენის მატარებელი ტომები რამდენიმე უფრო ჩრდილოეთით იმაცლებენ. ხერა-ურარტული ტომების ეთოენილება იყო ეგვიპტეში მიწათმოქმედო კულტურის ყარაბაღ-ნახიჭევანის ვარიანტი. უკვე ამ პერიოდიდან ხერა-ურარტული ტომები, ჩანს, საკმაოდ ახლო კონტაქტებს ამყარებენ ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე ოლქებთან. ამიტომაცაა, რომ ყარაბაღ-ნახიჭევანის ვარიანტი უკვე შეინიშნება წინა-აზიური კულტურების გარკვეული გავლენა.

¹ Г. А. Климов, Кавказские языки, стр. 63, 75, 77.

² თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 373; გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 107.

ხატურ-აფხაზურ-ადიღური ტომები იკავებენ უპირატესად კავკასიის დასავლეთით მხარეებს. სავარაუდოა, რომ ნეოლითის დასავლეთით მხარეებში ხატებმა უფრო სამხრეთით გადაინაცვლეს და თანდათანობით დაშორდნენ აფხაზურ-ადიღურს. აფხაზურ-ადიღური ტომების ეთოენილება უნდა იყოს ძირითადად დასავლეთ კავკასიაში გამოვლენილი ადრემიწათმოქმედი ტომების კულტურა.

ნეოლითური რევოლუციის დასასრულისათვის, V ათასწლეულში ქართველურ ტომებს ძირითადად ეკავათ ამიერკავკასიის ცენტრალური ოლქები და დასავლეთ ამიერკავკასიის გარკვეული ტერიტორია. ამ ტომებს ეეთენით აღმათ ძირითადად შიშოთუფე-შულავურის კულტურა და დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სამიწათმოქმედო კულტურა. რომელსაც, ერთი მხრივ, საერთო აქვს ქვემო ქართლში გამოვლენილ ჯგუფებთან, მეორე მხრივ, კი დასავლეთ კავკასიაში, უფრო ზღვისპირა ზოლში გამოვლენილ კულტურასთან. ეგვიპტეში აიხსნება აფხაზურ-ადიღურისა და ქართველურის შეხვედრები.

ამრიგად, IV ათასწლეულისათვის კავკასიის ეთნოკულტურის ერთობა უკვე დაშლილია და გამოსახულია კავკასიურ ენათა ძირითადი ჯგუფები. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი მეტად მნიშვნელოვანი ხანაა ამიერკავკასიის და საერთოდ ჰავკასიის უძველეს ისტორიაში. ამ პერიოდში კავკასიაში მოსახლე ტომების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ამიერკავკასიის გარკვეულ ოლქებში თანდათანობით ყალიბდება საკმაოდ განვითარებული, თავისებური სამიწათმოქმედო კულტურა, რომელიც დღეს ცნობილია „მტკვარ-არაქსის კულტურის“ სახელით. IV-III ათასწლეულების მიჯნა ამ კულტურის აყვავების დასაწყისია. თუ რამ გამოიწვია ამიერკავკასიაში ადრესამიწათმოქმედო კულტურის აღზევება, ახლა გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ სათანადო როლი ითამაშა მოსახლეობის სამხრეთიდან უფრო ჩრდილოეთით გადმონაცვლებამ. ახალი ეთნიკური ელემენტის გამოჩენამ უფროდ გარკვეული გავლენა მოახდინა ადგილობრივ მიწათმოქმედ ტომებზე. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებაში ძირითადად მონაწილეობდნენ, ხერა-ურარტული და ქართველური ტომები რომლებმაც, სამხრეთიდან ახლადმოსვლებთან ერთად, შექმნეს მაღალგანვითარებული, ძლიერი და თავისებური სამიწათმოქმედო კულტურა. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელმა ტომებმა შემდეგში გარკვეული როლი შეასრულეს წინა აზიის უძველეს ისტორიაში.

ქართული ასოთა აკრძალვა

4. ანბანის ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი

რომელიმე ანბანის წარმომავლობის კვლევისას მნიშვნელოვანი ენიჭება ანბანური დამწერლობის ორ ძირითად ასპექტს: ასო-ნიშნების გრაფიკულ რაობასა და ასო-ნიშნების სახელდების პრინციპს.

ასო-ნიშნების სახელდების ზოგადი სემური პრინციპი

ცნობილია თავდაპირველი სემური დამწერლობის ასო-ნიშნების გრაფიკული რაობა და შესაბამისად სემური ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი.

ფინიკიურ დედა-ანბანში 22 იდეოგრაფიკული ასო-ნიშნების იდეოგრაფიკული რაობა აპირობებდა ასო-ნიშნების სახელდების პრინციპს. მაგალითისათვის, რადგან პირველი ფინიკიური ასო-ნიშანი ხარის იდეოგრაფიკულად ამიტომაც ამ ასო-ნიშანს „აღფ“ ეწოდება, ხოლო „აღფ“ („აღფ“) ფინიკიურად ხარს ნიშნავს; რადგან მეორე ფინიკიური ასო-ნიშანი სახლის იდეოგრაფიკულად ამიტომაც ამ ასო-ნიშანს „ბეთ“ ეწოდება, ხოლო „ბეთ“ ფინიკიურად სახლს ნიშნავს და ა. შ.

შეიძლება დავასკვნათ: ასო-ნიშნის იდეოგრაფიკული რაობა და მნიშვნელო-

ვანი აპირობებს ასო-ნიშნების სახელდების პრინციპს სემურ ანბანში.

ფინიკიურ დედა-ანბანში ასო-ნიშნების იდეოგრაფიკული რაობისა და მნიშვნელობის შესაბამისად, ასო-ნიშნების სახელდები აქვთ:

ასო-ნიშნის სახელი	მნიშვნელობა
1. აღფ (აღფ)	ჭარი (ხარი)
2. ბეთ	სახლი
3. გიმელ (გიმელ, გამელ)	აქლემი
4. დალეთ (დელთ)	კარი
5. ჰე	გისოსი
6. ვავ	მღელი
7. ზაინ	სასწორი
8. ჰეთ	შესერი
9. ტეთ	გორგალი
10. იოთ (იოდ)	მკლავი, ხელი
11. ქაფ	ნები
12. ლამელ (ლაბლ)	სახრე
13. მემ	წყალი
14. ნუნ	თევზი
15. სამექ (სამქ)	საყრდენი
16. აინ	თვალი
17. ფე	პირი
18. სადე	ანკესი
19. კოფ	კეფა
20. რეშ	თავი
21. სინ (შინ)	კბილი
22. თავ	ჭვარი

ასეთია ფინიკიური ასო-ნიშნების სახელები და ფინიკიური ასო-ნიშნების იდეოგრაფიული მნიშვნელობა.

ანბანური ასო-ნიშნების სახელებების შემური პრინციპიც ეს არის.

არსებობს შემური ანბანური დამწერლობის ორი დიდი განშტოება: ჩრდილო-შემური და სამხრეთ-შემური ანბანური განშტოებანი. ჩრდილო შემური ანბანური დამწერლობა არსებითად ფინიკიური დამწერლობაა, ხოლო რა ურთიერთ-მიმართებაა ჩრდილო და სამხრეთ შემურ ანბანურ განშტოებებს შორის, საბოლოოდ გარკვეული არ არის. არსებობს ორი თვალსაზრისი: ან სამხრეთ-შემური დამწერლობა ჩრდილო-შემური დამწერლობის განშტოებაა, ან ორივე დამწერლობის სათავეა საერთო წინაპარი — პროტოსემური დამწერლობა.

სამხრეთ-შემური დამწერლობის გრაფიკა მთელ რიგ შემთხვევებში თვალსაჩინოდ განსხვავდება ჩრდილო-შემური დამწერლობის გრაფიკისაგან. მიუხედავად ამისა, ასო-ნიშნების სახელების პრინციპი ჩრდილო და სამხრეთ შემურ დამწერლობაში ერთიდაიგივეა. უფრო მეტიც, სამხრეთ-შემურ ასო-ნიშნებს უმრავლეს შემთხვევაში იგივე სახელები აქვთ, რაც ჩრდილო-შემურ ასო-ნიშნებს ჩრდილო-შემურ დამწერლობაში. მაგრამ სამხრეთ-შემური დამწერლობის ზოგიერთ იდეოგრაფიკულ ფონს ჩრდილო-შემურისაგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. მაგ.: ფინიკიურ „იოდ“ (მკლავი, ხელი) ასო-ნიშნის სამხრეთ-შემურში „იამან“ შესაბამება და მარჯვენა ხელს ნიშნავს, ფინიკიურ — „ნუნ“ (თევზი) ასო-ნიშნის სამხრეთ-შემურში „ნაპას“ ჰქვია, რაც გველს ნიშნავს. ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში ასო-ნიშნის იდეოგრაფიული რაობის თავდაპირველი მნიშვნელობა სამხრეთ-შემურს უკეთ უნდა ჰქონდეს დაცული. ეს აზრი

ცნობილ მეცნიერ-სემიტოლოგს მ. ლიდბარსკის უნდა ეკუთვნოდეს.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საერთის არსს არ ცვლის. ამდენად თავდაპირველი ანბანური დამწერლობის ასო-ნიშნების სახელების ზოგადი შემური პრინციპი საყოველთაოდ ცნობილია.

ასეთი იყო ასო-ნიშნების სახელების პრინციპი ანბანური დამწერლობის შემურ ეტაპზე.

ასო-ნიშნების სახელების ზოგადმა შემურმა პრინციპმა ორი ათასეული წელი იარსება. საბოლოოდ ეს პრინციპი არაბულ ანბანში დაირღვა ახ. წ. VI-VII საუკუნეებში.

ასო-ნიშნების სახელების ბერძნული პრინციპი

ცნობილია, რომ ბერძნულ ანბანურ დამწერლობას ფინიკიური დამწერლობა დაედვა საფუძვლად. თანდათანობით, დროთა განმავლობაში, შემურმა იდეოგრაფიამ ბერძნულ დამწერლობაში სახე იცვალა, განსხვავებულ გრაფიკულ სისტემად გარდაიქმნა. შემური იდეოგრაფიკის გარდაქმნას ბერძნულ დამწერლობაში ხელი შეუწყო ბერძნული წერის სპეციფიკამ: წერის მიმართულების შეცვლამ და საერთოდ წერის ბუსტროფედონურმა წესმა.

ძვ. წ. V-IV საუკუნეთა მიჯნაზე საბოლოოდ დადგინდა ბერძნული დამწერლობის გრაფიკული სტრუქტურა და არქიტექტონიკა. ბერძნული დამწერლობა სადა გეომეტრიულ, ხაზოვან-სიმეტრიულ დამწერლობად იქცა. კლასიკური ხანის ბერძნულ დამწერლობას, კაპიტალურ ანუ მონუმენტურ დამწერლობას უწოდებენ.

აქ, ცოტა ხნით, თუ ფინიკიურ დამწერლობას დაეუბრუნდებით, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ შემური ასო-ნიშნების სქემატურობისა და

1 იხ. სპეც. ლიტ-რა: ივ. ჭავჭავაძე. ჭარბული პალეოგრაფია. გვ. 263. Hans Jensen. Die Schrift... ბერლინი, 1958 წ. გვ. 262; M. Lidzbarski. Ephemeris für Semitische Epigraphik. ტ. I, 1900, გვ. 132.

გრაფიკული პირობითობის მიუხედავად, მათი იდეოგრაფიული რაობა და მნიშვნელობა სემიანთათვის უთუოდ არსებობდა. ამდენად არსებობდა სრული შეთანხმებაც ასო-ნიშნის იდეოგრაფიულ რაობასა და ასო-ნიშნის სახელს შორის.

ბერძნულ კაპიტალურ დამწერლობაში, ფინიკიური ასო-ნიშნების გრაფიკული ტრანსფორმაციის შედეგად, ასო-ნიშნების იდეოგრაფიული მნიშვნელობა და შინაარსი გაქრა.

მაგალითისათვის, კლასიკური ბერძნული A-ალფა, რა თქმა უნდა, ხარის იდეოგრაფია აღარ არის, არც B-ბეტა არის სხლის იდეოგრაფია და ა. შ. ასო-ნიშანი ბერძნულ კაპიტალურ დამწერლობაში ბგერის აღმნიშვნელ პირობით გრაფიკულ ფიქსაციად იქცა. ამდენად ბერძნულ კაპიტალურ დამწერლობაში ასო-ნიშანმა დაკარგა თავისი იდეოგრაფიული მნიშვნელობა, მაგრამ შეინარჩუნა თავისი სემური სახელი. ბერძნულ ანბანში ასო-ნიშნებს არა ბერძნული, არამედ სემური სახელები აქვთ. ეს ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რადგან ამან განაპირობა ასო-ნიშნების სახელების ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი.

ერთადერთი განსხვავება ასო-ნიშნების სემურ და ბერძნულ სახელებს შორის ის არის, რომ ასო-ნიშნის სემურ ფორმას ბერძნულში ბოლოში ხმოვანი „ა“ ემატება.

მაგალითისათვის: სემური ალფ ბერძნული ალფა, ბეთ — ბეტა, გამლ — გამმა, დელთ — დელტა, ჰეთ — ჰეტა (ეტა), ტეთ — ტეტა, იოთ — იოტა და ასე შემდეგ.

ბერძნულ სახელებში ბოლო „ა“ ხმოვნის გაჩენის გამო მეცნიერებს გამოთქმული აქვთ სხვადასხვა თვალსაზრისი. ზოგიერთის აზრით ბოლო ხმოვანი „ა“-ს დართვა ბერძნული ენის წმინდა ეფფონიური თვისებით უნდა აიხსნებოდეს (ბერძნულმა ვერ იგუა სახელების ბოლოთანხმოვნიანი დაბო-

ლოება) — ვ. ლარფელი, ე. მეიერი, ე. შუაიციერი და სხვ.

მაგრამ არის სხვა თვალსაზრისიც კერძოდ ფიქრობენ, რომ აღმოსავლელ ბერძნებს, დასავლელ ბერძენთაგან განსხვავებით, თითქოს უნდა გადმოეღოთ ასო-ნიშნების არა ფინიკიური, არამედ არამეული სახელების „ა“-ზე დაბოლოებული „Status emphaticus“-ის ფორმები (ველჰაუზენი, ტეილორი და სხვ.). ეს თვალსაზრისი ნაკლებ სარწმუნოა.

არის კიდევ ერთი ჰიპოთეზაც: რ. აისლერი ფიქრობს, რომ სახელის ბოლო „ა“ — ხმოვანი სემური აქუზატივის ფორმა უნდა იყოს, რომ სემური აქუზატივი ხშირად იხმარება ნიშნების სახელდებისას ბაბილონურ სიებში.¹

ზემოხსენებული რომელი თვალსაზრისიც არ უნდა იყოს ქეშმარიტი, მთავარი ის არის, რომ ბერძნული ასო-ნიშნების სახელებს ბერძნული ენით ვერ ავსხნით. ამ სახელების ასინა მხოლოდ სემურად შეიძლება.

უნდა დავასკვნათ: ანბანური დამწერლობის მომდევნო „ბერძნულ“ ეტაპზე ასო-ნიშნებმა დაკარგეს იდეოგრაფიული მნიშვნელობა და შინაარსი, მაგრამ შეინარჩუნეს თავისი სემური სახელები.

ასო-ნიშნების სახელების ბერძნული პრინციპიც ეს არის.

ასო-ნიშნების სახელების ბერძნული პრინციპი, გარდა ბერძნული დამწერლობისა, მიღებული იყო აგრეთვე კოპტურ დამწერლობაში, ხოლო ნაწილობრივ ლათინურ და სლავურ დამწერლობაშიც კი.

ასო-ნიშნების სახელების ეტრუსკული პრინციპი

ეტრუსკული დამწერლობა ბერძნული დამწერლობის საფუძველზე შემუშავდა. ეტრუსკული, სემურისა და არქაული ბერძნულის მსგავსად, მარჯვნი-

¹ H. Jensen. დას. ნაშრომი. ბერლინი. 1958 წ. გვ. 426.

დან მარცხნივ იწერებოდა. „კლასიკურმა“ ეტრუსკულმა (დაახ. 400 წ. ძვ. წ.) შეინარჩუნა წერის თავდაპირველი მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ. ეს იმით აიხსნება, რომ არქაულ ეტრუსკულში ბუსტროფედონური წერა ფაქტურად არ არსებობდა. ერთხელ შემოღებული ეტრუსკული დამწერლობა უფრო კონსერვატული აღმოჩნდა.

დიდი გრაფიკული ძვრები ეტრუსკულში მხოლოდ გვიან ხანაში მოხდა, ლათინური დამწერლობის პირდაპირი ზემოქმედების შედეგად. ამ ზემოქმედებამ სავალალო შედეგი გამოიღო, ეტრუსკული დამწერლობის გრაფიკის ბუნებრივი განვითარება შეწყდა, ეტრუსკულში თანდათანობით ლათინური გრაფიკა დამკვიდრდა, რაც საბოლოოდ, ჯერ ეტრუსკული დამწერლობისა, ხოლო შემდეგ თვით ეტრუსკული ენის გადაშენებით დასრულდა.

მაგრამ დაეუბრუნდეთ არქაულ ეტრუსკულს. ფიქრობენ, რომ ეტრუსკული დამწერლობა უნდა შემოღებულიყო დაახლოებით მე-8 საუკუნეში ძვ. წ. დამწერლობის არქაულ ბერძნულ გრაფიკას ეტრუსკულში ასო-ნიშნების სემური იდეოგრაფიული მნიშვნელობა და შინაარსი, რა თქმა უნდა, იმთავითვე დაკარგული ჰქონდა, ამიტომაც, ეტრუსკებმა საკუთარი ანბანური დამწერლობისათვის გადმოიღეს მხოლოდ და მხოლოდ ბერძნული ფონეტიკური ასო-ნიშნები, მაგრამ არ გადმოიღეს ბერძნული ასო-ნიშნების სახელები.

ანბანური დამწერლობის „ეტრუსკულ“ ეტაპზე ასო-ნიშნებმა დაკარგეს არა მხოლოდ იდეოგრაფიული მნიშვნელობა და შინაარსი, არამედ საკუთარი სემური სახელებიც, პირველად ეტრუსკულ დამწერლობაში ასო-ნიშანი ბგერის გამომხატველ სრულიად პირობით გრაფიკულ ერთეულად იქცა. ეტრუსკული დამწერლობის ასო-ნიშნების სახელების პრინციპი საყოველთაოდ ცნობილია, რადგან ასო-ნიშნების სახელების ამ პრინციპმა ლათინურის

მეშვეობით საქვეყნო გავრცელება მოიპოვა.

ეტრუსკული ასო-ნიშნების სახელების პრინციპად გამოყენებულია ვოკალიზაციის მარცვლოვანი პრინციპი. რადგან ხმოვნები თავისთავად მარცვლებია, მათი ვოკალიზაციის საჭიროებაც ამიტომ აღარ არსებობს და ღია მარცვლებადვე რჩებიან. ა, ი, ე, ო, უ — ეტრუსკულსა და ლათინურში ერთდროულად ამ ასო-ნიშნების სახელებად (ეა ეტრუსკულში „ო“ არ იყო). რაც შეეხება თანხმოვნებს, მათი ვოკალიზაცია ხდება ხმოვნების დართვით ან ხშულ ან ღია მარცვლებად. ხშული მარცვლებია: ელ, ემ, ენ, ერ, ეს, ეფ, იქს, და სხვ., ხოლო ღია მარცვლებია: ეი, ეა, ეუ, (ეე, კა, კუ), ბე, ცე, დე, პე და სხვ.

ასო-ნიშნების სახელების ეტრუსკული პრინციპიც ეს არის.

ამგვარად, ეტრუსკულ დამწერლობაში ასო-ნიშნების ფონეტიკურ-მარცვლოვანი ვოკალიზაცია გამოყენებულია ასო-ნიშნების სახელების პრინციპად.

ლათინური ასო-ნიშნების სახელების დიდი უმრავლესობა თავისი წარმოშობით ეტრუსკულია, მხოლოდ რამდენიმე ასო-ნიშნის სახელია შემოღებული ლათინების მიერ ასო-ნიშნების სახელების ეტრუსკული პრინციპის საფუძველზე, ხოლო რამდენიმე ასო-ნიშანს ლათინურში ბერძნული სახელი აქვს.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ასო-ნიშნების სახელების ეტრუსკულმა პრინციპმა ლათინურის მეშვეობით ფართე გავრცელება ჰპოვა, ხოლო უფრო გვიან ასო-ნიშნების სახელების საერთაშორისო პრინციპად იქცა.

არსებობს შეხედულება, რომ ასო-ნიშნების სახელების ეტრუსკულ პრინციპს თითქოს საფუძვლად უნდა დასდებოდა კვიპროსული დამწერლობის სილბუთური ანუ მარცვლოვანი სისტემა.¹ ეს ვარაუდი ჩემის აზრით ნაკლებ სარწმუნოა. ასო-ნიშნების სახელებმა

¹ H. Jensen. დაახ. ნაშრომი. ბერლინი. 1958. წ. გვ. 496.

ეტრუსკულში, უპირველეს ყოვლისა, ეტრუსკული ენის ფონეტიკის თვისობრიობით უნდა აიხსნას.

ასო-ნიშნების სახელდების სხვა გვიანდელ სისტემებზე აქ საუბარი აღარ მექნება, რადგან ქართულთან მიმართებით მათ მნიშვნელობა აღარ ენიჭებათ.

ასო-ნიშნების სახელდების ქართული პრინციპი

ჩრდილო და სამხრეთ სემურ ანბანურ სამყაროში ასო-ნიშნების სახელდების ზოგადი სემური პრინციპი უძველესი დროიდან საყოველთაო იყო; ანტიკური ხანიდან ფართე ვავრცელება ჰქონდა ბერძნულმა დამწერლობამ, ამდენად ასო-ნიშნების სახელდების ბერძნული პრინციპი საქვეყნოდ იყო ცნობილი; დასავლურ ლათინურ ანბანურ სამყაროში გაბატონდა ასო-ნიშნების სახელდების ეტრუსკული პრინციპი. ანბანური დამწერლობის ძველმა სამყარომ ასო-ნიშნების სახელდების სხვა პრინციპი არ იცის.

ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშნების სახელდების არცერთი ზემორე მოტანილი სისტემა არ დასტურდება. რატომ არ ეწოდა ქართულ ასო-ნიშნებს სემური, ბერძნული ან ეტრუსკული სახელები? ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია და აუცილებელიც არის ამ საკითხის გამოვლენა.

რატომ არ ეწოდა ქართული ანბანის პირველ ასო-ნიშანს სემური „აღფ“ ბერძნული „ალფა“ ან ეტრუსკული „ა“? ამ საკითხზე მე უკვე გამოთქმული მაქვს ჩემი მოსაზრება: ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშანი მთვარის ღვთაების იდეოგრამა-აკროფონია, ამიტომაც შეუძლებელია მთვარის იდეოგრამას „აღფ“ ან „ალფა“ ეწოდოს, რადგან ქართველისათვის ცნობილია, რომ „აღფ“ და მისი ბერძნული ფორმა „ალფა“ ხარს ნიშნავს.

ბერძნულ კლასიკურ დამწერლობაში არცერთი იდეოგრამა-აკროფონი არ არის, ამიტომ ასო-ნიშნების სახე-

ლებს ბერძნულში არ ენიჭება რაიმე შინაარსეული მნიშვნელობა. ქართულში ეს ასე არ არის, როგორც უკვე ითქვა, ქართული ანბანის ერთების პრინციპს სამი იდეოგრამა-აკროფონი ანხორციელებს: მთვარისა, ხარისა და ჭვარისა.

1. ქართული ასომთავრული ანბანის პირველ ასო-ნიშანს „ან“ ეწოდა, რადგან ფინიკურ ანბანში ერთერთ ასო-ნიშანს „სინ“ ეწოდება, ხოლო „სინ“ შემერულად მთვარის ღმერთს ნიშნავს. ქართულ ასომთავრულ ანბანში იგივე იდეოგრამა-აკროფონებია, რაც ფინიკურ დედა-ანბანში, ოღონდ ეს იდეოგრამები ფინიკურ და ქართულ ანბანურ მწკრივებში სხვადასხვა ადგილას გვხვდება კვლავ აკროფონიული პრინციპის გამო.

ამგვარად ქართული ანბანის პირველ ასო-ნიშანს „ან“ ეწოდა, რადგან „ან“ შემერული სიტყვაა და ფინიკური ასო-ნიშნის „სინ“ — შემერული შესატყვისია. ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშანი მთვარის ღვთაების იდეოგრამაა, ხოლო „ან“ შემერულად ცის ღმერთს ანუ მთვარის ღმერთს ნიშნავს. ასო-ნიშნის სახელდების ქართული პრინციპიც ეს არის.

2. 34-ე გრაფემას ქართულ ანბანში „ქარ“ ეწოდება, რადგან 34-ე ასო-ნიშანი ხარის იდეოგრამაა. როგორც უკვე ითქვა, „ქარ“ შემერული სიტყვაა და ხარს ნიშნავს. ასო-ნიშნის სახელდების ქართული პრინციპიც ეს არის.

3. ქართული ასომთავრული ანბანის დასასრულის ნიშნად ჭვარის იდეოგრამა ზის. აკროფონიული პრინციპის შესაბამისად ასო-ნიშანს „ჯან“ ეწოდება. მაგრამ რატომ არ ეწოდა ამ ასო-ნიშანს „ჯვარ“? საქმე ის არის, რომ ასეთ შემთხვევაში დაირღვეოდა ასო-ნიშნების სახელდების ქართული პრინციპი და ქართული ანბანური ერთების პრინციპი (ამის შესახებ უკვე ითქვა).

რადგან „ან და „ქარ“ შემერული სიტყვებია და ამით ხაზგასმულია ასო-ნიშნების საკრალური მნიშვნელობა, ამიტომ ანბანში თავიდან ბოლომდე უნ-

და დაცულიყო ასო-ნიშნების საკრალ-ლოში და ასო-ნიშნების სახელდების ერთიანი პრინციპი.

რაკი ამოცნობილია ქართული ანბანური ერთების ორი იდეოგრაფიკო-ფონის („ან“-ისა და „ქარ“-ის) სახელდების პრინციპი, ამოსაცნობია ანბანური ერთების მესამე იდეოგრაფიკო-ფონის სახელდების პრინციპი.

რატომღა ეწოდა ანბანის დასასრულის მათწყებელ ნიშანს — ჭვარის იდეოგრაფიკო-ფონს „ჯან“?

მაგრამ თუ კი „ჯან“ ასო-ნიშნის სახელდების საკითხი დაისვა, გონივრულია დაისვას საკითხი — რატომ ეწოდათ ასო-ნიშნებს ანალოგიური სახელუბი: „ბან“, „გან“, „თან“, „ქან“, „მან“, „ჟან“, „სან“, „ქან“, „ლან“, „ცან“, „ხან“?

ერთი რამ ცხადია: ქართულ ასო-ნიშნებს სახელდების პრინციპად უმრავლეს შემთხვევაში „ან“ — მარცვალი ემატება, ხოლო ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელად სწორედ „ან“ მარცვალი გვაქვს.

ჯერ კიდევ ოციან წლებში ივანე ჯავახიშვილმა სწორად განჭვრიტა: „ნ—ბოლოკიდურიანი სახელები ქართულში პირველი ასოდანვე (ან) იწყება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს პროექტი პირველი ასოს სახელიდანვე უნდა მიმდინარეობდეს“-ო.¹

ცნობილია შუმერული სიტყვა „ან“, მაგრამ, რაც მთავარია, ცნობილია შუმერული დამწერლობის ლოგოგრაფია „ან“, რომელსაც არა მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობა აქვს (ცა, ცის ღმერთი „ან“), არამედ ჩვეულებრივი მარცვლის მნიშვნელობითაც იხმარება, ე. ი. ერთ შემთხვევაში იგი ლოგოგრაფია: „ან“-ცის ღმერთის მნიშვნელობით იკითხება, ხოლო სხვა შემთხვევაში იგი სილაბოგრაფია და ჩვეულებრივი „ან“ მარცვლის მნიშვნელობით იკითხება.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართულ ანბანში: ერთ შემთხვევაში „ან“,

ცის ღმერთის ანუ მთავრის ღმერთის მნიშვნელობით იკითხება, სხვა შემთხვევებში „ან“ მარცვლის ფუნქციას ასრულებს.

ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელი „ან“ საფუძვლად დაედო 12 თანხმოვანი ასო-ნიშნის სახელს ქართულ ანბანში: ბან, გან, თან, კან, მან, ჟან, სან, ქან, ლან, ცან, ხან, ჯან.

მაგრამ გარდა ამისა ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელი „ან“ საფუძვლად დაედო 3 ხმოვანი ასო-ნიშნის სახელს ქართულ ანბანში: ინ, ენ, ონ, ცხადია, ხმოვან ასო-ნიშნების სახელებში „ა“ ბგერა შეიკვეცა: იან > ინ, ეან > ენ; ოან > ონ. მივიღეთ ასო-ნიშნების სახელების მაწარმოებელი ოთხი მარცვალი: ან, ინ, ენ, ონ. თვითეული ამ მარცვალთაგანი საფუძვლად დაედო ქართული ასო-ნიშნების სახელდების სილაბურ პრინციპს.

ამგვარად „ან“ ერთმარცვლოვანი სიტყვის საფუძველზე ასო-ნიშნების სილაბური სახელდების შემდეგნაირ სიატემას ვღებულობთ:

ან — შუმერული ერთმარცვლოვანი ლოგოგრაფია.

1. ან	14. ინ
2. ბ — ან	15. ვ — ინ
3. გ — ან	16. შ — ინ
4. თ — ან	17. ჩ — ინ
5. კ — ან	
6. მ — ან	18. ენ
7. ჟ — ან	19. ზ — ენ
8. ს — ან	
9. ქ — ან	20. ონ
10. ლ — ან	21. დ — ონ
11. ც — ან	
12. ხ — ან	
13. ჯ — ან	

სულ „ან“ სიტყვის საფუძველზე ქართულ ანბანში შემუშავებულია 21 ასო-ნიშნის სახელდების სილაბური პრინციპი, ე. ი. ქართული ასომთავრული ანბანის 35 ასო-ნიშნიდან 21 ასო-ნიშნის სახელს საფუძვლად დაედო ასომთავრუ-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. გვ. 269.

ლი ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელი „ან“. 21 ასო-ნიშანი 35 ასო-ნიშნის $\frac{3}{5}$ შეადგენს. საგულისხმოა ისიც, რომ ან, ინ, ენ, ონ მარცვლები შემერული დამწერლობის ლოგოგრაფია-სილაბოგრაფებია, ოღონდ შემერულ „უნ“ — სილაბოგრაფიას ქართულ ასომთავრულში „ონ“ ენაცვლება.

შეიძლება დავასკვნათ: ქართული ასომთავრული ანბანის პირველი გრაფემა მთვარის ღვთაების იდეოგრაფია, ასო-ნიშნის სახელი „ან“ — მთვარის ღვთაების ლოგოგრაფია, ხოლო ასო-ნიშნების სახელდებისას „ან“ — ჩვეულებრივი მარცვალა. „ან“ — პირველი ასო-ნიშნის მთვარის ღვთაების ლოგოგრაფია საფუძვლად დაედო ქართული ასომთავრული ანბანის 21 ასო-ნიშნის სახელდების სილაბურ ანუ მარცვლოვან პრინციპს.

რადგან მთვარის ღვთაების ლოგოგრაფია 21 ასო-ნიშნის სახელდების ამოსავალი პრინციპია, ხომ არ ვიფიქროთ, რომ 21 შემთხვევითი რიცხვი არ არის და კვლავ მთვარის ღვთაებას უკავშირდება: 21 სამი შეიდეულია, შეიდეულების სამება.

ქართულ ანბანს „ან“ — შემერული სიტყვა იწყებს და „ქარ“ შემერული სიტყვა ამთავრებს. რელიგიურ-საკრალური და ანბანური კავშირი ამ ორ იდეოგრაფია-აკროფონს შორის უკვე ცნობილია.

მაგრამ თუ კი „ან“ შემერული ლოგოგრაფია საფუძვლად დაედო ქართული ასო-ნიშნების სახელდების სილაბურ პრინციპს, ხომ არ ვიფიქროთ, რომ „ქარ“ შემერული სიტყვა აგრეთვე ასრულებს ასო-ნიშნების სახელდების სილაბურ ფუნქციას ქართულ ანბანში?

ქართულ ანბანში ასო-ნიშნების სახელდების სილაბურ ერთეულად მართლაც „ქარ“ სიტყვის „არ“ — მარცვალი გვაქვს. ასო-ნიშნების სახელდებისას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში „კ“ თანხმობას ენაცვლება ის თანხმობანი, რომლის სახელდებაც ხორციელდება.

ისლა დაგერჩენია, ამოვწეროთ „ქარ“

შემერული სიტყვით სახელდებული ასო-ნიშნები:

1. კ — არ, 2. კ — არ, 3. კ — არ, 4. ფ — არ, 5. ტ — არ, 6. პ — არ, 7. ნ — არ, საგულისხმოა რომ „ქარ“ სიტყვით სახელდებულია 7 ასო-ნიშანი. შეიძლება დავასკვნათ: შემერული სიტყვა „ხარ“ საფუძვლად დაედო ქართული ასომთავრული ანბანის 7 ასო-ნიშნის სახელდების სილაბურ ანუ მარცვლოვან პრინციპს. აღსანიშნავია აგრეთვე რომ „არ“ მარცვალი შემერულ-აქადური ლურსმული დამწერლობის ცნობილი სილაბური ერთეულია.

შემერული სიტყვის „ან“ — მთვარის ღმერთის მეშვეობით ქართულ ანბანში განხორციელებულია 21 ასო-ნიშნის სახელდების სილაბური პრინციპი. შემთხვევითია თუ არა ეს გარემოება?

შემერული სიტყვის „ქარ“ — ის მეშვეობით ქართულ ანბანში განხორციელებულია 7 ასო-ნიშნის სახელდების სილაბური პრინციპი. შემთხვევითია თუ არა ეს გარემოება?

ქართულ ანბანში ასო-ნიშნების სილაბური სახელდების სამი და ოთხი შეიდეული გვაქვს, ხოლო „ან“-ისა და „ქარ“-ის ოთხი შეიდეული მთვარის სრული 28 დღიანი ციკლია. თუ ეს ასეა, ქართულ ასომთავრულ ანბანში მთვარის ღვთაებისა და მთვარის ღვთაების წმინდა რიცხვის 7-ის საკრალურმა და საიდუმლო მნიშვნელობამ ასო-ნიშნების სახელდების სილაბურ პრინციპში იჩინა თავი.

გვაქვს ასო-ნიშნების სახელდების უკანასკნელი მე-5 შეიდეულიც. ქართულ ანბანში. ამ შეიდეული ასო-ნიშნის სახელები ასეთია:

- | | |
|--------|-----------|
| 1. შე, | 5. ძ — ილ |
| 2. ჟე | 6. წ — ილ |
| 3. რე | |
| 4. ვე | 7. ლ — ას |

ჩემთვის ერთი რამ ცხადია, ზემოთტანილ ასო-ნიშნებს სილაბური სახელები შემთხვევით არ უნდა ჰქონდეთ შერქმეული. კერძოდ, „ე“ თუ „აე“,

„ილ“ და „ას“ მარცვლები, უთუოდ, დამწერლობის სილაბურ სისტემებში უნდა ვეძებოთ. მაგალითისათვის, ცნობილია, რომ შემერულ „ან“ ლოგოგრაფიას, გარდა „ან“ მარცვლის მნიშვნელობისა, აქადურში „ილ“ მარცვლის მნიშვნელობაც ჰქონდა.

რა მნიშვნელობა ენიჭებათ ამ სილაბურ ერთეულებს, რატომ გვაქვს ერთადერთი „ას“ (ლ-ას) სილაბური ერთეული ქართულ ანბანში? — ყოველივე ეს მომავალში კიდევ საკვლევია.

დასვენის სახით შეიძლება ითქვას: ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია ასო-ნიშნების სახელდების სრულიად უნიკალური ლოგოგრაფიულ-სილაბური პრინციპი. ასო-ნიშნებს ქართულ ასომთავრულ ანბანში, ანბანურ-აქროფონიული ანუ წმინდა ბგერული მნიშვნელობა აქვთ. რაც შეეხება ასო-ნიშნების სახელებს, ქართულ ანბანში გამოყენებულია დამწერლობის არა ანბანური, არამედ დამწერლობის მარცვლოვანი ანუ სილაბური სისტემა.

ამ თვალსაზრისით ქართული ასომთავრული დამწერლობა, დამწერლობათა ანბანური და მარცვლოვანი სისტემების ერთდაგვარი სინთეზია.

კიდევ ერთი საკითხი: წინა თავში აღინიშნა, რომ ქართული ანბანი შეიღველებად ნაწილდება, რომ ქართული ან-

ბანის 35 გრაფიკა მთლიანად ხუთ შეიღვეულს შეადგენს.

თუ ქართული ანბანის სტრუქტურა მართლაც ასეთია, უნდა გაირკვეს რაოდენად ემორჩილება ამ სტრუქტურას ასო-ნიშნების სახელდება, როგორ განაწილდნენ შეიღვეულებში სხვადასხვა მარცვლოვანი სახელდების ასო-ნიშნები. ქვემოთ რომელი რიცხვებით აღნიშნული მაქვს ქართული ანბანის შეიღვეულების რიგი, ხოლო არაბული რიცხვებით ამა თუ იმ სილაბური სახელდების ასო-ნიშნების რაოდენობა.

ან, ონ, ენ, ინ	არ	ე, ილ, ას
I—7	I—	I—
II—4	II—1	II—2
III—3	III—2	III—2
IV—4	IV—2	IV—1
V—3	V—2	V—2

როგორც ჩანს, ასოების სახელები ანბანში თანაბრადაა განაწილებული. ეს ვითარება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ანბანის დანაწილება შეიღვეულებად არ უნდა იყოს მოკლებული ქვემარტებას. საგულისხმოა, რომ ანბანის პირველ შეიღვეულში მხოლოდ „ან“ მარცვლიდან მომდინარე, ე. ი. „ნ“-ზე დაბოლოებული სახელები გვაქვს.

5. ქართული ასომთავრული ანბანის იდომორფა — აკროფონია

ქართული ასომთავრული დამწერლობის ანბანური ერთების პრინციპმა გააჩვენა, რომ ამ ერთების პრინციპს სამი იდეოგრაფიულ-აქროფონიული ანხორციელებს: „ან“ — მთვარის იდეოგრაფიულ-აქროფონია, „პარ“- ხარის იდეოგრაფიულ-აქროფონია, ხოლო „ჯან“-ჯვარის იდეოგრაფიულ-აქროფონია. მაგრამ ანისა და პარისა ერთის მხრივ და ჯანისა, მეორეს მხრივ, სახელებების პრინციპში განსხვავება: თუ „ან“ და „პარ“ შემერული ლოგოგრაფიული და შესაბამისად მთვარის ღმერთისა და ხარის ნიშნავს, ამასვე ვერ ვიტყვი „ჯან“-ის შესახებ.

„ჯან“ რა თქმა უნდა, უშინაარსო სიტყვაა, უფრო სწორად ხშული მარცვლია და „ჯ“ ბგერის პირობითი სახელდება.

ქართული ანბანის ჯვარის იდეოგრაფიულ-აქროფონს თითქოს ჯვარ (ჯუარ) უნდა დარქმეოდა. ასეთ შემთხვევაში ასო-ნიშნის იდეოგრაფიული რაობის ამოცნობა გაადვილდებოდა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს ასე არ მოხდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს დაარღვევდა ასო-ნიშნების სახელდების ერთიან, ზოგად პრინციპს, რის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა; გარდა ამისა, ასო-

ნიშანს რომ „ჯუარ“ დარქმეოდა ეს გარემოება დაამცრობდა ასო-ნიშნის საიდუმლო, საკრალურ მნიშვნელობას. „ჯან“ ასო-ნიშანში მხოლოდ იგულისხნება, რომ იგი ჯვარია და ჯვარის იდეოგრაფია-აქროფონია, იგი ერთდაგვარად ზღვარ-მიღმა და ღვთაებრივი საიდუმლოებით არის დაფარული.

ამ გარემოებამ აზრი დაბადა: იქნებ ქართულ ანბანში გარდა „ანისა“, „ქარისა“ და „ჯანისა“, სხვა იდეოგრაფია-აქროფონებიც გვაქვს, რომელთა იდეოგრაფიული მნიშვნელობა დაფარულია და ამიტომ საჭიროა მათი საიდუმლო მნიშვნელობის ამოცნობა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ქართული ანბანის ერთება სამ ანბანურ ჯგუფს აერთიანებს ე. ი. ქართულ ასომთავრულში სემურ-ბერძნულ-ქართული ანბანური ჯგუფების ტრიადაა. საერთოდ ქართულ ასომთავრულში განხორციელებულია ძველი წარმართული სოფლისმეურნეობის ტრიადული პრინციპი. ეთქვათ, ქართული ანბანის ხუთი შვიდეული შვიდეულთა სამებას ანუ შვიდეულთა სამ ჯგუფს ჰქმნის: მართკუთხა სამკუთხედის სამ, ოთხ და ხუთ შვიდეულს (დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი); ასო-ნიშნების სახელების პრინციპიც ტრიადულია: გვაქვს „ან“-ის სამი შვიდეული, „ან“-ისა და „ქარ“-ის ოთხი შვიდეული და მთელი ანბანის ხუთი შვიდეული; ასო-ნიშნების გრაფიკაშიც სამი ჯგუფი გვაქვს: შერეული გრაფიკების სამი შვიდეული და რკალურ-წრიული და კუთხოვანი გრაფიკების თითო-თითო შვიდეული. (ამის შესახებ საუბარი მაქვს მომდევნო თავში — ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა).

ცნობილია ძველი აღმოსავლეთის ასტრალური პანთეონის ტრიადა. ვარსკვლავური ღმერთების ტრიადის წევრებია: 1. სინ-მთვარე, 2. შამაშ-მზე და 3. იშთარ-ცისკრის ვარსკვლავი. სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ ქართველები წარმართულ ხანაში ვარსკვლავურ ღმერთებს ეთაყ-

ვანებოდნენ. ამიტომ თუ კი ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია ძველი წარმართული ტრიადის პრინციპი და რადგან პირველ ასო-ნიშნად ქართულ ანბანში მთვარის ღვთაების იდეოგრაფია-აქროფონი გვაქვს, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქართულ ანბანში ტრიადის მომდევნო წევრების აზრისა და ცისკრის ვარსკვლავის იდეოგრაფია-აქროფონებიც უნდა გვაქონდეს.

უძველესი ხალხები (შუმერები, ძველი ეგვიპტელები, ინდოელები, ჩინელები და სხვ.) მზეს იდეოგრაფიულად წრივად, ჯვარით ან წრივად და ჯვარით გამოსახავდნენ. ეგვიპტური იეროგლიფური ნიშანი — წრე მზის აღმნიშვნელია; შუმერული მზე — წრეში ჩახატული ჯვარია...

ქართული წარმართული კულტურის შესანიშნავი მკვლევარი ვ. ბარდაველიძე წერს:

«Знаки креста и круга с крестом генетически восходят к культу солнца»¹.

საინტერესოა ეგვიპტური ჯვარი: იგი წარმოადგენს წრეს და წრეზე დაიდულ ჯვარს. ასეთივე იყო ძველი კრეტული ჯვარის იდეოგრაფიული ნიშანი, ეს ჯვარი საიქიო მარადიული სიცოცხლის აღმნიშვნელი იყო. მაგრამ თავისი გრაფიკული შინაარსით იგი გამოხატავს მკვდართა სამეფოს მზეს ანუ ქვესკნელურ მზეს. (მზის საპირისპირო, უხილავ დგომას). ეხნატონისა და ნეფერტიტის ცნობილ ეგვიპტურ ბარელიეფზე კი ხილული მზე-ღმერთი იძლევა თავის ზესკნელურ ნიშანს. ჯვარი ბირიქით წრის თავზეა ჯვარის ასეთ ფორმას crux ansata ეწოდება.

როგორი იყო მზის ღვთაების ქართული წარმართული ნიშანი?

ეს საკითხი საგულდაგულოდ შესწავლილი და გამოკვლეული აქვს ვ. ბარდაველიძეს. (იხ. მისი ნაშრომი: „ქართვე-

¹ В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племён, თბილისი, 1957 წ. გვ. 256.

ლთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ-ბაბარ“. თბილისი, 1941 წ.). ვ. ბარდაველიძის კვლევის შედეგად ირკვევა, რომ დასავლურ-ქართული ვირგედი, გვერგვი, კალპი და აღმოსავლურ-ქართული გვირგვინი მზის ღვთაების სიმბოლური ნიშნებია. ამ ნიშნების მახასიათებელია წრე, წრეში ჩასმული ჭვარი ან წრე და წრეზე დასმული ჭვარი.

ამის შემდგომ ძნელი არ არის ქართულ ასომთავრულში ამოვიცნოთ მზის ღვთაების იდეოგრამა.

ქართული ასომთავრული აქბანის მე-4 ასო-ნიშანი ასტროლოგიურად მზის ცას განეკუთვნება. ქართული ასომთავრული „დონი“ თავისი მოხაზულობით: წრე, წრეზე დასმული ჭვარი, ცხადია მზის ღვთაების იდეოგრამა და შესაბამისად მზის ცაზე ზის და ზესკენის მზეა.

მაგრამ თუ „დონი“ მზის ღვთაების იდეოგრამაა, მზის ღვთაების აკროფონიკ უნდა იყოს ე. ი. მზე-ღმერთის სახელი „დ“ — ბგერით უნდა იწყებოდეს.

ივ. ჯავახიშვილისა და ვ. ბარდაველიძის გამოკვლევათა შედეგად ცნობილ გახდა, რომ მზეს წარმართულ ქართულში დღე ეწოდებოდა.¹ დღე მზის მნიშვნელობით შემორჩენილია ქართულ სიტყვაში — დღევრძელი, რაც მზევრძელს ნიშნავს; ქართულ წარმართულ ტექსტებში (ხუცობანი, სადილებელთაჲ) ღვთაებათა ტრიადის მეორე წევრია დღე დღესინდელი ე. ი. მზე. ქართულ ასომთავრულ „დონში“ მზე-ღმერთი-დღე იგულისხმება. მას გარდა, ქართული „დონი“ ჭვარის ერთ-ერთი ფორმაა—*crux ansata*, ამიტომაც ქართულ ასომთავრულში ჭვარის სამი სხვადასხვა ნიშანი დასტურდება: დ, ქ და ჯ. ქართულ ანბანში ჭვარის სამეხა.

აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: თუკი ქართული ანბანი ფინიკურულ-დღე-ანბანის საფუძველზე შემქმნელად ცხადია, საკითხავია გვაქვს თუ არა ფინიკურ დღე-ანბანში ღვთაება მზის იდეოგრამა-აკროფონი?

მთვარე-ღმერთის იდეოგრამა-აკროფონის გამო უკვე აღვნიშნეთ, რომ ფინიკური ასო-ნიშნის სახელი „სინ“ საკრალურად მთვარის ღმერთის მნიშვნელობით არის გაგებული. კერძოდ ამ შემთხვევაში საკრალიზებულია ასო-ნიშნის სახელი, ხოლო მეორე შემთხვევაში მზე-ღმერთთან დაკავშირებით, ვფიქრობ, საკრალიზებულია მე-9 ფინიკური გრაფემა „ტეთ“—გორგალი. ან ასო-ნიშნის გრაფიკა: წრე, წრეში ჩახატული ჭვარი ზუსტად მზის იდეოგრამად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამგვარად, ამ გზით საკრალიზებულია ფინიკური ასო-ნიშნის გრაფიკული მნიშვნელობა. რაც შეეხება იდეოგრამა-აკროფონების ადგილს ანბანში, მათი სხვადასხვა ადგილზე ყოფნა გაპირობებულია აკროფონიული პრინციპით და ამგვარად გამართლებულია და დასაშვებია, მით უმეტეს ქართულ ასომთავრულში გათვალისწინებულია ასტრონომიული შეხედულებანი: მთვარე პირველ ცაზეა, ხოლო მზე მეოთხეზე.

ერთი საკითხიც: მკითხველმა ისე არ გავვიგოს, თითქოს ქართული „ან“ გრაფიკულად ფინიკურ „სინ“ გრაფემას უკავშირდებოდეს და „დონ“ ფინიკურ „ტეთ“ გრაფემას. ქართული ასო-ნიშნები შესაბამისი ფინიკური ასო-ნიშნებისგანაა გამოყვანილი, ოღონდ ქართულ ასო-ნიშანში განხორციელებულია განსხვავებული იდეოგრაფიული მნიშვნელობა. მაგალითისათვის პირველი ფინიკური „ალფ“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე გამოყვანილია ქართული ასომთავრული „ან“ გრაფემა. მათი იდეოგრაფიული მნიშვნელობა კი როგორც უკვე ცნობილია—სხვადასხვაა: „ალფ“ ქარის იდეოგრამა-აკროფონია, „ან“ კი მთვარისა.

მთვარის ღვთაების გამო უკვე აღვნი-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი პირველი. თბილისი, 1950 წ. გვ. 145, 146; В. В. Бардавелидзе, დასაბუღებული ნაშრომი, თბილისი, 1957 წ., გვ. 12.

წინეთ, რომ მისი ზოომორფული სიმბოლო ხარია, ხოლო ხარი მთვარის წმინდა რიცხვის შეიღის განმცხადებელია. ცნობილია, რომ მზე-ღმერთის სიმბოლო თვალია, ხოლო მზის წმინდა რიცხვი არის ცხრა.

ამის გამო აქ ბევრს არ ვიტყვი, რადგან ეს საკითხი ვრცლად აქვს გაშუქებული ვ. ბარდაველიძეს. დინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა აქვს თვითონ გაეცნოს სპეციალურ ლიტერატურას ამ საკითხზე.

ქართულ მეტყველებაში დღემდე შემორჩენილი გამოთქმები: „მზის თვალი“, „ცხრათვალი მზე“ და სხვ. ვერა ბარდაველიძე წერს:

„ქართულ ეთნოგრაფიულ წყაროებში და ყოფაში მზის თვალთან შედარება-დამსგავსების მაგალითები მრავალია. ჩვენ მოგვეპოვება ტერმინი „მზის თვალი“, რომელიც მცხუნვარე პაპანაქება მზის მნიშვნელობითაც იხმარება და მზის ეპითეტსაც წარმოადგენს... განსაკუთრებით საყურადღებოა მზის მნიშვნელობით გაგებული და ხმარებული სიტყვა თვალი სვანურ დაფიციების ფორმულებში. ნაცვლად ქართული დაფიციებისა „შენმა მზემ“, „ჩემმა მზემ“ სვანი ხმარობს სიტყვა-სიტყვით რომ ვთარგმნოთ: „შენმა თვალზემა“, „ჩემმა თვალზემა“ და სხვ... ეს მაგალითები არა მხოლოდ მზის თვალთან შედარება-შენაცვლების ფაქტის არსებობას ამტკიცებს, არამედ იმასაც, თუ ეს უკანასკნელი მოვლენა რამდენად ძლიერად ყოფილა ჩვენში განვითარებული. სვანური დაფიციების ფორმულებში თითქმის წაშლილია სიტყვა თვალის ძირითადი მნიშვნელობა და იგი გაგებულია, როგორც მნათობი მზისდღის აღმნიშვნელი სიტყვა...“¹

სვანეთში, ლახამულას სოფლის მოედნის წმინდა ცაცხვის ხეზე, სულ უკანასკნელ ხანამდე ეკიდა სვანების საფიცა-

რი ხატი „გირგედი“ — მზე-ღმერთის სიმბოლო — ლითონის ცხრაფეხა-მზე. (გამოქვეყნებული აქვს ვ. ბარდაველიძეს ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. გვ. 64)

მზისა და თვალის ურთიერთ მიმართების უამრავი მაგალითების მოტანა შეიძლება ვ. ბარდაველიძის ხსენებულ ნაშრომიდან. ჩვენთვის აქ ესეც საკმარისია.

მთავარი ის არის, რომ წარმართულ საქართველოში არსებობდა მზის ძლიერი კულტი, მზის ემბლემა იყო თვალი, ხოლო მზის წმინდა რიცხვი იყო ცხრა.

ქართულ ასომთავრულ ანბანში სწორედ ეს ვითარებაა ასახული. ამავე დროს გვაქვს სრული ასტრონომიული შესაბამისობა მთვარისა და მზისა ქართულ ანბანში: მთვარე პირველ ცახეა, ხოლო მზე — მეოთხეხეა. ორივე შემთხვევაში ქართულ ანბანში ზუსტად არის ასახული ძველი ასტრონომიული შეხედულებანი.

რაც მთავარია, თუ ერთის მხრივ მთვარის სიმბოლო ხარია, მეორეს მხრივ ქართულ ასომთავრულ ანბანში მე-5 ასო-ნიშნად თვალის იდეოგრამა-აკროფონი ზის. ქართული ასომთავრული „თან“ იდეოგრაფიულად თვალის ძველი შემერული იდეოგრაფიული ნიშნის იდენტურია. ქართული ასომთავრული „თან“ ზუსტად ისევე იწერება, როგორც ძველი შემერული თვალი. სხვა არცერთ დამწერლობაში თვალის ასეთი იდეოგრაფიული ნიშანი არა გვაქვს. ამგვარად შემერული თვალისა და ქართული „თან“ ასო-ნიშნის გრაფიკული დამთხვევა ფაქტია. სხვა საკითხია რით უნდა აიხსნებოდეს ეს მართლაც საოცარი დამთხვევა.

ასომთავრული „თან“ მე-9 ასო-ნიშანია ქართულ ანბანში და მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის ცხრა — მზის წმინდა რიცხვი. ცხადია, იმგვარადვე, რა კავშირითაა მთვარის იდეოგრამა-აკროფონსა და ხარის იდეოგრამა-აკროფონს შორის, ანალოგიური კავშირია მზის იდეოგრამა აკროფონსა და „თან“ (თვალის) იდეოგრამა-აკროფონს შორის ქარ-

¹ ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 1971 წ. გვ. 55, 56, 57.

თულ ანბანში. ამ კავშირის მალწყებელია რიცხვი.

გვაქვს თუ არა თვალის იდეოგრამა-აკროფონი ფინიკიურ ანბანში? გვაქვს მე-16 ფინიკიური ასო-ნიშანი თვალის იდეოგრამა-აკროფონია.

ამგვარად ქართულ ასომთავრულ ანბანში ერთ შემთხვევაში მთვარისა და მთვარის სიმბოლო—ზარის იდეოგრამა-აკროფონები გვაქვს, მეორე შემთხვევაში მზისა და მზის სიმბოლო — თვალის იდეოგრამა-აკროფონები გვაქვს. მთვარის წმინდა რიცხვი არის შვიდი, მზისა ცხრა.

ასტრალურ ღმერთთა შორის ძველ სამყაროში მზესა და მთვარეს განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭებოდათ. ეს ვითარება ასახულია ქართლის ცხოვრებაშიც. ქართველი მემკვიდრე XI საუკუნისა ლეონტი პროველი ქართველთა წარმართობის შესახებ წერს:

...პატივსცემდნენ მზესა და მთვარესა და ვარსკულავთა ხუთთა, და ჰმსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა.

მაგრამ ხუთ ვარსკულავთაგან ტრიადის მესამე წევრი იყო ცისკრის ვარსკულავი. რადგან ქართულ ანბანში ტრიადული კონცეპციაა გატარებული, უნდა ვიფიქროთ, რომ მთვარისა და მზის იდეოგრამა-აკროფონებს გარდა, ქართულ ანბანში ცისკრის ვარსკულავის იდეოგრამა-აკროფონიც უნდა გვქონდეს.

საგულისხმოა, რომ ფინიკურ ანბანში კარის იდეოგრამა-აკროფონი გვაქვს. ქართული ანბანის უკანასკნელ შვიდეულს კი „ცან“ გრაფემა იწყებს. ხომ არ ვიფიქროთ, რომ ეს რკალური გრაფემა სწორედ ცისა და ცის კარის აღმნიშვნელია?

უკანასკნელი შვიდეული ქართული ანბანისა, როგორც ქვემოთ გაიჩვენება, მთვარის უკანასკნელი ფაზაა. ამ შვიდეულით სრულდება მთვარის სრული ციკლი. თუ ქართული ანბანის „ან“ ცის ღმერთად არის დასახული, უკანასკნელ შვიდეულში იგი თავის ციურ მოძრაობას ასრულებს. იშთარი (ინანა) ანუ ცისკრის ვარსკულავი კი, როგორც ცნობი-

ლია, იყო ასული ცის ღმერთისა, ასული „სინ“-ისა (მთვარის ღვთაებრება) და დედოფალი ცისა.¹ ამგვარად, ცისკრის ვარსკულავის გამოჩენა უკანასკნელი შვიდეულის პირველ გრაფემად თითქოს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ სრულდება მთვარის სრული ციკლი და ანბანი დასასრულს უახლოვდება.

ამგვარად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ „ცან“ ასო-ნიშანი გრაფიკულად ცის კარის იდეოგრაფიული ნიშანია და ამდენად იგულისხმება, რომ იგი ტრიადის მესამე წევრის ცისკრის ვარსკულავის იდეოგრამა-აკროფონიც უნდა იყოს.

„ლან“ გრაფემა ყველაზე მეტად საკრალური გრაფემაა ქართულ ანბანში. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ეს გრაფემა ერთდროულად ბერძნული ანბანური ჯგუფის უკანასკნელი გრაფემაც არის და საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემაც.

ვარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ამ ასო-ნიშანს „ლ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს, ე. ი. მისი ფონემური მნიშვნელობაც საკრალურია, რადგან აკროფონიულად ღმერთის სახელის აღმნიშვნელია.

იდეოგრაფიულად „ლან“ ასო-ნიშანი თაღოვანი კარია, თაღოვანი ნიშია. როგორც გამოიჩვენება იგი უხილავი ღმერთის ღვთის კარია, და ამდენად უხილავი ღმერთის იდეოგრამა-აკროფონია.

„ლან“ ასო-ნიშნის იდეოგრაფიული რაობის ამოცნობა მთელ რის საკითხებთანაა დაკავშირებული, რის გამოც შევეცდებით ეს იდეოგრამა-აკროფონი გზადგვა და თანმიმდევრულად განვმარტო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში სულ შვიდი იდეოგრამა-აკროფონია. ამ იდეოგრამა-აკროფონების ანბანური თანმიმდევრობა ასეთია:

¹ იხ.: K. Talqvist. დასახ. ნაშრომი, გვ. 332-333.

1. Ⴀ —ან—მთვარის ღმერთი (ცის ღმერთი)
2. Ⴁ —ზე—ღმერთი „ღმე დღესინდელი“
3. Ⴃ —თვალი ზე—ღმერთის ემბლემა
4. Ⴄ —ღვთის კარი (უხილავი ღმერთის სამყოფელი)
5. Ⴅ —ცისკარი (ასული ცის ღმერთისა, დედოფალი ცისა)
6. Ⴆ —ხარი მთვარის ღმერთის ემბლემა
7. Ⴇ —ჯვარი ანბანის დასასრულის ნიშანი

შვიდ იდეოგრაფიკულ ასო-ნიშანს შორის ღვთის კარს უკავია შუა ანუ ცენტრალური ადგილი.

6. ძარბაზული ანბანის ვოკალიზაციის პრინციპი

სემური კონსონანტური ანბანის ვოკალიზაციის საერთო პრინციპის თვალსაზრისით, ქართული ასომთავრული დამწერლობა განეკუთვნება ბერძნულ და საერთოდ დასავლურ ვოკალიზებულ ანბანურ სისტემას.

ცნობილია, რომ თავდაპირველ სემურ ანბანურ დამწერლობაში ყოველ ასონიშანს თანხმოდანი ბგერის მნიშვნელობა ჰქონდა. 22 ასონიშანი სემურ ანბანში 22 კონსონანტური ბგერაა. ცალკე, ხმოვნებისათვის განეკუთვნილი ასო-ნიშნები სემურ ანბანს არ ჰქონდა.

მაგრამ, ძალიან ადრე, უკვე X ს. ძვ. წ. ფინიკელებმა შეიმუშავეს გრძელი ხმოვნების აღნიშვნის საკუთარი წესი. სემური დამწერლობის ვოკალიზაციის ეს პრინციპი ცნობილია სახელწოდებით *matres lectionis*.

ვოკალიზაციის სემური პრინციპი

ერთხელ შემოღებულ სემურ 22 ნიშნიან ანბანურ დამწერლობას, აღმოსავ-

ლურ სემურ ანბანურ სამყაროში საუკუნეთა მანძილზე არც ერთმე ვასონიშანი გამოჰკლებია და არც ერთმე ვასონიშანი დამატებია. ტრადიციული სემური ანბანური მწკრივი მკაცრად იყო დაცული ხელყოფისაგან. ებრაელთა თალმუდში ნათქვამია: „თუნდაც ერთი ასო-ნიშნის გამოკლება ან დამატება ქვეყნის აღსასრულის მომასწავებელია“—ო.

ხმოვნებისათვის განსაკუთრებული ასო-ნიშნები ფინიკელთ არ შემოუღიათ, ოღონდ ზოგიერთ ანბანურ კონსონანტურ ბგერებს გრძელი ხმოვნების მნიშვნელობაც მიანიჭეს. კერძოდ: 1. ალფ და 5. ჰე ასო-ნიშნებს ა (გრძელი ა-ს) მნიშვნელობა; 6. ვავ ასო-ნიშანს ო (გრძელი ო-ს) და უ (გრძელი უ-ს) მნიშვნელობა; 10 იოდ-ასო-ნიშანს ი (გრძელი ი-ს) და ე (გრძელი ე-ს) მნიშვნელობა.

ვოკალიზაციის სემური პრინციპი ე. წ. *matres lectionis* იხმარებოდა როგორც ფინიკურ, აგრეთვე, უფრო ინტენსიურადაც კი, ყველა სემურ დამწერლობაში: პუნურში, ახალ-პუნურში, არამეულში, ებრაულში, პალმირულში, სირიულში და სხვ.

თავისთავად ცხადია, ქართული ასომთავრული დამწერლობის ანბანური სისტემა არ განეკუთვნება აღმოსავლურ ანბანურ სამყაროს, მითუმეტეს დამწერლობის ვოკალიზაციის ძველი სემური პრინციპი ქართულ ანბანში არა გვაქვს.

ვოკალიზაციის სილაბური პრინციპი

სემური კონსონანტური ანბანი აღმოსავლურ, ინდურ სამყაროში საფუძვლად დაედო ჯერ ბრაჰმი, ხოლო უფრო გვიან ქპაროში დამწერლობებს.

სემური კონსონანტური ანბანი ძველმა ინდოელებმა ძირფესვიანად გარდაქმნეს. ფაქტიურად, ძველი სემური ანბანური დამწერლობის საფუძველზე, ინდოეთში შემუშავდა დამწერლობის სრულიად განსხვავებული, სილაბური

სისტემა. ეს გარდაქმნა, ძირითადად, სემური კონსონანტიზმის ვოკალიზაციის საფუძველზე მოხდა.

ბრაჰმი დამწერლობაში ვოკალიზებულია უკლებლივ ყველა თანხმოვანი. ამის გამო ყოველ ასო-ნიშანს მარცვლის მნიშვნელობა აქვს. ვოკალიზაციის ასეთმა პრინციპმა „ბრაჰმი ლიპი“ სილაბურ ანუ მარცვლოვან დამწერლო-

ბად აქცია. ვოკალიზაციის ეს სილაბური პრინციპი ასეთია: ყოველი თანხმოვანი მოკლე „ა“ ბგერით იკონტაქტდება: ბა, გა, მა, რა, და... ა. შ. იმ შემთხვევაში თუ თანხმოვანს სხვა ხმოვანი მოსდევს, მარცვლის აღმნიშვნელ ძირითად გრაფემას დამატებითი ნიშანი ემატება. მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიტანოთ ერთი მაგალითი:

ქ-ლ^ა / ძირითადი გრაფემა /

ქ-ლ^ა, ქ-ლ^ბ; ქ-ლ^გ; ქ-ლ^დ;

ქ-ლ^ო; ქ-ლ^ე; ქ-ლ^უ

ბრაჰმი დამწერლობის სილაბური ვოკალიზმის პრინციპი განხორციელდა აგრეთვე ქპაროში და ეთიოპურ დამწერლობებში, ხოლო მრავალრიცხოვან ინდო, ინდო-ჩინურ და ინდონეზიურ დამწერლობებს, რომელთა წარმოშობა ბრაჰმი დამწერლობასთანაა დაკავშირებული, შენარჩუნებული აქვთ ვოკალიზაციის სილაბური სისტემა.

თავისთავად ცხადია, ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში ვოკალიზაციის სილაბური პრინციპი არა გვაქვს.

ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპი

პირველსავე სიტყვაზე მოვიდეთ: ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში განხორციელებულია სემური კონსონანტური დამწერლობის ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპი.

როგორც ცნობილია, ბერძნულ დამწერლობას სემური კონსონანტური ანბანი დაედო საფუძვლად. ბერძნებმა ზოგიერთი სემური კონსონანტი ხმოვან ასო-ნიშნებად აქციეს, ე. ი. ასო-ნიშნებმა ბერძნულ ანბანში დაჰკარგეს თავისი თავდაპირველი სემური კონსონანტური მნიშვნელობა და ხმოვანი ბგე-

რების მნიშვნელობა შეიძინეს. სემური დამწერლობის ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპიც ეს არის.

ვოკალიზებული ბერძნული ანბანი თავის მხრივ საფუძვლად დაედო ყველა დასავლურ ანბანურ დამწერლობას, ამდენად ყველა დასავლურ ანბანურ დამწერლობათა ვოკალიზაცია თავისთავად და უმტკიცებულოდ მოხდა. დასავლეთის ანბანურმა სამყარომ აითვისა დამწერლობის ბერძნული გრაფიკა და ასო-ნიშნების ბერძნული ფონეტიკური მნიშვნელობა, ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპიც.

იგივეს ვერ ვიტყვით ქართული ასომთავრული დამწერლობის შესახებ.

ქართულ ასომთავრულ დამწერლობას, მსგავსად ბერძნული ისა, საფუძვლად დაედო სემური კონსონანტური ანბანი, ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა, მსგავსად ბერძნული ისა, შექმნილია სემური დამწერლობის გრაფიკის საფუძველზე, ქართული ასომთავრული ანბანი, მსგავსად ბერძნული ისა, შექმნილია ფინიკიური დედა-ანბანის საფუძველზე. ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში განხორციელე-

ბულია დამწერლობის ზოგადი ბერძნული პრინციპები, ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია ვოკალიზაციის ზოგადი ბერძნული პრინციპი.

ვოკალიზაციის ზოგადი პრინციპი ბერძნულ და ქართულ ანბანებში ერთი და იგივეა, ოღონდ ცალკეულ შემთხვევაში სემური კონსონანტების ვოკალიზაცია ბერძნულ და ქართულ ანბანებში იდენტური არ არის. არის შემთხვევები, როცა სემური კონსონანტი ბერძნულში ვოკალიზებულია, ხოლო ქართულში არა და პირიქით.

მეტი სიცხადისათვის საჭიროა განვიხილოთ სემური კონსონანტების ვოკალიზაციის ყველა შემთხვევა ბერძნულ და ქართულ ანბანებში. შედარებისას, ცხადია, უნდა განვიხილოთ ვოკალიზაციის ყველა შემთხვევა კლასიკური ხანის ბერძნულ კაპიტალურ და ქართულ ასომთავრულ დამწერლობებში.

ქვემოთ არაბული რიცხვებით აღნიშნული გვაქვს სემური კონსონანტების ადგილი რიგითი სათვალავით სემურ ანბანურ მწკრივში.

სემური ანბანური ჯგუფი

სემური კონსონანტი	ბერძნული	ქართული ას. მწკ.	მხედრი
1. κ, χ	A	Ⴀ	ა
5. ϕ, π	E	Ⴁ	ე
8. η, ψ	H	Ⴂ	ე
10. τ	I	Ⴃ	ი
15. θ, ρ	Ξ	Ⴄ	ე
16. σ, ς	O	Ⴅ	ო

ბერძნული ანბანური ჯგუფი

6. υ, φ	Υ	Ⴆ	უ
	OY	Ⴇ	უ
16. ω, υ	Ω	Ⴈ	ო

პირველი სემური კონსონანტური ბგერა, ბერძნულ და ქართულ დამწერლობაში ვოკალიზებულია ხმოვან „ა“ ბგერად. ამ შემთხვევაში ვოკალიზაცია ბერძნულ და ქართულ ანბანში იდენტურია;

მე-5 სემური კონსონანტური ბგერა (ჰე) ბერძნულ და ქართულ დამწერლობაში ვოკალიზებულია ხმოვან „ე“ ბგერად. ამ შემთხვევაშიც ვოკალიზაცია ბერძნულ და ქართულ ანბანში იდენტურია;

მე-8 სემური კონსონანტური ბგერა (ჰეთ) ბერძნულ კლასიკურ დამწერლობაში ვოკალიზებულია ხმოვან „ეტა“ (გრძელ ე) ბგერად. კლასიკურ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მე-8 ასო-ნიშანი ვოკალიზებული არ უნდა ყოფილიყო და ამ ასო-ნიშანს „ჰ“ ბგერის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ე. ი. ამ შემთხვევაში ბერძნული ვოკალიზაცია კლასიკურ ქართულში განხორციელებული არ უნდა ყოფილიყო, და მე-8 ასო-ნიშანს ქართულ ასომთავრულში სემური ფონემური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

მე-10 სემური კონსონანტური ბგერა (იოდ) ბერძნულ და ქართულ დამწერლობაში ვოკალიზებულია ხმოვან „ი“ ბგერად, ამ შემთხვევაში ვოკალიზაცია ბერძნულ და ქართულ ანბანში იდენტურია.

მე-15 სემური კონსონანტური ბგერა (სამეჟ) ბერძნულ კლასიკურ ანბანში ვოკალიზებული არ არის, არც ოდესმე ყოფილა ვოკალიზებული. ბერძნულ კლასიკურ ანბანში ამ სემურ ბგერას (სამ „სან“-თაგან ერთერთს) მრჩობლი „ქს“ ბგერის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში კი მე-15 სემური კონსონანტური ბგერა ვოკალიზებულია „ჰ“ ნახევარხმოვან ბგერად.

მე-15 სემური კონსონანტური ბგერის ვოკალიზაცია წმინდა ქართული მოვლენაა და სხვა არცერთ ანბანში ამ პრეცედენტს ანალოგია არ ეძებნება. (ვულფილას გუთურ ანბანში ო ნახევარხმოვანი შემოღებულია ხელოვნურად და არა სემური კონსონანტის ვოკალიზაციის მეშვეობით).

როგორც ცნობილია, უკვე არქაულ ბერძნულში იყო გარჩევა მოკლე და გრძელი ხმოვანებისა. კერძოდ, აღმოსავლურ ბერძნულ ანბანებში მე-5 ასო-ნიშანს (ე-ფსილონ) მოკლე „ე“ ხმოვნისა, ხოლო მე-8 (ეტა) ასო-ნი-

შანს გრძელი „ე“ ხმოვნის მნიშვნელობა ჰქონდა. ისევ აღმოსავლურ ბერძნულ ანბანებში იყო გარჩევა მოკლე და გრძელი ო-სი. (ო-მიკრონ და ო-მეგა).

სიანს, კლასიკური ხანის ქართულ ასომთავრულში გრძელი და მოკლე ხმოვნების ფონეტიკური მოთხოვნა არ ყოფილა, მაგრამ „ე“ ნახევარხმოვნის (ე. ი. მოკლე „ინის“) შემოღება კი აუცილებელი გამხდარა.

მე-16 სემური კონსონანტური ბგერა („ინ) ბერძნულ და ქართულ დამწერლობაში ვოკალიზებულია ხმოვან „ო“ ბგერად. ამ შემთხვევაში ვოკალიზაცია ბერძნულ და ქართულ ანბანში იდენტურია. ამით ამოიწურა „სემური“ ანბანური ჯგუფის ბერძნულ-ქართული ვოკალიზაცია.

ბერძნული ანბანის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში, როგორც ცნობილია, სემურ ასო-ნიშნებს, არა სემური, არამედ საკუთრივ ბერძნული ფონემური მნიშვნელობა აქვთ.

ბერძნული ანბანის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში ვოკალიზებულია ორი სემური გრაფემა: მე-6 სემური კონსონანტური ბგერა (ვაე) და მე-16 სემური კონსონანტური ბგერა („ინ).

ქართული ასომთავრული დამწერლობის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში, ძირითადად, გატარებულია იგივე ფონეტიკური პრინციპი ე. ი. სემურ ასო-ნიშნებს არა სემური, არამედ ბერძნულის შესაბამის ფონემური მნიშვნელობა აქვთ. ამიტომაც, ბერძნული ვოკალის „იუ-ფსილონის“ ფარდია ქართული „ჰე“, ხოლო ბერძნული „ო-მიკრონისა“ და „იუ-ფსილონის“ კომპლექსის ფარდია ქართული „ონისა“ და „ჰეს“ კომპლექსი. ორივე შემთხვევაში ეს კომპლექსი ბერძნულ და ქართულ დამწერლობაში „უ“ ხმოვნის მნიშვნელობისაა.

დიდად მნიშვნელოვანია ბერძნული ანბანური ჯგუფისა და კლასიკური

ბერძნული ანბანის უკანასკნელი „ომე-
გა“ ასო-ნიშნის საკითხი.

მე-16 სემური კონსონანტური ბგერა
(აინ) ორგზისაა ვოკალიზებული ბერ-
ძნულ ანბანში: ერთგზის ო-მიკრონ
(ო-მოკლე) ბგერად „სემურ“ ანბანურ
ჯგუფში და მეორედ ო-მეგა (ო-გრძელ)
ბგერად ბერძნულ ანბანურ ჯგუფში.

ქართულ ასო-ნიშნებს, ქართული
ანბანის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში,
როგორც უკვე ითქვა, ბერძნულ ასო-
ნიშნების შესაბამის ფონემური მნიშვნე-
ლობა აქვთ. „ომეგა“ ასო-ნიშნის ფარ-
დად კი ქართული ანბანის ბერძნულ
ანბანურ ჯგუფში „ლან“ გრაფემა ზის.
როგორც ბერძნული „ომეგა“ იმგვარ-
ადვე ქართული „ლან“ გრაფემა მე-16
სემური გრაფემის ინვერსიული ფორ-
მაა.

ერთი რამ ცხადია: მე-16 სემური
კონსონანტური ბგერა ბერძნულ უკან-
ასკნელ ასო-ნიშანში ვოკალიზებულია
და გრძელი „ო“-ს მნიშვნელობა აქვს
მინიჭებული. ქართული „ლან“ კი ვო-
კალიზებული არ არის, რადგან ქართუ-
ლში, ჩანს, მოკლე და გრძელი „ონის“
გარჩევა არ იყო და ამიტომაც მეორე
„ონის“ შემოღება ქართულ ანბანში
გაუმართლებელი იქნებოდა. ამდენად
„ლან“, ქართული ანბანის ბერძნული
ანბანური ჯგუფის ერთადერთი გრა-
ფემაა, რომელსაც ბერძნული ფონემუ-
რი მნიშვნელობა მინიჭებული არა აქვს.

მაგრამ რატომ მიენიჭა მე-16 სემუ-
რი ასო-ნიშნის ინვერსიულ ფორმას
ქართულ ანბანში „ლან“ ფონემის მნი-
შვნელობა? მითუმეტეს, როგორც უკვე
აღვნიშნეთ, „ლან“ გრაფემა ზუსტად
ბერძნული „ომეგა“ გრაფემის მოხაზუ-
ლობისაა“. აღსანიშნავია, რომ „ომე-
გას“ მე-5, მე-4 საუკუნეთა მიჯნაზე
ძველი წელთაღრიცხვით არა წრიული,
არამედ თაღოვანი მოხაზულობა ჰქონ-
და ე. ი. ზუსტად ისე იწერებოდა, რო-
გორც ქართული „ლან“-ი.

მე-16 ფინიკიური გრაფემა ერთად-

ერთი ფინიკიური ასო-ნიშანია, რომე-
ლიც ბერძნულ ანბანში ერთგზისად არის
ვოკალიზებული. ნიშნეულობა, რომელიც ფი-
ნიკიურ ანბანში მე-16 ასო-ნიშანს ორი
ფონემური მნიშვნელობა ჰქონდა: ხორ-
ხისმიერი მკლერისა და „ლ“-უკანა-
ენისმიერი მკლერი სპირანტისა. იმ
დროს, როცა ქართული ანბანი იქმნე-
ბოდა არცერთ სხვა სემურ ენაში მე-16
ასო-ნიშანს „ლ“ ფონემის მნიშვნელობა
არ ჰქონდა, ვარდა ფინიკიურისა.

უნდა დაეასკვნათ ქართული „ლან“
გრაფემის ფონემური მნიშვნელობის
ერთადერთი წყაროა ფინიკიური ლენა-
ანბანი.

მე-16 ფინიკიური ასო-ნიშანი ქარ-
თულ ანბანში, მსგავსად ბერძნულისა,
ორგზისაა გამოყენებული. ერთგზის
იგი ვოკალიზებულია, მსგავსად ბერძ-
ნულისა, „ო“ ბგერად, (ქართულ ასო-
მთავრულ ანბანში „ო“ მე-16 ასო-ნიშა-
ნია), ხოლო მეორეგზის მე-16 ფინიკი-
ური გრაფემის ინვერსიულ ფორმას „ლ“
ფონემის მნიშვნელობა აქვს და ბერძ-
ნულის საპირისპიროდ ვოკალიზებული
არ აარის.

ასომთავრული ასო „ლან“-ის შესახებ
შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. ქართული ასომთავრული „ლან“-ი
მე-16 ფინიკიური ასო-ნიშნის ინვერსი-
ული ფორმაა და მე-16 ფინიკიური
ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა
აქვს. ამდენად, ერთგზის ასო-„ლან“-ი
ფინიკიური გრაფემაა.

2. ქართული ასომთავრული „ლან“-ი
ქართული ასომთავრული ანბანის ბერძ-
ნული ანბანური ჯგუფის გრაფემაა
ბერძნული ანბანური ჯგუფის „ომეგა“
გრაფემის ადგილზე ზის და ბერძნული
„ომეგა“ გრაფემის მოხაზულობისაა.
ამდენად, მეორე გზის ასო „ლანი“ ბერ-
ძნული გრაფემაა.

3. ქართული ასომთავრული „ლან“-ი

1 Н. Ш. Шифман. Финикийский язык. М., 1963, стр. 23, 24.

ქართულ ანბანში რიგითი სათვალავით 25-ე გრაფემაა. ე. ი. ქართული ასომთავრული ანბანის საკუთრივ ქართული ანბანური წგუფის პირველი გრაფემაა. ამევე დროს ასო „ღან“-ი ქართული იდეოგრაფია-აკროფონია — ღმრთის კარის გამოხატულებაა და უხილავი ღმრთის სამყოფელია. ე. ი. მესამე გზის ასო „ღან“ საკუთრივ ქართული გრაფემაა.

ქართულ ასო „ღან“-ში განხორციელებულია ძველი წარმართული სამების პრინციპი და იგი საიდუმლო, საკრალური მნიშვნელობისაა.

შეიძლება დავასკვნათ: სემური კონსონანტური ანბანის ვოკალიზაციის საფუძველზე ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში შემოღებულ იქნა 7 ხმოვანი ბგერის აღნიშვნა: ა, ი, ე, ო, ჯ, ჳ, უ, (უ) — ხმოვანი აღინიშნებოდა ორი ასო-ნიშნით).

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: კლასიკურ ბერძნულ ანბანში „ე-მეხუ-

7. ძველი ასომთავრული

ქართული ასომთავრული დამწერლობა მსგავსად კლასიკური ბერძნული დამწერლობისა, გრაფიკული სტრუქტურისა და არქიტექტონიკის თვალსაზრისით, მონუმენტური ანუ კაპიტალური დამწერლობაა, როგორც უკვე აღვნიშნე, აღმოსავლურ-დასავლურმა ანბანურმა სამყარომ იცის ორად-ორი მონუმენტური დამწერლობა ანუ მონუმენტური დამწერლობის ორი გრაფიკული ნაირსახეობა: ბერძნული და ქართული

სამხრეთ-სემურ ანბანურ სამყაროში ცნობილია მონუმენტური დამწერლობის კიდევ ერთი ნაირსახეობა: საბუერი მონუმენტური დამწერლობა. დამწერლობის სხვა მონუმენტური ნაირსახეობა დამწერლობის ისტორიამ არ იცის.

კაპიტალური ანუ მონუმენტური დამწერლობის უპირველესი ნიშან-თვისებაა—გეომეტრიული გრაფიკა. ასეთ დამწერლობას «Scriptura monumen-

თეს“ ყოველთვის მოკლე „ე“ ბგერის მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო „ე“-მერვეს“ გრძელი „ე“ ბგერისა. ქართულ ასომთავრულში კი ე-მეხუთეს შეუძლებელია მოკლე „ე“ ბგერის მნიშვნელობა ჰქონოდა; ბერძნულ იოტას კლასიკურ ბერძნულ ანბანში ჰქონდა როგორც მოკლე „ი“-ს მნიშვნელობა, აგრეთვე გრძელი „ინისა“. ქართულ ასომთავრულში კი გრძელი და მოკლე „ინისათვის“ ცალ-ცალკე ასო-ნიშნები არსებობდა. ო-მიკრონს ბერძნულ ანბანში ყოველთვის მოკლე „ონის“ მნიშვნელობა ჰქონდა, ქართულში კი გრძელი და მოკლე ონის გარჩევა არ იყო.

ქართულ ასომთავრულში ვოკალიზაციის ზოგადი პრინციპი ბერძნულია, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ქართულ ასომთავრულ ანბანში გათვალისწინებულია ქართული ენის ბუნება და თავისებურება.

დასავლური ბრაჰმის

talis» ეწოდება. მონუმენტური დამწერლობის ამოსავალი პრინციპია: ყველა ასო-ნიშანი თანაბარი სიმაღლისაა; ასო-ნიშნები ორ პარალელს შორის თავსდება. ასო-ნიშნების გრაფიკა გეომეტრიული სტილისაა.

როცა ბერძნულ და ქართულ მონუმენტურ დამწერლობათა შესახებ ვლაპარაკობ, შეიძლება გვკითხონ, განა, ვთქვათ, კლასიკური ლათინური მონუმენტური დამწერლობა არ არის?

უთუოდ, გრაფიკული სტრუქტურის

¹ წაითხვლია მოხსენებად საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესიაზე 1970 წ. 22/V ობ. სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები გვ. 13-14; არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სრულიად-საქართველო სამეცნიერო სესიაზე, 1971 წ. 13/11 ობ. Тезисы докладов (секция этнографии, фольклора и антропологии) Р. Патаридзе. Графические принципы грузинского монументального письма «Асомтавრული», გვ. 117-118.

თელსაზრისით, კარგად ცნობილია ლათინური მონუმენტური დამწერლობა. მაგრამ დამწერლობის ლათინური მონუმენტური გრაფიკა არ შექმნილა უშუალოდ სემური დედა-ანბანური გრაფიკის საფუძველზე: ლათინური დამწერლობა თავის სათავეს ეტრუსკული დამწერლობიდან იღებს, ხოლო ლათინური დამწერლობის მონუმენტური გრაფიკა უშუალოდ ბერძნული მონუმენტური დამწერლობის ზეგავლენით შემუშავდა, ლათინებს არ შეუქმნიათ ბერძნულისაგან რამდენადმე განსხვავებული დამწერლობის მონუმენტური გრაფიკა.

ამგვარად, დამწერლობის საკუთარი, ორიგინალური მონუმენტური გრაფიკა იქმნება ფინიკიური დედა-ანბანური გრაფიკის საფუძველზე. აღმოსავლურ-დასავლურ ანბანურ სამყაროში ცნობილია მონუმენტური დამწერლობის ორად-ორი გრაფიკული ნაირსახეობა — ბერძნული და ქართული, ორივე დამწერლობა შექმნილია ფინიკიური დედა-ანბანური გრაფიკის საფუძველზე.

იმისათვის, რათა ამოცნობილ იქნეს ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკული არსი, აუცილებელია გავითვალისწინოთ ბერძნული დამწერლობის განვითარების ის ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, რამაც ფინიკიური გრაფიკა ბერძნულ დამწერლობაში სწორხაზოვან, გეომეტრიულ გრაფიკად აქცია.

ფინიკიურ დედა-ანბანურ დამწერლობაში ასო-ნიშნებს, როგორც უკვე ითქვა, იდეოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდათ. ასო-ნიშნების იდეოგრაფიული რაობა რამდენადმე სქემატური ხასიათისა იყო. მიუხედავად ამ იდეოგრაფიული პირობითობისა, ერთხელ შემოღებულ ფინიკიურ დამწერლობას დროთა მანძილზე არ განუცდია განსაკუთრებული გრაფიკული ცვლილებები. გარდა ამისა, ფინიკიურ და საერთოდ ჩრდილო-სემურ ანბანურ სამყაროში (აქ სამხრეთ-სემურ ანბანურ სამყაროს არ ვგულისხმობ) მიღებული იყო წერის ერთადერთი მიმართულებ-

ა — მარჯვნიდან მარცხნივ. ამიტომაც სემურ ასო-ნიშნებს არა „განუცდიათ“ რაიმე ძირეული ტრანსფორმაცია, როგორც ეს შემდეგში ბერძნულ დამწერლობაში მოხდა.

დაახლოებით X-IX სს. ძვ. წ. ბერძნებმა საკუთარი დამწერლობისათვის გადმოიღეს როგორც ფინიკიური ანბანური გრაფიკა, აგრეთვე წერის ერთადერთი „სემური“ მიმართულებაც — მარჯვნიდან მარცხნივ.

←————— 1

მაგრამ სულ მალე, ჯერ კიდევ არქაულ ბერძნულში, წერის „სემური“ მიმართულების გარდა, ხმარებაში შემოვიდა წერის საპირისპირო მიმართულებაც — მარცხნიდან მარჯვნივ.

2 —————→

ამიერიდან ბერძენს თავისი ნებასურვილით შეეძლო ეწერა როგორც მარჯვნიდან მარცხნივ, ასევე მარცხნიდან მარჯვნივ. წერის ამ თითქოსდა უმტკივნეულო პროცესმა საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. მოხდა უდიდესი ძვრა დამწერლობის ისტორიაში: წერის მიმართულების შესაბამისად ასო-ნიშნმა იწყო ბრუნვა მარჯვნიდან მარცხნივ ან პირიქით მარცხნიდან მარჯვნივ.

წერის ასეთმა სპეციფიკამ თანდათანობით განაპირობა წერის ე. წ. ბუსტროფედონური წესი. ბუსტროფედონით წერის დროს პქარებში დაცულია წერის საპირისპირო მიმართულებათა თანამიმდევრობა ე. ი. თუ პირველი პქარი იწერება მარჯვნიდან მარცხნივ, მომდევნო პქარი, პირუკუ მარცხნიდან მარჯვნივ და იწერება:

←————— 1


2 —————→

ან, პირიქით, (vice versa): თუ პირველი პქარი მარცხნიდან მარჯვნივ დაიწერა, მომდევნო პქარი, პირუკუ მარჯვნიდან მარცხნივ იწერება:


1 —————→

←————— 2

გარდა ამისა ბერძნულ დამწერლობაში მიღებული იყო ბუსტროფედონური წერის ე. წ. შეუწყვეტელი ანუ ხელ-აუღებელი წესიც. ასეთ შემთხვევაში, თუ წერა იწყებოდა მარჯვნიდან მარცხნივ, ხელ-აუღებლივ, შეუწყვეტლივ გრძელდებოდა მარცხნიდან მარჯვნივ:



ან, პირიქით, (*vice versa*): თუ წერა იწყებოდა მარცხნიდან მარჯვნივ, შეუწყვეტლივ გრძელდებოდა მარჯვნიდან მარცხნივ:



წერის ასეთმა პრინციპმა განაპირობა ასო-ნიშნების გრაფიკული ვარიანტებიც.

წერის ბუსტროფედონური წესი მიღებული იყო არა მხოლოდ ბერძნულ, არამედ ძველ ლათინურ, აგრეთვე ებრაულ, ვენეტურ, სამხრეთ-სემურ, ხოლო აღმოსავლეთში თვით ბრაჰმი დამწერლობაშიც კი და სხვ. საბერძნეთში ბუსტროფედონური დამწერლობის კლასიკური ხანაა VI ს. ძვ. წელთაღრიცხვისა.

ბუსტროფედონური წერის დროს, წერის მიმართულების შესაბამისად ასო-ნიშნის შეიძლება ჰქონდეს ოთხი სხვადასხვა ფორმა: 1. ძირითადი — სემური ფორმა, 2. სემური ფორმის საპირისპირო ე. წ. ანტიფორმა და 3, 4. მარცხენა და მარჯვენა ინვერსიული ფორმები. როცა წერის მიმართულება „სემური“ მარჯვნიდან მარცხნივ, ასო-ნიშნის ძირითადად „სემური“ ფორმა აქვს; როცა წერის მიმართულება „სემური“ მიმართულების საპირისპიროა — მარცხნიდან მარჯვნივ, ამ შემთხვევაში ასო-ნიშნის „ანტისემური“ ანუ შებრუნებული ფორმა აქვს, როცა წერის მიმართულება პქარბში შეუწყვეტელი და ხელაუღებელია, ამ შემთხვევაში ასო-ნიშნებს მარჯვენა ან მარცხენა ინვერსიული ანუ გადმობრუნებული ფორმები აქვთ.

მაგრამ, ასო-ნიშნებშიც გრაფიკული მოხაზულობის თავისებურებამ ყოველთვის არ იძლევა ოთხივე გრაფიკული ვარიანტს. ამ შემდეგი გრაფიკული შემთხვევები გვაქვს:

1. წერის მიმართულების მიუხედავად ასო-ნიშანი ინარჩუნებს ერთადერთ გრაფიკულ ანუ ძირითად სემურ ფორმას მაგ.: I; H; O; და სხვ. ე. ი. გრაფემას არა აქვს არც ანტი, არც ინვერსიული ფორმები;

2. გრაფემას აქვს მხოლოდ ორი — ძირითადი და ანტიფორმა მაგ. B — ბეტა β — ანტიბეტა; C-sigma და σ antisigma (ამ ასო-ნიშნებს ინვერსიული ფორმები არა აქვთ);

3. გრაფემას აქვს მხოლოდ ძირითადი და ინვერსიული (*inversum*) ფორმა. მაგ. T და τ — *inversum* (ანტიფორმა და მეორე ინვერსიული ფორმა გრაფემას არა აქვს);

4. გრაფემას აქვს ოთხივე გრაფიკული ფორმა, ე. ი. როგორც ძირითადი და ანტი, აგრეთვე ინვერსიული ფორმები, მაგ., η — digamma; ρ — anti-digamma; μ μ — digamma *inversum*.

ბუსტროფედონური წერის სისტემაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დამწერლობის ისტორიაში. წერის ამ სისტემაში სემური გრაფემების გარდაქმნასა და გრაფიკულ დახვეწას დიდად შეუწყო ხელი. ბუსტროფედონურმა წერამ არა მარტო აამოძრავა სემური ასო-ნიშნების გაქვავებული ფორმები, არამედ ბოლო მოუღო სემური გრაფემების იდეოგრაფიულ მნიშვნელობასაც; ხელი შეუწყო დამწერლობის გრაფიკული სტრუქტურის შემუშავებას.

დასავლურ ანბანურ სამყაროში ბუსტროფედონური დამწერლობა არის ერთგვარი გარდამავალი საფეხური დამწერლობის სემური გრაფიკიდან დამწერლობის ბერძნული მონუმენტური გრაფიკისაკენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბუსტროფედონმა სემური გრაფემები ვერტიკალურად ას-

წერიც ამართა. ამიტომაც, ჰორიზონტალური მდებარეობის სემური გრაფემები ვერტიკალურ ასო-ნიშნებად გადაიქცნენ. სემურ ასო-ნიშნებთან მიმართებით ასეთ ასო-ნიშნებს 90°-ის გრაფემები ეწოდებათ. (ამის თვალსაჩინო მაგალითად ჩაითვლება ბერძნული გრაფემები „ალფა“, „დელტა“ და „სიგმა“).

ამგვარად, ბუსტროფედონური დამწერლობამ შეიმუშავა ასო-ნიშნების შემდეგნაირი ფორმები (ძირითადი სემური ფორმის ჩათვლით):

1. გრაფემის ძირითადი, სემური ფორმა;
2. ძირითადი, სემური გრაფემის ანტიფორმა;
3. ძირითადი, სემური გრაფემის ინვერსიული ფორმები;
4. სემური გრაფემის ასწვრივი ფორმა (გრაფემა 90°).

მიიწერა მე-6 საუკუნე ძვ. წელთაღრიცხვისა, ბუსტროფედონური პერიოდი ბერძნული დამწერლობის ისტორიაში დასრულდა. მე-5 საუკუნეში ძვ. წ. გაბატონდა წერის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ და ბუსტროფედონი უკვე ძალიან იშვიათად გვხვდება. მე-5 საუკუნე ბერძნული დამწერლობის ისტორიაში დამწერლობის გრაფიკული სტრუქტურის დახვეწისა და ჩამოყალიბების პერიოდია, ამ დროს შემუშავდა ე. წ. ბერძნული სტოიქედიონი. ამ დრომდე შეუცნობელი ბერძნული გრაფიკის არსი უკვე შეცნობილი და გააზრებულია; თანდათანობით სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება ბერძნული დამწერლობის მონუმენტური სტილი. ამიტომაც, რა თქმა უნდა, ძნელია გავავლოთ ზუსტი ქრონოლოგიური ზღვარი ბერძნულ მონუმენტურ დამწერლობასა ანუ დამწერლობის მონუმენტურ გრაფიკულ სისტემასა და უფრო ადრეულ ბერძნულ დამწერლობას შორის, როცა დამწერლობის მონუმენტური გრაფიკა ვერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ 403 წელი ძველი წელთაღ-

რიცხვისა კლასიკური ბერძნული დამწერლობის საწყისი თარიღი უნდა იქნას მე-5, მე-4 საუკუნეთა შორის. ბერძნული მონუმენტური დამწერლობის დასაბამია, რადგან ამ დროისათვის ბერძნული ასო-ნიშნების გრაფიკა და ასო-ნიშნების ფორმები საბოლოოდ სტაბილიზებული და დაკანონებულია (2,3 ასო-ნიშნის საბოლოოდ ჩამოყალიბებული გრაფიკული ფორმა საკითხის არსს, რა თქმა უნდა, არ ცვლის).

აღსანიშნავია, რომ კლასიკურ ბერძნულ დამწერლობაში, წერის მიმართულების დაკანონების შედეგად, დაკანონდა ასო-ნიშნების გრაფიკული ფორმებიც. ე. ი. კლასიკურ ბერძნულ დამწერლობაში ფაქტიურად აისახა ბერძნული დამწერლობის ბუსტროფედონური გრაფიკული პრინციპები: ასო-ნიშნებს კლასიკურ ბერძნულ დამწერლობაში ერთ შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ ასო-ნიშნების ძირითადი „სემური“ ფორმები, სხვა შემთხვევაში კლასიკურ ბერძნულში დაკანონებულია ასო-ნიშნების როგორც ანტი და ინვერსიული ფორმები, აგრეთვე ასო-ნიშნების ასწვრივი 90°-ის ფორმები.

კლასიკური ბერძნული დამწერლობის 24 ასო-ნიშნიდან 11 გრაფემას შენარჩუნებული აქვს ძირითადი „სემური“ ფორმა; 7 ასო-ნიშნს „სემური“ გრაფემის ანტიფორმა აქვს, სამს — ინვერსიული ფორმა და კიდევ სამს — ასწვრივი — 90°-ის ფორმა. ე. ი. „ანტი“, „ინვერსიული“ და 90°-ის ფორმის გრაფემების საერთო რაოდენობა (13) აღემატება ძირითადი „სემური“ ფორმის გრაფემების საერთო რაოდენობას — 11-ს.

კლასიკური ბერძნული ასო-ნიშნების სხვადასხვა ფორმები, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ასო-ნიშნების კანონზომიერი ფორმებია და ადვილად ასახსნელია, თუ კი ბერძნული დამწერლობის განვითარების, ზემოთ უკვე განმარტებულ სპეციფიკას გავითვალისწინებთ.

რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრის-

სით ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში?

ქართული ასომთავრული დამწერლობის 35 ასო-ნიშნიდან 22 გრაფემას შენარჩუნებული აქვს ძირითადი „სემური“ ფორმა; 6 ასო-ნიშნის ძირითადი გრაფემის ანტიფორმა აქვს, ხუთს—ინვერსიული ფორმა და მხოლოდ ორს—ასწერივი—90°-ის ფორმა. ე. ი. ქართულ ასომთავრულში ბერძნულის საპირისპიროდ ძირითადი „სემური“ ფორმის გრაფემების საერთო რაოდენობა (22) აღემატება „ანტი“ „ინვერსიული“ და 90°-ის ფორმის გრაფემების საერთო რაოდენობას—13-ს.

ამ თვალსაზრისით ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები უფრო ხშირად იმეორებენ სემური დედა-ანბანური ასო-ნიშნების ძირითად ფორმებს, ვიდრე ბერძნული ასო-ნიშნები.

ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების „ანტისემურ“, ინვერსიულ-სემურ“ და იქნებ 90°-ის ფორმებსაც, როგორც ჩანს, ყურადღება მიაქცია ცნობილმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ. ვფიქრობ, ამ ფაქტის გათვალისწინების საფუძველზე, პავლე ინგოროყვა ასკვნის, რომ:

„ქართულ ალფაბეტში თავდაპირველად მიღებული ყოფილა არქაული ბერძნულისათვის დამახასიათებელი „ბუსტროფედონული“ წერა“.¹

ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში, ჩემი თვალსაზრისით, გათვალისწინებულია ბერძნული მონუმენტური დამწერლობის ზოგადი პრინციპები და ამდენად გამოყენებულია ასო-ნიშნის ძირითადი სემური ფორმის შესაძლებელი ბუსტროფედონური ფორმებიც. ასო-ნიშნებს ბერძნულ კლასიკურ დამწერლობაში აქვთ ძირითადი—„სემური“, „ანტისემური“ და „ინვერსიულ-სემური“ ფორმები. ბერძნული მონუმენტური დამწერლობის ეს ზოგადი პრინციპი გამოყენებულია ქართულ

ასომთავრულ დამწერლობაშიც. ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში ასახულია ბერძნული დამწერლობის ცოდნის არქაული ტრადიციები, მაგრამ მეორეს მხრივ, ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების გრაფიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული ასომთავრული შემუშავებულია უშუალოდ სემური ასო-ნიშნების გრაფიკის საფუძველზე და ბუსტროფედონური დამწერლობის კვალი ქართულ ასომთავრულში არ ჩანს. კერძოდ, რადგან წერის მიმართულება ქართულ ასომთავრულში სემურის საპირისპიროა—მარცხნიდან მარჯვნივ, ამიტომ რიგ შემთხვევებში ქართულ ასომთავრულში ასო-ნიშნების ანტისემური გრაფიკული ფორმები უნდა გვქონოდა, გვაქვს კი, ძირითადი სემური ფორმები. ეს ვითარება ცხადყოფს, რომ ქართულს არ განუცდია დამწერლობის ბუსტროფედონური ეტაპი. ბუსტროფედონი ქართულ დამწერლობაში არ ყოფილა.

მონუმენტური დამწერლობა გეომეტრიული სტილის სრულყოფილი გრაფიკული სისტემაა. აღმოსავლურ-დასავლურმა ანბანურმა სამყარომ, როგორც უკვე აღინიშნა, დამწერლობის მონუმენტური გრაფიკული სისტემის ორადორი ნაირსახეობა იცის: ბერძნული და ქართული.

ზოგადი მონუმენტური პრინციპები: ასო-ნიშნების გეომეტრიული მოხაზულობა, ასო-ნიშნების თანაზომიერი სიმაღლე, სწორხაზოვნობა ბერძნული და ქართული დამწერლობისათვის ზოგადი და საერთოა, მაგრამ გრაფიკული თვისობრიობისა თუ გრაფიკული თავისებურების თვალსაზრისით ბერძნულ და ქართულ დამწერლობას შორის დიდი სხვაობაა.

გრაფიკული სხვაობა ამ ორ დამწერლობას შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ სულ ბოლო დრომდე შეუმჩნეველი რჩებოდა დამწერლობათა საერთო გრაფიკულ-გეომეტრიული სტრუქტურ-

3. ინგოროყვა. „შოთა რუსთაველი“ (1166-1250). მნათობი, 1966. № 3, გვ. 111.

რა, ზოგად-საერთო მონუმენტური ხასიათი.

ბერძნული მონუმენტური დამწერლობა სადა და რაციონალურია. მისი გრაფიკა ხაზოვანია, ალბეკდილია სისადავით და საზეიმო სიმკაცრით. ბერძნული გრაფიკის ძირითადი კომპონენტებია: ვერტიკალური, დიაგონალური და ჰორიზონტალური ხაზები.

ქართული მონუმენტური გრაფიკა, მსგავსად ბერძნულისა. იყენებს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზებს, მაგრამ უპირატესობას მრგვლოვან კომპონენტებს ანიჭებს: წრეს, რკალს, რგოლს. ქართულ ასომთავრულს მრგვლოვანსაც უწოდებენ. ეს ტერმინი ძალიან ზუსტად ასახავს ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკულ თავისებურებას. ბერძნული ხაზოვანი დამწერლობის საპირისპიროდ, ქართული ასომთავრული მრგვლოვანია, ალბეკდილია მეტრინიანი ფითითა და სილბოთით და უფრო არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

აღსანიშნავია, რომ ქართული მონუმენტური დამწერლობის არცერთი ასო-ნიშანი არ იმეორებს გრაფიკულად არცერთ ბერძნულ ასო-ნიშანს. გრაფიკული დამთხვევები კი თითქოს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რადგან ორივე დამწერლობის გრაფიკული სტრუქტურა მონუმენტურია და ორივე დამწერლობა შემუშავებულია ფინიკიური დედა-ანბანის გრაფიკის საფუძველზე.

იმისათვის რათა ცხადვყოთ ბერძნულისა და ქართულის გრაფიკული თავისებურებანი, აუცილებელია ორივე დამწერლობის ძირითადი გრაფიკული ნიშნების გამოვლენა და ამ დამწერლობათა გრაფიკის შედარება-შეყვარება.

დამწერლობის ბერძნული გრაფიკა, როგორც აღინიშნა, ძირითადად ხაზოვანია. ამიტომ დამწერლობის ბერძნულ გრაფიკაში მე გამოვყოფ ოთხ ძირითად გრაფიკულ ჯგუფს: 1. ხაზოვან-დიაგონალურ; 2. ხაზოვან-კუთხოვან, 3.

წრიულ და 4. რგოლურ გრაფიკულ ჯგუფებს:

1. ხაზოვან-დიაგონალური გრაფიკა

ბია: Α Δ Ζ Κ Λ Μ Ν Ξ

Υ Χ Ψ

(სულ 11 გრაფემა)

2. ხაზოვან-კუთხოვანი გრაფემებია:

Γ Ε Η Ι Ξ Π

(სულ 7 გრაფემა)

3. წრიული გრაფემებია:

Ο Θ Φ Ω

(სულ 4 გრაფემა)

4. ხაზოვან-რგოლური გრაფემებია:

Ρ Β

(სულ 2 გრაფემა)

როგორც ვხედავთ, ხაზოვან გრაფემათა საერთო რაოდენობა კლასიკურ ბერძნულში 18-ს შეადგენს, ხოლო წრიულ-რგოლურ გრაფემათა რაოდენობა მხოლოდ ექვსია.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ბერძნული და ლათინური კაპიტალური ანუ მონუმენტური დამწერლობების შედარებისას, აღნიშნულია ის გარემოება, რომ ბერძნულ ხაზოვან დამწერლობასთან შედარებით ლათინური დამწერლობა რამდენადმე უფრო მრგვლოვანია, ვიდრე ბერძნული.

ცნობილი საბჭოთა პალეოგრაფი ვ. ა. ისტრინი წერს:

«Графика латинско-римского письма претерпела меньше изменения, меньше удалилась от первоначального капитального письма. Одной из причин этого была большая округлость и плавность латинского капитального письма по сравнению с греческим, более частое использование в латинских буквах (например, в буквах В, D, С, Р, R, S и др.)

округлых элементов. Вероятно здесь сказались влияние римской архитектуры, которая отличалась плавностью и округлостью форм¹.

თუ კი ლათინური მონუმენტური დამწერლობა რამდენადმე უფრო მრგვალოვანია, ვიდრე ბერძნული, ხოლო ეს გარემოება, დამწერლობის განვითარების გათვალისწინებისას, სპეციალურ დაკვირვებასა და შესწავლას თხოვლობს. მითუმეტეს ვასარკვევია ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკული სტრუქტურა და გრაფიკული პრინციპები.

თუ ქართულ გრაფიკას ბერძნულთან მიმართების თვალსაზრისით განვიხილავთ, შედარება-შეჯერების შედეგად ასეთი იქნება:

1. ბერძნულ ხაზოვან-დიაგონალურ გრაფიკულ ჭკუფში, როგორც უკვე აღინიშნა, 11 გრაფიკული ნიშანია; ქართული გრაფიკა კი ასეთ ჭკუფს არ გამოჰყოფს. ქართულ ასომთავრულში გამონაკლისის სახით გვაქვს ერთადერთი ხაზოვან-დიაგონალური გრაფა. ეს ერთადერთი გამონაკლისია ქართული ასომთავრული ანბანის დასასრულის მაუწყებელი გრაფემა—ასო-ნიშანი „ჯ“.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ასო-ნიშანი „ჯ“ X ჯვარის იდეოგრაფიკა-აკროფონია, რადგან ქართული ასომთავრული ანბანის „სემურ-ბერძნული“ ანუ „უცხოურ“ ანბანურ ნაწილს სწორხაზოვანი ჯვარის იდეოგრაფიკა-ამთავრებს (+-crux immissa), ამიტომ ქართული ანბანის დასასრულის ნიშნად აუცილებელი გახდა დასმულიყო ჯვარის დიაგონალური გრაფემა X — crux decussata). ქართული ასომთავრული ანბანის ერთადერთი დიაგონალური გრაფემა და ერთადერთი გრაფიკული გამონაკლისი მხოლოდ ამ ზემოთქმულით უნდა აიხსნებოდეს.

2. ბერძნულ ხაზოვან-კუთხოვან გრაფიკულ ჭკუფში, როგორც უკვე აღინიშნა, 7 გრაფიკული ნიშანია. ქართულ

ასომთავრულში აგრეთვე 7 ხაზოვან-კუთხოვანი გრაფემაა

ა ს რ ე ნ უ ლ ი
ბ ე რ ძ ნ უ ლ ი
7 7 7 7 7 7 7

ი. ე. გ. ვ. ქ. ხ. კ). ფაქტიურად კი ხაზოვან-კუთხოვანი გრაფემების რაოდენობა ქართულ ანბანში ასო-ნიშნების საერთო რაოდენობასთან შეფარდებით ბერძნულზე ნაკლებია, რადგან ასო-ნიშნების საერთო რაოდენობის მხოლოდ 1/5 შეადგენს.

3. ბერძნულ წრიულ გრაფიკულ ჭკუფში, როგორც უკვე აღინიშნა, სულ ოთხი გრაფიკული ერთეულია. ქართულ ასომთავრულში კი წრიულ-რკალური გრაფემების რაოდენობა კვლავ შეიღია. ამ 7 წრიულ-რკალური გრაფემიდან ქართული ანბანის პირველი „რკალური გრაფემა, ასო „ან“-ი მთვარის ღვთაების იდეოგრაფიკა-აკროფონია და ქართულ ანბანში პირველ შეიღეულს, მთვარის პირველ ფაზას იწყებს. ამავე დროს ქართულ ანბანში მთვარე პირველ ცაზეა, რადგან ანბანის პირველი ასო-ნიშანი 7 ცათაგან პირველ ცას განეკუთვნება; მეორე წრიულ — რკალური გრაფემა ასო — „ღონ“-ი მზის ღმერთის იდეოგრაფიკა-აკროფონია და ქართულ ანბანში მე-4 ცაზე ზის; მესამე წრიულ-რკალური გრაფემა ასო „თან“-ი მზის ღვთაების ემბლემის — თვალის იდეოგრაფიკა — აკროფონია, რის გამოც ქართულ ანბანში მე-9 გრაფემად ზის და მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის საკრალური რიცხვი 9; მეოთხე წრიულ-რკალური გრაფემა ასო-ნიშანი „ა“ ქართულ ანბანში მესამე შეიღეულს ანუ მთვარის მესამე ფაზას იწყებს; მეხუთე წრიულ-რკალური გრაფემა ასო-ნიშანი „ცან“ ტრიადის მესამე წევრის — ცისკრის ვარსკვლავის იდეოგრაფიკა-აკროფონია. ამავე დროს ცისკრის ვარსკვლავი ქართულ ანბანში მეოთხე შეიღეულს — მთვარის უკანასკნელ მეოთხე ფაზას იწყებს. რაც შეეხება მეექვსე და მეშვიდე წრიულ-რკალ-

¹ В. А. Истрин. Возникновение и развитие письма, М., 1965 г., стр. 376, 378.

ლურ გრაფემებს „ონ“-სა და „ჰარს“-ს, ამ ასო-ნიშნების საკრალური მნიშვნელობის შესახებ ცალკე მექანება საუბარი.

ჩემთვის ერთი რამ ცხადია: ქართული ანბანის 7-ვე წრიულ-რკალური გრაფემა საკრალური მნიშვნელობისაა და ასტრალურ კულტს უკავშირდება.

4. ბერძნულ ხაზოვან-რგოლურ გრაფიკულ ჯგუფში, როგორც უკვე ითქვა, ორად-ორი გრაფიკული ერთეულია. ქართულ ასომთავრულში კი ხაზოვან-რგოლურ გრაფემათა რაოდენობა 21-ია. (ბ, ზ, მ, კ, ლ, მ, ნ, პ, უ, რ, ს, ტ, ვ, ფ, ღ, ყ, შ, ჩ, ძ, წ, კ) ე. ი. ხაზოვან-რგოლურ გრაფემათა რაოდენობა ქართულ ანბანში სამ შეიდეულს შეადგენს.

ამგვარად, ქართულ ასომთავრულში ოთხი გრაფიკული ჯგუფია:

1. ხაზოვან-დიაგონალური (1 გრაფემა — ასო „ჯ“)
2. ხაზოვან-კუთხოვანი (7 გრაფემა)
3. წრიულ-რკალური (7 გრაფემა)
4. ხაზოვან რგოლური ($7+7+7=21$ გრაფემა)

(ასო „ჰარ“-ს ორი გრაფიკული მოხაზულობა აქვს: ხაზოვან-კუთხოვანი და ხაზოვან-რგოლური).

7 წრიულ-რკალურისა და 21 ხაზოვან-რგოლური გრაფემების საერთო რაოდენობა ქართულ ასომთავრულში 28-ს შეადგენს. ე. ი. ქართულ ანბანში სულ 28 მრგვლოვანი გრაფემაა. მხოლოდ შეიღია ხაზოვან-კუთხოვანი გრაფემა, ხოლო ერთადერთი გრაფემა — ხაზოვან-დიაგონალურია.

შეიძლება დაეასკვნათ: ბერძნული ხაზოვანი მონუმენტური დამწერლობის საწინააღმდეგოდ ქართული ასომთავრული, მრგვლოვანი მონუმენტური დამწერლობაა.

მონუმენტური დამწერლობის უპირველესი ნიშან-თვისებაა ასო-ნიშნების თანაზომიერი სიმაღლე; ყველა გრაფემა ორ პარალელურ ხაზს შორის თავსდება; ასო-ნიშანს აქვს თავისი ზედა და ქვედა ზღვარი. ზედა და ქვედა პარალელური ხაზების გრაფიკულ შთაბეჭდილებას

ბერძნულ მონუმენტურ დამწერლობაში, თვით ბერძნული გრაფემების ზემო და ქვემო ჰორიზონტალური ხაზებიც კმნიან. ეს შთაბეჭდილება ჩვენდა შეუცნობლად აღიქმება. მეტი სიცხადისა და თვალსაჩინოებისათვის მოვიტანოთ ამ გრაფიკული შთაბეჭდილების ნათელმყოფელი ერთი ცხადი მაგალითი:

ΕΡΙΖΝΤΕΣ
ΣΞΕΙΖΔΩ

ბერძნული ასო-ნიშნების ზედა და ქვედა ჰორიზონტალური ხაზების შემწეობით იქმნება პწკარის დასაზღვრული შთაბეჭდილება; ერთი პწკარი გამოყოფილია მომდევნო პწკარისაგან ზემო პწკარის ქვედა ჰორიზონტალური ხაზითა და მომდევნო პწკარის ზედა ჰორიზონტალური ხაზით. რა თქმა უნდა, ბერძნულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ეს ჰორიზონტალური ხაზები გაბმული თანამიმდევრობით არ გვხვდება, მაგრამ ამ გრაფიკულ შთაბეჭდილებას ჩვენდა შეუცნობლად აღვიქვამთ. ბერძნული დამწერლობის ხაზოვანი სტრუქტურა უთუოდ ხელს უწყობს მონუმენტური დამწერლობის ამ გრაფიკული პრინციპის განხორციელებას.

ქართული ასომთავრული მრგვლოვანი მონუმენტური დამწერლობაა. გათვალისწინებულა თუ არა ქართულ ასომთავრულში მონუმენტური დამწერლობის გამყოფი ხაზების ბერძნული გრაფიკული პრინციპი? როგორც ჩანს გათვალისწინებულა, მაგრამ რამდენადმე თავისებურად. რადგან ქართული ასო-ნიშნები მრგვლოვანი ასო-ნიშნებია, ამიტომაც ქართულ ასომთავრულში გვაქვს არა ორი, არამედ პწკარების გამყოფი ერთი ჰორიზონტალური ხაზი. მოვიტანოთ ერთი მაგალითი:

X C K O U S I Z O Z K U Z H I U H I K U H I H I

ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშნებს ზემო პორიზონტალური ხაზები აქვთ. ზემო პორიზონტალური ხაზი ასო-ნიშნის ზემო ზღვარია. ამავე დროს ეს ხაზი ერთდროულად ორი პწკარის გამყოფი პორიზონტალის ფუნქციასაც ასრულებს.

ბერძნულ კლასიკურ ანბანში 24 ასო-ნიშნიდან 7 ასო-ნიშანს ზედა პორიზონტალური ხაზი აქვს, რაც ასო-ნიშნების საერთო რაოდენობის დაახლოებით 30% შეადგენს; ხოლო 6 ასო-ნიშანს ქვედა პორიზონტალური ხაზი აქვს, რაც ასო-ნიშნების საერთო რაოდენობის ზუსტად 25% შეადგენს.

ქართულ ასომთავრულ ანბანში 35 ასო-ნიშნიდან 14 (7+7) ასო-ნიშანს ზედა პორიზონტალური ხაზი აქვს, რაც ასო-ნიშნების საერთო რაოდენობის დაახლოებით 40% შეადგენს, ქვემო პორიზონტალური ხაზების რაოდენობა კი (4) ქართულ ასომთავრულში იმდენად მცირეა, რომ მათ გამყოფი ხაზის ფუნქცია აღარ აკისრიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემო პორიზონტალური ხაზის 14 ასო-ნიშნიდან სამი ხმოვანი ასო-ნიშანია (ა, ი, ე).

ქართული ასომთავრული ანბანის დასასრულის ნიშნად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯვარის იდეოგრამა — აქროფონი ზის (X — crux decussata). მაგრამ აქამდე აუხსენელი იყო ჯვარის ზემო პორიზონტალური ხაზი. ვფიქრობ, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკამ ახლა უკვე გაარკვია ამ პორიზონტალური ხაზის გრაფიკული ფუნქცია და რაობა: ჯვარის ზემო პორიზონტალური ხაზი ასო-ნიშნის ზემო ზღვარია და ერთდროულად ორი პწკარის გამყოფი ხაზია.

სწორხაზოვნობა ბერძნული მონუმენტური დამწერლობის ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა. კლასიკური მხატვრული დამწერლობა ფინიკური დედა-ანბანური ასო-ნიშნების გასწორხაზოვნებისა და გრაფიკული დახვეწის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

იგივე შეიძლება ითქვას ქართული ასომთავრული დამწერლობის შესახებ. ფინიკური გრაფემების გასწორხაზოვნებისა და სრულყოფილ გრაფიკულ ელემენტებად გარდაქმნის საფუძველზე ჩამოყალიბებულა მონუმენტური დამწერლობის ქართული გრაფიკული ნაირსახეობა.

ასო-ნიშნების სიმეტრიულობა და პროპორციულობა ბერძნული კლასიკური დამწერლობის ნიშანთვისებაა. ყოველი ბერძნული ასო-ნიშანი იწერება სხვა ასო-ნიშნებისაგან განცალკევებით და ერთ უჯრედში თავსდება.

ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში განზოციელებულია ასო-ნიშნებს შორის ურთიერთ მიმართების ბერძნულისაგან განსხვავებული გრაფიკული პრინციპები. ქართული ასო-ნიშანი განცალკევებული კი არ არის, არამედ წინ მდგომ და მომდევნო ასო-ნიშნებთან გრაფიკულ კავშირს ამყარებს. ეს აპირობებს გრაფიკულ ჰარმონიას ასო-ნიშნებს შორის, ჰქმნის სიმეტრიას და პროპორციებს. ამით მიღწეულია გრაფიკული მრავალფეროვნება ქართული ასომთავრული დამწერლობისა. აქ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკული ნაირგვარობის აღწერა. ამას გარდა, ფაქტიურად, რამდენი განსხვავებული სიტყვაც არის, ასო-ნიშნების ურთიერთ მიმართების იმდენივე გრაფიკული ნაირსახეობა არსებობს. ამ მხრივ, ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა, შეიძლება ითქვას, სწორუპოვარია. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი.

1. კუთხოვანი გრაფემების გრაფიკა:

გუგუ ყუყუ და სხვ.



2. წრიულ-რკალური გრაფემების გრაფიკა:

ც ჯ ლ ბ ზ ც ბ ზ

(„მან“-ი რგოლური გრაფემა) და სხვ.

3. შერეული (სხვადასხვა) გრაფემების გრაფიკა:

ქ კ ც ჯ ქ კ ი ხ ზ ზ

და სხვ.

ფიქრობ, დაკვირვებული მკითხველი თვით დაინახავს ასო-ნიშნების ურთიერთ მიმართების უნატიფეს გრაფიკულ კავშირებს.

რა აპირობებს ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკას?

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ყოველი ბერძნული ასო-ნიშანი ცალკე გრაფიკული ერთეულია, ცალკე უჭრედში თავსდება, ყოველ ცალკეულ ასო-ნი-

შანშია განზოციელებული სიმეტრიულობა და პროპორციები. გარდა ამისა ბერძნული ასო-ნიშანი მთლიანად იკავებს ერთ უჭრედს. ორი დიაგონალის, ორი ვერტიკალის, ორი ჰორიზონტალის ან წრის შემწეობით.

ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები კი ბერძნულისაგან განსხვავებით ძირითადად ერთ ვერტიკალზეა აგებული. ამის გამო ხშირად ქართული ასო-ნიშანი ერთ უჭრედს არ აკვებს, არამედ, როგორც წესი იკავებს უჭრედის ან ზემო მარცხენა ნაწილს, ან ქვემო მარჯვენა ნაწილს ან ორივე ნაწილს ერთდროულად:



ამიტომაც, სიტყვაში ასო-ნიშნები გრაფიკულ ურთიერთ-კავშირს ამყარებენ და ავსებენ უჭრედის ცარიელ სივრცეს. მაგალითად:

ქ ქ ს ხ

ქართული ასომთავრული დამწერლობის ამ გრაფიკულ წესიდან გვაქვს რამდენიმე ცალკეული გამონაკლისი —

ფ, ყ, ჰ

მაგრამ ამ გამონაკლისებში გრა-

ფიკული წესი მხოლოდ ნაწილობრივ არის დარღვეული.

გრაფიკულად სრულყოფილი გამონაკლისია ასო „რე“. — ეს ასო-ნიშანი განსხვავებულ გრაფიკულ ფუნქციას ასრულებს, თიშავს და აშორიშორებს ასო-ნიშნებს ერთმანეთისაგან (დაწვრილებით იხილე ასო-ნიშანი „რე“).

მაგალითად:

კ კ ლ ზ ზ ზ ლ კ ე ზ

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას,

რომ ასო-ნიშნების ურთიერთ მიმართების გრაფიკულ კავშირში ხორციელდება ქართული ასომთავრული დამწერლობის სიმეტრია-პროპორციების გრაფიკული სტრუქტურა. ასო-ნიშნების მსგავსი დახვეწილი გრაფიკული თანადგომა არცერთმა დამწერლობამ არ იცის.

კლასიკური ხანის ბერძნული დამწერლობის გრაფიკული სტრუქტურა ფინიკიური ასო-ნიშნების გრაფიკული დახვეწის საფუძველზე ჩამოყალიბდა. გრაფიკული ელემენტების სიმეტრიულობა და პროპორციები ბერძნულ ასო-ნიშანში ფინიკიური ასო-ნიშნების გასწორხაზოვნებისა, გრაფიკული ელემენტების გადაადგილებისა, ფინიკიური ასო-ნიშნების გამარტივებისა, და დამატებითი გრაფიკული ელემენტების შემოღების შემწეობით შეიქმნა.

ბერძნული დამწერლობის 11 ასო-ნიშანს შესაბამის ფინიკიურ ასო-ნიშნებთან მიმართების თვალსაზრისით, გასწორხაზოვნებისა და გრაფიკული ელემენტების გადაადგილების გარდა, სხვა გრაფიკული ცვლილება არ განუცდია. სხვა შემთხვევებში ბერძნული გრაფემები ან გამარტივებულია ერთი-ორი გრაფიკული ელემენტით (ერთ შემთხ-

ვევაში სამი გრაფიკული ელემენტით — ასო-ნიშანი I — ეფტა), ან გართულებულია დამატებითი გრაფიკული ელემენტების შემოღების შემწეობით. დამატებით გრაფიკულ ელემენტებად ბერძნულ მონუმენტურ დამწერლობაში გამოყენებულია ვერტიკალი, ჰორიზონტალი, დიაგონალი და რგოლი.

ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში იგივე ვითარება გვაქვს: 12 ასო-ნიშანს ქართულ ასომთავრულში გასწორხაზოვნებისა და გრაფიკული ელემენტების გადაადგილების გარდა, სხვა ცვლილება არ განუცდია. დანარჩენ შემთხვევებში ქართული გრაფემები ან გამარტივებულია ერთი-ორი გრაფიკული ელემენტით (ერთ შემთხვევაში სამი გრაფიკული ელემენტით — ასო-ნიშანი

ჟ — ქარ/, ან გართულებულია დამატე-

ბითი გრაფიკული ელემენტების შემოღების შემწეობით: დამატებით გრაფიკულ ელემენტებად ქართულ მონუმენტურ დამწერლობაში გამოყენებულია ვერტიკალი, ჰორიზონტალი და რგოლი.

ქვემოთ ყოველი ცალკეული ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი განმარტებული მაქვს ცალ-ცალკე.

ქალთისა და ჩელთის შესახებ

დღეი ხანია, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარეობს მეცნიერული კვლევა-ძიება იმის შესახებ თუ სად იყო ქალეთი და ჩელეთი და ეს ტოპონიმები ერთი და იგივეა, თუ სხვადასხვა. ქალეთისა და ჩელეთის საკითხს ეხებან ისტორიკოსები, არქეოლოგები და არქიტექტორებიც. მაგრამ დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ დღემდე ეს საკითხები არ არის საბოლოოდ დადგენილი. ეს გამოწვეულია იმ ვარემოებით, რომ არ არსებობს ისტორიული საბუთები, წყაროები და არც საკმაო არქეოლოგიური თუ სხვა მასალები. ამიტომ, ამ საკითხებზე დღემდე გამოთქმულ მოსაზრებებს, მხოლოდ ჰიპოთეზის უფლება გააჩნიათ.

ჩვენც გვინდა ამ საკითხებს შევებოთ და საკუთარი მოსაზრებანი შევთავაზოთ დაინტერესებულ მკვლევარებს და მკითხველებს.

დღემდე ქალეთისა და ჩელეთის resp ჩელეთის შესახებ ახალი რამ საბუთი ან წყარო არაეის აღმოუჩენია და, ცხადია, არც ჩვენ გვაქვს რაიმე სიახლის პრეტენზია ამ მხრივ. მაგრამ, დღემდე ცნობილი რაც არის, წყაროთუ საბუთი, ყველა მკვლევარს სხვადასხვანაირად ესმის და თავისებურ განმარტებას იძლევა.

ჩვენც შევეცდებით ახლებურად განემარტოთ საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული წყაროების ცნობები.

უპირველეს ყოვლისა, რას ნიშნავს ჩელთი resp. ჩელეთი? საბას განმარტებით ჩელეთი არის ბრტყელი მახვილი, ბრტყელი ხმალიაო, ბრტყელი მახვილია ხმალსავით. ჩელტი კი ლასტიაო. ჩელთი და ჩელტი სულ სხვადასხვა შინაარსის სიტყვებია, მაგრამ ზოგიერთ საბუთში დასახელებულია „ჩელტი“ და ჩვენც ამიტომ მოგვაქვს, რომ გავარკვეოთ რაზეა ლაპარაკი? მაგალითად, 1579 წ. საბუთში, ალექსანდრე

გეორის მიერ სვეტიცხოველისადმი გაცემული მამულების მფლობელობის განახლების წიგნში, წერია: „ჩელტს გამოღმა, გრემისა კერძად, დალა თეთრს კლდემდი, სოფელი ფაშაინი.“¹ აქ, ცხადია, იგულისხმება მდინარე ჩელთი ეხლანდელ შილდასთან და გრემთან ახლოს. მაგრამ ეს ჩელეთი-ჩელთი-ჩელტი ის არ არის, სადაც „კახოს ალაშენა ჩელეთი“. და მით უფრო ეს არ არის ქალეთი. ზოგიერთი მეცნიერი თუ მკვლევარი ფიქრობდა და და ფიქრობს დღესაც ქალეთი და ჩელეთი ერთი და იგივეაო. ასე ფიქრობდნენ ვახუშტი ბაგრატიონი, აკად. ნ. ბერძენიშვილი და სხვანი. არც ის მოსაზრებაა მართებული, რომ ჩელეთი არ იყო ივრის ზეობაში და ის იყო მხოლოდ შილდასთან ახლოს.

ამ მოსაზრებას ავითარებს ვლ. აბრამიშვილი, რომელმაც „მაცნეში“ (№ 2, 1967 წ.) გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ქალეთის, ჩელეთისა და ბოდბის ადგილმდებარეობის შესახებ“.

„როგორც ვახუშტის, ისე აკად. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდს, — წერს ვლ. აბრამიშვილი, — თითქოს ჩელეთი იგივე ქალეთია, ვერ დავეთანხმებით. ჩვენი აზრით, ჩელეთი და ქალეთი კახეთის სხვადასხვა დასახლებული პუნქტების სახელებს წარმოადგენენ. ქალეთი, მისი ციხე, მისი ზატი და ქალეთის სიონი მდებარეობდა, ერწოსა და თიანეთის გვერდით, ხოლო ჩელეთი ყვარეთის რაიონშია საქმბარი.“

სოფელ შილდას დასავლეთით, მდინარე ჩამოედის, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ჩელთის უწოდებენ, ხოლო მის ზეობას — ჩელეთის ზეობას.

ჩვენი აზრით, ამ ადგილზე ალაშენა კახოსმა ჩელეთი და შესაძლებელია მდინარესაც აქედან შემორჩა სახელწოდება, მართალია, დაბე-

ჯიბით ამის თქმა წინასწარ ძნელია, რადგან ხსენებული მხარე შეუსწავლელია, მაგრამ, ჭუნაშვილის ეული ვადმოცემა, რომ ვახტანგ გორგასალმა ერთი ეკლესია აღაშენა ჩელთს, სოფელსა შუა, პირდაპირ მიგვაჩინუნებს, რომ ჩელთი (ჩელთი) ჩვენს მიერ მითითებულ ადგილზეა საკულისხმებელი და არა იერის ხეობაში.²

ჩვენ წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინამდვილეში არსებობდა ორი ჩელთი. ერთი იერის ხეობაში, სადაც ამჟამად ნაქალაქარს უწოდებენ, რომელიც იყო „შენგნული კახეთისა“ და რომელსაც „პირველ (ადრე) ბერ ერქვა“. ხოლო მეორე, მდ. ჩელთი resp ჩელტი ან ჩელთი (და შესაძლებელია დასახლებული პუნქტიც) ეხლანდელ შილდასთან ახლოს.

სინამდვილეში წერილობით წყაროებში აღნიშნული ჩელთი (ბერთა), რომელსაც ადრე ბერ ერქვა და ვახტანგ გორგასალმა იქ სიკეისკოპოსო დააწესა და ეკლესიაც აღაშენა, არსებობდა იერის პირზე, სიონის სამხრეთით იმ ტერიტორიაზე, სადაც დღეს სოფ. ნაქალაქარია.

დ. მუსხელიშვილი წერს, რომ „შინც სიფრთხილისა გამო მიგვაჩინია, რომ ჭერჭერობით ქალეთის გაიგივება ჩელთითან და ბერთან შინც ნაადრევია და ამიტომ ეს საკითხი ლიად უნდა დარჩეს.“³

დ. მუსხელიშვილი იქვე სქოლიოში მიუთითებს, რომ ქალეთი და ჩელეთი ორი სხვადასხვა პუნქტი უნდა იყოს.

ლ. ჭილაშვილის მოსაზრებით ბერი და ჩელთი, ცხადია, იერის ხეობაში უნდა ვიგვეთქმინათ. აი რას წერს ის თავის წიგნში: „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში“. „უქარამას მეგვიდრტობით მიღებული აქვს იერის ხეობის მდიდარი რაიონის მეურვეობა. ამიერიდან მისი გაძლიერებით ხეობის ძველი ცენტრების ბერ-ჩელეთის მნიშვნელობა ეცემა.“⁴ ლევან ჭილაშვილს მოაქვს რა ლეონტი მროველის ცნობა იმის თაობაზე, რომ „კახოსმა აღაშენა ჩელეთი“, სრულაღუ სამართლიანად აკეთებს ასეთ დასკვნას: „რუსთავი იერის ხეობისა და უქარამის მიმართ, ისევე როგორც უფრო ადრე ბერისა და ჩელეთის მიმართ, დამკველი ციხის როლსაც ასრულებდა. მის იერის ხეობისათვის ველის ციხის მნიშვნელობა ჰქონდა“⁵.

აქედ. იე. კახიანიშვილი ფიქრობდა, რომ ჩელეთის ადგილსამყოფელი დადგენილი არ არის და გამოთქვამდა მოსაზრებას: „იქნებ ჩელეთი იყო ჩელეთის წყალზე“, რომელიც ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ერთვის აღაზანს ენისელის მახლობლად“⁶) დიდი მეცნიერი იქვე მიუთითებს, რომ არც ვახუშტი ბაგრა-

ტიონმა იცოდა დანამდვილებით სად იყო ჩელეთი და მას ეგონა ჩელეთი და ვახუშტი ერთი და იგივეაო.

აქედ. ნ. ბერძენიშვილსაც სვეროდა, რომ ჩელეთი იერის ხეობაში იყო და ამიტომ ამბობდა ასე: „...მეცნიერ ისტორიკოსის დასაყრდენი უყლა ეს ფაქტები იმდენად საფუძვლიანი ჩანან რომ ჩვენც მასთან (ვახუშტი ბაგრატიონთან — ჯ.ლ.) ერთად „ეგონებთ“, რომ ქალეთი იგივე ჩელეთი (ჩელთა) იყო...“⁷

ამავე აზრს იცავს არქეოლოგი რამინ რამიშვილი, რომელმაც შეისწავლა იერის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები და უმთავრესად „სიონი“. რ. რამიშვილი აცენებს დებულებას, რომ „ანტიკური ხანის ბერ-ჩელეთი ანუ ბერ-მინდელი ქალეთი, უყლა ნიშნის მიხედვით, ციხე-ქალაქი უნდა ყოფილიყო და (კახეთის) დედაციხის ანუ ბოქორმის შემდეგ ერთი უყლაზე უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი სამოსახლო მთელს იერის ხეობაში.“

ბერ-ჩელეთს ანუ ქალეთს პოლიტიკური მესვეურის როლი, როგორც ითქვა კიდევაც, უნდა შეენარჩუნებინა ახ.წ.ა. III-IV სს. მიწინამდე, ვიდრე ასფაგურ ფარნაეზიანმა არ აღაშენა ქ. უქარამა, ხოლო მირიან მეფემ კი IV ს. დამდეგს არ აქცია საუფლისწულო კახეთ-უხეთის პოლიტიკურ ცენტრად.⁸) როგორც უნდადეთ, რ. რამიშვილი ანტიკურ ბერ-ჩელეთს ეწოდებს „მერმინდელ ქალეთს“. ეს არ არის სწორი. ვერ ერთი, „ქალეთის“ შინაარსი სულ სხვაა და ჩელთისა სხვა. ჩვენ, ჩელთის განმარტება ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და ახლა სიქიროდ მიგვაჩინია განმარტობა რას ნიშნავს სიტყვა „ქალი-ქალეთი“?

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ასეა განმარტებული ეს სიტყვა — „ქალი შავ-მოწითალი“. როდესაც ამბობენ ქალური ფერი-საათ, ე. ი. შავ-მოწითალის გულისხმობენ. აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ სიტყვა ე დ ე მ ი resp. ე დ ე ო შ ი საბას განმარტებით აგრეთვე ნიშნავს წითელ ქვეყანას (მ ი წ ა ს, მ ა მ ე ლ ს.) ჩვენ ზომ ვიციით, რომ ქალეთის დაბა ედემი (ედომი) ეწოდებოდა IV საუკუნეში. მართლაც, დღესაც, შეუძლია კაცს ქალეთის მიდამოებს დააკვირდეს, განსაკუთრებით იმ დროს, როცა მიწა („ქვეყანა“) გადახსნილია და დარწმუნდება იმაში, რომ ქალეთი შავ-მოწითალი ადგილია, სადაც არსებობდა ისტორიული დაბა ედემი იგივე ქალეთი.

ჩვენ, საბას მიერ მოცემული განმარტებიდან კი ვიციით, რომ ჩელთი ბრტყელ მახვილს ბრტყელ ხმალს ნიშნავს. ვინც დღევანდელი სოფ. ნაქალაქარის მდებარეობას კარგად დააკვირდება, დარწმუნდება, რომ იყვლივის მთიდან დამდგბული შემოსილებული ადგილი, რომ-

მელიც მდებარეობს ორ ხევს შუა (ე. ი. მდ. იერისა და მდ. აქეძის შუა), მართლაც საოცრად წაგავს ბრტყელ მახვილს. აქვე ამის თუ დაუშვებთ ჩელეთის ძველ („პირველ“) სახელწოდების — „ბერა“-ის განმარტებას, კიდევ უფრო ნათელი გახდება, რომ ეს სახელები პირდაპირ მოგვანიშნებენ სწორედ ამ ადგილზე, სადაც ამჟამად სოფელი ნაქალაქარია. მით ეს სიტყვა „ნაქალაქარი“ ამაზე უნდა მიუთითებდეს. თუ არა ჩელოი, მაშ რომელი ქალაქი უნდა არსებულებო ამ „ნაქალაქარ“ ადგილას? მაინც რას ნიშნავს „ბერა“-ი? სულხან-საბან ლექსიკონში მოცემულია სიტყვა: „ბერა“, რაც ნიშნავს შუა გასახლებულ ბერა ეწოდებინ, ორთა მხარესა შეპყრევენ და საშუალო კართა ვასავალთა უხმენ შეწყველთ ცხოველთის, ვინა მსგავსად მისის რასამესლის ვასატარებლად.“ ეს სიტყვა დღესაც ასე ესმით. როცა იტყვიან ბერაში გაატარესო ეს იმას ნიშნავს, რომ გაწურეს კაცი, ე. ი. ორივე მხრიდან შეაიწროეს და სადაც მისცეს ვასავალელი თუ თავდასაღწევი იქ გაატარეს, დასაყეს ან დაამცირეს. ამ ადგილს ხომ ორხევისაე უწოდებდნენ, სადაც სოფ. ორხევი, ხოლო მის ჩრდილოეთით კი იყო სოფ. სიონი. სიონის ჩრდილოეთით კი იერის ორივე მხარეს ედეთი. ედეთის შინაარსი არ უდრის ჩელეთის შინაარსს, მაგრამ „ბერა“-ას შინაარსი კი ემთხვევა ჩელეთის შინაარსს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია, რომ „ბერა თითო“ ცერს ნიშნავს. ბერათითს ძველად ე. წ. შუათითს, ყველაზე გრძელ თითს უწოდებდნენ. ხოლო ბერაში გაატარებას „მრავალთაგან ზე ამართული და გადაჯარღინებულნი იარაღი (ხმალი, შუბი...) რომლის ქვეშაც გაატარებდნენ ხოლმე დამარცხებულ, ტყვედ ჩაგდებულ ბერებს“⁹ სიტყვა იარაღს, ხმალს ჩვენ განგებ ვაუხსივთ ხაზი, რადგან ჩელეთი ხომ ბრტყელ ხმალს, მახვილს, იარაღს ნიშნავს. აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტის გამო. ელ. აბრამიშვილი თავის სტატიაში წერს, რომ „შილდას ჩრდილოეთის მხარეს, სოფლიდან ორი კილომეტრის მანძილზე არის მეტად საინტერესო, ნახევრად გამეჩხვრებული ადგილი, გრძელი ცერის, ქორის ბუდის, ბაწყინტელას, სეფორას ხევის და ჩელეთის სახელწოდებით“.¹⁰ მაშასადამე გრძელი ცერის ანუ ბერათითის სახელწოდება ჰქონია ადგილს ჩელეთთან. ეს ძალზე საინტერესოა.

როგორც ვხედავთ სიტყვა ბერა resp. ბერ უნდა ნიშნავდეს შუას. ბერა თითი ხუთ თითში ხომ ყველაზე გრძელი თითია და თანაც შუა თითია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქალაქი „ბერა“ იყო ორ ხევს შუა მდებარე

ქალაქი და რადგან მისი ტერიტორიაზე ძალზე წაგავს ბრტყელ მახვილს, ხმალს, ამის გამო უწოდეს ჩელეთი. (ვეულისხმებით ამგვანსწილსოფ. ნაქალაქარს). აქვე შეიძლება ითქვას, სადაც ვე მეტად საინტერესო, მეთრე ფაქტზე. „შილდას მსოფრებთა შორის დღემდე შემორჩენილი გვაქვს ცნობები იმისა, რომ ჩელეთის მიდამოში შუა ფეოდალურ ხანაში არსებულ სოფელს ვეძისხევი რქმევია“.¹¹ ვლ. აბრამიშვილმა კარგად იცის, რომ სოფ. ნაქალაქართან ერთი კილომეტრის დაშორებით დღესაც არის სოფ. ვეძისხევი და რატომ ამის შესახებ არ მითითა?

უნდა ითქვას, რომ ჩელეთის ან ჩელეთის როგორც დასახლებული პუნქტის შესახებ წერს ენობით წყაროებში იასად არ არის მითითებული, რომ ის იყო პერეთში. შილდასთან ახლოს. ეს რომ ასე ყოფილიყო ვახუშტი მართო ჩელეთის წყალს არ აღნიშნავდა. მაგრამ, დაუშვათ, რომ იყო დასახლებული პუნქტი ჩელეთი, ისევე, როგორც სხვა მრავალი, ამით ის ვერ დამტყინდება, რომ ვახტანგ გორგასალმა შილდასთან ახლოს ჩელეთში აღაშენა საეპისკოპოსო მონასტერი.

ვლ. აბრამიშვილი სქოლიოში მითითებს, რომ შილდასთან ახლოს არსებობს ხახმატის ქვარი, რა შეიძლება ამის შესახებ ითქვას?

ჩვენ საესგებით ვეთანხმებით დ. მუსხელიშვილის დებულებას და ეს ისტორიული ფაქტია, რომ ისტორიული კახეთის ტოპონიმები უფრო ადრეულია ე. ი. პირველადია, ვიდრე პერეთის თუ ალბანეთის ტერიტორიაზე ჩნდება ეს სახელწოდებანი. დ. მუსხელიშვილი თავის წიგნში — „უჯარმა“ — ჩამოთვლის ამ ტოპონიმებს. კერძოდ: ბუშატს, ბოდავს, არტანს, ყვარას, ახატანს, გომეწარს, ხორხს, ჭართალს, აგრეთვე „ფშაველს“ და „ფხოველს“. ჩვენ ეს არასრულ სიად მიგვიჩნია და დაუშვებლად შემდეგ ტოპონიმებს: ჩელთს, შალარისკარს, (შალარო — სილდათან) ვეძისხევის, ედეთს — (ედეთი — ახმეტაში) და თიანეთს (სათიანოს — ახმეტაში). ცხადია, ხახმატის პირველად არსებობდა და დღესაც არსებობს ზეესურეთში. ძველ ფხოველში ანუ ისტორიულ კახეთში. თვით „კახეთიც“ ხომ შემდგომ გავრცელდა პერეთზე რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩელთი პირველად არსებობდა ივრის ხეობაში, ხოლო შემდეგ ეს ტოპონიმი გაჩნდა პერეთში, ისევე როგორც სხვა ტოპონიმები.

ახლა შევხვთ ჩელეთის საეპისკოპოსოს. არსებობს ქართლის ცხოვრების ჟღერისეული ცნობა, რომ შეფე ვახტანგ გორგასალმა დააწესა საეპისკოპოსო „ერთი

ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა ალაშენა¹² ამ ცნობას ავონერტებს ვახუშტი ბაგრატიონი: „იორის პირზედ არს, აღმოსავლით კერძოდ, ეალეთი, შენობა დიდი და შემუსკროლი. ვგონებთ ამას ჩელეთად, რომელი ალაშენა ეახოს, ქალაქი, რომელსაც პირველ ბერ ერქვა. შემდგომად გორგასალ ალაშენა ეკლესია კეთილ-შენიერი, გუმბათიანი და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი ერწოთიანეთისა, ფშა-ხევსურისა და ხერკისა“¹³. ამის მტერ რომ არაფერი ეთქვა ვახუშტი ბაგრატიონს, მიიწე ვასაგები იქნებოდა, რომ ჩელეთის ეპისკოპოზი მფდარა იერის ხეობაში და არა შილდასთან. მაგრამ, ვახუშტი ბაგრატიონი იქვე კიდევ უფრო დეტალურად მიუთითებს იმაზე, რომ ჩელეთის საეპისკოპოსოს ცენტრი შემდეგ ხარკაშიში გადაუტანიათ. აი რას წერს ვახუშტი: „ეთთისი არაგვის მკვრეტად (მეთაფურედ, რასაც ნინუას ეპისკოპოზი — ჟ. ლ.) არს ხარკაშოს ეკლესია გუნდათიანი, კეთილშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ერწოთიანეთისა, ფშა-ხევსურისა და თუშეთისა, რამეთუ შემუსრვასა ჩელეთისასა მოსცეალეს აქა (ანუ ეს არს ჩელეთი)“¹⁴.

ვახუშტი ბაგრატიონის ამ ცნობის შემდეგ შეუძლებელია ვინმემ დაამტკიცოს, რომ ჩელეთის საეპისკოპოსოს იერის ხეობაში არ ყოფილიყო ს. შილდასთან ახლოს არსებობდა ნეკრესის საეპისკოპოსო და რათა იქნებოდა საჭირო ერთ მიკრო-რაიონში ორი საეპისკოპოსოს დაარსება! ნეკრესის ბაზილიკა IV საუკუნის ძეგლია. ქალაქი ნეკრესი ანტიკური ხანისა და ის ალაშენა მეფემ ფარნაქომ ე. ი. ძვ. წ. ა. II საუკუნეში. ნეკრესი მეორე საუკუნეში (ჩვენს ურამდე) ქალაქი ყოფილა. ასევე ახ. წ. ა. IV საუკუნეშიც ნეკრესი ქალაქია, რომელსაც მეფე მირიანოზი ამაგრებს და აძლიერებს. IV საუკუნის ბოლოს თრდატი ამუშავებს ნეკრესის ეკლესიას.¹⁵ ჩელეთი კი ალაშენა ეახოსმა, რომელსაც შეეწია კუხოსი და რისთვისაც მიწა ეახოსმა კუხოსს დედა-ციხე (ბოჭორმის ციხე, ვახუშტის ცნობით).

გულდასაწყვეტია ის, რომ რ. რამიშვილმა, რომელმაც დეტალურად შეისწავლა იერის ხეობის სიონის მხარე — მისი ძეგლები, ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქალეთი სხვა არის და ჩელეთი resp. ჩელეთი სხვა. აი რას წერს ის თავის შრომაში: „ჩვენთვის ამჟამად მწელია დაბეჭდვით თქმა ადრეფეოდალური ხანის პირველ ნახევარში „ქელეთის ქვეყანაში“ მდებარე ეს პოლიტიკური ცენტრი იწოდებოდა თუ არა ეს ქალაქი, მაგრამ ამ მხარეში მოქმედი სავაჭრო-საბრანოზიტო გზის მიხედვით (იერის ხეობის საერთო ეკონომიკური აღმავლობის ფონზე) ის კი საფიქრებელი,

რომ გვიანსისანურ ხანაში ქალეთის მხარე ვარკვეულ აღმავლობას განიცდიდა. თითქოს ამჟამად, რომ იმ დროს ქალეთის ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი მდებარეობდა თანამედროვე სიონის ადგილას, რაც არქეოლოგიურმა კვლევადიებამ, ეთიკობით, სავსებით დამაჯერებლად გაარკვია. თავის მხრივ ადრეფეოდალური ხანის ეს სამოსახლო აღმოცენებული უნდა ყოფილიყო იმ ძველი, თითქოს ქალაქის ნაშთებარე, რომელსაც ისტორიული წყაროების მიხედვით ბერ-ჩელეთი ანუ ქალეთი ეწოდებოდა“¹⁶. 16 რ. რამიშვილი იქვე გამოთქვამს სინაუნეს, რომ დაბა „სიონმშენი“ 1962 წლისათვის უკვე დაგვიანებული იყო არქეოლოგიური ძიების ჩატარება. ალბათ, მას მხედველობაში აქვს სიონის წყალსაცავის მიერ დაფარული ტერიტორია. მაგრამ, ჩვენ შეგვიძლია გავამხვიოთ არქეოლოგი და მოვეწოდეთ მას, თუ მართლა საჭიროა ანტიკური ხანის ძეგლების მოპოვება და მათი შესწავლა, იქ ეს შესაძლებელია დღესაც. ჩვენი აზრით, შესწავლის ღირსია სოფ. ნაქალაქარის, ბეწენ-წურებისა და მაგრანეთის resp. ვაგრანეთის ტერიტორია, სადაც არსებობდა ანტიკური ქალაქი ბერ-ჩელეთი.

ცნობილია, რომ IV საუკუნეში, როცა ხდებოდა იერის ხეობის მცხოვრებთა ვაქისტიანება („მოქცევა“), ქალეთი არ წარმოადგენდა ქალაქს, არამედ ის იყო დაბა. მასვე ეწოდებოდა დაბა ელემი. ჩვენ დავინახეთ, რომ „ქალეთისა“ და „ელემის“ (ელემის) შინაარსი ერთი და ყოფილა. IV საუკუნეში ჩელეთი რომ ქალაქი ყოფილიყო, წმ. ნინო, ცხადია, გვარდს ვერ აღქვევდა. მაგრამ, აქ შეიძლება შემოგვედგინოთ და გვითხრან — ვახტანგ გორგასალი ხომ წმ. ნინოზე და მეფე მირიანზე გვიან მოღვაწეობდა და როგორ მოხდა, რომ მან „ჩელეთს ალაშენა ეკლესია“ და იქვე დასვა ეპისკოპოსი? დიხ, სწორედ აქ არის საინტერესო ის ცნობა, რომელსაც გვაძლევს ურამშვიტი, ხოლო შემდეგ ვახუშტიც იმეორებს. ვახტანგმა ეკლესია „სოფელსა შუა ალაშენა“. რას ნიშნავს „სოფელსა შუა“ და თანაც ეს ხდება ჩელეთთან ახლოს და ამიტომაც ამ საეპისკოპოსოს პირველად ეწოდა ჩელეთის, ხოლო შემდეგ ხარკაშოს სახელი. ხალხში შემორჩენილი ტრადიციით იერის ხეობაში არსებული სიონის ეკლესია ალაშენა ვახტანგ გორგასალმა. მას რომ ქალეთში ეშენებია ეს ეკლესია, მაშინ ურამშვიტი მიუთითებდა კიდევაც ქალეთს და მას არც ეწებოდა სხვა უფლება არ აღენიშნა ისტორიული ფაქტი. მაგრამ, ურამშვიტი არც ქალეთს მიუთითებს და არც ჩელეთს, ის გვეუბნება, რომ მეფემ ეკლესია ააფო ჩელეთს (ჩელეთს), სახელიც ასე უწოდებიათ (ასე განმარტავს ვახუშტი). თემცა ეს ეკლესია „სოფ-

ლის შუა" აღუენებია. „სოფლის შუა“ ჩვენ უნდა ვავივით, როგორც ამ მხარის, სოფლის, შუა ადგილი. ე. ი. არც ძველ (ამ დროისთვის დანგრეულ) ნაქალაქარში — ჩელეთში და არც ქალეთში რომელიც თუ ქალაქი არა, დაბა შაინც უნდა ყოფილიყო ვახტანგ მეფის დროს. ეს ასეც მომხდარა. ივრის ხეობის სიონის ეკლესია ჩელეთის (ახლანდელი „ნაქალაქარის“) და ქალეთის შუა ადგილას არსებობდა.

არასდ. არც ერთ წყაროში, არ ჩანს, რომ არსებობდა ქალეთის საეპისკოპოსოს. ქალეთში ხატოც იყო და ქრისტიანული ეკლესიაც. წმ. ნინო შემთხვევით არ „შთავიდოდა“ ქალეთს დაბას ედომს. უდავოდ, იქ იყო წარმართული რელიგიის ცენტრი და წმ. ნინომ, სწორედ იქ იქადაგა ქრისტიანობა და ვანანათლა ერწო-თიანელნი. ქალეთში რომ საეპისკოპოსო არსებულებო, მაშინ ვახუშტი აღარ იტყოდა ხარჭაშოზე „ეს არს ჩელეთი“-ო.

ერთ ვარაუდსაც უნდა მივცქეს უფრადღედა. შილდასთან არსებულ ჩელეთში (ვახუშტის მხოლოდ ჩელეთის წყალი აქვს დასახელებული და არა დასახლებული პუნქტი ამ ადგილას) რომ ყოფილიყო საეპისკოპოსო, თუ შუბი რატომღა ივლიდნენ სალოცავად ხარჭაშოში, რომელიც მდებარეობდა ეჩენანისა და თიანეთის შუა? შემდეგ კი მომხდარა ასეთი ფაქტი, ხარჭაშინის სამწყსო უფლებები თუშეთზე „მოურტაცინია“ ალავერდელს. ვახუშტი წერს თუშეთზე: „აჲ მწყსის ალავერდელი, მიმტაცე ხარჭაშინსა.“

როგორც ჩანს, ქალაქი ჩელეთი, რომელსაც პირველად ბერ ერქვა, უნდა არსებულებო ანტიკურ ხანაში, მირიან მეფის მოღვაწეობაზე გაცხადებით აღბრ. წმ. ნინოს და მირიანის დროს ქალაქი ჩელეთი იგივე ჩელეთი დაცემული ყოფილა. ვახტანგ გორგასალის დროს ქალაქი უჯარამო კიდევ უფრო დაწინაურებულა. ამავე დროისათვის ქალეთიც ძლიერი ცენტრი ჩანს, მაგრამ არა ქალაქი. და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვახტანგმა სწორედ ამის გამო ააგო ეკლესია სიონად წოდებული ჩელეთისა და ქალეთის შუა ადგილას და დააწესა საეპისკოპოსო მჭერეტი ერწო-თიანეთისა და ფშავეხესურეთისა.

მაშასადამე, ვახტანგ მეფეს უცდია ჩელეთის ისტორიული სახელის აღდგენა და გადაუწყვეტია არც ქალეთში და რაც ჩელეთში (დანგრეულში), არამედ მათ შუა ადგილს ეკლესიის აგება და საეპისკოპოსოს დაწესება. ეინც ფიქრობს, რომ ქალეთი და ჩელეთი ერთი და იგივეა. რატომ არ უკვირდება იმას, რომ ვახტანგმა ქალეთში კი არ ააგო ეკლესია, არამედ ქალეთის სამხრეთით და ჩელეთის ჩრდილოეთით, რომელსაც სიონი ეწოდა.

ქალეთი აღრეფეოდალურ ხანაში საგრძობლად გაპლიერდა, ხოლო ჩელეთი კი ნაქალაქარად დარჩენილა. მერვე საუკუნეში ხარჭაშო-საც შეუშესრავთ ჩელეთი.

რ. რამიშვილი წერს. „შუაფეოდალურ ხანაში აღორძინებული ქალეთი მეტად სიცოცხლისუნარიანი და გამძლე სამოსახლო გამოიშვარა და იქ ინტენსიური ცხოვრების კვალი არა თუ მონღოლობის პირველ ხანებში, არამედ თემურლენგის შემხარავ ლაშქრობათა შედეგადაც არ მოშლილა“-ო.¹ ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქალეთი და ჩელეთი ერთი და იგივე არ არის, რადგან ჩელეთი IV საუკუნეშიც დანგრეული ჩანს. ასევე დაუნგრევით ჩელეთი VIII საუკუნეში 764 წელს სხვა 7 მხარესთან ერთად. შესაძლებელია სწორედ ამის შემდეგ გაუქმდა („მოსცვალეს“) ჩელეთის საეპისკოპოსო და ხარჭაშოში იქნა გადაინიშნული საეპისკოპოსო კათედრა. ხოლო გვიან, ალავერდელმა წაართვა თუშეთზე მეთილყურეობა ხარჭაშინსა.

დაბოლოს, საჭიროდ მიგვანია უფრო ღმად იქნას შესწავლილი ისტორიული ბერ-ჩელეთის ანუ დღევანდელი ნაქალაქარის ტერიტორია და მისი ისტორია.

1. ქართული სამართლის ძეგლები. I, 1966წ., გვ. 199.
- 2 „მაცნე“ № 2, 1967 წ. გვ. 151-152.
- 3 დ. მუსხელიშვილი, უჯარამო, 1966 წ., გვ. 27.
- 4 ლევან ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, 1968წ., გვ. 114.
- 5 ლევან ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, 1968წ., გვ. 116.
- 6 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, 1965წ., გვ. 49.
- 7 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საციხეებო, 1964წ., I, გვ. 380.
- 8 რამინ რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, სიონი, 1970, გვ. 143-144.
- 9 ქართული ენის გამმართველითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 1034.
- 10 „მაცნე“, გვ. 152, ზახვასმა ჩენია, ვ. ლ. II იქვე, გვ. 153.
- 11 ქართლის ცხოვრება, I გვ. 199, 1955 წ., ს. უაუხნიშვილის რედაქციით.
- 12 ვახუშტი... აღწერა გვ. 91.
- 13 იქვე, გვ. 91.
- 14 ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 63.
- 15 რამინ რამიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 144.
- 16 რ. რამიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 145.

ძართული იურიდიული ტერმინოლოგიის საკითხებზე

სამართლებრივი ნორმები, რომლებიც საზოგადოებაში გაბატონებულ კლასთა ნების საფუძველზე უკვე წესდებოდა ადგილზე, ძირითადად კანონმდებლის მიერ ვადმოცემულია ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაში გაერთელებული სიტყვებით. საზოგადოებრივ ცხოვრებაში აზრის აქტიური შემოქმედებითი ძალა წარმოუდგენელია მისი სიტყვიერი გაფორმების გარეშე. ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა სწორი შემეცნებისათვის ადამიანები ცდილობენ ამ მოვლენათა სხვადასხვა მხარეებს მოუნახონ მათი შესაბამისი ზუსტი სახელწოდებანი და ტერმინები, რომელთა გაზრება მხოლოდ ამ მოვლენათა არსზე მივიჩნევს. კანონმდებელი ცდილობს სამართლის ნორმის აზრი რაც შეიძლება სრული, ამომწურავი და ყველასათვის ადვილად გასაგები გახადოს, ამისთვის იგი იყენებს სამართალ შემოქმედების პროცესში გამოყენებულ საკანონმდებლო ტერმინებს. ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაში გავრცელებული სიტყვებისა და გამოთქმების გარდა კანონმდებელი იძულებულია სამართლებრივი ნორმების შინაარსი ვადმოსცეს როგორც სხვადასხვა მეცნიერებაში დადგენილი სპეციალური ტერმინებითა და განსაზღვრებებით, ასევე მრავალნაირი სამართლებრივ შეხედულებების, დებულებების, ცნებების, კატეგორიებისა და სასამართლო მოქმედების გამოსახატავად შეიმუშავოს და გამოიყენოს საკუთარი იურიდიული ტერმინები.

იურიდიული ხასიათის განსაზღვრებანი, პოლიტიკური ფორმულები და ტერმინები, როგორც სამართლებრივ შეხედულებათა და დადგენილებათა სპეციფიკური სამოსელი, ჩვეულებრივ სიტყვათმარებაში გავრცელებულ აქსესორულ გამოთქმებთან ერთად, ნათელ წარმოდგენას ვეძლევენ როგორც ისტორი-

ული, ისე თანამედროვე თვალსაზრისით საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე გამოყენებული ინსტიტუტების, კატეგორიებისა და სასამართლო საქმიანობის თავისებურებების შესახებ.

სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნების ერთმანეთსაგან განსხვავებულ იურიდიული კულტურის დონე, პირველყოფისა, გამოსატყულებს პოულობს სამართლებრივი ინსტიტუტების, მოძღვრებების, სასამართლო წარმოებისა და სხვ. თავისებურებებში, რასაც ერთვინობის ნიშნები განსაზღვრავენ. განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობებს თითქმის ყველა ქვეყანაში შეესაბამება დაწინაურებული იურიდიული კულტურა, რთული საკანონმდებლო ტექნიკითა და სამართლებრივ დებულებათა არსის ზუსტი ამსახველი ტერმინოლოგიით.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართველ ტომებში სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა ვაპირებებელი იყო განვითარებული ეკონომიური ურთიერთობების იურიდიული გაფორმება-მოწესრიგების აუცილებლობით. პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების განვითარება განვითარებამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უდიდეს ზეგავლენას ახდენდა ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე, გამოიწვია ქართული იურიდიული კულტურის ამაღლება და სამართლის მეცნიერების სხვადასხვა მხარეების ამსახველი, საოცრად ზუსტი და მოხდენილი იურიდიული ტერმინოლოგიის შემუშავება-ჩამოყალიბება. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და კავკასიაში ქართული სახელმწიფოებრიობის არსებული

ამილდების ეპოქაში, როდესაც ქართული სამართლებრივი და პოლიტიკური აზრი დაწინაურებული ხდება მახლობელ აღმოსავლეთში, სამეფო ხელისუფლების გარშემო შემოკრებილი სწავლულები (ე. შოაწმინდელი, გ. შოაწმინდელი, ი. პეტრიწი და სხვები), საეკლდადგეოდ ამუშავენ მეცნიერების სხედასხეა დარგების ტერმინოლოგიას. ფეოდალური საქართველოს ეკონომიური ბაზისის შესაბამის ზედნაშენში სახელწმფიფობრივ და სამართლებრივ მოძღვრებებსა და მათ შესაბამის დაწესებულებებს, გაბატონებული კლასები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ამიტომაც სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიები ცდილობდნენ, ეროვნული თვითშეგნების საბოლოოდ განმტყიცებასთან ერთად, სხედასხეა სამართლებრივ დარგებს, ინსტიტუტებსა და ცნებებს ქართული ტერმინები და სახელწოდებები მიუძებნონ. ზეენი სახელოვანი წინაპრების ფართო შემოქმედებითი მუშაობის შედეგად თანდათანობით ჩამოყალიბდა ქართული იურიდიული ტერმინოლოგია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დღეისათვის კარგად ცნობილ შრავალ სამართლებრივ ტერმინს. შუა საუკუნეების ქართული იურიდიული მეცნიერება უკვე იცნობს ამ ეპოქის ნაყოფიერ საკანონმდებლო საქმიანობისა და მოწინავე სამართლებრივ-პოლიტიკური აზრის გამოხატვეულ ტერმინებს: „შეუღლება“, „კანონიერება-წესიერება“, „გარდამავლობითი მოქმედებანი“, „სამართლის დათარგუნვა“, „ბრალი“, „დანაშაუელი“, „პატიკი“, „გერში“, „მიმძლავრებელი“, „ნეითა“, „საეუთრება“, „სყიდვა“, „კაბალა“, „მეუბნეობა“, „განსკა“, „სისხლი“, „სასყელი“, „სარჩელი“ და ა. შ. შუა საუკუნეების ეპოქის ბევრი ქართული სამართლებრივი ტერმინი თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში არა მარტო გამოიყენება, არამედ ჩვენი წინაპრების მიერ შემუშავებული ტერმინოლოგიური ხერხები და საშუალებები დღესაც ფართოდ არის გავრცელებული, როგორც ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ერთარებაში სამართლის მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისი ცნებებისა და ინსტიტუტების ტერმინოლოგიური გამოხატვის ნაცადი ნიმუში. მაგრამ შუა საუკუნეების ეპოქის ქართული ტერმინებიდან ბევრმა დაყარვა თავისი ნომინატიური ღირებულება და სემანტიკურადაც ორპროვანი გაბდა, ამიტომაც, ისინი დღეს უკვე აღარ გამოიყენებან სამართლებრივი ცნებებისა და დებულებების გამოსახატავად. საზოგადოების

განვითარების სხედასხეა ეტაპზე სპეციალური ტერმინები და სახელწოდებები ქართულ ტერმინთან და კარგავენ თავიანთ დანაშნულტებას, არამედ ტერმინთა ნომინატიური (სახელდებით) მხარე ხშირად სრულიად ახალ სემანტიკურ მნიშვნელობას იძენს.

თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის სამართლებრივ მეცნიერებაში უძველესი დროიდანვე დამკვიდრდა ტერმინი „კაბალა“, რომლის სემანტიკური მხარე საზოგადოების განვითარების სხედასხეა ეტაპზე არსებითად იცვლებოდა. არაბული წარმოშობის სიტყვა „კაბალა“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ვალდებულებას“. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ზემოთ აღნიშნული იურიდიული ტერმინი ჩნდება სხედასხეა ხალხებში, როგორც სხეა სამართლებრივი ურთიერთობებისაგან განკერძობული საშოკალაქო სამართლებრივი შინაარსის ინსტიტუტი. ძველ ქართულ სამართალში ტერმინი „კაბალა“ ჯერ კიდევ XI საუკუნეში იყო გამოყენებული. ცნობილ ნიკორწმინდის სიგელში საკაბალო მიწის ვაცეპა-აღების შესახებ ნათქვამია: „სცილათს მოვიგე მიწა და მივეც მათვე საკაბალოდ და მოწამე არიან კაცნი... სააღესებოდ ლეითის ძქ ქრამ საჩხეორს სასკესა დაესხა და დაკოდნა და მისთვის საზღავად ავიღე საქიდს სახლი ჯავთა ვაერთი და ზედა კაბალა დავსდევით“.¹

ქართული სამართლებრივი ტერმინის „კაბალას“ მნიშვნელობა სულხან-საბა ორბელიანს ასე აქვს გაგებულ: „ქართა გააბარებენ სასარგებლოდ იფქლთა მოსაცემელად ბირობითა რითმე სხეა-და სხეთა.“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებისაგან განსხვავებით აკად. ივ. ჯავახიშვილი ნიკორწმინდის სიგელის ანალიზის საფუძველზე ცხადყო, რომ XI საუკუნის საქართველოში „კაბალა... უძრავ ქონებას ეხებოდა და რალაც გამოსაღების აღმნიშვნელი უნდა ეთილიყო“.² სამართლებრივი ტერმინი „კაბალა“ ძველ რუსულ სამართალში XVI საუკუნიდან გვეხდება და თავდაპირველად იკონიშნავდა „ხელშეკრულებას“, ხოლო მოგვიანებით — „ვალდებულებას“, საერთოდ. „კაბალას“ ძველ რუსულ სამართალში იყენებდნენ აგრეთვე ეალის ზელწერაილის აზრითაც. ძველი რუსული სამართლის წიგნებიდან ჩანს.

1. თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, ტფილისი, 1897, გვ. 48-49.
 2. სულხან-საბა ორბელიანის, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928, გვ. 158.
 3. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929, გვ. 444.

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1921, გვ. 251-543.

რომ შევალთა დიდი მასა თანდათანობით ველარ ახერხებდა ვალის ხელწერილით გათვალისწინებული ფულის დაბრუნებას პრიციპიტებითურთ და ისინი იძულებული იყვნენ კრედიტორის შეურწმობაში შეშაობით გადაეხადათ ვალი: მაგრამ ის, ვინც ვალის გადახდას ვერ მოახერხებდა, კაბალაში ვარდებოდა. ამ სიტყვის ახალი მნიშვნელობიდან წარმოსდგება მინამდე უცნობი სამართლებრივი ტერმინი — „კაბალური ვარიგება“, რომელიც ნიშნავს შევასშურ, მევალისათვის უკიდურესად მძიმე ვარიგებას.¹

მოვედენებასა და საგნების სახელწოდებანი და აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგების აღმნიშვნელი ტერმინები არა მარტო შინაარსობლივად ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა თანამედროვეობის თვალსაზრისით, არამედ ძალიან ხშირად საზოგადოების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად დამატურულად იყვლება მათი სემანტიკური მხარე, თანამედროვე ქართულში სიტყვა „მძალავრი“ ნიშნავს ძლიერს, დიდად ღონიერს, ბერის შემძლებელს.² შუა საუკუნეების საქართველოში კი სიტყვა „მძალავრი“ მეტად დასაძრახისი იყო. ჩვენამდე მოღწეული ფეოდალური საქართველოს ისტორიულ წყაროებში „მძალავრი“ გავგებულა, როგორც ტირანი, მტარავლი, მოძალადე, დესპოტი.³ ამავე დროს ტერმინი „მძალავრი“ ძველ ქართულ სამართალში ნიშნავდა მონარქიისაგან განსხვავებული სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმას — ტირანიას.⁴

ქართულ სამართლებრივ ტერმინოლოგიას კვლევითი მუშაობის მდიდარი ტრადიციები გააჩნია. ტერმინოლოგიის დარგში საუკუნეობრივი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ქართულ

იურიდიულ მეცნიერებაში უამრავი ძველი (ისტორიული) და ახალი (თანამედროვე) სამართლებრივი ტერმინი დაგროვდა. ჩვენი წინაპრების მიერ შემუშავებული ძველი ისტორიული სამართლებრივი ტერმინები შეიძლება ვახდეს და კიდევაც უნდა ვახდეს ახალი, თანამედროვე სამართლებრივი ტერმინების შექმნის წყარო და საფუძველი, მაგრამ ამ საქმეში განსაკუთრებული სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო. საქმე ის არის, რომ ჩვენთვის ცნობილი ქართული სამართლებრივი ტერმინები იქმნებოდა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და მისი შემქმნელობა ამ ტერმინების შექმნისას ხელმძღვანელობდნენ არა მარტო თავისი ეპოქის საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებებით, არამედ ისინი შეზღუდული იყვნენ სამართლის მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონითაც. ამ ვარემოებების გამო თანამედროვე იურიდიულ ტერმინოლოგიაში შუა საუკუნეების ქართული სამართლებრივი ტერმინების ხელალებით გადმოტანამ შეიძლება ძალიან დიდი გავუგებრობა გამოიწვიოს.

ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგიის გადამუშავება იურიდიული მეცნიერების გადაუღებელი ამოცანას წარმოადგენს ეროვნული ენიციკლოპედიის შექმნასთან დაკავშირებითაც. ამ წერილში ჩვენი მოკრძალებული მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ყველა საკითხი. გვინდა შევეხოთ მცდარ ქართულ სამართლებრივ ტერმინთა მხოლოდ ერთ ჯგუფს, კერძოდ „მართლ“ ფუძის გამოყენებით წარმოქმნილ სამართლებრივი შინაარსის კომპოზიტ ტერმინებს. „მართლ“ თავკიდურით ნაწარმოები ქართული სამართლებრივი ტერმინები გამოხატავენ სამართლის არსისა და სამართლებრაუნორმათა რეალიზაციის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომელიც სამართლის ყველა დარგისათვის უპირველად მნიშვნელოვანია. ასეთ სამართლებრივ ტერმინებს განეკუთვნებიან: მართლშეგნება (правосознание, Rechtsbewusstsein), მართლწესრიგი (правопорядок, Rechtsordnung), მართლურთიერთობა (правоотношение, Rechtsverhältnis), მართლქმობა (правозаступник, Rechtsanwalt), მართლზომიერი (правомерный, Rechtsmäßig), მართლმსაჯულება (правосудие, Rechtspflege), ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში თავკიდური „მართლ“ კომპოზენტით წარმოქმნილი ყველა სამართლებრივი ტერმინი ზემოთღნიშნული ვეესით არის ნაწარმოები, მაგრამ სრულიად გუებუბარი მიზეზების გამო იმავე ქართულმა იურიდიულმა ტერმინოლოგიამ სიტყვა „მართლ“ თავკიდურით არ შექმნა ამ კატეგორიის შემდეგი სამართლებრივი: ტერმინება სამართალშემოქმედება (правотворчество,

¹ Толковый словарь русского языка под ред. Д. Н. Ушакова, I, гл. 1271, 1273; В. Сергеевич, Древности русского права», I, М., гл. 159-160.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V, თბილისი, 1958, გვ. 1214.

³ საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იშვიაშვილმა, თბ., 1966, გვ. 184; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტიკომათა. I. შედგენილი სულ. ყუბანიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 450; ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 586 და ა. შ.

⁴ ვ. აბაშიძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მომღერებათა ისტორიიდან, თბილისი, 1969, გვ. 282.

Rechtsschöpfung), სამართალდარღვევა (правонарушение, Rechtsverletzung) და სამართალსუბიექტობა (правосубъектность, Rechtssubjektivität). ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში „მართალ“ თავიდანუბრუნებელი კონსტრუქციის მიხედვით „სამართალდარღვევის“ ნაცვლად უნდა გვეყოს „მართლდარღვევა“, „სამართალშემოქმედება“ ნაცვლად „მართალშემოქმედება“ და „სამართალსუბიექტობის“ ნაცვლად „მართლსუბიექტობა“, მაგრამ ამ კატეგორიის სამართლებრივ ტერმინთა კონსტრუქციის ნაკლი უკანასკნელ სამ ტერმინში ისე აშკარად ჩანს, რომ მისი დამდგენი იძულებული გახდნენ **правоворчество (Rechtsschöpfung)** გამოეცხადებინათ საერთო წესის მიხედვით არა მართალშემოქმედებად, არამედ სამართალშემოქმედებად, ხოლო **правонарушение (Rechtsverletzung)**, სამართალდარღვევა და **правосубъектность (Rechtssubjektivität)**, სამართალსუბიექტობად.

ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს „მართალ“ თავსართით ნაწარმოები სამართლებრივი ტერმინების შინაარსობრივ მხარესთან ერთად, მათი წარმოშობის გენეზისის გამოკვლევა და იმის დადგენა თუ რამდენად სწორად გამოხატავენ შეცნობების განვითარების თანამედროვე თვალსაზრისით ამ კონსტრუქციით ნაწარმოები ტერმინები სამართლებრივ ცნებებს, კატეგორიებსა და მოვლენებს: პირდაპირ უნდა ითქვას, რომ „მართალ“ თავიდანუბრუნებელი ნაწარმოები ყველა სამართლებრივი ტერმინი, რომელიც ასე ფართოდ არის გავრცელებული ქართულ ენაზე შედგენილ საკანონმდებლო მასალაშია და მეცნიერულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში, სრულიად არასწორ შეხედულებას უქმნის ფართო მკითხველს სამართლებრივი ცნებებისა და ინსტიტუტების სოციალური ბუნების შესახებ. ეს მცდარი სამართლებრივი ტერმინები იმდენად დიდ ზეგავლენას ახდენენ ადამიანთა შეგნებაზე, რომ სანამ მკითხველი საქმის არსში გავრცელებულს, ამ სამართლებრივ ტერმინთა მცდარობის შესახებ საკითხის დაყენებამდე კი მას უშეშლად პარადოქსად მოეჩვენება.

მოუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულ სამართლებრივი მეცნიერების განვითარებას დღევანდელი დონე საშუალებას გვაძლევს ამ უკანასკნელ პერიოდის ქართულ სამართლებრივ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული შეცდომები ნათელყოთ და გამოავსწოროთ. სამართლებრივი ტერმინები: მართლმსაჯულება, მართალშეგნება, მართლწესრიგი, მართლურთიერება და ა. შ. აზრობლივად ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სიტყვების შემოკლებულ შეერთ-

ბას წარმოადგენს და ნიშნავს მართალმსაჯულებას, მართალ (სწორ) შეგნებას, მართალ (სწორ) წესრიგს, მართალ (სწორ) ურთიერთობას და ა. შ. მაგრამ ვერცერთი ეს ტერმინი სრულებითაც ვერ გამოხატავს შინაარსობრივად ამ სამართლებრივ დამყარებულებების, ცნებებისა და მოვლენების სემანტიკურ მხარეს, რომელიც ვინაა გადმოცეით. მართალი მსაჯულება, მართალი შეგნება, მართალი წესრიგი, მართალი ურთიერთობა და სხვ. სრულებით არაფერს გვეუბნება სოციალური მოვლენების სპეციფიკურ კატეგორიასთან, კერძოდ, სამართალთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ. მართალი მსაჯულება არ არის სამართლებრივი მსაჯულება, ისევე როგორც მართალი წესრიგი არ არის სამართლებრივი წესრიგი და ა. შ. სინამდვილეში სამართლებრივი წესრიგი არის მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით განმტკიცებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა წყობილება, წესი; სამართლებრივი განსჯა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას, რაც იმაში გამოიხატება, რომ სისამართლო თავის სხდომებზე მხოლოდ სამართლებრივი ნორმების მიხედვით იხილავს სხვადასხვა საქმეს და უფარდებს სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ საწყევებს; სამართლებრივი შეგნება მხოლოდ ამ შეხედულებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც ყალიბდება სამართლებრივი ნორმების ზემოქმედების შედეგად.

ამრიგად, „მართალ“ თავიდანუბრუნებელი ნაწარმოები ყველა დღემდე გაბატონებული სამართლებრივი ტერმინი სრულებითაც არაფერს გვეუბნება ამ ტერმინებით გამოხატულ სამართლებრივი ცნებების სემანტიკურ მხარეზე და მათ ამ სოციალურ მოვლენათა განსაზღვრის აქცენტი შეცდომით გადააქვთ არა განსასაზღვრავ მოვლენათა არსზე, არამედ ამ მოვლენათა მხოლოდ შეფასებით მხარეზე. ნაცვლად იმისა, რომ ამ ტერმინებმა მიკვანიშნოს, რომ ლაპარაკი გვაქვს მხოლოდ სამართლებრივ შეგნებაზე, სამართლებრივ წესრიგზე და ა. შ., ისინი მივითითებენ ზემოაღნიშნულ მოვლენათა სხვა მხარეზე, კერძოდ ურთიერთობისა და მსაჯულების (განსჯის) სიმართლეზე, წესრიგისა და შეგნების სიმართლეზე და სხვ. ამ სამართლებრივ მოვლენათა ასეთნაირი განმარტება არა მარტო სრული, არამედ სწორიც. არ არის. წესრიგი, განსჯა, შეგნება, ურთიერთობა და ა. შ. შეიძლება იყოს როგორც სამართლებრივი, იურიდიულ ნორმებზე დამყარებულა, ასევე ზნეობრივი, ეთიკური და სხვა სოციალურ ნორმებზე დაფუძნებული. ამასთან ერთად, არა მარტო იურიდიული ნორმების საფუძველზე

ჩამოყალიბებული წესრიგი, შეგნება, ურთიერთობა და ა. შ. შეიძლება იყოს მართალი, არამედ შეიძლება მართალი იყოს აგრეთვე ზნეობრივი, ეთიკური და სხვა სოციალური ნორმების მიხედვით ჩამოყალიბებული წესრიგი, შეგნება, ურთიერთობა და სხვ.

ამრიგად, ზემოაღნიშნული იურიდიული ტერმინების „მართლ“ თავკიდური სიტყვით წარმოქმნა სრულებითაც ვერ მიუთითებს ამ სოციალური მოვლენების სამართლებრივ ბუნებაზე და არ შეესაბამება იურიდიული მეცნიერების თანამედროვე განვითარების დონეს.

ყოველი განსაზღვრა უნდა იყოს ზუსტი და სწორი წარმოდგენას უნდა გვაძლევდეს ამ მოვლენის არსებობა და ძირითად მხარეებზე, რომლის განსაზღვრასაც ცვალებობთ. ვარდა იმისა, რომ „მართლ“ თავკიდური სიტყვით ნაწარმოები ზემოთ აღნიშნული ტერმინები ვერ გვაძლევენ ძირითადი სამართლებრივი მოვლენების სხვა სოციალური მოვლენებისაგან განმასხვავებელ ნიშნებს, ისინი შეტად პირობითი ხასიათის არიან, რადგან მათი გამოყენება არ შეიძლება არა მარტო ერთი ტრის სოციალურ-ეკონომიური წყობილების ფარგლებში, არამედ საერთოდ. საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპის სამართლებრივი მოვლენებისადმი. მართალი წესრიგი, მართალი შეგნება, მართალი მსაჯულბა და სხვა, კლასობრივი თვალსაზრისით, შეტად პირობითი ცნებებია, რადგან ექსპლუატატორული საზოგადოების ისტორია (მონათმფლობელურა, ფეოდალური, ბურჟუაზიული) არ იცნობს ერთიან მართალ წესრიგს, მართალ შეგნებას, მართალ მსაჯულბას და ა. შ. ბურჟუაზულ საზოგადოებაში სამართლებრივ ნორმებზე დამყარებული შეგნება შეიძლება მართალი იყოს მხოლოდ ვაბატონებული კლასის თვალსაზრისით, მაგრამ რადგან სამართლებრივი შეგნება ყველა ექსპლუატატორულ საზოგადოებაში და მათ შორის ბურჟუაზიულშიც გაორებულია. მართალი ჩაგრული კლასების თვალსაზრისით მხოლოდ ის სამართლებრივი შეხედულებებია, რომლებიც ამ კლასების შიგნით სამართლებრივ ნორმათა ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. აქედან ცხადია, რომ სამართლებრივი მოვლენების „მართლ“ თავკიდური წარმოება მხოლოდ ამ მოვლენათა კლასობრივი შეფასების საფუძველია და არავითარ შემთხვევაში ვერ განსაზღვრებისათვის არ გამოდგება, რადგან „მართლ“ თავსართით ნაწარმოებ იურიდიულ ტერმინებში გამოტოვებულია სხვა სოციალური მოვლენათაგან (ზნეობა, ადამი, ეთიკა და ა. შ.) განსხვავებული სამართლებრივი მოვლენების ძირითადი სპეციფიკურ-სემანტიკური მხარე.

რა თქმა უნდა, ჩვენი მოსაზრებანი არ ეხე-

ბა „მართლ“ თავკიდური სიტყვით ნაწარმოებ ყველა ქართულ ტერმინს. „მართლ“ თავკიდური სიტყვით ნაწარმოები ისეთ/ტერმინებში, როგორცაა მართლწერა, მართლშეგნება, მართლმეტყველება, მართლმორწმუნეობა და ა. შ., მართალია, განსაზღვრულ წესებზე დამყარებულ მოქმედებასა და მდგომარეობებზე მიუთითებენ, მაგრამ მათ სამართლებრივი შინაარსი არა აქვთ. თუ ტერმინი მართლშეგნება დღევანდელი იურიდიული ტერმინოლოგიის მიხედვით აღნიშნავს სამართლებრივ შეგნებას, მაშინ ამავე წესით ნაწარმოები ტერმინი მართლწერა, მართლმეტყველება და სხვ. უნდა ნიშნავდეს სამართლებრივ წერას, სამართლებრივ მეტყველებას და ა. შ., რაც სრული უზარობაა. სინამდვილეში ტერმინი, მართლწერა ნიშნავს მოქმედებას, რომლის დროსაც ხდება აზრის გადმოცემა წერილობით დადგენილი გრამატიკული წესების მიხედვით, და არა სამართლებრივი ნორმების შესაბამისად სწორედ ამიტომ „მართლ“ თავკიდური სიტყვით ნაწარმოები ყველა არასამართლებრივი ტერმინი ზუსტად გამოხატავს მოვლენებს და არავითარი საფუძველი არ არსებობს მათი მცდარობის მტკიცებისათვის.

შას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ „მართლ“ თავკიდური სიტყვის გამოყენებით ნაწარმოებ სამართლებრივ ტერმინებს მოვლენათა განსაზღვრის ნაცვლად დაბნელობა შეაქვს იურიდიულ ტერმინოლოგიაში, რადგანაი ისინი სამართლებრივ მოვლენათა განსაზღვრის ნაცვლად მხოლოდ მათ შეფასებით მხარეებს წარმოგვიდგენენ კლასობრიობის თვალსაზრისით, ვარკვეული უნდა იქნას „მართლ“ სიტყვის გამოყენებით ნაწარმოები სამართლებრივი ტერმინების გენეზისი. კერძოდ, თეორიულად შეტად საინტერესოა ამგვარ ტერმინოლოგიურ შეცდომათა შინაარსობრივი საფუძვლების ვარკვევა. პირველყოვლისა, აქ გამოკვლეული უნდა იქნას ის ვარკვევებანი, რომლითაც ხელშეშლანელოდნენ ზემოთ აღნიშნულ ტერმინთა შექმნელნი და თანამედროვე იურიდიულ ტერმინოლოგიაში მისი შემოშტანნი.

ჩვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ საქართველო ეუველესი კულტურის ქვეყანაა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ვარკვიანებასთან ერთად, ინტენსიურ ხასიათს ღებულობს კვლევითი მუშაობა სამეფო ხელისუფლების ვარკვეში შემოკრებულ სწავლულთა შორის შეცნერების სხვა დარგებთან ერთად იურისპრუდენციაშიც. იქმნება სამართლებრივი და პოლიტიკური ცნებებისა და მოვლენების აღნიშნული ქართული ორიგინალური ტერმინება, მადლდება ქართული იურიდიული კულტურა. შუა საუკუნეების ქართული იურიდიული ტერ-

მინოლოგიაში ვხვდებით ქართულ სამართლებრივ ტერმინს „მართლმსაჯულებას“, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არა მარტო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საქმიანობის განსაჯებულ სახეზე, არამედ ფეოდალური სამართლის მეცნიერების განვითარების სპეციფიკურ მხარეებზე. ბერძნულიდან X საუკუნეზე უფრო ადრე ქართულად თარგმნილ ოხზულებაში „წამებაა წმიდათა ორშეოც და ხუთთაა“ ნათქვამია: „უკეთეს ქვეს ღმერთი არს, უკეთ ძლიერ ვიდრე მე არს და უქმს მას მსახურება თქვენებრთა უსამართლოსა მყოფელთაა რამეთუ ჟერ-არს, რაათა იყოს იგი მართლ-მსაჯულ.“ ბოროტის-მოძულე და სიძულესა და მრუშებისა არ მოყურებ, და რომელსა ცოდვენ დასა ოანა, მათა ფრიად მოძაგე, და ბრძოლისა და შფოთვისა არა მარტოველ, არამედ შვილობისა და მუდგარობისა მოქმედ და მახრახებელ, რამეთუ ჟერ-არს, რაათა იყოს ღმერთი სრულ ყოველსა შინა და არა შესცოტეს ცოდვასა ვინა ბრალსა ყოვლითურთ არაოდეს.¹ სხვა სამართლებრივ ტერმინებთან ერთად (ბრალი, მახრახებელი, უსამართლო) ამ ძეგლში ვხვდებით ტერმინი „მართლმსაჯული.“ ამ ქართული სამართლებრივი ტერმინის უსინნივლოდ განსხვავებული ვარიანტი ვხვდებით X საუკუნის კიმონოგრაფის ოთანე მინნის ნაწარმოებშიც:

„ეთიარცა ევლესიასშ
იყუ შენ სიბრწინთა საესშ,
მართლ-განგებით მსაჯული,
ობოლთა მწყალიბული,
შეგწუ დაწუნებულთაა,
და მსაჯული ჭერითაა!“²

ორივე შემთხვევაში ტერმინები „მართლმსაჯული“ და „მართლმსაჯულებით მსაჯული“ ერთი და იგივე ცნების გამომხატველი იყო და იგი ნიშნავდა სწორად განწყვლს, მიუდგომელ, სამართლად მსაჯულს,³ და არა მარტო და მარტო სამართლებრივი ნორმებით განსჯელს. X საუკუნეში ერთი და იგივე ცნების გამოსახატავად ორი ერთმანეთისაგან უსინნივლოდ განსხვავებული ტერმინის არსებობა ნაწილობრივ იმაზეც მიუთითებს თუ რა მრავალმხრივი და ინტენსიური მუშაობა წარმოებდა ამ ეპოქაში ქართული კერძო სამართლის განვითარებაში. ერთხელ და აღნიშნული ტერმინები შეიქმნა მართლმსაჯულებით მსაჯული“ წარმოიშვა ახალი ტერმინი „მართლმსაჯულება“. ისტორიანი და აზნანი მხარეანდებთანის“ უცნობი ავტორი ვიორგი მესამის მიერ აქანებულთა დამარცხების შესახებ წერს, რომ სამეფო ხელისუფლების მტრები „უქმადვე უქან აქცია მართლმსაჯულობამან ქრისტესაზნან.“¹ ტერმინი „მართლმსაჯულება“ შუა საუკუნეების საქართველოში ნიშნავდა მართლად განსჯას ე. ი. საქმის გადაწყვეტას მხოლოდ ღმერთის ნების შესაბამისად. დავით აღმაშენებელი თავის 1125 წლის ანდერძში ამის შესახებ საუბრით გარკვევით მიუთითებს: „გარნა განაპო მართლმსაჯულობამან ღმერთისამან და ესერა მიწოდა მე, და უწოდა მგასა მყოფობაა, მამული და ახლად მოვებულა დეაწლთა ჩემითა და თქუნიითა.“²

ამრიგად, იმ ეპოქაში, როდესაც შეიქმნა ტერმინი „მართლმსაჯულება“, იგი ნიშნავდა ღმერთის ზოგადი, საერთო ნების მიხედვით მართლად, მიუდგომლად განსჯას და არავითარ შემთხვევაში ეს ტერმინი არ გამოხატავდა მხოლოდ სამართლებრივ ცნებას «**правосудие, Rechtspflege**» შეცდომით ამ სამართლებრივი ცნების „მართლმსაჯულებას“ წინათ არსებული ტერმინით გამოხატვა გვიანდელი მოვლენა და იგი დაკავშირებულია იმ ეპოქასთან, როდესაც რუსული მმართველობის საწყისების საქართველოში დამკვიდრებისა და მეფის თვითმმართველობის კოლონიური პოლიტიკით იმედგაცრუებულ ქართველ ინტელიგენციის ორიგინალური ქართული სამართლებრივი ტერმინების ძიება-დამუშავების ხალხის აღარ პკონდა. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ პავლე პირველის მანიფესტის ერთი საინტერესო ადგილის ქართული თარგმანი:

„მხოლოდ ჰატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ელსა, მსმენმან ენებულთა ვედრებისა განსადგენულად შეკირეებთა მათთა, დავაწესო საქართველოსა შინა მმართველობა, რომელსაცა ექლოსცა დამყარება მარხლმსაჯულებისა, ნიეთისა და საქონლისა

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 20.
² ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 19.

¹ საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბილისი, 1966, გვ. 77.
² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 332.
³ საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბილისი, 1966, გვ. 175; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 441.

უშიშროებისა, და მიეცმად თვითუელისა დაც-
ვა სჯულისა».¹

(«Единое достоинство, единая честь и человечество налагают на нас священный долг, вняв молению страждущих в отвращение их скорбей, учредить в Грузии правление, которое могло бы утвердить правосудие, личную и имущественную безопасность, и дать каждому защиту закона»).

როგორც ჩანს, ერთ-ერთი პირველი, რომელმაც სამართლებრივ ტერმინს «правосудие»-ს, იურიდიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიუსადაგა «მართლსაყულება» იყო, პავლე პარტლის მანიფესტის ქართულად მთარგმნელი, ერთი მკდარი პრეცედენტი საქმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ შემდეგში ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში გაჩენილიყო ამ კონსტრუქციის მიხედვით ნაწარმოები მთელი რივი ტერმინები: მართლშეგნება, მართლურთიერთობა, მართლწესრიგი, მართლზომიერი და ა.შ. შუა საუკუნეების ქართული სოციალური ტერმინები მეტწილად იქნა გადმოღებული ისე, რომ სრულებითაც არ იყო გათვალისწინებული სამართლის მეცნიერების განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის რღვევის შემდეგ ეპოქაში. სწორედ ამიტომ, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით «მართლ» თავიკლური სიტყვით ნაწარმოები ქართული სამართლებრივი ტერმინები დიდი ზანია უკვე აღარ შეესაბამებთან ფეოდალიზმის შემდეგში ეპოქის იურიდიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეს. შუა საუკუნეების ქართული იურიდიული ტერმინი «მართლსაყულება» მისი დადგენის დროს სავსებით სრულად გამოხატავდა მის შესაბამის შორალურ-სამართლებრივ ცნებას, რადგანაც იგი გულისხმობდა მხოლოდ ღმერთის ნების შესაბამის მართლად მსაყულებას. მაგრამ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ფეოდალიზმის რღვევის ეპოქამდე (XVII-XVIII სს.) სამართალი, ზნეობა და სხვა სოციალური ნორმები იურიდიული მეცნიერების განვითარების თავისებურებათა მიზეზით ვამოქვლი არ იყო ერთმანეთისაგან, საქმის განხილვა-განსჯა ხდებოდა არა მხოლოდ სამართლის ნორმების, არამედ სხვა სოციალური ნორმების მიხედვითაც. სწორედ ამიტომ, მართალი მსაყულებად შეიძლება უთვლიყო არა მარტო სამართლებრივი ნორმების მიხედვით განსჯა, არამედ საერთოდ სოციალური ნორმებით განსჯა, რომელთა ერთობლიობა გაბატონებული კლასების თვალსაზრისით «მართლსაყულებას» ცნებას ქმნიდა.

მაგრამ შემდგომში, ფეოდალიზმის რღვევისა და ბერევაზიული იდეოლოგიის ჩამოყალიბების ეპოქაში, ცხადი გახდა, რომ სამართალი არსებობდა განსხვავებულ სოციალურ მოვლენებისაგან და კერძოდ, ზნეობისაგან, ამიტომაც ყველა ქვეყანაში იურიდიული მეცნიერების განვითარება ახალი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად აღნიშნა ტერმინების გადასინჯვით. ტერმინთა გადამუშავება მიზნად ისახავდა ცნებათა განსაზღვრებებში სამართლებრივი მხარეების რელიეფურ წარმოჩენას, მის გამო ყველა საჭირო იურიდიული ტერმინის შესაბამისი სამართლებრივი ცნებისა და მოვლენის გამოხატავად დაემატა თავიკლური სიტყვა «სამართლებრივი». ამრიგად მივიღეთ **правосознание, Rechtsbewusstsein, правопорядок, Rechtsordnung** და ა. შ. «მართლ» თავიკლური სიტყვით ნაწარმოები ზემოთ აღნიშნული ქართული იურიდიული ტერმინები კი ამჟამად მცდარია, რადგანაც ისინი რელიეფურად არ წარმოაჩენენ შესაბამისი ცნებების სამართლებრივ მხარეებს და ამდენად, არ შეესაბამებიან იურიდიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეს, რომელიც სხვა სოციალური მოვლენებისაგან სამართლის გამოყვანს ეწყარება.

შეიძლება ვინმემ შენიშნოს, რომ მართალი ზემოთ აღნიშნული ქართული იურიდიული ტერმინები მკდარია და ისინი არ შეესაბამებიან სამართლის მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეს, მაგრამ რადგანაც მეცნიერულ და საკანონმდებლო მუშაობაში იმდენად ფართოდ გავრცელდა ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი ტერმინები, რომ მათი უყარვისობა და მცდარობა შესაძინევიც კი აღარ არის. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამნაირი მოსაზრებანი დღესათვის ყოვლად შეუწყნარებელია, რადგანაც შეუძლებელია თანამედროვე ქართული იურიდიული ტერმინოლოგიაში გვეკონდეს უყარვისი, მცდარი სამართლებრივი ტერმინები, რომლებიც თანამედროვე იურიდიული მეცნიერების დონეს აღარ შეესაბამებიან. ფაქტურად, ამ მკდარი სამართლებრივი ტერმინების გავრცელებით შინაარსობრივად ვაქვეითებთ ქართული სამართლის მეცნიერებას XVII-XVIII სს. იურიდიული აზროვნების დონემდე, როდესაც სამართლის, ზნეობის, ადამის და სხვა სოციალური მოვლენების ერთმანეთისაგან გამოყვანას ვერ კიდევ არ იცნობდნენ იურისპრუდენციის არა სთანადო განვითარების გამო.

თანამედროვე ქართული იურიდიული მეცნიერება დღეს თავისი განვითარების იმ დონეზეა, რომ მას ზემოთ აღნიშნული ტერმინოლოგიური გაუგებრობანი აღარ ეპატება.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1965, გვ. 557.

გიორგი პრისტავი და პოლონური მწირობა

საქართველოს პოლონეთთან მეგობრობას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. წარსულში არა ერთი ქართველი იყო დაინტერესებული პოლონური კულტურით. ჩვენი დიდი წინაპრების ამ სულიერ სწრაფვაში ნათლად გამოვლინდა ხალხთა მეგობრობის მაღალი იდეა.

უტყუარი ისტორიული დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ პოლონელი ხალხი და ქართველი ხალხი ერთმანეთს ვაყენენ და ერთი ბედი გაიზიარეს მე-15 საუკუნის გასულიდან. 1495 წ. ქათლის მეფე კონსტანტინე დიმიტრის-ძე ელჩს გზავნის ევროპაში და მოლაპარაკებას მართავს პოლონეთის მეფე ალექსანდრე კაზიმირის ძესთან თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნის თაობაზე. მე-16-17 საუკუნეში პოლონელი მწერლები და ელჩები საქართველოს გზით მიემგზავრებოდნენ აღმოსავლეთში, კერძოდ, სპარსეთში, ისინი გულთბილად იხსენიებენ საქართველოსა და მის ღრსშესანაშნობებს. ერთი მათგანი, რომელსაც სეფერ მურატოვი რქმევია, 1601 წელს პოლონეთის მეფეს სიგიზმუნდ მესამეს სპარსეთში გაუგზავნია და მას საქართველოზე გუვლია. ის წერს: ვიმოგზაურე გეორგიულეების ანუ ქართველების ქვეყანაში და კახთა მეფე ალექსანდრეს ვესტუმრე გრძნით.

მე-17 საუკ. პოლონეთში სეალო მოღვაწეობას ეწევა ქართველი ბოძან გურჯიკი. მან სამეგობრო წერილი წაუღო პოლონეთის მეფეს იან კაზიმირს. იტალიელი მწერალი როგზაური პეტრო დე ლა ვალე წერს, რომ 1627 წ. შავი ზღვის სანაპიროზე უკვე გამოჩნდნენ პოლონელები, თვით პოლონეთის ხელმწიფეს, წერს ის 1627 წლის მოხსენებით ბაჩათში, — გურიისა და სამეგრელოს მთავრებთან აქვს მიწერ-მოწერაო.

კაზიმირ ლაფინსკი უკვე იცოდა, რომ ქართველებმა ბეჭად უფრო ადრე, ვიდრე სო-

ლონ რაზმაძე ქართულად თარგმნიდა ადამ მიცევიჩის განთქმულ „ფარისს“, გამოიყენეს პოლონური წიგნები. ლაფინსკი ასახელებს „როს პოლონურს ისტორიას“, რომელიც თავის შრომებში გამოუყენებია ქართველ პოეტსა და მეცნიერს ვახტანგ მეექვსეს.

პოლონური პოეზიის პირველი მთარგმნელის პატივი გუთონის მეთვარამეტე საუკუნის ქართული პოეზიის დიდებს დაეთო გურამიშვილს. ლექსში „მეორე დავითის შესხმა“ მან პირველად გაგვეცნო „პოლშის სიმღერის ხმა“. ეს ლექსი, როგორც ფიქრობენ, პოეტს მოუსმენია პოლონეთში, როცა ის შეიღწლიანი ომის დასაწყისში პრუსიისაკენ მიემართებოდა.

მე-18 საუკუნის გასულის და მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში პოლონეთში იმოგზაურეს და დაგვიტოვეს მისი აღწერილობა იონა გედევანიშვილმა, გრიგოლ და თეიმურაზ ბატონიშვილებმა. ქართველმა მწერალ-მოგზაურმა ვაბრიელ რატიშვილმა, 800-იან წლებში პოეტური სტრაქიმენტები უძღვნა პოლონელ თეატრალურ მოღვაწეს „ელიზავეტა სიპიონოვანს“, რომელიც მოსკოვ-პეტერბურგის თეატრების პირველ აქტიორს სილოვან ნიკოლოზის ძე ზანდუელს ჰყავდა ცოლად და იმ დროს რუსულ თეატრს აშვენებდა.

1794 წელს, ნათქვამია საქართველოს მუზეუმის ერთ-ერთ ზელნაწერში, „სულორგმა ეარშავად მიმავალმან, მისწერა მხედრობათა ძვისთა: „იბრძოლეთ გამომეტეებით, ეითარცა იბრძვიან ქართველებიო“.

დიდად მოეწონა პოლონეთი და ერცლად აღწერა ის თავის წიგნში „მიმოსვლა ანუ მგზავრობა“ იონა გედევანიშვილმა. იონა მხსენებს პოლონელ მოღვაწეებს (ფელიქს პოტოციის და სხვა), რომელთაც დამეგობრებია. ის პოლონეთს უწოდებს „ქვეყანას ლეხისასა, რომელ არს პოლშა ანუ პოლონია“.

მე-18 საუკუნის გასულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართულ მასალებში ურჩად პოპულარულია პოლონეთი. მავალითად, მაგარტ ბატონიშვილი თავის „ახალ მოთხრობაში“ საზარტვოდ ჩერდება პოლონეთში ნაპოლონის ლაშქრობაზე რომელსაც, თანამედროვეთა რწმენით, სურდა პოლონეთი „ექცია რესპუბლიკად“.

პოლონეთის ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არა ერთი მონაწილე და მწერალი იქნა ვადმოსახლებული კავკასიაში, ევროპაში, საქართველოში.

პოლონური ლიტერატურისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ მეცნიერებე საუკუნის ისეთი გამოჩენილი ქართველი მწერლები, როგორც იყვნენ გ. ერისთავი, ი. ჰაქვაძე, ა. წერეთელი და სხვანი. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი ქართულ-პოლონური ლიტერატურის ურთიერთგაცნობისა და თარგმნის საქმეში ვიორგი დავითის ძე ერისთავს მიუძღვის.

გ. ერისთავი მწვეველ განიცდიდა თავისი სამშობლოს დამონებულ მდგომარეობას. მან ვადამწერტა ებრძოლა რუსეთის მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ამ მიზნით სრულიად ახალგაზრდა ჩაება და აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1832 წლის შეთქმულებაში. გ. ერისთავმა ფილადელფოს კონაძისაგან მიიღო შეთქმულების წესდება „აქტი ვინიერა“ და შეთქმულებს შორის გააერთილა. მანვე ახალი ძალები ჩაება შეთქმულებაში. იგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაშინდელ მოწინავე საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობდა.

შეთქმულები, როგორც ცნობილია, დაპატიმრეს მათ შორის გ. ერისთავიც. გამოშვების შემდეგ დამნაშავენი ამ კატეგორიად დაჰყვეს. გ. ერისთავი დამნაშავეთა მეთონვე კატეგორიაში მოექცა.

გ. ერისთავი აელაბრის უაზარშებში პატიმრობის შემდეგ, 1834 წლის 9 იანვარს საქართველოდან ვადმოსახლეს. იგი ვამწესეს ქ. ვილნოში, მესამე ფეხოსანთა დივიზიაში სამხედრო სამსახურში. მასთან ერთად სამშობლოს მოაშორეს ქართული კულტურის სხვა მოღვაწენი; ს. დოდაშვილი, (ვარდაიცივა ვადმოსახლებაში), გ. ორბელიანი, ა. ჰაქვაძე, დ. უიფიანი, ა. ორბელიანი, ფ. კიკნაძე (ვარდაიცივა პატიმრობაში) და სხვები.

„მივალ, ვარნა-ლა სელი აქ მრნების“. — სურდა პოეტი რუსეთში წასვლის წინ თავის მეგობარ სვიმონ მანახელს.

გ. ერისთავი პირველი ქართველი ინტელიგენტი იყო, რომელმაც ხანგრძლივად იცხოვრა პოლონეთში. შეისწავლა პოლონური ენა და ვადიწყო პოლონური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების, განსაკუთრებით, ადამ მიცკევიჩის შემოქმედებას. მან პირველმა თარგმნა მიცკევიჩის ლექსები: ერისთავმა ქარგად

იკოდა, აგრეთვე, რუსული და ფრანგული ენები. რუსულად დაწერა პესეტაქვენიმეტსხლო ფრანგულიდან თარგმნა ლექსები: *ქვენიმეტსხლო*

პოლონეთში ყოფნამ, როგორც ეტყობა, კეთილისმყოფელი ვადუნა მოახდინა ვიორგი ერისთავის გონებრივ ვანვითარებაზე. ამასთანავე ვადუნა მისი სეპარატისტული ენთუზიაზმი. 1831 წელს პოლონეთში ძლიერი ერთგული აყენება დაიწყო, მაგრამ ნიკოლოზ პირველის არმიამ, ვენერალ პასკევიჩის მეთაურობით, საშინელი სისასტიკით ჩააქრო ეს აყენება. ქართველი შეთქმულები და მათ შორის, უამკვეთი, ახალგაზრდა ვიორგი ერისთავიც, დიდ იმედებს ამაყარებდნენ მეამბოხე პოლონელების წარმატებაზე. როდესაც პოლონელების ქარი დამარცხდა, ქართველ პატრიოტებს გული ვაუტყდათ. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი 1832 წლის შეთქმულების დამარცხებისა. მაგრამ ოცდაათწელში პოლონელ და ქართველ პატრიოტებს შორის წარმოიშვა ურთიერთისადმი სიმპათია, რომელიც შემდეგ აღარ ვადუნებულა რომანოვების დინასტიის დამხობამდე!

შორეულ უცნობ ქვეყანაში, მეგობრებსა და ნაცნობებს მოშორებულ ახალგაზრდა პოლიტიკური დამნაშავე ბევრს იოშენდა, სანამ შენეეოდა იქაურობას, სანამ ისწავლიდა პოლონურ ენას და შეიძენდა მეგობრებს.

დიდებული პოეტის გრიგოლ ორბელიანის შეხვედრა უცხოეთში, ადვილი წარმოსადგენია, რა ბედნიერება იქნებოდა როგორც მისთვის, ისე გრიგოლ ორბელიანისთვისაც. ეს მოხდა ვილნოს მახლობლად, სამხედრო ბანაკში, როცა მის ქარავში მივიდა მისივე ბედის თანახმარი, სახელგანთი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც თავის მხრივ არ იცოდა, თუ ვის ხედავდა.

ამ შეხვედრის შესახებ გ. ერისთავის ბიოგრაფი იონა მეუნარგია წერს, რაც გრ. ორბელიანისაგან შეუტუტია: ერთხელ ვილნოში ვიყავი და ნაცნობ პოეტის კომანდირს შევხვდი. რომელმაც ქართველი პრაპორშჩიკის ყოფნა მითხრა მის პოლკშიო. პოლკი თურმე ბანაკად იყო ვილნოდან ვასული, და ცნობისმყოფარე პოეტი წავიდა ამ უცნობი პრაპორშჩიკის საძებნელად. ბევრი ვეძებე, სთქვა პოეტმა, და ბოლოს ერთი ქარავი მიჩვენეს, რომელშიაც უნდა ყოფილიყო ეს პრაპორშჩიკი. შევედი და რა ენახე? საღამოს პირზედ, დღის მუშაობისაგან დამაშურალი წამოწილილი იყო ლოგინზე ვიორგი ერისთავი და ღრმად ეძინაო.

— ვიორგი!
— გრიგოლი!
გაისმა თურმე ძახილი და ორი მეგობარი

1 გერონტი ქიქოძე, ვიორგი ერისთავი, „მნათობი“, 1944 წ. № 7-8.

გადავიხეინენ ერთმანეთს. ამ შეხვედრის შემდეგ გრიგოლსა და გიორგის კავშირი აღარ გაუწყვეტიათ, ერთმანეთს უგზავნიან წერილებს და ხედეზიან კიდევაც: გ. ერისთავის ერთ წერილში ვკითხულობთ: „თუ შეგეძლოს გამოდი, დღეს ჩემს მეგობარს ქალები ჰყავს... ქალაქიდან დაპატივებულნი“, ხოლო სხვა წერილში სწერს: „რამდენი ხანია ვერა ვნახეთ“... უცდიათ კიდევაც, რომ ერთ ნაწილში მოხედრალიყვნენ: — „ვერ მოიკალე? გამოდი და ერთმანეთს შევიხილოთ, ვიღონოთ ამ ჩვენს უკულმა ძალღურს ბედზედ — აღუქსანდროვთან იყავი თუ არა? ჰყოთვე ჩემის შენთან ვად-მოყვანისა?“ — სწერს ერთ-ერთ წერილში გიორგი გრიგოლს, ხოლო მეორე წერილით ატყობინებს: „რუსულად დავწერე სატარა ყი-აზათთ აქაურს ბაღზედ, რომელიც ქონდათ ზასედატელებს в день рождения ისპრაენი-ა, პოლკოვნიკს წყავითხე. შითხრა მე ისე მეგონა შენ რუსული წერა სულ არ იცოა.“¹

ამ მიწერ-მიწერიდან იჩქვევა, რომ პოლონეთში მყოფი გიორგი ძმას მოუნახულებია.

„სხვა ძმაო გრიგოლ! ჩემი ძმა მოვიდა ჩემთან შობას, გავაცან ON VOXHITIA MENIA SVOSIO LONNOSTYU ბიჭო ყაამათი შეიქნა ნამეტანი, სულ პარკეტზედ по Парижский სეტრავს, ერთი სიტყვით, ზოთ კუდა. მრავალი ნაცნობები ჰყავს.“

გ. ერისთავი პოლონეთში ძალიან ახალგაზრდა ვადასახლეს. მან იქ, როგორც აღვნიშნეთ, შეისწავლა პოლონური ენა და გაცი-ნო პოლონური ლიტერატურა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო გ. ერისთავს მკიდრო კავშირი დაემყარებინა პოლონური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა ბიშოპინგებებს ოჯახს. ეს დიდად პოეტური ოჯახი იყო და ახალგაზრდა გიორგიც სულიერ სიახლოვეს გრძნობდა მასთან. მან ლექსიც უძღვნა პოეტს როზალია ბიშოპინგს. ლექსს ასეთი შენიშვნა აქვს. „როზალია ბიშოპინგს — პასუხი მისი ლექსებთან, ვაჟს მოშორებისას“. როგორც ჩანს, როზალიასაც უძღვნია გ. ერისთავისათვის ლექსი. სამშობლოს მოცილებულ გ. ერისთავს დიდი სულიერი მეგობრობა ჰქონია როზალიასთან.

„მამ მე არ ვეტყვი, რომე გშორდები, რადგან გულს მარად თან ვყოლები“ —

მიმართავს სატრფოს ჰაბუკი პოეტი. არის როზალიასადმი მიძღვნილი მეორე ლექსიც, რომელიც პოეტს ალბომში ზაუწერია როზა-

ლიასთვის მისივე თხოვნით. ჰაბუკი „უპასუხი-სა“ და „მტყერისადმი“ მიძღვნილ ლექსებში სევდიანად იგონებს სამშობლო მხარეს, მის ფრთაშესხმულ ოცნებებს. ერთ-ერთ ლექსში — „უცხო ადამიანს“, მის სურვილზე, რომ იგვემოს სიტყბო“ თავისი მამულისა, გ. ერისთავი უპასუხებს:

„სიღრმითა გულთი გრძნობილთი ვარ მადლობელი ჩემის ესრეთის აღერსითა მიღებისათვის მაგრამ არ ძალმიძს დავევიწყო მხარე მშობელი და სიხარულად მიმანჩია ვიტარო მისთვის.“¹

გ. ერისთავმა პირველმა თარგმნა ქართულად ადამ მიცყევიის ლექსები. მან სულიერი ნათესაობა იგრძნო დიდ პოლონელ რომანტიკოსთან, რომელმაც მკათოდ გამოხატა თავისი სამშობლოს სევდა და ხვალისდელი დღის იმედი. ქართველმა პოეტმა საყურადღებო ლექსი უძღვნა მიცყევიისს. გ. ერისთავის, როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ლექსები საინტერესოა თემატიკურად, პატრიოტული განწყობილებითა და გულწრფელობით. შესაძლოა, ორიგინალური ლექსების მხატვრობა ვერ მალდებოდეს ამ დროის ქართული პოეტური ელტურის დონემდე, მაგრამ ისინი ძალიან კარგად გამოხატავენ სამშობლოდან განდევნილი პოეტის განწყობილებას, აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ მან პოლონეთში ბევრი მეგობარი შეიძინა, რომლებიც ყოველმხრივ დახმარებას უწყევდნენ ქართველ ჰაბუკს და ცდილობდნენ არ ეგრძნობინებინათ უსამშობლობა. ეს შეტად ძვირფასი და საგულისხმო ეპიზოდია ქართველი და პოლონელი ხალხის ურთიერთობისა.

გ. ერისთავი 1834-42 წლებს მანძილზე ცხოვრობდა ვილნოში (ახლანდელი ვილნიუ-სი). კენოში, ვოლკოვისკში, რიგაში, ვარშა-ვაში.

გ. ერისთავის ვაფიშვილი დავითი ვაწყდის ცნობას, რომ მამამისი ლექციებს ისმენდა ვილნიუსის უნივერსიტეტში, მაგრამ ვილნიუსის ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ძიდა ბუდრისის 1949 წლის 28 დეკემბერს დაწერილ წერილში შემდეგი ცნობაა:

1. გ. ერისთავს არ შეეძლო ლექციები მოესმინა ვილნიუსის უნივერსიტეტში 1834-38 წლებში, რადგანაც ნიკოლოზ პირველის ბრძანებით ვილნიუსის უნივერსიტეტი დაიხურა 1832 წელს. გ. ერისთავის ყოფნის დროს

¹ ვ. კენამე, „გიორგი ერისთავი პოლონეთში“, თურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1959 წ. № 10, გვ. 29. **242 - 180**

1. ა. ვაჩეჩილაძე. ნარკვევები მე-19 საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 8, 9.

ნოვოინგერმანლანდიის ქვეითი პოლკის პოდპორუჩიკი თავად ერისთავს, ნათესავეებთან საერთო მამული ვასაყოფად და შინაური საქმეების მოსაწესრიგებლად.

იმის გამო, რომ პოდპორუჩიკი თავადი ერისთავი ჩარეული იყო საქართველოში 1832 წელს მომხდარ შეთქმულებაში, რის გამოც ის აქედან გადაყვანილ იქნა პირველ ქვეით კორპუსში — წინადადებს ვაძველ თქვენს აღმატებულებას, ამ ოფიცრის თბილისში ჩამოსვლისთანავე განკარგულება გასცეთ მის მიმართ ზედამხედველობის დაწესების შესახებ, და დაუყოვნებლივ მიაცნობოთ მე თქვენს მიერ შენიშნული ყოველი მისი შეუფერებელი საქციელის, ანუ ნალაპარაკების, ამ ურთიერთობის შესახებ. ხელს აწერენ: გენერალ-ლეიტენანტი გოლოვინი, შტაბის უფროსი — გენერალ-მაიორი კოცებუ.

ამევე შინაარსის მიმართებს მთავარმართველი გოლოვინი უვზავნის სასამართლოსა და განჩინების უკმდეიციის უფროსს, რომელიც იმ დროს სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობას ასრულებდა. ასეთივე ხასიათის საიდუმლო მოხსენება დაწერილია დიმიტრი ორბელიანის შესახებაც, რომელიც, ისე როგორც გ. ერისთავი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იყო და 1838 წელს დახრუნდა სამშობლოში.

ამრიგად, ამ დოკუმენტით, ერთი მხრივ, ნათელი ეფინება გ. ერისთავის 1839-41 წლების ცხოვრებას და, მეორე მხრივ, ირკვევა, რომ გ. ერისთავზე ისე, როგორც შეთქმულების სუბა მონაწილეებზე, სასტიკი შეთვალურებოა ყოფილა დაწესებული.

გარდა ამისა, გიორგი ერისთავის კომედია „დავა“, რომლის ერთ-ერთ უძველეს ავტორად დაწერის თარიღად 1840 წელი აწერია, — პოლონეთში ყოფნის დროს უნდა იყოს დაწერილი¹.

გ. ერისთავს ბევრი პოლონელი მეგობარი ჰყავდა. გ. ერისთავი პოლონელებს ადრევე გადასახლებაშიც იცნობდა. მაშინ საქართველოში დაახლოებით ხელთასმდე პოლონელი იყო გადმოსახლებული ნიკოლოზ პირველის მიერ.

პოლონელ გადმოსახლებულთა შესახებ საინტერესო ცნობები შემოუნახავს საქართველოს ცენტრალური არქივის საისტორიო განყოფილებას. აქ დაცულია დოკუმენტი, სიოდანაც ვვებულობთ, რომ კავკასიის მეფის ნაიკვალს თბილისის სამხედრო გუბერნატორისათვის მიუწერია, რათა მას განსაყუთებოთ

მაკრად ედევნებინა თავადი 1835-1840 წ. ვილნოს სამედიცინო აკადემიის კურსდამთავრებულთათვის, ისე, რომ „მედიკრე მრეკურით საშუალება ქართველ მფინსლერქამქმე ვერცყლებინათ ხელისუფლებისადმი სიბუღვილი“. აღსანიშნავია, რომ გ. ერისთავი ვადასახლებაში „ასეთსავე ზედამხედველობაში იყო მაგრამ იგი, ისე როგორც პოლონელნი, ამერსებდა იქარ მონინავე ოჯახებთან დაახლოებას. ვადასახლებაში მყოფ გ. ერისთავს პოლონელთა და ლიტველთა მონინავე ოჯახებში დიდი პატივისცემით ეყურობოდნენ, ირკვევა, რომ გ. ერისთავი მონაწილეობდა ოჯახებში გამართულ შეკრებებზე: ამ მხრად საინტერესოა ევლინისს მუხეღში დაცული ცნობები აქ აღნიშნულია: „დამსწრე, რომელიც აგვიწერს 1836 წელს ევლინისში გამართულ ბალს, მონაწილეთა შორის ასახელებს „ახალგაზრდა ქართველ თავდასაც“. ცხადია, ის ქართველი თავადი, ოჯახებში გამართული შეკრების მონაწილე, გიორგი ერისთავია.

გიორგის ქართული ლიტერატურითა და საქართველოს ისტორიით დაუინტერესებია ერთ-ერთი პოლონელი პატრიოტი ინჟინერი კაზიმირ ლაფინსკი, რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა.

ლაფინსკი პოლონელი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი იყო. მის მამას თეოდიმპრობელობის წინააღმდეგ პოლონეთის აჯანყებაში მიუღია მონაწილეობა და, დაღუპულა კიდევ ბრძოლაში. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია „იმ პირთა სია, რომლებიც, როგორც პოლიტიკური დამნაშავენი, გადმოსახლებულნი იყვნენ კავკასიაში ქარის ნაწილებში“. პოლიტიკურ დამნაშავეთა ეს სია შედგენილია 1851 წელს, ამ სიაში ირიცხება გ. ერისთავის პოლონელი მეგობარი კ. ლაფინსკიც.

კ. ლაფინსკის მე-19 საუკუნის 40-იან წლებში, კერძოდ 1847 წლიდან 1856 წლის მანამდე თბილისში უცხოვრობდა და ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონია გადასახლებიდან დაბრუნებულ ქართველ მწერალ გიორგი ერისთავთან.

კაზიმირ ლაფინსკი საფუძვლიანად გასცნობია ქართველი ხალხის ისტორიის და კულტურას. მასზე განსაყუთრებელი შობაშუილეება მოუბღენია შოთა რუსთაველის უცვდავ პოეზიას „ვეფხისტყაოსნის“ და ვადაწვევებია მისი პროზაულად პოლონურ ენაზე თარგმნა. ამ მეტად ძნელი საქმის განხორციელებაში კაზიმირ ლაფინსკისათვის გიორგი ერისთავს დიდი მეგობრული დახმარება გაუწვია.

1863 წელს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი თავისი წინასიტყვაობით კაზიმირ ლაფინსკის „ბაბლიო-

¹ ვრ. კაკიაშვილი, „ახალი დოკუმენტი გ. ერისთავის შესახებ“, ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., № 42, გვ. 4.

² ა. ვაჩეჩილაძე, „დროშა“, 1969 წ., № 1.

თუკა ვარშავისა“ მეოთხე ტომში გამოქვეყნება.

აღნიშნული თარგმანის წინასიტყვაობაში ყურადღებას იქცევს კაზიმირ ლაფინსკის ის დიდი კმაყოფილება, რომელსაც ის „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე პროზაულად თარგმნის საქმეში დახმარებისათვის ერთი ქართველი მეგობრის შიშართ გამოხატავს.

„შესანიშნავი ნაწარმოებია, მეგობრობის საწინდრად რომ გადავუცქცია. წერს კაზიმირ ლაფინსკი — იყო სახელმძღვანელო აზრი ბრწყინვალე ქართველისა, რომლის გვარი მისი პირადი თხოვნით, არ მინდა დავასახელო, მაგრამ მე მინდა ხაზი ვავუსვა იმ გარემოებას, რომ იგი წლების განმავლობაში მითარგმნიდა და მიხსნიდა თავის საყვარელ პოეტს, ვინაიდან ქართული ენის შესწავლაში წინ ვერ წაიწიეთ.“

კაზიმირ ლაფინსკის ამ გულთბილი და მეგობრული სიყვარულით აღსავსე სიტყვებიდან გარკვევით ჩანს, რომ პოლონურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად თარგმნის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის პოლონური ენის მკოდნე გ. ერისთავს. [გიორგი ერისთავის შვილის — დავით ერისთავის მეგობრისადმი ვაუხავნილ წერილში ეკითხებოდა: „ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია დაგისახელო პოლონურ ენაზე პროზით თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, ამასთანავე გირდგენთ სრულ სათურს. პოლონურ ენაზე ლაფინსკის იგი უთარგმნა მამაჩემმა, ცნობილმა ქართველმა პოეტმა და ქართული თეატრის დამფუძნებელმა განსვენებული მამაჩემი — გიორგი დავითისძე, გადასახლებული იყო პოლონეთში... შვეიცარიად შეისწავლა პოლონური ენა, ისმენდა ლექციებს ვილნოს უნივერსიტეტში, თარგმნიდა ძალიან ბევრს მიკვეთიდან ქართულ ენაზე.“]

მოტიანილი საბუთებიდან გარკვევით ჩანს, რომ ის ქართველი, რომელსაც კაზიმირ ლაფინსკისთან ერთად, პოლონურ ენაზე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად თარგმნის საქმეში დიდი შრომა ვაუწყებია, ყოფილა გიორგი ერისთავი.

პოლონურ ენაზე პროზაული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ქართველი საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვედრია. იმ დროს ცნობილ მოღვაწეს — ივ. კერესელიძეს, კ. ლაფინსკის თარგმანზე დართული წინასიტყვაობა 1870 წლის ჟურნალ „ცისკარის“ № 36-ში გამოქვეყნება.

კაზიმირ ლაფინსკის „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ თარგმანს გამოცემული დიდი სიყვა-

რულით და პასუხისმგებლობით შესწავლია. თავის წინასიტყვაობის დასასრულს ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს, „ქრისტეშენი“ შეისანიშნავი ნაწარმოებია თარგმნის „ცისკარის“ გამოცემაში. იმ მიზნით, რომ ქართველი და პოლონელი ხალხები ერთმანეთთან დამეგობროს.

წინასიტყვაობაში ლაფინსკი წერს: „ქართველმა ბევრი აციან პოლშაზე. თვრამეტის საუკუნის დასაწყისში მძევ ვახტანგმა თავის ზრინიონში გამოკრიბა ზოგიერთი ცნობები ოთხის პოლშურის ისტორიითგან; მიკვეთის თხზულებითგან აგრეთვე ვადათარგმნილი არის ზოგიერთი ლექსები ქართულს ენაზედ. ვეფხისტყაოსანი პირველი ქმნილება არის ქართველელის პოეზიაში, რომელსაც არა სცნობს ვერ აქამდენი ქვეყანა. მე რომ ვთარგმნი ამ პოემას, ეს არის პირველი ნაბიჯი; რომელიც ვგვსახურებს დასამეგობრებლად პროშეტის სამშობლო ქვეყნისა. ეს აზრი, რომ თვით უპირველესი პოეზია შეიქმნა გირად ჩვენის მეგობრისა, იყო ხელმძღვანელი განათლებულის ქართველისა (ამას ამბობს გიორგი ერისთავებო“ — შენიშნავს ი. კერესელიძე) იმის გვარს არ ვახსენებ, ამისათვის რომ თვითონ არ იცნებ: რომელიც მთელი ორი წელიწადი მითარგმნიდა თავის საყვარელი ქართველ პოეტის ქმნილებასა. ჩვენი შემოება ვეფხისტყაოსანზედ რომელსაცა ვახმარებდით თითქმის შეუღამებდინ, დარჩა პირველ სახსოვრად ტფილისს“. წინასიტყვაობის დასასრულს კ. ლაფინსკი წერს: „რა ვრჩებით წინასიტყვაობას, ახლა შეუდგებით თვითონ პოემასა. ასე, რა ვთარგმნი პოლშურს ენაზედ ჩემო ვეფხისტყაოსანო, ჩემო წიგნსს მიემელო, გამოიკვებულო, გამოი ქვეყანაში! მე დიდათ მსურს, რომ ამით რამდენიმე გული მსურვალე პოლიაქისა შეარყო და შეაყვარო საქართველო“.

კ. ლაფინსკის პოლონურ ენაზე გამოცემა აგრეთვე ქართული ანდაზები, ივანე კერესელიძე შენიშნავს: „ამავე ავტორს გამოცემა ჩვენი ანდაზები პოლშურს ენაზედ“. მასვე ვუთხრის „მოგონებები საქართველოზე“ და „ბილისიდან არარატამდე მოგზაურობის წიგნი“.

კ. ლაფინსკი თავის ვრცელ წინასიტყვაობაში, რომელიც დაწერილია ქართულიდან დიდი სიყვარულით, მკითხველს აცნობს საქართველოს ისტორიას, ქართულ ლიტერატურას, ქართველი ხალხის ზენ-ჩვეულებებს.

აღსანიშნავია, რომ კ. ლაფინსკი ერთ ნაწარმოებში გიორგი ერისთავს ასახელებს არა პირდაპირ, არამედ ზოგადად მიუთითებს „ერთ ნათელ ქართველ პიროვნებაზე“, რომელსაც

1 ნ. ნიკოლაიშვილი, მე-19 საუკუნის პოლონელი რუსთველოლოგები, ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966 წ. 2.9;

2 „ცისკარი“, 1870 წ. № 6, გვ. 265.

1 ნ. ნიკოლაიშვილი, მე-19 საუკუნის პოლონელი რუსთველოლოგები, ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966 წ. 2.9.

მისთვის უხობოია, არ დასახელოს მისი ვინაობა, გვარი.

რატომ არ სურდა გ. ერისთავს თავის ვინაობის გამოხატვა? ამას თავის ღრმა მიზეზები ჰქონდა. ამის თაობაზე მკვლევარი ამრამოვიჩიუსი, რომელმაც შეისწავლა გ. ერისთავის შესახებ ელენუსში დატოვებული ცნობები, შენიშნავს: „კ. ლაფინსკის საესეებით შეგნებულად არ უნდოდა თავის მეგობრის — გ. ერისთავის დასახელება როგორც ბეჭდურ შრომებში, ისე თავის პოლონელ მეგობართან ვაგზაფერი წერილში. პოლონელი მეგობრის შეიღის ყარვად ესმოდა „ნათელი ქართულის“, თავისი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი პირადების სურვილი — დარჩენილიყო უცნობი, რომ არ მიეცა ევქვებისათვის საბაბი“. ვასაგებია, რომ კ. ლაფინსკი და გ. ერისთავი მეფის მთავრობას უმაღლეს, თავიანთ ურთიერთობას!.

ასევე ცნობილია პოლონელი მწერალი თადეუშ ლადაზაბოლოცი. იგი ისევე როგორც კ. ლაფინსკი, ცარიზმის წინააღმდეგ გამოსვლისათვის გადმოსახლებული იყო საქართველოში (1837-1847). ზაბოლოციის ახლო მეგობრობა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან — ნ. ბარათაშვილთან, მ. თუმანიშვილთან, გ. ერისთავსა და სხვებთან. იგი იმდენად დაუახლოვდა ქართულ კულტურას, რომ ვადაწყვეტილი ჰქონდა დაეწერა ნარკვევი ქართულ მწერლობაზე და საქართველოს ისტორიაზე. მასალებსა აგრეთვე, მაგრამ ალარ დასცალდა, სრულიად ახალგაზრდა 1847 წელს გარდაიცვალა. მან პოლონურად თარგმნა მ. თუმანიშვილის ლექსი „ფილა“.

პირველ ცნობას „ვეფხისტყაოსნის“ პოლონური თარგმანის არსებობის შესახებ გვაწვდის იუანე კრესელიძე 1870 წ. ეფრნალ „ცისკარში“, ამ საკითხის გამო სპეციალურად მიმდინილ წერბრში, სადაც იგი წერს:

„ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა შრომა გასწია პატივსაცემმა აჯღღმემა ბროსემ და რამდენი წიგნებია თარგმნა, ქართულითგან ფრანცუზულს ენაზე.“

სხვათაშორის, ამ პატივცემულმა საქართველოს მეისტორიემ უთარგმნა ფრანცუზებს ჩვენი ჩინებული და ჩვენთვის ძვირფასი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაცა ვაკვირებით შეხედეს ფრანცუზებმა; რუსულს ენაზედ სთარგმნეს ნაწყვეტები, შიგადაშიგ, რომლის ღირსებაზედ აქ არა ვხედავთ საქირთთ მოვილაპარაკოთ და ენ იფიქრებდა თუ ეს პოემა იქნებოდა ნათარგმნი პოლონურს ენაზედ, არა

ნაწყვეტბად, როგორც რუსულს ენაზედ, არამედ თავიდან მოყიდებული ბოლომდე!.

ამავე წერილიდან ვგებუდობთ, რომ ეს სასიხარულო ცნობა ივ. კერესელიძისათვის შეუწვდია თბილისში მცხოვრებ ვინმე განათლებულ თვალის ექიმს, ისევე ტალკო და მასვე უთარგმნია, კერესელიძის თხოვნით, „ვეფხისტყაოსნის“ პოლონური თარგმანის წინასიტყვაობა რუსულად; აი ამ მასალაზე აუგია კერესელიძეს თავისი წერილი, სადაც არ აღუნიშნავს, თუ სად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ეს პოლონური თარგმანი. ამის შესახებ პირველად გარკვეულ ცნობას გვაწვდის ნიკოლოზ გულაკი:

«Другой опыт перевода или, скорее, сокращенной хотя довольно подробной передачи содержания всей поэмы, я нашел в польском журнале: Biblioteka Wanszawska (том IV, год 1863). Некто Казимир Лапчинский рассказал там на страницах: 1—38; 250—292, 495—514 все содержание Барсовою Кожн»¹.

კაზიმირ ლაფინსკიმ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი გამოაქვეყნა ვარშავაში 1863 წ. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ, რატომღაც, გიორგი ერისთავის თხზულებათა არცერთი გამოცემული და ბიოგრაფი არას ამბობენ გ. ერისთავის როლზე ამ თარგმანის განხორციელებაში, მაშინ როდესაც „ცისკარს“ რედაქტორი ივ. კერესელიძე გარკვეულ ცნობას გვაწვდის 1870 წ. „ცისკარში“ მოთავსებულ წერილით „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურად თარგმნის საქმეში მონაწილეობაზე. თავისი თარგმანისათვის ლაფინსკის საფუძვლად დაუდგია „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემა ბროსე-ფლავანდისეული-ჩუბანოვისა, რომელიც 1841 წელს დაიბეჭდა, რაც ირკვევა „ვეფხისტყაოსნის“ პოლონური თარგმანის წინასიტყვაობიდან.

ბროსეს გამოცემის დასახელებით ირკვევა, რომ პოლონური თარგმანი შესრულებულია მეტბრამეტე საუკუნის 50-იანი წლების საზღვარზე. ამტომ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს ივ. კერესელიძის განცხადებაში: „სამწუხაროდ, ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ წიგნში არა ჩანს, თუ რომელს წელიწადში არის ნათარგმნი და როგორც ტალკო გვარწმუნებს. ვითომც ეს ეთარგმნოს ამ ორმოცი, თუ ორმოცდახუთის წლის წინათ (ე. ი. 1825-30 წლებში) ერთს იხეინებს პოლიაკსა, რომელიც

¹ ა. ვაჩიჩილაძე, „ჩვენი პოლონელი მეგობრები“, „ღროშა“, 1969 წ., № 1.

² სულ. იორდანიშვილი, „ვეფხისტყაოსნის პოლონური თარგმანი“, ვაზ. „ლტერატურული საქართველო“, 1938 წ., 10 იანვარი.

¹ სულ. იორდანიშვილი: „ვეფხისტყაოსნის პოლონური თარგმანი“, ვაზ. „ლტერატურული საქართველო“, 1938 წ., 10 იანვარი.

მსახურებდა თურქე კავკასიაში და რომლის გვარი უფილა კახიძის ლოქანსკი.¹

ცხადია, 1825-1830 წლებში პოლონური თარგმანი ვერ გვაქვს დღემდე, რადგან, ყვერ ზრთი, მაშინ ბროსეს გამოცემა არ არსებობდა და მეორეც ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ დროს გიორგი ერისთავს შესძლებოდა ისეთი თანამშრომლობის გაწევა პოლონელი მთარგმნელი-სათვის, რომ ეს საგანგებოდ აღსანიშნავი უფილა იყოს. მითუმეტეს, რომ ის ყვერ პოლონეთში ნაშეყოფი არ იყო და, მაშასადამე, პოლონურა ენაც არ იცოდა.

ამის გარდა, ლაფინსკი იმავე წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ „მიცევერის, თხზულებითგან ვადათარგმნილი არის ზოგიერთი ლექსები ქართულს ენაზედ“. ეს ცნობა კი უმკველად გ. ერისთავს თარგმანებს გულისხმობს და გარკვეულ პერიოდზე მიგვიითოებს, სახელდობრ, 1838 წ.

წინასიტყვაობაში მოცემულია ქართული ერის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, რუსთაველის ტრადიციული ბიოგრაფია, პოეზისა და იმ დროისათვის არსებულ გამოცემათა (ეპიტაფისა და ბროსესი) შეფასება: აი რას სწერს ჯ. ლაფინსკი: „თუმცა ზოგნი უწოდებენ ვახტანგს პიზისტრატად, მაგრამ ზენა გეგონია, რომ შრამა „ეფეხისტყაოსანზე“ არ არის კიდევ დასრულებული, ისე წახედენია სხვადასხვა მზახავენსა. ამასი ისე ნათლად შეხედება შეითხველს სხვისგან წახდენილი ტაუებუი, რომ არაფრისთანა მუსიკა არ გამოდის და შეატუბოს, რომ ვილაცა უნიბოს აურდაურგეია.“²

აღსანიშნავია, რომ კრიტიკულ აღლოს ლაფინსკი „ეფეხისტყაოსნის“ სტროფების თარგმნის დროსაც იწენს. მაგალითად, მას არ უთარგმნია 113 სტროფი (კ. კიბინაძის 1934 წ. გამოცემით — 120 სტრ.). „თუ უფილა იგი მოუშე ზორციელი, ხმელთა მელად...“ და 242 სტრ. ყმა ეტყვის: „ხედავ სისხლისა თვალთა მდის ცრემლთა წაღებ...“ (კიბინაძის გამოცემა — 260). მათ შესახებ იგი შენიშნავს: არ არის რუსთაველისათ. ვფიქრობთ, რომ ლაფინსკი არ ცდებდა, უფილა შემოხვევაში, ეს სტროფები არც ჩვენმა კომისიამ და არც შემდგომმა სარედაქციო კოლეჯამ „ეფეხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტში არ შეიტანა.

ვადასახლების წლებში გ. ერისთავმა მრავალი ლექსი დაწერა.

უცხო ქვეყანაში პოეტი გულთბილად მუდლიათ. „ბედით კპოვნილი აბალი მეგობარნი“

¹ „სიყარი“, 1870 წ.
² სოლ. იორდანიშვილი, „ეფეხისტყაოსნის პოლონური თარგმანი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ., 10 იანვარი.

იწვევენ მას თავისთან, სობოვენ შეყავს/ღვირო ნიშნად მეგობრობისა. ერისთავს საქართველოს ლიტერატურულ-მეცნიერულ-დაცულ გ. ერისთავის ერთ-ერთ კრებულში (ხელნაწერი № 18032) შესულია პოეტის მიერ ამავე რიცხვით დათარიღებული ერთი უცნობი ლექსი სათურთ „ი. კასიოვისკის ანტიკვიარის, ეამსა გამოსალმებისასა“. აღნიშნული ლექსი აღწერილია საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ბიბლიოგრაფიაში (1949 წ. გვ. 91), მაგრამ რატომღაც გ. ერისთავის თხზულებათა უქანასწერლ გამოცემაში (1966 წ.) შეტანილი არ არის. მოგვყავს ეს ლექსი მთლიანად.

ი. კასიოვისკის ანტიკვიარის, ეამსა გამოსალმებისასა
იოსებ, რადგან შენ ზარ ბრძენი, ანტიკვიარი, რომე უწყო, ბუნებასა რაცა დუწერია, ადვილად წაუეთხავ ზემსაც დაწერილებას, გესალმება ქართველი, ნუ მისცემ დავიწყებას და გთხოვ, რომე შემრაცხო, რიცხეთა შენთა მეგობართა და მათთან განმობედე მოგონების მეც კარს.

10 ივლისს, 1938 წელს: ქ. ვოლკოვისკს.

როგორც ჩანს, ეს ლექსი ავტორს დაუწერია იმ ხანებში, როცა იგი მკირე ხნით სამშობლოში მოდიოდა და უცხოელ მეგობრებს ეთხოვებოდა.¹

მწუხარე პოეტის გული ვაუტაცნია მხოლოდ გ. მიცევერის ლექსებს. პოეტის თქმით, მეტად სასიამოვნოა მგონისათვის ის საღამო: „რა კპოებს ეაცსა ერთისა გრძნობით, ერთის ოცნებით, ერთისა ცნობით“. იგი მეგობარ პოეტს მოუწოდებს, სანამ „გულის საითს ვაქვი არ გაწყვეტო იმზიარულოს. მგრძნობიარე გულში შობილი აზრი „ზარდოს აღერსით“ (ა. მიცევერის, პოეტი).

ყველაზე მეტად გ. ერისთავი ადამ მიცევერით უფილა გატაცებული. მაგრამ აქ საქმე მარტო თარგმანებში არ არის. სრულიად ბუნებრივად ისმის უკვე გავლენის საკითხი. თუთი ერისთავის ორიგინალურ ლექსებშიაც მოსმის მიცევერისული პანეგები. ერთნაირმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ განსაზღვრა ა. მიცევერის გავლენა გ. ერისთავის პოეზიაზე. „პოლიგრიმი“, „პოტოკის საფლავზედ“ და სხვა ლექსები, რომლებიც თარგმნა გ. ერისთავმა, ამავე დროს ორიგინულად გადატყდა მის პოზიციაში ა. მიცევერის სხვა პოეტურ ნაწარმოებებთან ერთად, რომლებ-

¹ ლ. ნანიტაშვილი, „გ. ერისთავის მიეწვებული ლექსი“, „დროში“, 1967 წ., № 3.

შიაც მთავარი პატრიოტულ-რომანტიული განცდები იყო.¹

როგორც ირკვევა, ცნობილ პოლონელ პოეტს ადამ მიცკევიჩს მეორე სახელად ანტონი არ ერქვა. მას ჰქონდა სამი სახელი: ბერნარდი, ნაპოლეონი და ადამი. ეს მიცკევიჩი კი, სახელად ანტონი, იყო პოლკოვნიკი, ჩამოსული საქართველოში, რომელიც ლექსებს წერდა, დაახლოებული იყო გ. ერისთავთან და ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილმა

¹ გ. ერისთავი, თბუღებანი, შიდა რაიონისა და ბალახაშვილის რედაქციით, 1963 წ., გვ. 37.

მას უძღვნა ლექსი „მიიორ ანტონ მიცკევიჩს“ (პოეტს).¹

გ. ერისთავს, როგორც საზოგადოებრივ მოღვაწეს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 19 საუკუნის 50-იან წლებში. იგი ცნობილია, როგორც პოეტი, დრამატურგი, ქართული პროფესიული თეატრის სულისჩამდგმელი, მსახიობი, ეჟენალ „ციცკრის“ დამაარსებელი მისი პირველი რედაქტორი და გამომცემელი. ამავე დროს პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც ფართო ლიტერატურული ურთიერთობა დამყარა პოლონეთთან.

¹ ლოპის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პოგდან ბარანოვსკი.



ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაჩენი

სარეცენზიო ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის ორი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლის — „ხელმწიფის კარის გარიგებისა“ და „დასტურლამალის“ შეცნობრულად დადგენილი ტექსტები, თვითველი ძეგლისადმი მიძღვნილია გამოკვლევა, ვრცელი ლექსიკონები და საძიებლები. ამასთანავე, წიგნში მოცემულია „ხელმწიფის კარის გარიგების“ რუსული თარგმანის ორი ვარიანტი: 1) ივ. სურგულაძისა და 2) ექვთ. თაყაიშვილის მიერ შესრულებულ წიგნში წარმოდგენილ თვითველ ძეგლისადმი მიძღვნილ გამოკვლევას ახლავს რუხიუშე რუსულსა და გერმანულ ენებზე.

წინასიტყვაობა, ანოტაცია და სარჩევი წარმოდგენილია ქართულსა, რუსულსა და გერმანულ ენებზე. წიგნი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი ნაწილისაგან შედგება.

ორივე ძეგლი თავისი შინაარსით სახელმწიფო სამართლის განკუთვნილება და ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ისტორიისა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერი აღმოაჩინა ექვ. თაყაიშვილმა და მანვე გამოსცა ის 1920 წელს. ექ. თაყაიშვილი სწერდა ამ ძეგლის შესახებ:

„ჩვენ თამაზად შეგვიძლია ეთქვათ, რომ კარის გარიგების აღმოჩენა ზემოთა ჩვენი ისტორიისათვის.“² ივ. ჯავახიშვილის აზრით „ხელმწიფის კარის გარიგების“ შინაარსი „ომდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წყობილების, ისე კულტურული, ეკონომიური და ნივთიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად უღარესი მნიშვნელობა აქვს.“³

ქართული სამართლის ძეგლები, 1 ხელმწიფის კარის გარიგება, 2 დასტურლამალი. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ, 1970. გვ. 890.

² პროფ. ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის გარიგება, 1920 წ. გვ. XXXVIII

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის I, 192 წ. გვ. 67-68.

ივ. ჯავახიშვილი ადარებს ერთმანეთს „ხელმწიფის კარის გარიგებასა“ და „დასტურლამალს“ და წერს რომ, ისეთი მრავალფეროვანი და „უხვი ცნობების შემცველი — ძეგლი“ როგორც „ხელმწიფის კარი გარიგება“, 18 ს. დამდეგამდე არ მოგვეპოვება“. ზოლო მე-18 საუკუნის დამდეგს შედგენილი „დასტურლამალი“ თუ „შეედრება და აჯობებს“ კიდევ „ხელმწიფის კარის გარიგებასა“.¹

განუზომელია ორთავე ძეგლის მნიშვნელობა ქართული კულტურის, ეკონომიკისა, სამართლის და საერთოდ ქართული ხალხის ისტორიის შესასწავლად. სარეცენზიო წიგნი წარმოდგენილია ორ ნაწილად: პირველ ნაწილში მოცემულია „ხელმწიფის კარის გარიგება“, მეორეში „დასტურლამალი“

გაუარჩიოთ სარეცენზიო წიგნის თვითველი ნაწილი.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ დუბირილი უნდა იყოს მე-14 საუკუნეში, ზოლო ჩვენამდის მოღწეულია ამ ძეგლის მე-18 საუკუნის ერთადერთი ხელნაწერი. ნუსხა-ბუცურით შესრულებული: ხელნაწერი ნაკლებია, მას აყლია ნახევარზე მეტი, ამიტომ ძეგლის შინაარსი ძნელი ვსაგებია. ამასთანავე ძეგლი: ავტორი ცდილობს რაც შეიძლება ლამაზად დასტურებს მარაგის ნაგლები რაოდენობით გამოთქვას თავისი აზრი, რაც კიდევ უფრო აძნელებს ხელნაწერის ცალკეული ადგილების დადგენას.

ექ. თაყაიშვილი ამ ძეგლის გამოკვების წინასიტყვაობაში წერს, რომ მას განზრახული შეიქმნა ამ ძეგლის გამოკვება რუსული თარგმანით, მაგრამ თებერვლის რევილიციამ ეს საქმე ჩამალა.² სარეცენზიო წიგნის ავტორმა, ლენინგრადში ნ. შარის არქივში გამოაქვლინა „ხელმწიფის კარის გარიგების“ ექ. თაყაიშვილმაცემული

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, ნვ. 67-68

² ექ. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება 1920, გვ. XXXVI-XXXVII ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 2.

ლა რუსული თარგმანის აწეობილი ტექსტის ნაწილი ნ. მარის შენიშვნებითა და გამოკვლევით. ნ. მარის სწერს: ძველი უნდა დაბეჭდილიყო ჩემი რედაქციით, მაგრამ თებერვლის რევოლუციის დროს აწეობილი ტექსტის დიდი ნაწილი დაიკარგა, ძველის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის გამო საჭიროდ მიმახსია გამოვეყვადარჩენილი ნაწილი ჩემი გამოკვლევითა! ამის გვეყვება ნ. მარამ სიცოცხლეში ვერ მოასწროა.

სარეცენზიო წიგნის ავტორმა, ექვთ. თაყაიშვილის არქივში გამოავლინა „ხელშეწივის კარის გარიგების“ რუსული თარგმანის სრული ტექსტი დასაბეჭდად გამზადებული და თავისი თარგმანის პარალელურად მოგვცა ის წიგნში.

ამგვარად სარეცენზიო წიგნში ზევნ ვაქვას: ძველის ქართული ტექსტი, სარეცენზიო წიგნის ავტორის მიერ შესრულებული ძველის რუსული თარგმანი და ექ. თაყაიშვილის თარგმანი.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ ძველის შინაარსი ძალზე ძნელი ვასაგებია. ამიტომ რუსული თარგმანის მნიშვნელობა ვანუზომლია: ფაქტობრივად თარგმანი ამ შემთხვევაში არის ძველის წაკითხვა, რა თარგმანის სახით ჩვენ ვვაქვს რაი წაკითხვა. გარდა ამისა, თარგმანით გაადვილებულია ძველის შინაარსის ვაგება და ძველი ხელმისაწვდომი ხდება ქართველთა ფართე საზოგადოებისათვის. თარგმანი ძველს ხელმისაწვდომად ხდის სადის ვარუთვე რუსულ ენის დაუფლებული მკითხველისათვის.

ექ. თაყაიშვილის რუსულ თარგმანს ახლავს ნ. მარის შენიშვნები. სარეცენზიო წიგნის ავტორს „ხელშეწივის კარის გარიგების“ ტექსტზე შემოხიბისა უსარგებლია: 1. ექ. თაყაიშვილის შენიშვნებით, როდესაც ექ. თაყაიშვილი საჭიროებოში დაბრუნდა, სარეცენზიო წიგნის ავტორს მისთვის ვაუცენია თავის ნამუშევარი, ექვთიმეს შენიშვნები ვაუყვებოთა თავისი გამოკვების ტექსტსა და გამოკვლევაზე 2) ივ. ჯავახიშვილის გამოკვლეოთა და „ხელშეწივის კარის გარიგებაზე“ მის მიერ სპეციალურად ჩატარებული ნამუშევარი, რომლის მარგინალებს, ყუბხიშვილმა ვამიურა და ვამოსცა.

3) კორნელი კეკელიძისა, ნ. ბერძენიშვილისა და პავლე ინგოროყვას გამოკვლევებით და ი. დოლიძის მიერ გამოცემული „ხელშეწივის კარის გარიგებით“.

ივ. სურგულაძის მიერ გამოცემული ტექსტი მრავალ ადგილას განსხვავებულია ექ. თაყაიშვილის მიერ დადგენილი ტექსტისაგან. ეს განსხვავება ვაშოწვეულია: 1) ხელნაწერის ამათვით ადგილის სხვადასხვანაირად წაკითხვისაგან. 2) სასვენი ნიშნების დასმისაგან, 3) აღდგენი-

ლი ადგილებისაზე და სხვა. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს.

1. ე. თაყაიშვილს აქვს: **არქივულნი** ვგარევე წამოვიდნენ **ვკლესიას** შიგნით (წ 3).

2. ...და მაშინლა მისცემს რათა ტაბაყი დადგან სეფე წ 5, გვ. 2.

36.

3) კუონდიდელი მეფესა და საწოლის მწიგნობარი ზარდახნის მწიგნობარსა, წ 6, გვ. 3.

37-40

4) აღესებასა ამირსპასალარი (საკითხავია) ამილახორისა, ამილახორი-მეაბჯრეთ უხუცესისა, მეაბჯრეთ-უხუცესი-მესაწოლეთ — უხუცესისა წ 7, გვ. 3

41-42.

1) ივ. სურგულაძეს ვგარევე წამოვიდნენ. ვკლესიას შიგნით (წ 3).

2) ...და მაშინლა მისცემს [ბრძანებასა], რა(თა) ტაბაყი დადგან სეფე გვ. 33 22-23.

3) კუონდიდელი [მოკითხავს], მეფესა და საწოლის მწიგნობარი [კუონდიდელსა], ზარდახნის მწიგნობარი [საწოლის მწიგნობარსა] გვ. 33 24-27

4) აღესებასა ამირსპასალარი [მოსაკითხავია] ამილახორისა, ამილახორი-მეაბჯრეთ-უხუცესისა, მეაბჯრეთ-უხუცესი — ზარდახნის უხუცესისა გვ. 34

1-2.

მოკითხვა — ე. ი. მისალმება — ევალემობა ერთი და იგივე უწყების უმცროსს (თანამდებობით, პატრიოთ) უფროსისადმი. ასეთი შინაღმებოთ წარდგომა უმცროსის მიერ უფროსის წინაშე დაწესებული იყო დღესასწაულებსა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევის დროს. მესაწოლეთუხუცესი ვეზირთა უპირველესის — კუონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მოადგილე იყო და შეუძლებელია, რომ ეს მისალმებოთ წამდგარიყო ამილახორისადმი (ამილახორი ამირსპასალარის მოადგილე იყო) დაქვემდებარებულ მოხელისადმი, როგორც იყო მეაბჯრეთუხუცესი. მოთავარი კიდევ ის არის, რომ მესაწოლეთ-უხუცესი და მეაბჯრეთუხუცესი სხვადასხვა უწყების მოხელეები იყვნენ. ამიტომ ე. თაყაიშვილის წაკითხვა: არ უნდა იყოს მართებული. მოვიტანოთ სხვა მაგალითებიც.

ე. თაყაიშვილის წაკითხვით:

5) მუშრბიზი რაც ქალაქთა საჭურჭლეთ შევა და ნავაჭრი რაც შევა. § 17, გვ. 9

178-179.

ი. სურგულაძის წაკითხვით:

5) მუშრბიზი (ანგარიშს აიღებს) რაც ქალაქთა საჭურჭლეთ შევა და ნავაჭრი რაც შევა. გვ. 37

1 სსკე მეცნიერებოთა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება ნ. მარის არქივი

ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. წაკითხვაში და ფრთხილ მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვანი განსხვავება მრავალია. შეიძლება ი. სურველადის ყველა წაკითხვა არ იყოს მართებული, მაგრამ მის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას ტექსტზე კოლოსალური მუშაობა ჩატარებია, ყველა საქომპანო ადგილი მიუყვლივია და ამ ადგილების შესახებ თავისი ახსნა-განმარტება დასაბუთებულად მოუცია.

ამა თუ იმ ნაწარმოების ლაყონტრობა, სიტყვების რაც შეიძლება ნაკლები მარჯვი, მაგრამ აზრის სიღრმე, ნაწარმოების დადებითი მხარეა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს გამოყვლილ ლაყონტორ გამოთქმებს იუბრიდიდული შინაარსის ძველებში. მაგრამ თუ ლაყონტრობა იქამდეა მისული, რომ ის შინაარსის გაგებას უშლის ხელს, მაშინ ის უეარვისია. ამ შემთხვევაში კი ძველის ლაყონტრობას ართულებს ზელნაწერის დეფექტურობა, რაც ერთად აღებული ამხლებს შინაარსის დადგენას. მიუხედავად იმ დიდი შრომისა, რომელიც ტექსტის დადგენასა და შინაარსის გახსნაზეა დახარული, ზოგიერთი ადგილი ძველისა მაინც გაუგებარია (გვ. 31, 34 და სხვა).

ძველის შინაარსის გახსნასთან დაკავშირებით სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია ი. სურველადის გამოკვლევა სახელმწიფოსა და სამარტლის იმ ინსტიტუტების შესახებ, რომლებსაც ძველში ეხედებოთ. ინსტიტუტები დასაბუთებულია ვრცლად, სათანადო საბუთიანობით.

დასასიათებულია — შეფის ხელისუფლება (გვ. 18-22), სავაზირო (გვ. 22-23), მწიგნობართუხუცესი — ჭყონდიდელი (გვ. 23-24) ათაბაგი, ამირბასალარი, მანდატუხუცესი, მეჭურჭლეუთუხუცესი, მსახურთუხუცესი (გვ. 24-29) და მოძღვართ-მოძღვარი (გვ. 30-32).

მეფის იმ დასასაბუთებასთან დაკავშირებით, რომელიც ძველებშია მოცემული, აეტორი აუენებს საყოთხს სახელმწიფოს ფორმის შესახებ გაერთიანებული ფეოდალურ საქართველოში (გვ. 19-21).

გამოკვლევაში ნახევნებია, რომ ძველის მიხედვით ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პერიოდში (XI-XIV სს.) საქართველოში ძლიერი ცენტრალიზირებული სახელმწიფოა. სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე. სახელმწიფო აპარატი უწყებების სხიით არის ჩამოყალიბებული. თვითიული უწყების საქმიანობა რეგლამენტირებულია. ცალკეული უწყების სათავეში დგას ვეზირი, რომელსაც ყავს მოადგილე და დაქვემდებარებული სომოხლეო აპარატი.

სამოხლეო აპარატი ზუსტად განსაზღვრულ უფროსს-უმცროსის (უხუცესობის) წესს ემყარება.

მეფე, ძველის მიხედვით, აეტორის დასკვნით, არის მთელ სამეფოში, როგორც საერთო ისე სა-

ეკლესიო საქმეების მეთორი. „ხელმწიფოს კარის ვარიგება“-ში მეფის თვითიული ფეხის გაადაღება, თვითიული მისი შერჩებას სანჯნეზბოდ არის აღწერილი. საეკლესიო საქმეების დროს მეფე მიუძღვება ხალხს ეკლესიაში, ხოლო წირვის შემდეგ სასახლეში მართავს დარბაზობას.

მეფის ტანთაყვამა, ღამით მისი მომსახურეობა, დილით საუდნეციოთ გამოსვლა და სხვა, რომელიც ძველშია ასახული, აეტორის აზრით, დასაყვით ეერობის ქვეყნების ამსოლტური მონარქიის გვაგონებს, ამ საყოთხე აეტორი ამხვეილებს მქიოხველის ყურადღებას და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ძველის მიხედვით აღწერილი სახელმწიფო წყობილება მეფის კულტით, სამხელეო ბუფორკარტით, ისეთ სახელმწიფოს წარმოგვისახავს, რომელსაც ამსოლტრებში ეწოდება.

ამსთანავე, აეტორი ანალიზს უყეთებს ძველში მოცემული მეფის დახასიათების ზოგიერთ ნიშნებს, რომელიც მას აღმოსაყვითის ქვეყნების მეფეების თვისებად მიიჩნია. მეფის ვალმერთება აღმოსაყვითის ქვეყნებთან რომამა შეითვისა და იქედან სხვა ქვეყნებში გააერთყლა. შუა საუყუნეების ბიზანტიაში მეფე „მოყაქულთა სწორია“, ხოლო საქართველოში „ღეთის სწორია“.

სარეცენზიო წიგნის აეტორის აზრით ძველის მიხედვით, საქართველოში ამსოლტრებშისათვის ნიადეგ მზადდებოდა და ძველის დამწერმა ეს ვარემოება ასახა თავის ნაშრომში, ამასთანავე, ძველში მისი დროისათვის პროგრესული იდეებია ვატარებული.

აეტორი ასაბუთებს იმას, რომ ძველში მაღალგანეითარებული სახელმწიფოებრივი წყობილება წარმოდგენილი.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას აქყევს სარეცენზიო წიგნის აეტორი შემდეგ ფაქტებს:

- 1) ძველის მიხედვით ჩამოყალიბებულია სასამართლოს უმაღლესი საყვებური: მწიგნობართუხუცესი — ჭყონდიდლის თამყდომარეობით გოლავგია, რომელშიაც მეფის ზარდახნის და სოლოის მწიგნობარი (გვ. 5). ამ სასამართლოს შემდეგი ფუნქციები აქვს:
 - ა) განსაკუთრებული საქმეების განხილვა
 - ბ) ჩვეულებრივი სასამართლოების მიერ გამოტანილ-განაჩენ გადაწყვეტილებათა ვადამინჯვა დაინტერესებული პირის მოხოვინება
 - ვ) აღმინისტრაციული საქმეების განხილვა.
- სასამართლო აპარატისა და სამართლის ორგანიზაციის ასეთი დამყურეციაცია სახელმწიფოებრივი წყობილების განსაკუთრებით მაღალი კულტურის მაჩვენებელია.
2. სარეცენზიო წიგნის აეტორის დასურათებული აქვს ძველის მიხედვით მოძღვართ-მოძღვრობის ინსტიტუტი. საქართველოში მრავალი

მოდღარი იყო, რომლებიც მსოფლმხედველობის მიხედვით სხვადასხვა მიდინარობას წარმოადგენდნენ.

რუს-ურბინისის საეკლესიო კრება სივანებზე უფრადლებას აქცევს მოძღვრების მოღვაწეობას: როგორც ჩანს ხელისუფლების უფრადლებას იქცევდა მათი მოქმედება, რამდენადაც ისინი ხშირად ხელისუფლებასა და გაბატონებული სარწმუნოების საწინააღმდეგო იღებენ ქადაგებდნენ.

სარეცენზიო წიგნის ავტორი, გამოთქვამს მოსახრებას რომ მოძღვართ-მოძღვარი სწავლულის ზარსხი უნდა იყოს, უმაღლესი წოდება მეცნიერისა. მოძღვართ-მოძღვარი, ა. სურგულაძის აზრით ფილოსოფიური სკოლის მეთაურია, მას უნდა მოწაფეები. ძველის მიხედვით, ავტორის აზრით, მოძღვართ-მოძღვარი გელათის აკადემიის რექტორად უნდა იყოს. რას აქცევს მკითხველის უფრადლებას ამ შემთხვევაში სარეცენზიო წიგნის ავტორი?

ძველის მიხედვით, სწერს ა. სურგულაძე, მოძღვართ-მოძღვარი მეფის შემდეგ პირველი პირია. დარბაზობის დროს მეფე მას ღებულაბს შერთ პატივით, ვიდრე ეკლესიის მეთაურებს და მთავრობის თავმჯდომარებს (§ 21, 24, 32).

განსაკუთრებული პატივით ღებულობენ სასახლეში მოძღვართ მოძღვარსა და მის მოწაფეებს (§ 23).

სწავლულის ასეთ პატივისცემას, ოფიციალურად მის სახელმწიფო იერარქიის ასეთ მაღალ რანგში აყვანას ჩვენ ვერ ვხვდებით არც ერთ ფეოდალურ სახელმწიფოში. ასეთ უჩვეულო ინსტიტუტს საერთოდ უცნობია სხვა ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის. ეს გარკვევა კი იმის დამამტკიცებელია, რომ შოთა რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალურება და სახელმწიფო კულტურით, განვითარებით მაღალ საფეხურზე იდგა.

3) სარეცენზიო წიგნის ავტორი იზიარებს ექ. თაყაიშვილისა, ნ. მარისა და ივ. ჭავჭავაძის მოსახრებას იმის შესახებ, რომ ძველი წარმოდგენს იურიდიულ შინაარსის ტრაქტატს, რომელიც დაწერილია სასახლის კარის მოხელის შაყე. ძველის მიხედვით, ირეკვა, რომ ასეთი შინაარსის შრომები სხვაე ყოფილა. ასეთი შრომები, რასაკვირველია ერთგვარად საზოგადოებრივი დაკეთის შედეგია, ე. ა. საზოგადოების მოთხოვნილების ნაყოფია, თუ იწერებოდა ასეთი შრომები, ალბათ, იყო ამისი საქიროება, ჰყავდა ასეთ შრომებს მკითხველები. ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ გაერთიანებული ფეოდალური პერიოდის ქართლის საზოგადოება განვითარების მაღალ საფეხურზე მდგარა.

სარეცენზიო წიგნის მეორე ნაწილში მოცემულია „დასტურლამის“ მეცნიერულად დადგენილი ტექსტი.

„დასტურლამი“ ვახტანგ VI მეფე შედგენილია 1707-1709 წლებში.

ამ ძველს განუზომელი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართველ წყაროს ჩვენი ისტორიისათვის. მასში მრავალი მასალა შეიძლება საკანონმდებლოს ეკონომიური, ფინანსური ისტორიისათვის. თავისი შინაარსით კი ძველი სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება და ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლისათვის უსადაულებელ განის წარმოადგენს.

„დასტურლამში“ კანონმდებელს თავმოკრილი აქვს ცალკეული კანონმდებლებანი, რომლებიც სხვადასხვა დროს დაუწერიათ ქართველ მეფეებს. ყველა ეს კანონები ვახტანგ მეექვსეის მოყვანილი აქვს ერთ რედაქციაში. გარდა ამისა მასვე დამატებული აქვს ახალი კანონები.

კანონმდებელმა დასტურლამის მეშვეობით გლებთა გადასახადები ერთ სისტემაში მოიყვანა. ეს იყო გარკვეული წესრიგის შეტანა უწესრიგობაში და ამით მნიშვნელოვანი პროგრესული ღონისძიება, რადგან ფეოდალთა თვითნობას ბოლო უნდა მოეღობა. ამასთანავე „დასტურლამის“ შედგენით მეფე მიზნად ისახავდა ეცნაურული ხელისუფლების გაძლიერებას და ამ მხრივაც მისი მნიშვნელობა დიდი იყო. ავტორი მართებულად ასაბუთებს „დასტურლამის“ ქართული სინამდვილისადმი შესატყვისობას. ზნეუბნული საქანონმდებლო ძველი სახავს გვიანი შუასაუკუნეების ქართლის სამეფოს, მის ეკონომიკას, ფინანსებს, სახელმწიფოს, სამართალს და სხვა. ამ მხრივ მისი მნიშვნელობა განუზომელია.

ავტორს შესწავლილი აქვს „დასტურლამი“ 15 ხელნაწერი და დადგენილი აქვს მისი ტექსტი.

სარეცენზიო ნაშრომის ორივე ნაწილის ძიართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნებიც.

1. „ხელმწიფის კარის ვარიგების“ მიხედვით დიდმა თამარ მეფემ „ერისთავნი და ქვლის მქონებლნი“ დიდებულებთან „ერთნებია“ განიინა (§ 30). თუ დიდი თამარ მეფე ერისთავებს და თანამდებობის პირებს დიდებულებთან შეთანხმების გარეშე ვერ „განაწენდა“, ზომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საქართველოში აბსოლუტიზმისათვის ნიადაგი არ იყო მომზადებული? სარეცენზიო ნაშრომის ავტორის მოსახრების საწინააღმდეგოდ ასეთი დებულების წიამაყენება მართებულად გვეჩვენება.

2. „ხელმწიფის კარის ვარიგების“ ტექსტის ზოგიერთი ადგილი ბუნდოვანია. მაგალითად მეოცე პარაგრაფში ჭურჭლის აღწერილობასთან ერთად ვენახის დამუშავებაზეა საუბარი. ამ საკითხზე ავტორს თავისი განმარტება უნდა მოეცა.

3. „ხელმწიფის კარის ვარიგების“ და „დასტურლამის“

ტურლამალი" ლექსკონებში ზოგიერთი სიტყვა ძლიერ ვრცლად არის განმარტებული და ეს განმარტება ცალკე გამოკვლევის ხასიათს ატარებს (მაგ. აზნათი, ჩუხჩარბი, შოურაჟი და სხვ.).

1. ავტორს პასუხი უნდა გაეცა 'კითხვაზე, რით უნდა აიხსნას ის ვარაუძობა, რომ აზნათური წესით შედგენილი „დასტურლამალი" არც ერთი ზღუნაწერი არ ჩანს მე-18 საუკუნის 70-იან წლებამდე.

5. სარეცენზიო ნაშრომი უფროდ მოიგებდა, ავტორს რომ შეტი ყურადღება დაეთმო ძეგლისათვის, რომელსაც ეწოდება „წესი და განგება მეფეთ კერთხვისა", რომელიც XIII საუკუნეშია შედგენილი. პროფ. ივ. სურგულაძე მას იცნობს და იმომეგბს კიდევაც თავის წიგნში (გვ. 109), მაგრამ ეს საქმარბისი არ ჩანს. საჭირო იყო მისი დეტალური და შედარებითი შესწავლა „ხელმწიფის კარის ვარიგებასთან" პარალელურად.

წვენი შენიშვნები გაკეთებული იყო მხოლოდ სარეცენზიო ნაშრომის არაარსებითი ხასიათის ნაკლოვანებების ირგვლივ და, ცხადია, მის მაღალ მეცნიერულ ღირებულებას არ ამცირებენ.

დაცენის სახით შეიძლება ითქვას, რომ: 1) სარეცენზიო ნაშრომის ავტორმა ქართული სამართლის ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლის მეცნიერული გამოტყობით, მიღწეული შედეგების რუსულ და გერმანულ ენებზე გადმოცემით და

საერთოდ ჩატარებული გამოკვლევებით დღევანდელ შეიტანა საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის მეცნიერებების სტატუსში. ამიერიდან ხსენებული ძეგლები მისაწვდომნი არიან არა მარტო ქართულ, არამედ აგრეთვე რუსულ და გერმანულ ენებზე მკითხველი საზოგადოებისა და სპეციალისტებისათვის.

2. ავტორს გაწეული აქვს ძალზე დიდი, შრომადიანი და ენერგიული შრომა, რის შედეგად მან შესძლო დასახული მიზნის ღირსეულად მიღწევა.

ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე.

3. სარეცენზიო ნაშრომში მოცემულია კონკრეტულად დადგენილი ტექსტები, რომელთა მეცნიერულად კარგი და არის დასაბუთებული.

4. სარეცენზიო წიგნში მოცემული „ხელმწიფის კარის ვარიგების" რუსული თარგმანის ორი ვარიანტის მნიშვნელობა განუზომელია ქართული კულტურით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" ეფიქრობთ საერთოდ კარგი და განსაკუთრებით კი ისტორიულ-იურადიული მეცნიერებისათვის სასარგებლო საქმე გააკეთა სარეცენზიო ნაშრომის გამოცემით.

გიორგი ნაღარკიშვილი

0 5/69

3360 80 333.



საქართველოს
ინდექსი
76128

„МНАТОБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ